

ქართული  
წყაროთმცოდნეობა  
XXI



2019



**გამომცემლობა „უნივერსალი“**  
**Publishing House “UNIVERSAL”**



# **Georgian Source-Studies**

**XXI**

**2019**

# **ქართული წყაროთმცოდნეობა**

**XXI**

**2019**

UDC (უკ) 930.2  
(051.2)  
ქ – 279

### **რედაქტორები**

გიული ალასანია და მარიამ ჩხარტიშვილი

### **ტომის რედაქტორი**

ზურაბ თარგამაძე

### **სარედაქციო კოლეგია**

გონელი არახამია  
ეკა კვაჭანტირაძე  
დავით მერკვილაძე  
ნატო სონღულაშვილი  
სოფიო ქადაგიშვილი  
ქეთევან ქუთათელაძე  
გიორგი ჭეიშვილი

### **Editors**

Giuli Alasania & Mariam Chkhartishvili

### **Editor of the volume**

Zurab Targamadze

### **Editorial Board**

Goneli Arakhamia  
Sopio Kadagishvili  
Ketevan Kutateladze  
Eka Kvachantiradze  
David Merkviladze  
Nato Songulashvili  
George Tcheishvili

რედაქტორის საკონტაქტო მონაცემები:

ელ-ფოსტა: [mariam.chkhartishvili@tsu.ge](mailto:mariam.chkhartishvili@tsu.ge)

მობ. 599 71 40 15

Editor's contact details:

E-mail: [mariam.chkhartishvili@tsu.ge](mailto:mariam.chkhartishvili@tsu.ge)

Mob.: +995 599 71 40 15

© ტექსტი –ავტორები, 2019

© შედგენა – გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი 2019

© Text – authors, 2019

© Compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, 2019

ISSN 1987 – 9563

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტკოვსკაის 4, ☎: 5(99)33 52 02; 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

## შინაარსი CONTENTS

<b>რედაქტორებისაგან</b> .....	10
<b>EDITORIAL</b>	
<b>ჩვენი მილოცვა</b> .....	12
<b>OUR CONGRATULATIONS</b>	
<b>სტატიები</b> .....	13
<b>PAPERS</b>	
ირანის რელიგიური პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ და შიიტური ისლამი XVI-XVII საუკუნეების თბილისში.....	15
<b>ხათუნა ბაინდურაშვილი</b> The Religious Politics of Iran towards the Eastern Georgia and Shia Islam in Tbilisi in the 16 <sup>th</sup> -17 <sup>th</sup> Centuries <b>Khatuna Baidurashvili</b>	
საქართველოს შავიზღვისპირეთის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი (II-VIII საუკუნეები).....	22
<b>პაპუნა გაბისონია</b> Some Questions of the Historical Geography of the Black Sea Littoral of Georgia (2 <sup>nd</sup> -8 <sup>th</sup> Centuries) <b>Papuna Gabisonia</b>	
აბჯრის ერთი ნიმუში გელათის წმ. გიორგის ხატის მიხედვით.....	30
<b>ზურაბ მაღრაძე</b> One Example of Armour according to St. George's Icon of Gelati <b>Zurab Maghradze</b>	
დასჯის ფორმები განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ჩვეულებით სამართალში .....	58
<b>ბექა მგელაძე</b> Types of Punishment in Habitual Law in South-Western Georgia (High and Late Middle Ages) <b>Beka Mgeladze</b>	
ანატოლიელ ბერძენთა ეთნონიმის, კულტურული იდენტობისა და ქართველურ-ბერძნული სოციოლინგვისტური ურთიერთგავლენების საკითხისათვის.....	74
<b>ნუგზარ მგელაძე</b> On the Issue of Ethnonimics and Cultural Identity of Anatolian Greeks and Georgian-Greek Sociolinguistic Interactions <b>Nugzar Mgeladze</b>	
უცნობი ხატის წარწერა წმ. შალვა ქსნის ერისთავისა და მისი ოჯახის წევრების ხსენებით.....	84
<b>ლადო მირიანაშვილი</b> An Unknown Icon Inscription with the Mention of St. Shalva, Eristavi of Ksani, and of his Family Members <b>Lado Mirianashvili</b>	
საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1921 წელი).....	89
<b>ლელა სარალიძე</b> From the History of Georgia-Ottoman Relations (1921) <b>Lela Saralidze</b>	
შემოჭრილი მონეტა ღვთისმშობლის გამოსახულებითა და ასომთავრული ლეგენდით და მისი ატრიბუცია (დავით IV აღმაშენებლის ნუმისმატიკური მემკვიდრეობის კლასიფიკაციისათვის).....	96
<b>ირაკლი ფაღავა</b> Clipped Coin with the Effigy of the Virgin and Asomtavruli Legend and its Attribution (On the Classification of the Numismatic Legacy of David IV the Builder) <b>Irakli Paghava</b>	

ქართული ჰაგიოგრაფია როგორც საისტორიო წყარო (კვლევები და მეთოდები).....	106
<b>სოფიო ქადაგიშვილი</b> Georgian Hagiography as Historical Source (Researches and Methods) <b>Sopio Kadagishvili</b>	
ბატონიშვილი ვახუშტი სამეფო წარწერათა გამო ერთიანი საქართველოს ნიშანთა შორის.....	114
<b>მერაბ ღაღანიძე</b> Prince Vakhushti on the Royal Inscriptions among the Signs of the United Georgia <b>Merab Ghaghanidze</b>	
„ყრუ ბაღდადელი“ ვინაობისა და მარვან იბნ მუჰამედის ქართული თიკუნის შესახებ.....	132
<b>დავით ჩიქოვანი</b> About “the Deaf from Bagdadi” and Marwan ibn Muhamed’s Georgian Nickname <b>David Chikovani</b>	
ქართველი ერის ზვიად გამსახურდიასეული ნარატივი. რეპრეზენტაცია და კომენტარები .....	138
<b>მარიამ ჩხარტიშვილი</b> Georgian Identity Narrative by Zviad Gamsakhurdia. Representation and Commentaries <b>Mariam Chkhartishvili</b>	
„დასავლეთის“ კონცეპტუალიზება ქართულ იდენტობრივ ნარატივში .....	147
<b>მარიამ ჩხარტიშვილი</b> Conceptualization of ‘West’ in Georgian Identity Narrative <b>Mariam Chkhartishvil</b>	
რამდენიმე ლაპიდარული წარწერა კასპის მუნიციპალიტეტიდან .....	165
<b>ელზა ხაინდრავა</b> Several Lapidary Inscriptions from Kaspi Municipality <b>Elza Khaindrava</b>	
სამცხის ათაბაგის ივანე I ჯაყელის მიერ 1417 წელს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში განწესებული ერთი ალაპის შესახებ („ალაპი თურქთაგან დაჭრილთა მართალმადიდებელთა ლაშქართათს“).....	171
<b>თემო ჯოჯია</b> An Agape-record Set in the Georgian Holy Cross Monastery of Jerusalem by Ivane Jakeli I, the Atabeg of Samtskhe ("An Agape-record set in Memory of the Christian Orthodox Warriors Mutilated by the Turks") <b>Temo Jojua</b>	
<b>პრეზენტაცია სამეცნიერო ფორუმზე.....</b>	181
<b>PRESENTATION AT SCIENTIFIC FORUM</b>	
ქართველი ერი XIX საუკუნეში ეთნოსიმბოლისტური თვალთახედვით .....	183
<b>მარიამ ჩხარტიშვილი</b> Georgian Nation in the Nineteenth Century from the Point of Ethno-Symbolist Approach <b>Mariam Chkhartishvili</b>	
<b>ქართველოლოგია საზღვარგარეთ .....</b>	187
<b>GEORGIAN STUDIES ABROAD</b>	
რობერტ ბლეიკი – პირველი ამერიკელი ქართველოლოგი .....	189
<b>ირაკლი ფერაძე</b> Robert Pierpont Blake – the first American Kartvelologist <b>Irakli Peradze</b>	
<b>წყაროთა კუბლიკაცია და თარგმანი .....</b>	195
<b>PUBLICATION AND TRANSLATION OF SOURCES</b>	
სტეფანე ბურნაშევის „აზერბაიჯანული ქვეყნები სპარსეთში და მათი პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“. წინასიტყვა, თარგმანი და კომენტარები .....	197
<b>დავით მერკვილაძისა</b> S. Burnashev’s Work “Description of the Regions of Azerbaijan in Persia and their Political Status”. Introduction, Translation from Russian and Commentaries by <b>David Merkviladze</b>	

არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ ახალი თარგმანი. თარგმანი იტალიურიდან .....	210
<b>გიორგი ცქიტიშვილისა</b> შესავალი წერილი, ქართული ტექსტის რედაქტირება და კომენტარები <b>დავით მერკვილაძისა</b> New Translation of Archangelo Lamberti's "The Holy Colchis". Translated from Italian by <b>George Tskitishvili</b> Editing of Georgian text, Introduction and Commentaries by <b>David Merkviladze</b>	
<b>წიგნების მიმოხილვა</b> .....	225
<b>BOOK REVIEWS</b>	
ირაკლი ფერაძის წიგნი „დალის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)“ .....	227
<b>თამარ დიდებაშვილი</b> Book by Irakli Peradze "Dali Gorge (Historical-Ethnographic Research)" <b>Tamar Didebashvili</b>	
ნესტან სულავას წიგნი „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“ .....	229
<b>ეკა დულაშვილი</b> <b>ია ლადუა</b> "Researches in Ancient Georgian Literature" by Nestan Sulava <b>Eka Dughashvili</b> <b>Ia Ghadua</b>	
ჟურნალი „ახლო და შუა აღმოსავლეთის მოსახლეობა და ქვეყნები“ .....	232
<b>გორ მარგარიანი</b> Journal "The Countries and Peoples of the Near and Middle East" <b>Gor Margaryan</b>	
კონსტანტინე კანდელაკის წიგნის „ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე“ პირველი ქართული თარგმანი.....	234
<b>ლადო მირიანაშვილი</b> The First Georgian Translation of the Book of Constantin Kandelaki "The Georgian Question before the Free World" <b>Lado Mirianashvili</b>	
ახალი პუბლიკაცია ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ.....	236
<b>ლადო მირიანაშვილი</b> Recently Published Book on Georgian-Russian Interrelations <b>Lado Mirianashvili</b>	
პროფესორ იოსებ პატრიხის პედაგოგიური მოღვაწეობის დასრულებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებული.....	237
<b>ლადო მირიანაშვილი</b> Essays in Honor of Professor Joseph Patrich on the Occasion of his Retirement from Teaching at University <b>Lado Mirianashvili</b>	
ირაკლი ფაღვას წიგნი „დაღესტნისა და საქართველოს ნუმისმატიკური წარსული“ .....	239
<b>მაია პატარიძე</b> The Book by Irakli Paghava "The Numismatic Past of Dagestan and Georgia" <b>Maia Pataridze</b>	
ირინე ჯუკაშვილი და მისი ნაშრომი „ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში“ .....	241
<b>ნათია ჯალაბაძე</b> Irine Jukashvili and her Work "Ethno-Historical and Religious Processes within the Turkic-speaking Population of Kvemo Kartli" <b>Natia Jalabadze</b>	
<b>ქრონიკა</b> .....	243
<b>CHRONICLE</b>	
ბიზანტიოლოგიური კვლევების მეთვრამეტე კონფერენცია (ბარსელონა, 30 იანვარი – 2 თებერვალი) .....	245
<b>სოფიო ქადაგიშვილი</b> XVIII Conference on Byzantine Studies (Barcelona, 30 <sup>th</sup> January – 2 <sup>nd</sup> February) <b>Sopio Kadagishvili</b>	



ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XIX-XX გაერთიანებული ტომების პრეზენტაცია.....	248
<b>მარიამ ჩხარტიშვილი</b> <b>ზურაბ თარგამაძე</b> Presentation of the Journal “Georgian Source-Studies” (Volumes XIX-XX) <b>Mariam Chkhartishvili</b> <b>Zurab Targamadze</b>	
ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და გამოფენა.....	253
<b>გიორგი არქანია</b> <b>გიგი გიოშვილი</b> A Scientific Conference and an Exhibition Dedicated to 80 <sup>th</sup> Anniversary of Zviad Gamsakhurdia, the First President of Georgia <b>Giorgi Arkania</b> <b>Gigi Gioshvili</b>	
საერთაშორისო კონფერენცია დავითგარეჯი – მრავალდარგობრივი კვლევა და განვითარების სტრატეგია.....	256
<b>ლადო მირიანაშვილი</b> International Conference: Davit-Gareji – Multidisciplinary Study and Development Strategy <b>Lado Mirianashvili</b>	
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა“ – X.....	259
<b>ლელა სარალიძე</b> 10 <sup>th</sup> International Scientific Conference “Batumi: Past and Present” <b>Lela Saralidze</b>	
ახალგაზრდა ორიენტალისტთა მე-40 საერთაშორისო კონფერენცია სომხეთში.....	263
<b>გორ მარგარიანი</b> <b>სოფიო ქადაგიშვილი</b> 40 <sup>th</sup> International Conference of Young Orientalists <b>Gor Margaryan</b> <b>Sopio Kadagishvili</b>	
ნმ. გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი კონფერენცია: „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“.....	265
<b>ნატო სონგულაშვილი</b> <b>სოფიო ქადაგიშვილი</b> 1 <sup>st</sup> International Conference: “Georgia in the Context of Christian Civilization” Dedicated to the 120 Anniversary from St. Grigol Peradze’s Birth <b>Nato Songulashvili</b> <b>Sopio Kadagishvili</b>	
საერთაშორისო კონფერენცია ბიზანტიოლოგია საქართველოში – 5: „შავი ზღვა და შავიზღვისპირეთის ქვეყნები – კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინი IV-XV საუკუნეებში“.....	269
<b>მარინე გიორგაძე</b> The 5 <sup>th</sup> International Scientific Conference of Byzantine Studies in Georgia: “The Black Sea and the Black Sea Region Countries – The Crossroads of Cultures and Civilizations in the 4 <sup>th</sup> -15 <sup>th</sup> Centuries” <b>Marine Giorgadze</b>	
პრატის მეორე საერთაშორისო კონფერენცია პოლიტიკურ მეცნიერებებში და ჰუმანიტარიაში (პრატა, 15-16 ოქტომბერი, 2019).....	274
<b>სოფიო ქადაგიშვილი</b> 2 <sup>nd</sup> Prague International Conference on Social Science & Humanities (ICSSH) (Prague, October 15-16, 2019) <b>Sopio Kadagishvili</b>	
პროფესორ ელდარ მამისტვალიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.....	278
<b>იოსებ ალიმბარაშვილი</b> Scientific Conference Dedicated to the 80 <sup>th</sup> Anniversary of Professor Eldar Mamistvalishvili <b>Ioseb Alimbarashvili</b>	
საერთაშორისო კონფერენცია „ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში“.....	281
<b>ქეთევან ხუციშვილი</b> International Conference “Ethnocultural Diversity and Intercultural Communication in Georgia” <b>Ketevan Khutsishvili</b>	

კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი „საქართველო კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში (ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები)“ .....	284
<b>ამირან ბასილაშვილი</b>	
V International Congress of Caucasiologists “Georgia in the Cultural-Civilizational Context of the Caucasus (History, Modernity and Perspectives)”	
<b>Amiran Basilashvili</b>	
შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია .....	289
<b>მარიამ ჩხარტიშვილი</b>	
Annual Conference of the Department of Medieval History of Georgia and Source Criticism	
<b>Mariam Chkhartishvili</b>	
<b>კომენტარები</b> .....	293
<b>COMMENTS</b>	
კომენტარი მურვან ყრუს იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით გამოთქმულ ახალ თვალსაზრისზე.....	295
<b>მარიამ ჩხარტიშვილი</b>	
Comment on a New View on Issue of Murwan the Deaf Identification	
<b>Mariam Chkhartishvili</b>	
<b>გზამკვლევი ავტორთათვის</b> .....	297
<b>AUTHOR’S GUIDELINES</b>	

## რედაქტორებისაგან

სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობთ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXI ტომს. ჟურნალის ამ ტომში გამოიყოფა რამდენიმე განყოფილება.

პირველ რიგში ესაა „მილოცვა“. აქ წარმოდგენილი მასალით ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ორი თანამშრომლის დიდ საზოგადოებრივ აღიარებაზე შეიტყობს მკითხველი.

მომდევნო განყოფილება „სტატიები“, რომელშიც თხუთმეტი კვლევითი სტატიაა წარმოდგენილი. ტრადიციულად, მათი ავტორები სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები არიან. ნაშრომთა თემატიკა, ქრონოლოგიური თუ დარგობრივი ფოკუსი, ასევე ტრადიციულად, მრავალგვარია.

შემდეგი განყოფილებაა „პრეზენტაცია სამეცნიერო ფორუმზე“. წინა ტომებში ჩვენ ვაქვეყნებდით მხოლოდ საზღვარგარეთ ნაკითხულ იმ მოხსენებებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ დაბეჭდილან და რომელთადაც ქართულ სამეცნიერო წრეებში ინტერესი, ჩვენი აზრით, დიდი შეიძლება ყოფილიყო. ამჯერად გადავწყვიტეთ საქართველოში ნაკითხული მოხსენებების დაბეჭდვაც. საქმე ის გახლავთ, რომ სამეცნიერო კონფერენციებზე დამსწრეთა რიცხვი, ჩვეულებრივ, დიდი არაა. მოხსენებები კი, ხშირად, ძალიან მნიშვნელოვანია და სამეცნიერო თვალსაზრისითაც აქტუალური. რადგანაც ამიერიდან ადგილობრივ კონფერენციებზე ნაკითხულ მოხსენებებსაც გამოვაქვეყნებთ, შესაბამისად ოდნავ შეცვლილი იქნება ამ განყოფილების სახელწოდება: „საერთაშორისო პრეზენტაციის“ მაგიერ გვექნება „პრეზენტაცია სამეცნიერო ფორუმზე“. ამჯერად ამ განყოფილებაში ერთი ნაშრომი იბეჭდება.

მომდევნო „ქართველოლოგია საზღვარგარეთ“. საზღვარგარეთ ახლა თუ წარსულში მოღვაწე ქართველოლოგების შესახებ ჩვენ წინა ტომებშიც ვაქვეყნებდით სტატიებს. ამჯერად გადავწყვიტეთ ამას სისტემატური ხასიათი მივცეთ. ასე რომ, აღნიშნული ფაქტების გაშუქება ჩვენი ჟურნალის სულისკვეთებისათვის ახალი არ არის, თუმც, თავად განყოფილება ახალია. ჩვენი სურვილია, რომ ის ტრადიციულად იქცეს და სამეცნიერო საზოგადოებას მუდმივად მივანოდოთ ინფორმაცია საზღვარგარეთის ქართველოლოგიური ცენტრების, ქართული კულტურისათვის თავდადებით მოღვაწე მეცნიერების, მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებების თუ მათი პუბლიკაციების შესახებ. ამჯერად ეს განყოფილება ერთი სტატიითაა წარმოდგენილი.

შემდეგი განყოფილება „წყაროთა თარგმანი და პუბლიკაცია“ ტრადიციულია ჩვენი ჟურნალისათვის. აქ იბეჭდება ორი მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროს თარგმანი სათანადო სამეცნიერო აპარატით.

განყოფილებაში „წიგნების მიმოხილვა“ იბეჭდება რვა მოკლე რეცენზია. სრულად რომ ასახოს თანამედროვე ისტორიული მეცნიერების განვითარება, ჟურნალის რედაქციას სამეცნიერო საზოგადოებისაგან თანადგომა ესაჭიროება. აუცილებელია, თითოეულმა მეცნიერმა იზრუნოს არამარტო საკუთარი კვლევითი სტატიის წარმოდგენაზე, არამედ სხვათა ნაშრომების რეცენზირებაზეც. ჯერჯერობით ამ კუთხით კოლეგების გააქტიურება, სამწუხაროდ, გვიჭირს.

განყოფილება „ქრონიკა“ ასახავს სამეცნიერო საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარ სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტს: ახალი წიგნების პრეზენტაციას, კონფერენციებს. ამ განყოფილებაში ცამეტი ამგვარი ინფორმაცია იბეჭდება. ამ შემთხვევაშიც რედაქციის გასაჭირი იგივეა: რატომღაც, კოლეგებს არ სურთ დრო დახარჯონ სამეცნიერო საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი ფაქტების აღწერაზე, იმათზეც კი, რომელთა ორგანიზებაში თავად დიდი წვლილი მიუძღვით. არადა, ეს ისტორიაა და დარგის განვითარებისათვის უაღრესად აუცილებელია ამგვარი ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამიტომ ყველას ვთხოვთ, გაითვალისწინონ, რომ რედაქციის საზოგადოებრივ სანდოებაზე მუშაობს, არა აქვს შესაძლებლობა სამეცნიერო ცხოვრების ფაქტები საკუთარი კორესპონდენტების მეშვეობით აღწესხოს. ღონისძიებათა ორგანიზატორებმა უნდა მოგვანოდონ შესაბამისი ინფორმაცია. ეს არაა ჟურნალის რედაქციის, არამედ მეცნიერების წინაშე მათი ვალდებულებაა. ამგვარ მასალას ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით დავბეჭდავთ.

დამატებულია კიდევ ერთი ახალი განყოფილება – „კომენტარები“. აქ მკითხველი გაეცნობა ჟურნალის რედაქტორის მარიამ ჩხარტიშვილის კომენტარს წინამდებარე ტომში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაზე.

ჟურნალი სრულდება „გზამკვლევით ავტორთათვის“. როგორც მკითხველმა უკვე იცის, ჟურნალს აქვს თავისი მოთხოვნები სტატიის ტექნიკურ გაფორმებასთან დაკავშირებით, დამონების საკუთარი სტილი, რომელიც პრინციპულად ორიგინალური არაა და საერთაშორისოდ აპრობირებული წესების თავისებურ მოდიფიკაციას წარმოადგენს. ახალ გზამკვლევში ჟურნალის წინა ნომრებში დაფიქსირებული მოთხოვნები რამდენადმე შეცვლილია სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით. ჩვენდა სამწუხაროდ და გასაკვირადაც, ავტორთა ნაწილს (მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი სამეცნიერო სფეროში მოღვაწე პიროვნებაა) უჭირს სტატიის გაფორმების წესების დაცვა. ეს კი მძიმე მდგომარეობაში აყენებს რედაქციას, რომელსაც არა აქვს ვალდებულება წარმოდგენილი მასალა თავად გამართოს დადგენილი წესების შესაბამისად.

ჩვენ ყოველთვის სიხარულით აღვნიშნავდით „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მომზადებაში ახალ-

გაზრდების როლს. ერთ-ერთი მათგანია ისტორიის დოქტორი ზურაბ თარგამაძე. ჟურნალის ამ ტომის მომზადებასთან დაკავშირებული ბევრი საქმე მან იტვირთა და, ვფიქრობთ, წარმატებითაც გაართვა თავი. სწორედ ამიტომ ის გახლავთ წინამდებარე ტომის რედაქტორი. მომავალში ჩვენ ტომის რედაქტორის წარმოდგენის პრაქტიკას გავაგრძელებთ და ყველა ჩვენთან თანამშრომლობის მსურველ მეცნიერს, პირველ რიგში კი, რედაქციის წევრებს ვთხოვთ ამ მიმართულებით გააქტიურებას.

როგორც ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, წლების განმავლობაში „ქართული წყაროთმცოდნეობა“ გამოდიოდა ერთ-ერთი ჩვენთაგანის დაფინანსებით. შესაბამისად, ის გახლდათ ჟურნალის გამომცემელი. „ქართული წყაროთმცოდნეობა“ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოიცა როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომელთა სამეცნიერო სტატიების კრებული. ანუ თავდაპირველად ეს ინსტიტუტის გამოცემა იყო. ინსტიტუტის კრებულის გამოცემის დაფინანსება კერძო პირის მხრიდან გამოწვეული იყო იმით, რომ წლების განმავლობაში ჟურნალს (კრებული 2010 წლიდან ჟურნალად გადაკეთდა) ინსტიტუტის ხელმძღვანელობა არათუ რაიმე დახმარებას არ უწევდა, პირიქით, ხელსაც უშლიდა. ძალიან სასიამოვნოა, რომ 2018 წლიდან ინსტიტუტის ახალმა ხელმძღვანელობამ ჟურნალისადმი ეს დამოკიდებულება დიამეტრალურად შეცვალა. დირექტორატის დიდი მონადინებით და ძალისხმევით გამოინახა სათანადო სახსრები და „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ეს ტომი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით გამოდის. აღნიშნული გარემოება დიდი მადლიერებით ავსებს ჟურნალის რედაქციას ინსტიტუტის ხელმძღვანელობისადმი და, პირადად, ინსტიტუტის დირექტორის ბატონ გიორგი ჭეიშვილის მიმართ; უზრდის მას პასუხისმგებლობას და სამომავლო საქმიანობისათვის მოტივაციას.

ვიმედოვნებთ, რომ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXI ტომი სამეცნიერო საზოგადოების ინტერესსა და დადებით გამოხმაურებას დაიმსახურებს.

**გიული ალასანია**

**მარიამ ჩხახიშვილი**

თბილისი, 2019 წლის 29 დეკემბერი

## EDITORIAL

In their Editorial, editors of the journal Prof. Giuli Alasania and Prof. Mariam Chkhartishvili give a brief description of the contents of the volume XXI. They specifically note the contribution of young scientists to the preparation of the journal; one such is Dr. Zurab Targamadze who is the volume editor. Editors express gratitude to the directorate of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology and personally to the director of the Institute George Tcheishvili for financial support in printing of the present volume.



## ჩვენს მილოცვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი სათავეს 1917 წელს თბილისში აკადემიკოს ნიკო მარის მიერ დაარსებული კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტიდან იღებს. ამ დროიდან მოყოლებული ამ დაწესებულებამ არაერთი რეორგანიზაცია განიცადა, იცვლებოდა სახელწოდებაც, მაგრამ წლების განმავლობაში უცვლელი რჩებოდა მისი საზოგადოებრივი ფუნქცია: ის წარმოადგენდა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის კვლევების სამეცნიერო ცენტრს საქართველოში.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ყოველთვის ამყობდა მკვლევრებით, რომლებიც აქ მოღვაწეობდნენ. შექმნილი სამეცნიერო პროექტია, მეცნიერული კვლევის შედეგების პოპულარიზება ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ ამ სიამაყისათვის მტკიცე საფუძველს იძლევა. ძალიან სასიამოვნოა, როცა ამის დამატებით ის წარმატება, რომელიც ინსტიტუტის თანამშრომლებს აქვთ და ღვაწლი, რომელიც მათ მიუძღვით დარგის განვითარების წინაშე, აღინიშნება საზოგადოების მიერ.

2019 წელს ორ ამგვარ სასიხარულო ფაქტს ჰქონდა ადგილი:

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ქვიციანი იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით ისტორიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის.

ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე როლანდ თოფჩიშვილი დაჯილდოვდა პრემიით „საგურამო“ ნომინაციაში „ჰუმანიტარული მეცნიერებები“.


ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ რედაქციას ულოცავს კოლეგებს ამ დიდ აღიარებას და უსურვებს მათ ყოველივე საუკეთესოს!

## OUR CONGRATULATIONS

In connection with World Science Day proclaimed by UNESCO Georgian National Academy of Sciences has awarded director of the Institute of History and Ethnology *George Tcheishvili* with the certificate of honor.

Ilia's Foundation and Ltd company "Kalasi" has awarded head of the Department of Caucasian Ethnology of the Institute of History and Ethnology *Roland Topchishvili* with the annual Saguramo Prize in Humanities Nomination.

The editorial board of the journal "Georgian Source-Studies" congratulates colleagues with this great public recognition and wishes them all the bests!



**სტატიები  
PAPERS**





## ირანის რელიგიური პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ და შიიტური ისლამი XVI-XVII საუკუნეების თბილისში

ხათუნა ბაინდურაშვილი

XVI ს. დასაწყისში ირანში სეფიანთა შიიტური სახელმწიფო (1501-1722) შეიქმნა (სავორი 2007; მეხტიევი 2014; კუცია 2001: 353-371), რომლის პირველი შაჰინშაჰი გახდა არდებილის შეიხის სეფი ედ-დინის შთამომავალი ისმაილ I (1501-1524). ამ მოვლენამ მთლიანად შეცვალა აღმოსავლეთის პოლიტიკური და იდეოლოგიური რუკა. შიიზმის დროშით ირანში მიმდინარე რელიგიურ-პოლიტიკური მოვლენები თავისი მნიშვნელობით იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ასახვა ჰპოვა ქართულ საისტორიო მწერლობაში. ვახუშტი ბატონიშვილი (ყაუხჩიშვილი 1973: 395), ბერი ეგნატაშვილი (ყაუხჩიშვილი 1959: 354-355) და ახალი ქახთდის ცხოვრების შესამე ტექსტი ირანში შიიტური ისლამის გავრცელება-დამკვიდრების შესახებ გადმოგვცემენ (ყაუხჩიშვილი 1959: 496).

სეფიანთა ირანის პოლიტიკა ქართული სამეფოების მიმართ თავიდანვე დამპყრობლური იყო. XVI ს. 20-იან წლებამდე ირანი აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარი პოლიტიკური სტატუსის განმტკიცებაზე ზრუნავდა, რადგან ამ ეტაპზე ქვეყნისათვის რელიგიური პრეტენზიების თავს მოხვევა მისთვის სასურველი შედეგის მიღწევაში ვერ დაეხმარებოდა, პირიქით, იგი ქართველ მეფე-მთავრებში პროსომალურ ორიენტაციას გააღვივებდა, რაც სეფიანებისთვის არახელსაყრელი იქნებოდა (ბაინდურაშვილი 2005: 146). მაგრამ უკე 1522 წელს აღჭაყალაში მოსულმა ისმაილ I-მა ქართლის მეფე დავით X-ს (1505-1525) გამუსლიმება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო (ყაუხჩიშვილი 1973: 397; ყაუხჩიშვილი 1959: 356, 495).

ჯიჰადის შესახებ მოძღვრების თანახმად, ომის დაწყების წინ მუსლიმი წინამძღოლი ვალდებულია „ურწმუნოებს“ შესთავაზოს „ქეშმარიტ სარწმუნოებაზე“ – ისლამზე მოქცევა. უარის შემთხვევაში კი მას შეუძლია ომი გამოუცხადოს ალაჰის სახელით (ჯაფარიძე 1999: 227). შაჰ ისმაილ I-დან მოყოლებული ქართველებსა და ყიზილბაშებს შორის ურთიერთობა ჯიჰადის პრინციპებით განისაზღვრა. ირანი მუდმივად ცდილობდა ქართლსა და კახეთში შიიტური ისლამის გავრცელებას, რასაც წინ სამხედრო ინტერვენცია უძღოდა.

ჩვენი კვლევის მიზანია XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ ირანის რელიგიური პოლიტიკის, თბილისში შიიტური ისლამის შემოტანა-დამკვიდრების პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორებისა და მისი გავრცელების დინამიკის შესწავლა.

სეფიანთა ირანის რელიგიური და ადმინისტრაციული პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. სეფიანი შაჰები საქართველოში ისლამის გავრცელებით გეგმავდნენ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მოშლას და მის რიგით ირანულ პროვინციად გადაქცევას. ისლამის საშუალებით უნდა მომხდარიყო ქართველების ირანთან პოლიტიკური, რელიგიური თუ კულტურული შერწყმა.

ირან-საქართველოს ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით, XVI-XVII სს. განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ამ პერიოდშიდან გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად ხდება შიიტური ისლამის გავრცელება ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში; სეფიანები მიმართავენ ქართლისა და კახეთის, როგორც პოლიტიკური ერთეულების, ლიკვიდაციისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში იწყება მუსლიმური სამოხელეო აპარატის შემოტანა-დანერგვა, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა ქართული სამოხელეო სისტემა; აქტიურდება მასიური მიგრაციის პოლიტიკა – ქართული მოსახლეობის გადასახლება ირანის შიდა პროვინციებში და მათ ადგილზე ირანული მომთაბარე ტომების ჩამოსახლება, რასაც ამ მხარის სრული ირანიზაცია და, საბოლოო ჯამში, ირანში ინკორპორაცია უნდა მოჰყოლოდა; XVI ს. ბოლოს დაიწყო საქმისწარმოებაში ყიზილბაშური პრაქტიკის დანერგვა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, რომლებშიც კარგად ჩანს სპარსული დიპლომატიკური კლავზულები; ხდებოდა გამუსლიმების ნახალისება; როსტომის დროს ქართულად ითარგმნა ყურანი.

პირველად თბილისის ქრისტიანი მოსახლეობის ძალით მოქცევა შიიტურ ისლამზე ყიზილბაშთა პირველი ლაშქრობის დროს მოხდა (ყაუხჩიშვილი 1959: 495).<sup>1</sup> ყიზილბაშებმა მეტეხის ხიდის ყურეში შიიტური მეჩეთი განაახლეს (ბერიძე 2002: 670)<sup>2</sup> და ქალაქის ციხეში საკუთარი მეციხოვნეები ჩააყენეს (ყაუხჩიშვილი 1973: 398-399; ყაუხჩიშვილი 1959: 356, 496).

მომდევნო სეფიანთა შაჰმა თამაზ I-მა (1524-1576) ოთხგზის (1541, 1547, 1551, 1554) ილაშქრა საქართველოში, მაგრამ ქართველი დიდებულების მცირე ნაწილის გამუსლიმება შიიტურ ისლამზე მხოლოდ პირველი ლაშქრობის დროს განახორციელა (ყაუხჩიშვილი 1959: 356-357; ყაუხჩიშვილი 1973: 402; ფუთურიძე 1969: 16). ლოგიკურია, რომ დივ-სულტან რულმუსა და შაჰ თამაზის მიერ თბილისის მოსახლეობაში „გავრცელდა“ შიიტური ისლამის ჯაფარიტული მარჯაბი, რადგან იგი სეფიანთა ოფიციალურ მარჯაბს წარმოადგენდა.

XVI ს. ბოლოდან მოყოლებული სეფიანთა ირანი გამუსლიმების პირობით ქართლისა და კახეთის ტახტზე

ამტკიცებდა ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებს. დავით X-მ ისლამის აღიარების შემდეგ შეძლო ქართლის ტახტის დაკავება. შაჰ-თამაზმა მას დაუდ-ხანი უწოდა, „შვილის“ წოდება უბოძა და თბილისისა და ქვემო ქართლის მმართველად დანიშნა (კაკაბაძე 1926: 10; ყაუხჩიშვილი 1973: 407-408). ირანის შაჰმა ქართლში გამოგზავნილ დავით X-ს თანაშემწედ განჯის ხანი დაუნიშნა (ყაუხჩიშვილი 1973: 408). ეს იყო სეფიანთა პირველი მცდელობა ქართლი თავის რიგით ადმინისტრაციულ ერთეულად ექცია (გაბაშვილი 1955: 198; კაციტაძე 1962: 198; გუჩუა 1973: 118).

ქართულ საისტორიო მწერლობაში გვაქვს ცნობები იმ სამეფო რეგალიების შესახებ, რომლებსაც სეფიანი შაჰები ქართლის მმართველად დანიშნულ გამუსლიმებულ ბაგრატიონს ჩუქნიდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ქართლის მეფე დავით XI-ს (დაუდ-ხანი) ჯილდოდ გადაეცა 2000 თუმანი, ირანული ხალათი, სარტყელი, ტყავის მოსასხამი სიასამურის ბეწვით, ხმალი, ხანჯალი, ყიზილბაშური ოქროქსოვილიანი გვირგვინი, ოქროს სურა და თასი, ოქროთი და თვლებით აღკაზმული ცხენი, მარგალიტით შემკული ხელთათმანი (ჯელსაცავი), „რომელი შემდგომად დაიდვა და მოსცემდენ მეფეთა ქართლისათა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 407-408). ვახუშტი ავტოგრაფის აშიაზე გაკეთებულ მინაწერში დეტალურად აღწერს გამუსლიმებული ქართველი მეფისთვის განკუთვნილ ყიზილბაშურ გვირგვინს: „თაჯი არს გვირგვინი მათი, რომელსა და[ა]ხვევენ დოღბანდსა მძიმედ ოქროქსოვილსა და ჯილითა თორმეტითა შეამკობენ“ (ყაუხჩიშვილი 1973: 408). ასეთივე ინფორმაციას გვანჯდის ფ. გორგიჯანიძე და ახალი ქაჩიძის ცხოვრება (კაკაბაძე 1926: 10).

1576 წ. გარდაიცვალა შაჰ-თამაზ I და სეფიანთა ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა ვაჟმა ისმაილ II-მ (1576-1577 წწ). მან ალამუთის ციხიდან გაათავისუფლა სიმონ I (ისინი წლების მანძილზე ერთად იყვნენ ალამუთში დატყვევებულები). 1578 წ. ირანში მყოფი სვიმონი იძულებული იყო ისლამი ეღიარებინა (გუჩუა, სვანიძე 1973: 129). ისქანდერ მუნშის ცნობით მას სულთან მაჰმუდ-ხანი ეწოდა, შაჰ მოჰამად ხუდაბენდემ (1578-1787 წწ) „ძმის“ ბედნიერი წოდებულება“ უბოძა და სვიმონი „პატივითა და ღირსებით მოსილი“ ქართლში დაბრუნდა (ფუთურიძე 1969: 28).

ირანის შაჰების ოფიციალური თვალსაზრისით ქართლისა და კახეთის მეფეები მისი ვასალები, მასზე დაქვემდებარებული პირები იყვნენ, ამიტომ მათ ძირითადად „შვილის“ ტიტულს ანიჭებდა. სიმონს I-ს კი (1556-1569; 1578-1600) მოჰამად ხუდაბენდემ „ძმის“ ანუ თანასწორობის ტიტული მისცა (კაციტაძე 2004: 75). სეფიანი შაჰის ეს ნაბიჯი ირან-ოსმალეთს შორის არსებული დაპირისპირებით იყო გაპირობებული. ირანს სიმონი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებოდა.

სიმონ I-ს ირანისადმი დაქვემდებარება აისახა სამეფო დივანის მუშაობაზე. XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართლში დაიწყო ქართულ-სპარსული საბუთების შედგენა (ფუთურიძე 1955; დუნდუა 1984; აბაშიძე 1974: 63-80), რაც ქართული სამართალწარმოების ირანულ სტანდარტთან მიახლოებას ნიშნავდა. ხდებოდა ქართულად დაწერილი საბუთის რეზიუმირება სპარსულ ენაზე. და მხოლოდ მთელი რიგი პროცედურების შემდეგ შედიოდა იგი ძალაში. სიმონ I-ს დროს გამოცემული საბუთების სპარსული ტექსტი ინერებოდა შექასთეთი, შექასთე-ნასთალიყითა და ნასთალიყით. საბუთის ინვოკაციოს წარმოადგენს – هو الله محمود في كل فعال. „ის [არის] ღმერთი, ქებული ყველა საქმეში. აბულ მანსურ სულთან მაჰმუდ-ხან მირზა. ჩემი სიტყვა“ (ფუთურიძე 1955: 32-34). დოკუმენტის სპარსული ნაწილის დათარიღება ხდებოდა ჰიჯრის წელთაღრიცხვით. სიმონ I-ს დროს გამოცემული საბუთების სპარსული ნაწილი გარკვეულწილად განსხვავდება შემდეგდროინდელი საბუთების აგებულებისაგან – მათ ძირითად ნაწილს არ აქვს სტანდარტული დასაწყისი, როგორცაა – امر عالی شد ان حکم عالی شد – „გამოვიდა მაღალი ბრძანება“. სიმონ I-ს საბუთების სპარსული ტექსტის უმრავლესობა მეფის სპარსული ბეჭდით დამოწმებული არ არის.

XVI ს. მეორე ნახევარში სეფიანებმა რელიგიის სფეროში მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ მიაღწიეს. სეფიანების მიერ ძალაუფლების დამტკიცების ერთ-ერთი მთავარი პირობა კი ისლამის მიღება იყო. ქართველები ისლამს ირანის შაჰებისგან ძალაუფლების მიღების მიზნით აღიარებდნენ. ირანი ცდილობდა თავისი დასაყრდენი ფენის შექმნას ადგილობრივ არისტოკრატიაში. XVI ს. თბილისში შიიზმის გავრცელების პროცესი მხოლოდ მაღალ ფეოდალურ საზოგადოებაში მიმდინარეობდა, ისიც შეფერხებით (ბაინდურაშვილი 2005: 147).

ქართლის შემდეგი მუსლიმი მეფე იყო შაჰ აბას I-ს მიერ დანიშნული ბაგრატ VII – ბაგრატ-ხანი (1616-1619 წწ.). იგი იმდენად უუფლებო იყო, რომ მას საბარათიანოს მეფეს უწოდებდნენ და ქართველები არ ემორჩილებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით:

ხოლო ესე ბაგრატ იყო ფრიად მოჰმადიანი და არა რაჲ კეთილი იყო მის თანა, სძულობდნენ ქართველნი და იყო საბარათიანოს და უწმობდნენ საბარათიანოს ბატონსა, არცაღათუ ერჩდნენ და მორჩილებდნენ (ყაუხჩიშვილი 1973: 428).

1619 წელს ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ შაჰ აბასმა ქართლის მმართველობა ბაგრატის მცირეწლოვან ვაჟს, სვიმონ II-ს (სვიმონ-ხანი) (1619-1631 წწ.) გადასცა, ვაქილად კი გიორგი სააკაძე დაუნიშნა (ფუთურიძე 1969: 115). ირანული ტრადიციით ბაგრატიც და სვიმონიც სეფიანთა მოხელეები – ხანები არიან, თუმცა როგორც წესი,

მათ ქართული წერილობითი წყაროები (ყაუხჩიშვილი 1973: 431-436) და ისტორიული საბუთები მეფეებად მოიხსენიებენ (ფუთურიძე 1955: 53, 60, 62, 64, 70; აბაშიძე 1974: 10).

სვიმონ II-ის ვასალური დამოკიდებულება ირანის შაჰისადმი მისი სპარსულ ლეგენდიანი ბეჭდიდანაც იკვეთება (غلام شاه عباس سیمون – „შაჰ აბასის ღოლამი – სიმონი“). იგი საკუთარ თავს შაჰის ღოლამს (მებრძოლ მონას) უწოდებს (ფუთურიძე 1955: 70-72, 74-76). სავარაუდოდ, ქართველ მეფეთა სპარსული ბეჭდები ირანში მზადდებოდა და მასზე დატანილი ლეგენდაც შაჰის მიერ მოწონებული და ნებადართული იყო.

XVII ს. 20-იანი წლებიდან ქართლს ირანის ვილაიეთის სტატუსი მიენიჭა, ამით კი ადმინისტრაციულად ირანს დაექვემდებარა ანუ მის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა. სეფიანთა ირანში ადმინისტრაციულად ვალი ერთ-ერთი დიდი მოხელე და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. XVII ს. ირანში ოთხი ვალი არსებობდა (არაბისტანის, გურჯისტანის, ლურისტანის და ქურთისტანის). ისინი ადგილობრივი დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ და ბეგლარბეგებისა და ხანებისაგან განსხვავებით მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. „ქართლის ვალი კი ირანის სხვა ვალისგან განსხვავდებოდა, რადგან შაჰმა ვერ მოახერხა ქართლის მიწების გამოცხადება ირანის დივანის (სახელმწიფოს) მიწებად (გაბაშვილი 1958: 380). XVII საუკუნის ირანის სამოხელეო ტიტულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვანვდის „დასთურ აღ-მულუქი“ და „თაბქირათ აღ-მულუქი“. ამ დოკუმენტების თანახმად პროვინციის მმართველი ვალიები, ბეგლარბეგები, ხანები და სულთნები „დიდამირებად“ იწოდებიან (სურგულაძე 1990: 75-82; მინორსკი 1943: 25, 27-28).

ქართველების მიმართ უსასტიკესი დამოკიდებულების მიუხედავად, შაჰ აბას I-ს თბილისის მოსახლეობის გამუსლიმების ძალისმიერი მეთოდებისთვის არ მიუშვართავს. იგი ხვდებოდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების გამუსლიმების შემთხვევაშიც კი ვერ მიაღწევდა სასურველ მიზანს. ისინი ირანისთვის მუდმივად არასანდონი იქნებოდნენ. შაჰის გეგმები გაცილებით ფართომასშტაბიანი იყო. იგი აღმოსავლეთ საქართველოს თურქმანიზაციას გულისხმობდა. რაც საბოლოოდ, სეფიანმა შაჰებმა ქართველების მხრიდან უკომპრომისო წინააღმდეგობის გამო, ვერ განახორციელეს.

XVII ს. 30-იანი წლებიდან ირანი აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ „კომპრომისის“ გზას დაადგა. „გურჯისტანის ვალის“ ტიტულითა და გამუსლიმების პირობით ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა. სეფიანებმა დიპლომატიური ლავირების მეთოდს მიმართეს, რამაც გაცილებით დიდი ეფექტი იქონია (ჯამბურია 1973: 312).

1632 წ. ირანის შაჰმა სეფი I-მა ქაიხოსრო ბაგრატიონს ვალის ტიტული უბოძა და ქართლის სამართავად გამოგზავნა. ეს იგივე როსტომ-ხანია. ქართულ ისტორიულ საბუთებში როსტომი საკუთარ თავს მეფეთ-მეფეს უწოდებს, ხოლო ირანის შაჰის ოფიციალურ საბუთებში კი იგი ირანის მოხელე – ვალია. სეფიანი შაჰები ქართლს საკუთარ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად მიიჩნევენ.

როსტომი ნიჭიერი დიპლომატი იყო და ქართლში თავისი მოღვაწეობის მანძილზე ირანის ერთგულ მოხელედ რჩებოდა, თუმცა ასევე შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდა თავისი ქვეყნის ინტერესებსაც.

1633 წ. ქართლში შემოსვლისთანავე როსტომის ბრძანებით ქართლის იმდროინდელ პოლიტიკურ ცენტრში – გორში, სადაც იგი ირანელთა ლაშქრით გაჩერდა, ყველა ქართული და სომხური ეკლესია დაკეტეს (ტაბაღა 1986: 251). როსტომ-ხანის ეს ნაბიჯი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ქართველი ერის პატრიოტიზმის თავისებურების არცოდნით, როგორც ამას პროფ. კ. კუცია მიიჩნევს (კუცია 2001: 274). შაჰის კარზე მოღვაწე როსტომს აუცილებლად უნდა სცოდნოდა ქართველთა დამოკიდებულება საკუთარი სარწმუნოების მიმართ და ის, თუ რა როლი ენიჭებოდა მართლმადიდებლობას ქართველების ეროვნულობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხში. გორის ეკლესიებში ღვთისმსახურების აკრძალვა იყო დროებითი ღონისძიება, რომელიც როსტომს სიუზერენის თვალში ერთგულების დამამტკიცებელ საბუთად უნდა გამოეყენებინა და ქართლში ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლად გამოეცხადებინა თავი. გარდა ამისა, როსტომი ცდილობდა მისი მმართველობის მოწინააღმდეგეთათვის საკუთარი ძალისა და უფლებების დემონსტრირებას.

გორის სომხურ ეკლესიას როსტომმა მალევე დაუბრუნა პირვანდელი პირობები. ამის დასტურია სომხეთში, მატენადარანის საარქივო განყოფილების კათოლიკოსის ფონდში დაცული საბუთი (№ 252, საბუთი 2) და 1633 წლის 3-31 დეკემბრით დათარიღებული ქართულ-სპარსული საბუთი. როსტომის მიერ გაცემული „სითარხნის წყალობის წიგნით“ გორის სომხური ეკლესია ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფლდებოდა, ისე, როგორც ეს სვიმონ II-ის დროიდან ჰქონდათ მინიჭებული (ფუთურიძე 1955: 102-104). ფაქტობრივად, საქმე გვაქვს სტანდარტულ მოვლენასთან, როსტომმა გამოიყენა თავისი ლეგიტიმური უფლება, რომლის მიხედვითაც ახალი მბრძანებლის დანიშვნის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო საკუთრების (და სხვა ნებისმიერი სახის) საბუთის განახლება – ხელმოწერა გაცემა-დამტკიცება მოქმედი მმართველის მიერ.

როსტომმა ქართული ეკლესიის „დამორჩილება“ იმით დაიწყო, რომ სასტიკად გაუსწორდა ქართლში მისი მეფობის მოწინააღმდეგე სასულიერო პირებს. მან ქართლის კათოლიკოსი – ევდემოზ დიასამიძე შეიპყრო და თბილისის ციხეში გამოკეტა. მოგვიანებით კი განჯის კარის კოშკიდან გადმოაგდებინა. მის ადგილზე კი თავისი მომხრე ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი (ამილახორი) დასვა (ყაუხჩიშვილი 1973: 442). ხოლო შემდეგ, როსტომი თავისი მმართველობისას, მიუხედავად იმისა, რომ როსტომ-ხანი იყო „მორჩილი ყაენისა



და მოყუარე სკულისა მაჰმადისასა“, არა თუ ავინრობდა ქრისტიანობას, არამედ ახდენდა დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას, როსტომ-ხანი ქრისტიან ღვთისმსახურებს „თავმდაბლად და ტკბილად ექცეოდა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 424-425). ჭამაგირის დანიშვნით ცდილობდა გაეუმჯობესებინა სამღვდელთების მატერიალური მდგომარეობა (ცინცაძე 1965: 72). შესაძლოა ამას გულისხმობდა ბერი ეგნატაშვილი, როდესაც როსტომის შესახებ წერდა, რომ მან „მცირედითა მისაცემითა დაიერთგულნა და შემოიყარნა... რამეთუ მაშინ იყვნენ ქართველნი გულწრფელნი და გამოუცდელნი ყიზილბაშის ხერხისა და ტყუილისაგან“ (ყაუხჩიშვილი 1959: 418). ისტორიკოსი გამოხატავს ქართული საზოგადოების აზრს, რომელიც როსტომს მისი დაბადების ადგილის, ალზრდისა და სარწმუნოების გამო, არა ქართველად, არამედ ყიზილბაშად აღიქვამდა. ერთი რამ ცხადია, რომ როსტომი ქრისტიანული სამღვდელთებისადმი კეთილგანწყობითა და გულუხვობით მათში პროირანულ განწყობას წერგავდა.

როსტომ მეფისადმი ქართული საისტორიო ძეგლების დამოკიდებულება, როგორც მუსლიმისადმი (და არა როგორც გამუსლიმებულისადმი!) ძალზედ კრიტიკულია. რა თქმა უნდა, ქართველებისათვის არაქრისტიანი ბაგრატიონის ყოფნა სამეფო ტახტზე უცხო არ იყო, მაგრამ როსტომამდე (და მას შემდეგაც) ისინი ტრადიციულად ალზრდილნი იყვნენ ქრისტიანულად, მათ მხოლოდ შემდეგ უხდებოდათ ისლამის ფორმალური აღიარება, რაც არ იწვევდა მათში ქართული მენტალიტეტისა და თვითშეგნების ტრანსფორმაციას. ეს ყოველივე კარგად ჰქონდა გააზრებული ქართულ საზოგადოებას. როსტომ-ხანი კი ირანში დაბადებული, თავიდანვე მუსლიმურად მონათლული და სპარსული ალზრდა-განათლების მქონე პიროვნება იყო. ეს კი საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული მანკიერებანი ყოველივე როსტომის შემოტანილ-დანერვილად მიეჩნიათ. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, როსტომის მიერ ყიზილბაშური სტილით აგებულ სასახლეში ფეხმოკიდებული ყოფილა „სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 424). ამავე დროს ისტორიკოსი ვერ უარყოფს როსტომის დიპლომატიურ ნიჭსა და გამჭრიახობას: „ესე როსტომ მეფე იყო კაცი ჴერჯიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 418). ვახუშტი ბატონიშვილი როსტომს შემდეგნაირად ახასიათებს – „საქმით ხუანჯიანი სოფლის, ფრიად ჭკუიანი, მორჭმულ-მდიდარი“ (ყაუხჩიშვილი 1973: 438).

როსტომი დიპლომატიურად ლავირებდა. მისი საქციელი არც ირანის შაჰის ეჭვს იწვევდა და თან ქართველთა გულის მოგებასაც ცდილობდა. მან ქართლის ცენტრალურ სამოხელეო აპარატში ყიზილბაშური თანამდებობები შემოიტანა და ამავე დროს ქართული სახელოები უცვლელად დატოვა (მსახურთუხუცესი – ყორჩიბაში, მონათუხუცესი – ყულარალასი, მესტუმრეთუხუცესი – მეჰმანდარი, ასისტავი – უბაში, მსაჯულთუხუცესი – მდივანბეგი, მწერალი – მუშირი და ა.შ.). ეს იყო მუსლიმურ-ირანულ მმართველობაზე გადასვლის პირველი ეტაპი, რომელსაც დროთა განმავლობაში უმტკივნეულოდ უნდა მოეხდინა ქართული სამოხელეო სისტემის სრული ჩანაცვლება. გულუბრყვილოდ გვეჩვენება ამ პროცესის მიმართ ქართველი მემკვიდრის შეფასება, რომელიც წერს, რომ როსტომი: „იყო წესა ზედა ყიზილბაშისასა და გაარიგა რიგი სახლისა თვისისა ყიზილბაშურად და განანესა მოხელენი და გამრიგენი თათარნი, და არცა მოშალა ქართველი მოხელე, და იქცეოდა დიდებულად“ (ყაუხჩიშვილი 1973: 418).

როსტომ-ხანის მმართველობის დროს ქართლში დიდი გარცელება ჰპოვა ცხოვრების მუსლიმურ-სპარსულმა წესმა, სამაგიეროდ, „ინყო ქართლისა წესმან და რიგმან გარდაცვალება“ (ყაუხჩიშვილი 1959: 424). ყიზილბაშურმა წესებმა განსაკუთრებით ფეოდალური საზოგადოების მაღალ ფენაში მოიკიდა ფეხი. მეფის მიბაძვით გასპარსულდა სმა-ჭამა და ჩაცმა. ამავე დროიდან თბილისში ინტენსიურად იწყება აღმოსავლურ-სპარსული სტილის შენობების აგება. ოდნავ მოგვიანებით, XVII-XVIII სს. მიჯნაზე ფრანგი მოგზაური ტურნეფორი აღნიშნავდა, რომ თბილისში შენობებს ირანული ელფერი დაჰკრავს (მგალობლიშვილი 1988: 16), მართლაც, გვიან შუა საუკუნეებში ქართულ არქიტექტურაში აღმოსავლური გავლენა ცხადად შეიმჩნევა (ჩუბინაშვილი, სეროვი 1946: 134).

როსტომის დროს ქართლში ქრისტიანობა ოფიციალურად არ იკრძალებოდა და არც იდევენებოდა. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „როსტომმა სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არც შეხებია... არც ქრისტიანობა განიცდიდა აშკარა დევნას“ (ბერძენიშვილი და სხვები 1950: 348).<sup>3</sup>

მაგრამ თავად მეფის მუსლიმობა სხვა ფაქტორებთან ერთად უბიძგებდა ფეოდალურ არისტოკრაციას და თბილისის მოსახლეობის ზედა ფენის გარკვეულ ნაწილს (მსხვილი ფეოდალები, დიდვაჭრები) მეფისთვის მიეებაძათ და ისლამი ელიარებინათ (კუცია 2001: 373). გამუსლიმებულ ქართველებს როსტომის წინაშე ქრისტიანებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ. ქრისტიანებს ის „არას პატივისცემდა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 424), როგორც ჩანს, გამუსლიმება სამეფო კარზე დანიშნულების და მეფის კეთილგანწყობის მოპოვებისათვის აუცილებელი პირობა იყო. აღნიშნული ტენდენციიდან გამომდინარე თბილისში „განძლიერდნენ თათარნი (შიიტი მუსლიმები – ხ.ბ.) და კადნიერებდნენ ქართველთა ზედა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 424). ცხადია, ალზრდა-მენტალიტეტით მუსლიმი მეფის ყოფნა ქართლში ისლამს მეტ პრესტიჟს სძენდა.

თავისი რელიგიური პოლიტიკიდან გამომდინარე, როსტომ მეფე ცდილობდა ორივე სარწმუნოებისათვის

პატივი მიეგო და ერთმანეთთან ისე შეეხამებინა ქართული და ყიზილბაშური ტრადიციები, რომ არც ერთისათვის ჩრდილი არ მიეყენებინა. მაგალითად მისი ქორწინება მოხდა, როგორც მუსლიმურად (ყურანზე), ისე ქრისტიანულად (ყაუხჩიშვილი 1973: 439). დონ პიეტრო ავიტაბილე 1636 წლის 14 აპრილის მოხსენებაში წერდა, რომ როსტომი არასოდეს დადიოდა ეკლესიაში და არც მარხვას ინახავდა. იგი მუსლიმებს უცხადებდა, რომ მუსლიმი იყო და თავისი ცოლის თანდასწრებით კი პირჯვარს იწერდა (გორგაძე 1977: 34). ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ როსტომი „მაჰმადიანია, მაგრამ დიდად ხელს უწყობს ქრისტიანებს, ამ მიზნით ხშირად შედის ავგუსტინელების ეკლესიაში წირვის მოსასმენად“ (გორგაძე 1977: 57).

როსტომი, ერთი მხრივ, თუ დანგრეულ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს აღადგენდა, მეორე მხრივ მეჩეთებს აგებდა. მის მიერ თბილისში სამი მეჩეთი აიგო. ვახუშტის ცნობით როსტომ-ხანს მეჩეთები აუშენებია: „ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა ერთი და განჯის კართან ერთი“ (ჯანაშვილი 1895: 88). ერთი მეჩეთიც მანამდე არსებობდა. თბილისში არსებული ოთხივე მეჩეთი შიიტური იყო. სამი მეჩეთის აგება გამოწვეული იყო არა იმდენად ქართველთა შორის ისლამის გავრცელებით, არამედ შემდეგი გარემოებით – თბილისში როსტომმა თან ჩამოიყვანა და დაასახლა სეიდების ტომი. მათი განსახლების არეს სეიდაბადი (სეიდების სამოსახლო) ეწოდა. აგრეთვე ირანიდან ჩამოიყვანა იქ მცხოვრები და გამუსლიმებული ქართველობაც, ანუ თბილისში შიიტური მოსახლეობის ახალი ნაკადი შემოდის. XVII ს. შაიტახტის მიდამოებში თანდათან უნდა გაჩენილიყო „თათრული ქალაქი“ (გაბაშვილი 1962: 262). სახელი მიანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე მუსლიმთა კომპაქტური დასახლება იყო. როსტომ-ხანის მმართველობისას ფარსადან გორგიჯანიძის მიერ ქართულ ენაზე ითარგმნა ყურანი (კარიჭაშვილი 1894: 50). ყოველივე ამის გამო, როსტომის მიმართ გამოთქმული ყველაზე მძიმე ბრალდება ის იყო, რომ მას ქართლის გათათრების მცდელობას აბრალებდნენ (ყაუხჩიშვილი 1959: 418). სეიდებიც და გამუსლიმებული ქართველობაც როსტომ-ხანის პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენდა (ბერიძე 1977: 75).

ქართულ საქმისწარმოებაში შიიტური ისლამის გავლენის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა როსტომის მიერ გაცემული საბუთები, რომლებშიც ნათლად ჩანს, როგორ და რა სახით შემოდიხ ქართულ საქმისწარმოებაში სპარსული დიპლომატიკური კლავუზები და მუსლიმურ-შიიტური ფორმულები. როსტომის მეფის დროს ქართული სამეფო კარის დივანის ირანულ მოხელეთა მთელი შტატი ჩანს. როსტომის რელიგიური პოლიტიკის დეტალების გამოსაკვეთად ძალზე საინტერესოა მისი გუმბათიანი ქართული ბეჭედი, რომლის ლეგენდა 1633 წლიდან იყო: „ქ. ყაენის ფეჟთა მტუერი როსტომ მეფე ვამტკიცებ“, ხოლო 1637 წლის მამულის წყალობის წიგნში, იმავე ბეჭდის თაღში, რომელიც მანამდე ცარიელი იყო, ქანწილის თავზე ჩნდება სიტყვა – الله – ალლაჰი. და ბეჭდის ლეგენდა ხდება „ალლაჰ, ქ. ყაენის ფეჟთა მტუერი როსტომ მეფე ვამტკიცებ: (ფუთურიძე 1955: 139-141). ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ როსტომმა ქართლში გაცილებით უსაფრთხოდ და მყარად იგრძნო თავი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიტანა ქართულ ბეჭედზე სიტყვა „ალლაჰი“. მისი გამოსახვა ქანწილის ზემოთ და ბეჭდის თაღის ქვეშ (რაც ცის თაღის სიმბოლოა) ალაჰის უზენაესობისა და უპირატესობის ხაზგასმაა.

როსტომის მიერ 1633 წლის 21 აპრილით დათარიღებული მამულის წყალობის წიგნის (ფუთურიძე 1955: 94-96), სადაც სპარსული ტექსტის ინვოკაცია: لا اله الا الله و محمد رسول و اعلى – „ალლაჰი, მოციქული მუჰამადი და ალი“. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის შიიტური ინვოკაციო ქართულ-სპარსულ ისტორიულ საბუთებზე იშვიათობას წარმოადგენს და იგი სეფიანთა იდეოლოგიის სიმბოლოა.

საინტერესოა და საგულისხმოა ის ფაქტი, რომ როსტომის დროს ქართლში ანტიქრისტიანული და ანტიმუსლიმური პოლემიკური ჟანრის თხზულება არ შექმნილა. ან ამ ეტაპზე გამოვლენილი არაა.

როგორც ვხედავთ, როსტომ-ხანის მმართველობის ძირითადი მახასიათებელი თბილისში შიიზმის გავრცელება და პოპულარიზაცია იყო. მანამდე რაც ვერ შეძლეს სეფიანებმა მახვილით, ის განახორციელეს მუსლიმურ ტრადიციებზე აღზრდილი ხოსრო-მირზას ქართლის ვალად დანიშვნით. ქართულ არისტოკრატიას გამუსლიმებისავთის ძალდატანება აღარ სჭირდებოდა, რადგან მათ ისლამის მიღებისაკენ როსტომის მიერ შექმნილი ვითარება უბიძგებდათ. მომდევნო პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებით, ეხება რა, ვახუშტი ბატონიშვილი შაჰნავაზ-ხანის (ვახტანგ V – 1658-1675) საეკლესიო ღონისძიებებს აღნიშნავს, რომ ვახტანგის მიზანი იყო, რათა „როსტომის განრყუნილნი მოეგო კუალსავე თვსსა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 454).

ამდენად, XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში (როსტომის გარდაცვალებამდე) თბილისში შიიტური ისლამის გავრცელების ორი ეტაპი შეიძლება გამოიყოს: პირველი ესაა ძალისმიერი მეთოდით მოსახლეობის მასობრივი გამუსლიმება და მათში ჯაფარიტული მარჯაბის გავრცელების მცდელობა და მეორე, რომელიც მოიცავს XVII ს. 30-50-იან წლებს, როდესაც ისლამის ფართო გავრცელება ხდება და იგი ფეხს იკიდებს მაღალ ფეოდალურ საზოგადოებაში (მამაკაცთა შორის), თუმცა შიიტური ისლამის გავლენა გამოწვეული იყო პოლიტიკური დომინაციით, იგი დროებით ხასიათს ატარებდა და არ ცვლიდა ქართული მოსახლეობის რელიგიურ სურათს.



## შენიშვნები

- <sup>1</sup> ქართულ წყაროთა შორის შაჰ-ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობის შესახებ ერთნაირი მონაცემები არ მოგვეპოვება. ბერი ეგნატაშვილი ამ მოვლენას 1524 წლით, ვახუშტი ბატონიშვილი კი 1522 წლით ათარიღებს. მეცნიერთა ერთი ნაწილი აღნიშნული ლაშქრობის თარიღად 1518 წელს მიიჩნევს, ხოლო პროფ. დ. კაციტაძე ეყრდნობა რა ბუდაყ ყაზვინის, ხონდემირის, ზეინალ აბდინ ალის, ჰასან რუმლუს ცნობებს, ასკვნის, რომ შაჰ ისმაილ I-ის პირადად არ ულაშქრია საქართველოში. იგი მხოლოდ ნახჩევანამდე მივიდა და იქიდან დივ-სულთან რუმლუ გამოაგზავნა მარბიელი თარეშით. მეცნიერი ითვალისწინებს რა სპარსულენოვან წყაროთა ცნობებს, საქართველოში დივ-სულთანის ლაშქრობის თარიღად 1520-21 წლებს მიიჩნევს (კაციტაძე 1964: 385-395).
- <sup>2</sup> თბილისში შიიტური მეჩეთის აგებას პროფ. დ. კაციტაძე მოგვიანო ხანის (როსტომ-ხანის მმართველობა) მოვლენად მიიჩნევს (კაციტაძე 1964: 392).
- <sup>3</sup> ამ მოსაზრებას იზიარებს პროფ. ვ. გაბაშვილიც (გაბაშვილი 1958: 366-374).

## დამონებანი

- აბაშიძე 1974:** თ. აბაშიძე, ორენოვანი საბუთების სპარსული ნაწილების დიპლომატიკური თავისებურებანი, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, თბილისი.
- ბაინდურაშვილი 2005:** ხ. ბაინდურაშვილი, შიიზმი თბილისში (VII-XVIII სს.), ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, IX, თბილისი.
- ბერიძე 1977:** თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორი, თბილისი.
- ბერიძე 2002:** თ. ბერიძე, მეჩეთი, შიიტების. ენციკლოპედია თბილისი.
- ბერძენიშვილი და სხვები 1948:** ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი.
- გაბაშვილი 1955:** ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი.
- გაბაშვილი 1958:** ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება (XVI-XVII საუკუნეებში), თბილისი.
- გაბაშვილი 1962:** ვ. გაბაშვილი, თბილისი XVI-XVIII სს-ის აღმოსავლურ წყაროებში, თსუ. შრომები, ტ. 99, თბილისი.
- გორგაძე 1977:** დონ პიეტრო ავიტაბილეს „ცნობები საქართველოზე“, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გორგაძისა, თბილისი.
- გუჩუა 1973:** ვ. გუჩუა, ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყება, საქართველო XVI საუკუნის 50-70-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი.
- გუჩუა, სვანიძე 1973:** ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყება, ქართლის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ სიმონ I-ის მეთაურობით, სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ., IV, თბილისი.
- დუნდუა 1984:** ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები, (XVI-XVIII სს.), ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნუგზარ დუნდუამ, თბილისი.
- კაკაბაძე 1926:** ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფილისი.
- კარიჭაშვილი 1894:** დ. კარიჭაშვილი, როსტომ მეფე, ტფილისი.
- კაციტაძე 1962:** დ. კაციტაძე, საქართველოს ისტორიის ქართული დოკუმენტური წყაროები, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბილისი.
- კაციტაძე 1964:** დ. კაციტაძე, ირან-საქართველოსურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, №108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, თბილისი.
- კუცია 2001:** კ. კუცია, სეფიანთა ირანის და აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობის რელიგიური ასპექტი, კრებ. Dedicatio, თბილისი.
- მგალობლიშვილი 1988:** პ. ჯ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი.
- მესტიევი 2014:** Р. Мехтиев, Шах Исмаил Сефевии, портрет правителя и воина, ч. I, Баку.
- მინორსკი 1943:** Tadhkirat al-muluk, A Manual of Safavid Administration, Persian text in facsimile, translated and explained by V. Minorsky, London.
- სავორი 2007:** R. M. Savory. Iran under the Safavids, Cambridge, Cambridge University Press.
- სურგულაძე 1990:** სურგულაძე, სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბილისი.
- ტაბაღუა 1986:** დონ ჯუსტო პრასტოს წერილი გაგზავნილი გორიდან რომში 1633 წ. 16 ოქტომბერს, ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბილისი.
- ფუთურიძე 1955:** ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი.
- ფუთურიძე 1969:** ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბილისი.

**ყაუხჩიშვილი 1959:** ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

**ყაუხჩიშვილი 1973:** ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

**ჩუბინაშვილი, სეროვი 1946:** Г.Н. Чубинашвили, И.П. Серов, Пути грузинской архитектуры, Тбилиси.

**ცინცაძე 1965:** ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (XVII ს. რუსული მასალები საქართველოს ისტორიისათვის), თბილისი.

**ჯამბურია 1973:** გ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი.

**ჯანაშვილი 1895:** ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, წიგნი II, მოსე ჯანაშვილის გამოცემა, ტფილისი.

**ჯაფარიძე 1999:** გ. ჯაფარიძე, ჯიჰადი, ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი.

## THE RELIGIOUS POLITICS OF IRAN TOWARDS THE EASTERN GEORGIA AND SHIA ISLAM IN TBILISI IN THE 16<sup>TH</sup>-17<sup>TH</sup> CENTURIES

Khatuna Baidurashvili

The Politics of Safavid Iran was always aggressive toward Georgian political units. Until the 1520s of the Iran was concerned about strengthening its political status in eastern Georgia, but later on the relationship between Georgians and Kizilbashes was determined by the principles of Jihad. From the first Safavid Shah, Iran has sought to spread Shia Islam in Eastern Georgia, leading to a pre-military intervention.

The purpose of our research is to study the religious policy of Iran toward Eastern Georgia in the 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> century; The political and ideological factors and the dynamics of dissemination of Shia Islam in Tbilisi.

The religious and administrative policies of Safavid Iran were closely linked to each other. Safavid Shahs were planning to annihilate Georgian statehood by disseminating of Islam and turn it into an Iranian province. Georgian King Rostom (1632-1658) collaborated with Safavids and religious policy of Safavids and Rostom's governance in Kartli led to the recognition of Islam by the Georgian nobles, building mosques and spreading Persian-Muslim rules of life in Tbilisi.

Georgian-Persian bilingual historical documents from the period of King Rostom represent worth noting materials for the present investigation. They reflect merge of Georgian-Christian and Muslim diplomatic regulations.

## საქართველოს შავიზღვისპირეთის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი (II-VIII საუკუნეები)

პაპუნა გაბისონია

II საუკუნის საქართველოს შავიზღვისპირეთის წარსულის შესახებ საისტორიო ცნობების მნიშვნელობით, ყველაზე დიდ ნდობას იმსახურებს ფლავიუს არიანეს „პერიპლუსი“, იგივე შავი ზღვის სანაპიროების აღწერა. არიანემ, როგორც რომაელმა მოხელემ 131 წელს საინსპექციო შემოვლა განახორციელა შავი ზღვის სამხრეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროებზე დისლოცირებულ რომაულ გარნიზონებში და ამ სანაპიროების აღწერილობა დაგვიტოვა, რომელიც ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავს იმ დროის ეთნიკური ვითარების შესწავლის თვალსაზრისით. არიანე აღწერს:

ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მალასაა. ლაზების მეზობლები აფსილები (Αψιλοι) არიან. მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები (Αβασκοι) არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, მასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები (Σανιγαι) არიან. მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფე სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი (კეჭალმაძე 1961: 42-43).

შემდეგ ფლავიუს არიანე შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლის აღწერას იწყებს:

დიოსკურიიდან რომ მიდისარ, პირველი სადგურია პიტუნტში, სამასორმოცდაათი სტადიონის მანძილზე. აქედან ნიტეკემდე ასორმოცდაათი სტადიონია... ხოლო ნიტეკედან მდინარე აბასკოსამდე ოთხმოცდაათი სტადიონია. ბორჯისი აბასკოსს დაშორებულია ასოცი სტადიონით. ნესისი ბორჯისს სამოცი სტადიონით... ნესისიდან მასაიტეკემდე ოთხმოცდაათი სტადიონია. აქედან მდინარე აქუნტამდე სამოცი. ეს მდინარე ჰყოფს ძილქებსა და სანიგებს. ძილქების მეფე სტაქემფაკია... აქუნტიდან ჰერაკლეს კონცხამდე ასორმოცდაათი სტადიონია. აქედან ასოთხმოცი სტადიონია ბორცვამდე, რომელიც იცავს (მოგზაურს) თრასკიული ქარისაგან და ბორეასაგან. აქედან ძველ ლაზიკედ წოდებულ ადგილამდე ასოცი სტადიონია (კეჭალმაძე 1961: 52-53).

V საუკუნის ბერძნულენოვანი ანონიმი ავტორი, რომელიც უშუალოდ არიანეს ნაშრომს იმეორებს, შიგადაშიგ ორიგინალურ საინტერსო ცნობებსაც გვანვდის:

პიტუნტიდან სტენიტეკის მხარემდე (ძველად ტრიგლიტედ რომ იწოდებოდა) ასორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი... სტენიტეკიდან მდინარე აბასკადე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილი. მდინარე აბასკამდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილი. მდინარე აბასკიდან მდინარე ბრუქონტამდე (ახლა მიძიგი რომ ჰქვია) ასოცი სტადიონია, თექვსმეტი მილი. ბრუქონტიდან მდინარე ნესისამდე, რომელშიაც ჰერაკლეს კონცხიც გვაქვს (პიქსტედ წოდებული), სამოცი სტადიონია, რვა მილი. მდინარე ნესისიდან მდინარე მასაიტეკემდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილი. მდინარე მასაიტეკიდან აქუნტამდე (სანაოსნო მდინარემდე) სამოცი სტადიონია, რვა მილი. ეს მდინარე აქუნტი (იწოდება ბასისად და) ძიქებსა და სანიხებს შუა არის... (კეჭალმაძე 1961: 92).

ფლავიუს არიანეს თხზულების ქართულად გამომცემელი ნ. კეჭალმაძე შესავალშივე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ ავტორის მანძილები სტადიონებში (1 სტადიონი დაახლოებით 180 მეტრი) ხშირ შემთხვევაში სიზუსტით არ გამოირჩევა და მიახლოებით რიცხვებს გვთავაზობს. ის ხშირად ასახელებს 90, 150 და 180 რიცხვებს (კეჭალმაძე 1961: 23-24).

ჩვენი დაინტერესება გამოიწვია არიანესთან და ანონიმთან დასახელებულმა ტოპონიმებმა, რომელიც პიტუნტ//ბიჭვინთის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობდა. პირველი ასეთი პუნქტია ნიტეკე (Νιτικη), რომელსაც ანონიმი ავტორი სტენიტეკეს (Στενιτικη) და ტრიგლიტეს (Τριγλιτη) უწოდებს. როგორც ცნობილია, ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორები ძირითადად მშობლიურ ენაზე გადმოცემდნენ უცხო ტერიტორიების სახელწოდებებს. ამიტომ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ძველი ბერძნული ამ ტოპონიმების ასახსნელად. აღმოჩნდა, რომ ძველბერძნული სიტყვა „στενι“ მიწის ვიწრო ზოლს, ვიწრო გასასვლელს აღნიშნავს (დვორეცკი 1958: 1502). თუ არიანე და ანონიმის მანძილებს მიახლოებით შევუფარდებთ, ეს ადგილი დღევანდელი ძველი გაგრის ტერიტორიას ემთხვევა. თუმცა უფრო საინტერესოა ანონიმთან დასახელებული მეორე სახელწოდება „ტრიგლიტე“. „ტრიგლა“ თევზის სახეობაა, რომელსაც ზღვის მერცხალს ეძახიან (დვორეცკი 1958: 1644). ეს თევზი იგივე ზღვის მამალია, რომელიც შავ ზღვაზეც გვხვდება, ძირითადად სანაპიროსთან ახლოს და მას დიდი სარეწაო მნიშვნელობა ჰქონდა. დღეისთვის მისი პოპულაცია შემცირებულია. ეს არ არის გამონაკლისი შემთხვევა.

საინტერესოა სტრაბონთან მოხსენიებული ლაზებით დასახლებულ სოფელ კორდულას ეტიმოლოგია, რომელიც ათინასთან ახლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარეობდა. სტრაბონის მიხედვით, სოფელს და მის მცირე ნავსადგურს სახელი თევზის სახელწოდების მიხედვით შეერქვა (ყაუხჩიშვილი 1957: 205).

ეს დასახლება მოხსენიებული აქვს პლინიუს უფროსს „ნავსადგურ კორდულას“ სახელით (ლატინური 1904: 178). კორდილას ვხვდებით კლავდიოს პტოლემეაიოსის (ლომონური 1955: 42) V საუკუნის ანონიმი ავტორის ნაშრომებში (ყაუხჩიშვილი 1965: 17). კორდილა ერთ ქართულ ხელნაწერშიც არის ნახსენები (ყაუხჩიშვილი 1952: 414-415). ეს ძველი ნავსადგური რიზესა და ათინას შორის მდებარეობდა და ათინადან დაახლოებით 6-7 კილომეტრით იყო დაშორებული (ლომონური 1955: 51). ძველი კორდილას მდებარეობა დღევანდელ თურქეთში სივრი კალეს დასახლებას ემთხვევა (ბრაიერი, ვინფილდი 1985: 334), რომელსაც უფრო ადრე კალეჯუკი ერქვა (სიხარულიძე 1979: 20). სტრაბონის ცნობა სარწმუნო უნდა იყოს, რადგან კორდილა თევზის ჯიშ სტავრიდის ერთ-ერთი სახეობა აღმოჩნდა (შატუნოვსკი და სხვები 1988: 257), რომელიც შავ ზღვაზე დღემდე სარეწაო მნიშვნელობას ინარჩუნებს. კორდულა//კორდილასთან ასოციაციას იწვევს: მომცრო სპილენძის ქვაბი, რომელსაც გურია-სამეგრელოში კარდილას ეძახიან. სამეგრელოში მას მეორენაირად ქანური ჰქვია. შესაძლებელია ქანურ//ლაზური სოფლის სახელი დასავლეთ საქართველოში აგრერიგად საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთმა საუკუნეთა განმავლობაში შემოგვინახა.

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია და სტენიტიკე ანუ მინის ვინრო ზოლი, იგივე ვინრო გასასვლელი გაგრის მიდამოებს ემთხვევა, მაშინ თვითონ სახელწოდება გაგრის წარმომავლობას შესაძლებელია სხვა კუთხითაც შევხედოთ. ზოგიერთი ისტორიკოსი გაგრას ეტიმოლოგიას სვანურ სიტყვა „გაკრას“ უკავშირებს, რაც ნიგვზნარს ნიშნავს (მიბჩუანი 1989: 15-16). ამგვარ მტკიცებულებას მყარი დასაბუთება არ გააჩნია. ამ მოსაზრებას საფუძველი დაუდო პტოლემეაიოსთან მოხსენიებულმა, „Σοισαυκιστοι“ ტომმა, რომელიც მიიჩნის არარსებულ სვანო-კოლხურ ტომად. განმარტებაში ნ. ლომონური პირდაპირ წერს, რომ სხვა საისტორიო წყაროებისათვის ამ სახელის ტომი უცნობია და ავტორი ქანურ-მეგრულ შტოს უნდა ეკუთვნოდესო (ლომონური 1955: 44, 55). ჩვენი აზრით, პტოლემეაიოსთან დაცული ამ ტომის სახელი უნდა წავიკითხოთ როგორც „სანო-კოლხები“, რაც იგივე ქან-კოლხებია. შედარებისთვის, პლინიუსს დასახელებული აქვს „სან-ჰენიოხები“ (ქან-ჰენიოხები). უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, სახელწოდება გაგრა მეგრულ-ქანური სიტყვა „გაგარისთვის“ დაგვეკავშირებინა, რაც მთაზე გადასასვლელს ნიშნავს (ქობალია 2010: 72). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ხობის მონასტერში დაცული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს სამეგრელოს ერისთავთერისთავ ვამეყ დადიანის ლაშქრობას ჯიქების წინააღმდეგ, სადაც მან „... უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღალნი“ (თაყაიშვილი 1913/1914: 132-133). თ. ბერაძის გამოკვლევით, „გაგარი“ და „უღალი“ ამ წარწერაში არა კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტების, არამედ ზოგადი მნიშვნელობით არის ნახმარი. „უღალი“ ძველ ქართულში „ძნელად სავალს“ ნიშნავს, ხოლო „გაგარი“ გასასვლელს და გაგებულ უნდა იყოს, როგორც ადვილად სავალი, მისადგომი (ბერაძე 1973: 122-123). შეიძლება ამიტომაც არის ოსმალურ საისტორიო დოკუმენტში გაგრა მოხსენიებული როგორც „კალარ დერბენტი“ ანუ გაგრის გასასვლელი.

ფლავიუს არიანე და ანონიმი ავტორი გაგრის ჩრდილო-დასავლეთით ასახელებენ მდინარე აბასკოს (Αβασκο), რაც შეიძლება გავიზაროთ როგორც აბაზგების მდინარე. ისტორიოგრაფიაში აბაზგების ეთნიკური კუთვნილების საკითხი დღემდე საკამათო თემაა და ამ საკითხს აქ არ შევხებით. მაგრამ საინტერესოა ერთი მომენტი. თუ ჩავთვლით, რომ არიანესთან ნახსენები მდინარე ბორგისი და ანონიმი ავტორის ბრუქონტი, იგივე მიზიგი მდინარე მზიმთაა, მაშინ აბასკო მდინარე ფსოუს შეესაბამება. ფსოუს აფხაზური სახელწოდება ჯერ კიდევ 1930-იან წლებში იყო „ფსჰუ“, როგორც ეს საქართველოს საზოგადო რუკაზეა (1931-32 წწ.) დატანილი. ხოლო „ფსოუ“ ამ მდინარის აფხაზური სახელის რუსიფიცირებული ვარიანტია, რომელიც დღემდე გამოიყენება. ასეთივე შემთხვევა გვაქვს მაღალმთიანი აფხაზური თემის, ფსხუს შემთხვევაშიც, რომელიც ასევე ფსჰუა.

საფიქრებელია, რომ როგორც თავის დროზე ვახუშტი ბატონიშვილი ფიქრობდა, ტერმინი აბაზა//აბასა წმინდა ბერძნული წარმოშობისაა და მას კავშირი აფსუა ან აფხაზთან არ უნდა ჰქონდეს:

... ხოლო ანაკოფიის დასავლეთ არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაითგან წილი ეგროსისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე. არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი (ყაუხჩიშვილი 1973: 783-784).

ვახუშტის ეს საყურადღებო მოსაზრება ძალზე საინტერესოა. მართლაც, ძველ ბერძნულში „აბას“ დასაწყისით მრავალი სიტყვა გვხვდება: α-βασαυστα – გამოუკვლეველი, α-βασαυστα – გამოცდის გარეშე, αβασα – არაფერი იცოდე, αβαστακτο – აუტანელი, αβατα – წმინდა ადგილი, α-βათო – გაუვალი, მიუვალი, βασის – სვლა, მოძრაობა (შედარებისთვის: აბაზგები, Αβασγία – აბაზგია). გასათვალისწინებელია ისიც, რომ არცერთი აბაზური ტომის თვითსახელწოდებაში არ გვხვდება აბაზა ტერმინი. ის მხოლოდ უცხო კრებითი სახელია. ვფიქრობთ, რომ იმავე ტენდენციასთან გვაქვს საქმე, როგორც ლაზების, სანიგების ან აფშილების სახელწოდებათა შემთხვევაშია, როცა ბერძენები თავიანთ ენაზე არქმევდნენ სახელებს უცხო ქვეყნის ტერიტორიებს თუ ტომებს.

მდინარე ფსჰუ სახელწოდება მიაგავს აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუას“. აქ გასათვალისწინებელია აფხაზური ენის თავისებურება, რომელიც წინ „ა“ მანარმოებელ თავსართს ირთავს (მაგ: აგრუა – მეგრელი, აქირთა – ქართველი).

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით აბაზგების საცხოვრებელი არეალი მდინარეების: ფსოუს//



მზიმთას და ბზიფის ზემო დინებას შორის არეალს მოიცავდა. უკვე V საუკუნისთვის აბაზგები ზღვისპირა ზოლში არიან ჩამოსული, სადაც მათ სანიგების ტერიტორიის ნაწილი დაიკავეს მდინარე აბასკოსა და ანაკოფიას შორის. აბასკოსი (ფსოუ), რომ სანიგებსა და აბაზგებს შორის სასაზღვრო მიჯნა იყო, ამას V ს-ის ანონიმი ავტორი ადასტურებს (კეჭაღმაძე 1961: 92). ხოლო აფშილებსა და აბაზგებს შორის სასაზღვრო პუნქტი ანაკოფია, იგივე „ტრაქეა“ (უხნორმასნორო, ქვიანი, კლდიანი ადგილი – პ.გ.) იყო, რაც პროკოფი კესარიელის ცნობის მიხედვით დასტურდება (ყახუჩიშვილი 1965: 158-159). ანაკოფია – „ტრაქეას“ იგივეობას გამორიცხავს დ. ლეთოდინი და მას გაგრასთან აიგივებს (ლეთოდინი 1991: 28). მკვლევართა უმრავლესობა „ტრაქეას“ ანაკოფიასთან აიგივებს. პროკოფისთან აღწერილი რელიეფი ამ პუნქტის ანაკოფიის, ანუ დღევანდელ ახალი ათონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას ემთხვევა.

V საუკუნის დასაწყისისათვის აბაზგები ჯერ კიდევ მთაში სახლობენ და სანაპირო ზოლი გუმისთა-ფსოუს შორის არ აქვთ დაკავებული. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, იოანე ოქროპირის „ცხოვრების“ ცნობა მისი ბიჭვინთაში გადასახლებასთან დაკავშირებით. ქართულ თარგმანში წერია: „მოიყვანის იოვანე პიტიონტად (ბიჭვინთა), ადგილსა ოხერსა ფრიად ტოტზანოსა შინა“ ბერძნულ ტექსტში გაურკვეველი „ტოტზანოს“ ნაცვლად გარკვევით არის მოცემული „To Tζαυαλ“ (აბულაძე 1944: 71) რაც ჭანეთს, ჭანების ქვეყანას ნიშნავს. თითქოს უცნაურია ბიჭვინთის ჭანეთში მიჩნევა, მაგრამ აქ იოანეს „ცხოვრების“ ბერძნული რედაქცია სანიგეთს მოიხაზრებს, რომელიც ძველ ბერძნულად იგივე ჭანების მიწაა. ამიტომ არის იპოლიტე რომაელთან და ევსტატი კესარიელთან სანები (ჭანები) და სანიგები იდენტური. II საუკუნეში, არიანეს დროს დიოსკურია//სებასტოპოლი სანიგების ტერიტორიაზე მდებარეობდა (კეჭაღმაძე 1961: 43), ხოლო V საუკუნეში ეს ქალაქი აფშილების საგამგეო ტერიტორიაზეა მოქცეული. ასე რომ, სავსებით მართალია V საუკუნის ანონიმი ავტორი, როცა გვამცნობს: „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის (მდ. ჭოროხი) წყლამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი“ (კეჭაღმაძე 1961: 88). ამ ავტორისთვის აფსილი და ლაზი იდენტურია, რის დამტკიცებასაც ჩვენ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ წინა გამოცემაში შევეცადეთ (გაბისონია 2017/2018: 34-43). პროკოპი კესარიელის მიხედვით, ამიტომაც არიან აფსილები ძველთაგანვე ქრისტიანები, ვიდრე აბაზგები, სადაც ევფრატამ მხოლოდ VI საუკუნეში იქადაგა ქრისტიანობა.

V-VII საუკუნეებისათვის აბაზგებსა და აფსილებს შორის საზღვარი ანაკოფიის (დღ. ახალი ათონი) ახლოს, მდინარე გუმისთასა და ფსირცხას მოქცეულ ტერიტორიაზე გადიოდა. ახალ ათონსა და სოხუმს შორის დაშორება 20 კილომეტრს შეადგენს. ამ ტერიტორიაზე საუბრობს პროკოპი კესარიელი:

აფსილის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილია: მაღალი მთა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათანობით ეშვება, როგორც კიბე, და ექვსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირშესანიშნავი სიდიდისა. აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ შემოტევას მტრისა, რომელსაც არსად შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეშიც და აბაზგების მიწა-წყალზე... იქაური მცხოვრებლები ელინურად მას „ტრაქეას“ უწოდებენ (ყახუჩიშვილი 1965: 158-159).

ფიზიკურ-გეოგრაფიულ რუკაზე თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია, რომ აქ დღევანდელი ახალი ათონის მიდამოები ამოიცნო.

სანიგების ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი მდინარე აქუნტამდე (ბასისი) ანუ შახემდე (ლაზარევსკის რაიონი, სოჭის ჩრდილო-დასავლეთით, რუსეთი) გრძელდებოდა, შემდეგ ჯიქების მიწა-წყალი იწყებოდა (კეჭაღმაძე 1961: 52, 92). ასეთი მდგომარეობა იყო V საუკუნემდე. ამ საუკუნიდან აქუნტი აბაზგთა და ჯიქებს შორის სასაზღვრო მიჯნად იქცა.

VII საუკუნის 60-იან წლებში აბაზგიასა და აფსილიას შორის საზღვარი უცვლელი დარჩა. ამ პერიოდში ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე II-ის (641-668 წწ.) ბრძანებით ცნობილი საეკლესიო მოღვაწე მაქსიმე აღმსარებელი და მისი ორი უახლოესი თანამოაზრე, ანასტასი ბერი და ანასტასი აპოკრისიარი (საგანგებო სასულიერო წარმომადგენელი საერო ხელისუფლებასთან საურთიერთობოდ, – პ.გ.) დასაჯეს და დასავლეთ საქართველოში, ეგრისში (ლაზიკა) გადაასახლეს. საყოველთაოდ გაზიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ მაქსიმე აღმსარებელი 662 წლის 13 აგვისტოს აქვე გარდაიცვალა. ანასტასი აპოკრისიარმა დასავლეთ საქართველოში მათი ექსორიაში ცხოვრება აღწერა. შემდგომ ეს წერილი თეოდოსი განგრელთან მოხვდა და ის თავის თხზულებას ჩაურთო, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისი ცნობების მნიშვნელობა. ასევე თეოდოსის ცნობით, მას დასავლეთ საქართველოში სპეციალურად უმოგზაურია და გადასახლებულთა შესახებ უშუალოდ გასაუბრებია ადგილობრივებს. ასე, რომ ამ ავტორის ცნობები მაღალი სანდოობით ხასიათდება.

თეოდოსი განგრელთან თხზულებში ჩართულ ანასტასი აპოკრისიარის წერილის მიხედვით ანასტასი ბერი „სკოტორის“ („Σκοτορι“) ციხეში დაუმწყვდევიათ. ეს ციხე ანასტასი აპოკრისიარის ლათინურ თარგმანში პირდაპირ აფშილეთშია მითითებული, აბაზგიის საზღვრის მახლობლად. თეოდოსი განგრელის ამ ნაშრომში ლაზიკის შემდეგი ციხე-სიმაგრეებია დასახელებული: თუსუმე//თუსავი (სოფელი თუმუში, დღ. ტუმში), მო-

ქვი, „ჯიხა-ხორა“ (მერკულა ან ჯგერდა), „სვიმარი//სხემარი“ (კოდორის ხეობა, მდ. ჩხალთის შუა წელზე), „ფუსტა“ (აფუსტა) (გაბისონია 2016: 75-86).

ა. ბრილიანტოვმა „სკოტორი“ კოდორთან მდებარე ციხეს დაუკავშირა, რომელსაც თ. ჟორდანიას თა-ვის ჩანაწერებში კოდორის ციხედ მოიხსენიებს, ჯგერდას მახლობლად. მან ასევე მიუთითა დასახლება კოდორის შესახებ მდინარე აბაშისწყალსა და ცხენისწყალს შორის (ბრილიანტოვი 1917: 33). ს. ყაუხჩიშვილმა „სკოტორი“ კოდორთან მიიჩნია, აბაზგიის საზღვარზე (ყაუხჩიშვილი 1941: 52). კოდორის ქვედა დინებასთან არის აღნიშნული ეს ტოპონიმი აფხაზეთის 2013 წლის ატლასში. ა. ვინოგრადოვმა ამ ციხის ლოკალიზაცია გერზეულის, ლარის, ბათის, ან ახისთას ციხე-სიმაგრეებთან სცადა (ვინოგრადოვი 2013: 219-237).

ციხე-სიმაგრე „სკოტორი“ მდინარე გუმისთის მიდამოებშია სავარაუდებელი, რადგან აქ აფშილეთ – აბაზგიას შორის სასაზღვრო მიჯნა გადიოდა. ეშერას თემში, სოფელ უაზაბაში შემორჩენილია ადრე ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელსაც ადგილობრივები ასევე „უაზაბას“ ეძახიან, რაც „მწუხარე ციხეს“ ან „მტირალა ციხეს“ ნიშნავს (კვარჩია 2006: 255). ეს ციხე-სიმაგრე, რომლის ორი კედლის დიდი ფრაგმენტი შემორჩენილი აფსილიის სასაზღვრო-საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო და საფიქრებელია, ეს უნდა იყოს „სკოტორი“. ძველბერძნულად „Σκοτος“ სიბნელეს, ბნელს ნიშნავს (დვორეცკი 1958: 1485). შესაძლებელია, ამ ციხე-სიმაგრის სახელი ძველბერძნულს და შემდგომ აფხაზურს ადგილობრივი, ქართული სახელწოდებიდან აქვს ნასესხები, რომელიც წუხილს ან სიბნელეს უკავშირდებოდა.

VIII საუკუნის პირველ ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა. პოლიტიკურ ასპარეზზე აფხაზეთის საერისთავო დანინაურდა და მალე დასავლურ ქართულ სამეფოდ ჩამოყალიბდა. ლეონ II-ის მიერ ახლადშექმნილი სამეფო ტერიტორიულად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. დასავლეთით ბუნებრივი საზღვარი შავი ზღვა იყო. ამ სამეფოს უკიდურეს ჩრდილოეთ მიჯნად ძველი ქალაქი ნიკოფსიაა მიჩნეული (ყაუხჩიშვილი 1952: 223; ლორთქიფანიძე 1963: 186; მუსხელიშვილი 1980: 141). ნიკოფსიას მდინარე ნეჩეფსოხო//ნეგოფსუხოს შესართავთან ახლოს, დღევანდელ დასახლება ნოვომიხაილოვკასთან მოიპოვებენ (ანჩაბაძე 1959: 110). ამ პუნქტს II საუკუნეში ფლავიუს არიანე „ძველი ლაზიკის“ სახელით მოიხსენიებს (კეჭაღმაძე 1961: 53), ხოლო V საუკუნის ანონიმი გეოგრაფი პირდაპირ წერს: „ძველი ლაზიკა ამჟამად ნიკოფსიად წოდებული, რომლის მახლობლად არის ამჟამად ეგრეთწოდებული ფსახაფსი“ (კეჭაღმაძე 1961: 53). ეს ისტორიული ჯიქეთია, ჯიქთა ადიღური მოდგმის ტომებით დასახლებული ტერიტორია, სადაც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნიდან არსებობდა ლაზების მიერ დაარსებული სანაპირო დასახლება, რომელსაც ანტიკური ხანის ავტორები აქ მოსახლე ქანების (ლაზების) მიხედვით ლაზიკას//ძველ ლაზიკას ეძახდნენ. ლეონ II-მ თავისი ძალაუფლება შავიზღვისპირეთის ამ ნაწილზე განავრცო და ის კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს აბაზგიად ანუ აფხაზეთად იწოდებოდა.

ქართული საისტორიო წყარო – ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში დაცული ცნობის მიხედვით, აფხაზთა ერისთავი ლეონ I არჩილს მიმართავს:

მომცა მე კვისარმან ქუეყანა ესე მკვიდრობით კეთილად სიმხნით თქუენითა ხოლო ამიერიტგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელი ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის (ყაუხჩიშვილი 1955: 242).

საზართა დიდ მდინარეში ყუბანი იგულისხმება, რომელიც XIX საუკუნეში შავ ზღვაში (ყიზილტაშის ყურე) ჩაედინებოდა. დაახლოებით აქამდე წვდება ე.წ. „წუერი კავკასიისა“. მაგრამ ჩრდილოეთით აფხაზთა საერისთავოს ტერიტორიის ასე გავრცობა ნაკლებად სავარაუდოა (თვალსაჩინოებისათვის აღვნიშნავთ, რომ ყიზილტაშის ყურე//ლიმანი დღ. ქ. ნოვოროსიისკის ჩრდილოეთით მდებარეობს). პ. ინგოროყვას მიაჩნდა, რომ უნდა ყოფილიყო „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ და სქოლიოშივე მოგვცა მისეული ვარიანტი ამ მდინარის მდინარე შაფსუხოსთან გაიგივების შესახებ (ინგოროყვა 1954: 121).

შავიზღვისპირეთის გაყოლებაზე „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრების შესახებ, ჩვენი აზრით, ყველაზე უტყუარი ცნობა X საუკუნის ბიზანტიელ იმპერატორს და ისტორიკოს კონსტანტინე პორფიროგენეტს მოეპოვება. ის წერს: „ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი მდინარე ნიკოფსიიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 300 მილის მანძილზე უჭირავს აბაზგიის ქვეყანას“ (ყაუხჩიშვილი 1952: 223). მდინარე ნიკოფსიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდინარე ნეჩეფსუხო (ადიღურად ნიჯიფსიკუ) იგულისხმება, სადაც მდებარეობდა ისტორიული ქალაქი ნიკოფსიისი//ნიკოფსია. ეს იყო „აფხაზთა სამეფოს“ უკიდურესი ჩრდილოეთი მიჯნა X საუკუნისთვის და სავსებით შესაძლებელია VIII-IX საუკუნეებისათვისაც. რაც შეეხება უკიდურეს სამხრეთ სასაზღვრო პუნქტ – სოტერიუპოლისს, ეს დასახლება პ. ინგოროყვამ ქ. ოფთან (თანამედროვე თურქეთი) გააიგივა (ინგოროყვა 1954: 255, 257). უნდა აღინიშნოს, მან სამართლიანად მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ისეთი მეცნიერები, როგორც იყვნენ კულაკოვსკი, ბოლოტოვი, ლატიშევი, ცდებოდნენ, როდესაც სოტერიუპოლისს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოიპოვებდნენ. ამ დასახლების სახელწოდება ბერძნულია და „სოტერ“ მსხნელს, მაცხოვარს ნიშნავს. ნიკოფსიიდან მოყოლებული რომაულ-ბიზანტიური 300 მილი, ანუ დღევანდელი საზომით დაახლოებით 500 კილომეტრი ემთხვევა ისტორიული ქანეთის ქალაქ ხოფას



(დღ. თურქეთი) მახლობლად, მისი სამხრეთით 15 კმ-ს დაშორებით მდებარე დასახლებას, რომლის დღევანდელი სახელია “kiyicik”. ეს დასახლება ართვინისა და რიზეს ოლქების დღევანდელ ადმინისტრაციულ საზღვარზე, სანაპიროსთან მდებარეობს. “kiyicik”-ს ქანურ//ლაზური ისტორიული სახელწოდებაა მაცხორა//მოცხორე. ეს სახელი XIX საუკუნისთვის ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა ამ სოფელს. ქანური მაცხორა იგივე მაცხოვარია, მეგრულად მანცხვარი. სწორედ ეს უნდა იყოს ისტორიული სოტერიუპოლისი, რომლის სახელი ბიზანტიელებმა თავისებურად, ბერძნულად გააჟღეს. ამ დასახლებამდე გრძელდებოდა „აფხაზთა სამეფოს“ სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი. აქ, ხოფას სიახლოვეს, რომ გადიოდა სახელმწიფო საზღვარი, ეს დასტურდება იმითაც, რომ XI საუკუნისთვის საქართველოს სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის საზღვარი ზუსტად ხოფას, იგივე ხუფათის მიდამოებში გადიოდა. საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) როცა კონსტანტინოპოლიდან ბრუნდებოდა მას „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვისპირსა, ხუფათს“ (ყაუხჩიშვილი 1955: 287).

ხოფა//ხუფათი ჯერ კიდევ V საუკუნეში გახდა ბიზანტიის იმპერიასა და ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შორის სასაზღვრო მიჯნა. ეგრისის მეფე გუბაზ I-ს ბიზანტიასთან დაეძაბა ურთიერთობა, რის შემდეგაც იძულებული გახდა კონსტანტინოპოლში ჩასულიყო, სადაც მის მიმართ პრეტენზიები გამოითქვა. როგორც ჩანს, გუბაზს მარტო საყვედური არ აკმარეს და მას სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნაწილის დათმობა მოუწია იმპერიის სასარგებლოდ:

...მოვიდა ღობაზიანოს (გუბაზ I- პ.გ.) მეფე აფხაზთა (უნდა იყოს ლაზთა, – პ.გ.) ხილვად ლეონ მეფისა (ლეონ I დიდი, ბიზანტიის იმპერატორი – პ.გ.) ბერძენთაისა... ხოლო აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რაიმე ქუყანათა დაწყნარებისათვის და ზღვართა განყოფისა, სადამდის არის საბერძენეთისა (ბიზანტიისა – პ.გ.) ანუ მეგრელთა აფხაზეთის (ლაზიკის – პ.გ.) სამეფოსა... და დასდევს საზღვრად ციხე ხუფათი (კეკელიძე 1913: 188).

ასე, რომ V საუკუნიდან XIII საუკუნემდე ჯერ ბიზანტიას, შემდეგ ტრაპიზონის იმპერიასა და საქართველოს შორის სასაზღვრო მიჯნა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ხოფა//ხუფათის ზონაში გადიოდა, იქ სადაც დღეს დასახლება “kiyicik” იგივე ძველი მაცხორა მდებარეობს. ამას ერთი ცნობაც ადასტურებს. კერძოდ, 1223 წელს იკონიის სულტნის წინააღმდეგ საბრძოლველად ტრაპიზონის იმპერატორმა დაიწყო ჯარის მოგროვება „დაწყებული სოტიროპოლიდან და ლაზიკიდან, ვიდრე ოინემდე (ესაა დღევანდელი უნიე ტრაპიზონის დასავლეთით, – პ.გ.)“ (უსპენსკი 1929: 51-58). XIII საუკუნეში სამცხის სამთავრომ შეიერთა ქანეთი ზღვისპირა ზოლით და უკვე ტრაპიზონის იმპერიასთან სასაზღვრო მიჯნა ოფსა და რიზეს შორის გადიოდა (ატლასი 2016: 33).

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ტრაპიზონის მხარე ეგრისისა და აფხაზეთის სამეფოების შემადგენლობაში შედიოდა, ნაკლებად დამაჯერებელია. მართალია, იოანე საბანისძე დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში ახსენებს ტრაპიზონს, მაგრამ აქ საუბარია ქრისტიანულ მოსახლეობაზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, მეგრელები და ქანები//ლაზები არიან, რომელთაგან პირველები „აფხაზთა“ ახლადშექმნილ პოლიტიკურ ერთეულში ცხოვრობენ, ხოლო მეორენი ბიზანტიის იმპერიაში. ამიტომ არის ტრაპიზონი „იონთა მეფის“ (ბიზანტიის იმპერატორის) საბრძანებელი. ანდრია მოციქულის მიმოსვლათა ქართულ ვერსიაში, რომელიც ეფთვიმე მთაწმინდელს ეკუთვნის, ტრაპიზონს „სოფელი მეგრელთა“ (საბინინი 1882: 30) ეწოდება. ასევე, გიორგი მთაწმინდელი აკათისტოს ქართულ ვერსიაში წერს, რომ ჰერაკლე კეისარმა: „მიიწია ტრაპეზუნტად სანახებთა მათ სამეგრელოსათა“ (ჟორდანიას 1892: 64). ბერძენი ავტორები: „ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, თეოფანე აღმსარებელი, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი ტრაპიზონს ლაზიკის და ლაზთა ქალაქად მოიხსენიებენ“ (ინგოროყვა 1954: 214-215).

ტრაპიზონში და მის სანახებში ქანები//ლაზები ცხოვრობდნენ და არა მეგრელები. ამ მხრივ ბერძენი ავტორები რეალობას სწორად გვანვდიან ქართველი ავტორებისგან განსხვავებით. ჩვენი აზრით, ეს გამომწვეული იყო იმით, რომ ძველი ქართველი ავტორები ქან-ლაზებს და მეგრელებს თვისობრივად ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ და ერთ დასავლურ ქართულ ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევდნენ. ამის გამომწვევი მიზეზი ქანური და მეგრული მეტყველების მსგავსება უნდა ყოფილიყო. რადგან სამეგრელო და მეგრელები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელებმა ტრაპიზონი მეგრელებით დასახლებულ სამეგრელოს ქალაქად წარმოაჩინეს.

VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ კოლხეთის აღწერისას ნათქვამია, რომ:

ეგერი არს ქვეყანა აზიას და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიდან, ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე, რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან... იგი განიყოფა ოთხ მცირე ქვეყანად: მანრილი, ეგერვიკი, რომელ არს საკუთვრივ ეგრი, ფასისის მდინარის მოსაზღვრედ, ამავე სახელწოდების ქალაქითურთ, ლაზივი, ქანივი, რომელ არს ხალტეთი. აქვს ხუთი ქალაქი: იანი, კოტა, როდოპოლისი, ათინა, რიზონი და სხვა მრავალი ნავსადგური, რომელთა შორის არს ტრაპეზუნტი (პატკანოვი 1877: 38-39).

ეს საისტორიო წყარო ეგერში (ეგრისში) ზოგადად მეგრელ-ქანებით დასახლებულ ქვეყანას//ტერიტორიას გულისხმობს და არა პოლიტიკურ ერთეულს. ამიტომ არის ტრაპეზუნტი, რიზე და ათინა ეგრისის ქვეყანაში

მოქცეული, რომელიც სინამდვილეში ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში შედიოდა.

უფრო საინტერესოა „სომხური გეოგრაფიის“ კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს ეხება, კერძოდ აფხაზეთს:

კავკასიიდან სათავეს იღებს ორი მდინარე: ვალდანისი (ვარდანესი, ყუბანი), მიედინება კრავსისი (სოგდი) მთებამდე, რომელიც იწყება კავკასიასთან და გადაჭიმულია ჩრდილო-დასავლეთით მეოტიდასა და პონტოს შორის. მეორე მდინარე ფსევხოსი, გამოყოფს ბოსფორს იმ ადგილებიდან, სადაც მდებარეობს პატარა ქალაქი ნიკოფსია... ბოლგარებსა და პონტოს ზღვას შორის ცხოვრობენ ხალხები: გარში, კუტი და სვანები ქალაქ პიტიუნტამდე, ზღვისპირას მდებარე ავაზგების ქვეყნამდე, სადაც ცხოვრობენ აფშილები და აბხაზები სანაპიროზე მდებარე ქალაქ სევასტოპოლისამდე, და იქით მდინარე დრაკონამდე, მომდინარე აგვანიდან, რომელიც აფხაზეთს ეგერთა ქვეყნიდან გამოყოფს (პატკანოვი 1883: 29).

უსახელო „სომხურ გეოგრაფიას“ VII საუკუნის ტექსტად მიიჩნევენ, მაგრამ მასში მოგვიანო ხანის ამბებიც არის შესული. აქ მოყვანილი ნაწყვეტი აშკარად VII-VIII საუკუნეთა მიჯნას ან VIII საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ „სომხური გეოგრაფიის“ ეს ცნობა ემთხვევა „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, ჯუანშერის თხზულებაში მოთხრობილ ამბავს, რომელიც დასავლეთ საქართველოში არაბთა ლაშქრობას ეძღვნება მეფეების მირის და არჩილის მოღვაწეობის ხანაში. ჯუანშერის მიხედვით: „ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამს იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 235-236).

საბერძნეთში აქ აფხაზეთის საერისთავო იგულისხმება, რომელიც ვასალური ურთიერთობით იყო ბიზანტიის იმპერიასთან დაკავშირებული. აფხაზეთის ერისთავის რეზიდენცია ანაკოფიის (დღევანდელი ახალი ათონი) ციხე-ქალაქი იყო. ამავე საერისთავოს შემადგენლობაში მოიაზრება აფშილთა ქალაქი სევასტოპოლი (დიოსკური, ცხუმი). ამასვე ადასტურებს „სომხური გეოგრაფიაც“. სასაზღვრო მიჯნად ქართულ საისტორიო წყაროში „კლისურია“ (კლისური ბერძნული სიტყვაა და სიმაგრეს, გამაგრებულ ადგილს ნიშნავს) მიჩნეული და ის ისტორიოგრაფიაში მდინარე კელასურთან არის გაიგივებული. ხოლო „სომხური გეოგრაფია“ დრაკონის მდინარეს ადგენს აფხაზეთსა და ეგრისს შორის მიჯნად. საფიქრებელია, რომ მდინარე კელასურს გულისხმობდა სომეხი ავტორი. გ. ანჩაბაძემ „დრაკონის მდინარე“ ენგურთან გააიგივა (ანჩაბაძე 2009: 223-229), რაც, ჩვენი აზრით, მართებული არ უნდა იყოს. ე.წ. „დრაკონის მდინარეს“ მდინარე კელასური უფრო შეფერება, რომელიც შუაწელზე მოულოდნელად კალაპოტიდან იკარგება (კარსტული მდინარე ხდება), და მხოლოდ გარკვეული მანძილის შემდეგ ჩნდება მიწის ზედაპირზე. ამ მდინარის ასეთი თვისება შეიძლებოდა გამხდარიყო მისთვის დრაკონის მდინარედ მიჩნევის საფუძველი. საზოგადოდ, „დრაკონის მდინარის“ სახელი მხოლოდ ამ სომხურ საისტორიო თხზულებაში გვხვდება. რაც შეეხება ენგურს, ამ მდინარის ტოპონიმი მხოლოდ მეგრულის მეშვეობით თუ აიხსნება. მეგრულად მას ინგირი ჰქვია. მისი თავდაპირველი ფორმა „ცინგური“ უნდა ყოფილიყო, რაც „ცივგულიან“ წყალს ნიშნავს (მეგრულ მეტყველებაში დღემდე შემორჩა გამოთქმა „შქაგურწყარი“, რაც სიღრმიდან – ე.წ. შუაგულიდან – ამოღებული წყალია, რომელიც ცივია დასალევად). ამ მდინარის ფიზიკური მახასიათებელი იძლევა საშუალებას, რომ ეს მოსაზრება გამოვთქვათ. ენგურის წყალი თითქოს ნამქერით არის გაჯერებული. სხვათაშორის რუსულ ენაში ამ მდინარის სახელწოდება – Ингури პირდაპირ მეგრულიდან შვიდა.

ამ ორი საისტორიო წყაროს ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ აფხაზეთა ერისთავს სევასტოპოლისი (დიოსკურია, ცხუმი) და მცირე ტერიტორია დაახლოებით მდინარე გუმისთიდან კელასურამდე მიუერთებია, რაც VII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მომხდარიყო, რადგან VII საუკუნის II ნახევარში ე.წ. აფშილეთი ქალაქ ცხუმიურთ ეგრისის//ლაზიკის მმართველის დაქვემდებარებაში შედიოდა (გაბისონია 2016: 75-86).

რაც შეეხება აფხაზეთა საერისთავოს ჩრდილოეთ საზღვარს, „სომხური გეოგრაფია“ პირდაპირ მდინარე ფსევხოსს მიუთითებს, სადაც ნიკოფსია მდებარეობდა. ლეონტი მროველთან ეგროსის წილხვედრი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ მიჯნად, „მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადაც წარსნუთების წუერ კავკასიისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 26). ამ ცნობაზე დაყრდნობით, როგორც ითქვა, პ. ინგოროყვამ აფხაზეთა საერისთავოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ მიჯნად მდინარე შაფსულო მიიჩნია, რაც, ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს. მდინარე ფსევხოსი (V ს-ის ანონიმთან მდ. ფსახაფსი), სადაც ნიკოფსია მდებარეობდა, მდინარე ნეგოფსუხო//ნეჩეფსუხოა. ეს ადგილი ითვლებოდა სასაზღვრო მიჯნად ბოსფორის ქვეყანასა და აფხაზეთს შორის.

## დამონებანი

**აბულაძე 1944:** ი. აბულაძე. ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ქართულ მწერლობაში. ენიშვის მოამბე, XIV, თბილისი.

**ანჩაბაძე 2009:** გ. ანჩაბაძე. მდინარეების „ეგრისწყლისა“ და „დრაკონის“ იდენტიფიკაციისათვის, ქართველები და აფხაზები, ისტორია და თანამედროვეობა. თბილისი.

- ანჩაბადე 1959:** З. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми.
- ატლასი 2016:** საქართველოს ისტორიის ატლასი, თბილისი.
- ბერადე 1973:** თ. ბერადე. „გაგარი“ და „ულაღის“ განმარტებისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, N1, თბილისი.
- ბრაიერი, ვინფილდი 1985:** A. Bryer, D. Winfield. The Byzantine monuments and topography of the Pontos. vol., 1. Washington.
- ბრილიანტოვი 1917:** А. Бриллиантов. О месте кончины и погребения Св. Максима Исповедника. Христианский восток, т., VI, вып., 1, Петроград.
- გაბისონია 2016:** პ. გაბისონია. VII ს-ის დასავლეთ საქართველოს (თანამედროვე აფხაზეთის) ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი თეოდოსი განგრელის ცნობების საფუძველზე. კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, თბილისი.
- გაბისონია 2017/2018:** პ. გაბისონია. დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის და ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები (I-Vსს.). ქართული წყაროთმცოდნეობა, XIX-XX, თბილისი.
- დვორეცკი 1958:** Древнегреческо-Русский Словарь, составил И. Х. Дворецкий, т., I-II, Москва.
- ვინოგრადოვი 2013:** А. Виноградов. Еще раз к вопросу о месте ссылки, смерти и погребени прп. Максима Исповедника, Богословские труды, №45. Москва.
- თაყაიშვილი 1913/1914:** ე. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. კრებული „ძველი საქართველო“, ტ., III, ტფილისი.
- ინგოროყვა 1954:** პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბილისი.
- კეკელიძე 1913:** К. Кекелидзе. Историко-агиографические отрывки. Христианский восток, т., II, вып. 2, Санкт-Петербург.
- კვარჩია 2006:** В. Кварчия. историческая и современная топонимия Абхазии. Сухуми.
- კეჭალმაძე 1961:** ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭალმაძისა, თბილისი.
- ლატიშვილი 1904:** В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказа. т., II, вып., 1, Санкт-Петербург, Издание Императорской Академии Наук.
- ლეთოდიანი 1991:** დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში. თბილისი.
- ლომოური 1955:** ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემეაოსი. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ., 32, თბილისი.
- ლორთქიფანიძე 1963:** მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.). თბილისი.
- მიხეიანი 1989:** თ. მიხეიანი. ვინ იყვნენ სუანო-კოლხები? გაზეთი „სახალხო განათლება“, № 53, თბილისი.
- მუსხელიშვილი 1980:** დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ., II, თბილისი.
- პატკანოვი 1877:** Армянская география VII века. изд. К. Патканов. Санкт-Петербург.
- პატკანოვი 1883:** К. Патканов. Из нового списка географии, приписываемой Моисею Хоренскому, журнал Министерства народного образования, ч., 226. Санкт-Петербург.
- ჟორდანი 1892:** თ. ჟორდანი. ქრონიკები, ტ., I. ტფილისი.
- საბინინი 1882:** საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა. პეტერბურგი.
- სიხარულიძე 1979:** ი. სიხარულიძე. ჭანეთი, ტ., II. ბათუმი.
- უსპენსკი 1929:** Ф. Успенский. Очерки из истории Трапезунтской империй, Ленинград.
- ქობალია 2010:** ა. ქობალია. მეგრული ლექსიკონი, თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1965:** გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, მეცნიერება.
- ყაუხჩიშვილი 1941:** გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი IV, ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1952:** გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, IV, ნაკვ. II. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1955:** ქართლის ცხოვრება, ტ., I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, სახელგამი.
- ყაუხჩიშვილი 1973:** ქართლის ცხოვრება, ტ., IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, საბჭოთა საქართველო.
- ყაუხჩიშვილი 1957:** თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი.
- შატუნოვსკი და სხვები 1988:** М. Шатунковский, Т. Расс, Ю. Решетников, А. Котляр, Пятиязычный словарь названий животных, рыбы, Москва.

## SOME QUESTIONS OF THE HISTORICAL GEOGRAPHY OF THE BLACK SEA LITTORAL OF GEORGIA (2<sup>ND</sup>-8<sup>TH</sup> CENTURIES)

Papuna Gabisonia

In the 2<sup>nd</sup>-5<sup>th</sup> centuries the ancient Greek and Roman authors in the vicinity of the town of Gagri called Black Sea coast of Georgia as nitike//stenitike (triglite). The ancient Greek Stenicik means a narrow passage between the mountains and the sea. The etymology of Gagra is probably derived from the Megrelian word “gagachi”, which means passage, pass. Trigla (Trigla) is a species of fish that dwells in the Black Sea. The type of fish is associated with the etymology of the ancient port of Lazika called Kordyla. Kordyla today is the village of Sivri Kale (Turkey). The authors of the ancient period mention the “Abazii” and the river “Abasco”. The modern name of this river is “Psou”, formerly called “Pshu”.

In the fifth century, the Abaz tribe settled on the Georgian coast. They occupied the territory between the river Gumista and Shah. On this territory they assimilated Sanigiyu (Chani). The main fortress of the Abazgs was Anacophia (Trachea). From the 8th century, the rulers of Abkhazia conquered the cities of Sevastopol (Sukhumi) and Apsilia. The eighth century the kingdom of Abkhazia conquered the whole western Georgia. The Abkhaz kings controlled the importance of the coastline of the East Black Sea coast. The border was located north of the river Nechepsuho (Novomikhailovsky, Russia). The southern overseas point was the village Motskhora//Soteriopolis (Kiychik, Turkey). Motshora has meaning in Laz language settlement belonged to the Savior – Greek Soteriopolis.



## აბჯრის ერთი ნიმუში გელათის წმ. გიორგის ხატის მიხედვით

### ზურაბ მაღრაძე

წინამდებარე ნაშრომის მიზანი ჩვენ მიერ ადრე გამოქვეყნებული სტატიის „შეიარაღების ერთი ნიმუში შუა საუკუნეების ქართულ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში“<sup>1</sup> ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს.

წერილობითი წყაროებისა და მუხობელი რეგიონების არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით შევცადეთ მოგვეხდინა ერთგვარი თეორიული რეკონსტრუქცია გელათის წმ. გიორგის ხატზე ასახული საჭურვლის, კერძოდ, წარმოგვედგინა აბჯრის კონსტრუქციული წყობა და მისი შემადგენელი ფირფიტების ტიპოლოგია. საჭურვლის ისტორია მჭიდრო კავშირშია ერის კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ისტორიასთან: „თავდაცვითი საჭურველი სწორედაც, რომ გაფორმების და კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე, წარმოგვიდგება დამატებით წყაროდ ეთნოისტორიული და ისტორიულ-ეკონომიკური ანალიზის დროს“ (კუბარევი 2002: 88).

არქეოლოგიურ კვლევებს შეუძლიათ გვიჩვენოს, პრაქტიკულად შეიარაღების მთელი სპექტრი და მისი ევოლუცია (ნეფიოდკინი 2011: 133).

საქართველოში, თავდაცვითი შეიარაღებიდან ჩვენთვის დღემდე ცნობილია განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული სულ რამდენიმე არტეფაქტი, ისიც მხოლოდ ერთეული ჯაჭვის აბჯრის და მუზარადის სახით. კვლევას ართულებს არსებული საჭურვლის დეტალების საერთო სიმწირე, ამასთანავე მნიშვნელოვანი ძირითადი ნიმუშების არქონა.<sup>2</sup>

არქეოლოგიური მასალის, წერილობითი წყაროების და იკონოგრაფიის შეჯერებით შესაძლებელია, ჩვენთვის საინტერესო ცალკეული ნიმუშების მართებულად წაკითხვა და მათი შემდგომი რეკონსტრუქცია. ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ვერცხლით ნაჭედი წმ. გიორგის ხატზე გამოსახულმა აბჯარმა (ტაბ. III).

ხატი (ტაბ. I) დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (საინვ. №23879/733, ზომა 36X32 სმ). რომელიც აქ შემოსულია გელათის მონასტრიდან 1925 წელს<sup>3</sup> და თარიღდება X-XI სს., ხატის არშიების ქედურობა საკმაოდ შელახული და ნაკლული, გვიანდელი დანამატია (XVI-XVIII სს.).

ხატზე წმ. გიორგი გამოსახულია მძიმედ შეჭურვილი მხედრის სახით, ზის მაღალ ტახტიან უნაგირზე, რომელიც განკუთვნილია წაგრძელებული შუბით ბრძოლისთვის, ფეხზე მას მოგვები აცვია. ჭური, ხმალი, უნაგირი, ცხენის აღკაზმულობა – რეალისტურია, ამავდროულად ყველა ეს დეტალი გარკვეული ორიგინალობითაც გამოირჩევა.

X-XI სს. საქართველოში იყენებდნენ ფირფიტოვანი აბჯრის ორ სახეობას ქერცლოვანს და ლამელარულს (ტაბ. II). გელათის ხატზე წმინდა მხედარი აღჭურვილია სრული ქერცლოვანი აბჯრით.<sup>4</sup>

ამ პერიოდში სრული აბჯარი შედგებოდა რამდენიმე კომპონენტისაგან (ტაბ. III). კორპუსის დაცვა (სამკერდული და საზურგე), მხრების დამცავი (მხრიდან იდაყვამდე) ელემენტი და ქვედატანი, ორი კალთით (წელიდან მუხლამდე).

### კორპუსის დაცვა

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ქერცლოვანი აბჯარი ეწოდება ისეთ საჭურველს, სადაც მტკიცე მასალისგან დამზადებული ფირფიტების ფიქსაცია ხდება, რბილი მასალისგან დამზადებულ საფუძველზე (ტყავი ან ქსოვილი) (გამყრელიძე და სხვები 2018: 105; ჩერნენკო 1968: 20-22; ლუპინენკო, მაკუშნიკოვი 2010: 454-455; გორელიკი 1993: 103, 109; ნეგინი, დ'ამატო 2018: 6, 39, 44, 49, 53, 54). ფირფიტები დაფიქსირებულია ერთმანეთის გადაფარვის პრინციპით 1/3-ზე. ასეთი კონსტრუქცია გარეგნულად კრამიტს<sup>5</sup> ან თევზის ქერცლის მსგავს ზედაპირს მოგვაგონებს (მედვედევი 1959: 121).

აბჯრის ქერცლები ოთკუთხა, ზედა მხარე სწორი, ქვედა კი მომრგვალებული ან კუთხოვანი – წამახულ-თავიანი (ზოგჯერ ექვსკუთხაც) ფორმისაა (წურნუშია 2013: 17; გამყრელიძე და სხვები 2018: 104; გორელიკი 1993: 102; ლუპინენკო 2006: 116; ლუპინენკო, მაკუშნიკოვი 2010: 455; ჩერნენკო 1968: 26-27; მელიუკოვა 1964: 71; გრიგორიევი 1994: 68; სკორი 1984: 86; სალავიოვი 2003: 33; კონოლი 1998: 237; გრავეტი 1994: 52, ტაბ. B; ნეგინი, დ'ამატო 2018: 33, 39, 42).

ფირფიტები მზადდებოდა სხვადასხვა მასალისგან როგორცაა: რკინა, ბრინჯაო, ძვალი, რქა და ტყავი (გამყრელიძე და სხვები 2018: 104; მედვედევი 1959: 120, 121; ნეფიოდკინი 2011: 134, 138-139; სიმონენკო 2009: 108-109; კონოლი 1998: 237; გორელიკი 1993: 104-105, 108-109; ნეგინი, დ'ამატო 2018: 40, 42; სიმი, კამინსკი 2012: 96; გრავეტი 1994: 13, 52; დოუსონი 2007: 22).

როგორც წესი, საფუძველზე დასაფიქსირებლად იყენებდნენ თასმებს ან ლითონის სამაგრებს (გამყრე-ლიძე და სხვები 2018: 105; ნეფიოდკინი 2011: 140; გრავეტი 1994: 52; ნეგინი, დ'ამატო 2018: 6, 42, 46).

ქერცლები განსხვავდება ნახვრეტების რაოდენობით და განლაგებით (მინიმუმ ერთი ნახვრეტი). ძირითადი ნახვრეტები ზედა კიდის გასწვრივ იყო განლაგებული, თუმცა დამატებითი შეიძლება ნებისმიერ სხვა ადგილას ყოფილიყო (კონოლი 1998: 237; გორელიკი 1993: ტაბ. LII, სურ. 12ა, 15ა, 16ა, 18ა, ტაბ. LIII სურ. 8, 9ბ, 21ა; ჩერნენკო 1991: 6; სალავიოვი 2003: 33, 90).

გელათის ხატზე გამოსახული წმინდა მხედრის აბჯარი შედგება სწორკუთხოვანი, მომრგვალებულთავიანი U ფორმის ფირფიტების რიგებისგან (ტაბ. III, 1).

ფირფიტებს ქვემოდან ტყავის ზოლი – სალტეები მიუყვება, რომელიც აწყობილია ქვემოდან ზემოთ და ვიზუალურად ერთგვარ კრამიტის ეფექტს ქმნიან. კორპუსზე თოთხმეტი ასეთი ზოლი შეინიშნება. აბჯარზე ტყავის სალტეები დაახლოებით 1/3 გადაფარავენ ერთმანეთს.

„გელათურის“ მსგავსი აბჯარია (ტაბ. IV, 2, 3) ხერიას და ლაფსკალდის წმინდა მხედრებზეც, ხერიას წმ. გიორგის (ჩუბინაშვილი 1959: ტაბ. 194) შემთხვევაში განსხვავება მხოლოდ ქვედატანის ფირფიტებშია, ლაფსკალდის აბჯარი კი მთლიანად ერთი ტიპის – „კორპუსის“ ფირფიტებითაა განწყობილი (ჩუბინაშვილი 1959: ტაბ. 187).

სავარაუდოდ, ტყავის სალტეები ორ დიდ ჯგუფად იყო შეკრული, სამკერდულ და საზურგე ნაწილებად, გვერდებზე შესაკრავი აბზინდებით. ამ ეტაპზე, ჩვენთვის მსგავსი აბჯრის გამოსახულება საქართველოს საკონტაქტო ზონაში უცნობია. თუმცა კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ ასეთი აბჯრის ტიპს საქართველოს გარდა იცნობდნენ ევროპაშიც, კერძოდ გერმანიაში, გროს-კომბურგის სააბატოს წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან<sup>6</sup> ცნობილია 1140 წ. დათარიღებული ბრინჯაოს მოოქროვილი მეტრძოლის ფიგურა – კანდელაბრის მორთულობის ნაწილი (ეტი, პადოკი 1991: 24, 48; ნიკოლი 1999ა: 171, ტაბ. 423). „გერმანელი“ მეომრის აბჯარი მსგავსია „გელათურისა“ და შედგება მასიური ქერცლოვანი ფირფიტებისგან, რომლის ქვემოდან ტყავის სალტეები მოჩანს (ტაბ. IV, 1). განსხვავება ისაა, რომ „გერმანულ“ აბჯარში უფრო დიდი ზომის<sup>7</sup> ერთი ტიპის ფირფიტებია გამოყენებული, თავის მხრივ აბჯრის წყობით „გერმანელი“ უფრო ახლოსაა ლაფსკალდის წმ. გიორგის ხატზე გამოსახულ საქურველთან (ჩუბინაშვილი 1959: ტაბ. 187).

შესაძლოა, ასეთი აბჯარი მივიჩნიოთ შუა საუკუნეების ოსტატის მორიგ ფანტაზიად, მაგრამ საქართველოსა და ევროპაში მოკვლეული ნიმუშები ამის ალბათობას მინიმუმამდე ამცირებს. ჩვენს ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს არქეოლოგიური მასალა უკრაინიდან, კერძოდ, პლისნესკის ნაქალაქარზე ნაპოვნი აბჯრის ფირფიტა და მასზე დაყრდნობით იური ლუპინენკოს მიერ შემოთავაზებული აბჯრის რეკონსტრუქცია (ტაბ. V, 2).<sup>8</sup>

1949 წელს ი.დ. სტარჩუკის ხელმძღვანელობით ნაქალაქარ პლისნესკის ტერიტორიაზე მიმდინარე გათხრებზე ლვოვის ოლქში (უკრაინა), VIII-X სს. დათარიღებულ არქეოლოგიურ ფენებში, მიკვლეული იქნა მოზრდილი ზომის მცირედ ამოზნექილი რკინის აბჯრის ფირფიტა.

ფირფიტა სწორკუთხოვანია, მომრგვალო ფორმის დაბოლოებით, (ტაბ. V, 1) ზომა 8X5,5 სმ, სისქე 1მმ. (მედევეცი 1959: 126, სურ. 1, 10). დასაფიქსირებლად სამი ნახვრეტი აქვს, ორი ფირფიტის ზედა მხარეს, მესამე კი მარჯვენა ქვედა კიდეტან (მომრგვალებულ ბოლოსკენ). შეიძლება ითქვას, რომ ამ ფირფიტებს აქვს ფიქსაციის ორი არე. ზედა ორი ნახვრეტით ფირფიტა მაგრდება საფუძველზე, ხოლო ქვედა კიდური ნახვრეტის დანიშნულებაა მყარად დააფიქსიროს და დაიცვას ფირფიტები გვერდზე განევისგან მოწინააღმდეგის იარაღის ქვემოდან ძგერების დროს (წურწუშია 2016: 284, 286; გორელიკი 1993: 102; ჩერნენკო 1968: 30, 31).

მსგავსი კონსტრუქციის მქონე ქერცლების მრავალი ნიმუშია ცნობილი ანტიკური პერიოდის არქეოლოგიიდან. შუადონისპირეთი, ძვ. წ. IV ს. ყორღანი № 7<sup>9</sup> (გორელიკი 1993: ტაბ. LI, სურ. 11) სოფელ დუროვკასთან (ტაბ. V, 3); ყორღანი „ჩაბანცოვა მაგილა“<sup>10</sup> ძვ. წ. V ს. (გორელიკი 1993: ტაბ. LI, სურ. 23); სამარხი „პირველი ზავადსკაია მოგილა“<sup>11</sup> (გორელიკი 1993: ტაბ. LI, სურ. 24ა), თარიღდება ძვ. წ. V ს.; ადგილი „სტარშია მაგილა“ ძვ. წ. IV-III სს. (ჩერნენკო 1968: 24, სურ. 8, 16); ქ. ვლადკავკაზთან ახლოს, ყორღანი 12 ჯგუფი – 22 შახტი, თარიღდება ძვ. წ. IV-III სს. (ჩერნენკო 1968: სურ. 10, 2, 5); „სემიბრატნი“ ყორღანი, ძვ. წ. V ს. (ჩერნენკო 1991: 6; ჩერნენკო 1968: 29, სურ. 11, 9); რკინის ქერცლოვანი ფირფიტა გამალიდან,<sup>12</sup> სირია ისრაელის საზღვარი. თარიღდება I ს. დასასრულით (ნეგინი, დ'ამატო 2018: 32).

საქართველოს ტერიტორიაზე კი ჩვენთვის ცნობილია ორი ძეგლი (ტაბ. V, 4-5), ვანის ნაქალაქარი, ყორღანი 3,<sup>13</sup> თარიღდება ძვ. წ. IV ს.; და ეშერის ნაქალაქარი, თარიღდება ძვ. წ. IV-III სს. (გორელიკი 1993: ტაბ. LIII, 15, 27).

გელათის წმინდა მხედრის აბჯარზე შეინიშნება ერთი საინტერესო დეტალი, კერძოდ, აბჯრის ყველა სალტეზე, ფირფიტების რიგებს ქვემოდან მიუყვება უწყვეტი წერტილებით შედგენილი ხაზი. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს დეტალი ფირფიტების ქვედა კიდური ნახვრეტების სალტესთან დამაკავშირებელი ერთგვარი ნაკერის იმიტაციაა, რაც კიდევ ერთელ ცხადყოფს ლუპინენკოსეული რეკონსტრუქციისა და ხატზე გამოსახული აბჯრის კონსტრუქციულ თანხვედრას.

ი. ლუპინენკოს დაკვირვებით, პლისნესკის აბჯარი ქერცლოვანი უნდა ყოფილიყო (ლუპინენკო 2006:

116, 120 სურ. 2: 3). მისი მოსაზრებით ფირფიტების დასაფიქსირებელი საფუძველი არ არის ტრადიციულად ქერცლოვანი აბჯრისთვის დამახასიათებელი ერთიანი ტანი ქსოვილის ან ტყავის. აბჯარი არატრადიციული კონსტრუქციისაა, აწყობილია ცალკეულ სალტეებზე დაფიქსირებული რკინის ფირფიტებით, აუცილებელი ერთმანეთის გადაფარვის პრინციპით (ლუპინენკო 2006: 116).

თუ ჩვენ გამოვიყენებთ ქერცლოვანი აბჯრისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ კონსტრუქციას (ტაბ. II, 1), კიდურა ნახვრეთიან ფირფიტების შემთხვევაში მივიღებთ ხისტი წყობის აბჯარს, რომელიც მოკლებული იქნება ყოველგვარ მოქნილობას.<sup>14</sup>

ფირფიტაზე კიდური ნახვრეტის დანიშნულებაა ხელი შეუშალოს ქერცლის მოძრაობას, რა დროსაც ფირფიტა სცილდება საფუძველს (აბჯრის მონაკვეთი დაუცველი რჩება) ამ დროს ქვემოდან დარტყმის შემთხვევაში, იარაღი შესაძლოა მოხვდეს ქერცლებს ქვემოდან, რაც დაუშვებელია. ამიტომ ამ სახის ფირფიტები გამოიყენებოდა აბჯრის ისეთ მონაკვეთებზე, სადაც ელასტიურობა ნაკლებად მნიშვნელოვანია – კერძოდ სამხრეთებზე, მკლავებზე და ქვედატანის დაცვის შემთხვევაში (ჩერნენკო 1968: 30-31).

კიდურა ნახვრეთიანი ფირფიტების კორპუსის დასაცავად გამოყენებისას, აბჯრის დრეკადობის და მოქნილობის შესანარჩუნებლად საჭიროა განსხვავებული კონსტრუქცია, რომელიც იქნება მობილურიც და საიმედოც. სწორედ ამ პირობის ასახვას ვხედავთ გელათის ხატის აბჯრის მაგალითზე.

ი. ლუპინენკომ ექსპერიმენტალური მოდელირებით, სამხედრო ისტორიულ კლუბ „ოლეგ სვიატოსლავიჩის ალამის“ ბაზაზე, მოახდინა „პლისნენსკის აბჯრის“ რეკონსტრუქცია (ტაბ. V, 2). მიღებულმა კონსტრუქციამ აჩვენა, რომ ფირფიტაიანი სალტეები ერთმანეთს გადაფარავენ 15-20 მმ. გარკვეული „სივრცული მარაგის“ ხარჯზე (აბჯრის კონსტრუქციიდან გამომდინარე) მათ შორის „თავისუფალი“ სვლა დაახლოებით 40 მმ. რაც უზრუნველყოფს აბჯრის მოქნილობას და საიმედოობას (ლუპინენკო 2006: 116). ლუპინენკოს მიერ შემოთავაზებულ ვარიანტში აბჯრის ფირფიტაიანი სალტეები სამი მხრიდან თავისუფალია, რაც უდავოდ ამ კონსტრუქციას ელასტიურს და მოქნილს ხდის.

თუმცა მისი ეს უპირატესობა მისივე ნაკლიც შეიძლება გახდეს (რაც ლუპინენკომ აღნიშნა კიდევ), მოძრაობისას ქერცლოვანი აბჯარი ქმნის ერთგვარ ნაკეცებს, რომლებიც აბჯრის შიდა სამოსთან კონტაქტის დროს ხელს უწყობს ფირფიტების წამოწევას. ამ დროს აბჯარი დაუცველია მახვილი იარაღის ქვემოდან ძვრების დროს (ლუპინენკო 2006: 117; წურნუშია 2016: 286-287; ჩერნენკო 1968: 30-31).

### ქაფი (სახელო-მხრის დაცვა)

„გელათურ“ აბჯარზე გამოსახულია მხრის დამცავი ელემენტი, სამ<sup>15</sup> ჰორიზონტალურ რიგად განლაგებული დიდი, მოგრძო, ბოლო მომრგვალებულ ფორმის ფირფიტებით (ტაბ. III, 2).

მოგრძო ფორმის ფირფიტები განსხვავებული სახისაა, მათ შუაწელზე ვერტიკალური წიბო მიუყვება. ფირფიტები შუაში ვერტიკალური წიბოთი გვიანბრინჯაოს ხანიდან გხვდება როგორც ქერცლოვანი, ასევე ლამელარული შესრულებით.

ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრეული ქერცლოვანი ფირფიტები ვერტიკალური წიბოთი, ნაპოვნია ფ. პიტრის მიერ თებეს ამენემჰეტ II ტაძრის ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, ფირფიტებით ღვთაების ტახტი იყო მორთულ-მოკაზმული, რა თქმა უნდა არ გამოირიცხებოდა მათი აბჯარში გამოყენებაც (გორელიკი 1993: 104).<sup>16</sup>

ამავე პერიოდს ეკუთვნის ვერტიკალურ წიბოიანი ფირფიტები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან: ლაკიშის თარიღდება ძვ. წ. 1500-1200 წწ. და დერ-ალლას ძვ. წ. XIII ს. დასასრულით და XII ს. დასაწყისით (გორელიკი 1993: 105, ტაბ. L, 14-15).

წიბოიანმა ქერცლოვანმა აბჯარმა ფართო არეალზე პოვა გავრცელება. ეგვიპტეში – მემფისში ნაპოვნი ფირფიტები: სწორკუთხა ფორმისაა, ვერტიკალური წიბოთი და ოთხი ნახვრეტით კუთხეებში, მ. გორელიკის მოსაზრებით შესაძლოა გამოეყენებინათ როგორც ქერცლოვანი, ისე ლამელარული წყობით. მათ პირდაპირ ანალოგებს პოულობენ ძვ. წ. VIII – VI სს. ასურეთში, ამიერკავკასიაში, მცირე აზიაში და ირანში (გორელიკი 1993: 107). ქერცლოვანი ფირფიტები ვერტიკალური წიბოთი კარგად იყო ცნობილი ძველი ბერძნული სამყაროსთვისაც.

შესაძლოა, ეგვიპტეს ან აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს უკავშირდებოდეს ნოვოჩერკასკთან, გრუშევსკის სამაროვნზე აღმოჩენილი აბჯრის ფირფიტები. სამაროვანი სარმატულია, თარიღდება ძვ. წ. II-I სს. თავად აბჯარი გაცილებით ადრეულია (ნაალაფევია), არაუგვიანეს ძვ. წ. VIII-VII სს (სიმონენკო 2009: 108-109, სურ. 74).

ამდაგვარი ფირფიტები ნაპოვნია ყუბანში, ქვემო დონზე (სტანიცა ვოზდვიჟენსკაიას, ხუტორ ზუბოვსკის, ვისოჩინოს და ნიკოლსკის სამაროვნებზე), მიეკუთვნება სარმატულ კულტურას. მათი ანალოგებია რომაული აბჯრის ნაირსახეობა ე. წ. *Lorica plumata*, აღმოჩენილია რომაული ბანაკების ტერიტორიაზე: დიდ ბრიტანეთში, კონტინენტურ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში (სიმონენკო 2009: 111-112, სურ 76, 77; ნეგინი, დ'ამატო 2018: 33, 43-44, ტაბ. A, 2, ტაბ. C, 2-3, ტაბ. G, 1; წურნუშია 2016: 286).



ქერცლოვანის პარალელურად არსებობდა ლამელარული ტიპის ფირფიტებიც, ნაპოვნია ფ. პიტრის მიერ ჰაზასთან ჰიკსოსების სამაროვანზე<sup>17</sup> (ტაბ. XIV, 1) და მის მიერ ძვ. წ. XVIII-XVII სს. არის დათარიღებული (გორელიკი 1993: 116, ტაბ. LIV, 1, 1ა).

პალესტინა და სირიის ტერიტორიაზე მიკვლეული ლამელარული ფირფიტები თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედიდან მოყოლებული შუაწლებამდე (გორელიკი 1993: 117, ტაბ. LIV, 3-6ე).

მათი მსგავსი ფირფიტებია გავრცელებული ძვ. წ. XV საუკუნიდან ეგვიპტეშიც, ორი ასეთი აბჯარი გამოსახულია კედლის მხტვრობაზე კენამონის აკლდამაში, რომელზეც ასახულია ფარაონ ამენხოტეფ II „ზარადხანა“ (გორელიკი 1993: 117, ტაბ. LIV, 22).

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ლამელარული აბჯარი ვრცელდება მცირე აზიაში და მესოპოტამიაში (მათ შორის ვერტიკალურ ნიბოიანი). ძვ. წ. XIII ს. მესოპოტამიიდან ელამში ვრცელდება ლამელარული აბჯარი, სხვადასხვა ზომის ფირფიტები ვერტიკალურ ნიბოთი ნაპოვნია დურ-უნტაშეში (გორელიკი 1993: 121, ტაბ. LIV, 30-30ბ).

მესოპოტამიურ აბჯრის ნიმუშებს იმეორებს ურარტულიც, კერძოდ, ფირფიტები ვერტიკალური ნიბოთი ცნობილია ალთინ-თეფედან და არგიშთინილიდან, თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს., სიგრძე 7,8 სმ (გორელიკი 1993: 124, ტაბ. LVI, 1, 2).

შუა საუკუნეების არქეოლოგიიდან და იკონოგრაფიიდან ვერტიკალურ ნიბოიანი ფირფიტების მრავალი მაგალითია ცნობილი (ტაბ. VI): ჯუმათის, ხერხას (ტაბ. IV, 3) და სხიერის ნმ. გიორგის XI ს. ქედური ხატები, ვაჩეძორის (?) მონასტრის მხატვრობიდან ნმ. გიორგის ფრესკა, არბავილის ტრიპტიქის X ს. წმინდა მომრები: გიორგი და ევსტათე, ქვაზე ამოკვეთილი ხატის ფრაგმენტი ტრიანოპოლისიდან (საბერძნეთი) XII ს., შტუტგარტის ფსალმუნის მინიატურები, IX ს. პირველი ნახევარი, დავითი და გოლიათის ბრძოლის სცენა სენ ჟილეს სააბატოდან 1140-1180 წწ., სოდომის მეფის ფიგურა რეიმსის ტაძრიდან XIII ს., X ს. ჯამი მხედრის გამოსახულებით ნიშაპურიდან, თეფში ბრძოლის და ალყის სცენით ირანიდან (ქაშანი ?) XIII ს. დასაწყისი ან პირველი მეოთხედი.

შვედეთში ნაქალაქარ ბირკის გათხრების დროს X საუკუნის ფენებში მიკვლეული იქნა ლამელარული აბჯარი – შვიდასზე მეტი ფრაგმენტით. შედგებოდა რამოდენიმე ტიპის ფირფიტისგან. მათ შორის იყო ვერტიკალურ ნიბოიანი ე. წ. F ტიპის<sup>18</sup> ფირფიტა (ტაბ. VII, 3); (ჰიარდარი, ვიკი 2016: 194-195).

ამ ტიპის ფირფიტები (გამოირჩევა მრავალფეროვნებით) ნაპოვნია ბულგარეთის ტერიტორიაზე (ტაბ. VII, 1, 2). ველიკი პრესლავში, სასახლის კარის ეკლესიის გათხრების დროს, სოფ. პოპინაში და ქ. პლისკაში. თარიღდება IX-XI სს<sup>19</sup> (იოტოვი 2004: 121-122; დ'ამატო 2012: 54).

1959 წ. ნაქალაქარ დვინის დედაციხის გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა რამდენიმე სახის ფირფიტა, აღმომჩენელმა მასალა VIII-IX სს. დაათარიღა. ტაბ. XXI-ის № 1 სურათზე (ტაბ. VII, 5) ჩვენთვის საინტერესო იყო მარჯვნივ მესამე ფირფიტა, რომელიც მონახაზით ვერტიკალურ ნიბოიანი ფირფიტის მსგავსია. სამწუხაროდ, აღწერა და გრაფიკული ჩანახატის ხარისხი გადამწყვეტი დასკვნის საშუალებას არ იძლევა (კალანტარიანი 1970: 45, ტაბ. XXI, სურ. 1; კალანტარიანი 2003: 331, ტაბ. 152, სურ. 18).<sup>20</sup>

მნიშვნელოვანი იყო 1973-1980 წწ. ნაქალაქარ დვინის დედაციხეზე მიმდინარე გათხრების დროს XII-XIII სს. ფენებში მიკვლეული (ტაბ. VII, 4) ვერტიკალურ ნიბოიანი მართკუთხედი ფორმის<sup>21</sup> ფირფიტა, ამ პერიოდის მსგავსი არტეფაქტები იშვიათობაა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე (კაფანდარიანი, კალანტარიანი 2002: 169, ტაბ. LVIII, სურ. 14).

ბელორუსიაში გომელის ნაქალაქარზე გათხარა მეიარაღის სახელოსნო. აქ აღმოჩენილ ფირფიტებს შორის იყო ვერტიკალურ ნიბოიანიც (ლუპინენკო 2007: 334, 1, 8, ტაბ. VII, 6).<sup>22</sup>

საქართველოს ტერიტორიაზე ვერტიკალურ ნიბოიანი ფირფიტები ცნობილია ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან, ნაპოვნია კახეთში (ტაბ. XIV, 2). რომლის ზედა მხარე მომრგვალებულია (მცირედ წამახული), ხოლო ქვედა სწორი. ფირფიტები სამი სახისაა: ერთი (ტაბ. XLVIII, სურ. 51), ორი (ტაბ. XLVIII, სურ. 50) და სამ ნიბოიანი (მოხრილი ფორმის ნიბოებით, ტაბ. XLVIII, სურ. 52) (გორელიკი 1993: ტაბ. XLVIII). მათი სიგრძე 9-10 სმ., შემკულია წერტილოვანი ორნამენტით (გორელიკი 1993: 105, ტაბ. L, 16, 17). კახეთშივეა ნაპოვნი ძვ. წ. XIII ს. დათარიღებული ფირფიტა (ტაბ. XIV, 3), სამარხ 10, გადრეკალის სამაროვანი (გორელიკი 1993: 325 ტაბ. LIV).

სამწუხაროდ, ისტორიულ წყაროებში სამხრე აბჯრის ზუსტი აღწერა არ მოგვეპოვება, წერილობითი წყაროები შემოიფარგლება მწირი და ზოგადი ცნობებით.

ერთადერთი განმარტების მცდელობა საბასთან გვხვდება „ჯავშანთ სამხარღლიე“, „ჯაჭვთ სამხარღლიე“ (ლექსიკონი 1993: 217). თუმცა მითითება, რომ ქაფი „აბჯართა შემოსაჭირებელნი (შემოსაკრავნი) ზორნებია“, ჩვენ, მ. წურწუმის მსგავსად, მცდარად მიგვაჩნია (წურწუმია 2016: 359).

სხვა ცნობებით ვიცით, რომ (ნიკორწმინდელის „დაწერილი“, „ვეფხისტყაოსანი“) ქაფი აბჯრის (ფართო გაგებით) ნაწილია.

სპეციალურ კვლევებში აღნიშნულია, რომ ის გამოიყენებოდა როგორც ფირფიტოვან აბჯართან (ქერცლოვანი, ლამელარული), ისე ჯაჭვის პერანგთან ერთადაც.



მამუკა ნურნუმის დაკვირვებით, ტერმინი ქაფი ჩვენში პირველად XI საუკუნის ნიკორწმინდელის „დანერილოში“ ჩნდება – „ქაფი ჯაჭვსაი“, ქაფი მრავალგზის ნახსენებია „ვეფხისტყაოსანშიც“ პირველად კი მოიხსენიება VIII საუკუნის დასაწყისში ომაიანთა სახალიფოში, როგორც მუსლიმი მეომრის აბჯრის ნაწილი (ნურნუმია 2016: 360).

დ. ნიკოლის აზრით, მუსლიმური Kaff შეესატყვისება ქართულ ქაფს (ნიკოლი 1996: 23; ნიკოლი 1999ბ: 345, 515; ნურნუმია 2016: 359-360).

შუა საუკუნეების ბიზანტიურ და ქართულ წერილობით წყაროებზე და იკონოგრაფიაზე დაკვირვებით, მ. ნურნუმის მიაჩნია, რომ ქაფი „მხრის დამცავი მომრგვალებული ფორმის ლითონის ფირფიტაა“ (ნურნუმია 2016: 359).

ტ. დოუსონის მოსაზრებით, სამხრე დაცვა ე.წ. მანიკია (manikellia) თავდაპირველ ეტაპზე ძირითადად ნაგრძელებული ფორმის ფირფიტებისგან შედგებოდა, რის გამოც იმ დროინდელი იკონოგრაფიაზე დაკვირვებისას ზოგს შეიძლება გაუჩნდეს ასოციაცია გვიან ანტიკურ პტერუგებთან (დოუსონი 2007: 21).<sup>23</sup> დროთა განმავლობაში სამხრე აბჯარმა განიცადა ცვლილება, რის შედეგადაც მივიღეთ სხვადასხვა კონსტრუქციის – ქერცლოვანი ან ლამელარული, დამატებით ნახევარსფერული ფირფიტებისაგან შემდგარი სამხრე დაცვა (დოუსონი 2009: 36, 37, 38, ტაბ. VIII, 3).

ნახევარსფერული სამხრეების შესანიშნავი ნიმუშებია წარმოდგენილი ჩრდილოეთ კავკასიიდან, რომელიც დამზადებულია მთლიანი ფოლადის ნაჭრისგან, ვერხნი ჩირიურტის VII-VIII სს. სამაროვნიდან და VIII-IX სს. ბორისოვსკის სამაროვნიდან ქ. გელენჯიკთან ახლოს (ტაბ. IX, 10-11). წარმოდგენილი არტეფაქტები, შესაძლოა, მომდინარეობდეს აღმოსავლეთ თურქისტანიდან (ჟიროხოვი, ნიკოლი 2019: 36-37).

ჩვენი ყურადღება მიიქცია წერილობითმა წყაროებმა, სადაც მოხსენიებულია ქაფი ჯაჭვთან ერთად, აგრეთვე ევროპულ, ბიზანტიურ, ბალკანურ, სომხურ და ქართულ იკონოგრაფიაში ასახულმა მხრის დაცვის ელემენტებმა. უმრავლეს შემთხვევაში გამოსახულებებზე იკითხება მართკუთხედი ფორმის ან მოგრძო პტერუგების მსგავსი ფირფიტები, რომელიც მხრის დამცავ ნაწილებად გვევლინება, შედარებით იშვიათია მათთან ერთად გამოსახული ნახევარსფერული ლითონის (ტყავის?) ფორმის ფირფიტა.

იკონოგრაფიაზე დაყრდნობით მხრის დაცვის ელემენტები შესაძლებელია პირობითად დავყოთ სამ ტიპად.

*ტიპი პიჩვედი* (ტაბ. IX) – მხრის „სრული დაცვით“, სადაც გამოსახულია როგორც ნახევარსფერული ფირფიტა, ისე მართკუთხედი და პტერუგების მსგავსი ფორმის ფირფიტები. ეს მომენტი აბჯარზე გარკვევით იკითხება ანფასში და ასევე პროფილში, დინამიკურად და არ იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას.

*ტიპი მეოხე* (ტაბ. X) – მხრის „ნაწილობრივი დაცვით“, როცა მებრძოლის მხრის დამცავი ელემენტი შედგება მხოლოდ მართკუთხედი ან პტერუგების მსგავსი ფორმის ფირფიტებისგან. ამ ტიპის გამოსახულება უმრავლესია. პროფილში, დინამიკურად, გამოსახულებებზე, მხარსა და აბჯარს შორის არე, მცირე ზომის მომრგვალებულ ან კუთხოვანი ფორმის „დაუდგენელ დეტალს უკავია“, რომელიც მომრგვალო ფირფიტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ანფასში კი „ეს დეტალი“ აღარ გხვდება, მხოლოდ რიგ შემთხვევებში მხრისკენ მიმართული შვერილის მსგავსი ელემენტი ფიქსირდება.<sup>24</sup>

*ტიპი მესამე* (ტაბ. XI) – გამოსახულებები, რომლებიც ერთგვარად განმარტავს მხრის ამ „დაუდგენელ დეტალს“, სადაც ნათლად იკითხება მომრგვალო ან მცირედ კუთხოვანი ღიობი მხარსა და აბჯარს შორის, ზოგჯერ გამოსახულია აბჯრისშიდა სამოსიც, აგრეთვე შეიმჩნევა მხრისკენ მიმართული შვერილიც.

ქართულ იკონოგრაფიაში ნახევარსფერული ფირფიტებიანი აბჯარი ასახულია ლაგურკას წმ. კვირიკეს ვერცხლის ხატზე (ტაბ. 19), უშგულის ღვთისშობლის ხატზე (ტაბ. 47), ხარაგაულის (იხ. ქვემოთ – ტაბ. IX, 5) საკურთხეველის წინა ჯვარზე (ტაბ. 74), ნაკიფარის წმ. გიორგის ხატზე (ტაბ. 93), ხატების ვერცხლის ჩარდახზე ლაგურკიდან (ტაბ. 139) (ჩუბინაშვილი 1957). ამ ტიპის აბჯრით წმ. მეომრები იშვიათია ქართულ ხელოვნებაში, აღსანიშნავია ისიც, რომ ძირითადად გამოსახულებები წრიულ ან მართკუთხა მედალიონებზე გხვდებიან.

თუ დავუშვებთ იმ მოსაზრებას, რომ ქაფი მხოლოდ (მხრის დამცავი) მომრგვალო ფორმის ფირფიტაა და ის ცალკე ჯაჭვის აბჯარზეც გამოიყენებოდა (რაზეც ქართულ ისტორიულ წყაროებში არაერთხელ არის ამაზე მითითებული), მაშინ ლოგიკური იქნებოდა ქართულ და აღმოსავლურ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ამ ფაქტს რაიმე ფორმით ჰქონოდა ასახვა. საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ცალკე ნახევარსფერული ლითონის მხრის დამცავი ელემენტი ჯაჭვის პერანგზე ჩვენთვის უცნობია. მაგალითად, H1665, H75 ხელნაწერთა მინიატურებზე (შერვაშიძე 1964; ტაბ. II-LXIII; მოსიძე, მაცაბერიძე 2014: 16, 40, 47, 53, 99, 108, 117, 138, 162, 163, 247, 269; ჩხიკვაძე და სხვები 2018: 85-87), სადაც მეომრები ძირითადად ჯაჭვით არიან შემოსილი. პროფილში, დინამიკურად გამოსახულ მებრძოლებს, ჯაჭვისა და სამხრეს შეერთების ადგილზე შეენიშნებათ მხოლოდ მომცრო მომრგვალო ფორმის არე. ამავე მინიატურებზე, ანფასში გამოსახულ მებრძოლთა მხრებზე, ზემოთ აღწერილი წრიული ელემენტი არ ფიქსირდება, რაც პირველი ტიპის გამოსახულებებთან წინააღმდეგობაში მოდის. განსხვავებით მცირე ზომის მომრგვალო არეგან, პირველი ტიპის გამოსახულების შემთხვევაში ოსტატი ცდილობს გადმოსცეს ეს დამახასიათებელი დეტალი მოცულობითად მრუდი ხაზით, ეს კონკრეტული

დეტალი ამ ფორმით მეორე ტიპის გამოსახულებებისთვის უცხოა (ტაბ. X). ჩვენი ვარაუდით, „მომცრო მომრგვალო ფორმის არე“ ქაფის მხარზე სამაგრი ტყავის ან ლითონის „შვერილია“<sup>25</sup> რომელიც წარმოადგენს ქაფის მეორე ტიპის გამოსახულებას, მხრის „ნაწილობრივი დაცვით“.

დამატებითი გაუგებრობის მიზეზი შეიძლება გახდეს ერთ ფერში გადაწყვეტილი ნახევარსფერული არე, აბჯარი და ქაფი. ამის ნათელი მაგალითია „სკილიცეს ქრონიკის“ XII საუკუნის მინიატურები, სადაც აბჯარი და აბჯრის შემადგენელი ნაწილები ოქროსფრადაა გამოსახული, ერთფერშია იგივე დეტალები ადიშის ნმ. მეომრის და ნმ. გიორგის ადიშის ეკლესიის ფასადზე (ტაბ. XII).

მხარსა და აბჯარს შორის ლიობის და აბჯრის შიდა სამოსის კარგ ილუსტრაციას იძლევა ნმ. თევდორე სტრათილატის ხატი (ტაბ. XI, 4) მოგრძო სამხრე ფირფიტების თავზე ნახევარსფერული – მომრგვალო ფორმის არე მოჩანს. არეში – სივრცე გამოსახულია დაკვადრატებულად და კვადრატშიდა წერტილებით, რაც ერთგვარი ქსოვილის იმიტაციაა და რომელიც სავსებით შესაძლებელია აბჯრის შიდა სამოსი იყოს (დოუსონი 2009: 38, 39, 41). ზოგჯერ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ეს დეტალი სქემატურად არის გამოსახული (დეტალიზაციას მოკლებული, ხშირად აბჯრის შიდა სამოსისგან განსხვავებული ერთ ფერში შესრულებული წრიული ფორმის სივრცით), რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმე გვაქვს ნახევარსფერული ლითონის ან სხვა მასალისგან დამზადებულ ფირფიტასთან. ნმ. თევდორე სტრათილატის ხატზე არსებული, ზემოთ აღნიშნული დეტალი (გამოსახულია დაკვადრატებულად) შეგვიძლია ვიხილოთ<sup>26</sup> ფარის ნმ. გიორგის (ტაბ. XI, 5) მაგალითზეც (ჩუბინაშვილი 1957: 22, ტაბ. 59).

ჩვენ ვეთანხმებით რიგ ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და ვვარაუდობთ, რომ ქართული ქაფი მუსლიმურ Kaff და ბიზანტიურ მანიკიას (manikellia) შეესაბამება (ნიკოლი 1994: 23; ნიკოლი 1999ბ: 345, სურ. D, 515; დოუსონი 2009: 38, 39, 52).

ქაფი შედგებოდა ორი ნაწილისგან, მართკუთხედი ან მოგრძო სწორკუთხედი ფორმის ფირფიტებისგან, რომელთაც რიგ შემთხვევაში ზემოდან აძლიერებდა ნახევარსფერული მოზრდილი ზომის ფირფიტა.

ზოგჯერ ქაფს შიგნიდან ქსოვილის სარჩულსაც (ტაბ. XIII) უკეთებდნენ (გელათის ხატზე იდაყვის მიდამოებში გარკვევით იკითხება), სარჩულის დანიშნულება იყო სამხრის ხელზე მოხერხებულად ფიქსაცია, აგრეთვე სამხრეების და აბჯრისშიდა სამოსის დაცვა გახეხვისაგან. ქაფი ფორმითაც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, გამოიყენებოდა მილისებრი და ნახევარცილინდრისებრი სამხრეები. გელათურ აბჯარზე მილისებრი ქაფია ასახული.

რადგან სამხრეებზე არ იკითხება რბილი მასალის საფუძველი, აგრეთვე არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, შესაძლებლად მიგვაჩნია, ქაფი ლამელარული კონსტრუქციის ყოფილიყო.

კორპუსის და სამხრეების შეერთების ადგილას ვხედავთ მცირე ზომის, მართკუთხედი ფორმის ფირფიტებს მომრგვალებული ბოლოთი (კიდის გასწვრივ მრავალი წერტილით), ეს მცირე ზომის ფირფიტები, ჩვენი აზრით, შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული აბჯრის და სამხრის კიდეების მოსართავებია,<sup>27</sup> ერთგვარი არშია, ნახევარწრიული ელემენტებით, რომელიც კარგადაა ცნობილი ქრისტიანული იკონოგრაფიიდან. ამ ჩვენს ვარაუდს ამყარებს ბელორუსიაში შუა საუკუნეების ქ. გომელის გათხრების დროს გამოვლენილი მეთრადეს სახელოსნოს მასალა, სადაც ლამელარულ ფირფიტებთან ერთად აღმოჩნდა ქერცლოვანი ფირფიტებიც, მათ შორის სხვადასხვა ზომის აბჯრის კიდეების მოსართავი ქერცლები (ლუპინენკო, მაკუშნიკოვი 2010: 455, 459 სურ. 1, 1, 2), რომელთა ფორმას და კონსტრუქციას ზუსტად იმეორებს „გელათური აბჯრის“ მცირე მოსართავი ფირფიტები (ტაბ. VIII, 1-2).

## ქვედატანი

გელათის ხატზე გამოსახულ წმინდა გიორგის მასიური, მოგრძო ფორმის ფირფიტებისგან შემდგარი აბჯრის, ორკალთიანი ქვედატანი აცვია (ტაბ. III, 3), რომელიც იგივე პრინციპითაა შედგენილი როგორც კორპუსის აბჯარი, თუმცა ფიქსაცია აქ თითქოს ხისტი ტიპისაა (ერთმანეთზე დაკერებული სალტეებით). ასევე განსხვავებულია ქვედატანზე დამაგრებულ ფირფიტებიც, კერძოდ, მათ ზედაპირზე, ფირფიტის ქვედა კიდესთან გარკვევით იკითხება მოზრდილი ზომის წრეები, რომელიც მსგავსებას ავლენს ნახევარსფერულ ნიბოიან ფირფიტებთან. ესაა ე. წ. უმბოიანი ფირფიტები.

ქვედატანის ბოლო რიგის ფირფიტები, ტყავის სალტე საფუძველის გარეშეა გამოსახული, შთაბეჭდილება იქმნება თითქოს „თავისუფალად“ არის დაფიქსირებული. ჩვენი აზრით, ბოლო რიგის ფირფიტები არ საჭიროებს განიერ ტყავის სალტეებს, ასეთ გადაწყვეტას ერთგვარი დეკორატიული დატვირთვაც ექნებოდა.

უმბოიანი ფირფიტებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ფარაონ შემონკის აბჯრის (ტაბ. XIV, 4, თარიღდება ძვ. წ. X საუკუნით) ქერცლები დაკერებული იყო ქსოვილის საფუძველზე (შემორჩენილია), ფირფიტები მცირე ზომისაა, სწორი ზედა კიდით და მომრგვალებული ბოლოთი. ქერცლებს (ბოლოსკენ) გააჩნია ნახევარსფერული კოპი. დასამაგრებლად ორი წყვილი ნახვრეტი ჰქონდა. ფირფიტები ერთმანეთს გადაფარავდა მხოლოდ ვერტიკალზე, ჰორიზონტალური რიგები კი პირიპირზეა დამაგრებული. მ. გორელიკის აზრით, ასეთი

კონსტრუქცია ეგვიპტური აბჯრების სპეციფიკა იყო (გორელიკი 1993: 105; ტაბ. L, 12-12a).

მდრ. ირანი: ფირფიტები პერსეპოლისის სასახლიდან, თარიღდება ძვ. წ. VI-IV სს. ქერცლი მართკუთხედი, მომრგვალებული ბოლოთი, დასაფიქსირებელი სამი ნახვრეტით, თითქმის მთელ ზედაპირზე – მასიური უმბონით, მცირე ზომისაა – სიგრძე 2 სმ. (გორელიკი 1993: 107, ტაბ. L, 35).

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, შესაძლოა, ირანსვე უკავშირდებოდეს (უცხო იყო სკვითური სამყაროსათვის) უკრაინის ტერიტორიაზე ზაპოროჟიეში მიკვლეული მოოქროვილი ბრინჯაოს ფირფიტები, აქაც მსგავსად პერსეპოლისის სასახლის ფირფიტებისა, ქერცლის მთელ ზედაპირზე, მასიური უმბონია (ტაბ. XIV, 5), ქერცლი მართკუთხედი, მომრგვალებული ბოლოთი, ზედა კიდეზე დასაფიქსირებელი სამი ნახვრეტით, თარიღდება ძვ. წ. V-IV სს (გორელიკი 1993: 318-319; ტაბ. LI, 18).

შუა საუკუნეებში უმბონიანი ფირფიტების გავრცელება მოიცავდა რეგიონებს – ალთაიდან ბალკანეთამდე და ნოვგოროდიდან კავკასიის ჩათვლით. ყველაზე ადრეულია კენკოლის ყორღანული კულტურიდან № 3 ყორღანში აღმოჩენილი ფირფიტებია (ტაბ. XV, 1), ე. წ. „ჰუნური აბჯრის“ ნაწილი, გავრცელებულია თანამედროვე ყირგიზეთის ტერიტორიაზე (ზომები: 4,5X2 სმ.). ფირფიტას აქვს ოთხი დასაფიქსირებელი ნახვრეტი. მიეკუთვნება ქერცლოვანი ტიპის ფირფიტებს (ხუდიაკოვი და სხვები 2017: 94; გორელიკი 2011: 79).

ცენტრალურ ალთაის ტერიტორიაზე სამაროვან ბალიკ-სცცკ-1, ყორღანი № 11, აღმოჩნდა წარჩინებული თურქი მეომრის საფლავი (კუბარევი 2002: 88). თარიღდება VIII-IX სს. პირველი ნახევართ. სამარხი გაიძარცვა და შეგნებულად დაზიანდა (კუბარევი 2002: 92). ნაპოვნია ლამელარული რიგის სრული აბჯარი, რომელიც შედგებოდა ოთხი სხვადასხვა ტიპის ფირფიტისგან – სულ 263 ფირფიტა (ყველა დაზიანებულია), 107 მცირე ნატეხი და დიდი ზომის ფირფიტის 14 ნატეხი. მათ შორისაა უმბონიანი (ტაბ. XV, 2) ფირფიტები (სულ 34 ფირფიტის 46 ნატეხი)<sup>28</sup> (კუბარევი 2002: 92-96; სურ. 8, 1-3; სურ. 10, 1).

ალთაის მხარეში, მდინარე სენტელეკის ხეობაში, ადგილი ბალჩიკოვა – 3, გაძარცულ № 7 ყორღანში, მიკვლეული კენოტაფი, მიეკუთვნება თურქულ კულტურულ წრეს და თარიღდება VIII-IX სს. სამარხში იპოვეს შედგენილი ნახევარსფერულ კოპიანი ფირფიტების რიგი, სულ შედგებოდა 36 ფირფიტასაგან, ფორმით წაგრძელებული სწორკუთხედი, ერთ მხარეს ბოლოვდება მომრგვალებული თავით, (ცენტრში) აქვს ნახევარსფერული კოპი ანუ უმბონი (ტაბ. XV, 3).<sup>29</sup>

ფირფიტების გრძივი კვეთა რკალისებურია, განივ ზოლზე გადახრილი აქვს კიდეები, რომელიც ემსახურება ფირფიტების ერთმანეთთან უკეთ მოჭიდებას, მათი ერთმანეთზე გადაფარვის დროს. სავარაუდოდ, ასეთი ტექნიკური გადაწყვეტა აუმჯობესებდა აბჯრის სიმტკიცესაც. ფირფიტები მიეკუთვნება ლამელარული აბჯრის ტიპს (შულგა, გორბუნოვი 2002: 112, 123-124; სურ. 3, 4). ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ მოცემული აბჯრის ფრაგმენტი მიეკუთვნებოდა ცხენის აბჯარს (შულგა, გორბუნოვი 2002: 129).

დონეცკის ნაქალაქარზე (ხარკოვის ოლქში) ბ. ა. შრამკოს მიერ X-XII სს დათარიღებულ არქეოლოგიურ ფენებში 1956-1957 წლებში მიკვლეული იქნა რკინის ფირფიტა. რომელიც გამოირჩეოდა კორპუსის შუა ნაწილში ნახევარსფერული კოპით (ტაბ. XV, 4). ზომა 6,7X3,5 სმ. სისქე 1 მმ. (მედვედევი 1959: 127 სურ. 2, 2).

სოფელ ჯანგალიდან აღმოსავლეთით 7 კმ. ბეკ-ბიკეს (იგივე ჯანგალა 19 – № 139) სახელით ცნობილ ადგილას (ტაბ. XV, 5) გაითხარა მეომრის სამარხი, სადაც ნაპოვნი იქნა რკინის ძლიერ დაჟანგებული უმკლავო აბჯარი, რომელიც თითქმის მუხლამდე აღწევდა (სინიციანი 1950: 109; სურ. 32), ფირფიტების ზომა 6,5X3,5 სმ. სისქე 1,5 მმ. ფირფიტა სწორკუთხა წაგრძელებული ფორმისაა, მომრგვალებული დაბოლოებით. ფირფიტის სახიან მხარეს შუისკენ აქვს ნახევარსფერული 1 სმ. დიამეტრის კოპი. წაკვეთილ კიდეზე სამი ნახვრეტით, ხოლო გვერდებზე ორ-ორი ნახვრეტით, ნახვრეტის დიამეტრი 1 მმ (სინიციანი 1950: 110; მათიუშკო 2013: 114; სურ. 5).

ფირფიტებზე, ზურგის მხრიდან შეიმჩნეოდა უხეში ტილოს ანაბეჭდი (სინიციანი 1950: 111). თუ ეს ქსოვილი აბჯრის საფუძვლის ფუნქციას ასრულებდა, მაშინ, შესაძლოა, ბეკ-ბიკეს აბჯარი ქერცლოვანს მივაკუთვნოთ, თუმცა ფირფიტები მიმართული იყო მომრგვალებული ბოლოთი ზევით, რაც თითქოს მისი ლამელარობის განმსაზღვრელია. ავტორი აბჯრის თარიღად ორ პერიოდს დებს, პუბლიკაციაში VIII-XII სს. მიუთითებს, ხოლო ანგარიშში IX-X სს. ათარიღებს (რუკავიშნიკოვი 2002).<sup>30</sup> ი.ვ. მათიუშკო გორელიკზე დაყრდნობით მას ლამელარული ტიპის აბჯრად მიიჩნევს და XI-XIII სს. ათარიღებს (მატიუშკო 2013: 114, 117). გ.ა. ფეოდოროვ-დავიდოვი ამავე ფირფიტებს შეეხო თავის ნაშრომში და თანხვედრი მასალის გათვალისწინებით XIII-XIV სს. დაათარიღა (ფეოდოროვ-დავიდოვი 1966: 24). მ. გორელიკის მოსაზრებით, ბეკ-ბიკეს აბჯარი XIII ს. მონღოლურ საქურველს მიეკუთვნება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბეკ-ბიკეს ფირფიტებზე არ შეინიშნება (დადგენილი არაა მისი არსებობა) უმბონს ზედა ორი ნახვრეტი, მ. გორელიკმა ხელოვნურად დაუმატა და ამით ფირფიტები ლამელარულად აქცია. ეს მომენტი კარგად ჩანს მის მიერ შემოთავაზებულ გრაფიკულ გამოსახულებებზე (გორელიკი 2002: 70; სურ. 15; გორელიკი 2011: 81; სურ. 3, 2).

თათარსტანში, ალექსეევსკის რაიონში, ისტორიულ ვოლგის ბულგარის ტერიტორიაზე, გაითხარა ოსტოლოპოვოს ნასოფლარი (გათხრები მიმდინარეობს XX ს. 60-იანი წლებიდან). სოფელი მდებარეობდა სავაჭრო გზების გადაკვეთაზე. დასახლება შეიწირა XI-XII სს (უფრო შუახანები) მიმდინარე ქვეყნისშიდა კონფლიქტებმა, განადგურების კვალი კარგად იკითხება.



ნასოფლარის ტერიტორიაზე ნაპოვნია მრავალი იარაღის ნაშთი, მათ შორისაა აბჯრის უმბონიანი ფირფიტებიც (ტაბ. XV, 6). ფირფიტები სწორკუთხაა მომრგვალებული ბოლოთი ზომა 5/5,5X2,7/3 სმ., უმბონის დიამეტრი 10 მმ. ნახვრეტების რაოდენობა სხვადასხვა 8 დან 13 ჩათვლით. რაც გვაფიქრებინებს, რომ ფირფიტები მიეკუთვნება ლამილარული აბჯრის ტიპს (რუდენკო 2010: 202, 207, 222; სურ. 19, 6; სურ. 20, 17; რუდენკო 2007: 175; სურ. 64, 3-8; რუდენკო 2015: 192, 193; სურ. 6, 3-9).

არქეოლოგიური მონაპოვარი არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთუმბონიანი ფირფიტებით, სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია რამდენიმე უმბონიანი ფირფიტაც (ტაბ. XVI): შვედეთში, A ტიპის ფირფიტა სამი უმბონით ბირკის ნაქალაქარიდან, ზომა 9,7X2,7 სმ. (ჰიარდარი, ვიკე 2016: 194-195), ორუმბონიანი ფირფიტები ოლელოკოვოს ნაქალაქარიდან (კიევის რაიონი უკრაინა) – X-XIII სს. (ლუპინენკო 2007: 334, სურ. 5); ორი უმბონი აქვს ფირფიტებს ნოვგოროდიდან (რუსეთი), თარიღდება XI-XII სს., ზომა 6,2X2,4 სმ. და 8,0X4 სმ., სისქე 1 მმ. (მედვედევ 1959: 129, სურ. 1, 11-12; ლუპინენკო 2007: 334, სურ. 3-4); ჩრდ. კავკასიისწინეთი (რუსეთი), სამუმბონიანი და ორუმბონიანი ფირფიტები (გორელივი 2002: 68, სურ. 12-13); ფირფიტები გომელის იარაღის სახელოსნოდან (ბელორუსია), XIII ს. პირველი ნახევარი, ზომა: ზომა 9,2X2,1 სმ. (ლუპინენკო 2007: 334, სურ. 6). 1981 წ. დარღვეულ ყორღანულ სამარხში ს. ნოვოტერსკოესთან აღმოჩნდა აბჯრის ნაშთები რომელიც შედგენილი იყო ორ და სამუმბონიანი ფირფიტებით, ზომა 8,2X3,2 სმ. თარიღდება XIII-XIV სს. (ჩახკიევი 1984: 97. სურ. 3-5;<sup>31</sup> გორელივი 2011: 81, სურ. 4). აბჯარი უმბონიანი ფირფიტებით ნაპოვნია № 10 ნახევრადმინისქვეშა აკლდამაში კელიის სამაროვნიდან, ინგუშეთში (გორელივი 2011: 86, სურ. 6, 1).

რამდენიმე უმბონიანი აბჯრის ფირფიტას პარალელები ქართულ იკონოგრაფიაშიც მოეძებნება (ტაბ. XVII), უმბონები აბჯარზე წრეების და მსხვილი წერტილების მეშვეობით არის გადმოცემული.<sup>32</sup>

ნაკურალეშის X ს. ნმ. გიორგის (ტაბ. 42), XI ს. წვირმი-ჩობენის ნმ. გიორგის (ტაბ. 249), ნაცულის XI ს. ნმ. გიორგის და იფრარის ნმ. გიორგის XI ს. ხატებზე (ტაბ. 251) ერთუმბონიანი ფირფიტებია გამოსახული; X საუკუნის საყდრის ჯვარზე, ორუმბონიანი ფირფიტებიანი აბჯრითაა ნმ. მხედრები, გიორგი და თევდორე (ტაბ. 40, 41). X საუკუნის ტრიპტიხზე ჩიხარეშიდან ნმ. გიორგი და ნმ. თევდორე ერთ და ორუმბონიანი ფირფიტებით<sup>33</sup> არიან გამოსახულნი (ტაბ. 47). ლაბეჭინის XI ს. ნმ. გიორგის ხატზე (ტაბ. 181) აბჯარი ასევე ორი უმბონითაა (ჩუბინაშვილი 1959).

განსხვავებული მოსაზრება აქვს მ. წურწუმის აქ წარმოდგენილ ხატებზე ასახულ აბჯრებთან დაკავშირებით. მისი ვარაუდით, აბჯარზე ფირფიტების დასაფიქსირებლად მოქლონებია გამოყენებული (წურწუმია 2013: 27-30).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ. კერძოდ, არქეოლოგიური მასალა მიუთითებს უმბონიანი ფირფიტების მასიურ გავრცელებას ფართო ტერიტორიაზე – გვიანი ბრინჯაოს ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, განსხვავებით მოქლონიანი<sup>34</sup> ფირფიტებისგან, რომლის ერთეული ნიმუშია ცნობილი (წურწუმია 2013: 30; წურწუმია 2016: 294).

სწორედ უმბონიანი ფირფიტების გამოსახვა მოხდა ქართულ იკონოგრაფიაშიც. ოსტატმა წრეებისა და მსხვილი წერტილების საშუალებით გადმოსცა ფირფიტის იერსახე. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი თანამედროვეობაც, უმბონს გამოვხატავთ მოცულობითი წრიული ხაზებით და მსხვილი წერტილებით.

გელათის წმინდა გიორგის ხატზე ასახულ საქურველზე ჩვენ მიერ გაკეთებულმა ერთგვარმა თეორიულმა რეკონსტრუქციამ გვიჩვენა, რომ „გელათური“ აბჯარი გამოირჩევა იშვიათი კონსტრუქციული გადაწყვეტებით.

ჩვენთვის ცნობილი გამოსახულება მსგავსი აბჯრის წყობით საქართველოს გარეთ ფიქსირდება დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე.

აბჯარი შედგება სამი განსხვავებული პარამეტრის მქონე ფირფიტისაგან, შეიძლება ითქვას, რომ ქერცლოვანი და ლამელარული წყობის ერთგვარი ჰიბრიდიცაა. კორპუსზე ვხედავთ კიდურა (სამ) ნახვრეტიანი ფირფიტას, სამხრებზე ვერტიკალურ წიბოიანი ფირფიტებია, ხოლო – ქვედატანზე უმბონიანი.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სამივე ტიპის ფირფიტას იცნობს ანტიკური სამყარო, მათ შორის წინარე ქართულიც, მაგრამ პირდაპირი მემკვიდრეობითი კავშირი შუა საუკუნეების საქართველოსთან ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია. რაც შეეხება შუა საუკუნეებს, აქ აშკარად იკვეთება აღმოსავლური „ხელწერა“, აგრეთვე გარკვეული კავშირებია ევროპის ზოგიერთ რეგიონთან. საქართველო ადგილობრივ ინოვაციებთან ერთად წარმოდგენდა ერთგვარ შუარგოლს შეიარაღების ცალკეული ელემენტების გავრცელებაში, აღმოსავლეთის ქვეყნებს, ევროპასა და ბიზანტიას შორის. მაგალითად, უმბონიანი და ვერტიკალურწიბოიანი ფირფიტები, მათი არსებობის ადრეულ ეტაპზე (X-XI სს), ერთ-ერთ მთავარ მწარმოებლად და გავრცელების ცენტრად საქართველო გვესახება.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მ. წურწუმის მოსაზრებას: „საქართველოს თავისი მდებარეობის წყალობით, ბიზანტიაზე უფრო ადრე ჰქონდა შეხება ჩრდ. კავკასიის თუ ცენტრალური აზიის ნომადებთან, რომელთა შეიარაღების სიახლეები, პირდაპირ თუ ტრანსფორმირებული, სწორედ საქართველოს გავლით შეიძლება მოხვედრილიყო ბიზანტიაში“ (წურწუმია 2013: 45).

## შენიშვნები

- 1 ქართული წყაროთმცოდნეობა XIX/XX (2017/2018: 103-128).
- 2 არტეფაქტების საერთო სიღარიბე განპირობებულია სხვადასხვა გარემოებით: სამარხეული ინვენტარის სიმწირით, გამოსაკვლევი რჩება საბრძოლო მოქმედების არეალი, არ არის სათანადოდ შესწავლილი მუზეუმის ფონდები (ბაქრაძე 2014: 277).
- 3 წმ. გიორგის ხატი გელათიდან, გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოქვეყნებულ № 193 ხატს (ტაბ. II) უნდა წარმოადგენდეს. ცნობილი იყო თ. კიუნეს ფოტოს მიხედვით ე. თაყაიშვილის ექსპედიციიდან, რომელსაც ავტორი რაჭისეულად თვლიდა (ჩუბინაშვილი 1959: 344).
- 4 დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასახული აბჯარი ატარებს ქერცლოვანი აბჯრისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, განსხვავებული ანუ ლამელარული აბჯრისთვის დამახასიათებელი ელემენტები „გელათურ“ აბჯარზე არ იკითხება, გარდა (შესაძლოა) სამხრეებისა.
- 5 სკანდინავურად ფირფიტოვან (ლამელარულ) აბჯარს *spangabrynja* ეწოდება, რომელიც სიტყვა *spöng*-დან წარმოდგება, რაც ყავარს ნიშნავს (კარმიტისებრი) (ჰიარდარი, ვიკი 2016: 194).
- 6 დ. ნიკოლი მეომარს წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან „ბიზანტიელად“ მიიჩნევს. მოცემული საკითხი სცილდება ჩვენს საკვლევ თემას, თუმცა აღსანიშნავია, რომ „გერმანელი“ ატარებს როგორც დასავლელ ევროპელი, ასევე აღმოსავლელი ქრისტიანებისთვის (ბიზანტიური?) დამახასიათებელი შეიარაღების ელემენტებს.
- 7 ზომით პლისნესკის ფირფიტას ემსგავსება.
- 8 ავტორის მოსაზრებით, „შესაძლოა ეს (ფირფიტა) ბიზანტიური ტრადიციის გამოვლინებაა“ (ლუპინენკო 2006: 116). როგორც ჩანს, ი. ლუპინენკომ „ტრადიციულად“, „განსხვავებულ“ კონსტრუქციის ფირფიტა ბიზანტიურს მიაკუთვნა.
- 9 რკინის ფირფიტები, სხვადასხვა ზომისაა სიგრძე 7 სმ.-დან, 2,5 სმ.-მდე.
- 10 4 და 1,5 სმ სიგრძის რკინის ფირფიტები.
- 11 ბრინჯაო, სიგრძე 2 სმ.
- 12 ზომა 5,1X3,5 სმ.
- 13 დამზადებულია ბრინჯაოსგან, სიგრძე 2-1,7 სმ.
- 14 ჩვენ ჩავატარეთ მცირე ექსპერიმენტი, რომელმაც მოგვცა შემდეგი სურათი. სალტებზე ნაკერი გადის ყოველი ფირფიტის ქვედა მომრგვალებულ კიდეებთან და ამავე დროს ეს ნაკერი აუცილებლად უნდა დაემთხვეს ქვედა რიგის ფირფიტების ზედა ნახვრეტებს, რის გამოც იზრდება სალტებს შორის დაშორება, სათანადოდ ფირფიტებს შორისაც, რის შედეგადაც სალტების ერთმანეთის გადაფარვის არეც, დაახლოებით 15-20 მმ. (ლუპინენკოს მიხედვით)-დან 10-12 მმ.-მდე მცირდება, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება აბჯრის საერთო სიმტკიცეზე, აგრეთვე მიღებული მოწინააღმდეგე ცხადყოფს, რომ ამგვარი მანიპულაცია უარყოფითად იმოქმედებს აბჯრის ელასტიურობაზე, სალტების „თავისუფალი“ სვლა ძლიერ შეიზღუდება (თითქმის უძრავი იქნება).
- 15 მარჯვენა ხელზე სამი, ხოლო მარცხენაზე ორი ფირფიტების რიგია გამოსახული. აგრეთვე სამხრეების აბჯართან შეერთების ადგილას ვხედავთ მცირე ზომის, მართკუთხედი ფორმის ფირფიტებს მომრგვალებული ბოლოთი (კიდის გასწვრივ წერტილებით).
- 16 ქერცლები მცირე ზომისაა, სიგრძე დაახლოებით 5 სმ.
- 17 ფირფიტები დიდი ზომისაა 12/15X4,5 სმ. სწორკუთხოვანი, ქვემოთ ფართოვდება და მწყობრად გადადის ნამახულ ბოლოში, ვერტიკალური ნიბოთია. ნაპოვნია ორჯერ ნაკლები ზომის ფირფიტებიც.
- 18 ფირფიტა მართკუთხედი ფორმისაა, ზომით 5,4X1,4 სმ.
- 19 ფირფიტები ბულგარეთიდან: ველიკი პრესლავი X ს, სასახლის კარის ეკლესია, ზომა 4,1X2,1 სმ., ფირფიტა სოფ. პოპინად თარიღდება IX-XI სს; ფირფიტა ქალაქი პლისკადან, (იოტოვი 2004: 122, 125, სურ. 72 პირველი რიგის პირველი, 126, ტაბ. LXI, მეორე რიგის მესამე სურათი, ტაბ. LXIV, სურ. 702, 704, 715, ტაბ. LXV, სურ. 709, 713).
- 20 ავტორი ზოგადი აღწერით შემოიფარგლა. ფირფიტის ზომებია 8X4 სმ.
- 21 ზომა 5,2X3 სმ.
- 22 ზომა 6,0X4 სმ, ნიბო 5 მმ, ნიბოს სიმაღლე 3 მმ.
- 23 ანტიკური პერიოდის და ადრეული შუა საუკუნეების აბჯრის ელემენტი. ტყავის ან სხვა რბილი მასალისგან დამზადებული, ვერტიკალური ფართო ზოლები (ნაგრძელებული მართკუთხედის ფორმის), რომლებიც იცავდა მხრებსა და ქვედატანს (მუხლამდე).
- 24 ეს დეტალი კარგად ჩანს წმ. პროკოფის მინიატურის გამოსახულებაზე (ტაბ. XI, 6).
- 25 შესაძლოა დაკავშირება შვერილის გარეშეც ყოფილიყო, H1665 ხელნაწერის სცენა დავითი მძინარე საულთან კარავში (შერვაშიძე 1964: ტაბ. XXIII) (იხ. ქვემოთ – ტაბ. X, 1).
- 26 იგივე სიტუაციაა ასახული ადიშის წმ. მეომრის ფრესკაზეც (ტაბ. X, 3).
- 27 უმრავლეს გამოსახულებებზე სამხრეების შემადგენელია, მაგალითისთვის: ადიშის წმ. გიორგის ფრესკაზე (ტაბ. X, 2), ასევე ფარის წმ. გიორგის ქედურ ხატზეც (ტაბ. IX, 5).
- 28 ზომა 7,7/5X2,2/7 სმ. სისქე 1-3 მმ. ნახვრეტების რაოდენობა – 12.
- 29 ზომა 8,7/10X2,3/2,9 სმ., სისქე 1,5 მმ. საერთო სიგრძე 61,5 სმ. უმბონის დიამეტრი 10 მმ., სიმაღლე 2 მმ.
- 30 იხ.: <http://tgorod.ru/index.php/contentid/www.bumply.com/Medieval/www.cs.vassar.edu/~capriest/index.php?topgroupid=2&>

roupid=7&subgroupid=5&contentid=36

<sup>31</sup> იხ.: [https://kitabkhona.org.ua/lib\\_arh/kavkaz01.html](https://kitabkhona.org.ua/lib_arh/kavkaz01.html)

<sup>32</sup> განსხვავებული მოსაზრება აქვს მამუკა წურნუმიას, აბჯარზე გამოსახულ წრეებს მოქლონებად მიიჩნევს (წურნუშია 2016: 293-296).

<sup>33</sup> ჩიხარეშის ნმ. მეომრების აბჯრებზე, ქვედატანის ფირფიტების ბოლო რიგზე კარგად იკითხება დამაკავშირებელი თასმები.

<sup>34</sup> ჩვენ არ გამოვრიცხავთ სხვა შემთხვევებში მოქლონის საშუალებით ფირფიტების ფიქსაციას.

## დამონშებანი

**გამყრელიძე და სხვები 2018:** გ. გამყრელიძე, ვ. შატბერაშვილი, მ. ფირცხალავა, მ. ჩარკვიანი. იარაღ-საჭურველი ძვ. წ. V – ახ. წ. IV საუკუნეების საქართველოში, ტომი I. თბილისი.

**გორელიკი 1993:** Горелик М.В. Оружие древнего Востока (IV тысячелетие – IV в. до н.э.). М., “Восточная литература”.

**გორელიკი 2002:** М.В. Горелик. Серия Униформа Армий Мира, Армии Монголо-Татар X-XIV Веков. Воинское Искусство, Снаряжение, Оружие. Библиотека Журнала “Техника-Молодежи”. Москва Ея., Ооо Восточный Горизонт.

**გორელიკი 2011:** М.В. Горелик. Панцирь танмачи из медного гроба. Батыр. Традиционная военная культура народов Евразии №01 (2). М.: Марджани.

**გრავეტი 1994:** Ch. Gravett. (Osprey Warrior 001). Norman Knight 950-1204 AD. Osprey Publishing.

**გრიგორიევი 1994:** В.П. Григорьев. Захоронение тяжеловооружённого скифского воина у с. Гладковщина. Древности скифов. Киев.

**დ’ამატო 2012:** R. D’Amato. (Osprey Elite 187). Byzantine Imperial Guardsmen 925–1025. The Tághmataand Imperial Guard. Osprey publishing.

**დოუსონი 2007:** T. Dawson. (Osprey Warrior 118). Byzantine Infantryman: Eastern Roman Empire c. 900-1204. Osprey Publishing.

**დოუსონი 2009:** Timothy Dawson. (Osprey Warrior 139). Byzantine Cavalryman C. 900-1204. Osprey Publishing.

**ეჯი, პადოკი 1991:** D. Edge, J. Miles Paddock. Arms & Armor of the Medieval Knight: An Illustrated History of Weaponry in the Middle Ages.

**იოტოვი 2004:** Й. Валери. Въоръжението и снаряжението от българското средновековие (VII-XI век). Валери Йотов. Варна Зограф; Велико Търново Абагар.

**კალანტარიანი 1970:** А.А. Калантарян. Материальная культура Двина V-VIII вв. Археологические памятники армении. Средневековые памятники. Ереван.

**კალანტარიანი 2003:** А.Л. Калантарян. Торговля и ремесло. Глава 12. Раннее средневековье (IV-VIII вв.). Крым, Северо-Восточное Причерноморье и Закавказье в эпоху средневековья.

**კაფანდარიანი, კალანტარიანი 2002:** К.Г. Кафандарян, А.А. Калантарян. Двин II. Археологические раскопки в армении № 20. Город Двин и его раскопки (1973-1980 гг.). Ереван.

**კონოლი 1998:** P. Connolly. Greece and Rome at War, Macdonald Phoebus Ltd. London: Greenhill Books and Pennsylvania: Stackpole Books.

**კუბარევი 2002:** Г.В. Кубарев. Доспех древнетюркского знатного воина из Балык-Соока. Материалы по военной археологии Алтая и сопредельных территорий. Барнаул Изд-во Алт. ун-та.

**ლექსიკონი 1993:** სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. II. თბილისი, მერანი.

**ლუპინენკო 2006:** Ю. Лупиненко (Гомель). Пластинчатый доспех восточных славян в VII–X вв. Русь на перехресті світів (міжнародні впливи на формування давньоруської держави) IX-XI ст. Чернігів Сіверянська думка.

**ლუპინენკო 2007:** Ю. Лупиненко. Доспешные пластинки с тиснением с территории Черниговского Княжества в контексте древнерусского защитного вооружения X–XIII вв. Чернігів у середньовічній та ранньомодерній історії Центрально-Східної Європи. Чернігів: Деснянська правда.

**ლუპინენკო, მაკუნნიკოვი 2010:** Ю.М. Лупиненко, О.Л. Макушников. Чешуйчатый доспех восточнославянского ратника XII – XIII вв. (по материалам раскопок в Гомеле). Краеугольный камень. Археология, искусство, культура России и сопредельных стран. 80-летию А.Н. Кирпичникова посвящается. Т. I. СПб, М. “Ломоносов”.

**მატიუშკო 2013:** Матюшко И.В. Погребальный обряд кочевников XI–XIII вв. степного Приуралья. Тюркские кочевники Евразии (кимаки, кипчаки, половцы...): Сб. статей. Сер. «Тюркские племена и государства Евразии в древности и в средние века»; вып. 2. Казань.

**მედვედევი 1959:** А.Ф. Медведев (Москва). К истории пластинчатого доспеха на Руси. Советская археология, М., № 2.

**მელიუკოვა 1964:** А.И. Мелюкова. Вооружение скифов. САИ Д1-4. М. Изд. Наука, М. 1964., 113 стр. Археология СССР. Свод археологических источников. Выпуск Д 1 – 4.

**მოსიძე, მაცაბერიძე 2014:** ფსალმუნნი და გალობანი. საგამომცემლო პროექტი „განძი რჩეული“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, გამომცემლობა „ბაკმი“.

**ნეგინი, დ’ამატო 2018:** A. Negin, R. D’Amato. (Osprey Elite 225). Roman Heavy Cavalry (1) Cataphractarii & Clibanarii, 1st century BC.–5th century AD.

- ნეფიოდკინი 2011:** А.К. Нефёдкин. Военное дело сарматов и аланов (по данным античных источников). Серия («Historia Militaris»)// СПб: Филологический факультет СПбГУ, Нестор-История.
- ნიკოლი 1996:** D. Nicolle. (Men-At-Arms 171). Saladin and the Saracens: Armies of the Middle East, 1100-1300. Osprey Publishing.
- ნიკოლი 1999ა:** D. Nicolle. Arms & Armour of the Crusading Era, 1050-1350: Western Europe and the Crusader States (Vol 1). Grenhill Books, London.
- ნიკოლი 1999ბ:** D. Nicolle. Arms & Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia (Vol 2). Grenhill Books, London.
- ვიროხოვი, ნიკოლი 2019:** M. Zhirohov, D. Nicolle. (Men-at-Arms 522). The Khazars: A Judeo-Turkish Empire on the Steppes, 7th-11th Centuries AD. Osprey Publishing.
- რუდენკო 2007:** К.А. Руденко. Волжская Булгария в XI – начале XIII в.: поселения и материальная культура. Казань: РИЦ Школа.
- რუდენკო 2010:** К.А. Руденко. О необычных захоронениях на Остолоповском селище X-XII вв. в Татарстане. Русь и Восток в IX-XVI веках: новые археологические исследования / отв. ред. Ин-т археологии РАН. М.: Наука.
- რუდენკო 2015:** К.А. Руденко. Элита Волжской Булгарии (X – начало XIII в.): между Востоком и Западом (постановка проблемы) Элита в истории древних и средневековых народов Евразии [Текст]: коллективная монография, отв. ред. П.К. Дашковский. Барнаул, Изд-во Алт. ун-та.
- რუკავიშნიკოვი 2002:** Д. Рукавишников (Indeetz). Доспех из Бек-Бике. ხელმისაწვდომია: <http://tgorod.ru/index.php/contentid/www.bumpy.com/Medieval/www.cs.vassar.edu/~capriest/index.php?%20topgroupid=2&groupid=7&subgroupid=5&contentid=36> (ბანახია: 03. 10. 2019)
- სალავიოვი 2003:** А. Соловьев. Оружие и доспехи. Сибирское вооружение: от каменного века до средневековья. Новосибирск: ИНФОЛИО-пресс.
- სიმი, კამინსკი 2012:** D. Sim, J. Kaminski. Roman Imperial Armour The Production of Early Imperial Military Armour. Oxbow Books, Oxford, UK.
- სიმონენკო 2009:** Симоненко А. В. Сарматские всадники Северного Причерноморья. Серия («Historia Militaris»), СПб.: Факультет филологии и искусств СПбГУ.
- სინიცინი 1950:** И.В. Синецын. Археологические памятники по реке Малый Узень. Краткие сообщения Института истории материальной культуры. Краткие сообщения Института археологии. КСИИМК. Вып. XXXII. М.-Л. 1950.
- სკორი 1984:** С.А. Скорый. Доспех скифского типа в Средней Европе. Вооружение скифов и сарматов. Киев, Наукова думка.
- ფეოდოროვ-დავიდოვი 1966:** Г.А. Фёдоров-Давыдов. Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов Археологические памятники. М. Изд-во МГУ.
- შერვაშიძე 1964:** Л.А. Шервашидзе. К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре [Текст]: (Миниатюры батальной тематики в Джрუჩской псалтыри), Акад. наук Груз. ССР. Институт истории грузинского искусства, Тбилиси, Мецниереба.
- შულგა, გორბუნოვი 2002:** П.И. Шульга, В.В. Горбунов. Фрагмент доспеха из тюркского кенотафа в долине р. Сентелек. Материалы по военной археологии Алтая и сопредельных территорий. Барнаул Изд-во Алт. ун-та.
- ჩახკიევი 1984:** Д.Ю. Чахкиев. Богатое погребение воина-кочевника у села Новотерское (Чечено-Ингушетия) Археология и вопросы социальной истории Северного Кавказа. Грозный, ЧИГУ. ხელმისაწვდომია: [https://kitabhona.org.ua/lib\\_arh/kavkaz01.html](https://kitabhona.org.ua/lib_arh/kavkaz01.html) (ბანახია: 03. 10. 2019)
- ჩერნენკო 1968:** Е.В. Черненко. Скифский доспех. Киев: “Наукова думка”.
- ჩერნენკო 1991:** E.V. Cernenko. (Men-at-Arms 137). The Scythians, 700-300 BC. Osprey Publishing.
- ჩუბინაშვილი 1957:** გ. ჩუბინაშვილი. ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა. ალბომი ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი.
- ჩუბინაშვილი 1959:** Г.Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства, “Сабчота Сакартвело”, Тбилиси.
- ჩხიკვაძე და სხვები 2018:** ნ. ჩხიკვაძე, მ. კარანაძე, ლ. შათირიშვილი, თ. აბულაძე. ქართული ხელნაწერი წიგნი, V-XIX საუკუნეები, ალბომი, მეორე გადამუშავებული გამოცემა (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბილისი.
- წურწუმია 2013:** მ. წურწუმია. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები ტომი I, თბილისი, მხედარი.
- წურწუმია 2016:** მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700), ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება. თბილისი, მხედარი.
- ხუდიაკოვი და სხვები 2017:** Ю.С. Худяков, А.Ю. Борисенко, Ж. Орозбекова. Опыт сравнительного анализа панцирных доспехов воинов хунно-сяньбийского времени Саяно-Алтая и Тянь-Шаня. Теория и практика археологических исследований. Барнаул, Изд-во Алт. ун-та.
- ჰიარდარი, ვიკე 2016:** K. Hjardar, V. Vike. Vikings at War. Casemate Publishers.



## ONE EXAMPLE OF ARMOUR ACCORDING TO ST. GEORGE'S ICON OF GELATI

Zurab Maghradze

The present work is a continuation of our earlier article. Taking into account written sources and archeological material of neighboring to Georgia regions we tried to provide theoretical reconstruction of the armour depicted on the icon of St. George of Gelati, in particular, we tried to present constructive style of the armour and a typology of its constituent plates.



Reconstruction conducted by us on the armour depicted on St. George's icon of Gelati showed us that "Gelatian" armour stands out for its rare constructional decisions.

Similar style of armour is testified outside of Georgia. The armour consists of plates of three different parameters, it might be said, that it is a kind of hybrid of scale and lamellar style too. We see a three-holed plate on the body, there are scales with a central rib on pauldrons and with embossed dome on a lower half of body.


It must certainly be said that all three types of plates are known to the ancient world, including proto-Georgian, but the direct hereditary connection with Georgia of middle ages is unknown to us at this stage of research. As for the Middle Ages, here evidently appears eastern "handwriting" and also, certain connections with some regions of Europe. Georgia, with its local innovations, played a central role in spreading separate elements of armament between Eastern countries, Europe and Byzantium.



ფაბ. I.



1




2

ტაბ. II.

1. ლამელარულის წყობა (უცობი ინტერნეტ რესურსი).
2. ტრადიციული ქერცლოვანი აბჯრის წყობა. (ინტ. რესურსი: <http://swordmaster.com>).






ტაბ. III.


გელათის წმინდა გიორგის ხატი, X-XI სს. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი დეტალი.

1. კორპუსის აბჯარი, 2. ქაფი, 3. ქვედატანის აბჯარი.



ტაბ. IV.

1. გროსს-კომბურგის სააბატოს ეკლესია. 1140 წ. ბრინჯაოს კანდელაბრის დეტალი.
2. ლაფსკალდის წმ. გიორგის XI ს. დეტალი (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
3. ხერიას წმინდა გიორგი XI ს. დეტალი (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).



ტაბ. V. კიდურა ნახვრეტისანი ფირფიტები

1. პლისნესკი VII-X სს. (ი. ლუპინენკოს მიხედვით).
2. ი. ლუპინენკოს მოდელირებული აბჯრის ფრაგმენტი.
3. დუროვკა ძვ.წ. IV ს. (მ. გორელიკის მიხედვით).
4. ვანი ძვ.წ. IV ს. (მ. გორელიკის მიხედვით).
5. ეშერა ძვ.წ. IV-III სს. (მ. გორელიკის მიხედვით).





1




2



3



4



5



6



7




8



9

ტაბ. VI.


1. ჯუმათის წმ. გიორგის XI ს. ქედური ხატი (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
2. სხიერის გიორგის XI ს. ქედური ხატი (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
3. ვაჩეძორის (?) მონასტრის მხატვრობა წმ. გიორგის ფრესკა (<http:saunje.ge>).
4. არბაჯილის ტრიპტიქის X ს. წმინდა მეომრები: გიორგი და ევსტათე.
5. ქვაზე ამოკვეთილი ხატის ფრაგმენტი ტრიანოპოლისიდან XII ს. (<https:swordmaster.org>).
6. სოდომის მეფის ფიგურა რეიმსის ტაძრიდან XIII ს.
7. დავითი და გოლიათის ბრძოლის სცენა სენ ჟილეს სააბატოდან 1140-1180 წწ.
8. X ს. ჯამი მხედრის გამოსახულებით ნიშაპურიდან.
9. თეფში ბრძოლის და ალყის სცენით ირანიდან (ქაშანი ?) XIII ს. დასაწყისი ან პირველი მეოთხედი.



ტაბ. VII. ვერტიკალურ წიბოიანი ფირფიტები

1. ველიკი პრესლავი X ს. (ვ. იოტოვის მიხედვით).
2. პლისკა VII-VIII სს. (ვ. იოტოვის მიხედვით).
3. ბირკა X ს. (კ. ჰიერდარის, ვ. ვიკეს მიხედვით).
4. დვინი XII-XIII სს. (კ. კაფანდარიანის მიხედვით).
5. დვინი VIII-IX სს. (ა. კალანტარიანის მიხედვით).
6. გომელი XIII ს. (ი. ლუპინენკოს მიხედვით).





ტაბ. VIII.

1. ქ. გომელი, კიდეების მოსართავი ფირფიტები (ი. ლუპინენკოს, ო. მაკუშნიკოვის მიხედვით).
2. გელათური ქაფი, მოსართავი ფირფიტების გამოსახულებით.
3. ქაფი (ტ. დონსონის მიხედვით).



ტაბ. IX. ტიპი პირველი, ნახევარსფერული ფირფიტები

1. ისუ, ძე ნავეს ბრძოლის ამსახველი სცენები. დეტალი. ზარდახშა X ს.
2. ნმ. დემეტრე. სპილოს ძვლის სატი, X ს.
3. ნმ. დემეტრე და ნმ. გიროგი. ტრიპტიხის დეტალი, X-XI სს.
4. ნ, ნესტორი სოლუნელი. კედლის მხატვრობა, დეტალი, XII ს.
5. ხარაგაული. ჯვრის დეტალი (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
6. ანჟერის ციხე-დარბაზი. კედლის მხატვრობის დეტალი, 1280-1314 წწ.
7. მინიატურა ნმ. დიონისეს ცხოვრებიდან, დეტალი, 1317 წ.
8. რეიმსის ტაძარი. ყრმათა მონყვედა, დეტალი, XIII ს.
9. სოდომის მეფე. რეიმსის ტაძარი, XIII ს.
10. სამხრე ფირფიტა, ფრაგმენტი, ვერხნი ჩირ-იურტის სამაროვანი, VII-VIII სს.
11. სამხრე ფირფიტა, ფრაგმენტი, ბორისოვსკის სამაროვანი, ქ. გელენჯიკიდან, VIII-IX სს.





1



2



3



4

ტაბ. X. ტიპი მეორე (ვარიანტი)

1. H1667 ხელნაწერი, დავითი მძინარე საულტან კარავში, XIII-XIV სს.
2. H1677 ხელნაწერი. დავითი გოლიათთან ბრძოლის წინ, XIII-XIV სს.
3. H75 ხელნაწერი, დავით მეფისა და ადრაზარის ბრძოლა, XIV ს.
4. H75 ხელნაწერი, ბატალური სცენა, XIV ს.





1



2



3



4



5




6

ტაბ. XI. ტიპი მესამე

1. ვისოკი დეჩანის მონასტერი, დეტალი, XIV ს.
2. დავითი და გოლიათი, თეოდორეს ფსალმუნი, 1066წ.
3. სახარება, კილიკია, დეტალი, 1262 წ.
4. ნმ. თევდორე სტრათილატელი, XI ს.
5. ნმ. გიორგი, ფარი, დეტალი, XII ს. (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
6. ნ, პროქოფი, XI ს. (მ. წურნუმიას მიხედვით).





ტაბ. XII.

1. „სკილიცას ქრონიკა“, არაბებისა და ბიზანტიელების ბრძოლა, XII ს.
2. წმ. გიორგი, ადიშის ეკლესია (მ. წურწუმის მიხედვით).
3. წ. მეომარი, ადიშის ეკლესია (მ. წურწუმის მიხედვით).





1



2




3



4


ტაბ. XIII. ქაფის სარჩული

1. წმ. დემეტრე, სპილოს ძვლის ხატი, XI ს.
2. წმ. თევდორე სტრათილატელი, თევდორეს სახარება 1327 წ.
3. ისუ, ძე ნავესი, ოსიოს ლუკას მონასტერი, X ს.
4. წმ. ნესტორი, ოსიოს ლუკას მონასტერი, X ს.



ტაბ. XIV.


1. ჰაზა, ძვ.წ. XVIII-XVII სს. (მ. გორელიკის მიხედვით).
2. კახეთი, ძვ.წ. II-I ათასწლეული (მ. გორელიკის მიხედვით).
3. კახეთი, სამარხი 10, ძვ.წ. XIII ს.
4. ფარაონ შუშონკის აბჯრის ფრაგმენტი, ძვ.წ. X ს. (მ. გორელიკის მიხედვით).
5. ზაპოროჟიე, ძვ.წ. V-IV სს. (მ. გორელიკის მიხედვით).



ტაბ. XV. უმბონიანი ფირფიტები

1. კენკოლი, V ს. (ი. ხუდიაკოვის მიხედვით).
2. ბალიკ-სცკ-1, VIII-IX სს. (გ. კუბარევის მიხედვით).
3. ყორანი 7, VIII-IX სს. (პ. შულგას მიხედვით).
4. დონეცკი, XI-XII სს. (ა. მედვედევის მიხედვით).
5. ბეკ-ბიკე (ჭანგალა 19), X-XIII ს. (ა. მედვედევის მიხედვით).
6. ოსტოლოპოვო, XI-XII სს. (კ. რუდენკოს მიხედვით).





ტაბ. XVI. რამდენიმე უმბონიანი ფირფიტა

1. ბირკა, X ს. (კ. ჰიარდარის, ვ. ვიკეს მიხედვით).
2. ოლელოვო, X-XIII სს. (ი. ლუპინენკოს მიხედვით).
3. ნოვგოროდი, XII ს. (ი. ლუპინენკოს მიხედვით).
4. გომელი, XIII ს. (ი. ლუპინენკოს მიხედვით).



1



2



3



4



5



6

ტაბ. XVII. გამოსახულება ერთ და ორ უმბონიანი ფირფიტებით

1. ნაკურალეში, X ს. (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
2. წვირმი-ჩობენი, XI ს. (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
3. იფრარი, XI ს. (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
4. საყდარი, X ს. (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
5. ჩიხარეში, X ს. (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).
6. ლაბეჭინა, XI ს. (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).

**დასჯის ფორმები განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის  
ჩვეულებით სამართალში**

**ბექა მგელაძე**

საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის სამართლებრივ ყოფიერებაში დანაშაულის საზღაურად მიაჩნდათ დასჯის ამ თუ იმ ფორმის გამოყენება, შესაბამისად, დროსა და სივრცეში, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დანაშაულის სიმძიმესთან შესატყვისობაში, დასჯის განსაზღვრული სახეობები იყო წარმოდგენილი. ამასთან, ისინი სხვადასხვა ხალხში ეთნიკური ხასიათის საწესდებო იერსახესაც ატარებდა. დასჯა, როგორც სამართლებრივი მოქმედება, უძველესი სახელმწიფოების კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი იყო და იგი ამა თუ იმ ტიპის საზოგადოებაში სხვადასხვა ფორმისა და შინაარსისა გახლდათ. სისხლის აღების ჩვეულება, რომელიც საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული, ტალიონის პრინციპს ეყრდნობოდა: „თუალი თუალისა წილ, კბილი – კბილისა წილ“ (ქამადაძე 1999: 161-162), ანდა ტრადიციულ საზოგადოებაში ხალხური ჩვეულებითი სამართლით დაკანონებული გამონათქვამით ხელმძღვანელობდნენ – „კბილი კბილის წილ, სისხლი სისხლის წილ“ (ბახია 2014: 123). უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ეს შუამდინარეთის უძველეს ჩვეულებით სამართალთან იყო დაკავშირებული. არაა გამორიცხული განსაზღვრული ხალხის წინაპრებს, თავის დროზე, ზოგიერთი სამართლებრივი პუნქტი ძვ. წ. XX საუკუნის ეშნუნის მეფის ბილალამისა და ძვ. წ. XVIII საუკუნის ხამურაბის კანონებიდანაც გადმოეღოთ, შეეთვისებინათ და შემდეგ კანონიკურ თუ საერო იურიდიულ წყაროებში შეეტანათ, რის შედეგადაც იგი მომდევნო ცივილიზაციებში უფრო ფართოდ გავრცელდა. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდებით თუ სხვადასხვა ხალხის, მათ შორის, ქართველი ხალხის სამართლის წიგნებს ღრმად გავცნობით და ცალკეულ იურიდიულ მუხლს ერთმანეთს შევუდარებთ. არაერთი სამართლებრივი ნორმა ქართულ ფეოდალურ სამართალშიცაა წარმოდგენილი, ბუნებრივია, სახენაცვალი ფორმით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი პირდაპირ ხამურაბის კანონებიდან გადმოვიდა. სამართლის ნორმები, როგორც ჩანს, დროის კონტინუუმში სხვადასხვა ხალხსა და ქვეყანაში გადაადგილდებოდა, მათ სამართალშიც აისახებოდა და, შესაბამისად, მეზობელ ხალხებსა და ქვეყნებს გადაეცემოდა.

ძველი აღმოსავლეთის კანონიკური და საერო იურიდიული წყაროები, რომლებიც დამნაშავის დასჯასაც ითვალისწინებდა, ჩვეულებითი სამართლიდან იყო აღმოცენებული. ასე იყო ძველ საქართველოშიც, რაზეც ფეოდალური სამართლის არაერთი წიგნი მეტყველებს (ენუქიძე 1955: 45-121, 122-151; ბაგრატიონი 1957: 3-59, 63-63, 68-111; ნადარეიშვილი 1965: 3-243, ნადარეიშვილი 1986: 8-9, 3-196; დოლიძე 1953: 81-99, 1957: 3-4, 29-48; ფუტყარაძე 1964: 12-110). ტალიონის წესი ძირითადად მკვლელობის ორ სახეს მოიცავდა: მკვლელობას სისხლის აღების ნიადაგზე და მკვლელობას შურისძიების ნიადაგზე. ორივე მათგანი ინდივიდუალური ხასიათის სასჯელები იყო და კავკასიის ხალხებში, მათ შორის, ქართველებში დადასტურებული თვითგასამართლების ფორმებს წარმოადგენდა (ქამადაძე 1999: 161). თუმცა თუ სხვა ქვეყნებში სასჯელთა შორის უპირატესი მაინც ტალიონი იყო, საქართველოში სასჯელთა სახეებს შორის ძირითადად კომპოზიციური სისტემა გამოიყენებოდა. მაგალითად, სიკვდილით დასჯა, ასოთა მოღება – განპატიჟება, რაც სხეულის რომელიმე ნაწილის, ვთქვათ, ხელისა და ფეხის მოკვეთას, თვალების დათხრას გულისხმობდა; ექსორია – გაძევება, თავისუფლების აღკვეთა ანუ საპყრობილეში, კერძოდ, ციხეში ჩასმა: დილეგში ჩაგდება, საკანსა და საპატიმროში გამომწყვდევა; გვემითი სასჯელები – სხეულის დაზიანება მათრახის დარტყმით, ე.წ. ტაჯგანაგის კვრა, თასმით ცემა, ლუედით მიმთხვევა; მამულის დაჭირვა – ქონების კონფისკაცია, დაყადაღება, პირებისათვის უფლებების ჩამორთმევა, მათ შორის, სამხედრო ანდა რაინდობის უფლების ჩამორთმევა; დაკრულვა – წყევლა და კრულვა; გამანბილებელი სასჯელები – სამარცხვინო ბოძთან დაყენება, ყელზე გამობმული საბელით ქუჩა-ქუჩა ტარება, გაპარსვა, საჯაროდ სილის განწნა, ვირზე შესმა, მამაკაცის ქალის ტანსაცმელში გამონყობა, თავზე ნაცრის დაყრა (გოგოლიშვილი 2011: 100). ვახუშტი ბატონიშვილი სამართლისა და შურისხვის წესებს გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში საკმაოდ ნათლად აღწერდა. იგი წერდა:

ხოლო წესნი სამართლისა და შურისხვისათჳს აქუნდათ: სისხლი, ჳრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი. სისხლს უწოდებდნენ ოდეს სწორმან მოკლის ვინ ვინმე სწორი. მეფისაგან შურისხვა იყო ანუ სიკვდილი, ანუ გვემა და პატიმრობა, ხოლო მკულელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი. ხოლო უკჭთუ უმაღლესმან მოკლის უმცირესი, დაუურვის სისხლი, ხოლო უმაღლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა (ლომოური, ბერძენიშვილი 1941: 15).



ქართულ ისტორიოგრაფიაში ადათობრივი სამართლის მრავალფუნქციური დანიშნულება მართებულადაა შეფასებული, სადაც შენიშნულია, რომ ჩვეულებითი სამართალი მხოლოდ საჩივრისა და დანაშაულის განხილვის პროცესს არ წარმოადგენდა. იგი საქართველოს ამა თუ იმ კუთხის სათემო გაერთიანებებში თემის ყოველდღიური შინაური და გარეთა ცხოვრების იმ დაუნერგელ კანონებს არეგულირებდა, რომლებიც მათი ყოფისათვის იყო დამახასიათებელი. ხალხის ცხოვრებაში კი ეს კანონები, უფრო ზუსტად კი – დაუნერგელი ჩვეულებითი სამართალი, თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ზეპირი მახსოვრობით მათ ცნობიერებაში აისახებოდა. ამასთან, სოციალური და სამართლებრივი სტერეოტიპებისა თუ უფლებრივი ნორმების საფუძველზე მათი მოწესრიგება არა მხოლოდ მიწათსარგებლობის, ქონებრივი ურთიერთობების, საზოგადოებასა და ოჯახში ქცევის ნორმების, მოვალეობებისა და ურთიერთდახმარების სფეროში მიმდინარეობდა, არამედ, უპირველესად, კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნისას, კერძოდ, სისხლ-მესისხლეობის, შურისძიების, ქალის გატაცების, შეურაცხყოფისა და გაუპატიურების დროს (ბახია 2014: 4). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ კანონმდებლობაში ასახულ სისხლის სამართალში ჩვეულებითი მორალის განმსაზღვრელ მნიშვნელობაზე კანონიკური სამართალი, ბაგრატ კურაპალატის კანონმდებლობისა და ბექა-ალბულას კანონთა კრებულებიც მიუთითებს (დოლიძე 1953: 81). სახელმწიფო სამართლის სხვადასხვა მუხლისა და ხალხურ ჩვეულებათა შინაარსობრივი იდენტურობა იმანაც განაპირობა, რომ ბექასა და ალბულას სამართლის წიგნის ძირითადი წყარო ქართული ადათობრივი სამართალი იყო. სამართლის წიგნი, სავსებით მართებულად, ძველ ქართულ ზნე-ჩვეულებათა კრებულადაა მიჩნეული. ჩვეულებრივ ამ ტიპის სამართლის ძეგლები ქართული ცხოვრების იმ წესს გვაცნობს, რომლებიც უკვე სათანადოდაა გამოვლენილი და აღწერილი ისტორიულ-ეთნოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში (ითონიშვილი 2001: 64-65). ისტორიოგრაფიისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ბექა-ალბულას სამართლის წიგნი სამცხე-საათაბაგოს სამთავროსათვის იყო განკუთვნილი, რომელიც ამავე სამართლის წიგნის მუხლობრივ პუნქტებში განსწავლული ჟამთააღმწერლის სახელით ცნობილი უცნობი მემბტიანის მიხედვით, განვითარებულ შუა საუკუნეებში, კერძოდ, XIII-XIV საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს სახით განივრცობოდა „ტაშისკარისაგან ვიდრე სპერამდე, ვიდრე ზღვამდე, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალის ხევი, ხოლო ჭანეთი სრულად მოსცა ბერძენთა მეფემან კომნინოსმან“. ამავე სამთავროში „ტაო, არტაანი, კოლა, კარნიფორა და კარი“, ასევე, სპერიც ერთიანდებოდა. ამათ შორის იყო „ქუეყანანი, ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტი კლარჯეთისანი“. დაწვრილებით იხ. (კიკვიძე 1949: 39-95; დოლიძე 1953: 26; ლეკიშვილი 2000: 177). ე.ი. სამცხე-საათაბაგო არ იყო მხოლოდ სამცხე და აჭარა და იმ დროს იგი, როგორც მაღალი კულტურის სამთავრო, თავისი ფეოდალური სამართლით, სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს მოიცავდა. ბექა-ალბულას სამართლის მიხედვით იმ ეპოქაში დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვები იყო: „უნესონი საქმენი“, „დასაურვებელი საქმე“, „ავი საქმე“, ხოლო დამნაშავეს ერქვა: „ავის მქნელი“, „ავის მოქმედი კაცი“, „მოავე კაცი“. საკუთრივ სასჯელს „სამართალი“, „ბჭობა“, „პატიჟი“, „საპატიჟო“, „დასაურვებელი პატიჟი“, „საპატიო“, „საურვებელი“, „საუპატიო“, „სისხლი“, „გერში“ ეწოდებოდა, ხოლო საზღაურის გადახდა მოიხსენიებოდა: „სისხლის ურვება“, იგივე, „სისხლის ზღვა“ (დოლიძე 1953: 187). სამართლებრივ დანაშაულებად მიიჩნეოდა მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცყოფა, სქესობრივი დანაშაული, ქალის მოტაცება, ცოლის ანდა ქმრის გაგდება, გაძარცვა, ქურდობა, ღალატი. აქვე კანონმდებელი სასჯელის სხვადასხვა სახეს სხვა დანაშაულებისათვისაც აწესებდა. ასეთი იყო როგორც „სისხლი“, „პატიჟი“, „სამსახურის შექცევა“, „საპირო“, „სანახშირო“, „გერში“, „ნაპარავის ორკეც საზღაური“, ისე გამაწილებელი სასჯელები – გაძევება, შეჩვენება, შერისხვა, სიკვდილით დასჯა და დამასახიჩრებელი სასჯელები – „ხელთ შეპყრობა“, „მამულისაგან გაყენება“, „ჩამომცრობა“ (ლეკიშვილი 2000: 178).

ადამიანის დასჯის სხვადასხვა ფორმის შესახებ ძველმა ქართულმა წერილობითმა წყაროებმა საინტერესო ცნობები შემოგვინახა, რომელთაგან ფიზიკური დასჯა და გამაწილებელი სასჯელები წინა პლანზე იდგა. არაერთი ქართული წერილობითი წყარო ადასტურებს, რომ ადრე შუა საუკუნეებში, სამართალი, ძირითადად, ორი – ფიზიკური დასჯითა და გამაწილებელი სასჯელის სახით იყო წარმოდგენილი, კერძოდ, ასეთები იყო „ვირზე შესმა“ და „თავისა და წვერის მოპარსვა“. ძველ საქართველოში ფიზიკური დასჯის ფორმებიდან უპირატესად მაინც – „ქედზე ჯაჭვის დადება“ და „ფეხზე ბორკილის შებმა“ იცოდნენ (ჯავახიშვილი 1929: 515). V საუკუნის საქართველოში დასჯის შესახებ იაკობ ცურტაველი მოგვითხრობდა:

... და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელ დამოსდიოდა ჩივლთა მათ ჯორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებდა ჯაჭვ ქედსა მისსა. და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რაათა წარიყვანონ წმიდაა შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი მოკუდეს ... და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ჩრდილოთ კერძო მცირც და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმიდაა იგი და ჯაჭვ იგი, რომელ ედვა ქედსა მისაა ზედა, ეგრეთ-ვე ედვა და დაპბეჭდა ურჩულ[ო]მან ვარსქენ ბეჭდითა თვისითა ... და ვითარ შემიყვანა მცველმან მან, და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან ... რაათა-მცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევება საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ, აღჰჰადა ჯაჭვ იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთა არა თავს-იდვა წმიდამან შუშანიკ ვიდრე აღსასრულამდე მითურთ. რამეთუ ექუსი წელი ციხესა მას შინა აღასრულა ... (ყუბანიევილი 1946: 38-40).



წყაროდან ჩანს, რომ ჩორდს წასულ ვარსკენ პიტიახს ჰერეთის საზღვარზე მისი ძმა ჯოჯიკი წამონევი „და ევედრებოდა მას ფრიად, რადთამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევებაჲ“. ჯოჯიკის დიდი ხვეწნის შემდეგ ვარსკენმა ბრძანა „განტევებაჲ საკრველთაგან“ და „ვითარ მოვიდა ჯოჯიკ, აღჰჰადა და ჯაჭვი იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაჲ არა თავს-იდვა წმიდამან შუშანიკ“. მოგვიანებით შუშანიკს სწორედ ამ ბორკილის გამო ეპისკოპოსნი და აზნაურნი ევედრებოდნენ – „რად ბორკილი იგი ფერჯთაჲ ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევაჲდ ყოველთათჳს“ (ყუბანეიშვილი 1946: 40). ი. ჭანტურიშვილის აზრით, აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს წმინდანის კულტის გამოვლინებასთან, როდესაც მის მიერ ნაქონი ნივთები, ამ შემთხვევაში კი მისი წამების იარაღი, მიჩნეული იყო, როგორც სასწაულმოქმედი, მცველი და მაკურთხებელი ყოველთა (ჭანტურიშვილი 1984: 279). აქ სასჯელადსრულებითი ჯაჭვი საკულტო საგნად არის მოაზრებული.

გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც ცნობილი ყოფილა დანაშაულის ჩამდენი შეპყრობილი პირისათვის დასჯამდე ჯაჭვით დაბორკვა და საზოგადოებისაგან იზოლაცია. ჯაჭვით პიროვნების დაბმა მართლმსაჯულების აღსრულების ერთ-ერთი ფორმა იყო, ხოლო ჯაჭვი – მართლმსაჯულების იარაღი, თუმცა ქართველებში ჯაჭვის სემანტიკა მრავალმხრივი იყო და მას საკრალური დანიშნულებაც ჰქონდა. ჯაჭვის ქედზე დადება და ეკლესიის ირგვლივ ჩოქვით სამჯერ შემოვლა, როგორც ჩანს, ცოდვების და, ამასთან, ღვთისაგან დადებული სასჯელით დანაშაულის მონანიების გზა იყო. სწორედ ასეთი საკრალური და სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა ჯაჭვს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაშიც, რაც ყველაზე მკაფიოდ კერის ჯაჭვის დანიშნულებასა და ფუნქციებში იყო განსახიერებული. კერის ჯაჭვს – ჯაჭვი ანდა ჯენჯიხი, იგივე, ბენჯიხი ეწოდებოდა და მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნეოდა. ხალხური შეხედულებით, კერის კულტის მაგიური ძალა კერის სხვა ატრიბუტებთან ერთად, ჯაჭვიც იყო ასახული. კერის ჯაჭვი და, საერთოდ, სხვადასხვა სახის სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო რკინის ნივთები, ადგილობრივ სამჭედლოებში – „დემირხანებში“ მზადდებოდა. კერის ჯაჭვთან დაკავშირებით აჭარული რწმენა-წარმოდგენებიდან, პირველ რიგში, სამეურნალო ჩვეულებებია აღსანიშნავი. ჯაჭვის, როგორც ავი სულის სანინააღმდეგო საკრალურ სიმბოლოსთან დაკავშირებით, ყურადღებას „გოჟოთი“ – უჟმურით დაავადებული ბავშვის მკურნალობის წესი იქცევს. თავდაპირველად გოჟოიან ბავშვს მოხარშულ სამეურნალო ბალახებში ჩააწვენდნენ, შემდეგ გახურებული კერის ჯაჭვს რკალად შეკრავდნენ და ამ რკალში სამჯერ გაატარებდნენ. კერის ჯაჭვით ანალოგიურ მაგიურ ქმედებას ლაზებიც მიმართავდნენ. ხალხური წარმოდგენით რკინას ავი სულებისაგან, ელვისა და სეტყვისაგან დაცვის მაგიური ძალაც მიენერებოდა. სწორედ ამიტომ სეტყვის დროს მოსახლეობას ლითონის ქურჭელი გარეთ გამოჰქონდა, რომელთაგან კერის ცეცხლთან ნაზიარებ რკინის ჯაჭვს ამინდის ცვალებადობაზე ეფექტური გავლენა უნდა მოეხდინა. რაჭა-ლეჩხუმში მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული რელიგიური წეს-ჩვეულებების ერთ-ერთ წყებაში კერის ცეცხლთან ნაზიარები რკინის – კერის ჯაჭვის მაგიური დანიშნულება მკაფიოდ ვლინდება. სეტყვისაგან მოსავლის დაცვის მიზნით აქ კერის ჯაჭვის გარეთ გამოტანა და ეზოში დაგდებაც იცოდნენ. კერის ჯაჭვი ზემო აჭარაში – ღორჯომში და გურიაში – აჭარლებით დასახლებულ გუბაზეულის ხეობაში მესაქონლეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებშიც ფიგურირებს: ახალი წლის დილას ოჯახის დიასახლისი ბოსელში შესვლისას, საქონლის ბაგაში კერიდან ჩამოხსნილ ჯაჭვს ჩამოატარებდა: „საქონელი ერთად იქნება, ერთად იბალახებს, ერთმანეთს არ მოწყდება და არ დეიკარგებაო“ (ტუნაძე 1996: 47-49). აჭარაში უჟმურის შეყრასთან ჯაჭვი შელოცვებშიც ფიგურირებს, მაგალითად, „ეს ალაგი ფასაცია/ფასაც გვარი შევენერგია/შიან ჯაჭვი, გარეთ ხმალი, ეშმაკისა მათრახია“. შებერვით სამჯერ შეულოცავდნენ (მგელაძე 2018: 199). რადგან კერის ჯაჭვთან დაკავშირებით აჭარული რწმენა-წარმოდგენები პარალელურად სხვა ქართულ ეთნოგრაფიულ კუთხეებშიც პოულობს, ამდენად, იგი ზოგადქართულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. კერის ჯაჭვი ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებაში სხვა მხრივაც მრავალმხრივ გამოიყენებოდა. მის შესახებ არსებული რწმენა-წარმოდგენები სემანტიკური თვალსაზრისით პირობითად შეიძლება რამდენიმე პუნქტად დაჯგუფდეს: 1. წეს-ჩვეულებები, რომლებიც კერის ჯაჭვის სამეურნალო ხასიათს ავლენდნენ; 2. კერის ჯაჭვი, რომლის საკრალურ-მაგიური ასპექტები სამეურნეო ყოფასთან – მესაქონლეობასთან და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ რიტუალებსა და შეხედულებებში იყო ასახული; 3. კერის ჯაჭვი, რომელიც ამინდის რიტუალური მართვის რწმენა-წარმოდგენებს განასახიერებდა. თითოეული ეს ჯგუფი მთელ რიგ წეს-ჩვეულებას აერთიანებდა, სადაც როგორც კერის კულტის, ისე რკინისადმი თაყვანისცემის ტრადიცია თვალსაჩინო იყო. რკინის კულტს კერის ჯაჭვთან დაკავშირებული შეხედულებების არსის გარკვევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წეს-ჩვეულებებში ჯაჭვი აუცილებლად კერის საკიდელი იყო, მაშინ ნათელი გახდება, კერის კულტში კერის მაგიური ძალის განსაკუთრებული როლი (ტუნაძე 1996: 47-49; ნოლაიძე 1935: 11-12; ჩართოლანი 1961: 73-74; ვანილიში, თანდილავა 1964; ბრეგაძე 1964: 132, 146). კერა და კერის ჯაჭვის სისხლ-მესისხლეობის პროცესში, განსაკუთრებით, მოსისხლეეთა შერიგების დროსაც დიდ როლს თამაშობდა. არაერთი სხვა წყაროც გვიდასტურებს ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში ჯაჭვს მნიშვნელოვანი ადგილი რომ ეჭირა. იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხატ-სალოცავებშიც ხშირად ფიგურირებდა. ვერა ბარდაველიძე სტრაბონის მიერ აღწერილ სამსხვერპლო მონისათვის ყელზე დასაადებ ჯაჭვს „საქედურიანი ჯაჭვის“ მსგავსად მიიჩნევდა, რომელიც თავს იჩენდა ლაშარის ჯვარში, ლომისას ხატში, აწყურის თეთრ გიორგში, გორის ჯვარში, გერის წმიდა გიორგში. მას ღვთაებისადმი შეწირული მონები ატარებდნენ, ბუნებრივია, იმ განსხვავებით,

რომ მსხვერპლად შეწირვა სიმბოლოურად ჯაჭვის ტარებით იყო შეცვლილი. ავტორი თვლიდა, რომ საკულტო ჯალამბარსა და ჯაჭვს, და არც საკულტო ჯარჯს, ქრისტიანულ სარწმუნოებასთან არავითარი კავშირი არ გააჩნდა. მისი დაკვირვებით, ჯალამბარი და ჯალამბარის მსგავსი ჯაჭვები სტრაბონისაზე ადრინდელ ხანას განეკუთვნებოდა და, როგორც ჩანს, იბერიაში საკმაოდ ადრე – შესაფერი ასტრალური რელიგიის არსებობის დროს იყო გაჩენილი, მაშინ როცა რელიგია ღვთაებრივი ტრადიციით იყო წარმოდგენილი (ბარდაველიძე 1974: 28). ი. ჭანტურიშვილი სალოცავთა ჯაჭვებს უმთავრესად მართლმსაჯულების ჯაჭვებთან კონტექსტში განიხილავდა (ჭანტურიშვილი 1984: 282). რა თქმა უნდა, საკულტო ჯაჭვები, ერთ შემთხვევაში, ღმერთისადმი მორჩილების გამოხატულებას წარმოადგენდა, ხოლო მეორე შემთხვევაში – სასჯელაღსრულებისადმი დაქვემდებარებას, ე.ი. ჯაჭვს საკრალური ბუნება გააჩნდა, შესაბამისად, სასჯელაღსრულებითი ჯაჭვიც საკულტო საგანთა რიცხვშია გასაერთიანებელი. ჯაჭვი, როგორც მართლმსაჯულების იარაღი – რიტუალური ნივთი, სულით ავადმყოფთა სამკურნალო საგანი შორეულ წარსულთანაა დაკავშირებული და მისი ამგვარი სხვადასხვა ტიპის ფუნქცია მითებსა და თქმულებებში ნათლადაა ასახული (ჭანტურიშვილი 1984: 283). აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ მითი ამირანის შესახებ, სომხურ გადმოცემაში მეფე არტავაზდი. ორივენი ღვთის წინაშე ურჩობისათვის ქედზე იყვნენ მიჯაჭვულნი (ჩიქოვანი 1947: 8).

სადამსჯელო მიზნისათვის გამოყენებულ ჯაჭვს აჭარაში *ხაჯაღუჩი* ერქვა, თუმცა იგი მხოლოდ აჭარისათვის არ იყო დამახასიათებელი და წარსულში დასავლეთ საქართველოშიც ფართოდ იყენებდნენ. აფხაზეთში, სამურზაყანოსა და სამეგრელოში მას „ხაჯალურის“ სახელწოდებით იცნობდნენ (ჭანტურიშვილი 1984: 280-282). შეპყრობილი პირის ჯაჭვით დაბმის („ჯაჭვით შებორკილებულნი“) წესი აჭარაში კარგადაა ასახული ი. ნებიერიძის მოგონებებში, რომელიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამცხესა და აჭარაში მიმდინარე სოციოპოლიტიკურ მოვლენებს გადმოგვცემს:

ამ რუსობის დროს ველის სოფლიდგან მთელი კათოლიკე ველელები გარდმოსახლდნენ ახალქალაქის მახრამში, და დასახლდნენ სოფლებში კარდიკამს, ბოვრას, ხულგუმოს ... ველელი მღვდელნი დიდი ტერ-ოვანესი და ტერ-პეტროსი აჭარლობათ კარდიკამიდგან ტყვეთ წაიყვანეს. და იყუნენ ზემო აჭარას ფაშის ადგილში ჯაჭვით შებორკილებულნი. ტერ-ოვანესი იყო მოხუცებული მშვიდი და წყნარი, ხოლო ტერ-პეტროსი ტანადი, მოწიფული და მხნე ახალგაზრდა. ამან თავისის ხერხიანობით ერთ ღამეს გასტეხა თავისი ბორკილი და გაიქცა აჭარიდგან ლაზურის ტანისამოსით და ხელში ჯოხის ქერით (ნებიერიძე 1948: 21).

*ხაჯაღუჩი*, იგივე, *ხაჯაღუჩი* სპეციალური კონსტრუქციის გრძელი ჯაჭვი იყო, რომლის ერთ-ერთ თავზე ყელზე შემოსაკრავი და კისერზე დასადები რკინისავე მოწყობილობას წარმოადგენდა, ხოლო მეორე ბოლოზე – რგოლი იყო მიმაგრებული, რომელიც კედელში დატანებული ხვრელით გარეთ გადიოდა და მასში ჯოხი იყრებოდა (ხუბუა 1938: 163-164, 144-149; ჭანტურიშვილი 1984: 282). აჭარაში გამოვლენილი ხაჯალურის მსგავსი სპეციალურად მოწყობილი ჯაჭვი – *ხაჯაღუჩი* და *ღაღიანუჩი* დასავლეთ საქართველოს კუთხეებში, განსაკუთრებით, სამეგრელოში იყო გავრცელებული, რასაც თავის დროზე არქანჯელო ლამბერტი და, მოგვიანებით, კ. ბოროზდინიც ადასტურებდა. არქანჯელო ლამბერტი წერდა:

როცა მთავარი მოინდომებს ვისიმე დაჭერას, ბრძანებს, რომ მას ყელზე წამოაცვით რკინის საყელო დიდისა და მძიმე ჯაჭვითო და ამ სახით ჩააბარეთ დარაჯსო... ვისაც ჩაბარებული აქვთ მწვეარ-მეძებართა ყურის-გდება, მეგრულად ამათ ჰქვიან მეჯოლორე. ეს დარაჯები ერთსა და იმავე სახელში ამწყვდევენ ჯაჭვით დაბმულ ტუსალებს და ძაღლებს, რომელნიც ღამე ერთად ატარებენ ერთს და იმავე უწმინდურობაში და საშინელ ჰაერში. ხშირად მათი ჯაჭვები ერთმანეთს გადაებმებიან ხოლმე. როცა შიშობენ ტუსალები ღამე არ გაიქცნენო, ყელს გარდა კიდევ ფეხებზე დაადებენ მეტად მძიმე ბორკილს... მთავარი გაურისხდება ვისმე, ბრძანებს იმის დაჭერას და ჯაჭვით დაბმას. აგრე დაბმულს ჩააბარებს მეჯოლორეს, რომელიც ატარებს მას იქეთ-აქეთ (ასათიანი 1938: 79),

ანდა: „ჩამოვართვით ხაჯალურები და დადიანურები, რომლითაც ისინი ზოგჯერ მთელი წლებით გვტან-ჯავდნენ“ ანდა „აბა ვინ იქნება, ბატონო! მდივანბეგი... სულს გვართმევს, ბატონო. ხანჯალურით დაგაბამო, მემუქრება, ქურდობაზე ხელი უნდა აიღოვო“ (ბოროზდინი 1934: 349).

დასავლეთ საქართველოში ჯაჭვით დაბმა შეპყრობილი ქართველი ტყვეებისათვისაც გამოიყენებოდა, რომლებიც ოსმალეთის ბაზრობებზე იყიდებოდნენ (კილასონია 1982: 110; ნებიერიძე 1948: 3-88). ჟან შარდენსაც ამ ფაქტების შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვებოდა. გასაყიდი ადამიანებით დატვირთულ ხომალდზე რამდენიმე დღე თავად მოგზაურს ჰქონდა გატარებული. იგი შენიშნავდა, რომ ზრდასრულ ტყვეებს, მათ შორის, ყმანვილებსაც ყოველ საღამოს ჯაჭვით წყვილ-წყვილად აბამდნენ, დილით კი ჯაჭვებს ხსნიდნენ, ახალშეძენილებს ძონძებს მაშინვე გახდიდნენ და ახალ საცვლებსა და ტანსაცმელს აცმევდნენ, შესაბამისად, მუშაობასაც აწყებიანდნენ. კაცებს და ბიჭებს სამუშაოებს გემზე ასრულებინებდნენ, ქალებსა და ქალიშვილებს კი – საკერავებს აძლევდნენ. თითქოსდა ყველა კმაყოფილი ჩანდა ტანსაცმლითა და საჭმლით, რომელსაც მათ აძლევდნენ, სამუშაო კი მათთვის დიდი ტანჯვა იყო, ხშირად, ჯოხით აიძულებდნენ ემუშავათ (მგალობლიშვილი 1975: 212-213).

რკინის ჯაჭვებით წარმოდგენილი კოლექცია, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული მ. ხუბუას საგანგებოდ შეუსწავლია და გამოუქვეყნებია (ხუბუა 1938: 163-164), საიდანაც დასავლეთ საქართველოში ხაჯალურისა და დადიანურის გვიან შუა საუკუნეებში გავრცელებულობა ირკვევა (ჭანტურიშვილი 1984: 281-283).

ქედზე ჯაჭვის დადებისა („დადებად ჯაჭვ ქედსა“) და ჯაჭვით დაბორკვის („ჯაჭვთ დაბორკილნი“) გარდა დასჯის ფორმებიდან ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში ასევე დასტურდება ცემა და მიმოთხევა, თუმცა მიუხედავად ჩამონათვალისა დასჯის ფორმები ძველ საქართველოში კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყო, მაგალითად, გამოირჩეოდა „პირისა ცემა“, „თავის და წვერის დაყუენა“ (მოპარსვა), „ცხვირის გახვრეტა“ და სხვა მისთანანი. უცნობი ავტორის – „წმიდა ევსტათი მცხეთელის მარტილობაშიც“, რომელშიც ადრე შუა საუკუნეების საქართველოს სინამდვილეა აღწერილი, ფიზიკური დასჯის არაერთი ფორმაა დასურათებული, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც იაკობ ცურტაველის შუშანიკის წამებაშია დახასიათებული. მათგან „ქედზე ჯაჭვის დადება“ და „ფეხზე ბორკილის შებმა“ იკვეთება. ევსტათი და სხვა მისი თანამზრახველები, როცა ისინი ქრისტიანობაზე მოექცნენ, მსაჯულთან მიიყვანენ, სადაც მსაჯულმა:

უბრძანა მსახურთა თვსთა პირსა ცემად ნეტართად მათ და გარე განყვანებად მათ ყოველთად და უბრძანა: „დაჰყვნეთ მაგათ თავი და წუერი და განუჭურიტენით მაგათ ცხვრნი და ჯაჭვ დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერჯთა და შეხსენით ეგენი საპყრობილესა“... ხოლო ნეტარისა ევსტათისი და სხუათა მოყუასთა მისთად ბრძანა თავისა და წუერისა დაყუენად და ჯაჭვსა ქედსა დადებად და ბორკილთა საპყრობილესა შესხმად მათი, ხოლო მსახურთა მათ აღასრულეს ბრძანებად მარზაპნისა მის და დაყვნეს იგინი თმითა და წუერთა, და ჯაჭვთ დაბორკილნი საპყრობილედ შეყარნეს (ყუბანიშვილი 1946: 46).

ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ქედზე ჯაჭვის დადება“ და „ბორკილების შებმა“ საქართველოში სპარსეთიდან გავრცელდა, უფრო ზუსტად, საქართველოში სპარსელების მიერ იყო შემოღებული. შდრ. (ჭანტურიშვილი 1981: 285), რაც, ვფიქრობთ, გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს.

როგორც ვხედავთ, ძველი ქართული ლიტერატურის, უპირატესად, აგიოგრაფიული ლიტერატურული ტექსტების მიხედვით, სასჯელაღსრულებით სისტემაში საპყრობილეს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. საპყრობილეთაგან გამორჩეული ციხე იყო და პიროვნების ამგვარ იზოლაციას „ციხეთა შიგან პატიმრობა“ ეწოდებოდა. სულხან-საბა ორბელიანი საპყრობილეს ერთგვარ კლასიფიკაციასაც კი ახდენდა. მისი განსაზღვრით საპყრობილე ზოგადი ტერმინი იყო და სამ ნაწილად იყოფოდა: დილეგად, საკნად და საპატიმროდ: „საპყრობილე განიყოფებთან სამად: დილეგად, საკნათ და საპატიმროდ. დილეგი არს სახლი საპყრობილე შებორკილებულთან“ (ორბელიანი 1949: 299).

აქედან ისიც ჩანს, რომ დილეგი სახლი საპყრობილე იყო, ე.ი. დილეგში ჩვენ დახურული ნაგებობა უნდა ვიგულისხმოთ, სადაც შეპყრობილთ – პატიმრებს ათავსებდნენ. საერთოდ, V-VII საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში მხოლოდ ციხე და საპყრობილე გვხვდება. საპყრობილეში გამომწყვდეულთ მკვლობილნი ერქვათ. დამნაშავეებს თმასა და წვერს სწორედ საპყრობილეში პარსავდნენ და საპყრობილეშივე ჯაჭვებითა და რკინებით ბორკავდნენ, რასაც საკხევედნი ეწოდებოდა (გოგოლიშვილი 2011: 100).

ამრიგად, როგორც ირკვევა, ძველ საქართველოში, მათ შორის, სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცნობილი ყოფილა: 1. ქედზე ჯაჭვის დადება; 2. ფეხებზე ბორკილის შებმა; 3. თავისა და წვერის გადაპარსვა; 4. ცხვირის გახვრეტა; 5. ძელსა აღბა; 6. პირი ცემა; 7. პყრობილება; 8. შეკვრად საკრვლითა რკინისაითა („რკინის საკრვლით შეკვრა“); 9. სახედარზე გასმა; 10. გასახლება (ჭანტურიშვილი 1981: 286-287), თავის მოკვეთა, ჩამოხრჩობა, სარზე დაკვრა და ცეცხლის შენთება, ყურის მოჭრა, ცხვირის მოჭრა, ხელის მოჭრა, ფეხის მოჭრა, თვალების ამონვა და დაბრმავება, ცალი ხელით თოკით ხეზე ჩამოკიდება (ასათიანი 1938: 73-74).

ისტორიულ-ეთნოგრაფიული და იურიდიული ტიპის წყაროები თვალნათლივ ადასტურებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – ზემო ქართლში, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სივრცეში, მათ შორის, აჭარაში, დამნაშავეთა მიმართ ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის ნიშანდობლივი სასჯელები გამოიყენებოდა. განსაკუთრებით ეს შეეხება ოსმალთა მიერ სამცხისა და აჭარის ტერიტორიის დაპყრობამდე პერიოდს, თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული აჭარაში ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმები შემდეგაც განაგრძობდა არსებობას. იგი ლოკალურ ხასიათს ატარებდა და ისლამის ზეგავლენის სფეროში იმყოფებოდა. სხვათა შორის, მოგვიანებით, რუსული მმართველობის მიერ გატარებულმა სამართლებრივმა პოლიტიკამ აქტიური ცხოვრების სფეროდან ჩვეულებითი სამართალი მთლიანად განდევნა, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში, დროდადრო იგი მაინც იჩენდა ხოლმე თავს, უმეტესად მაშინ, როცა უცხოური სამართალი მოუქნელობისა და ქართული ხასიათისადმი შეუთავსებლობის გამო კონკრეტულ პრობლემას ვერ პასუხობდა და დაბალი სოციალური ფენებისთვისაც მიუწვდომელი იყო (ქამადაძე 1999: 161).

საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა კუთხეში წარსულში ხელოვნურად ხელყოფილი პირი



დაზარალებულის სანათესაოს მხრიდან სასჯელს – ტოლობით სასჯელს ექვემდებარებოდა. ეს მთიულეებში „განჩინების“ კანონთა კრებულისაგანაც თვალნათლივ დასტურდება. რუსუდან ხარაძისა და ალექსი რობაქიძის დაკვირვებით, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მესისხლეობის პირველ ეტაპი ლაშქრის შეყრით იწყებოდა. მოკლულის ახლო ნათესავებისაგან შემდგარი ლაშქარი მკვლელის ოჯახისა და მისი გვარის ასაოხრებლად, როგორც ხევსურეთში იტყოდნენ – „მკვლელის ბანზე შესახდომად“ გაილაშქრებდა (ხარაძე, რობაქიძე 1965: 44-45). ხევსურეთში, განაყარი მოძმის სისხლისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იძიებდა შურს, როცა ადგილი ჰქონდა ძმობით გაყრას, რომელიც უმეტესად სისხლით ახლო მდგომი ქალ-ვაჟის ქორწინების შემთხვევაში ხდებოდა. ამ დროს დამნაშავესათვის ძაღლის მოკვლა ცოდნით (ხარაძე 1949: 145; ჭყონია 1955: 28). აჭარაშიც წარსულში დასტურდებოდა ტოლობის პრინციპით სამაგიეროს გადახდაც, ე.ი. დაზარალებულის დასჯა დაჭრის, ცემისა და სხვა ამდაგვარი, იგივე სახის სასჯელის მიზღვევა (ბოჭორიშვილი 1976: 151).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ მოსახლეობაში, სადაც დასჯის სხვადასხვა ფორმა არსებობდა, ქონებრივი შურისძიებაც დასჯის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენდა. აჭარის მთიანეთში ქონებრივი შურისძიებისას შურისმაძიებლებმა სახლის დანვა, საქონლის მოკვლა, მოსავლის გაჩანაგება იცოდნენ. მიღებული ხალხური სამართლებრივი ნორმების მიხედვით, დანაშაული საპასუხო შურისძიებით უნდა ანაზღაურებულიყო. დამზარალებელი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა დანაკლისი მატერიალურად აენაზღაურებინა, მაგალითად, დაღუპულ ხარში ერთი ხარი გაეცა. ქონებრივი შურისძიების დროს, როცა შურისმაძიებელს სახლის დანვა სურდა, რამდენიმე ხნით ადრე ოჯახის წევრებს ანდა მოწინააღმდეგის ნათესაური ჯგუფის, ე.წ. „ნოგროს“ რომელიმე წარმომადგენელს რაიმე საშუალებებით უბედურების მოახლოებას შეატყობინებდა. შესაძლოა სახლის ბანზე ქვაც შეეგდო და მათთვის „ამბავი მიეცა“. მიზნის განსახორციელებლად ისეთ დროს არჩევდნენ, როცა სახლში არავინ იქნებოდა. თუ შურისმაძიებლები სახლის დანვას ვერ მოახერხებდნენ, მაშინ მეტოქეს ბაღჩაში სიმინდს გაუჭრიდნენ, ძროხას მოუკლავდნენ, ტყეში დადგმულ ფუტკრის სკას გადმოუგდებდნენ. ცხადია, შურისძიების ეს სახე სისხლის სამართალწარმოებას – სისხლის აღებას გამოირცხავდა, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის ნიადაგი შემზადებულად ითვლებოდა (მგელაძე 1984: 54). სასჯელთა სახეობად უნდა განვიხილოთ ისეთი სასჯელებიც, რომლებიც სისხლის საფასურში მატერიალურ საზღაურთან იყო დაკავშირებული. აჭარაში ასეთ სასჯელს მოსისხლეთა შერიგების დროს ჰქონდა ადგილი. იგი საქართველოს სხვა კუთხეებში სხვადასხვა წეს-ჩვეულების თანხლებით იყო გამოხატული. საქართველოს მთიანეთის უმეტეს პროვინციებში სისხლის აღება სისხლის გადასახადით იყო შეცვლილი. ეს იყო სასჯელის ქონებრივი საზღაურის სახე. სისხლის გადასახადი გარდა მკვლელობისა სხეულის დაზიანებისათვის იყო განკუთვნილი. სისხლის გადასახადს ქართველი მთიელები, ჩვეულებრივ, საქონლით იხდიდნენ. ჭრილობას ხორბლის მარცვლებით ზომავდნენ. ერთ მარცვალს სიგრძეზე დებდნენ, მეორეს – გარდიგარდმო. ჭრილობაზე რამდენი მარცვლიც დაეტეოდა, დამჭრელს დაჭრილისათვის იმდენი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი უნდა გადაეხადა (თოფჩიშვილი 2006: 119).

აჭარაში წარსულში მატერიალური – ქონებრივი საზღაური თავს იჩენდა ქალის მოტაცების შედეგად წარმოქმნილი დავის საფუძველზე. აჭარაში ქალის მოტაცება – ქალის ცოლად მოყვანის მიზნით ძალით წაგვრა სასურველ მოვლენად არ ითვლებოდა, მაგრამ რადგან მას ადგილი მაინც ჰქონდა, შესაბამისად, ხალხური სამართალიც ადათობრივი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე მის დარეგულირებასაც ახდენდა. საერთოდ, ქალის გათხოვება და მოტაცება აჭარაში სხვადასხვაგვარი ხასიათისა იყო. გავრცელებული იყო მოტაცება, მოპარვა, გაპარვა, დაჯდუნება, დაჯდომა, გათხოვება, ქალის დაბრუნება (მგელაძე 1996: 214). თედო სახოკია აჭარაში აღწერდა ქალის მოტაცების ფაქტებს, თავმოყვარეობაშელახული ქალის მთხოვნელის დამოკიდებულებას ცოლის თხოვებისას. მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთ სოფელში ლამაზ ქალზე ახალგაზრდა მამაკაცს თვალი დაუდგამს. გოგოს მშობლებს ბიჭისათვის უარი უთქვამთ, რითაც მსურველის ოჯახი დიდად გაუნაწყენებიათ. ვაჟს თავი დამცირებულად უგრძვნია და თხუტმეტიოდე ყმანვილის დახმარებით გოგო გაუტაცნია (სახოკია 1950: 131, 159).

მოტაცება, როგორც სამართალდარღვევის ფაქტი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ყოველთვის, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, დანაშაულის კატეგორიაში განიხილებოდა. განვითარებულ შუა საუკუნეებში სამცხეში ქალის ცოლად მოტაცების საკითხს ბექა-ალბულას სამართალი 46-ე მუხლში მისი ეპოქის შესაბამისად განსაზღვრავდა:

თუ კაცმან კაცს ცოლი წაგვაროს, ასრე რომე დიაცი მისი ნებით და წადილითა გაჰყვეს თანა, რასაცა გვარისა იყოს, მისითა წესითა სისხლი ორნაწილი დაუურვოს ქმარსა და, რაცა მისი სასაქონლო რა გინდა რამე წაეტანოს, იგიცა აგრევე შეაქციოს დიაცსა. და თუ რა მისი მოტანილის ზითევისაგან გინა სასაქონლო, გინა პირუტყვი გაეტანოს, მას დიაცსა იგი ქმარ-ყოფილი იმას ნუ სთხოვს და, რაცა ქმარ-ყოფილსა დარჩეს, მას დიაცი ნუ ითხოვს, რა გინდა შვილნი უდგნენ, ამად რომე თავის გულით დაუგდიან სახლი, ქმარი და ზითევი, და უაბებრებია ყველა ურცხვნივ ქმართან ... და რაჟამს სისხლი დაუურვოს წამგვრელმან და გაატანოს, თუ რამ სამამულო ზითევი იყოს, იგი მის ქალისა სამშობლოსავე მართებს; და თუ ქალსავე მისცემენ, მათ იციან... თუ შვილნი არ დარჩომილიყვნენ



პირველისა ქმრისანი სახლსა შიგა, იგი წამგვრელი კაცი სისხლისა საქმესა შიგა მოსრულსა არას ემართლების მის ქალისა სამშობლოსაგან კიდე (დოლიძე 1953: 306-307).

აქ, ბეჟას სამართლის შესაბამისი სამართლებრივი მუხლიდან ნათლად ჩანს ქალის, კერძოდ, ცოლის თანხმობით მოტაცებისას არსებული სასჯელი. ქმრის უფლებების ხელყოფის ფონზე გათვალისწინებულია ყველა სახის დარღვევა და საქციელი კვალიფიცირებულია, როგორც ცოლის მიერ ჩადენილი ღალატი. ასევე, სამართალში გათვალისწინებულია ცოლის ნების წინააღმდეგ ძალმომრეობით მოტაცების შემთხვევაც, რაც სამართლის წიგნის 47-ე მუხლშიცაა ნაჩვენები:

თუ ძალად წაგვაროს დიაცისა უმეცრად დაუნდომლად, უღონოდ ესეკალიბისა ძალთა – ლაშქართა უხლებლად ვერ უზამს ვერცა უფროსი უმცროსსა და ვერცა უმცროსი უფროსსა. და დაუურვოს ცოლის წაგვრისა საპატიჟო – სისხლისა ორ-ნაწილი ... აგრეთვე დასხმულობისა წესითა დასხმულობა დაუურვოს. რაცა მოწამითა კაცითა მის დღისა წანაღები დაიფიცოს ცოლ-წაგვრილმან კაცმან, იგიცა გარევე შეაქციონ ... დიაცისა ზითევისაგან თუ რა გაეტანოს, [ანუ] რაცა დარჩომოდეს, აგრევე ქნას, ვითა ზემო სწერია (დოლიძე 1953: 307).

მოყვანილი ამონარიდან ჩანს, რომ მომტაცებელს ორმაგი – ორკაცი სისხლის გადახდა მართებდა, რასაც ჩადენილი მკვლევლობისათვის თავდასხმისა და, მითუმეტეს, თავდასხმელის მხრიდან კიდევ ორმაგი სისხლი ემატებოდა, ე.ი. ძალადობით ცოლის წაგვრა – მოტაცება უპატიური ქცევა იყო და გამტაცებელს შეურაცხყოფისათვის „ცოლის წაგვრისა საპატიჟო და – სისხლისა ორი ნაწილი“ უნდა დაეურვებინა. ამასთან, დამნაშავე ვალდებული ყოფილა დაზარალებულისათვის მოტაცებული ქონება დაებრუნებინა და თავდასხმისათვის დაწესებული საზღაური გადაეხადა. ჩანს, რომ საპატიჟო ამ შემთხვევაში ორკაცი ქონებრივი სასჯელი იყო (ლეკიშვილი 2000: 179). როგორც ლიტერატურაშია შენიშნული, სხვისი ცოლის მოტაცების უფრო რბილ ფორმად თავდასხმის გარეშე მოტაცება ითვლებოდა. ბეჟა-აღბუღას სამართალზე დაყრდნობით ვალერიან ითონიშვილი შენიშნავს, რომ შეიარაღებული თავდასხმით მოტაცების შემთხვევაში, რასაც შესაძლებელია მსხვერპლიც მოჰყოლოდა, მომტაცებელი 12000 თეთრს იხდიდა (ითონიშვილი 2001: 58).

ბეჟა-აღბუღას სამართალში მოტაცებასა და მის საზღაურზე საუბარი 165-ე მუხლშიც გვხვდება, სადაც აკრძალული და შეჩვენებულია მოტაცებით ქორწინების წესი, კერძოდ, სხვისი ჯვარდანერილი ცოლის მოტაცება:

რომელმან კაცმან ვის გინდა მისი გუირგუნ-ნაკურთხი ცოლი წაუღოს, სრული სისხლი დაუურვოს, რაფსაცა გუარისა იყოს. კრულ და წყეულ და შეჩუენებულ პირითა ღმრთისაფთა და კანონსამცა ქუეშე იქმნების წმიდათა მოციქულთასა (დოლიძე 1953: 343).

ბეჟა-აღბუღას თითქმის ყველა მუხლიდან ირკვევა, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოტაცებითი ქორწინება, როგორც გარიგებაზე და მხარეთა შეთანხმებაზე დამყარებული ურთიერთობის საწინააღმდეგო ქმედება, მიუღებელი იყო, რაც როგორც სამცხის, ისე აჭარის ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება. ცოლის მოტაცება კანონსაწინააღმდეგო დანაშაულად ფასდებოდა და მძიმე სასჯელით აღინიშნებოდა. საქორწინო ურთიერთობისათვის შეუფერებელ ქმედებად აღიქმებოდა დანიშნულის მოტაცებაც. საგანგებოდ გამოყოფილი ტექსტიდან კარგად ჩანს ჯვარგაცვლილი საცოლის – დანიშნულის სხვის მიერ მოტაცებისადმი კანონმდებლის დამოკიდებულება, რომლის თანახმადაც ეს დამდურების საფუძველს ქმნიდა და, შესაბამისად, მძიმე დანაშაულად არ ითვლებოდა, რაც მხოლოდ შუაკაცების ჩარევით შეიძლებოდა მოგვარებულიყო. ასეთი დანაშაულისათვის შესაძლებელი იყო შუაკაცების ჩარევა საკმარისი აღმოჩენილიყო, მაგრამ დაზარალებული კაცის სასარგებლოდ მომტაცებელს ჯარიმა მაინც ეკისრებოდა. შუაკაცები ამით დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაზავებას აღწევდნენ (ითონიშვილი 2001: 60). ჩანს, რომ დასაურვებელი თანხა აქაც იყო გათვალისწინებული, რაზეც ვახუშტი ბატონიშვილიც ამახვილებდა ყურადღებას: „ეგრეთვე დაწინდულთა ქალთა წართმისა ანუ დატევებისათვის ჩინებისა მიერვე დაუურვის სისხლი. ხოლო სულიერთაგან ამის მოქმედთა ზედა სხვა იყო შერისხვანი“ (ლომოური, ბერძენიშვილი 1941: 15).

გვიანი შუა საუკუნეების აჭარის მთიანეთში დანიშნული ქალის მოტაცებასთან დაკავშირებით შემორჩა ბევრი ისეთი სამართლებრივი ნორმა, რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების სამცხისა და აჭარისათვის იყო დამახასიათებელი. აჭარაში ნიშნობის სხვადასხვა სახე არსებობდა, რომელთაგან უნდა გამოიყოს: დაბადებამდე დანიშვნა, აკვანში დანიშვნა, მცირეწლოვანთა დანიშვნა და გარიგებით ნიშნობა (მსხალაძე 1965: 55). სხვა დანაშაულთა გვერდით ნიშნობის დარღვევა – დანიშნულის გატაცება და ქალზე ხელით შეხებაც კი დანაშაულთა საკმაოდ მძიმე კატეგორიაში იყო მოქცეული. თედო სახოკიას ცნობით, აჭარაში კაცის კვლას და სისხლის ღვრას ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევაშიც, როცა აღდგებოდა საცოლის მოტაცების ძველი ჩვეულება: „როცა მშობლები ქალისა წინააღმდეგი არიან ხოლმე, მაგრამ მოხდება ისიც, რომ სასიძოსა და ქალის ნათესავების მხრივ სისხლიც დაიდვრება, თუ განსაკუთრებით, საცოლევ წინააღმდეგია თავისი მომტაცებლის სურვილისა“ (სახოკია 1950: 131).

თუ საპატარძლოს ოჯახს მოყვრობის მსურველი ორი სხვადასხვა ნოგროსა და გვარის წარმომადგენელი სტუმრობდა, ოჯახის მეთაური მამა ცდილობდა ორივესათვის მოზომილი პასუხი გაეცა, რათა რომელიმეს თავი შეურაცხყოფილად არ ჩათვალა და სისხლი არ დაღვრილიყო. საქორწინო ურთიერთობის შემადგენელი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი – ნიშნობა თუ დაირღვეოდა, ეს დიდად შეურაცხმყოფელ ფაქტად ითვლებოდა და სამოყვროდ გამზადებულ ნათესაურ ჯგუფებს – ნოგროთა – შორის შესაძლოა სისხლიანი მტრობაც ჩამოვარდნილიყო ანდა წინა პლანზე წამოწულიყო შუაკაცების – მომრიგებელთა – როლი. სასიამაღროს სასარგებლოდ მომტაცებელს შესარიგებელ საურავს ახდევინებდნენ, რასაც *დასაჩიგებელი* ეწოდებოდა (მგელაძე 1984: 50-51). ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალის მოტაცებისას ქალის ნათესავთა დევნა წარუმატებლად დასრულდებოდა. ამ დროს სასიამაღრო მომტაცებელს შესარიგებელ თანხას თხოვდა (ბექაია 1974: 53).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჩვეულებითი სამართალი სასჯელთა მრავალ სახეს იცნობდა, მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილი იყო მტანჯავი – სხეულებრივი სასჯელები, მოკვეთა, შერისხვა, ჩაქოლვა, გამანბილებელი, ქონებრივი და კომპოზიციური ხასიათის სასჯელები. სასჯელთა ეს ფორმები საქართველოს თითქმის ყველა მხარეში იყო გავრცელებული, თუმცა ზოგი მათგანი მხოლოდ ცალკეული კუთხისათვის უფრო მეტად იყო დამახასიათებელი, მაგალითად, მოკვეთა (ქამადაძე 1999: 162). აჭარაში დანაშაულის სახეებს ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ და, შესაბამისად, სასჯელთა დიფერენცირებასაც ახდენდნენ. სისხლის აღება გათვალისწინებული იყო შურისძიების ნიადაგზე მხოლოდ განზრახ მკვლელობის დროს. შურისძიებისას *ჩაქოღვა* ანუ *ჩაჯოღვა*, *ამოკიხვა* და *მოკვეთა*, უმთავრესად, ზნეობრივი ნორმების უხეშად დარღვევას მოჰყვებოდა ხოლმე. ამდენად, დიფერენცირებული სასჯელები, მაგალითად, *ჩაქოღვა* (*ჩაჯოღვა*) და *ამოკიხვა*, ზნეობრივი ხასიათის დელიქტებს შორისაც არსებობდა (მგელაძე 1984: 52-53; ქამადაძე 1999: 162).

წარსულში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დასჯის სახეობებიდან განსაკუთრებით პიროვნების თემიდან მოკვეთა ფიგურირებს, რაც საკმაოდ მძიმე სასჯელად იყო მიჩნეული. სასჯელის ასეთ ფორმას ბექა-ალბუღას სამართალი „გაძებასა“ და „გარდახვენას“ უწოდებს. დამნაშავის *გაძება* (გაძევება, განდევნა) და *გაჰდახვენა* (გადასახლება), როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიაჩნიათ და რომელსაც ბექა-ალბუღას სამართალი სასჯელის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებდა, ძველი ტრადიციით განმტკიცებული წესი იყო და მას სამართლის წიგნში სანქციის მნიშვნელობა ჰქონდა შექნილი (ლეკიშვილი 2000: 80). სამართლის წიგნის მიხედვით თუ დიდებულის მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავე კანონით დადგენილ სისხლის ოდენობას ვერ გადაიხდიდა, მაშინ მისთვის მამული უნდა ჩამოერთვათ, დასახლებიდან გაეძევებინათ ანდა ათაბაგისათვის და მანყვერელისათვის გადაეცათ. კანონმდებლის თქმით, „თუ ვერ ამოუქ[ვი]დოდეს, გარდაიხვენოს, და მამული პატრონსა აქუნდეს – ჯაყელსა და მანყვერელსა. ნახევარი გამოსავლისა მესისხლეს აჭამონ“ (დოლიძე 1953: 287).

აჭარამაც, განსაკუთრებით მისმა მთიანმა ნაწილმა, დიდხანს შემოინახა სამართლებრივი და საზოგადოებრივი ნორმების ისეთი კატეგორია, რომელიც პიროვნების საზოგადოებიდან იზოლაციას ითვალისწინებდა და ადათებს შეესატყვისებოდა, შესაბამისად, სოციალური ურთიერთობების არქაულ პლასტებს შეიცავდა. ჩვეულებით სამართალში არსებობდა წამქეზებლის იურიდიული განსაზღვრაც და მის მიმართ გარკვეული სასჯელებიც გამოიყენებოდა, რომელთა შორის *მოკვეთა*, *იგივე*, *მიგდება* პრიორიტეტული იყო. ჩვეულებრივ წამქეზებელს თემიდან აძევებდნენ, თემიდან იკვეთდნენ, ე.ი. მას მეზობლები „მიადებდნენ“ – მოიკვეთდნენ (ბოჭორიშვილი 1976: 152). წამქეზებლისადმი ასეთი სანქცია სასჯელის ზომად მიიჩნეოდა (შამილაძე 2011: 186). იგი გაკიცხულად ითვლებოდა და მას არაფრად არ აგებდნენ. ამდენად, საგვარეულოდან და, შესაბამისად, თემიდანაც მოკვეთა ხდებოდა არამარტო ისეთი პირის, რომელსაც ბრალი მრუშობაში ედებოდა, არამედ ისეთი პირისაც, რომელსაც ბრალი წაქეზებაში დაედებოდა. ასევე, ცნობილი იყო სამართლებრივი ნორმები მორალური პასუხისმგებლობის დროს, რომელიც როგორც შერიგებამდე, ისე შერიგების შემდეგაც დაზარალებულის მიმართ დამნაშავეს ეკისრებოდა. იმისათვის, რომ დაზარალებულს დარიგებამდე დამნაშავის მხრიდან ვინმე არ ესისხლა, დამნაშავე – მკვლელი რამდენიმე წლით საცხოვრებლად სხვაგან უნდა გადასულიყო. ამის შემდეგაც, ვიდრე დარიგებაზე დაზარალებულის თანხმობა არ იქნებოდა, დამნაშავე მას უნდა მორიდებოდა. ზოგჯერ ბრალეული მხარე საცხოვრებელ ადგილს სამუდამოდ ტოვებდა, მთელი ოჯახით საცხოვრებლად სხვა სოფელში გადადიოდა ანდა შორს გადაიხვენებოდა და ამით „მტერს დეერიდებოდა“ (ბოჭორიშვილი 1976: 152-153). მურღულის მხარეშიც, როგორც ამას სოფელ ბაშქოისა და ოზმალში გამოვლენილი სავლელ წყაროებიც გვიდასტურებს, გარკვეული დარღვევებისათვის, მათ შორის, სისხლის სამართლებრივი დანაშაულისათვის, შესაძლოა პიროვნებას სოფელი დაეტოვებინა და საცხოვრებლად სხვაგან გადასულიყო. მურღულის ხეობაში მკვლელობა შესაძლოა საკარმიდამო ნაკვეთის საზღვრის – „სინორის“ გამო მომხდარიყო, რასაც საპირისპირო მხრიდან შედეგად უთუოდ სისხლის აღება მოჰყვებოდა. მინის საზღვრებთან ანდა განზრახ მისი დასაკუთრების მცდელობისათვის დაწყებული დავა, შესაძლოა, მკვლელობაც ყოველთვის მოსისხლეთა – „ხასითა“ დარიგებით არ სრულდებოდა. როცა მოლაპარაკებები უშედეგოდ სრულდებოდა, მკვლელი თავის მამაპაპისეულ საცხოვრის ტოვებდა და სხვაგან გადაიხვენებოდა. ასეთი განაჩენის გამოტანის დროს

თემი ერთიანი იყო. სხვათა ანდა საერთო სარგებლობის მიწების შევიწროვებისა და მითვისების ხარჯზე საკუთარი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება თემისათვის მიუღებელი იყო, თუმცა არც მკვლელობა იყო გამართლებული. ამიტომ მკვლელი იძულებული ხდებოდა საკუთარი კერა დაეტოვებინა და უცხო მხარეში გადასულიყო. იგი უკვე „დუშმანიანად“ – მტრიანად ითვლებოდა. საერთოდ, მურღულის მხარისათვის უცხო იყო დამნაშავის ძალით გაძევება, ჩაქოლვა, სახლ-კარის გადაწვა და სხვა სახის ზიანის მიყენების მცდელობა. როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, ასეთ დროს დამნაშავე თვითონ ცდილობდა იქაურობას გაცლოდა და სხვაგან გადასახლებულიყო. ამასთან, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ გადასახლების აუცილებლობა თემის მიერ დამნაშავის მიმართ აშკარად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებითა და სისხლის აღების ტრადიციით – „ყანდავით“ იყო განპირობებული. შესაძლოა, პასუხი მოკლულის ნათესავებსაც მოეთხოვათ, რადგან უახლოესი ნათესავები ვალდებული იყვნენ დამნაშავის სისხლი აეღოთ. მტრობა შთამომავლობას გადაეცემოდა (ფუტკარაძე 2016: 135-137).

როგორც ცნობილია, წარსულში აჭარაში ნოგროს – გვარის გენეალოგიური სეგმენტის საზოგადოებრივი ერთობა სისხლი-მესისხლეობის სფეროშიც პოულობდა გამოხატულებას, რის გამოც იგი სოლიდარულ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდა. ნოგროს თითოეულ წევრზე პასუხს ზოგადად კოლექტივი აგებდა. ინდივიდის სავაჟაკო და სამარცხვინო საქციელი ნათესაური წრის დადებით და უარყოფით მხარეებს ავლენდა. ამიტომ, თითოეული ცდილობდა საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიში გაენია და სახიფათო პრობლემები თავიდან აეცილებინა. სანინააღმდეგო შემთხვევაში გვარის შემარცხვენილი – გვაჩიმაძგი შესაძლოა იძულებული გაეხადათ თემი დაეტოვებინა. პიროვნება გვარიმაძგი იმ დროს ხდებოდა, როცა იგი უნლოვან, თუნდაც სრულწლოვან, მათ შორის, სისხლით ნათესავ ქალთან სქესობრივ კავშირს დაიკავებდა – „შეეხეოდა“. ამ ფაქტს შესაძლოა მკვლელობაც მოჰყოლოდა. დამნაშავის მხარე დანაშაულის სიმძიმის გამო შურისმაძიებლებს პასუხს ვერ სცემდა. მეტიც, დამნაშავე ქალის ძმებისა და ბიძაშვილების დევნას თუ გადაურჩებოდა, მაშინ გვარიმაძგის „კედარო“ – გვარის მხარე მაინც მომხრე იყო, რათა ნათესავს სოფელი დაეტოვებინა და გადახვეწილიყო. ასეთ დროს გადაწყვეტილება თემის ინტერესებიდან გამომდინარე გვარის ფარგლებში მიიღებოდა, უფრო მეტიც, ზოგჯერ მას ერთპიროვნულად თემის ავტორიტეტული პირი – „წინაა კაციც“ კი წყვეტდა. აქ უკვე პიროვნებათა არჩევა აღარ ხდებოდა. წინააკაცებს, რომელთა ავტორიტეტი საყოველთაოდ ცნობილი იყო და რომელთაც არჩევის გარეშე ჰქონდათ უფლება საქმე გადაეწყვიტათ, ზეპირი საჩივარი წარედგინებოდათ, შესაბამისად, საქმეც ადათობრივი ნორმების საფუძველზე წყდებოდა. ლიტერატურიდან ცნობილია ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტებიც, როცა წინააკაცი დამნაშავეს დამოუკიდებლად სჯიდა. მაგალითად, შერიფ-ხიმშიაშვილის ერთგულ თანამებრძოლს, დიდი სახელის მქონე შირინ-ალა დავითაძეს ერთ-ერთი მეზობელი მრუშობისათვის სოფლიდან გაუძევებია (ზოიძე 1996: 75). როგორც უკვე დადგინდა, ქართველ მთიელებში სხვადასხვა დანაშაულისათვის თემიდან „გაძევებასა“ და „მოკვეთას“ სათემო ყრილობა ადგენდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოკვეთასთან კონტექსტში ფიგურირებს სამხისხვედო სამანი, რომელიც ქვის სახით მიწაში ისმებოდა. სამრისხველო სამანის ჩასხმის შესახებ გადაწყვეტილება თემს გამოჰქონდა იმ დროს, როდესაც თემიდან ამა თუ იმ პიროვნებას მოიკვეთდნენ ანდა გააძევებდნენ. ასეთი სასჯელი თემს უპირატესად საზოგადოების ლალატის დროს გამოჰქონდა. მთიულეთში, ხანდოს ხევში, ხანდოელებს მაგალითად, ლალატად მიუჩნევიათ თემის სალოცავის – „ყოვლანმინდის“ კუთვნილი ვენახიდან „კულუხის“ მოუტანლობა. ხანდოელებს ბარში ოდესღაც გადასახლებული მეთემეები დაუნყველიათ – სამანი ჩაუსვამთ დავითურთ ხატში – „აღარც ღვინო გვინდა მათი, აღარც ის მამულები და აღარც ის ხალხიო“. სამანი ერთი მეტრი სიგრძის ქვა იყო. ამ რიტუალს მთელი სოფელი ესწრებოდა. სამანისათვის ყველას თითო მუჭა მიუყრია. ხანდოშივე დასტურდება მოკვეთა ქალთან ურთიერთობებში ზნეობრივი ნორმების დარღვევის გამო, განსაკუთრებით, ნათესავის ცოლთან სქესობრივი კავშირის დამყარების მცდელობისათვის. ამის გამო სოფელს მამაკაცი შეეძლო შვიდი წლით მოეკვეთა. მას სოფლის შუაგულ ადგილას ხარს დაუკლავდნენ. მაგალითად, ხანდოშივე დამნაშავის ხარი სოფელს ერთობლივად დაუჭერია. ხარი დეკანოზს დაუკლავს და მასვე დაურისხებია. ოცდაათ კომლს ხორცი უმად გაუნანილებია. ამავე დროს, დამნაშავე გაუშიშვლებიათ და ყინულზე უტრიალებიათ, შემდეგ უცემიათ. მოკვეთის ვადის გასვლის შემდეგ დამნაშავე აყრილა და ბარში გადასახლებულა. მოკვეთიდან შვიდი წლის განმავლობაში დასჯილთან ყველა უმძრახად იყო. მას არც ხატში ეძახდნენ და, საერთოდ, არავისთან მისვლისა და კონტაქტის უფლება არ ჰქონდა, განსაკუთრებით მონანილეობას ვერ მიიღებდა ქორწილსა და მიცვალებულის დაკრძალვის დროს სამგლოვიარო რიტუალში (თოფჩიშვილი 2006: 118-119). დასავლეთ საქართველოდან, ამ მხრივ, უთუოდ საინტერესოა აფხაზეთისა და სამეგრელოს სამართლებრივი სივრცის დახასიათება. აფხაზეთში დამნაშავის მხარეც წინააღმდეგობა იწვევდა მთელი სამართლის გარკვეული ალტერნატიული წესის საშუალებით თავის დაცვას. აფხაზეთშიც ახლო ნათესავების – პატრონიმიისა და გვარის შიგნით მკვლელობა დაუშვებელი იყო. თუ შემთხვევით ასეთი რამ მოხდებოდა, მკვლელს გასამართლების გარეშე საზოგადოებიდან მოკვეთით სჯიდნენ (ბახია 2014: 128). როგორც წყაროების ანალიზი გვაჩვენებს, პიროვნების თემიდან მოკვეთასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები ზოგადად კავკასიურ ჭრილშია განსახილველი, თუმცა მიუხედავად



იმისა, რომ ყველგან ამოსავალი ხალხური სამართალია, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის სასამართლო აღსრულებით ინსტიტუტებში მეტ-ნაკლები სხვაობა მაინც შეინიშნება, რაც ბუნებრივიცაა, რადგან, მაგალითად, საქართველოში შუა საუკუნეებში სამართლის რეგლამენტაციას ჩვეულებითი სამართლის პარალელურად ფეოდალური სასამართლო ორგანიზაცია აწესებდა. თემის პირობებში კავკასიის მთიელთა ჩვეულებითი სამართლის შესწავლა გამოკვეთილად მიუთითებს ურთიერთდახმარების განსაკუთრებულ როლზე. საზოგადოებრივი იზოლაცია სასჯელის უმაღლეს ფორმას წარმოადგენდა, რომელიც ფიზიკური მოსპობის თანაბარი იყო (ხარაძე 1964: 7). ზოგიერთი ისტორიკოსისა და ეთნოლოგის აზრით, საზოგადოებრივი იზოლაციის ეს ფორმა გენეტიკურად „გვაროვნულ წყობილებას“ უკავშირდებოდა. პირველყოფილი გვარიდან პიროვნების მოკვეთის ჩვეულება სიკვდილით დასჯას უტოლდებოდა, რადგან გვარისაგან დამოუკიდებლად წევრს ინდივიდუალობის შეგნება არ გააჩნდა და, ცხადია, არსებობაც არ შეეძლო. მოგვიანებით, მოკვეთის ჩვეულება სოფლის თემმაც შეინარჩუნა, როგორც ჩვეულებითი სამართლის ნორმა. ქართველი მთიელების გარდა, ნათესავის მკვლელობისათვის გვარიდან პიროვნების განდევნა სცოდნით ძველ ბერძნებს, სემიტებს და სხვა არაერთ ხალხს (ლაფარგი 1950: 50).

განვითარებული და ადრე შუა საუკუნეების საქართველოში პიროვნებას ანდა პიროვნებათა ჯგუფს სასჯელი სხვადასხვა დანაშაულისათვის ედებოდა, მაგალითად სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისათვის: 1. სამშობლოს ღალატისათვის, განდგომისათვის, მეფის შეურაცხყოფისათვის; 2. სქესობრივი ზნეობის დარღვევისათვის, რომელიც იყო ბუნებითი და ბუნების გარეშე; 3. ადამიანის სიცოცხლის მოსპობისათვის – კაცის კვლისათვის, დაჭრისათვის, მეკობრეობისათვის, დაგერშვისათვის; 4. საკუთრების ხელყოფისათვის – ნივთების მოპარვისათვის, განსაკუთრებით, საბუთების მოპარვისა და მოსპობისათვის, ძარცვისათვის. იქვე არსებობდა დანაშაულის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი, შესაბამისად, თითოეული დანაშაულისადმი შესატყვისი სასჯელები. სქესობრივი ხასიათის დანაშაულთა დასჯა გამორჩეულ ადვილს იკავებდა. პირობითად იგი ორ ჯგუფად იყოფოდა: ბუნებით დანაშაულად და ბუნების გარეშე დანაშაულად. არა მარტო ძველი ქართული სამართალი დამცავი სისტემა, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ძველი სამართალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მტკიცედ ებრძოდა ყველა ტიპის სქესობრივი ზნეობის დამრღვევ დანაშაულებს, სქესობრივი ზნეობა კი სხვადასხვა ხანასა და ეპოქაში, სხვადასხვა რელიგიურ გარემოში, სხვადასხვაგვარი იყო. მიაჩნიათ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ეს ნაკარნახევი იყო იმ ტრადიციებისა და წესებისაგან, რაც ქართული ჩვეულებითი სამართალიდან მომდინარეობდა. ბუნებით დანაშაულობებს შორის გამოიყოფოდა *სიძვა*, რომელიც დაუქორწინებელ ქალ-ვაჟთა სქესობრივ კავშირს ერქვა, ცოლის ანდა ქმრის უცხო კაცთან თუ ქალთან სქესობრივ დაახლოებას კი – *მიუშობა* ეწოდებოდა. სიძვის ჩამდენ მამაკაცს „მსიძავს“ ეძახდნენ, ქალს კი – „მეძავს“. *მსიძავი*, ისე, როგორც *მეძავი*, სასჯელს ექვემდებარებოდა. საეკლესიო სამართალი სიძვისათვის მკაცრ სასჯელს – შვიდ წელს უზიარებლობას მიმართავდა, მრუშობისათვის დამნაშავე თხუთმეტი წელი უზიარებელი უნდა ყოფილიყო. იმ შემთხვევაში, თუ მოღალატე ცოლი აღმოჩნდებოდა, ქმარი ცოლს თავს ანებებდა და თავის სამშობლოში გზავნიდა, მის საყვარელ კაცზე კი შურს იძიებდა, კაცის ღალატის დროს კი ქმრის საყვარელი ისჯებოდა (გოგოლიშვილი 2011: 95-96). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც გამჟღავნების შემთხვევაში მრუშობას უცილობლად დასჯა მოყვებოდა. თითქმის ყველგან მრუშობას თემი უყურადღებოდ არ ტოვებდა, მასზე მკაცრად რეაგირებდა და დამნაშავეებს სასჯელის უმაღლეს ფორმას უსადაგებდა. სამხრეთ საქართველოში კომპოზიციასთან ერთად დასჯის ფორმების შესასწავლად განსაკუთრებით ძვირფას ცნობებს ბექა-ალბულას სამართალი შეიცავს, რომელშიც XIII-XIV საუკუნეების საქართველოს სოციალური და იურიდიული წყობილებაა ასახული. ბექა-ალბულას ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენდა. სწორედ ამ თვალსაზრისითაცაა საყურადღებო ბექასა და ალბულას სამართალი, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს ჩვეულებითი და სახელმწიფო სამართალი ერთმანეთს შევუდაროთ და ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტის ისტორიული საფუძვლები განვსაზღვროთ. სამცხეში, განვითარებული შუა საუკუნეების ბექა-ალბულას ფეოდალურ სამართალში მრუშობისათვის განსაკუთრებული სასჯელი იყო დადგენილი. სამართალში მტკიცედ იყო დაცული ოჯახის პრესტიჟი და ცილისწამება, ადამიანის ღირსების შელახვა, მისი სახელის მოყივნება სასტიკად იგმობოდა (ითონიშვილი 2001: 55). ბექა სჯულმდებელი 23-ე მუხლში ადგენდა:

თუ კაცმან დედა-წულმან დედა-წულისა ცოლსა უაშიყოს და კიდევ მოუყივნოს, – გინა ნებითა, გინა უნებურად, – და გამჟღავნდეს, და გინა მუყვისმან მეყვისსა, გინა უმეყვისომან ერთსახლმან, დაუურვოს ცოლისა ქმარსა სრული სისხლი და მთავარმან და პატრონმან მისმან ნიფხვით ოდენ შიშველი და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განიჭებული მო[ა]ქვლოს ... და თუ მას ცოლისა კუროსა ერჩიოს, გაშიშვლება და გაუპატივება იყიდოს და სისხლი ორად შეკეცოს, რასაცა გვარისა იყოს, ამაღ რომე მონდობილი არის სულით, გულითა და ღმრთითა (დოლიძე 1953: 295).

აქედან ჩანს, რომ თუ ცოლშვილიანი კაცი ქმარშვილიან ქალთან, ანდა ნათესავი ნათესავთან მრუშობას ჩაიდენდა, მაშინ მათ შეურაცხყოფელი სასჯელი ედებოდათ: დამნაშავე მამაკაცი „ნიფხავით ოდენ შიშველი და ყელსაბლიანი უბანთა ზედა განიჭებული“ უნდა შემოეტარებინათ (დოლიძე 1953: 84), ე. ი. ამ



მუხლით სანქცირებული სასჯელი ერთნაირად ვრცელდებოდა ყველა იმ პირის მიმართ, ვინც სხვის ცოლს არა მარტო გაანბილებდა, შეარცხვენდა, უწესოდ მოექცეოდა, არამედ ამას გამაჟღავნებდა. როგორც ირკვევა, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა ახლობლობას. ასეთი რამ მოყვრებს შორის მოხდებოდა თუ გარეშე პირთა ურთიერთობაში, სხვისი ცოლის გამანბილებელი და მომყინებელი ვალდებული იყო შეურაცხყოფილი და დამცირებული კაცისათვის სრული სისხლი გადაეხადა და თანაც სახალხო შერცხვენაც არ უნდა ასცდენოდა. ამდენად, ესოდენ დიდ შერცხვენას დამნაშავე მხოლოდ გამოსყიდვით – ორკეცი სისხლის გამოღებით თუ შეძლებდა. საურავის მოცულობა კი გვარიშვილობის მიხედვით განისაზღვრებოდა. ბექა-ალბულას სამართლის ეს პუნქტები სათანადოდ არის გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც მითითებულია, რომ სამცხე-საათაბაგოში ზნეობის დაცვა გარანტირებული იყო ბექა-ალბულას სამართლის 26-ე მუხლის მიხედვითაც, სადაც ახსნილია, რომ სხვის ცოლთან მოარშიყე კაცი თავისი წოდებრივი მდგომარეობის შესაბამისად შეურაცხყოფილ ქმარს, თუ ეს უკანასკნელი ცოლს მიატოვებდა, უხდიდა 12000 თეთრს, ხოლო თუ ქმარი ცოლს შეინარჩუნებდა, მის კუთვნილებას 6000 თეთრი შეადგენდა (ითონიშვილი 2001: 56-57). დასჯის ეს ფორმა აშკარად ჩვეულებით სამართალთანაა კავშირში. იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანი შუა საუკუნეებისათვისაც დასტურდება. საქართველოს არაერთი კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში იგი სხვადასხვა სახით არსებობდა, მაგალითად, მრუშობაში ბრალდებული ქალის ვირზე უკუღმა შესმით, სოფელში უბან-უბან შემოტარებითა და ტალახისა თუ ქვა-ღორღის სროლით.

ჩაქოლვის ერთ-ერთი სახეობიდან აჭარაში *ამოკიჩვა* გამოიყოფოდა. ქალისა და მამაკაცის ამოკირვის სამართლებრივი წესი ძველ საქართველოშიც საკმაოდ ცნობილი იყო. აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ეს ტერმინი XVII საუკუნის კათალიკოსთა სამართალშია ასახული, თუმცა აღნიშნული სამართლის წიგნის დაწერის კონკრეტული თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ივანე ჯავახიშვილი კათალიკოსთა სამართლის წიგნს XVI საუკუნის დასავლეთ საქართველოს უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიიჩნევდა და კათალიკოსთა სამართალში დაკირვასთან დაკავშირებულ მუხლს მერმინდელ დანართად თვლიდა (ჯავახიშვილი 1928: 62-67).

ნიშანდობლივია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალი საზოგადოების ყველა სოციალურ კატეგორიაზე ვრცელდებოდა: თავადზე, აზნაურსა და გლეხზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სხვის ცოლსა და ცოლშვილიან მამაკაცს შორის უნებართვო და აკრძალული სქესობრივი კავშირი, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი კიცხავდა, ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდის აჭარაშიც ისეთივე ფორმით იხებოდა, როგორც ძველ საქართველოში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ტიპის წყაროსა და საეკლესიო სამართლის შედარებითი ანალიზი თვალნათლივ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ძველ ქართულ ფეოდალურ სამართალსა და ჩვეულებით სამართალში დასჯის ფორმები იდენტური იყო. ოფიციალური კანონმდებლობა სამართლებრივ ნორმებს ადათებიდან თანმიმდევრულად ითვისებდა. აჭარის მთიანეთში ადრე დამკირავებად, მამაკაცთან საქმის დამჭერი ქალის ნათესავებიც გამოდიოდნენ და კათალიკოსთა მიერ სამართალშიც სწორედ დაკირვის უფლების მქონე ნათესავებია კურთხეული (მგელაძე 1984: 53-54). დღეს ამოკირვის არათუ მომსწრე, არამედ მახსოვარიც ფაქტობრივად ცოტა თუ გვხვდება. მას ადრე მიმართავდნენ და ისიც უკიდურეს შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი პიროვნების ნამუსს ეხებოდა. ინტიმური კავშირში მყოფ ქალსა და მამაკაცს ოფიციალური მეუღლე და მისი ნოგრო მინაში ყელამდე მარხავდა და ქოლავდა. ჩაქოლვისას ქმრის ნოგროსთან ერთად ქვების სროლის უფლება სოფლის ყველა წარმომადგენელს ჰქონდა (მგელაძე 1984: 60). სპეციალურ ლიტერატურაში დასმულია საკითხი იმის შესახებ თუ ვის ჰქონდა პირველი ქვის სროლის უფლება, კერძოდ, შენიშნულია, რომ „ჩაქოლვის ინსტიტუტთან დაკავშირებით დღემდე მოპოვებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებში კონკრეტულად არ არის გაცემული პასუხი კითხვაზე: ვის ჰქონდა პირველი ქვის სროლის უფლება?“ (ქამადაძე 1999: 164). მურმან ქამადაძე ამ თემაზე დანვრელებით მსჯელობს და, ვფიქრობთ, ანგარიშგასანევი დასკვნებიც გამოაქვს. იგი ვარაუდობს, რომ ჩაქოლვის ქვემდებარე დანაშაულთა სიმრავლე უნდა გულისხმობდეს პირველი ქვის სროლის უფლების მქონეთა განსხვავებულ სუბიექტებსაც, ვინაიდან დღეს-დღეობით ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აჭარაში ჩაქოლვა საძრახის სქესობრივ კავშირთან იყო დაკავშირებული, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ პირველი ქვის სროლის უფლებაც პირველი რიგის დაზარალებულს – ქალის კანონიერ ქმარს უნდა ჰქონოდა, რაც გარკვეულად ინფორმატორთა ცნობებშიც ვლინდება: „ქმარი და დედამთილ-მამამთილი ქვებს მიაყრიდა, შემდეგ მთელი სოფელი დააყრიდა მათ ჯოღლს“ (ქამადაძე 1999: 164). აქედან ჩანს, რომ ოჯახი და გვარი გვევლინებოდა, როგორც იურიდიული პირი, რომელსაც თავის წევრზე სანქციები გამოჰქონდა და აღმასრულებელიც თავადვე იყო, თუმცა ამ ფუნქციებს ნაწილობრივ თემიც ითავსებდა (შამილაძე 2011: 187). ამდენად, დამკირავებად, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებს, თემის და სოფლის წევრებთან ერთად მამაკაცთან საქმის დამჭერი ქალის ქმრის სისხლით ნათესავები გამოდიან და სამართალშიც კათალიკოსების მიერ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ დაკირვის უფლების მქონე ახლო ნათესავებია კურთხეული (მგელაძე 1984: 60). ამდენად, როგორც ვხედავთ, გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სისხლით ნათესავის მიმართ რამდენადაც დიდი იყო ნოგროს წევრის პასუხისმგებლობა, მით

უფრო ძლიერი იყო მასზე კონტროლი იმ თვალსაზრისით, რომ იგი ნოგროს ღირსეული წევრი ყოფილიყო. ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, რომელიც ნათესაური ჯგუფის წევრთათვის მიუღებელი იყო, მაგალითად, სისხლის ნათესავთან სქესობრივი კავშირის დაჭერა, დამნაშავეს უპირველესად ნათესაური ორგანიზაციის ის წევრები ქოლავდნენ, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. ანალოგიური მონაცემები საქართველოს სხვა კუთხეშიც დასტურდება. მაგალითად, ხანდოს თემში გამოვლენილი მასალებით, ჩაქოლვას „ჩაქვავებასაც“ ეძახდნენ. ჩაქვავება ახლო ნათესავის, ნათლიდედის, რძით დანათესავებულის შეცდენისას ხდებოდა. ქალს ქალები ჩაქოლავდნენ, ხოლო კაცს – მამაკაცები. ჩაქოლვა-ჩაქვავებაში მონაწილეობას ღებულობდა როგორც დამნაშავეს სისხლით ნათესავთა ახლო წრე, ისე სოფლისა და თემის დანარჩენი საგვარეულოსა და მამიშვილობის – პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიური სეგმენტის წევრებიც (მგელაძე 1984: 60).

XX საუკუნის მეორე ნახევარში ამა თუ იმ ავტორთა ჩანაწერებსა და რესპოდენტთა მონათხრობის მიხედვით ამოკირვასთან დაკავშირებული ცალკეული ეთნოგრაფიული ფრაგმენტი აჭარაში მაინც დგინდება. ერთი ასეთი წყარო ოთხმოცდაათი წლის ასაკში აბას ქამადაძესთან დაფიქსირდა:

გაგონილი მაქ, რომ ოჯახის ქალი რომ სხვა კაცს შეიყვარებდა და გამომჟღავნებოდა, ქალსაც და კაცსაც გაბანრავდნენ, გეიყვანდნენ სოფლის მოედანზე ანდა ჯვარედინზე, ქმარი და დედამთილ-მამამთილი ქვეს მიაყრიდა, შემდეგ მთელი სოფელი დაყრიდა ჯოღს – ქვას, ჯოხს, რაც ხელში მოყვებოდათ. ჯოლოგებს – ჩაქოლილებს ღამით უჩუმრად წაიღებდნენ მათი პატრონები და ჩუმად მიაბარებდნენ მიწას (ქამადაძე 1999: 163).

წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე მურმან ქამადაძე ავითარებს აზრს, რომ სასჯელის ისეთი სახე, როგორც ჩაქოლვა იყო, ძირითადად, გათხოვილი ქალის მიერ ქმრისათვის ღალატის შემთხვევაში გამოიყენებოდა. ქალი ყოველ მიზეზს გარეშე იმსახურებდა ჩაქოლვას, ხოლო რაც შეეხება მის საყვარელს, იგი შეიძლება ქალთან ერთად ჩაექოლათ ანდა, გამონაკლის შემთხვევაში, მასზე შური ეძიათ. შურისძიების ტვირთი მოღალატე ქალის ქმარსა თუ მის ახლობლებს აწვავდა. გარდა ამისა, მიღებული იყო ღალატის ფაქტზე შესწრებისთანავე დაუყოვნებლივ მოქმედება – დამნაშავეს ჩაქოლვა. იმავე წესით დასჯადი უნდა ყოფილიყო ღალატის ნაყოფი თუ გამოვლინდებოდა ანდა უკანონო ბავშვი თუ გაჩნდებოდა, ე.ი. ქალის მრუშობა როცა გამომჟღავნდებოდა და ფაქტობრივად დადასტურდებოდა (ქამადაძე 1999: 164).

ნიშანდობლივია სისხლ-მესისხლეობის პროცესში მკვლელის დასასჯელად ანალოგიურ ხერხს რომ არ მიმართავდნენ. მკვლელი სისხლით, ე.ი. სისხლის აღებით უნდა მომკვდარიყო. ჩაქოლვა ხალხის თავშეყრის ადგილებში – სოფლის მოედანზე ანდა გზაჯვარედინებზე ხორციელდებოდა. წარსულში აჭარაში ჩასაქოლ პირებს გაბორკილ მდგომარეობაში ორმოში ჩაყრიდნენ და ისე ჩაქოლავდნენ. მურმან ქამადაძის საველე-ეთნოგრაფიული წყაროებით ჩაქოლილ პირებს ჩაქოლვის ადგილზე ტოვებდნენ და, როგორც ჩანს, ორმოში ჩაქოლვა ამ მიზეზით ხორციელდებოდა, ანდა მათი გვამების გადასვენება საზოგადოებისაგან მორიდებულად და ყოველგვარი რელიგიური რიტუალების გარეშე ხდებოდა, გარდაცვლილთა გვამებიც უჩუმრათ იკრძალებოდა. ლოგიკურია, როცა ჩაქოლილი ქალის ჭირისუფალში მის დედ-მამას გულისხმობდნენ. ნათესავის საქციელით შეურაცხყოფილნი ისინი ორმოს გარეშე ზებურად ჩაქოლილის გვამს პატრონობდნენ (ქამადაძე 1999: 164). როცა მას შესაბამისი რიტუალის დაცვისა და დატირების გარეშე დაკრძალავდნენ, ამით სიმბოლურად მიცვალებულს „გვარიმაძაგად“ აღიარებდნენ. გვარიმაძაგის – გვარის შემარცხვენლის მიმართ ახლო ნათესავების ასეთი მკაცრი დამოკიდებულება აჭარის მოსახლეობის სამართლებრივ გარემოში საყოველთაოდ მიღებული წესი იყო (მგელაძე 1984: 47-48). ქართული ჩვეულებითი სამართლის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, აჭარაში წარსულში არც ჩაქოლილი ქალისა და არც კაცის ახლო ნათესავს სისხლის აღების ვალდებულება არ აწვა (ქამადაძე 1999: 164).

როგორც ვხედავთ, განსაზღვრული, განსაკუთრებითი, ზნეობრივი ხასიათის დანაშაულის დროს ხდებოდა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სიკვდილით დასჯა და დასჯის ეს ფორმა აღინიშნებოდა ტერმინებით: *ამოკიხვა*, *ჩაქოღვა* (*მიქოღვა*, *ამოქოღვა*) ანდა *ჩაჯოღვა*. შესაბამისად ჩაქოლილებიც „ჯოლოგებად“ იწოდებოდნენ. საკუთრივ ტერმინი *ამოკიხვა* კირის არსებობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. როგორც ფიქრობენ, თუკი ასეთი სასჯელი ზემო აჭარაში გამოიყენებოდა, მაშინ ამ მიზნისათვის კირი სხვა ადგილიდან არ იქნებოდა მოსატანი, მითუმეტეს, დანაშაულის იმავდროულად სასჯელის აღსრულებაც უნდა მომხდარიყო და აღმსრულებელს კირი იქვე უნდა ჰქონოდა. ამასთან, „მიწის მიქელვაში“ კირის მაგივრად მიწის გამოყენება უნდა იგულისხმებოდა. საერთოდ, კი – ზემო აჭარაში კირის საბადოთა დეფიციტი არ უნდა ყოფილიყო და ამას ადგილობრივი ტოპონიმიკაც მიაწინებებს, მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა დიდაჭარაში, ელეიძეებსა და მახალაკიძეებში – *საკიხიხვი*, საციხურში – *საკიხია*, ფაჩხაში – *საკიხეთი*, ქედლებში – *კიხეთი*, ხაბელაშვილებში – *კიხის ღეღე* (ქამადაძე 1999: 167). თუმცა ისიც სავარაუდოა ტერმინ „ამოკირვაში“ კირის ფუძისეულობა არ უნდა გულისხმობდეს, რომ დამნაშავე დამარხვისას მაინცადამაინც კირით უნდა ამოქოლილიყო. კირი აქ პირობით ხასიათს უნდა ატარებდეს. შესაძლოა, თავდაპირველად დამნაშავეს ამოქოლვა მართლაც კირით ხდებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ტიპურად დამნაშავეს დასჯა ორმოში მიწის მიყრით უნდა შეცვლილიყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში დაისვა საკითხი ჩაქოლვისა და ამოკირვის იგივეობისა თუ განსხვავებულობის შესახებაც: თანაბარი მნიშვნელობის იყო ეს ორი ცნება თუ ისინი სასჯელთა სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნებოდა. ამის საჩვენებლად მურმან ქამადაძე მიმოიხილავს ნუგზარ მგელაძის ერთ-ერთ ნაშრომს (მგელაძე 1984) და შენიშნავს, რომ ნუგზარ მგელაძე ხაზს უსვამს სასჯელის გამოყენების ტერიტორიულობას – გავრცელების არეს და იმ ფაქტს, რომ აღნიშნული სასჯელები ქალისა და მამაკაცის უზნეო საქციელის ჩადენისას გამოიყენებოდა. ავტორს საეჭვოდ მიაჩნია აჭარაში დადასტურებული ჩაქოლვის ინსტიტუტისა და ამოკირვის ჩვეულების ერთმანეთთან გაიგივების შესაძლებლობა. იგი კონკრეტულად სვამს კითხვას: „იყო თუ არა ჩაქოლვა და ამოკირვა ერთი და იგივე სასჯელი“? და ცდილობს თავადვე უპასუხოს დასმულ საკითხს. მისი დაკვირვებით, თუ საქართველოში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, რეალურად ჩაქოლვის პროცედურის უშუალო მომხრე არ გვყავს და მასზე მსჯელობა მხოლოდ წინა თაობათა გადმოცემით გვიხდება (ქამადაძე 1999: 162-163). ავტორის თანახმად, ჩაქოლვა ორგანულად და შინაარსობრივად ახლოს დგას ამოკირვის ჩვეულებასთან. „კათალიკოზთა სამართალში“ ჩაქოლვა დაკირვის მნიშვნელობით იხმარება, რის გამოც, ალბათ, აჭარაში დადასტურებული ჩაქოლვა ამა თუ იმ მკვლევარმა ამოკირვასთან გააიგივა, რაც მურმან ქამადაძეს საეჭვოდ მიაჩნია და ამის დასაბუთებას სათანადო არგუმენტებითაც ცდილობს, კერძოდ, თუ ჩაქოლვის შესახებ ზეპირსიტყვიერებაში ჭარბადაა ცნობები, სამაგიეროდ ჩაკირვის შესახებ ეს არ ითქმის (ქამადაძე 1999: 163). თუმცა ეს გარემოება სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ ჩაკირვა აქაური ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის უცხო იყო, ან რომ ის ჩაქოლვას ნიშნავდა.

აქ ხაზი ესმება ალტერნატიულ სასჯელებს – ჩაქოლვასა და ჩაკირვას. ტერმინი *ამოსკიდვა*, რომელიც ამოვსებას ნიშნავს ზემო აჭარულ დიალექტში დღესაცაა შემონახული. ტერმინი წყევლის ფორმულებშიც გამოიყენებოდა. მურმან ქამადაძე, წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე ფიქრობს, რომ სასჯელის ორივე ფორმა – ჩაქოლვა და ამოკირვა ერთი და იგივე შედგენილობის დანაშაულისათვის გამოიყენებოდა, მაგრამ მათი აღსრულება ისეთი ზნეობრივი ნორმების დარღვევისათვის, როგორც უცხო მამაკაცთა საზოგადოებაში თავშიშველი ანდა ფეხშიშველი გამოჩენა იყო, შარიათის გავლენით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რაც ახლოს დგას აღმოსავლური ჩვეულებითი სამართლისათვის კარგად ცნობილ ცოცხლად დამარხვის წესთან (ქამადაძე 1999: 163). საერთოდ საინტერესოა ის ფაქტი, ჩვენ ამოკირვის ჩვეულების ასახვას აჭარაში შარიათის ნორმებშიც რომ ვნახულობთ. პირთა სიცოცხლის ხელსაყოფად ჩაქოლვის განაჩენის გამოსატანად რელიგიური – მუსლიმური სასამართლო ორგანიზაცია თავის დროზე – VII საუკუნეში მუჰამედის ნამოქმედარს ეყრდნობოდა. მრუშობა განისაზღვრებოდა არა მარტო დაუქორწინებელ, არამედ ქორწინებაში მყოფ პირთა მიმართაც. ქორწინებაში მყოფი მამაკაცისა და დედაკაცის მრუშობა მოწმეთა მხრიდან ჩვენებით თუ ჯეროვნად იქნებოდა დასაბუთებული, მაშინ დამნაშავენი ქვებით ჩაქოლვით სასჯელს ექვემდებარებოდნენ. სასჯელის აღსრულების მიზნით დამნაშავენი მიტოვებულ და უნაყოფო, საცხოვრებლად და საყანედ უვარგის ადგილას მიყავდათ, სადაც მათი ჩაქოლვა ხდებოდა. ასეთ ადგილზე მიყვანილი დამნაშავეების მიმართ წაყენებული სასჯელის წარმოება პირველ რიგში მოწმეების მიერ იწყებოდა, ე.ი. მუსლიმური სამართალი მრუშთა დასჯას – სასჯელის აღსრულებას მოწმეებს ავალბებდა. როგორც ვხედავთ, მუსლიმანურ სასჯელთა რიგში ცნობილია დამნაშავეთა მიწაში ყელამდე დამარხვის წესი, მაგრამ ამასთან უნდა შევნიშნოთ იგი არის არა უშუალოდ მუსლიმური სამართლებრივი სივრცის პროდუქტი, არამედ ისლამამდელი სამართლებრივი ხასიათის ჩვეულება. ყველა შემთხვევაში ამოკირვა, როგორც სიკვდილით დასჯის სამართლებრივი აქტი, როგორც გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში, ისე მუსლიმურ – შარიათის სამართალში განხილული უნდა იქნას, როგორც ჩვეულებითი სამართლიდან აღმოცენებული სანქცია – ჩაქოლვის ნაირსახეობა.

წარსულში მთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ყოფილა სიმბოლური ჩაქოლვაც, რომელიც, ვფიქრობთ, იმ ეტაპზე უნდა წარმოქმნილიყო, როცა ხალხურმა სასამართლომ ამ სფეროში ადამიანების სიკვდილით დასჯის სამართლიანობაში ეჭვი შეიტანა ანდა განაჩენის გამოტანის უპირატესობა სახელმწიფო სასამართლოს მიანდო. მურმან ქამადაძე სიმბოლურ ჩაქოლვასთან დაკავშირებით წარმოგვიდგენს თვალსაჩინო საველე მასალას, რომელიც მის მიერ უშუალო დაკვირვების საფუძველზეა შეკრებილი. ერთი ასეთი ეთნოგრაფიული წყაროს მიხედვით, ზოტიყელის იაილაზე მოწყობილ შუამთობაზე – სახალხო დღესასწაულზე, სადაც ხულოს რაიონის ლორჯომის თემის მოსახლეობა მონაწილეობდა, ახლადმოყვანილი რძალი მის ადრინდელ მაპირებელს გაყოლია. ამ ამბის გამგონე დედამთილმა ხმამაღალი კივილითა და წყევლა-კრულვით გზაჯვარედინზე, სადაც იაილებიდან მოსახლეობა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხისა თუ უბრალოდ სასაუბროდ საღამოობით იკრიბებოდა, გაქცეული რძლის ლეჩაქი და კაბა გამოიტანა და ძირს დააგდო, თან ქალის წყევლას განაგრძობდა და შემთვრებს – მოიალალებს მოუწოდებდა, რათა ოჯახის შემარცხვენელი ქალი დაეწყევლათ და ჩაექოლათ. მანვე ძალზე ახალგაზრდა ბიჭს – რძლის ძმას ხელში ქვა შეაჩეჩა და ჩაქოლვა უბრძანა. ბიჭმა მორცხვად მოიქნია ქვა კაბისაკენ და ხალხს შეერია, ხოლო იქ მყოფთაგან ყველამ – დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა იმ ადგილს, სადაც კაბა და თავსაბური ეგდო, ქვები დააყარა. მთაბარობის სეზონის დასრულებამდე ქვების გროვა ხელუხლებელი დარჩა. ბავშვები ერიდებოდნენ იმ ადგილს,



რადგან წარმოედგინათ, რომ იქ მართლაც ქალი ემარხა. მურმან ქამადაძის დასკვნით, ეს შთამბეჭდავი რიტუალი, მიუხედავად სიმბოლოზობისა, ჩაქოლვის ძირითად ელემენტებს მოიცავდა (ქამადაძე 1999: 166). ჩაქოლვის მსგავსი ჩანს აჭარაში სიმბოლოზური დასაფლავების ჩვეულებაც, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში ოჯახის უფროსი მამაკაცები მიმართავდნენ, რომელთა დაუკითხავად მათი ქალიშვილები თხოვდებოდნენ – „იპარებოდნენ“ ანდა როცა მათ რომელიმე ვაჟიშვილი აუტანელ წყენინებასა და შეურაცხყოფას მიაყენებდა. ასეთ დროს ორმოს ამოთხრიდნენ, შიგ პიროვნულად „მოკვეთილი“, როგორც აჭარაში უწოდებდნენ – „მორესიტული“, შვილის ტანსაცმელს ჩააგდებდნენ, სასულიერო პირს მიცვალბებულისათვის დადგენილ ლოცვას აღასრულებინებდნენ და ორმოს მიწას დააყრიდნენ (ქამადაძე 1999: 166). სიმბოლოზური ჩაქოლვა საქართველოს სხვა კუთხეშიც მოწმდება. ფშავში ცნობილი იყო სიმბოლოზური ჩაქოლვასთან დაკავშირებული ერთი ასეთი ამბავი: ერთ-ერთ სოფლიონელ კაცს ცოლი გაქცევია. ქმარი დადევნებია, როცა დაენია ხეზე მიუბია, ყურები და ცხვირი მოუჭრია, ქვალორდი მიუყრია და წასულა. აქედან ჩანს, რომ ქმარმა სიმბოლოზურად სისრულეში მოიყვანა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ქალის ბოზობისათვის განსაზღვრული ვერდიქტი (ქამადაძე 1999: 166). ამ მხრივ საინტერესოა მთიულეთის ეთნოგრაფიული სურათიც, რომელიც განმეორებით სიმბოლოზური ჩაქოლვას – ჩაქოლვის სამართლებრივ იმიტაციას გამოხატავს. მთიულეთის სოფელ სეთურეთში ქვის გროვის ბორცვია აღმართული. ადგილობრივი მკვიდრი ვალდებული იყო ბორცვისათვის ხელუკუღმა ქვა მიეგდო. ქვის ბორცვის ქვეშ საუკუნეების მიღმა ჩაქოლილი ქალ-ვაჟია, რომლებსაც ერთმანეთთან შეუცოდავთ (თოფჩიშვილი 2006: 118). როგორც ვხედავთ, საქართველოს, მათ შორის, სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოკვეთა ანდა ჩაქოლვა ხდებოდა: 1. თემის საერთო ინტერესების დარღვევისას; 2. გათხოვილი ქალის მხრიდან ქმრის ღალატისას; 3. საძრახისი სქესობრივი კავშირისას; 4. განმეორებითი ქურდობისას (ქამადაძე 1999: 164).

ამრიგად, წარსულში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დასჯის ესა თუ ის სახე საზოგადოების ნორმალური სამართლებრივი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი წინაპირობა იყო, შესაბამისად, საზოგადოების კანონზომიერი არსებობისათვის სამართლებრივ ყოფაში დანაშაულის საზღაურად დასჯის ამა თუ იმ ფორმის გამოყენება მიაჩნდათ. ასე იყო ძველ საქართველოში, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – სამცხესა და აჭარაში. ძველმა ქართულმა წერილობითმა წყაროებმა ადამიანის დასჯის სხვადასხვა ფორმის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა, რომელთაგან წინა პლანზე იდგა ფიზიკური დასჯა და გამაწილებელი სასჯელები. მათი დიდი ნაწილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვისაც დადასტურდა.

## დამონებანი

- ასათიანი 1938:** ა. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი.
- ბაგრატიონი 1957:** ი. ბაგრატიონი. სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა.
- ბარდაველიძე 1974:** ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბილისი.
- ბახია 2014:** ს. ბახია. აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი, თბილისი.
- ბეჟაია 1974:** მ. ბეჟაია. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი.
- ბოროზდინი 1934:** კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი, თბილისი.
- ბოჭორიშვილი 1976:** ლ. ბოჭორიშვილი. აჭარაში 1974 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, ტ., IV, თბილისი.
- ბრეგაძე 1964:** ნ. ბრეგაძე. მემინდვრობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი რაჭა-ლეხუმში, მაცნე, ისტორიის სერია, ტ., 2, თბილისი.
- გოგოლიშვილი 2011:** ო. გოგოლიშვილი. საქართველოს სამართლის ისტორია, ბათუმი.
- დოლიძე 1953:** ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, თბილისი.
- დოლიძე 1957:** ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი.
- ენუქიძე 1955:** ვახტანგ VI. სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- ვანლიში, თანდილავა 1964:** მ. ვანლიში, ა. თანდილავა. ლაზეთი, ბათუმი.
- ზოიძე 1996:** ო. ზოიძე. სასამართლო ორგანიზაცია აჭარაში ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ტ., I, ბათუმი.
- თოფჩიშვილი 2006:** რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია (მოკლე სალექციო კურსი), თბილისი.

- იოთნიშვილი 1960:** ვ. იოთნიშვილი. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი.
- იოთნიშვილი 2001:** ვ. იოთნიშვილი. ბეჟასა და აღბუღას სამართალი, როგორც ეთნოგრაფიული კვლევის წყარო, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, III, თბილისი.
- კიკვიძე 1949:** ა. კიკვიძე. სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXVII, თბილისი.
- კილასონია 1982:** ა. კილასონია. ტყვეებით ვაჭრობის ორგანიზაცია და ცენტრები გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, თბილისი.
- ლაფარგი 1950:** П. Лафарг. Собственность и ее происхождения, Москва.
- ლეკიშვილი 2000:** ა. ლეკიშვილი. სისხლის სამართლის დანაშაულები, სასჯელთა სახეები და სამართალწარმოება ბეჟა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით. მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე.
- ლომორი, ბერძენიშვილი 1941:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. რედაქტორები ნ. ლომორი და ნ. ბერძენიშვილი, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მგალობლიშვილი 1975:** ჟ. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XXXVIII, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი.
- მგელაძე 1996:** ვ. მგელაძე. ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებანი აჭარაში, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ტ. I, ბათუმი.
- მგელაძე 1984:** ნ. მგელაძე. ნათესაური ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, თბილისი.
- მგელაძე 2018:** ნ. მგელაძე. მკურნალობასთან დაკავშირებული მაგიური რიტუალები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ კულტურაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“, ბათუმი.
- მსხალაძე 1965:** ა. მსხალაძე. აჭარის საოჯახო საწესრიგებო პოეზიის ზოგიერთი საკითხი, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბილისი.
- ნადარეიშვილი 1965:** გ. ნადარეიშვილი. ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბილისი.
- ნადარეიშვილი 1986:** გ. ნადარეიშვილი. ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, თბილისი.
- ნებიერიძე 1948:** ი.ს. ნებიერიძის მოგონებანი თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში გოგო-ბიჭების მოტაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის შესახებ, ბათუმი.
- ნოლაიდელი 1935:** ჯ. ნოლაიდელი. ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი.
- სახოკია 1950:** თ. სახოკია. მოგზაურობანი, თბილისი.
- ტუნაძე 1996:** თ. ტუნაძე. კერის ჯაჭვი, საისტორიო მაცნე, ტ. V, ბათუმი.
- ფუტკარაძე 1964:** ი. ფუტკარაძე. ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის. თბილისი.
- ფუტკარაძე 2016:** თ. ფუტკარაძე. ადათობრივი ნორმებისა და პიროვნების სოციალური სტატუსის ტრანსფორმაციის ზოგიერთი საკითხი ქოროხის ხეობაში (ბორჩხისა და მურღულის მასალების მიხედვით), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, ტ. IV, ბათუმი.
- ქამადაძე 1999:** მ. ქამადაძე. ზოგიერთი სახის სასჯელი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით (ზემო აჭარის მაგალითზე), ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, № 3, ბათუმი.
- ყუბანიშვილი 1946:** ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, ტ. I, შედგენილი ს. ყუბანიშვილის მიერ, თბილისი.
- შამილაძე 2011:** ვ. შამილაძე. ჩვეულებითი სამართლის ტრადიციული ნორმები აჭარაში, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი (პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში, ტ. II, ბათუმი.
- ჩართოლანი 1961:** მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი.
- ჭანტურიშვილი 1984:** ს. ჭანტურიშვილი. ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის ცდა), თბილისი.
- ჭყონია 1955:** ი. ჭყონია. ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი.
- ხარაძე 1949:** რ. ხარაძე. ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, მიმომხილველი, ტ. I, თბილისი.
- ხარაძე 1964:** Р.Л. Харадзе. Хевсурское Алгумы – древняя форма общественно, экономического объединения, Кавказский этнографический сборник, ტ. I, თბილისი.
- ხარაძე, რობაქიძე 1965:** რ. ხარაძე, ა. რობაქიძე. მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი.
- ხუბუა 1938:** მ. ხუბუა. „ხაჯალური“ და „დადიანური“. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ., II, ტფილისი.
- ჯავახიშვილი 1928:** ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1, ტფილისი.

## **TYPES OF PUNISHMENT IN HABITUAL LAW IN SOUTH-WESTERN GEORGIA (HIGH AND LATE MIDDLE AGES)**

**Beka Mgeladze**

For the normal functioning of the society various forms of punishment as the cost for committing the offence was considered to be the essential norm. Therefore at different stages of development of the societies various punishments were applied depending on the gravity of the offense. The same attitude was in ancient Georgia, including the southwestern Georgia – Samtskhe and Adjara.

The present article investigates Georgian writing sources and provides the interesting information about the different types of penalty for humans, including corporal punishment and humiliating punishment. The data of the written sources are testified by ethnographical materials having been revealed in Southwestern Georgia.



# ანატოლიელ ბერძენთა ეთნონიმიკის, კულტურული იდენტობისა და ქართველურ-ბერძენული სოციოლინგვისტური ურთიერთგავლენების საკითხისათვის

ნუგზარ მგელაძე

ბერძენულმა – ინდოევროპულმა ეთნიკურმა მასამ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ეგეოსის ზღვის აუზებში კლასიკურ კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული ცნობადი ცივილიზაცია შექმნა. ჰომეროსის პერიოდიდან მოყოლებული, ანტიკური და ელინისტური, მათ შორის, რომაული და ბიზანტიური ეპოქების ჩათვლით, ზღვისპირეთში ბერძენებმა არაერთი სავაჭრო დასახლება ჩამოაყალიბეს, რამაც ადგილობრივ მოსახლეობასთან კულტურულ ინტეგრაციასაც შეუწყო ხელი. ბერძენები ცდილობდნენ კულტურული მიღწევები ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც განეფართოებინათ, თუმცა სხვადასხვა პერიოდში ურთიერთობათა ციკლი სხვადასხვაგვარი იყო და ყოველთვის მშვიდობიანად როდი სრულდებოდა. „ქართლის ცხოვრებაში“, კონკრეტულად კი, ლეონტი მროველის თხზულებაში, სადაც ძველი ისტორიკოსი მირიანის მოქცევას აღწერს, შენიშნულია:

და ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსიანთამდე. და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თვნიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი (ყაუხჩიშვილი 1955: 137).

საქართველოში დასახლებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი და დიასპორებისადმი ქართველი ხალხის ტოლერანტული ბუნება, რაც, ზოგადად, ერის შემწყნარებლურ ხასიათშიც იყო გამოხატული, კარგად ჩანს ბერძენულ-ქართულ ურთიერთობათა ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აჭარაში მცხოვრები ბერძენულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მცირე აზიის ბერძენთა შთამომავალია, სადაც მათ XV საუკუნიდან დაიწყეს შესვლა, როცა ოსმალეთმა ანატოლია დაიპყრო და ბიზანტიის მიწა-წყალს დაეპატრონა, მაინც, საქართველოში მოსახლე პონტოელი ბერძენების ძირითადი ტალღა XIX-XX საუკუნეებში თურქეთის შავიზღვისპირეთიდან განივრცო, რაც მიგრაციული პროცესების ბერძენულ-ქართული საუკუნოვანი ურთიერთობების თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენდა. ანატოლიიდან ბერძენთა მიგრაციები იმ დროს მცირე აზიასა და ბალკანეთში გაჩაღებულმა ომებმა განსაზღვრა, რამაც რეგიონის ეთნოდემოგრაფიულ სიტუაციაზე დიდი გავლენა იქონია. მიგრაცია, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, ხალხისათვის მუდამ მტკივნეული იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადგილმონაცვლეობა იძულებით ხასიათს ატარებდა. ბერძენთა მიგრაციისათვის ქართულ შემწყნარებლურ ხასიათთან ერთად, რელიგიური ფაქტორი – მართლმადიდებლობა – ის ერთ-ერთი საფუძველი იყო, რომელიც საქართველოში, სადაც მოახალშენებმა მეორე სამშობლო ჰპოვეს, მათ გადასახლებას განსაზღვრავდა. თანმიმდევრულად კომპაქტურად დასახლებული პონტოელი ბერძენების აჭარაში დამკვიდრების პროცესი დაიწყო. მათ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისა და კულტურისაგან სერიოზული გავლენები განიცადეს, მაგრამ ამასთანავე, ავტოქტონური მოსახლეობა მათგან ბერძენების მიერ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას ითვისებდა. ბერძენი მოსახლეობა მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მევენახეობას, მეფუტკრეობასა და მეურნეობის სხვა დამხმარე დარგებს მისდევდა. მათ ქართული წეს-ჩვეულებებიც შეითვისეს, მაგრამ არც ტრადიციული ბერძენული დავიწყებიათ. სოფლის მცხოვრებმა თითქმის ყველა ბერძენმა იცოდა ქართული, ქართველმა კი – ბერძენული. ამასთან, ბერძენმა მოსახლეობამ საქართველოში მათთვის დამახასიათებელი ტრადიციული ყოფა თან შეიტანა. დამხვდურ ქართულ მოსახლეობასთან ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში პონტოელმა ბერძენებმა სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურულ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია განიცადეს. ახალ გარემოსთან შეგუების პროცესს გარკვეულწილად რელიგიური თანხვედრილობაც აჩქარებდა, რამაც ამ ორი ხალხის დაახლოებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ეთნოკულტურული პროცესების კვლევის დროს მუდამ გასათვალისწინებელია ტრადიციული კულტურის, როგორც ეთნიკურობის ამსახველი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, როლი. სწორედ ამ ფაქტორმა შავიზღვისპირეთში, მათ შორის, ანატოლიაში ბერძენული და ლაზური (ჭანური) მოსახლეობისაგან განსაკუთრებით საინტერესო კულტურული მასა შექმნა. ერთი შეხედვით აღნიშნული ეთნიკური საზოგადოებები თითქოს იზოლირებულად ვითარდებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში დროსა და სივრცეში კულტურის ელემენტთა კონსერვაცია ერთობლივ ტრადიციულ სტერეოტიპებს წარმოქმნიდა. ასე იყო ისტორიულადაც. თუ მხედველობაში არ მივიღებთ წარმართულ ეპოქებს, ადრე შუა საუკუნეებიდან ოსმალთა მმართველობის დამყარებამდე, ბიზანტიური პოლიტიკური გავლენის ქვეშ არსებული ანატოლიის, უპირატესად, ტრაპიზონის იმ-

პერიის ქრისტიანული მოსახლეობა საერთო ლანდშაფტის ფარგლებში, მართლმადიდებლური სარწმუნოების საფარქვეშ, კონტექსტურად ვითარდებოდა, რამაც ტრადიციული ყოფის რიგ სფეროში თანხვედრილობა განსაზღვრა. ოსმალური მმართველობის პირველ ეტაპზე ეთნიკური თვითმყოფადობა ერთობლივი თვითმყოფადობის შენარჩუნებადაც აღიქმებოდა და ერთიანი ეთნოკონფესიის წარმოქმნის ტენდენციებიც თვალშისაცემი ხდებოდა: მიმდინარეობდა ეთნოიდენტიფიკაციის პროცესი. როგორც ჩანს, პონტოელ ბერძენებს ლაზებად ამიტომაც მოიაზრებდნენ და პირიქით.

ტრადიციულ კულტურას ხანგრძლივად არსებობის უნარი აქვს. იგი ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. ტრადიციას კულტურულ ფასეულობათა ტრანსმისიისა და მემკვიდრეობით მიღებული კულტურული ღირებულებების თავსებადობის უნარიც აქვს, თუმცა უცხო გარემოში დიასპორა განსაკუთრებულ ეთნიკურ უმცირესობას თუ წარმოადგენს, მაშინ ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში, ხშირ შემთხვევაში, ტრადიციული კულტურის წიაღში მემკვიდრეობითი ღირებულებები ტრანსფორმაციას განიცდის. საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა ტრადიციული იერსახე ამგვარი ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს. ბერძენი მოსახლშენეები საკუთარი ტრადიციების ფონზე ქართული ყოფისათვის ნიშანდობლივ წეს-ჩვეულებებს, სამეურნეო ცხოვრებისათვის დამახასიათებელ კულტურას ითვისებდნენ და მას საკუთარ კულტურასთან სინთეზის საფუძველზე ამდიდრებდნენ. სხვათა შორის, კულტურული ურთიერთობების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ასეთივე პროცესი, ავტოქტონურ კოლხურ, კერძოდ, ლაზურ და ბერძნულ მოსახლეობას შორის ანატოლიაშიც მიმდინარეობდა, რაც ენაშიც აისახებოდა. არაერთი მკვლევრის მიერ უკვე დადგენილია, რომ ბერძნული ენის ე.წ. პონტოური მეტყველება, უმთავრესად, ზანური დიალექტის თუ მისი კილოების კალკას წარმოადგენს და იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი ყველა აფრიკატი მათ მეტყველებაში ისე ჟღერს, როგორც ქართველურ ენებში. აქ ყურადღებას ის გარემოებაც იქცევს, რომ სპეციალისტები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნებს ბერძნული ენის პონტოურ-ლაზურ დიალექტზე მოლაპარაკედ მიიჩნევენ. ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობების შედეგი უნდა ყოფილიყო უკვე XIX საუკუნეში ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ქრეული ეთნორელიგიური მოზაიკის ჩამოყალიბება. ეს საზოგადოება წარმოდგენილი იყო კრომლების, იგივე, სტავრიოტების, კრიპტოქრისტიანების თუ კარამანლიების და მეზომეზოზოების – ლაზების სახით. ტრაპიზონის წადევნებით აღმოსავლეთის მიმართულებით, ლაზეთის ქედის ჩრდილოეთით, ნაწილობრივ კი – სამხრეთ ფერდობებზე, სადაც ბერძნული წარმომავლობის ქრისტიანული მოსახლეობა ქარბობდა, დროთა განმავლობაში, მუსლიმურ გარემოში ბერძენები იძულებული გახდნენ ტრადიციული კულტურის შენარჩუნების მიზნით, იერსახე ეცვალათ. ამასთან, ისინი თავს არც „ურუმებს“ – ბერძენებს, არც „გურჯებს“ ანუ ქართველებს და არავითარ შემთხვევაში არც ოსმალ-თურქებს არ აკუთვნებდნენ. ასევე, ანატოლიაზე, ტრაპიზონის იმპერიის მოსახლეობაზე, კერძოდ, ლაზ-ჭანებზე, თავის დროზე, რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკური გავლენის მიუხედავად, ავტოქტონურმა მოსახლეობამ თავისი იერსახე შეინარჩუნა, თუმცა ბერძენებთან კულტურული ურთიერთობების ხასიათი იმდენად ძლიერი იყო, რომ ანატოლიელ ბერძენებს – ქრისტიანებს, ბერძნულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისით, „ჭანებს“ უწოდებდნენ (ბაწაში 1988: 7, 25), რაც, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ისინი, თავდაპირველად, ერთმორწმუნეები – მართლმადიდებლები იყვნენ. ისე, დროთა განმავლობაში ლაზ-ჭანების ნაწილმა ქართულ-ბიზანტიური სარწმუნოება შეინარჩუნა, ხოლო ნაწილი – გამაჰმადიანდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარი ლაზ-ჭანების ნაწილი ბერძენებად აღიქმებოდა ისე, როგორც ქრისტიანი ბერძენები – ლაზებად (ჭანებად). პონტოელი ბერძენების წარმოშობასთან დაკავშირებით უკვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ფეხს იკიდებს აზრი იმის შესახებ, რომ ისინი ბერძენები იყვნენ და ადრეც კოლხთა სხვადასხვა დაჯგუფებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებოდნენ (კორომილა 2008: 249, 298-299), სხვა აზრით კი, რასაც მუსიკალური კონტექსტიდან გამომდინარე მუსიკათმცოდნეებიც ცდილობენ დაადასტურონ, ისინი გაბერძნებული ლაზები იყვნენ. აქაც, მათ მიერ იმის გამეორება ხდება, რომ ტრაპიზონელი ლაზების გაბერძნება XV საუკუნიდან დაიწყო, ისინი 1923 წლიდან საბერძნეთში ცხოვრობდნენ და ბერძნულად მეტყველებდნენ, თუმცა მიუხედავად ამისა, მათი მუსიკალური ფოლკლორი დღესაც ახლოსაა ლაზურთან.

საქართველოს შავიზღვისპირეთის პონტოელ ბერძენთა ყოფა-ცხოვრების შესწავლა, ცხადია, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რაც ეთნოკულტურული პროცესების გაანალიზების აუცილებლობით და იმ კულტურული ურთიერთგავლენების შესწავლის საჭიროებითაც იყო განპირობებული, რომლებიც როგორც მოსულმა ბერძენებმა, ისე დამხვედურმა მოსახლეობამ განიცადა. აღნიშნული საკითხის შესწავლას აქტუალურს ის გარემოებაც ხდის, რომ პოსტ-საბჭოურ პერიოდში ბერძენთა ძლიერი უკუმიგრაციის ტენდენცია გამოიკვეთა. აღნიშნული გარემოება საქართველოში მცხოვრები ბერძენების ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობებისა და ტრადიციული ცხოვრების წესის, ასევე, ბერძნულ-ქართული სიმბიოზური კულტურული იერსახის დაკარგვის საშიშროებას ქმნის. კვლევის განუხორციელებლობა სამომავლოდ საქართველოში პონტოელი ბერძენების ტრადიციული ყოფის შესწავლას შეუძლებელს გახდის. ამიტომაც წარმოადგენს კვლევებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ბერძნულ-ქართული გავლენების

შესწავლა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ბერძნების ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობები არამარტო მატერიალიზებული ფასეულობების შექმნას, არამედ სამეურნეო ყოფისა და სოციალურ ურთიერთობათა სფეროში ღირებულებათა სისტემების ჩამოყალიბებასაც გულისხმობდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბერძნები და ქართველური მოდგმის ლაზები მეზობლად, მსგავს ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სამეურნეო გარემოში ცხოვრობდნენ, შესაბამისად, დიდი იყო ინტერესთა თანაფარდობაც. თუ, მაგალითად, ლაზები ცნობილი ნაოსნები და მებადურები იყვნენ, არანაკლები იყვნენ ბერძნებიც. ზღვისპირეთში მცხოვრები ბერძნებისათვის ისე, როგორც ლაზებისათვის, მეთევზეობა შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო. ე. ლიოზენის დაკვირვებით, 1900-იან წლებში გონიოს ველსა და სარფს შორის მდებარე კლდეებთან ბერძენ მეთევზეთა ქოხები იყო განლაგებული. ეს კლდე მათ უამინდობისაგან იცავდა (ლიოზენი 1905: 148).

ეთნიკურ ჯგუფებს შორის კულტურული დიალოგი ანატოლიაში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, სადაც, მაგალითად, მოახალშენე ბერძნებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ქართველური მოდგმის ეთნოგრაფიულ სეგმენტებთან, განსაკუთრებით, კოლხური გაერთიანების ლაზურ განშტოებებთან. შემდეგშიც, უკვე ოსმალური სახელმწიფოს ფარგლებში, პონტოელ ბერძნებსა და ლაზებს შორის იმდენად ძლიერი კავშირები დამყარდა, რომ კულტურის ცალკეული ელემენტის სახით მათ ეთნოგრაფიის დონეზე ანუ სოციალურ, სამეურნეო, მატერიალურ და რელიგიურ სფეროებშიც ჰპოვეს ასახვა. გარკვეული სახით ეს იყო ეთნოკულტურული იდენტობის გამომხატველი პროცესიც. მოგვიანებით, კულტურული პროცესები კიდევ უფრო გაფართოვდა, რასაც პოლიტიკურმა პროცესებმაც შეუწყო ხელი. სწორედ პოლიტიკური არასტაბილურობის გამო ანატოლიიდან ბერძენთა დიდი მასა საქართველოში რამდენიმე ტალღად ჩასახლდა. ნაწილი საქართველოს შავიზღვისპირეთში დამკვიდრდა, მეორე ნაწილი ერეკლე II დროს ახტალის მიმართულებით დაიძრა, ხოლო დიდი ჯგუფი – თრიალეთში დაბინავდა. ამ კონტექსტში ყურადღებას ეთნოკონფესიური ჯგუფის ამსახველი ტერმინი უხუმი იქცევს. ასე ეძახიან თრიალეთელ ბერძნებს (ფაშაევა 1992: 80-87). 1829 წლის მიწურულს ბერძენი კოლონისტების პირველი წყება სწორედ წალკის მიმართულებით დაიძრა. მათ უპირველესად ყარსსა და გუმრს მიაშურეს. თანდათანობით, ოსმალეთის მრავალი სოფლიდან ბერძნული და სომხური მოსახლეობის უმეტესობა ამოძრავდა. თრიალეთში წალკის მიდამოები თითქმის დაცარიელებული იყო, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამ XVIII საუკუნის ბოლოს იგი მიატოვა (ილინი 1914: 24). დაცარიელებულ ადგილებს ბერძნები დაეპატრონენ და როგორც დაკვირვებები გვიდასტურებს, ბევრ მათგანს სახელებიც კი შეუცვალეს და თავიანთი სოფლების სახელები დაარქვეს. იქ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ იყო, ძველი ტოპონიმები დარჩა (ნერეთელი 1981: 81-82). არაა გამორიცხული, კონფესიის არსის გამომხატველი სახელწოდება უხუმი არა მხოლოდ საკუთრივ ბერძნებს, არამედ ქართველებს, მათ შორის, ლაზებსაც აერთიანებდა, ე.ი. ურუმთა ეთნოკონფესიის ჩამოყალიბებაში ლაზებიც მონაწილეობდნენ. ტრაპიზონის იმპერიის რღვევისა და ბიზანტიის დაცემის შემდეგ ოსმალთა ძალადობისაგან დევნილმა და ქრისტიანობაზე მტკიცედ მდგარმა ლაზებმა იმ ერთმორწმუნე ბერძნებს შეაფარეს თავი, რომლებიც პონტოელი ბერძნების სახელწოდებით იყვნენ ცნობილი, მაშინ, როცა თრიალეთის ზეგანზე წალკელი ბერძნები – უხუმების სახელს ატარებდნენ. ამით ლაზთა დიდმა ნაწილმა ქრისტიანული სარწმუნოება – მართლმადიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეთნიკურად ბერძნულ დიასპორას შეერწყა ისე, რომ ლაზური ცნობიერება, თვითშეგნება, ენა და, ნაწილობრივ, მისთვის დამახასიათებელი კულტურული ფასეულობები სრულიად დაკარგა, თუმცა ამით ხელი შეუწყო ახალი ეთნოკონფესიური მიმართულების კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრებას. შესაძლებელია, შემთხვევითი არ იყო ის გარემოებაც, ბათუმში ურუმთა უბნის მახლობლად – ზღვისპირას ლაზებით დასახლებული „მეთევზეთა უბანი“ რომ იყო წარმოდგენილი (გიორგაძე, მგელაძე 2012: 125-126). გიორგი ჩიტაია ურუმთა ვინაობის კვლევისას შენიშნავდა, რომ უხუმები სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკურ ჯგუფებს: ბერძნებს, ქართველებსა და სომხებს აერთიანებდა. იგი თავის ნაშრომში – „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში“ – თრიალეთში მცხოვრებ ურუმთა ეთნიკურ შედგენილობას ნარევად მიიჩნევდა და მიუთითებდა, რომ თრიალეთელი ურუმები „გუმიშხენელებს“, „ოველებს“, „ფასენებსა“, და „კროებს“ მოიცავდა. ამ ჯგუფებიდან ფასენები ძველქართული პროვინციიდან – ბასიანიდან იყვნენ მოსულები. საყურადღებოა, რომ ფასენებში ქართული ტრადიციები და ქართული, კერძოდ, ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები კარგად იყო დაცული (ჩიტაია 2000: 217). პონტოელი ბერძნებისა და ლაზების კულტურული იდენტობის შესახებ არაერთი წყარო, მათ შორის, სავსე მასალებიც მეტყველებს. პონტოელი ბერძნებისა და ლაზების ურთიერთობების ფარგლებში არანაკლებ როლს ჰემშილთა (ხემშილთა) ეთნოკონფესიური ჯგუფიც ასრულებდა (მგელაძე, ტუნაძე 2003: 270-273; მგელაძე, ტუნაძე 2005: 237, 235-241).

პონტოელი ბერძნები ელინური წარმომავლობის ეთნიკური გაერთიანება თუ იყო, ხოლო მათი სამშობლო – საბერძნეთი; მაშ, რატომ უნოდებდნენ შავიზღვისპირეთის სხვადასხვა პუნქტში დასახლებულ ელინებს პონტოელ ბერძნებს? ამ კითხვას პასუხი მარტივად გაცემა ანტიკური პერიოდის მთელ შავიზღვისპირეთში ტრიერებით ბერძნების სანაოსნო მობილობას თუ გავისხენებთ, განსაკუთრებით, თანამედროვე პონტოში, სადაც ბერძნები ანტიკური ხანიდან მოყოლებული ემპირიონებსა და პოლისებს ქმნიდნენ, პონტოს სანაპიროებზე – თანამედროვე თურქეთში მდებარე რიზესა და გირესუნს შორის კომპაქტურად სახლ-



დებოდნენ. მიგრაციული პროცესები XX საუკუნემდე არ შემწყდარა. განსახლება ტრაპიზონის, სამსუნისა და გუმიშხანეს მიმართულებით მიმდინარეობდა, სადაც ძველად ამ არეალის ცნობილი ქალაქები – ამისოსი და არგირუპოლისი მდებარეობდა. იმ ეთნიკურ მასას, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო პონტოდან აიყარა და სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა ოლქში ჩასახლდა პონტოელი ბეჩქნები ეწოდათ. მათ საქართველოს შავიზღვისპირეთსა და საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქ ბათუმშიც, პონტოელი ბერძნების სახელწოდებით იცნობდნენ. ისინი შემადგენლობით ერთგვაროვანი არ იყვნენ. მათ, უმთავრესად, ორ ჯგუფად ყოფდნენ: ბერძნულენოვან ელინოფილებად და თურქულენოვან ელინებად. ბერძნულ ისტორიოგრაფიაში ქრისტიან ბერძნებს ხშირად „ჭანებს“ უწოდებდნენ. დროთა განმავლობაში მათი დიდი ნაწილი გამაჰმადიანებულა. ჩარშამბაში 1400 ქრისტიანული ჭანური ოჯახიდან 300 კომლი ბერძნებად დარჩენილა. ნეოკესარიასა და უნიეს შორის მცხოვრებლებიდან თურქები – მაჰმადიანები და ჭანებია დასახლებული, რომლებსაც ბერძნებად მიიჩნევდნენ (ბანაში 1988: 7). ძველი მოსინიკებიდან მხოლოდ ჩეფნები შემოგვრჩა. აქ მაჰმადიანთა დასახლებები უძველესი ადგილობრივი მოსახლეობისაგან – ჭანებისაგან – შედგებოდა, თუმცა ისინი თურქებს სრულებითაც არ ჰგავდნენ. წათე ბანაშის დაკვირვებით, თანამედროვე საბერძნეთშიც წარმომავლობით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველა ბერძენს ამჟამადაც ლაზებს უწოდებენ. საქართველოშიც, ბერძნების აზრით, ბერძნები ორ ჯგუფად იყოფიან: ლაზებად და ურუმებად. მაგალითად, თრიალეთში – ნალკის რეგიონში, ბოლნისში, ბორჯომში ისე, როგორც დონეცკსა და კრასნოდარში ბერძენთა ნაწილი თავს ლაზად მიიჩნევდა (ბანაში 1988: 7-9). ყოველ შემთხვევაში ისინი ამ სახელწოდებით თავიანთ იდენტობას ასახავდნენ. უკვე დადგენილია, რომ ტრაპიზონში, გიმუშხანეში, პლატანასა და სხვა ადგილებში მცხოვრები ქრისტიანი ლაზები ადრე კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ და ბერძნულად ლაპარაკობდნენ. რიზეს, იომურეს, ოფისს, სურმენესა და სხვა რეგიონში მცხოვრები მუსლიმი ლაზები კი თურქულად საუბრობდნენ (ბანაში 1988: 7-9). ნიკო მარიც აღნიშნავდა, რომ თვით კონსტანტინოპოლშიც ლაზებსა და თურქეთის ყველა შავიზღვისპირელს – სამსუნელებსა და სინოპელებს ეძახდნენ (მარი 1910: 608).

ადრე სამსუნის მხარე, ქართული ისტორიული სახელდების მიხედვით, „ჭანეთად“ („ჭანითად“//„ჭანნიკად“) იწოდებოდა (ჟორდანიას 2019: 151-155, 121-151). ჯერ კიდევ ოსმალურ სამყაროში იქ არსებული ეთნოკონფესიური მოზაიკა და ამ მოზაიკაში თურქიზაციის გზაზე შემდგარი და თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში მყოფი ლაზების ინტერესები ცხადი იყო. შესაბამისად, თურქულად და ლაზურად მოსაუბრე ჭანებიც სხვადასხვაგვარად აღინიშნებოდნენ და, მათ შორის, ეთნონიმიკასა თუ მეტსახელებში სხვაობა შეინიშნებოდა. მაგალითად, ჰენდეკელი თურქების აღმნიშვნელი ზედმეტი სახელი ბობიანი ყოფილა. იქაური მუჰაჯირებისათვის ქართველურის ერთ-ერთი კოლხური ჯგუფის – ლაზის (/ჭანის) აღმნიშვნელი მეტსახელი მოხეი (//მოხეი) და ოფი იყო, ოღონდ მათი შეფასებით იმ განსხვავებით, რომ მოხეიმ ლაზური იცოდა, ოფი კი – არა. რესპოდენტთა აზრით, რიზეს იქეთ ლაზები ყველა ოფიია (ზენგინი 2013). ამის გარდა, სოფელ ფინარლისა და სითმააფინარის (ძველი სახელწოდება ავანა) რესპოდენტები მოგვითხრობდნენ, რომ ჭანთა (/ლაზთა) ცალკეული ჯგუფი „კუდიანადაც“ მოიხსენებოდა. ეს ის ჭანები იყვნენ, რომლებიც თავის დროზე რუმიდან – ტრაპიზონიდან მოტრიალდნენ და მხოლოდ თურქული იცოდნენ. დამატებით მათ აცმა და დაკიფური ეწოდებოდათ. თურქეთში ყურადღებას არა მარტო ლაზებისა და შავიზღვისპირა ბერძნების, არამედ „ჩეფთინებისა“ და „ხემშილების“ ეთნოკონფესიური იდენტობის საკითხებიც იქცევს, თუმცა მათ ამჯერად არ შევხვებით (ბანაში 1988: 6-17, 55-67; მგელაძე, ტუნაძე 2003: 270-273; 2005: 235-241).

არამართო პონტოურ დიალექტზე მოლაპარაკე ბერძნების თვითსახელწოდებები – ეთნონიმები *ხომეო*, *ხუმი*, *გეკ'ო* (*გეკ'ი*) და *ეღინო*, ასევე, *იუნანი* (*უნანი*), *ბიზანსი*, არამედ ბერძენთა პონტოში მოსახლეობა თანამედროვე თურქეთში – ანატოლიაში განსახლებულ ქართველური მოდგმის ტომების შთამომავლებსა და ქართველ მუჰაჯირებს დღესაც ახსოვთ, გადმოცემებით სმენიათ რუმის სასულთნოს<sup>1</sup> შესახებაც. საბერძნეთს *იუნანსიტანი* ერქვა. ალბანეთს ასევე, „არნაუთის ქვეყანას“ უწოდებდნენ, რომელიც ზოგჯერ ბერძნების ქვეყანაში – მაკედონიაში ერევათ. ისინი აზერბაიჯანელების მსგავსად ბერძნებს „რუმებს“ ეძახდნენ, ხოლო სომხებს – „ერმენებს“. არსებობს გამოთქმაც: *ხუმ-ეხმენი*. მათი კონტექსტირებული მოხსენიება განსხვავებულ სარწმუნოებრივ ანუ მაჰმადიანურ გარემოში რელიგიური სიახლოვით და ადგილზე ინტერესთა თანხვედრილობითაც იყო განპირობებული. „რუმები“ წარმომავლობით ბერძენთა ეთნიკურ კონტიგენტს განეკუთვნებოდნენ, მაგრამ მათგვერდით შავიზღვისპირეთიდან ამალელებულგორა-ბორცვებსა და მთიანეთში – „ჯენევიზებიც“ ცხოვრობდნენ, რომლებიც ისე, როგორც *ეჰმენები* (*ეხმენები*), მთხრობელთა განმარტებით, ქრისტიანები (*ხისტიანები*) – *გიაუხები* იყვნენ. ადგილობრივი მოსახლეობის ვარაუდით, ჯენევიზები აქ 1460 წლის შემდეგ დასახლდნენ, როცა ტრაპიზონი აიღეს. ჩამოვლისას მათ ორდუს მიდამოებიც აუღიათ და ნაწილი იქ დარჩენილა საცხოვრებლადაც. საველე მასალებით, ჯენევიზები ვაზს აშენებდნენ, დამზადებულ ღვინოს კი – იტალიაში აგზავნიდნენ. ისინი დაპირისპირებისა და ჩხუბის გამო სამოსახლოებიდან გაურეკავთ. ვინ იყვნენ ჯენევიზები? სავარაუდოდ ჯენევიზები – გენუელები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა არის თუ არა შესაძლებელი გენუელებში ბერძნებიც მოვიპოვოთ? ჯენევიზისა და გენუელის იგივეობაზე თავად ამ ორი ტერმინის ფონეტიკური სიახლოვე მიუთითებს. ჯენევიზი გენუელის თურქულად გამოთქმული

ფონეტიკური სახესხვაობა – თურქული ენობრივი მასალის საფუძველზე განვითარებული ტერმინია (მგელაძე 2014: 74-79). სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დადგენილია, რომ ბერძნული ენის პონტოური მეტყველება, უმთავრესად, ზანური დიალექტის თუ მისი კილოების კალკას წარმოადგენს და იბერიულ-კავკასიური ენისათვის დამახასიათებელ ყველა აფრიკატს ინარჩუნებს. ისინი მეტყველებაში ისე ჟღერს, როგორც ქართველურ ენებში. ლექსიკაში საკმაოდ ბევრია ქართველური ძირის სიტყვები. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნები ბერძნული ენის პონტოურ-ლაზურ დიალექტზე ლაპარაკობენ. ამასთან, ხშირად, ეთნონიმების გასაფორმებლად ქართველური ენებისათვის დამახასიათებელ ისეთ სუფიქსებს იყენებენ, როგორებიცაა კუთვნილებითი – იან, მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი – თ, ვთქვათ, *ღაზოს* – *ღაზი* და *ღაზანთ* – *ღაზები*, *აჰმენოს* – *სომეხი* და *აჰმენანთ* – *სომეხები* ... ნათე ბანაშიც სამსუნის, გირესუნის, ორდუს, ტრაპიზონისა და ზოგიერთი სხვა ვილაეთის მოსახლეობის შესახებაც მსგავს სურათს წარმოგვიდგენს, სადაც, დროთა განმავლობაში, თურქული ენის ლაზური დიალექტი წარმოიქმნა (ბანაში 1988: 9). აქედან გამომდინარე, ბუნებრივად გამოიყურება ბერძნებისა და თურქების შეხედულება, რომ აქაურები ლაზური წარმოშობის არიან.

პონტოელი ბერძნების ისე, როგორც ლაზების კულტურის ცალკეული ელემენტის ანალიზი ამ შეხედულების კიდევ უფრო განვითარების საშუალებას იძლევა, კერძოდ, პონტოელ ბერძენთა ნათესაური ტერმინოლოგიური მოდელი ლაზურ მოდელს ძალიან ჩამოგავს, ასევე, ნათესაურ პარადიგმაში ამა თუ იმ თაობის ნათესაური ლექსემა ლაზურ-ბერძნული კულტურული კავშირთიერთობების საფუძველზე უნდა აიხსნას. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესოა გენეალოგიურ სტრუქტურაში პლუს მეორე თაობის აღმნიშვნელი ისეთი ტერმინი, როგორიცაა *პაპუდი* (*პაპუ*). იგი პონტოურ ბერძნულში მამისა და დედის მამას ნიშნავს. ლაზურშიც ცნება *პაპუდი* იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, ოღონდ იგი მამრობითი სქესის პლუს მეორე თაობის წარმომადგენელს აღნიშნავს, ხოლო პონტოურ ბერძნულში მისი ფონეტიკური ნაირსახეობა კომპოზიტში (*დიკოპაპუ*) იგივე ნათესავის – ბაბუისა და ბებუის მამის მნიშვნელობას ასახავს. საერთოდ, ზანურში ისე, როგორც ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში, *პაპუდის* ფონეტიკური ვარიაციები მრავლად გვხვდება, მაგალითად, ქართულში *პაპა* (*ბაბა...*), კოლხურის მეგრულ ენობრივ განტოტებაში *კი* – *პაპუ*, *პეპი*, *პეპუ* და სხვა მრავალი. სავარაუდოა, კოლხური ტერმინი *პეპეხა* პონტოელი ბერძნების მეტყველებაში დადასტურებულ *პეფეხასა* და *პეფეხოსში* გვექონდეს შემონახული. *პეფეხა* დედამთილს, ხოლო *პეფეხოს* – მამამთილს ნიშნავს, თუმცა სხვაობა აქ იმაში შეინიშნება, რომ თუ ქართულის დიალექტებში *პეპეხა* (*პეპეხე*) ბაბუის, როგორც მამას, ისე დედას ზოგადად აღნიშნავს, „*პეფერა*“<sup>1</sup> და „*პეფეროს*“<sup>2</sup> სქესი დიფერენცირებულია და ისინი დედამთილისა და მამამთილის ცნებებს შეესატყვისება. ამ მხრივ პონტოურ ბერძნულში უდავოდ ყურადსაღებია დის ქმრების აღმნიშვნელი ლექსემა – „*პანანაკე*“<sup>3</sup>. ქართულ ენაში მოცემული ამგვარი ლექსემების ფუძე (*პაპა/პაპუა/პაპუდი...*) ფართოდ გავრცელებულ სიტყვასთან – „*წინაპართანაა*“ დაკავშირებული. *წინაპაჩი* იყო აღმავალი ხაზის თაობრივად დაცილებული პირი, გენეალოგიური ჯგუფის მამამთავარი, რომელშიც, ხშირად, გენეალოგიური ხის გარდაცვლილი წარმომადგენლებიც გაიზარებოდა. ქართული სიტყვა *პაპა-ა//პაპა-ად//პაპა-ან*, მეგრული: *პაპ-უ//პაპ-უდ* და *ჭანური* (ლაზური): *პაპ-ულ-ი//პაპ-უ* საერთო წარმომავლობისაა. ამ სიტყვებში – *პაპ* ძირი – *პაჩ* (*წინა-პაჩ-ი*) ძირის ვარიანტს წარმოადგენს და იგი ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში ვარიანტებს (ჩიქობავა 1938: 141). ერთი მხრივ, ტერმინ *პაპას* კონკრეტული მნიშვნელობა, ხოლო, მეორე მხრივ, *წინაპრის* სახით მისი განზოგადოებული სემანტიკა,<sup>2</sup> არაა მხოლოდ ქართული ნათესაობის ტერმინთა სისტემისათვის დამახასიათებელი. ვეინახურ ენებში, უფროს თაობაში შეიძლება დედისა და მამის აღმნიშვნელი ტერმინები: და, *პაპა* გამოიყოს, ხოლო უფრო ფართო მნიშვნელობით, ზოგადად, *წინაპრები* ისე, როგორც უმცროს თაობაში ქალიშვილი და ვაჟიშვილი, მაგალითად, ჩეჩნური *იუო*, *წუო*, რომლებიც, ასევე, ხშირად, საერთოდ შთამომავლობის გამოსახატავადაც გამოიყენება (იაკოვლევი 1930: 155). ბერძნულ-ქართველური ლინგვისტური ურთიერთგავლენების თვალსაზრისით საყურადღებოა ისეთი ნათესაობის ტერმინებიც, როგორებიცაა ლაზური *ანიმხე*, თუმცა სავსებით მოსალოდნელია ეს ტერმინი არაბერძნული წარმომავლობისა იყოს. ბერძნულ-ქართული, მათ შორის, ლაზური სოციოლინგვისტური და სოციოკულტურული ტერმინოლოგიური შეხვედრების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ (აბულაძე 2018: 90-149).

პონტოურ ბერძნულში ყურადღებას ისეთი ნომენკლატურაც იქცევს, რომელიც მამისა და დედის დას, ასევე, ბიცოლას – *თია* (*φια*) და მამისა და დედის ძმას – *თიოს* (*φίος*) აღნიშნავს. *თი/მთი* ძირიანი თუ ამდაგვარი ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები ქართველურ ენებში ფართოდ იყო გავრცელებული, საკუთრივ ლაზურში *კი* – *მთი* ცოლის მამის, ხოლო *ღამთიხე* – ცოლის დედის გამომხატველია. შეადარეთ მეგრულში „*დიანთილსა*“ და „*მუანთილს*“ („*მუანთირს*“), იხილეთ (ქობალაია 2010: 240, 489), ასევე, ქართული ენის დიალექტებში „*დედამთილსა*“ და „*მამათილს*“. *-თი//მთ//მთი* ისე, როგორც *-პაპ//პეპ* ძირიანი სიტყვები, ვფიქრობთ, პონტოურ ბერძნულში უშუალოდ ლაზურიდან უნდა შესულიყო. საწინააღმდეგო შემთხვევაში აუხსნელი დარჩებოდა მსგავსი ძირისაგან და ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვების არსებობა მეგრულში, რადგან კოლხური მოდემის მეგრულ მოსახლეობას პონტოელ ბერძენთა ყოფასთან ადრე ყველაზე ნაკლები, ყოველ შემთხვევაში, ლაზებზე ნაკლები შეხება ჰქონდა. აქვე შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ პონტოური ბერძნულისა და ლაზურის ენობრივ სამყაროში ისეთ ლექსიკურ შეხვედრებს, რომელიც ტერმინების *ლონიკონისა* და *ლინიკენას*

ეტიმოლოგიებში გამოიხატება. ლაზურში *ლონიკონი* მამისეულ და დედისეულ მხარეს, სანათესაოს ნიშნავს, ხოლო პონტოურ ბერძნულში – *ლინიკენი* ქალის, ცოლის მნიშვნელობას შეიცავს. შეადარე (თანდილავა 2013: 812). დაინტერესება უნდა გამოიხატოს ტერმინ *სიმადიას* მიმართაც. *სიმადია* პონტოურ ბერძნულში დაქორწინების პროცესში ნიშნობას ეწოდებოდა. იგი აშკარად კოლხური, კერძოდ, ლაზური იერსახის სიტყვაა. ის ფაქტიც, რომ ლაზებით დასახლებულ სოფლებში არაერთი ბერძნული წარმომავლობის ტოპონიმი გვხვდება ბერძნულ-ქართველური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობებისა და ურთიერთგავლენების უტყუარი მოწმობაა. მაგალითად, სოფელ სარფში ომარ მემიშიშის მიხედვით ასეთი ტოპონიმები დასტურდება: *მანღათი*, რომელიც დასავლეთით ზღვის სანაპიროზე „ცხემურეფუნას“ სერის ბოლოში მდებარეობს. *მანღა*, როგორც ბერძნული სიტყვა, პირუტყვის სადგომის მნიშვნელობით იხმარება. იგი საჯინიბოს, ბოსელსაც აღნიშნავს (დვორეცკი 1959: 1051). ამ მხრივ საინტერესოა ტერმინი *ქიღისეც*. ესეც, ლაზურში ბერძნულიდან, შესაძლოა, თურქულის გზით იყოს შემოჭრილი. სოფელ სარფში, *ხემშიდელის* თავზე ეკლესია მდებარეობდა. ეს კამარისებური ეკლესია შემონახულია და გეოგრაფიული სახელწოდებაც მისგან წარმოსდგა. ეკლესიის აღმნიშვნელად ტერმინი *ქიღისა* (*ქიღისე*) ქართული ენის აჭარულ დიალექტშიც დასტურდება. *ოჭალანე*, იგივე, საკიბორჩხლე, სოფელ სარფში *ქვა ჭაჭის* სამხრეთ-დასავლეთითაა. ივარაუდება, ესეც ლაზურში თურქულის გზით მოხვდა (მემიშიში 2015: 557-565). კლარჯეთში, *ევსქედი*, როგორც ხევის სახელწოდება, განსაკუთრებულ ყურადღებას სხვადასხვა კუთხით იქცევს. იგი ბორჩხის რეგიონულ დარაიონებაში შედის, რამდენიმე სოფლისაგან შედგება. ესენია: *ბაგინი*, *ახგეთი*, *შუახევი* და *ევსქედი*. როგორც ვხედავთ, *ევსქედი* სოფელთა ერთობლიობა – თემის (/ხევის) ტიპის დასახლება იყო, რომელიც არა მარტო კლარჯეთისათვის, არამედ შუა საუკუნეების მთელი საქართველოს სახეობო სისტემისათვის იყო დამახასიათებელი. რას უნდა ნიშნავდეს *ევსქედი*? *ევსქედი* ქართული წარმოების გეოგრაფიული სახელწოდებაა და ორი ნაწილისაგან შედგება: *ევსქედი* დაკავშირებული უნდა იყოს ქართული მითოლოგიური და ჯადოსნური ზრახვის პერსონაჟთან – *ევთან*, ხოლო მეორე -სქირთან. *სქედი* აშკარად „*სქიხის* (*სკიხი*) ფონეტიკურად სახენაცვალ ფორმაა. ფაქტობრივად, აქ ჩვენ გვაქვს *ევს-სქიხი*, რაც დევის წყალს, დევის ხევს ნიშნავს. რეგიონში, როგორც ითქვა, მსგავსი წარმოებისაა *ქდასქუხი* და სხვა ტოპონიმები. საერთოდ, *-სქიხ*, *-ხი*, *-ყვა* ქართველურ ენათა სამყაროში ტიპოლოგიურად თანაბარი მნიშვნელობის ცნებებია, რომლებიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ, მაგრამ მონათესავე ეთნო-ლინგვისტურ დონეებზე არსებობდნენ. მურღულის მხარეს გვხვდება სოფლის სახელწოდება *წყადყა*, რაც იგივე *წყადყაა*. ამდენად, *-სქიხ*, ისე როგორც *-ხი* (*ხე//ფხე*) და *ყვა* ქართველურ ენებში, ერთი მხრივ, წყალს, მდინარეს, ხეობას, ხოლო, მეორე მხრივ, შვილს, შთამომავლობას აღნიშნავდა. დროთა განმავლობაში, მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობები ენაში გაუცხოვდა. ისინი სუფიქსებად ჩამოყალიბდნენ, ანდა ამა თუ იმ სიტყვაში გაქვავდნენ (მგელაძე 2015: 36). ასევე, ენათმეცნიერებთან, კერძოდ, ომარ მემიშიშთან პირად – ზეპირ საუბარში გამოითქვა აზრი, რომ *-სქედი* ქართულში *სქიხის* სახესხვაობა კი არაა, არამედ მას განსხვავებული სემანტიკა გააჩნია და იგი ამ ფორმით ბერძნულიდან დამკვიდრდა. ამდენად, სიტყვა შესაძლოა კიბის აღმნიშვნელი ბერძნული წარმოშობის სიტყვა იყოს. ამის მიხედვით „*დევს-სქელში*“ ეტიმოლოგიურად „*დევის კიბეს*“ ვლებულობთ. კიბის მნიშვნელობით სიტყვა *სქედე* ლაზურშიც გვხვდება, რომელიც ლაზურში, ზოგიერთი ავტორის თანახმად, თურქულიდან ჩანს შესული (კარტოზია 1972: 114; თანდილავა 2013: 748). ქართული ენის აჭარულ დიალექტში *სქედე* ხარაჩოს აღმნიშვნელია. ასევე, დასაშვებია *დევს-სქელეში* *სქედე* კლდეს ნიშნავდეს, რაც „*დევის კლდედ*“ უნდა იყოს გაგებული. ინდოევროპულ ენებში კლდის აღმნიშვნელად დღესაც გვხვდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, რუსულში *სკადა*. ასეა თუ ისე *დევს-სქედი* კლარჯეთში მრავალმხრივ საინტერესო ტოპონიმი.

კულტურული ინტეგრაციის პროცესი არა მხოლოდ ენობრივ, არამედ ტრადიციულ ყოფით სფეროშიც მიმდინარეობდა და, ხშირად, მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფისა და სოციალური ცხოვრების თავისებურებებში აისახებოდა, ზოგჯერ კი ჩვეულებათა ციკლში მათი ცალკეული ელემენტი ერთმანეთს ეხლართებოდა და, შესაბამისად, ერთმანეთს ემსგავსებოდა. დასახლებაშიც კი არაერთი სოფლისა თუ სოფლის უბანი ძველის სახელწოდების თარგმანს წარმოადგენდა. საკმარისია დავასახელოთ ქობულეთში, დევას ხეობაში მდებარე სოფელი დაგვა, სადაც მისი ერთ-ერთი უბანი *დემიჩოლდების* სახელს ატარებდა (კუკულაძე 1981: 52). *დემიჩოლდები* ამ უბანს ბერძნული მოსახლეობის აქ ჩამოსახლებამდე ერქვა. გადმოცემით, ბერძნები დევას ხეობაში 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ დამკვიდრდნენ. ახალმოსულმა ბერძნებმა სოფლის ამ უბანს სახელი შეუცვალეს და *სიდოხოპერო* დაარქვეს, რაც თურმე მათი გაგებით იგივე სამჭედლოს, მჭედლიშვილის მნიშვნელობისა იყო, ე.ი. იგი წარმოადგენდა პროფესიის გამომხატველ სახელწოდებას, რომელიც გვარსახელურ იერსახეს ატარებდა. ამდენად, სოფლის უბნის სიდოხოპეროს სახელწოდების სახით ჩვენ საქმე გვაქვს უბნის ძველი სახელის – დემიჩოლდების ბერძნულ შესატყვისთან (კახიძე 2002: 159-160). ბერძნებთან მიმართებაში დასახლებული პუნქტებისათვის სახელების შეცვლა თურქეთშიც დამახასიათებელ მოვლენად იქცა. ტრაპიზონსა და სამსუნს შორის ბორცვიან ადგილზე ქალაქური ტიპის დასახლება, დაბა – *ჭიხებოდე* მდებარეობს, რომელიც შავი ზღვის სანაპიროდან მალდდება. იგი ძველი ბერძნული დასახლება *ჭიხობოდე* უნდა იყოს.<sup>3</sup> ამ მხრივ საინტერესოა საკმაოდ დიდი დასახლება –



მიგჩობრი. არსებობს გადმოცემები, რომლებიც გვიდასტურებს, რომ აქ პირველად გემით ოთხი ადამიანი ჩამოსულა. ერთ-ერთი იყო სახელად მიტრატე. ზოგი იმასაც კი ამბობდა, რომ ეს მიტრატე ქართველი მღვდელი იყო. სოფელში თურმე ეკლესია – ქილისა ამათ აუშენებიათ. ბევრი ფუტკარი ჰყავდათ და თაფლიან სანთლებს ამზადებდნენ. მათთან მუმის – სანთლის ანთების ტრადიცია დიდხანს ყოფილა შემონახული. როცა დასახლება გადაუნვათ, მოსახლეობას ბოლი დაუნახავს და, ხალხური ეტიმოლოგიით, მისთვის მიგჩობრი დაურქმევიათ, რაც იგივე მიტროპოლიაა. ეხლა იუჯედეხი ჰქვია. ადგილობრივებმა იციან, რომ ეკლესიის შემორჩენილი საძირკვლები წმინდაა, ხოლო ნაეკლესიარი – წმინდა ადგილი. „ოქროს მაძიებლებს“ განძის ნახვის მიზნით ნაეკლესიარის გადათხრა აქაც უცდიათ, მაგრამ უშედეგოდ. ნაეკლესიარი ისეთი კირქვით ყოფილა ნაშენი, რომ მისთვის ვერაფერი დაუკლიათ (ქესკინი 2012).

კულტურული ურთიერთობების საილუსტრაციოდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასევე, შეგვიძლია პონტოელ ბერძნებში საქორწინო წყვილთა ნიშნობის პერიოდი – სიმადია – დავასახელოთ, რომელშიც რიგი წესი უნივერსალურ შინაარსს ატარებდა და ადრე მსოფლიოს არაერთი ხალხის სოციალურ ყოფას ახასიათებდა. ამავე დროს, ვრცელ, თუმცა საერთო ტერიტორიაზე დასახლებული სხვადასხვა წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფების ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად ხშირად მსგავს, მაგრამ თავისებურად ინტერპრეტირებულ ჩვეულებათა ვარიანტებს ვლენობთ. ასე მოხდა ანატოლიაშიც. მაგალითად, პონტოელ ბერძენთა საეკლესიო დღესასწაულების პერიოდში მოწყობილი თავყრილობისას მომავალი წყვილების შერჩევას ჰქონდა ადგილი და თავისებურად გასათხოვარი გოგონების დათავისებაც კი ხდებოდა. ბერძენი გოგონას სადღესასწაულო კოსტუმის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი თეთრი თავსაფარი იყო. დღესასწაულის მსვლელობის დროს დასაქორწინებელი ვაჟი გოგოს მანდილს მხარზე თუ გადაუგდებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას და მის ოჯახსაც იგი ცოლად უნდოდა. ბუნებრივია, ეს წესი ქალის დათავისების მიმანიშნებელი იყო. ქალზე ხელის დადებით, მისკენ ქუდის სროლით დათავისება ლაზებშიც ქალიშვილზე მამაკაცის – მომავალი მეუღლის უფლების გამომჟღავნებად ითვლებოდა. იგი ქართველი ხალხის სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფში, მათ შორის, შავშებში, კლარჯებში, ტაოელებში, აჭარლებშიც იყო ცნობილი და მათ ყოფას საკმაოდ დიდ ხნის მანძილზეც შემორჩა. ჩვეულებათა ამ ციკლში გამოვლენილი ეს ფაქტი ბერძნულ-ქართული პარალელების კვლევის ქვაკუთხედით განსაკუთრებით საყურადღებოა. აჭარაში ქალზე მანდილის – სიდგის – მოხდით დათავისება დიდხანს იყო გამოხატული, მაგრამ ამ კონკრეტულ ვითარებაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის, რომ აღნიშნული ჩვეულება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ იმ ლაზებსაც ჰქონდათ შემონახული, რომლებიც ანატოლიელ ბერძნებთან უშუალოდ იყვნენ კულტურულ შეხებაში (მგელაძე 1996: 213). საერთოდ, ეს წესი, საზოგადოებრივი ცხოვრების ადრეულ საფეხურზე, პატრილოკალურ დასახლებაში უნდა ყოფილიყო გაჩენილი, უნივერსალური მოვლენა იყო და არა მარტო საქართველოსა თუ ზოგადად კავკასიის მოსახლეობას, არამედ მსოფლიოს მრავალ ხალხს ახასიათებდა. მანდილის მოხდამდე პონტოელი ბერძენი თავისი რჩეულის შესახებ ჯერ მშობლებს განუცხადებდა, რადგან მათთან შეთანხმება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ, ოჯახის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, ქალის დათავისების აღნიშნულ წესს ასრულებდა (გიორგაძე, მგელაძე 2013: 220-227).

პონტოური ბერძნულისა და ქართველურის – ლაზურის ისე, როგორც აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნებისა და ქართველი ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის – აჭარლების ურთიერთგავლენები, არანაკლებ თვალსაჩინოდ ხალხური დღესასწაულებისა თუ სხვადასხვა ტიპის რელიგიური რიტუალების სფეროში ვლინდებოდა. ამ მხრივ პონტოელ ბერძნებსა და ლაზებში შეიძლება ისეთი საწესჩვეულებო საკულტო რიტუალები გამოიყოს, როგორებიცაა პონტოელ ბერძნებში ბავშვის ნათლობისას მღვდლის მიერ მრევლთან ერთად შესრულებული ჩვეულება. ლაზებში ამინდის ღვთაებასთან და წყლის კულტთან დაკავშირებულ მსგავს ჩვეულებას ხაჩისუ (ჯვრის წვიმა) ეწოდებოდა. პონტოელ ბერძნებში ბავშვის ნათლობისას მღვდელი მდინარისაკენ ჯვრით ხელში მრევლთან ერთად მიემართებოდა და ლოცვის შემდეგ ჯვარს მდინარეში აგდებდა. მრევლი ნაწილებად იყოფოდა და მდინარეში ჯვრის დასაბრუნებლად ეშვებოდა. წარმატებულ და ბედნიერადამიანად ის ითვლებოდა, რომელიც ჯვარს მდინარიდან ამოიღებდა და მღვდელს დაუბრუნებდა. მას თბილ ტანისამოსს აცმევდნენ, ხოლო შემდეგ გამარჯვებული ჯვრით ხელში სოფელში სახლებს შემოივლიდა და სახლეულის წევრებს ლოცავდა. სახლეულის წევრებიც გამარჯვებულს უმასპინძლებდნენ და გამცილებელ ჯგუფთან ერთად მას ფულითაც ასაჩუქრებდნენ. ასევე იცოდნენ შობის პერიოდშიც, როცა ახალგაზრდობა სახლებს შემოივლიდა, სახლეულის წევრებს ამხიარულებდა, აცინებდა, სიმღერებს მღეროდა, ცეკვავდა, ხოლო მასპინძლები მათ სხვადასხვა ტიპის ნუგბარით – ხილით, ტკბილეულობით უმასპინძლებდნენ, ფულითაც კი ასაჩუქრებდნენ. ლაზებში, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიებთან ერთად თავად ქრისტიანულმა აღმსარებლობამ და ქრისტიანობასთან დაკავშირებულმა ხალხურმა ჩვეულებებმაც მნიშვნელობა დაკარგა და მივიწყებას მიეცა, მაინც ბევრი რამ ისლამურ გარემოცვაშიც კარგად შემოინახა. განსაკუთრებული რიტუალი 19 იანვარს (ძველი სტილით 6 იანვარს) – ნათლისღებისას, წვიმის დროს ტარდებოდა, რასაც, აგრეთვე, ხაჩისუ (ჯვრის წვიმა) ეწოდებოდა. ასევე, ხანდაზმულები მოგვითხრობდნენ, რომ მათი „ნანდიდები“ გაზაფხულზე, როგორც ჩანს, აღდგომას, ხახვის ფოთლებით კვერცხს ღებავდნენ და ამას დიდ მნიშვნელობას

ანიჭებდნენ (მგელაძე და სხვები 2015: 154-159). ოხვამესთან არაერთი ქრისტიანობამდელი და ისლამამდელი საკრალურ-მისტიკური ჩვეულებაა გადახლართული, რომელთაგან ნაყოფიერების და ამინდის ღვთაებებთან დაკავშირებული რიტუალები უნდა გამოიყოს. სარფთან ახლოს არსებულ მთაზე – ოხვამეშ თეფებზე მდებარე ტყეში, ოხვამეშ გემ(ხ)აში, იქ, სადაც ადგილი ოხვამე არსებობს, წყალი ხვავრიელად გადმოედინება. ოხვამეს მთა, გადმოცემით, ადრე მაკრიალისაკენ მიემართებოდა და აზღაღებებს, სარფის მეზობელი სოფლის მოსახლეობას ეკუთვნოდა. როცა გვალვა იმდღავრებდა და წვიმის საჭიროება დადგებოდა, მოსახლეობა წყლის ჭურჭლებით – „გუგუმებით“ მთაში ოხვამისაკენ მიემართებოდა, თავს მაღალ ადგილას მოიყრიდა და სავსე ჭურჭლებიდან წყალს გადმოასხამდა – „წვიმა მოვიდესო“. წყალთან დაკავშირებული მსგავსი რიტუალები საქართველოს ტრადიციულ პერიფერიებში მრავლადაა წარმოდგენილი. პონტოელ ბერძნებში ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენათა საფარქვეშ შემონახულ წარმართულ რიტუალებში წყალი, წყალთან და ტაროსის ღვთაებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები განსაკუთრებულ როლს ასრულებდა, რაც ბერძნული მითო-რელიგიური სამყაროს ორგანული ნაწილი იყო. მითო-რელიგიათა ამ სისტემის ნაწილი პონტოელ ბერძენთა მეხსიერებაში ასახული ე.წ. „მომოერის“ სახელწოდების დღესასწაული ჩანს. ჩვეულებრივ, აჭარის სოფლებში განსახლებულ პონტოელ ბერძნებში ახალ წელს რამდენიმე ადამიანი – მამაკაცი, რომელთაგან ერთ-ერთი ქალის ტანსაცმელში იყო გადაცმული, ცეკვას იწყებდა. მათ შორის ერთი ფაღიშახი იყო, რომელიც ასევე ქალის სამოსში იყო გახვეული და თავზე ბასრდაბოლოებიანი ქუდი ეხურა. ექიმი და ოფიცერი მღეროდა. ისინი ეზოშიც სიმღერით შემოდიოდნენ, ბუნებრივია, მუსიკის თანხლებით. სიმღერასთან ერთად ეს გუნდი ცეკვავდა, ერთმანეთს ეხუმრებოდა. უცერად ფაღიკა, უფრო ზუსტად, ის მამაკაცი, რომელიც ქალის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი ავად ხდებოდა. ყველანი ექიმს ელოდებოდნენ, მაგრამ მის ნაცვლად ეშმაკი – შაითანი ცხადდებოდა. იგი ექიმის როლს გაითამაშებდა, მაგრამ მას სწრაფად მიუხვდებოდნენ. საერთო მხიარულებისა და სიცილის ფონზე შაითანი – ექიმი ავადმყოფს ჯოხით სცემდა. ამ დროს ჟანდარმი გამოჩნდებოდა და ეშმაკს შენიშნავდა. მოვიდოდა სასულიერო პირი – მოლა, რომელიც ფულის თხოვნას იწყებდა, თუმცა ფულის გამო მასთან ვაჭრობა იწყებოდა. მას თავზე ცხვრის ტყავი ჰქონდა შემოხვეული. იგი მოდუნებული, მაგრამ საკმაოდ ცბიერი იყო, ავადმყოფს წამალს აძლევდა. ავადმყოფს წამლის დაღვევა არ სურდა და ამ მხიარულებისა და ხუმრობების დროს საბოლოოდ მას აიყვანდნენ და გარემოდან გააძევებდნენ. ბერძნული ხალხური თეატრის ამ ვერსიაში შემდეგი სიუჟეტებიც მძაფრად და მხიარულად ვითარდებოდა. ეს დღესასწაული, როგორც ითქვა, „მომოერის“ სახელწოდებითაა დადასტურებული, რომელიც შობის, ნათლობისა და ახალი წლის დროს იმართებოდა. იგი ლარისა დემუროვას მიერ ასეა აღწერილი: *მომოეჩი* წარმართული ხასიათის დღესასწაული იყო, რომელსაც ფუნქცია გვიანობამდე ჰქონდა შენარჩუნებული. მონაწილეს ამა თუ იმ როლის შესრულებაში იმპროვიზაციის სრული შესაძლებლობა ეძლეოდა. დღესასწაულის მთავარი პერსონაჟები სხვადასხვა მორთულობის შავ ნიღბებს იკეთებდნენ, სახეს ნახშირით იღებავდნენ, გადმობრუნებული სახით ნადირის ტყავს იცვამდნენ. დღესასწაული საღამოს იწყებოდა და გვიანობამდე გრძელდებოდა. მასში უმთავრესად ისინი მონაწილეობდნენ, ვინც იუმორითა და მოხერხებული სიტყვა-პასუხით გამოირჩეოდნენ (დემუროვა 1984: 16-17). ამდენად, პონტოელი ბერძნებისათვის ისე, როგორც მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, ხალხური დღესასწაულები, მათ შორის, ახალი წელი განსაკუთრებული იყო და მისი ცერემონიალური აღნიშვნა ყველას უყვარდა. როგორც დავინახეთ, ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც სადღესასწაულო – საკარნავალო ნიღბებს იკეთებდა და წითელ ბასრდაბოლოებიან ქუდში ეშმაკს-შაითანს, ხოჯასა და პატარძალს განასახიერებდა, ხუმრობისა და სიცილ-გართობის ფონზე გარკვეული სიუჟეტების თეატრალურ ინსცენირებას ახდენდა. მათ ყველანი უმასპინძლებდნენ. საკვებს ისინი ჩანთაში აგროვებდნენ. მასპინძლები მათ სიხარულით ელოდებოდნენ იმიტომ, რომ მათთან მხიარულება, ხუმრობები, გართობა და სიმღერები იყო დაკავშირებული. ამის შემდეგ ისინი სოფლის რომელიმე წევრის სახლში რჩებოდნენ და სადღესასწაულო სუფრასთან სხდებოდნენ. ვინც კარგად იცნობს ქართველი და კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს იგი ამ სანახაობაში სამხრეთ საქართველოში ფადიკოსა და ყეენობა-ბერიკაობასთან დაკავშირებულ ჟანრობრივ სცენარებს ამოიცნობს, რაც ქართული და პონტოელი ბერძნების ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების საფუძველზე კულტურული დიფუზიისა თუ საუკუნეების მანძილზე ერთად თანაცხოვრების შედეგად უნდა დამკვიდრებულიყო. სხვათა შორის, ანატოლიაში, თურქული თეატრი ხალხური თეატრიდან განვითარდა. პირველი მსახიობებიც ბერძნები, შესაძლოა სხვებიც იყვნენ. შემდეგ ქალის როლსაც მამაკაცები ასრულებდნენ და ეს მანამ გრძელდებოდა, სანამ თურქეთის თეატრმა თანამედროვე სახე არ მიიღო (მგელაძე, ლორია 2018: 183, 217-218, 182-183). პონტოელი ბერძნებისა და ქართველური სამყაროს ამდაგვარი კულტურული შეხვედრების ირგვლივ სხვა ტიპის უამრავი მასალაც არსებობს, რაც, ალბათ, მისი საინტერესო ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე განსაკუთრებული კვლევის ობიექტად უნდა იქცეს.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ლაზურისა და პონტოური ბერძნულის კულტურული ურთიერთგავლენების სფეროში კონკრეტული კვლევები ჩავატაროთ, რადგან იგი საკმაოდ პერსპექტიული ჩანს. პონტოური ბერძნული, დროთა განმავლობაში, ლაზურიდან ისეთ სიტყვებსა და კულტურულ რეალიებს ითავისებდა, რომლებიც ქართველური ენებისათვის და უფრო ფართო ლინგვისტური წრისათვის და მათი კულტურისათვის იყო

დამახასიათებელი. მათგან დიდი ნაწილი დასაშვებია უნივერსალური მნიშვნელობის იყო, განსაკუთრებით, საბავშვო ლექსიკის სფეროში, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ პონტოურ ბერძნულში ისინი სწორედ ლაზურიდან ხვდებოდა და ვრცელდებოდა, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ადგილი არ ჰქონდა პირუკუ პროცესებსაც. ბუნებრივია, შემდგომი კვლევის საფუძველზე უაღრესად საინტერესო იქნებოდა პონტოელ ბერძენთა და ქართველურ ენათა, ბუნებრივია, პირველ რიგში ლაზთა ნათესაური ტერმინოლოგიური სქემის შედარებითი – სტრუქტურული და ტიპოლოგიური ანალიზი, ასევე, შედარებითი კვლევები კულტურის სფეროში, რაც საშუალებას მოგვცემს აღნიშნულ ეთნიკურ საზოგადოებათა შორის საუკუნეებით განპირობებული სოციოკულტურული და სოციოლინგვისტური ურთიერთობები გაცილებით დამატარებლად განვსაზღვროთ.

## შენიშვნები

- <sup>1</sup> მცირე აზიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო – რუმის სასულთნო XI საუკუნის მეორე ნახევარში თურქ-სელჩუკი უფლისწულების ძალისხმევით ანატოლიის დაპყრობითი ომების საფუძველზე ჩამოყალიბდა. 1080 წელს უფლისწულმა სულეიმანმა მცირე აზიაში სელჩუკთა სახელმწიფოს – რუმის სასულთნოს დაუდო სათავე. ამ დროს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს უფლისწული ქერმან სელჩუკი გამოეთიშა და სირიაშიც ახალი სელჩუკური ფეოდალური სამთავრო ჩამოაყალიბა. რუმის სასულთნომ 1077-1307 წლების მანძილზე იარსება. XI საუკუნის ბოლოს რუმის სასულთნომ, თანდათანობით, ანატოლიაში ჰეგემონობა მოიპოვა, თითქმის ყველა ბიზანტიურ ქალაქს დაეპატრონა და დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს გაუმეზობლდა. რუმის სასულთნოს თავდაპირველი დედაქალაქი ნიკეა იყო. დედაქალაქი შემდეგ კონიაში გადაიტანეს, რის გამოც სასულთნო, ხშირად, კონიის სასულთნოდ იხსენიებოდა. 1243 წელს *ხუმი* მონღოლებთან ქოსე-დაღის ბრძოლაში დამარცხებულა და მონღოლთა ვასალი გამხდარა. XIV საუკუნეში რუმის ტერიტორიაზე ოსმალეთის იმპერიამ დაარსდა (გაბაშვილი 1957: 133-134, 245).
- <sup>2</sup> შდრ. სიტყვა *შვიდს*. ტერმინი *შვიდი* პირველ დაღმავალ თაობაში, ასევე, სქესის განუსხვავებლად, ზოგადად, შთამომავლობას გამოხატავს და ამ შინაარსით, ძირითადად, გვარსახელებში გვხვდება. ასეთებია: ჩოლოყაშვილი, ხატელაშვილი და სხვა მრავალი.
- <sup>3</sup> *ციხებურღ* ჰარშითის ხეობაში ამავე სახელწოდების მდინარის შავ ზღვასთან შესართავიდან იწყება. იქვეა თევზჭერისათვის განკუთვნილი ბაზა მცირე ფლოტილიათი. ადრე მის ადგილზე არსებულ ციხე-ქალაქს *ციხობრიე* ერქვა, რომელიც მოხსენიებულია „ანაბაზისში“, ძველ ბერძენ ისტორიკოსებთან – ქსენოფონტესთან (ძვ. წ. 431-360 წლები). ქსენოფონტესთან კოლხური მოდგმის ტომებზე – დრილებზე (Drilae), ჰაბიბსინებსა (Habibs) და ტიბერენებზეცაა (Tiberians) საუბარი. ამ მხრივ პლინიუს უფროსი უფრო თანმიმდევრულია. სავარაუდოდ, ციხე-ქალაქი ტრიპოლიე ძვ. წ. 656 წელს დაარსდა. იგი როგორც სავაჭრო კოლონია დაკავშირებული იყო ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოსთან – მილეტთან. შემდეგში ტრიპოლი მოქცეული იყო რომისა და ბიზანტიის იმპერიებში. კომნენოსების – ალექსიოს I-ის დროს იგი ტრაპიზონის იმპერიაშიც ერთიანდებოდა.

## დამონებანი

- აბულაძე 2018:** თ. აბულაძე. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების თავისებურებანი (სოციოკულტურული ასპექტები), სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი.
- ბანაში 1988:** წ. ბანაში. ეთნორელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. თბილისი.
- გაბაშვილი 1957:** ვ. გაბაშვილი. დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა). ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბილისი.
- დემუროვა 1984:** ლ. დემუროვა. აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა ერთი დღესასწაულის შესახებ. XIX რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, ბათუმი.
- გიორგაძე, მგელაძე 2012:** მ. გიორგაძე, ნ. მგელაძე. პონტოელი ბერძენების დასახლების ისტორია ბათუმში, ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), II, ბათუმი.
- გიორგაძე, მგელაძე 2013:** მ. გიორგაძე, ნ. მგელაძე. საქართველოს შავიზღვისპირეთის ბათუმის პონტოელი ბერძენების ყოფა (საქორწინო ტრადიციები). ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), III, ბათუმი.
- დვორეცკი 1959:** С. Дворецкий. Древнегреческо-русский словарь. Москва.
- ზენგინი 2013:** მთხრობელი ადემ ზენგინი, სოფელი ლუთბიე (თხილაზორის მაჰალე), 17 ივლისი, ჰენდეკის ილჩე, საქარიას ილე, თურქეთის რესპუბლიკა; ნუგზარ მგელაძე. 2013 წლის თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირებში კომპლექსური ექსპედიციის სავლე დღიურები. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის არქივი.
- თანდილავა 2013:** ა. თანდილავა. ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა). თბილისი.
- იაკოვლევი 1930:** Н. Яковлев. Термин “мать” – “отец”, “сестра” – “брат”, “дочь” – “сын” в северо-кавказских яфетических и некоторых других языках.
- ილინი 1914:** Ю.С. Ильин. Россия и Турция. Москва.
- კარტოზია 1972:** გ. კარტოზია. ლაზური ტექსტები. თბილისი.
- კახიძე 2002:** ნ. კახიძე. ხელოსნობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. საისტორიო მაცნე (შრომების კრებული), XI, ბათუმი.



- კორომილა 2008:** მ. კორომილა. ბერძენები შავ ზღვაზე (ბრინჯაოს ხანიდან XX საუკუნის დასაწყისამდე), თბილისი.
- კუკულაძე 1981:** თ. კუკულაძე. დეხვას ხეობის ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, III, თბილისი.
- ლიოზენი 1905:** Э. Лиозен. Берег русского Лазистана. Известиявказского отдела императорского русского географического общества (ИКОИРГО), т., XVIII, № 1, Тифлис.
- მარი 1910:** Н. Я. Марр. Из поездки в Турецкой Лазистаню. Известия Императорской Академии Наук, VI серия, №7, Санкт-Петербург.
- მგელაძე 2016:** ნ. მგელაძე. კლარჯეთის ეთნოლოგია. კლარჯეთი, ბათუმი.
- მგელაძე 1996:** ვ. მგელაძე. ქორწინება და საქორწინო წესჩვეულებანი აჭარაში. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ტ., I, ბათუმი.
- მგელაძე, ტუნაძე 2003:** Н.В. Мгеладзе, Т.Х. Тунадзе. Из истории хемшинов Восточной Турции и юго-западной Грузии. Международная конференция “Кавказ. Археология, фольклористика”, Ереван.
- მგელაძე, ტუნაძე 2005:** ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე. ჰემშინთა ისტორიისათვის აღმოსავლეთ თურქეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. საისტორიო მაცნე, ტ., V, ბათუმი.
- მგელაძე 2014:** ნ. მგელაძე. ქართველ მუჰაჯირთა ეთნონიმისა თურქეთში და ეთნონიმისათან დაკავშირებული ცნობიერება. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი.
- მგელაძე 2015:** ნ. მგელაძე. „დექსელის“ სემანტიკისათვის. XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები (ბათუმი: 23-24 ოქტომბერი), თბილისი.
- მგელაძე და სხვები 2015:** ნ. მგელაძე, ჯ. ვარშალომიძე, ჯ. მიქელაძე. სარფი – ეთნოგრაფიული პორტრეტი, ბათუმი.
- მგელაძე, ლორია 2018:** ნ. მგელაძე, მ. ლორია. მცირე აზიის ხალხთა ეთნოლოგია და კულტურა. თბილისი.
- მემიშიში 2015:** თ. მემიშიში. სარფის მიკროტოპონიმია. სარფი, ბათუმი.
- ჟორდანია 2019:** Э.Г. Жордания. Византийский Понт и Грузия. Вопросы исторической географии и этнопонимии Юго-Восточной причерноморья в XIII-XV веках, Санкт-Петербург.
- ფაშაევა 1992:** Л. Пашаева. Семья и семейный быт греков цалькского района (по этнографическим материалам второй половины XIX – начала XX в), Тбилиси.
- ქესკინი 2012:** მთხრობელი ხასან ქესკინი (ყალაიჯოდლი//კალიჯოდლი) – ჩიკვაიძე (//ჩიხვაიძე), 72 წლის, თურქეთის რესპუბლიკა, სოფელი ქუშჩა, 6 ივლისი, 2012). ნუგზარ მგელაძე. 2012 წლის თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირებში კომპლექსური ექსპედიციის სავლე დღიურები. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კვლევის ცენტრის არქივი.
- ქობალია 2010:** ა. ქობალია. მეგრული ლექსიკონი. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1955:** ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დაგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, სახელგამი.
- ჩიტაია 2000:** გ. ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. შრომები ხუთ ტომად, ტომი II. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები, თბილისი.
- ჩიქობავა 1938:** ა. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი.
- წერეთელი 1981:** ლ. წერეთელი. მცირეაზიელ (პონტოელ) ბერძენთა გადმოსახლებისა და რეპატრაციის ისტორიიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, თბილისი.

## ON THE ISSUE OF ETHNONIMICS AND CULTURAL IDENTITY OF ANATOLIAN GREEKS AND THE GEORGIAN-GREEK SOCIOLINGUISTIC INTERACTIONS

Nugzar Mgeladze

The article deals with the problems of ethnonimics, cultural identity of Pontic Greeks and the Georgian-Greek sociolinguistic interactions. Based on the field-ethnographic sources examples of concurrence were identified. These processes had started in Anatoly in the past the centuries and developed after the migration and settlement of the Greeks from Turkey on the Black Sea coast.

## უცნობი ხატის წარწერა წმ. შალვა ქსნის ერისთავისა და მისი ოჯახის წევრების ხსენებით

ლადო მირიანაშვილი

მუზეუმების საცავები ხელოვნების ნიმუშების ამოუნურავი წყაროა. ამ ნიმუშების მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ მათი შესრულების მხატვრული დონით, არამედ ისტორიული ღირებულებითაც: ერთი შეხედვით სრულიად უბრალო, ან დაზიანებულ ნიმუშს შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ღირებულება აღმოაჩნდეს. წინამდებარე სტატიის მეშვეობით სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემომაქვს ერთ-ერთი ამგვარი, დაზიანებული ხელოვნების ნიმუში – მცირე ზომის ხატი, რომელიც მის ზურგზე შესრულებული საქტიტორო წარწერის შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფურცელს უკავშირდება. ამ ხატის არსებობის შესახებ ბ-ნ მიხეილ ჩხიკვაძისგან შევიტყვე, რომელიც ისტორიული ფოტოების, განსაკუთრებით კი დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექციის დაუღალავი მკვლევარია. მან დ. ერმაკოვის კოლექციაში დაცული ერთ-ერთი ფოტო გაასაჯაროვა და დაინტერესდა იმით, იყო თუ არა გამოქვეყნებული მასზე აღბეჭდილი ხატის ზურგზე შესრულებული საქტიტორო წარწერის ტექსტი. დ. ერმაკოვის ზემოაღნიშნული ფოტო საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული. ფოტოზე ერთდროულად ორი ხატია გადაღებული: ქვემოთ – ჩვილადი ღმრთისმშობლის ხატი პირის მხრიდან, რომელიც ორ სამსჭვალზეა ჩამოდებული, მასზე ზემოდან კი ყოვლადწმინდას ხატია შემოდებული, ოღონდ ზურგის მხრიდან, რომელზეც საქტიტორო წარწერაა შესრულებული (სურ. 1). ის რომ ეს ყოვლადწმინდის ხატის ზურგის მხარეა, საქტიტორო წარწერის შინაარსიდან ირკვევა. დ. ერმაკოვის ამ ფოტოს განმარტებითი წარწერა არ ახლავს. ფოტოზე გადაღებული ხატები არქივის თანამშრომლების მიერ აღწერილი და იდენტიფიცირებული არ არის. ზედა ხატის საქტიტორო ტექსტის გაცნობამ მის უდიდეს ისტორიულ და რელიგიურ მნიშვნელობაში დამარწმუნა. ეს ტექსტი არასდროს ყოფილა გამოქვეყნებული. ამის გათვალისწინებით, მალევე, კვლევის პირველადი მონაცემები სამეცნიერო საზოგადოებას სამეცნიერო მოხსენების სახით მივანოდე.<sup>1</sup> მოხსენების დროს წარმოდგენილი შედეგები მხოლოდ ფოტოზე მუშაობის შედეგებს ეყრდნობოდა, რადგან იმ დროს ინფორმაცია განსახილველი ხატის დაცულობის ადგილის შესახებ ჯერ არ მქონდა მოძიებული: რიგი საკითხებისა მოგვიანებით გავარკვიე. ამჯერად, წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი კვლევის შედეგები ხატის ორიგინალის უშუალო შესწავლის საფუძველზეა მიღებული.

საქტიტორო წარწერაში ქსნის ერისთავების ხსენებამ მაფიქრებინა, რომ ხატი, სავარაუდოდ, იკორთის მონასტრის ტაძრისთვის (1152 წ.) უნდა ყოფილიყო შეწირული, რომელიც ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ და რომელშიც კახეთის 1659 წლის აჯანყების მოთავეები – ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები არიან დაკრძალულნი. და მართლაც, როგორც დავადგინე, საკვლევი ხატი შეტანილი აღმოჩნდა გიორგი ბოჭორიძის მიერ 1924 წლის 2 მაისს შედგენილ, იკორთის ტაძრიდან ჩამოტანილი საეკლესიო ნივთების აღწერილობაში ნომრით ქ.№307 (ბოჭორიძე 2011). ბ. ბოჭორიძის მიერ შესრულებულ აღწერაში ნახსენებია მხოლოდ ხატის ზომა (15X21 სმ), აგრეთვე მისი პირისა და ზურგის მასალა და ხატზე საქტიტორო წარწერის არსებობა, კერძოდ ის, რომ „ხატი შეუჭედინებია ქსნის ერისთავის შალვას მეუღლეს ქეთევანს ქვს ტუჯ (=1708)“. თავად წარწერის ტექსტი ხატის აღმწერს მოყვანილი არ აქვს.

გ. ბოჭორიძის მიერ აღწერილი ხატი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საცავში აღმოჩნდა დაცული.<sup>2</sup> საკვლევი ხატი მცირე ზომისაა: 15X21 სმ. პირის მხარეს ჩვილადი ღმრთისმშობელია გამოსახული, ხატი ბაჯადლო ოქროს პერანგითაა შემოსილი. ღმრთისმშობლისა და ჩვილი მაცხოვრის შარავანდედებს ძვირფასი ქვები და რამდენიმე მსხვილი მარგალიტი ამკობს (სურ. 2). ხატის ფერწერული ნაწილი ხის დაფაზეა შესრულებული. მოხატულობამ ჩვენამდე ნაწილობრივ მოაღწია. კერძოდ, შემორჩენილი ფერწერული ფენა მხოლოდ ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის თავის ზედა ნახევრითა და ჩვილის სახის ფრაგმენტებით შემოიფარგლება. სახატე დაფის დანარჩენი ნაწილებიდან საღებავი მთლიანად აცვენილია. ხატის ოქროს პერანგი მოჩარჩოებულია. ჩარჩო-არშია, ცენტრალურ ველთან შედარებით, ამოზიდულია. მის შიდა ხაზს ბურთულების მწკრივი შემოუყვება. ხატის პერანგის ჩარჩო-არშია და ცენტრალური ველი მცენარეული ორნამენტითაა შემკული. ჩარჩოს ზედა გვერდის ცენტრში ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული.

შემწირველის წარწერა ხატის ზურგზეა შესრულებული. იმის გათვალისწინებით, რომ საქტიტორო წარწერის დამასრულებელ ნაწილში შემწირველი, როგორც წესი, მისი სახელის ლოცვებში მოხსენიებასა და შენდობას ითხოვს, საქტიტორო წარწერები უფრო ხშირად ხატის წინა პირზე კეთდება ხოლმე, თუმცა არის მათი ზურგზე შესრულების მაგალითებიც. იკორთის ღმრთისმშობლის ხატის საქტიტორო წარწერის ზურგზე განთავსება ხატის მცირე ზომამ განაპირობა. წარწერა ვერცხლის ფირფიტაზეა შესრულებული. მისი სახატე ხის დაფაზე დაკვრის შემდეგ, დაფის ნიბო ვერცხლის ლენტით დაუფარავთ და ხატის ზურგის მხარის მიმართულებით გადაუკეცავთ, რა დროსაც საქტიტორო ტექსტის პირველი სტრიქონის ბოლო სიტყვის ბოლო

ასო ნაწილი გადანაკვეს დაუფარავს. ვერცხლის ფირფიტა ხატის ზურგზე ისეა დამაგრებული, რომ ტექსტის სტრიქონები ხატის განიერი მხარის პარალელურადაა მიმართული. შესაბამისად, ტექსტის წასაკითხად ხატი საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, 90-გრადუსიანი კუთხით უნდა შემოვებრუნოთ. წარწერა მხედრული შრიფტით, XVI-XVII საუკუნეებისთვის სახასიათო კალიგრაფიითაა შესრულებული. განკვეთილობის ნიშნად ორწერტილია გამოყენებული (სურ. 3).

საქტიტორო ტექსტის გადმონაწერი:<sup>3</sup>

1. ქ: მე; ფრიად: ცოდვილმან: არაგვის: ერისთავის: ზაალის: ასულმან:
2. და: ქსნის: ერისთავის: შალვას: მეუღლემან: და თვით: ქსნის: ე
3. რისთავის: დავითის: დედმან: პატრონმან: ქეთევან: მოვა
4. ჭედინე: ხატი: ესე: ყოვლად: წმინდისა: შევამკვე: ოქროთა: და:
5. თვალებითა: სასოებად: ჩემდა: მას: ჟამსა: ოდეს: სოფელ
6. ის: სიმუხთლით: ძის: ძე: ჩემი: უხუცესი: შალვა: მიმეცვალა:
7. მი თავს: შემოვალებული: ოქრო: და: თვალ: და: მარგალ
8. იტი: სხვად: არად: საწმარიყო: ვინც: იხილოთ: შენდობას:
9. მიბძანებდეთ: ქს: ტჟვ |

ქვემოთ წარმოგიდგენთ ჩემ მიერ აღდგენილ ტექსტს. გამოყენებული მაქვს შემდეგი პირობითი ნიშნები: [ ] – მიუთითებს წარწერის შემსრულებლის მიერ უნებლიეთ გამოტოვებულ ასოზე; | – მიუთითებს სტრიქონის დასასრულზე:

ქ. მე ფრიად ცოდვილმან, არაგვის ერისთავის ზაალის ასულმან | და ქსნის ერისთავის შალვას მეუღლემან და თვით ქსნის ე | რისთავის დავითის დედ[ა]მან, პატრონმან ქეთევან, მოვა | ჭედინე ხატი ესე ყოვლად წმინდისა, შევამკვე ოქრო[ი]თა და | თვალებითა სასოებად ჩემდა მას ჟამსა, ოდეს სოფელ | ის სიმუხთლით, ძის ძე ჩემი, უხუცესი შალვა მიმეცვალა. | მი[ს] თავს შემოვალებული ოქრო და თვალ და მარგალ | იტი სხვად არად საწმარიყო. ვინც იხილოთ, შენდობას | მიბძანებდეთ. ქს ტჟვ. (= 1708 წ.)

ტექსტში XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწე რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული პირია დასახელებული. მათ შორის უმთავრესია შალვა ქსნის ერისთავი, რომელიც 1659 წელს ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების (ბახტრიონის ბრძოლის) ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. მან ბიძინა ჩოლოყაშვილსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად სამშობლოსათვის თავი გასწირა. როგორც ცნობილია, აჯანყების შემდეგ, სამი თავდადებული გმირი ირანში გაემგზავრა იმ მიზნით, რომ შაჰს ხლებოდნენ და სამშობლო სადამსჯელო ექსპედიციისგან ეხსნათ. შაჰმა ისინი განჯის ხანს გადასცა, ხოლო განჯის ხანმა, თავის მხრივ, იმ თურქმანულ ტომებს, რომლებიც ქართველებმა კახეთის აჯანყების დროს ამოწყვიტეს. სამივე გმირი სასტიკი წამებით დახოცეს. მათგან ბიძინა ჩოლოყაშვილი ასო-ასო დაჭრეს, მსგავსად დიდმოწამე იაკობ სპარსისა. ეს 1662 წლის 18 სექტემბერს მოხდა. საქართველოს ეკლესიამ სამივე წამებული წმინდანად შერაცხა (ხსენების დღე ძველი სტილით 18 სექტემბერია, ახალი სტილით – 1 ოქტომბერი).

ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების ორი ვრცელი მარტვილობა არსებობს:<sup>4</sup> წამებულთა ამბავი პირველად ბესარიონ ორბელიშვილს აღუწერია, შემდეგ კი კათოლიკოს ანტონ I-ს, ბ. ორბელიშვილის თხზულებაზე დაყრდნობითა და საისტორიო წყაროების გამოყენებით, მეტაფრასული თხზულება დაუწერია და თავის *მაჩვიჩიკაში* შეუტანია. ორივე ჰაგიოგრაფთან გვხვდება ცნობა, რომლის თანახმად წამებულთა სხეულები ირანში მცხოვრებ ქრისტიანებს თავიანთ ეკლესიაში დაუკრძალავთ. ბ. ორბელიშვილის თანახმად ესენი სომეხნი და ფრანგნი ყოფილან, ანტონ I-ის ცნობით კი – სომეხნი (მარტირიკა 1980: 188). ჩემი ვარაუდით, წამებულნი კათოლიკე სომეხებმა დაკრძალეს. ბ. ორბელიშვილის მიერ ცალკე სომეხებისა და ცალკე ფრანგების მოხმობა, მის ხელთ არსებული წყაროს არასწორ გაგებას უნდა უკავშირდებოდეს. როგორც ცნობილია, საქართველოში კონფესიური კუთვნილების აღსანიშნად ეროვნების აღმნიშვნელ ტერმინს იყენებდნენ: „ფრანგებს“ კათოლიკეებს ეძახდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ, ნმ. შალვას მეუღლეს ქეთევანსა და შვილს დათუნას ირანში თავიანთი ხალხი გაუგზავნიათ, რომლებსაც ვნებულთა წმინდა ნაწილები საქართველოში ჩამოუბრძანებიათ და იკორთის მთავარანგელოზთა ტაძარში, „ჩრდილოეთ კერძო, დამართებით წინაშე სუეტისაჲ“, საერთო საფლავში დაუკრძალავთ, რადგან ნეშტების სახელდება შეუძლებელი ყოფილა (ორბელიშვილი 1989: 63).

საქტიტორო წარწერის თანახმად, ჩვენთვის საინტერესო ხატის შემწირველია ნმ. შალვა ქსნის ერისთავის მეუღლე ქეთევანი, რომელიც იყო ზაალ არაგვის ერისთავის ასული. ზაალი არაგვის ერისთავად 1633-1660 წლებში გვევლინება. იგი თავნებობითა და სამეფო კარისადმი ურჩობით იყო ცნობილი: ჯერ მეფე როსტომს განუდგა (რომელსაც მოგვიანებით შეურიგდა), შემდეგ კი მეფე ვახტანგ V-ს დაუპირისპირდა. მეფე როსტომის წინააღმდეგ მიმართული, 1642 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, ზაალ ერისთავი იძულებული გახდა ირანის შაჰის კარზე წასულიყო. ეს პირობა მეფე როსტომმა შერიგების სანაცვლოდ დაუყენა. ზაალი საქართველოში 1648 წელს დიდი პატივითა და უხვად დასაჩუქრებული დაბრუნდა. XVI ს-ის 50-იან წლებში,



მან თავისი საერისთავოს საზღვრები გააფართოვა: დროებით ერწო-თიანეთი შემოიერთა (ჭამბურია 1997: 181). მეფე ვახტანგ V-სთან კონფლიქტის გამო, ზაალს კიდევ ერთხელ მოუხდა ირანის კარზე გამგზავრება, რა დროსაც იგი გამაჰმადიანდა. სამშობლოში დაბრუნებულმა ზაალ ერისთავმა მეფე ვახტანგ V-ის წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელა. იგი ცნობილია როგორც 1659 წლის კახეთის აჯანყების დამგეგმავი და სულისჩამდგმელი, თუმცა ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. სწორედ მისი გეგმით აიღეს ბახტრიონის ციხე და თურქმანები დიდ-პატარიანად უმოწყალოდ ამოწყვიტეს. ამ აჯანყებაში ზაალ არაგვის ერისთავის ვაჟი – ზურაბიც მონაწილეობდა. 1660 წელს მეფე ვახტანგ V-მ ზაალ არაგვის ერისთავი, ირანის შაჰის დავალებით, მისსავე ძმისწულებს მოაკვლევინა, ხოლო ზურაბ ერისთავი და მისი უმცროსი ძმა დააპატიმრა და შაჰს ირანში გაუგზავნა. ზურაბი ისპაჰანის სატუსაღოში მოკლეს, მისი ძმა კი, რომელსაც აჯანყებულებთან კავშირი ვერ დაუმტკიცეს, გამაჰმადიანეს და ცოცხალი დატოვეს.

ზაალ არაგვის ერისთავს მეორე ასულიც, სახელად თამარი ჰყავდა, რომელიც, აგრეთვე, სახელოვან დიდებულზე იყო გათხოვილი: თამარი იყო მდივანბეგ ორბელ ყაფლანის ძე ორბელისშვილის მეუღლე,<sup>5</sup> რვა ძისა და სამი ასულის დედა.

საქტიტორო წარწერის ტექსტში ქეთევანი საგანგებოდ ახსენებს, რომ იგი ქსნის ერისთავის დავითის (იგივე დათუნას) დედაა. დათუნას ქსნის ერისთავად 1675-1696 წწ. და 1700-1717 წწ.-ში ვხედავთ. მას ცოლად ქართლის მეფის გიორგი XI-ის ასული – მარიამ ბატონიშვილი ჰყავდა (ვახუშტი 1973: 460). ქართლში ერეკლე I-ის გამეფების დროიდან (1688) დათუნა ქსნის ერისთავი ხან ერეკლე I-ს ემხრობოდა და ხან გიორგი XI-ს (ლუნაშვილი 2007: 217, 221). 1696 წელს ერეკლე I-მა დათუნა ქსნის ერისთავობიდან გადააყენა და გიორგი XI-ის სხვა მომხრეებთან ერთად ირანში გაგზავნა. მან ერისთავად დათუნა ქსნის ერისთავოფილის ბიძაშვილი დავითი დანიშნა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, 1700 წელს დათუნას დედის – ქეთევანის წაქეზებით ქსნისხვეველები აჯანყდნენ და დავით ერისთავი მოკლეს (ვახუშტი 1973: 476). ერეკლე I-მა აჯანყება მკაცრად ჩაახშო, რა დროსაც ქსანი დაარბია. მაგრამ უშინოდა რა „შესმენა ყაენისა“, დათუნა ირანიდან გამოიწვია და კვლავ ერისთავად დასვა (ვახუშტი 1973: 476; ფონდი 1449). სეხნია ჩხეიძის ცნობის თანახმად, დათუნა ერისთავი ირანში ყოფნისას გამაჰმადიანდა (ჩხეიძე 1854: 313). ვახტანგ VI-ის ქართლის ჯანაშინად დანიშვნის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებული დათუნა ერთხანს ვახტანგის ერთგული იყო, მაგრამ შემდეგ განუდგა და გიორგი არაგვის ერისთავთან ერთად შაჰს ვახტანგის გადაყენება და იესეს მეფედ დანიშვნა სთხოვა. იესეს ზეობისას (1714-1716) დათუნა ქართლის მეფის სახლთუხუცესი იყო. 1717 წელს მეფე ბაქარმა მას სახლთუხუცესობა ჩამოართვა, რის გამოც დათუნა ქსნის ერისთავი მეფეს განუდგა. იგი იმავე, 1717 წელს გარდაიცვალა.

როგორც საქტიტორო ტექტიდან ჩანს, ქეთევანს ჩვენთვის საინტერესო ხატი მოუჭედინებია და შეუმკია საკუთარი თავის სასოებად მისი „უხუცესი“ ძის ძის, ანუ შვილიშვილის გარდაცვალების გამო. სულხან-საბა ორბელიანი *სიგყვის კონაში* უხუცესს განმარტავს როგორც პირველშობილს. მაშასადამე, პატარა შალვა წმ. შალვა ერისთავის პირველი შვილიშვილი და დათუნას პირველი შვილი იყო. დღემდე, დათუნა ქსნის ერისთავის პირველშობილ ვაჟად შანშე ერისთავი მიიჩნეოდა, იკორთის ხატის წარწერიდან კი ვგებულობთ, რომ დათუნას პირველშობილი შვილი შალვა იყო, რომელიც ადრეულ ასაკში გარდაცვლილა. ტექსტში ყურადღებას იპყრობს ტერმინი „შემოვალებული“. ამ სიტყვის ფუძეა „ვალი“. „შემოვალება“ განსახილველი საქტიტორო ტექსტის კონტექსტში ნიშნავს უმცროსი შალვას აღზრდისთვის გამოსაღები „ოქროსა და თვალ-მარგალიტის“ ამქვეყნად დამრჩენებზე ვალად დადებას, რამეთუ პატარა შალვას ნაადრევი გარდაცვალების გამო მათ ამ საფასის გაღება ვერ მოახერხეს და ერთგვარ ვალად დაედოთ.

დათუნა ქსნის ერისთავს ადრეულ ასაკში გარდაცვლილი შალვას გარდა, კიდევ შვიდი ვაჟი ჰყავდა: შანშე, იესე ყულარაღასი, გიორგი, რევაზი, არქიმანდრიტი ქრისტეფორე და ბერი (ქენქაძე 2016: 439). ამათ შორის გამორჩეული იყვნენ შანშე ქსნის ერისთავი და იესე ყულარაღასი. ეს უკანასკნელი ბახტრიონის აჯანყების გმირების ჰიმნოგრაფიის ავტორია: მას შეუდგენია სამი მონამის „აკოლოთია“ (კეკელიძე 1960: 354). იესე 1745 წელს, ხოლო შანშე 1753 წელს გარდაიცვალა.

ამგვარად, დიმიტრი ერმაკოვის ფოტოს წყალობით მიკვლეული ხატი თავისი ისტორიული ღირებულებით არის ქართველი წმინდანის, შალვა ქსნის ერისთავის ოჯახიდან მომდინარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიკვია. მასზე შესრულებული საქტიტორო წარწერა გვანვდის ცნობას წმ. შალვა ერისთავის პირველშობილი შვილიშვილის, შალვა უმცროსის ადრეულ ასაკში გარდაცვალების შესახებ.

## შენიშვნები

<sup>1</sup> მოხსენება ნავიკითხე სამეცნიერო კონფერენციაზე „ეპიგრაფიკული ძეგლები; ისტორიული გეოგრაფია“, თბილისი, 2018 წლის 18 სექტემბერი: ლალო მირიანაშვილი, ღმრთისმშობლის ხატის წარწერა წმ. შალვა ერისთავისა და მისი ოჯახის წევრების ხსენებით.

<sup>2</sup> მინდა უდრმესი მადლობა გადავუხადო შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდის კურატორს ქალბატონ ელენე კავლეიშვილს იმ დახმარებისთვის, რაც მან საკვლევი ხატის მოძიებასა და მასზე მუშაობის პროცესში გამიწია.

- <sup>3</sup> მადლობას მოვახსენებ ისტორიკოსსა და ეპიგრაფისტს თემო ჯოჯუას, რომელმაც საქტიტორო ტექსტის მეექვსე სტრიქონის მეორე სიტყვის წაკითხვა დამიზუსტა.
- <sup>4</sup> დამატებით ცნობილია სამი ქართველი მოწამის „წამების“ ორი სვინაქსარული თხზულება. მათ სახელზე შეუქმნიათ ჰიმნოგრაფიული საგალობლებიც, რომლებიც ნიკოლოზ თბილელს, ანტონ I-სა და იესე ქსნის ერისთავს – შალვა მოწამის ძმისწულს, დაუწერიათ.
- <sup>5</sup> ეს ცნობა დაცულია ტანძიის სვინაქსარის მინაწერში, რომელშიც ტანძიის კარის ეკლესიის აგებაზეა საუბარი (შარაძე 1991: 37).

## დამონშებანი

**ბოჭორიძე 2011:** გ. ბოჭორიძე. ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები. გამოსაცემად მოამზადეს: ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა, ინგა გოგობერიშვილის მონაწილეობით. თბილისი, ფავორიტი პრინტი.

**ვახუშტი 1973:** ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ., IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, საბჭოთა საქართველო.

**კეკელიძე 1960:** კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ., I. თბილისი, საბჭოთა საქართველო.

**მარტირეკა 1980:** შესხმა და მოთხრობა ღუანლთა და ვნებათა დიდთა მოწამეთა ბიძინა მატაკარანისა, ელისბარ ქსნის ერისთავისა და შალვა, ნათესავისა და ძმობილისა მისისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI. რედაქტორი მზექალა შანიძე. თბილისი, მეცნიერება.

**ორბელიშვილი 1989:** ბ. ორბელიშვილი, შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება მათისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი V. რედაქტორი მზექალა შანიძე. თბილისი, მეცნიერება.

**ფონდი 1449:** საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1449, საბუთი №1830.

**ქენქაძე 2016:** ვ. ქენქაძე, ქსნის ერისთავები (ყდაზე) / ქსნის ერისთავების საქართველო (სატიტულოზე). თბილისი, არტანუჯი.

**ღუნაშვილი 2007:** ვ. ღუნაშვილი. ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (VI ს-ის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით), მეორე გამოცემა. თბილისი.

**შარაძე 1991:** დაბრუნება. გურამ შარაძის საერთო რედაქციით, ტომი I, თბილისი, მეცნიერება.

**ჩხეიძე 1854:** ს. ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ჩუბინოვი, ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთათცხრამეტე საუკუნემდის. მეორე ნაწილი. სანტპეტერბურლი.

**ჯამბურია 1997:** გ. ჯამბურია. არაგვის საერისთავო. საქართველოს ენციკლოპედია, ტ., I. თბილისი.



სურ. 1. ფოტო  
დ. ერმაკოვის ფოტოკოლექციიდან



სურ. 2. იკორთის ხატი. პირის მხარე  
საქართველოს ხელოვნების ეროვნული მუზეუმი





სურ. 3. იკორთის ხატი. ზურგის მხარე

**AN UNKNOWN ICON INSCRIPTION WITH THE MENTION OF ST. SHALVA, ERISTAVI OF KSANI, AND OF HIS FAMILY MEMBERS**

**Lado Mirianashvili**

A historical photo from the collection of Dmitri Ermakov, which shows donator’s inscription executed on an icon’s back, caught my eye. The text contains names of several prominent feudal lords of Georgia, including the name of Shalva Eristavi of Ksani, one of the leaders of the revolt in Kakheti, province of Georgia, which started in 1659 against Iranian occupiers. Shalva Eristavi of Ksani, together with Bidzina Cholokashvili and Elizbar Eristavi, was martyred in Iran on 18 September, 1662. The three martyrs were canonized as saints by the Church of Georgia. Realizing importance of the text, I located the icon in holdings of the Georgian National Art Museum and studied it. Text of the inscription is first time published. The paper gives an overview of historical figures mentioned in the inscription.

The inscription reads as follows:

“I, the most sinful Ketevan, daughter of Zaal, Eristavi of Aragvi, and spouse of Shalva, Eristavi of Ksani, and mother of Davit, Eristavi of Ksani, covered this icon of the Most Holy [Theotokos] with riza and adorned it with gold and precious stones for my hope, when my first-born grandson Shalva died as a result of the treachery of the world. Gold and precious stones and pearls which we owed him, became of no use for anything else. Who will see this, please forgive me. Chronikoni was 1708 (= 1708).”



## საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1921 წელი)

ლელა სარალიძე

XX საუკუნის დასაწყისში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. 1918 წლის მაისში სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს, დამოუკიდებლობის გამოცხადება ოსმალეთის ხელისუფლებისთვის მოულოდნელი, თუმცა სავსებით მისაღები აღმოჩნდა. ოსმალეთის სულთნის კარზე ფიქრობდნენ, რომ ახლად შექმნილი პატარა კავკასიური რესპუბლიკები ოტომანთა იმპერიის გეგმებს რეგიონში ხელს ვერ შეუშლიდნენ. 1918 წლის 3 ივნისს ოსმალეთის მთავრობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა „დე ფაქტო“ და „დე იურე“ აღიარა. ოსმალეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკების დამორჩილება ცალ-ცალკე გაცილებით იოლი იქნებოდა.

ოსმალეთის მმართველთა მზაკვრულმა გეგმებმა, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას თავიდანვე დიდი დარტყმა მიაყენა. 1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში ხელმოწერილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისთვის თავსმოხვეული „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება“ (ნოზაძე 1989: 33). საზღვრები ორ ქვეყანას შორის, 1829 წლის ანდრიანოპოლის ზავის წინა პერიოდის რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრების შესაბამისად იმიჯნებოდა. ე.ი. ოსმალეთის ხელში ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების გარდა, გადადიოდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც (აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით). ეროვნულ სხეულს უნდა მოწყვეტოდა მთელი სამუსლიმანო საქართველო, მტკვრის ზემონელისა და ქოროხის აუზის მთელი ისტორიული მიწა-წყალი. საქართველო კარგავდა 250 ათასს მცხოვრებს და 11.381 კმ<sup>2</sup> ტერიტორიას. ბათუმის ხელშეკრულების რატიფიკაცია ერთი თვის განმავლობაში უნდა მომხდარიყო, თუმცა, საბედნიეროდ, იგი არ განხორციელებულა, კაბალური ხელშეკრულება ძალაში არასოდეს შესულა.

1918 წლის 30 ოქტომბერს, პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ ოსმალეთს, ბრიტანეთს და საფრანგეთს შორის „მუდროსის ზავი“ გაფორმდა, რომლის თანახმადაც ოსმალეთმა ამიერკავკასიაში დაკავებული ყველა ტერიტორია დათმო (მოურისი 1943: 85-86). 1918 წლის დეკემბერში ბათუმის ოლქი ინგლისის ჯარმა დაიკავა, ოკუპაცია 1920 წლის ივლისამდე გაგრძელდა (სარალიძე 2018: 233). ინგლისის ხელისუფლებამ ბათუმის ოლქი გაათავისუფლა და მის კანონიერ მემკვიდრეს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ჩააბარა.

1919 წლის 7 აგვისტოს, ერზურუმის (ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით – ლ.ს.) ყრილობაზე, თურქი ნაციონალისტების ინიციატივით, აღმასრულებელი კომიტეტი აირჩიეს. სულთნის მთავრობის წინააღმდეგ, რეალურად ოსმალეთის მეორე მთავრობა შეიქმნა. 1919 წლის 12 სექტემბერს, ანტანტის მოთხოვნით, შეწყდა კავშირი ანატოლიასა და კონსტანტინოპოლს შორის, ხოლო ინგლისის ხელისუფლებამ სულთნის მთავრობას, საიდუმლო ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი, რომლის ძალით ოსმალეთს ინგლისის მანდატი უნდა მიეღო. 1920 წლის 16 მარტს, ანტანტის ჯარმა კონსტანტინოპოლის ოკუპაცია მოახდინა, რის გამოც მუსტაფა ქემალ ფაშამ პროტესტი განაცხადა და 1920 წლის 19 მარტს, ანგორაში ეროვნული ყრილობა მოიწვია. 1920 წლის 30 აპრილს, ანგორაში ოსმალეთის ახალი სახელმწიფო გამოაცხადეს, ხოლო იმავე წლის 5 მაისს, ქემალ ფაშას მეთაურობით ახალი მთავრობა შეიქმნა (სმითი 1959: 171). 1919-1922 წლებში მუსტაფა ქემალმა განმინდა ანატოლია და მთელი ოსმალეთი დაიმორჩილა. 1922 წელს მან ოფიციალურად გადააყენა ოსმალეთის იმპერიის 36-ე და ბოლო სულთანი მეჰმედ VI, თავად კი ოსმალეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა. 1923 წელს მან კონსტანტინოპოლის დაბრუნებაც მოახერხა. 1921 წლის 8 თებერვალს ანგორის მთავრობამ ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა „დე იურე“-დ და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.

ოსმალეთის ახალი ხელისუფლება, ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობას არწმუნებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი გაძლიერება ანგორის ინტერესებშიც შედიოდა, მეორეს მხრივ, კი მის წინააღმდეგ საბჭოთა მთავრობასთან გარიგებას აწარმოებდა. გარიგება შედგა. რუსეთის საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში ოსმალეთის ხელისუფლებას ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა, რის საფასურადაც ბოლშევიკური მთავრობა მას ქართული მიწა-წყლის ნაწილის დაუთმობოდა. 1921 წლის მარტში ბათუმის ოლქისთვის ბრძოლას ქართველი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ხელმძღვანელობდა. ქალაქის შენარჩუნება საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში, მხოლოდ, ქართული ნაწილების თავდადებული ბრძოლის შედეგად მოხერხდა. მართალია, ბათუმი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, მაგრამ საბჭოთა რუსეთთან გარიგებით, ოსმალეთმა ქართული ტერიტორიების დიდი ნაწილი მიიტაცა, რის გამოც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზული საფრთხე შეექმნა.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით იძულებული გახდა საზღვარგარეთ გახიზნულიყო (სარალიძე 2016: 306).

1921 წლის 16 მარტს, იმ დღეს, როცა ბათუმში ჯერ კიდევ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმყოფებოდა, მოსკოვში, თურქებმა და რუსებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მეორე მუხლით, ოსმალეთი უთმობს საქართველოს თავის სუვერენულ უფლებებს ბათუმზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსი ა. მანველიშვილი წერს:

...ეს სუვენერობა მას (ოსმალეთს – ლ.ს.) უკვე გამოცხადებული ჰქონდა 16 მარტის თუნდაც ერთი დღის წინ, სხვანაირად როგორ დაუთმობდა იმას, რაც მას არ ეკუთვნოდა. მაშასადამე, ამ დროს თურქების მიერ ბათუმის დაკავება იყო მხოლოდ დიპლომატიური მანევრი. თუმცა მისი პრეტენზია მუდამ ჰქონდათ, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ რუსები ბათუმისთვის მოდიოდნენ და მას თურქებს როგორ დაუთმობდნენ! (მანველიშვილი 1984: 301).

1921 წლის 13 ოქტომბერს, ბოლშევიკებმა ე.წ. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, ყარსში, ოსმალეთთან ხელშეკრულება დაადებინეს, რითაც დაადასტურეს 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ შეთანხმება ტერიტორიების განაწილების თაობაზე. ოსმალეთის საკუთრებაში გადავიდა ყარსის, არტაანის და ართვინის ოლქები მთლიანად და ბათუმის ოლქის ნაწილიც. თურქებმა საქართველო ისევ იოლად განირჩეს, როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი, ხოლო ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ, მისთვის არტაანისა და ართვინის ოლქების დათმობის ხარჯზე, ოსმალეთის მხრიდან ნეიტრალიტეტი მოიპოვა.

სამწუხაროა, თურქი ისტორიკოსები აღნიშნულ პერიოდში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობას ძალზედ ტენდენციურად აფასებენ. ჩორუმის (თურქეთი) უნივერსიტეტის პროფესორი მუსტაფა ბაკანი, თავის ერთ-ერთ ნაშრომში „ელვიეი სელასე ეროვნული მოძრაობის წლებში და ბათუმი“ აღნიშნავს, რომ ბათუმი, ყარსის ხელშეკრულების ძალით, ოსმალეთის ნაციონალური ინტერესების საწინააღმდეგოდ, საბჭოთა რუსეთის ხელში აღმოჩნდა (ბაკანი 2008: 746). თურქი ავტორები მიიჩნევენ, რომ „ელვიეი სელასე ყარსის, არტაანის და ბათუმის სანჯაყების შესახებ გამოყენებული ძველი ოსმალური ტერმინია, რითაც ცდილობენ ხაზი გაუსვან აღნიშნული ტერიტორიების თითქოსდა ოსმალურ წარმომავლობას. ერზრუმის (თურქეთი) ათათურქის უნივერსიტეტის პროფესორი ესინ დაი თავისი ნაშრომის, „ელვიე-ი სელასე/სამი სანჯაყი (ყარსი, ბათუმი, არტაანი)“, დასკვნაში დაუფარავად გამოხატავს უკმაყოფილებას 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის საზავო ხელშეკრულებით ბათუმის და საერთოდ აჭარის დედა საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის გამო (დაი 2001: 99). ისტორიული ფაქტების გაყალბების გამო, მათი ნაშრომები იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურება და შორსაა ობიექტური სამეცნიერო კვლევებიდან.

საკვლევი პრობლემის არსს წარმოადგენს წარმოვარჩინოთ 1921 წელს საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის რეალური ისტორია, დოკუმენტურად დასაბუთებული ფაქტებით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის ანგარიში კონსტანტინოპოლში განეული მუშაობის შესახებ. თავისი დიპლომატიური მუშაობის შესახებ ანგარიშში კ. გვარჯალაძე წერს:

მეტად ცუდ პირობებში დაიწყო მუშაობა სტამბოლის წარმომადგენლობამ 1921 წელს. ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ, საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თავისი ტერიტორია და წამოსულიყო ევროპაში. ევროპაში ჩამოსვლისას ჩვენ დავინახეთ, რომ ბოლშევიკებს მიეღოთ ყოველნაირი ზომა, ევროპა დაერწმუნებია იმაში, რომ საქართველოში მოხდა შინაური გადატრიალება, ქართველ ხალხს უნდოდა ბოლშევიკში და ახლანდელი ბოლშევიკური მთავრობა ხალხის სურვილებს და სიმპათიებს ეყრდნობაო. სტამბოლში 22 სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენელია. პირველი ორი თვის განმავლობაში (აპრილი-მაისი 1921 წ.), სანამ ყველა ამ წარმომადგენელს ვეცნობოდი, დავრწმუნდი, რომ ბოლშევიკებს ერთნაირად თავისი მიზნისათვის მიეღნიათ: ხშირად ვხვდებოდი აზრს, რომ საქართველოში ვითომ ბოლშევიკური გადატრიალება მომხდარიყოს. როგორც მოგეხსენებათ, სტამბოლი ევროპისათვის აღმოსავლეთის საკითხებში დიდად თვალყურსადევნებელი პუნქტია. აქედან მიდის უმთავრესად ყოველგვარი ინფორმაცია აღმოსავლეთის შესახებ, ცენტრალურ მთავრობებთან. ამიტომ აუცილებელი იყო მკვიდრი კავშირი სტამბოლის ყველა წარმომადგენელთან და მათი დაჯერება იმაში, რომ საქართველოში არ მომხდარა არავითარი შინაურული ბოლშევიკური გადატრიალება, არამედ საქართველო დაპყრობილ იქნა გარედან, უცხო ჯარებით, რომ დღეს იქ უცხო ჯარების ოკუპაცია არსებობს. კონსტანტინეპოლის მაშინდელი მთავრობა ანგორას შეყურებდა და რადგანაც ამ უკანასკნელს ბოლშევიკებთან ჰქონდა კავშირი, კონსტანტინეპოლის მთავრობა ჩვენთან ოფიციალურ კავშირს გაურბოდა. თან ჩვენი ტერიტორიის დაკარგვის შემდეგ, ძნელი შეიქმნა ჩვენს წარმომადგენლობას ჰქონოდა შესაფერი ადგილი კონსტანტინეპოლის დიპლომატიურ კორპუსში. აქ, ჩვენ ძლიერ გვიშლიდა ხელს ინგლისელები, რომლებიც რუსეთთან საკომერციო ხელშეკრულებაზე ხშირად უთითებენ და ბოლშევიკების მომდურებას ერიდებოდნენ... როგორც ვიცით, ბოლშევიკები საქართველოში, ანგორის დასტურით და შემწეობით შემოვიდნენ. ასანონ-დასანონი იყო ყველა ის პირობები, რომელშიდაც ოსმალეთი აწარმოებდნენ თავის პოლიტიკას რუსეთის და კავკასიის მიმართ. ჩვენი წარმომადგენლობა, როგორც ოსმალეთში მყოფი, პირველი დღეებიდან შეუდგა კონსტანტინეპოლის ოფიციალურ

და კერძო გავლენიან პირებთან კავშირის დაკავებას. მართალია, კონსტანტინეპოლი ანგორას მოწყვეტილი იყო და ანატოლიაში მას არავითარი გავლენა არ ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც საჭირო იყო აქ ნაცნობობის ქონა იმ პირებთან, რომლებიც შემდეგში დიდ როლს ითამაშებდნენ... (ფონდი 2114ა).

1921 წლის 27 აპრილს სტამბოლში კ. გვარჯალაძე ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს – იზეთ ფაშას შეხვდა. აღნიშნული შეხვედრის ოქმი ხელნაწერის სახით კ. გვარჯალაძემ პარიზში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს აკაკი ჩხენკელს გაუგზავნა (ფონდი 2114ბ). დოკუმენტი ნათელს ჰფენს XX საუკუნის დასაწყისში, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის რეალურ ისტორიას. იგი შეიცავს მრავალ ღირებულ ინფორმაციას: 1. 1921 წლის თებერვალ-მარტში, რუსული აგრესიის პერიოდში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შესახებ. 2. აღადგენს რეალურ ისტორიას და პასუხს სცემს კითხვას: დაუთმო თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმის ოლქი თურქებს? 3. რა პირობებში დატოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველო. 4. რა იყო საზღვარგარეთ საქართველოს მთავრობის გამგზავრების რეალური მიზანი. 5. როგორ შეფასებას აძლევს, უკვე ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ოსმალეთის მზაკვრულ პოლიტიკას. 6. რა სამუშაო ჩაატარა კონსტანტინეპოლში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა – კონსტანტინე გვარჯალაძემ, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლების მიერ გავრცელებული მცდარი ინფორმაციის საპირისპიროდ, რომელიც ამტკიცებდა, რომ რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნა, ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებში იყო.

დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის პარიზის და ჰარვარდის ფონდებში და პირველად ქვეყნდება:

### კ. გვარჯალაძის<sup>1</sup> საუბარი იზეთ ფაშასთან.<sup>2</sup> 27 აპრილი, 1921 წელი, სტამბოლი<sup>3</sup>

**იზეთ ფაშა:** თქვენ ბოლშევიკური მთავრობის წარმომადგენელი ხართ?

**კ. გვარჯალაძე:** არა, თქვენო აღმატებულებაჲ. მე გახლავართ ანტიბოლშევიკური მთავრობის წარმომადგენელი. მე წარმოვადგენ აქ იმ მთავრობას, რომელსაც უჭერდა მხარს 95% ჩვენი ხალხისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უცხო ძალების შემოსევამ ჩვენ ქვეყანაში, აიძულა ჩვენი მთავრობა დროებით საქართველო მიეტოვებინა.

**იზეთ ფაშა:** რომელი უცხო ძალის შემოსევამ?

**კ. გვარჯალაძე:** რუსების შემოსევამ, თქვენო აღმატებულებაჲ.

**იზეთ ფაშა:** მე ამ დღეებში წავიკითხე ერთი თქვენი მთავრობის დოკუმენტი, სადაც ანგორის მთავრობისადმი დიდი უკმაყოფილებაა გამოთქმული, მას მოლაღატესაც ეძახიან. რაში იყო საქმე?

**კ. გვარჯალაძე:** ეს ალბათ, თქვენო აღმატებულებაჲ, ბათუმის უკანასკნელ ამბებს ეხება. მას შემდეგ, რაც რომ ანგორის ჯარებმა არდაგანი<sup>5</sup> და ართვინი<sup>6</sup> დაიკავეს, ანგორის მთავრობის სახელით ჩვენ გაგვიცხადეს, რომ მათ ჩვენთან მეტი სადავო კითხვა არ ჰქონდათ და აღგვითქვეს დახმარება ბოლშევიკების წინააღმდეგ ბათუმის და მისი ოლქის დაცვაში. ამ მიზნით, ჩვენ უნდა შემოგვეშვა თურქების ჯარები ბათუმის ოლქში<sup>7</sup> – ადმინისტრაცია კი ყველგან ჩვენი უნდა დარჩენილიყო, თან ბათომი და მისი ოლქი უნდა ყოფილიყო ჩვენი სამხედრო ბაზა, მაგრამ როგორც კი ქემალისტები<sup>8</sup> შემოვიდნენ ბათუმში, მათ ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ ბათუმი და მისი ოლქი ანგორაში გადაწყვეტილებით უერთდება სათათრეთს<sup>9</sup> თქვენი ადმინისტრაცია უნდა ექვემდებარებოდეს სამხედრო ძალას, თქვენმა ჯარმა უნდა აიყაროს იარაღი და თქვენი მთავრობა და დამფუძნებელი კრება, როგორც ასეთი, ვერ დარჩებიან აქო. ამავე დროს, მოხდა ერთი რამ, რასაც მე მგონია დიპლომატიაში ძვირად აქვს ადგილი. ანგორის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა კიაზიმ ბეიმ<sup>10</sup> ერთ ჩუმად, მის მიერ დაბეჭდილ პროკლამაციაში გამოაცხადა თავისი თავი ბათუმის გენერალ-გუბერნატორად.

**იზეთ ფაშა:** მაგრამ კიაზიმ ბეი, მერმედ ხომ გაიწვიეს საქართველოდან.

**კ. გვარჯალაძე:** შეიძლება. ალბათ განვეული იქნა მას შემდეგ, რაც რომ ჩვენ იძულებული ვიყავით ბათუმი მიგვეტოვებია. ისე კი ჩვენ მისი განწვივის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით.<sup>11</sup>

**იზეთ ფაშა:** დიახ! ის გაიწვიეს. შეიძლება ის იყო კარგი მეომარი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის კარგი დიპლომატი არ არის. არდაგანის და ართვინის თქვენ მიერ სათათრეთისათვის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება არსებობს?

**კ. გვარჯალაძე:** არდაგანი და ართვინი, ჩვენ სათათრეთისათვის არ გადაგვიცია. ეს შეუძლებელიც იყო, რადგანაც ისტორიულად, ეკონომიკურად და სტრატეგიულად ამ ადგილებს საქართველო თავისად სთვლის. ჩვენ იძულებული ვიყავით, მხოლოდ ფიზიკურ ძალას დავმორჩილებოდით და ეს ადგილები დროებით დაგვეცალა, სანამ სათათრეთთან მოვრიგდებოდით და მეგობრობის ხელშეკრულებას დავდებდით.

**იზეთ ფაშა:** სათათრეთი ძლიერ კარგად არის განწყობილი საქართველოსთან. ამ ბოლო დროს მე მქონდა საუბარი ანგორაში მინისტრებთან და ისინი ყველა კარგად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ.

**კ. გვარჯალაძე:** მე მგონია, თქვენო აღმატებულებაჲ, რომ სათათრეთს და საქართველოს არა აქვს და არ უნდა ჰქონდეს სამტრო ერთმანეთის წინააღმდეგ. ვფიქრობ, რომ ჩვენ საერთო სამუშაო ბევრი რამ გვაქვს, ეგებ საერთო მტერიც გვყავს.

**იზეთ ფაშა:** საინტერესოა ვიცოდეთ ერთი რამ. რა დამოკიდებულებას დაიჭერს საქართველო, რომ რუსეთში კერენსკის<sup>12</sup> მთავრობა გაბატონდეს.

**კ. გვარჯალაძე:** რაც შეეხება ჩვენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, თქვენო აღმატებულებაჲ, ქართველი ხალხი, რომელსაც



ჰქონია წინათ ათასი წლები, თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება, ეს დამოუკიდებელი ცხოვრება მან ხელახლა აღადგინა, ამ 120 წლის შემდეგ და ამით ცხოვრობდა ეს 3 წელი. ამ თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას, იქნება რუსეთში ლენინი, კერენსკი თუ სხვა ვინმე, სულ ერთია ვინც არ უნდა იყოს ის, საქართველო არასდროს არავის არ დაუთმობს. ისე კი, როგორც ყველა სხვა მეზობლებთან, ისე რუსეთთანაც გვირგვინდა, რომ კარგი მეზობლური განწყობილება გვექონდეს.

**იხეთ ფაშა:** თქვენ მეზობლებთან: აზერბაიჯანთან და დაღესტანთან კარგად ხართ?

**კ. გვარჯალაძე:** ძლიერ კარგად. ეს ჩვენთვის ხომ აუცილებლად საჭიროა. ჩვენ პატარა ერი ვართ. ჩვენ არავის სხვას არ ვაწუხებთ, მაგრამ არც ის გვირგვინდა, რომ სხვებმა შეგვაწუხოს. ჩვენ ვცდილობთ, ყველა ჩვენ მეზობლებთან: აზერბაიჯანთან, დაღესტანთან და სომხეთთან მჭიდრო კავშირი ვიქონიოთ, რომ უფრო ადვილად შევძლოთ კავკასიის ერთა თავისუფლების უზრუნველყოფა. ასეთ ჩვენ კავშირს, ალბათ, რუსეთიც უფრო გაუწევს ანგარიშს. რასაკვირველია, ჩვენთვის აუცილებელი იქნება სათათრეთთან მეგობრული კავშირის ქონა, ისე როგორც, მე მგონია, თქვენი ინტერესებიც მოითხოვს, რომ რუსეთს და თქვენს შორის კავკასიის ერთა თავისუფალი კავშირი არსებობდეს და ასეთ კავშირს თქვენ მხარს დაუჭერთ.

**იხეთ ფაშა:** სრული სიმართლეა. სწორედ ეს იქნება ჩვენი ინტერესი. ჩვენ, რასაკვირველია, გვირგვინია, რომ თქვენ იყოთ ჩვენ მეზობლად და არა სხვა ვინმე. მხოლოდ ახლა, როცა ჩვენ ომი გვაქვს ბერძნებთან, როცა სხვა სახელმწიფოებს კიდევ ვერ მოვრიგებთ, ოფიციალურად ამაზე ლაპარაკი ჩვენთვის უხერხული იქნება, როცა კი დადგება შესაფერისი მომენტი, ამ საკითხის მოგვარება საჭირო იქნება. თქვენ მეზობელთა შორის დაღესტანს როგორ უყურებთ? შეძლებენ ისინი დამოუკიდებელ ცხოვრებას? ყავთ მათ ამისთვის საჭირო ხალხი?

**კ. გვარჯალაძე:** ყოველ შემთხვევაში, მთას სურს დამოუკიდებელი ცხოვრება. მათ ყავდათ მთავრობა, რომელიც კარგად უძღვებოდა თავის საქმეებს, რომ ისინი ჯერ დენიკინელებს და მერმედ ბოლშევიკებს არ აენგრიათ. მე პირადად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თუ რუსეთი შეიკვეცავს თავის იმპერიალისტურ ძალებს და მთას მიეცემა საშუალება იმუშაოს, ის ძლიერ კარგად მოაწყობს ჩვენთან ერთად თავის საქმეს.

## შენიშვნები

- კონსტანტინე (კონია) გვარჯალაძე (1884-1969 წწ.) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, შემდგომში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ყველაზე პრო-ევროპულ წევრად ითვლებოდა. 1918-1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი იყო. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი (მოადგილე). 1921 წლიდან ემიგრაციაშია. 1921-1924 წლებში, კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო. 1920-1930-იან წლებში აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტური ინტერნაციონალის მუშაობაში. როგორც ქართული სექციის წარმომადგენელი მონაწილეობდა ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების, ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგისა და მშვიდობის საერთაშორისო ბიუროს საერთაშორისო კონგრესებისა და კონფერენციების მუშაობაში. 1935-1940 წლებში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს, „ბრძოლის ხმის“ მთავარი რედაქტორი იყო. ემიგრაციაში აქტიურ დიპლომატიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. გარდაიცვალა 1969 წლის 3 იანვარს, სოფელ აბონდანის (საფრანგეთი) მოხუცთა თავშესაფარში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, მეუღლის – ბაბუღია კანდელაკის გვერდით.
- იხეთ ფაშა – აჰმედ იხეთ ფაშა (1864-1937 წწ.), Ahmed İzzet Paşa, Ahmet İzzet Furgaç – აჰმედ იხეთ-ფაშა წინააღმდეგი იყო პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის ჩართვისა, სწორედ ამიტომ 1914-1915 წლებში რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო თანამდებობა არ დაუკავებია. 1916 წელს დაინიშნა კავკასიის ფრონტზე მეორე არმიის ხელმძღვანელად, სადაც რუსეთის არმიის თავდასხმების შედეგად, მძიმე დანაკარგი განიცადა. 1918 წელს თალაათ-ფაშას მთავრობის გადადგომის შემდეგ, იხეთ-ფაშა დიდ ვეზირად დანიშნეს. 1918 წლის 14 ოქტომბერი – 1918 წლის 8 ნოემბერი – ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი იყო; 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ზავის დადებაში მონაწილეობდა. 1919 წლის 19 მაისს, ოსმალეთის სულთანმა იხეთ-ფაშა სამხედრო მინისტრად დანიშნა. მან ყველაფერი გააკეთა, რათა შეექმნა ახალი ეფექტური არმია. 1921 წლის 13 ივნისი – 1922 წლის 4 ნოემბერი – საგარეო საქმეთა მინისტრი მუსტაფა ქემალის მთავრობაში; როდესაც მუსტაფა ქემალ ათათურქის რეფორმების დროს შემოიღეს გვარები (1934 წ.) მან აიღო თავისთვის გვარი – ფურგაჩი. თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, იგი კავკასიის ფრონტის წარუმატებელი სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობაში დაადანაშაულეს. გარდაიცვალა 1937 წლის 31 მარტს სტამბულში.
- სტამბოლი – აქ იგულისხმება კონსტანტინოპოლი. საუკუნეების განმავლობაში, ის ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი იყო. გამოირჩევა თავისი სტრატეგიული მდებარეობით, ოქროს რქისა და მარმარილოს ზღვის უბეში, სადაც ევროპა აზიას უერთდება. ოფიციალურად სტამბოლი 1930 წლის 28 მარტს დაერქვა.
- ანგორის მთავრობა – ანგორა (ენგიურუ) ოსმალეთის ქალაქი ანატოლიის ცენტრში. დღევანდელი ქალაქი ანკარა, რომელიც 1923 წლის 13 ოქტომბრიდან თურქეთის დედაქალაქი გახდა. 1920 წლის 23 აპრილს, ანგორაში მოიწვიეს „ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა“, რომელმაც დაადასტურა კონსტანტინოპოლის პარლამენტის მიერ გამოცხადებული თურქული „ეროვნული პაქტი“. ყრილობამ გააუქმა ოსმალეთის სულთანის მიერ გამოცემული აქტები და მას მხოლოდ ხალიფად ცნობდა. 1920 წლის 30 აპრილს, ანგორაში გამოცხადდა ოსმალეთის ახალი სახელმწიფო და 1920 წლის 5 მაისს შედგა ახალი მთავრობა მუსტაფა ქემალ ფაშას (1881-1938 წწ., თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი, თანამედროვე თურქული სახელმწიფოს დამაარსებელი) თავმჯდომარეობით, რომელიც ანგორის მთავრობის სახელითაა ცნობილი.
- არდაგანი (თურქ. Ardahan) – არტაანი, ქალაქი და რაიონი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს არტაანის პლატოზე, მდინარე მტკვრის სათავესთან, მის ორივე ნაპირზე. 1918-1921 წლებში არტაანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. ერთა ლიგამ ქალაქი საქართველოს ტერიტორიად აღიარა. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ

საქართველომ არტაანის ოლქზე კონტროლი დაკარგა. 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების მიხედვით, არტაანი ართვინის, ოლთისის და რიზს ოლქებთან ერთად, თურქეთის შემადგენლობაში მოექცა.

- 6 ართვინი – ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ართვინის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. საქართველოს ისტორიული მხარე ნიგალის ხეობაში, მდებარეობს მდინარე ჭოროხის ნაპირზე, ბათუმიდან 50 კილომეტრში. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში იყო. 1921 წლიდან თურქეთის საზღვრებშია.
- 7 ბათუმის ოლქი (რუს. Батумская область) – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1878 წელს, საქართველოს იმ ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთმა ბერლინის 1878 წლის ტრაქტატით შეიერთა. ბათუმის ოლქი ადმინისტრაციულად დაიყო ბათუმის, ართვინისა და აჭარის ოკრუგებად. სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებში კავკასიის არმიის მთავარსარდალს ექვემდებარებოდა. ადგილობრივ მმართველობას სათავეში ბათუმის სამხედრო გუბერნატორი ედგა. 1883-1903 წლებში ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. 1903 წელს გამოეყო ქუთაისის გუბერნიას ცალკე ერთეულად, ოლქის ცენტრად გამოცხადდა ქ. ბათუმი. 1906 წლისთვის იყოფოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად. 1918 წლის მარტიდან, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით რუსეთის იმპერიამ დაუთმო ოსმალეთს, ამიერკავკასიის სეიმის თანხმობის გარეშე. მიუხედავად ამიერკავკასიის წინააღმდეგობისა, ნოემბრის ჩათვლით დაკავებული ჰქონდა ოსმალეთის იმპერიას. 1918 წლის ნოემბრიდან 1920 წლის ივნისამდე, მუდროსის დროებითი ზავის მიხედვით ის ოკუპირებული ჰქონდა დიდ ბრიტანეთს. ამ პერიოდში ბათუმის ოლქს ბრიტანელების მიერ ჩამოყალიბებული „ბათუმის ოლქის მმართველთა საბჭო“ ედგა სათავეში, რომელსაც რუსი ოფიცერი პ. მასლოვი ხელმძღვანელობდა. 1920 წლის ივლისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაიბრუნა. ოლქის გენერალ-გუბერნატორად ბენიამინ ჩხიკვიშვილი დაინიშნა. ბათუმის ოლქი გაუქმდა 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ ოკუპაციის შემდეგ. მისი მცირე ნაწილი დარჩა საქართველოს სსრ შემადგენლობაში, ხოლო დიდი ნაწილი ოსმალეთს გადაეცა.
- 8 ქემალისტები – იგულისხმება მუსტაფა ქემალის თანამოაზრეები. ქემალისტური მოძრაობის ავანგარდში კავკასიელები სჭარბობდნენ. ქემალისტური მოძრაობის სამხედრო-პოლიტიკურ ელიტის კავკასიელი წარმომადგენლები იყვნენ: ჩერქეზულ-ადიღური წარმოშობის ალი ფუატ ჯებესოი, ჰასან იზეთ ფაშა, ჰუსეინ რაფ ბეი, ფევი ჩაქმაქი, ქიაზიმ ბეი დირიქი, ეთჰემ ჩერქეზი, ნაზიმ ბეი, ოსური წარმოშობის ბექირ სამი კუნდუხი, აგრეთვე, ქურთი იზმეთ იუნონუ და სხვა.
- 9 სათათრეთი – იგულისხმება ოსმალეთი.
- 10 კიაზიმ ბეი – იგულისხმება მუსა ქიაზიმ ყარაბექირი (Musa Kâzım Karabekir) (1882-1948), თურქი სამხედრო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორი და ქემალისტთა არმიის გენერალ-ლეიტენანტი. ის იყო პირველი ფერიკი (Birinci Ferik), იგივე რაც ფელდ მარშალი. 1917 წლის ბოლოდან ამიერკავკასიაში, ოსმალთა მე-3 დივიზიის მეთაური. პირველი მსოფლიო ომის ბოლოს, ოსმალთა აღმოსავლეთის არმიის სარდალი. 1919 წლის გაზაფხულიდან, გენერალ მუსტაფა ქემალთან ერთად სათავეში ჩაუდგა ანატოლიაში ანტისაოკუპაციო მოძრაობას. ოსმალეთის ნაციონალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, გენერალ მუსტაფა ქემალ ფაშას უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. 1919 წლიდან არზრუმის ვილაიეთში დისლოცირებული ოსმალთა მე-15 საარმიო კორპუსის სარდალი და რეგიონის ფაქტობრივი მმართველი, ქემალისტთა შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი. ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა და ფაქტობრივი კოორდინატორი. 1920 წელს, სომხეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობისას, მისი სარდლობით, მე-15 საარმიო კორპუსის ქვედანაყოფებმა სომხეთის დასავლეთი ნაწილის (სარიყამიში, ყარსი, ალექსანდროპოლისი) ოკუპაცია განახორციელეს. ასევე, 1921 წლის თებერვალში მისი არმიის ქვედანაყოფებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილის – არტაანის, ხოლო მარტში ბათუმის ოლქის დაკავება მოახდინეს. 1921 წლის ოქტომბერში, იგი წარმოადგენდა ოსმალეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დადებული ყარსის ხელშეკრულების სულისჩამდგმელს და ქემალისტთა მხრიდან ცენტრალურ, სრული რწმუნებით აღჭურვილ პირს. თურქთა მხრიდან მან მოაწერა ხელი ყარსის ხელშეკრულებას. იგი აქტიურად მონაწილეობდა ოსმალეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1922 წლიდან დიდი ეროვნული კრების (პარლამენტის) წევრი და ქემალისტთა პირველი არმიის გენერალური ინსპექტორია. დაჯილდოვებულია თურქეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – „დამოუკუდებლობის ორდენით“. 1924 წლიდან ოპოზიციაში ჩაუდგა მუსტაფა ქემალ ფაშას, თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა „პროგრესული რესპუბლიკური პარტია“ და მისი პირველი თავმჯდომარე გახდა. 1925 წელს, მუსტაფა ქემალის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, დააპატიმრეს. 1938 წელს, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ, რეაბილიტირებულ იქნა. 1946 წელს, თურქეთის პარლამენტის სპიკერად აირჩიეს. 1948 წლის 26 იანვარს, 66 წლის ასაკში, მუსა ქიაზიმ ყარაბექირი გულის შეტევით გარდაიცვალა.
- 11 1921 წლის 17 მარტს, ბათუმში მყოფ თურქულ ნაწილებზე დაყრდნობით, ქიაზიმ-ბეიმ თავი ბათუმის ოლქის გუბერნატორად გამოაცხადა, თურქულმა ნაწილებმა დაიკავეს ყაზარმები, ფოსტა-ტელეგრაფიის, მილიციის და სხვა შენობები. 17-18 მარტს, ქუთაისის მოლაპარაკების შედეგად, რუსეთ-საქართველოს ომი დასრულდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, მთავრობა ემიგრაციაში წავიდა და ქვეყნის ოკუპაცია იურიდიულად არ ცნო. ქუთაისის მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ომის შეწყვეტასთან ერთად, ბათუმიდან თურქული ნაწილების განდევნა იყო. 18-19 მარტს ქალაქში მყოფმა ქართულმა ნაწილებმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით თურქ ასკერებს ბრძოლა გაუმართეს და მათი დამარცხება მოახერხეს. 20 მარტს კი თურქებმა ბათუმი დატოვეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები და სამხედროები, იმ დროს ბათუმიდან კონსტანტინოპოლის გავლით, ემიგრაციაში მიემგზავრებოდა და საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, მათ ინფორმაცია არ ჰქონდათ.
- 12 კერენსკი – ალექსანდრე ფიოდორის ძე კერენსკი (1881-1970 წ.წ.), რუსი პოლიტიკური მოღვაწე, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, დროებითი მთავრობის მეთაური. 1917 წლის 2 (15) მარტს რუსეთის მეფის ნიკოლოზ მეორის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, თებერვლის რევოლუციის დღეებში შექმნილმა რუსეთის სახელმწიფო

სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა, პეტროგრადის საბჭოს დროებით აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, თავად ლვოვის მეთაურობით, დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბა. ეს იყო რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო. (2 (15) მარტი – 25 ოქტომბერი (7 ნოემბერი) 1917 წელი). 1917 წლის 2 მარტიდან 25 ოქტომბრამდე, დროებითი მთავრობის შემადგენლობა 4-ჯერ შეიცვალა. დროებითი მთავრობის პირველ შემადგენლობაში (2 მარტი-2-3 მაისი) კერენსკის იუსტიციის მინისტრის პოსტი ეკავა. პირველ კოალიციურ მთავრობაში იგი სამხედრო და საზღვაო მინისტრი, მეორე კოალიციურ მთავრობაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო და საზღვაო მინისტრი, ხოლო მესამე კოალიციურ მთავრობაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი მთავარსარდალი იყო. 1917 წლის ოქტომბერში, ბოლშევიკების პარტიამ ლენინის მეთაურობით, ხელისუფლება ძალადობრივი გზით ხელში ჩაიგდო. 26 ოქტომბრის (8) ნოემბერის ღამეს, შეიარაღებული აჯანყების დროს, 2 საათსა და 10 წუთზე ზამთრის სასახლეში დროებითი მთავრობის წევრები დააპატიმრეს. დედაქალაქის დატოვება მხოლოდ კერენსკიმ შეძლო. 25 ოქტომბერს ჩატარდა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ყრილობა, რომელმაც ხელში აიღო ხელისუფლების სადავეები და ვ.ი. ლენინის ხელმძღვანელობით, პირველი საბჭოთა მთავრობა შექმნა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, კერენსკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში. რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევისა და ანტიბოლშევიკური მოძრაობისთვის დახმარების თაობაზე, ანტანტის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. 1919 წლიდან ემიგრაციაში წავიდა. ა. კერენსკი 1970 წლის 11 ივნისს, ნიუ-იორკში კიბოს დიაგნოზით გარდაიცვალა.

## დამონშებანი

- ბაკანი 2008:** M. Bakan. Milli Mücadele yıllarında Elviye-i Selâse ve Batum. Turkish Studies International Periodical For the Languages, Literature and History of Turkish or Turkic, Volume 3/7, Turkey, Yayıncı: Erzincan Üniversitesi Fen-Edebiyat Fakültesi Türk Dili Ve Edebiyatı Bölümü.
- დაი 2001:** E. Dayı. Elviye-i Selâse/uc sancak (Kars, Ardahan ve Batum). სიმპოზიუმის შრომები, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, ყარსის კავკასიის უნივერსიტეტი, ახალციხე-ყარსი, ყარსის კავკასიის უნივერსიტეტი.
- მანველიშვილი 1984:** ა. მანველიშვილი. რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა. სან ფრანცისკო.
- მოურისი 1943:** F. B. Maurice. The Armistices of 1918. New York, Oxford University Press.
- ნოზაძე 1989:** ვ. ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი.
- სარალიძე 2016:** ლ. სარალიძე. პოლიტიკური ემიგრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. წიგნი: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი II. თბილისი, მერიდიანი.
- სარალიძე 2018:** ლ. სარალიძე. ინგლისის ხელისუფლების პოლიტიკა ბათუმში 1919-1920 წლებში (ახალი საარქივო დოკუმენტების მიხედვით). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – ბათუმი წარსული და თანამედროვეობა მასალები, ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- სმიტი 1959:** E. Smith. Turkey: Origins of the Kemalist Movement and the Government of the Grand National Assembly 1919-1923. USA, American University.
- ფონდი 2114ა:** საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე № 27: 8.
- ფონდი 2114ბ:** საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე № 71:3-4.

## FROM THE HISTORY OF GEORGIA-OTTOMAN RELATIONS (1921)

Lela Saralidze

On the basis of the archival materials Georgia-Ottoman relations at the beginning of the 20th century, as well as the reasons of the territorial losses of Georgia, because of the deal between the Kemalist Ottoman and Bolshevik Russia, is studied in this article.

The defeat of Germany and its allies in the First World War, put an end to the Ottoman regime in the Batumi District. According to the Article 11 of the Armistice of Mudros, the Ottomans were to be withdrawn his army, from the South Caucasus region and, obviously, from the Batumi District. In his turn, the Government of the Democratic Republic of Georgia was actively fought for return Batumi on his lawful jurisdiction. By the initiative of the government of the Democratic Republic of Georgia, the diplomatic negotiations to regard of Batumi was active, because the citizens of Georgia needed special permission for to move on their territory. On April 30, 1920, the Ottoman new state was announced in Angora, and on May 5 of the same year the government was led by Kemal Pasha. On July 7, 1920, the



Government of England freed Batumi and handed it over to the Georgian government, which caused dissatisfaction from the side of the Ottoman authorities. On August 10, 1920, the famous Treaty of Sèvres made Ottoman State independence fictitious. The Ottoman Sultan retained the throne, but the power was essentially on the hands of the government of the Great National Assembly, established in Angora (Ankara). On 8 February 1921, the Government of Angora recognized the independence of the Democratic Republic of Georgia „de Jure“ and established diplomatic relations with him.

The common goal of Soviet Russia and Kemalists Ottomans was to fight against the Entente. On the one hand, the new Ottoman authority assured the Georgian government, that Georgia's independence and state strengthening was in the interests of the Angora;, on the other hand it was dealing with the Soviet Government. The deal was held: in case of attack on Russia, the neutrality should be protected by the Ottoman authorities and the Bolshevic government would give it a share of Georgian land. Although Batumi remained part of Soviet Georgia, but with dealings with Soviet Russia, the Ottoman seized a large part of the Georgian territories, which was a significant threat for the territorial integrity of the Georgian State.

Because of the falsification of historical facts, some Turkish scholars' works serve ideological and propaganda purposes and are far from the objective scientific research. For example, Professor of the University of Çorum (Turkey) – Mustafa Bakan, in one of his works: „Elviye-i Selâse in the years of the National Movement and Batumi“ notes, that by the Treaty of Kars, Batumi was in the hands of Soviet Russia, which was against of the national interests of Ottomans. Turkish authors believe that „Elvie Selesi“ is an old Turkish term used for the Kars, Ardana and Batumi administrative-territorial unit, thus trying for to emphasize the alleged ottoman origin of these territories. Professor Esin Dayı on his work – “Elviye-i Selâse/three Sanjak (Kars, Ardahan and Batum)”, expresses dissatisfaction, because according to Moscow's Treaty on March 16, 1921, Batumi and Adjara remained part of Georgia.

The purpose of the article is to show the real history through documented facts. In this regard is important Konstantin Gvarjaladze's report about his work carried out in Constantinople. He was a representative of the emigration government of the Democratic Republic of Georgia in the Ottoman Empire. The document is kept in the National Archives of Georgia, namely in Paris and Harvard Funds and it is first time to be published. The document contains many valuable evidences: 1. Information about the policy implemented by the government of the Democratic Republic of Georgia, In February-March 1921, during the Russian aggression; 2. Restores real history and answers the question: did the government of the Democratic Republic of Georgia transferred the Batumi District to the Ottomans?; 3. Under what conditions the government of the Democratic Republic of Georgia left Georgia; 4. What was the real purpose of the departure of the government of Georgia in abroad; 5. How does it evaluate the emigration Government of the Democratic Republic of Georgia, to the Ottomans' insidious policy?; 6. What was the works done by Constantin Gvarjaladze, representative of the Georgian government in Constantinople, for to neutralize the false information spread by Bolshevic Russian authorities who argued, that the presence of Russian troops in Georgia was in the interests of the local residents.

**შემოქრილი მონეტა ღვთისმშობლის გამოსახულებითა და  
ასომთავრული ლეგენდით და მისი ატრიბუცია  
(დავით IV აღმაშენებლის ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის  
კლასიფიკაციისათვის)**

**ირაკლი ფაღავა**

ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტები<sup>1</sup> წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან ეროვნულ სამონეტო ემისიას. სხვა ნაშრომში უკვე აღვნიშნეთ ამ ჯგუფის მონეტების დანვრილებით შესწავლის აქტუალობა და აუცილებლობა (ფაღავა, სპანდერაშვილი 2013: 21; ფაღავა, სპანდერაშვილი 2015ბ: 286-288).

ამასთანავე, ზოგიერთი სამონეტო ტიპის ატრიბუციაც კი დღემდე დისკუსიის საგანს წარმოადგენს. კერძოდ, ვგულისხმობთ სამონეტო ტიპს, წარმოდგენილს ჯერჯერობით უნიკალური ეგზემპლარით, რომელიც თავის დროზე თავად მიხეილ ბარათაევის (ბარათაშვილის)<sup>2</sup> კოლექციაში შედიოდა, შემდეგ კი ის, აღნიშნული კოლექციის შემადგენლობაში, ბერლინის საიმპერატორო მუზეუმმა შეიძინა; მონეტა ახლაც ბერლინში ინახება, ბოდეს მუზეუმის მიუნცკაბინეტში (Münzkabinett der Staatlichen Museen zu Berlin, Objektnummer 18232003, The Berlin Münzkabinett Online Catalogue [www.smb.museum/ikmk](http://www.smb.museum/ikmk)). სამონეტო ტიპის ატრიბუცია არ არის ცალსახა, ვინაიდან ერთადერთი შემორჩენილი ცალი შემოქრილია, და შემოქრას ემსხვერპლა მონეტის კიდეები, სადაც, დიდი ალბათობით (ბიზანტიური ყაიდის სხვა მონეტებთან ანალოგიით) განლაგებული იყო წრიული ლეგენდა, ემიტენტი მონარქის სახელის მითითებით.

აღნიშნულ მონეტას თუ სამონეტო ტიპს 2012 წელს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ირაკლი ფაღავამ, რომელმაც ის დავით აღმაშენებლის სამონეტო მემკვიდრეობას მიაკუთვნა (ფაღავა 2012ბ); მსჯელობა პრაქტიკულად უცვლელად დუბლირებულია ავტორის სადისერტაციო ნაშრომშიც (ფაღავა 2015: 131-149). იგივე მონეტას შეეხო ალექსანდრე აკოპიანიც (აკოპიანი 2011: 19-22), თუმცა კი, მისი დასკვნები არ არის დამაჯერებელი.<sup>3</sup> და აი, უკვე 2019 წელს, ქართველოლოგიურ ისტორიოგრაფიას შეემატა კიდეც ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომლის ავტორიც ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე ქართველი ნუმიზმატიკა; ვგულისხმობთ სტატიას *იშვიათი ქახთუღი სამეფო ტიგულისა და უნიკალური მონეტის ემიტენტის უხითიეხთმიმახთების საკითხისათვის* (პატარიძე 2019ბ). აღნიშნულ ნაშრომში პატივცემული ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ მონეტის ემიტენტი არის არა დავით IV აღმაშენებელი, არამედ ბაგრატ III. მოყვანილი არგუმენტაცია ძალიან საინტერესოა, და, ჩვენი აზრით, თავისთავად არ არის მოკლებული ისტორიოგრაფიულ ღირებულებას. მიუხედავად ამისა, სარწმუნოდ არ გვეჩვენება. კვლავინდებურად მივიჩნევთ, რომ მონეტის ემიტენტი უდიდესი ალბათობით დავით აღმაშენებელია, ხოლო ბაგრატ III კი ემიტენტი ვერ იქნებოდა.

ჩვენი მოკლე შრომის მიზანი სწორედ ამაში მდგომარეობს – მოვიყვანოთ ჩვენი არგუმენტები ღვთისმშობლის გამოსახულებისა და ასომთავრული ლეგენდის მატარებელი შემოქრილი მონეტის ატრიბუციასთან დაკავშირებით.

\*

პირველ რიგში, მოგვყავს თავად საკვლევი მასალის – აღნიშნული მონეტის აღწერილობა:

ვერცხლი, 0.51 გ (მონეტა შემოქრილია და გახვრეტილია), კვეთა 15-16 მმ, სიქების თანაფარდობა 1 სთ-ზე (სურ. 1.).

შუბლი: ღვთისმშობლის გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით; შარავანდის მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდის ფრაგმენტები.

ზურგი: წერტილოვანი (?) რკალის შიგნით ასომთავრული გრაფემები:

ՇՇJ<sup>4</sup>

ԻԳՇԸ

ԲԻԲ

მეთოდოლოგიის თვალსაზრისით აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, საბოლოო დასკვნის სარწმუნოობა განისაზღვრება გაანალიზებული მონაცემების ფარდობითი არა-წინააღმდეგობრიობით. ესა თუ ის ფაქტები შეიძლება არც იყოს ერთმანეთთან სრულ თანხმობაში, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, სკრუპულოზურად არის ასაწონ-დასაწონი კონკრეტული საკითხის კვლევაში თითოეული მათგანის სარწმუნოობა და მნიშვნელობა;

ურთიერთინააღმდეგობრიობის შემთხვევაში, უპირატესობა, ბუნებრივია, უფრო, ასე ვთქვათ, წონიანს უნდა მიენიჭოს.

\*

ამ წიაღვლის შემდეგ, გადავდივართ უშუალოდ ანალიზზე.

აღნიშნული სამონეტო ტიპის კვლევის ისტორია დაწვრილებით გვაქვს განხილული ადრეულ ნაშრომში (ფაღავა 2012ბ: 94-96); ამიტომ, მას აქ აღარ მივუბრუნდებით. გავჩერდებით მხოლოდ 2019 წლის ხსენებულ ნაშრომში კოლეგის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ჩვენც და კოლეგაც, ვეთანხმებით ერთმანეთს ცენტრალური ასომთავრული ლეგენდის ნაკითხვაში: გრაფემას J ვკითხულობთ როგორც დეფექტურ რაეს (J) გრაფემებს ZC ვკითხულობთ როგორც კავშირს და, და არა როგორც დავითის სახელის (უჩვეულო) დაქარაგმებას; ხოლო ბოლო სტრიქონის სამ გრაფემას P.H.C განვიხილავთ ეთნოპოლიტონიმად ტ(აო)ნთ(ა). შესაბამისად, ლეგენდას ორივენი ვხსნით როგორც

და რ(ა)-  
ნთ(ა) და  
ტ(აო)ნთ(ა)

ამ თანხმობის მიუხედავად, ავტორთა შორის უთანხმოებაა სამონეტო ტიპის ატრიბუციასთან დაკავშირებით. ჩვენ სამონეტო ტიპი დავით IV აღმაშენებლის ემისიად მიგვაჩნია, პატივცემული კოლეგის აზრით კი, ბაგრატ III-ისაა. მაგრამ რატომ ჩათვალა ავტორმა, რომ ეს სამონეტო ტიპი ვერ იქნებოდა დავით IV აღმაშენებლის ხელისუფლების მიერ გამოშვებული, და რატომ მიაკუთვნა ის ბაგრატ III-ს?

პატივცემული კოლეგის აზრით, ამ სამონეტო ტიპს დავით აღმაშენებელს ვერ მივაკუთვნებთ, ვინაიდან, მისი აზრით:

1. ტაოს მხარე დავით IV-სთვის დიდად მნიშვნელოვანი არასდროს ყოფილა (იგულისხმება, ბაგრატ III-ისგან განსხვავებით) „ტაოს მხარე დავითის მეფობისას, განსხვავებით ბასიანისაგან, საცილობელ ტერიტორიად არასოდეს გამხდარა. არანაირი საჭიროება იმისა, რომ უმაღლეს იურიდიულ დოკუმენტზე მეფეს ამ პროვინციის სახელი შეეტანა, არ არსებობდა“ (პატარიძე 2019ბ: 216);

2. მონეტის „ფაქტურა საკმაოდ განსხვავებულია. ის გაცილებით სქელია, მაღალი გურტი აქვს, რასაც ვერ ვიტყვით დავითის მონეტებზე და ვერც ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის საფასეებზე“ (პატარიძე 2019ბ: 216-217);

3. „საგულისხმოა წონაც“. ავტორის აზრით, შემოჭრისა<sup>5</sup> და გახვრეტის<sup>6</sup> შედეგად „დარჩენილია თავდაპირველი მონეტის თითქმის მესამედი, რომელიც 0.51 გრამს იწონის. მონეტა გაცილებით მძიმე უნდა ყოფილიყო“; პატივცემული მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს „პირდაპირ მიანიშნებს, ერთის მხრივ, მის არასტანდარტულობაზე ბიზანტიურტიტულოვანი ქართული მონეტების სერიებში, ხოლო, მეორე მხრივ, ადრეულობაზე“ (პატარიძე 2019ბ: 217).

ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ „დავითისადმი ამ საფასის მიკუთვნება შეუძლებელია, როგორც ტიტულატურით, ისე მეტროლოგიური თვალსაზრისით“ (პატარიძე 2019ბ: 217), და, თავისი მსჯელობის ლოგიკის ფარგლებში, იწყებს სხვა ემიტენტის ძიებას, რომ ეს სამონეტო ტიპი მიაკუთვნოს.

მკვლევარი თვლის, რომ „მონეტის განსაზღვრისთვის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს“ იმის დადგენა, თუ „რომელი მეფისთვის იქნებოდა რელევანტური თავისი სამონეტო გამოშვების ცენტრალურ ადგილზე (ტიტულ, - ი.ფ.) მეფე ტაონთას განთავსება“ (პატარიძე 2019ბ: 217). პატივცემული ავტორი ითვალისწინებს გარემოებას, რომელსაც ჯერ კიდევ ირაკლი ფაღავამ მიაქცია ყურადღება: ერთადერთი ქართველი მონარქი, რომლის წოდებულებაშიც დაფიქსირებულია (თუნდაც, ერთეულ შემთხვევაში) ტაონთები თუ არა, გოა მაინც, არის ბაგრატ III (ფაღავა 2012ბ: 101-102; პატარიძე 2019ბ: 215-216, 218). საუბარია კაცხის ცნობილ ლაპიდარულ წარწერაზე; მოვიყვანთ ასომთავრულ წარწერას და მის ტრანსლიტერაციას მხედრულით (სილოგავა 1980: 55-56):

† R Q S P Q C Z T Y H J Z C P Q V X I V L J P C P [H] N C [ ... .. ] T N C P P I P C Q S C Z C

ჟანდრ ნქდრ ზნ ყნუნს სიშნუნუნს ზნი ზაუნქ

† ნ(მიდა)ო ს(ამ(ე)ბ(ა)ო, ა(დი)დე შ(ენ) მ(ი)ერ დამყ(არ(ე)ბ(უ)ლი ბ(ა)გრ(ა)ტ აფ[ხ](ა)ზთ[ა და ქ(ა)რთ]ვ(ე)ლთა მ(ე)ფე, ტაო(ა)სა, და რანთა, კ(ა)ხთა და ყ(ოვ)ლისა აღმ(ო)ს(ა)ვ(ა)ლისა დ(ი)დი კ(უ)რ(ა)პ(ალა)ტი

პატივცემული მკვლევარი ასევე ითვალისწინებს ტაოს მნიშვნელობას ნავარაუდები ემიტენტისთვის და განხილული აქვს „ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი, რომელიც უკარნახებდა ბაგრატ III-ს ტაოს პროვინციისთვის პრევალირებული ადგილი მიეჩინა სახელმწიფო ინსიგნიაზე“ (პატარიძე 2019ბ: 218); ანუ, ამახვილებს ყურადღებას დავით კურაპალატის მემკვიდრეობაზე, რომელიც დავითის ანდერძის თანახმად,



მეტწილად ბასილ II-ს ერგო, რასაც ქართველი ბაგრატიონები და, კერძოდ, ბაგრატ III ვერ შეურიგდნენ (ბახტაძე 2019: 117-118) და რაც ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებასთან მათი მწვავე დაპირისპირების მიზეზი გახდა. ავტორი, ერთის მხრივ ვარაუდობს, რომ „კაცხის წარწერაში ნახსენები ტიტულის უკან, ტაოს (იმიერტაოს) მიწების დაბრუნების იდეა იყო“, მეორეს მხრივ კი, გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს იდეა საფასუხედაც აისახა: „გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბაგრატ III-ს ტაოს რეგიონისადმი განსაკუთრებული ინტერესისთვის უფრო დიდი ლეგიტიმაციაც მიეცა და თავისი პოლიტიკური მიზნები უმაღლეს იურიდიულ დოკუმენტზე – ფულზე დაეფიქსირებინა. ეს ხერხი მეფისთვის დაკარგული ტერიტორიების თავის სამეფოს იურისდიქციაში გაერთიანების იდეის თამამი გაცხადება იქნებოდა“ (პატარიძე 2019ბ: 218-219). აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, პატივცემული ავტორი აკეთებს კატეგორიულ დასკვნას: „ბაგრატ III არის ის მეფე, რომლისთვისაც თავის ტიტულატურაში ტაოს შეტანა უადრესად პრინციპული უნდა ყოფილიყო. შესაბამისად ამ მოწინააღმდეგე ბაგრატ III უნდა იყოს“ (პატარიძე 2019ბ: 219).

პატივცემული ავტორის მსჯელობა ნათელია და საკმაოდ ლოგიკურია. საზოგადოდ, განხორციელებული ანალიზი ძალიან საინტერესოა და ნაშრომი შეიძლება სანიმუშოდაც კი ჩავთვალოთ ნუმისმატიკური ფაქტების კვლევის მულტიდისციპლინარობის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ავტორს ვერ ვეთანხმებით. ლეგენდის ანალიზსა, და, განსაკუთრებით, სამონეტო ტიპის იკონოგრაფიის ადეკვატურ შეფასებას მივყავართ აბსოლუტურად განსხვავებულ დასკვნამდე: ნუმისმატიკურ-იკონოგრაფიული ანალიზი ცალსახად გამორიცხავს ამ მოწინააღმდეგე ბაგრატ III-ისადმი მიკუთვნებას.

დავიწყებთ ლეგენდის ანალიზით. მნიშვნელოვანია, რომ მოწინააღმდეგე ბაგრატ III-ის ბიზანტიური ტიტული კურაპალატი, რომლითაც ის, სხვათა შორის, მრავალგზის არის მოხსენიებული (ბახტაძე 2019: 111-116); თუმცა, რასაკვირველია, შეიძლება დავუშვათ, რომ ის წრიულ ლეგენდაში იყო მითითებული, ანუ, წოდებულების დასაწყისში; ან, სულაც არ მიეთითებინათ.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, ცალსახაა იკონოგრაფიული ანალიზის შედეგი. ამ მოწინააღმდეგე სამონეტო ტიპის გამოშვების შედარებითი ქრონოლოგია ცალსახად განისაზღვრება გამოსახული ღვთისმშობლის იკონოგრაფიით.

უნდა აღინიშნოს, რომ ღვთისმშობლის იკონოგრაფიასა და თავად მოწინააღმდეგე ღვთისმშობლის გამოსახულების მოთავსების ფაქტს დიდ ყურადღებას თავად პატივცემული კოლეგაც აქცევს, და პირდაპირ აცხადებს, რომ „დასაძლევია ავერსის გამოსახულების იკონოგრაფიული პრობლემები. კერძოდ, თუ მოწინააღმდეგეა, ისმება კითხვა – როდის იწყება სამონეტო ემისიებზე ღვთისმშობლის აღბეჭდვა?“ (პატარიძე 2019ბ: 217-218). რაკი სამონეტო ტიპს ბაგრატ III-ს აკუთვნებს, ღვთისმშობლის გამოსახვასაც საკუთარ ფულზე პირველად ბაგრატ III-ს მიაწერს, და აღნიშნავს, რომ „ბაგრატ III-ის მოწინააღმდეგე ღვთისმშობლის გამოსახვა, ერთი მხრივ, მეფის მიერ შემწეობისა და მფარველობის თხოვნაა, ხოლო მეორე მხრივ, მომავალ ბრძოლებში გამარჯვების გარანტია“ (პატარიძე 2019ბ: 219-220). რაც შეეხება ღვთისმშობლის იკონოგრაფიულ ტიპს, მკვლევარი იხრება იმ აზრისკენ, რომ საკვლევ მოწინააღმდეგე გამოსახულია ნიკოპეა, და არა ვდაქეჩნა: „ძნელია ვამტკიცოთ, ღვთისმშობლის რომელი ტიპია გამოსახული – ვლაქერნა თუ ნიკოპეა. რაც შეეხება გადარჩენილ ნაწილს: ღვთისმშობლის თავსაბურავი, წერტილოვანი შარავანდი და ტანისამოსის ნაკვეთი, აქ აშკარა სიახლოვეა (ნიკოპეასთან? – ი.ფ.). ვვარაუდობ, რომ შესაძლოა ნიკოპეას ტიპი იყოს გამოსახული და შემოქრამ ყრმა-ქრისტეს კვალი გააქრო“ (პატარიძე 2019ბ: 221). ამ სამონეტო ტიპის პროტოტიპად ავტორს მიჩნეული აქვს „ბასილი II ბულგართმმუსვრელის ვერცხლის მილიარისია“, რომელზედაც ასევე ნიკოპეას ტიპის ღვთისმშობელია (პატარიძე 2019ბ: 220) (სურ. 2).

ოღონდ, პატივცემული კოლეგისთვის რატომღაც ნაკლებად მნიშვნელოვანია, ღვთისმშობლის თუ რომელი ტიპია გამოსახული საკვლევ სამონეტო ტიპზე: „მოცემულ შემთხვევაში ეს არსებითი არ არის. გაცილებით მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის გამოსახვის იდეა და მისი პოლიტიკური დატვირთვა ქართულ სამონეტო იკონოგრაფიაში“ (პატარიძე 2019ბ: 221). არ ვეთანხმებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნამყვანი მნიშვნელობა, სამონეტო ემისიის დასათარიღებლად, სწორედ იმასა აქვს, მოწინააღმდეგე გამოსახულია ღვთისმშობელი ნიკოპეა თუ ვდაქეჩნა. დავასაბუთებთ ჩვენს მოსაზრებას.

ნიკოპეას ტიპი პირველად ჩნდება ბასილ II ბულგართმმუსვრელისა (რეალურად ხელისუფლების სათავეში 976-1025) და მისი თანაიმპერატორის, კონსტანტინე VIII-ის ვერცხლის მოწინააღმდეგე: შუბლზე გამოსახულია ღვთისმშობელი, რომელსაც ხელებით უჭირავს მედალიონი ყრმა ქრისტეთი, ანუ, ცნობილი ხატი ἡ Νικοποῖς, გამარჯვების მომპოვებელი (გრირსონი 1973ბ: 600; გრირსონი 1982: 201); დაქარაგმებული ლეგენდები შეიძლება გაიხსნას როგორც Θεοτόκε βίθιμη τοῖς βασιλεῦσι (ღვთისმშობელო, შეეწიე იმპერატორებს); ზურგზე: Μητὴρ Θεοῦ δειξιχάσμενη ὁ εἰς σε ἔλπιζαν οὐκ ἀποσυχαῖνε (ღეგაო ღვთისავ, ვინც შენდამი სასოებითაა [ახასოდეხ] ახ დამახცხდება) (გრირსონი 1973ბ: 631, სქოლიო 19).

სავსებით სარწმუნოა ფილიპ გრირსონის მსჯელობა მოწინააღმდეგე ბასილი II-სთვის (და მისი თანაიმპერატორისთვის) მიკუთვნებასთან დაკავშირებით; მეცნიერს დამტკიცებული აქვს, რომ ნიკოპეას გამოსახვა, ისევე როგორც შესაბამისი ლეგენდა, უკავშირდება იმპერატორის 989 წლის გამარჯვებას აბიდოსთან ბარდა

ფოკასთან დაპირისპირებაში, რასაც სწორედ სამონეტო ტიპზე მოთავსებული ხატის სასწაულებრივ მოქმედებას უკავშირებდნენ; ამიტომ თავად მონეტაც 989 წლით თარიღდება (გრიროსონი 1973ბ: 611). ამ ტიპის (III კლასის) მილიარესები ძალიან იშვიათია, და ხანმოკლე მემორიალ ემისიას წარმოადგენს (გრიროსონი 1973ბ: 611).

რაც შეეხება ვლაქერნას, ის პირველად 2/3 მილიარესის ნომინალის ვერცხლის მონეტაზე კონსტანტინე IX-მ (1042-1055) გამოსახა (გრიროსონი 1973ბ: 736-737, 747), (სურ. 3): ეს არის ღვთისმშობელი orans, კერძოდ ἡ Βλαχερνίτισ[σ]α, ანუ, ვლაქერნაში ღვთისმშობლის ეკლესიაში დასვენებული ხატის გამოსახულება; აღნიშნული ხატი კონსტანტინეპოლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მფარველი იყო (გრიროსონი 1982: 203). ფილიპ გრიროსონის აზრით, მონეტაზე ამ ხატის სწორედ XI საუკუნის შუახანებისთვის გამოსახვის დაწყება შეიძლება დაახლოებით 450 წელს დაარსებულ-აშენებული ეკლესიის ექვს საუკუნოვან იუბილეს დავუკავშიროთ (გრიროსონი 1982: 203).<sup>8</sup>

შემდგომში, იგივე ტიპის მონეტებს, 2/3 მილიარესებს, ასევე ვლაქერნას გამოსახულებით, უშვებდნენ ასევე თეოდორა (1055-1056) და მიხეილ VI (1056-1057) (გრიროსონი 1982: 202). ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ისა და დავით IV-ის ბიზანტიური ყაიდის (და ბიზანტიური ტიტულის მატარებელი) მონეტებიც სწორედ კონსტანტინე IX-ის 2/3 მილიარესის მინაბაძს წარმოადგენს (სურ. 4-6).

შემაჯავებელი მონეტაზე გამოსახული ღვთისმშობელი რომელ იკონოგრაფიულ ტიპს მიეკუთვნება? პატივცემული კოლეგა ვარაუდობს რომ ნიკოპეა (პატარიძე 2019ბ: 221), ჩვენ კი ეჭვიც არ გვებარება, რომ ვდაქეხნა. მოვიყვანოთ და ვაჩვენებთ არგუმენტაციას:

- თავსაბურავის მიხედვით იკონოგრაფიული ტიპების გარჩევა გაძნელებულია: ორივე შემთხვევაში მაფორიუმია, რომელიც მეტ-ნაკლებად მსგავსია ორივე ტიპზე;
- ბასილი II-ის ნიკოპეას ტიპის მილიარესზე გამოსახული წერტილოვანი შარავანდი ძალიან ხშირად გხვდება, შეიძლება ითქვას, სტანდარტულია ბიზანტიური ყაიდის ქართულ მონეტებზედაც, სადაც ვლაქერნა (პახომოვი 1970: ფოტოტაბულა IV-V, №№ 53-78, 80);
- ტანისამოსის ნაკვეთითაც გამოსახულება ემსგავსება ბიზანტიური ყაიდის სხვა ტიპის მონეტებს, კერძოდ, განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს დავით აღმაშენებლის საფასესთან(!) (პახომოვი 1970: ფოტოტაბულა IV-V, №№ 5-60, 63-66, 69-70, 78-80, 82);
- ღვთისმშობლის მარჯვენა მხარს ზემოთ თითქოს მოჩანს ანვდენილი მტევნის ცერა თითი – შეადარეთ დავით აღმაშენებლის სხვა სამონეტო ტიპის ეგზემპლარს (პახომოვი 1970: ფოტოტაბულა V, 82); ეს კი ნიშნავს რომ მონეტაზე გამოსახულია ღვთისმშობელი orans, ანუ, ვლაქერნა;
- რაც მთავარია, ნიკოპეას ტიპზე ყრმა ქრისტეს გამოსახულება უნდა იყოს, შემოჭრილ მონეტაზე ის არ არის; ვერ დავეთანხმებით პატივცემულ კოლეგას, რომ „შესაძლოა ნიკოპეას ტიპი იყოს გამოსახული და შემოჭრამ ყრმა-ქრისტეს კვალი გააქრო“ (პატარიძე 2019ბ: 221). შემოჭრილ მონეტაზე, შემოჭრის მიუხედავად, ღვთისმშობლის სახის ქვემოთ საკმარისი სივრცეა დარჩენილი, იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ამ სივრცეში ადვილად ჩაეტეოდა არა მარტო ყრმა ქრისტეს გამოსახულებიანი მედალიონის ზედა ნაწილი, არამედ ყრმა ქრისტეს სახის, ყველაზე ცოტა, ზედა ნაწილიც კი (სურ. 7).

*ამიგად, ჩვენი დასკვნა ცაღსახაა: შემოჭრილ მონეტაზე გამოსახული ღვთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპი ახის ვდაქეხნა და ახა ნიკოპეა.*

ვლაქერნა კი (ბიზანტიურ) მონეტებზე პირველად ჩნდება კონსტანტინე IX-ის (1042-1055) ზეობაში, უფრო 1050 წლისთვის (იხ. ზემოთ).

რამდენად რეალურია, ვიფიქროთ, რომ ეს იკონოგრაფიული ტიპი (ვლაქერნა) ნუმისმატიკურ ძეგლზე ჯერ საქართველოში გაჩნდა, ბაგრატ III-ის (975-1014) ზეობაში, და შემდეგ კონსტანტინე IX-ის ზეობაში (1042-1055) ბიზანტიელებმა გადმოიღეს? რასაკვირველია, ეს არარეალურია: შემოჭრილი მონეტისა თუ, თუნდაც, ბაგრატ IV-ის ადრეული მონეტების (ნოველისიმოსის ტიტულით) შედარება კონსტანტინე IX-ის 2/3 მილიარესებთან ცალსახად აჩვენებს, რომ ქართული მონეტები ბაძავს ბიზანტიურს; საზოგადოდ, ქართული და ბიზანტიური (ტრაპიზონის იმპერიის) ნუმისმატიკური ისტორიის შედარება გვიჩვენებს, რომ საზიარო ტიპის შემთხვევაში ორიგინალი ყოველთვის ბიზანტიურია, და არა პირიქით. ბიზანტიური ნუმისმატიკის პრიმატში არც კოლეგას შეაქვს ეჭვი: „ღვთისმშობლის მფარველობის ვიზუალიზაცია ბიზანტიური საიმპერატორო იკონოგრაფიის შტრიხია, რომლის გადმოტანა ქართულ სინამდვილეში შესაბამისი პოლიტიკური ფონის გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო“; ავტორი ცნობს, რომ ამ მონეტას უნდა ჰქონოდა პროტოტიპი – „საქართველოს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირებიდან გამომდინარე მსგავსი მონეტა ბიზანტიურ ოიკუმენაში უნდა ვეძებოთ“ (პატარიძე 2019ბ: 220).

რაკი შემოჭრილ მონეტაზე გამოსახული ღვთისმშობლის კონკრეტული იკონოგრაფიული ტიპი (ვდაქეხნა) ბიზანტიური სამონეტო საქმიდანაა ნასესხები, ქართულ მონეტაზე ის 1042-1050 წლებზე ადრე (terminus ante quem non) ვერ გაჩნდებოდა. ეს კი ცალსახად გამოირიცხავს მონეტის ბაგრატ III-ისადმი (975-1014) მიკუთვნებას, ბაგრატისადმი ესოდენ აქტუალური *გაონთა* [მეფის] წოდების მითითების მიუხედავად.

მაშ, ვინ არის ამ 1042-1050 წლების შემდგომ პერიოდში მოჭრილი (შემოჭრილი) მონეტის ემიტენტი? ჩვენი (უცვლელი) აზრით, ეს არის დავით IV აღმაშენებელი.

მოვიყვანო სათანადო არგუმენტაცია, განახლებული სახით:

ვეთანხმებით პახომოვს, რომელმაც გამოსახულების სტილისტური დეგრადაციის საფუძველზე დაასკვნა, რომ მონეტის ემისიისათვის terminus ante quem non წარმოადგენდა გიორგი II-ის ზეობის მეორე ნახევარი; არ გამორიცხა სამონეტო ტიპის XII საუკუნის დასაწყისით დათარიღებაც კი (პახომოვი 1970: 71). სტილისტური ანალიზი ცალსახად გვიჩვენებს შემოჭრილი მონეტისა და გიორგი II კესაროსისა და დავით აღმაშენებლის დანარჩენი ვერცხლის მონეტების საოცარ იკონოგრაფიულ მსგავსებას. ეს ძლიერი არგუმენტია მონეტის ამ პერიოდით დასათარიღებლად. თუ სამონეტო ტიპს მაინც ბაგრატ III-ს მივაკუთვნებთ, როგორ უნდა ავხსნათ მისი სტილისტური იდენტობა დაახლოებით 80 წლის შემდეგ გიორგი II კესაროსისა და დავით აღმაშენებლის სახელით მოჭრილ მონეტებთან, იმის გათვალისწინებით, რომ შუალედური სამონეტო ტიპები განსხვავებულია?

შემოჭრილი მონეტის ცენტრალური ლეგენდა არ შეიცავს ქართველი მონარქის ბიზანტიურ ტიტულს, რომელიც ბიზანტიური ყაიდის ქართულ მონეტებზე სწორედ ამ ადგილას მიეთითებოდა ხოლმე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც (დავით IV-ის ზეობაში) ცენტრში ჯვარს გამოხატავდნენ, ბიზანტიური ტიტული კი წრიულ ლეგენდაში გადაინაცვლებდა (სილოგავა 2006: 227-252). 1105 წლისთვის დავით IV-მ უკვე უარი თქვა ბიზანტიურ ტიტულზე (გაბიძაშვილი 1978: 195); ბაგრატ III კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად კურაპალატის ტიტულით მოიხსენიება. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბიზანტიური ტიტულის არმითითება იქნება, თუ მისი ცენტრალური ლეგენდიდან ამოღება (და წრიულში გადატანა), ორივე დავით IV-ის ნუმისმატიკურ მემკვიდრეობას ახასიათებს.

1042-1050 წლების შუალედიდან მოყოლებული და ვიდრე რუსუდანის ზეობამდე, ერთადერთი ბაგრა-ტოვანი, ვინც ჭრიდა ვერცხლის საფასეს და ატარებდა [კახთა და] ხანთა მეფის ტიტულს, იყო ასევე დავით IV, რომელმაც 1104/5 წელს კახეთ-ჭერეთის სამეფოს ანექსია მოახდინა; მონეტაზე კი, ჩანს, შემოგვრჩა წოდებულების ნაწილი ხანთა, კახთა (ამ შემთხვევაში, შესაძლოა, პირველი აღნიშნეს).

თუკი ასომთავრული ლეგენდა ბოლოვდება ფრაგმენტით ხანთა და გაონთა, უნდა დავასკვნათ, რომ მისი დასაწყისი, სიტყვა მეფე წრიული ლეგენდის დასაწყისში იქნებოდა, პოლიტონიმების წინ; მაშინ იმასაც აღვნიშნავთ, რომ მეფის ტიტული სამეფო პროტოკოლის დასაწყისში მხოლოდ დავით IV-ის საფასეზე შეგვხვდრია (მეფის გამოსახულებიან სპილენძის მონეტაზე) (ფალავა 2019: 261).

რაც შეეხება მონეტის წონას (რომელიც, კოლეგის აზრით, „პირდაპირ მიანიშნებს, ერთის მხრივ, მის არასტანდარტულობაზე ბიზანტიურტიტულოვანი ქართული მონეტების სერიებში, ხოლო, მეორე მხრივ, ადრეულობაზე“ (პატარიძე 2019ბ: 217), დასაწყისისთვის, ვეცდებით ის ზუსტად გამოვითვალოთ: წრის (მონეტას პირობითად წრეს ვადარებთ, თუმცა, სინამდვილეში, ცხადია, ფორმით აბსოლუტურ წრეს იშვიათად შეადგენდა) ფართობის გამოსათვლელად მოწოდებულია ფორმულა

$$S = \pi r^2$$

(სადაც S არის ფართობი,  $\pi = 3.1415$ , ხოლო r არის რადიუსი).  $S_1$  = შემოჭრილი მონეტის ფართობია იმ დაშვებით, რომ გახვრეტილი არ არის;  $S_2$  არის ნახვრეტის მიახლოებითი ფართობი;  $S_3$  არის მთლიანი მონეტის (შემოჭრამდე) ჰიპოთეტური ფართობი. შემოჭრილი მონეტის  $r_1$  არის დაახლოებით 7.75 მმ, ნახვრეტის  $r_2$  არის დაახლოებით 0.70 მმ (გაიზომა გამოსახულებაზე, გამოსახულების მასშტაბის გათვალისწინებით), ხოლო ჰიპოთეტურად აღდგენილი მთლიანი მონეტის  $r_3$  უნდა იყოს დაახლოებით 13 მმ – აღდგენილია ბიზანტიური ყაიდის ქართულ სხვა, არა-შემოჭრილ მონეტებთან ანალოგიით: ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტების დიამეტრი შეადგენდა ჩვეულებრივ 25-27 მმ (პახომოვი 1970: 59-69), ხოლო დავით IV აღმაშენებლის უკეთ შენახული (ორი სხვადასხვა ტიპის) 3 ეგზემპლარის დიამეტრი მერყეობს 25-28 მმ-ის ფარგლებში (ქებულაძე 1987: 47-49). პროპორციის წესით, თუ შემოჭრილ მონეტას აქვს ფართობი (ნახვრეტის გათვალისწინებით) =  $S_1 - S_2$ , და წონა 0.51 გ, მაშინ ჰიპოთეტურად აღდგენილი მთლიანი მონეტის წონა, ფართობით  $S_3$ , უნდა იყოს

$$= (S_3 \cdot 0.51) / (S_1 - S_2) = (\pi r_3^2 \cdot 0.51) / (\pi r_1^2 - \pi r_2^2)$$

ფორმულაში ციფრების ჩასმის შედეგად ვიღებთ შემოჭრამდე არსებული მონეტის ჰიპოთეტურ წონას 1.45 გ (სინამდვილეში, რამდენადმე ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ჩვენს გამოთვლებში მიჩნეული გვაქვს, რომ მონეტის სისქე თანაბარი იყო, არადა, დიდი ალბათობით, კიდეებისკენ თხელდებოდა). ეს ჰიპოთეტური 1.45 გ, დავით აღმაშენებლის საფასისთვის შეიძლება უჩვეულოდ და მიუღებლად მაღალ მაჩვენებლად ჩაგვეთვალო, რომ არა დავით აღმაშენებლის სხვა ტიპის (ჯვრის გამოსახულებით) ვერცხლის მონეტის ეგზემპლარი, რომელიც სტეფანწმინდის მუზეუმში არის დაცული, და 1.60 გ იწონის (sic); ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ მძიმე მონეტისადმი მიძღვნილი პირველადი პუბლიკაციის ავტორმაც, მაია პატარიძემაც (პატარიძე 2019ა: 58). ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევი მონეტის (შემოჭრა-გახვრეტის შემდეგ ამჟამად 0.51 გ) ორიგინალური ფარდობითი სიმძიმე (1.45 გ) ვერ გამორიცხავს მის მიკუთვნებას დავით IV აღმაშენებლისადმი.



მონეტის განსხვავებული ფაქტურა და უჩვეულო სისქე, მაღალი გურტი, შეიძლება რამდენიმე გარემოებით აიხსნებოდეს: ჯერ ერთი, შემოქრილი მონეტის გურტის ჩვეულებრივზე მეტი სისქე შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ მონეტა შიდა წრეწირის, ანუ, რელიეფური ელემენტის დონეზეა შემოქრილი; მაგრამ ნამდვილად განსხვავებული ფაქტურა და უჩვეულო სისქეც რომ ჰქონდეს,<sup>9</sup> ეს ვერ გამოორიცხავს დავით IV-ს, როგორც სამონეტო ტიპის პოტენციალურ ემიტენტს, ვინაიდან, ჩვენი აზრით, მისი ყველა სამონეტო ტიპი ერთგვაროვანი (მათ შორის, მეტროლოგიური მახასიათებლებითაც) ვერ იქნებოდა: საზოგადოდ, დავით აღმაშენებელი ცნობილია როგორც ქართული სამონეტო საქმის ინოვაციური და რეფორმატორი – გავისხენოთ ღვთისმშობლის გამოსახულებიანი ბიზანტიური ყაიდის ვერხლის მონეტებზე ჯვრის მოთავსება (სილოგავა 2006: 248); თბილისის ალების შემდეგ მის მიერ არაბულწარწერიანი სპილენძის ფულის შემოღება (ფაღავა 2012ა); ან, თუნდაც, სავარაუდოდ, ანისისალების შემდეგ მემორიალური ხასიათის, თავისი გამოსახულების მატარებელი დიდრონი სპილენძის ფულის მოჭრა (ფაღავა 2019). ამასთან, დავითის ვერცხლის მონეტები (2 ტიპი, ჯვრის გამოსახულების გარეშე და ჯვრით), ყველა სევასტოსის ტიტულს ატარებს (სილოგავა 2006: 227-252); 1091 წელს კი დავით IV აღმაშენებელი უკვე *პანიპეხსევასტოსის* ტიტულით მოიხსენიება (სილოგავა 2006: 249). აქედან გამომდინარე, სევასტოსის წოდებიანი ვერცხლის მონეტების 2 ტიპის ემისია შეიძლება 1089 (ტახტზე ასვლა) – 1091 წლების შუალედით დათარიღდეს; თუ 1083/5-1091 წლების შუალედით? (სილოგავა 2006: 252) (თუ *პანიპეხსევასტოსის* ტიტული მონეტაზე შეიძლება არც აღენიშნათ და ინერციით სევასტოსის ტიტულიანი მონეტების მოჭრა გაეგრძელებინათ, 1091 წლის შემდეგაც? მაგრამ, პირობით, 1105 წლამდე, როდესაც დავით აღმაშენებელი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის დებაში უკვე ბიზანტიური ტიტულის გარეშეა მოხსენიებული? (გაბიძაშვილი 1978: 195); რანთა მეფის წოდებიანი ვერცხლის (შემოქრილი) მონეტა კი 1104 წლის შემდგომი დროით თარიღდება. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ჩვენს წინაშეა დავით აღმაშენებლის კიდევ ერთი, შედარებით ინოვაციური სამონეტო ტიპი, რომელიც იკონოგრაფიულად და შენადნობის ლითონით კი უშუალო კავშირშია ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ისა და თავად დავით IV-ის წინარე ვერცხლის, ბიზანტიური ყაიდის საფასესთან, მაგრამ, მაინც, განსხვავდება მათგან მეტროლოგიურად მაინც (და ლეგენდით). ამ გარემოებამვე შეიძლება აგვიხსნას მონეტის წონაც.

ვეთანხმებით მაია პატარიძეს, რომ ტაოს მხარე დავით IV-სთვის იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ბაგრატ III-სთვის, არ უნდა ყოფილიყო (პატარიძე 2019ბ: 216). ამასთან, პირველწყარომ, თუნდაც ნარატიულმა, მაინც შემოგვინახა ორი ცნობა: პირველი გვიდასტურებს სამეფო დინასტიის, და, კერძოდ კი, დავით IV-ის მამის, გიორგი II-ის მჭიდრო კავშირს ტაოსთან: „წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვსსა ტაოს“ (მეტრეველი 2008: 301); მეორე ცნობა კი იუნყება ტაოში 1116 წელს (?) დავით IV-ის საომარი მოქმედებების შესახებ:

... ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინაფთჳან ზამთრისა სიფიცხლესა და მათათა სიმაგრესა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიკლოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობად უბრძანა და თჳთ ქუთათისს გარდავიდა, რომლითა უჭეჭულყვნა იგინი. და თთუესა ფებერვალსა აცნობა ქართველთა და მესხთა, რათათა კლარჯერთს დახუდენ პაემანსა და თჳთ შიდითა სპითა ხუფათით ჟოროხის პირი წარვლო; შეკრბეს ერთად და უგრძნულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებით [და] სასოებით მსხდომართა ბასიანადმდე მთად კარნიფორისა; მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხჳ და დაატყუევეს დედა-წული მათი; და აღიღეს ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფოდ მისი ყოვლითა კეთილითა (ქართლის ცხოვრება 2008: 316).

თეორიულად მაინც, შეიძლება დავუშვათ, რომ მონეტის ემისია სწორედ იმ სამხედრო კამპანიას (ჯაფარიძე 1995: 31) უკავშირდება და, ისტორიულ მხსიერებაში ტაოს მნიშვნელობის ჩარჩენიდან გამომდინარე, მონეტაზე შესაბამისი წოდების მითითება გადაწყდა. რაც არ უნდა დიდი იყოს ბაგრატ III-ისა და ტაონთა [მეფის] წოდებიანი მონეტის დაკავშირების ცდუნება, გვახსოვდეს, რომ *გაონთა* [მეფის] წოდებიანი მონეტაზე ვლავერნას ტიპის ღვთისმშობლის გამოსახვა (სხვა სტილისტურ კრიტერიუმებთან აღარ ვაპელირებთ) ცალსახად გამოორიცხავს მონეტის ბაგრატ III-ისადმი მიკუთვნებას.

*ზემოთ მოყვანილი ახგუმენტების საფუძველზე, უახვყოფთ ბეჩდინში დაცული, ღვთისმშობლის გამოსახულებიანი შემოქრილი ქახთუი მონეტის ბაგჩაგ III-ისადმი მიკუთვნების ვეხსიას; და, ვამტკიცებთ, რომ მონეტის ემიტენცია დავით IV აღმაშენებელი.<sup>10</sup>*

მოკლედ განვიხილავთ, როდის განხორციელდა ამ სამონეტო ტიპის ემისია – გავიმეორებთ ჩვენს მოსაზრებებს ქრონოლოგიასთან დაკავშირებით. *ხანთა* [მეფის] წოდების მითითებიდან გამომდინარე, *terminus ante quem non* არის 1104 წელი, *terminus post quem non*, ბუნებრივია, არის დავითის გარდაცვალების წელი, 1125. რაკი 1122 წლიდან, თბილისის ალების შემდეგ, დავითმა მონოეპიგრაფიული არაბულენოვანი სპილენძის საფასის მოჭრა დაიწყო, და თან ვერცხლის კრიზისის გათვალისწინებით, 1104-1122 წლების შუალედი უფრო არის სავარაუდო (უფრო ამ პერიოდის დასაწყისი?). თეორიულად შეიძლება დაახლოებით 1116 წლის მიმდებარე პერიოდითაც დავათარიღოთ, თუკი ტაონთა ტიტულით სამონეტო ტიპის ემისია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამხედრო კამპანიას დაუკავშირებთ.

\*

სამონეტო ტიპის შესწავლის შედეგებისა და ბოლო დროის პუბლიკაციების (სილოგავა 2006: 227-252; ფალავა 2012ა; ჭანიშვილი 2017; ფალავა 2019) გათვალისწინებით, დავით IV აღმაშენებლის სამონეტო ემისიების ტიპოლოგია და ქრონოლოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

პირველი ტიპი. 1089 წელს ტახტზე ასვლის შემდეგ დავით IV იწყებს იმავე ტიპის ვერცხლის მონეტების ემისიას, როგორც იჭრებოდა მამამისის, გიორგი II-ის ზეობაში;<sup>11</sup> სხვაობა მხოლოდ მონარქის სახელსა (ღავითი, გიოხგის მაგიერ) და ტიტულშია (სევასტოსი, კესახოსის მაგიერ). ამ სამონეტო ტიპს პირველად მივიჩნევთ მეორე ტიპის მონეტებთან შედარებით, გიორგი II-ის საფასესთან დიზაინის მხრივ მეტი სიახლოვის საფუძველზე.

მეორე ტიპი. გაურკვეველი დროის შემდეგ (მაგრამ, 1091 წლამდე?) და გაურკვეველი მიზეზით<sup>12</sup> სამონეტო ტიპი შეიცვალა – კვლავაც ვერცხლის, იგივე ფაქტურის მონეტებზე სევასტოსის გიგული გადავიდა წრიულ ლეგენდაში, მისი ადგილი მონეტის ცენტრში კი ჯჰის გამოსახულებამ დაიკავა. მომდევნო, 1104/5 წლის შემდგომ მოჭრილ მესამე ტიპთან სიახლოვიდან გამომდინარე, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამ სამონეტო ტიპითა და სევასტოსის ტიტულით მონეტების ემისია გრძელდებოდა 1091 წლის შემდეგაც (როდესაც დავით IV მოიხსენიეს პანიპეხსევასტოსის ტიტულით).

მესამე ტიპი. კვლავაც ბიზანტიურ ყაიდაზე (ღვთისმშობლის ვლაქერნას იკონოგრაფიული ტიპის გამოსახულებით) მოიჭრა ვერცხლის მონეტები (შემონახულია ერთადერთი ეგზემპლარი) მონარქის ... ხანთა და გაონთა [მეფის] ტიტულით. ამ ემისიის დაწყებისთვის terminus post quem არის კახეთ-ჰერეთის სამეფოს ანექსია 1104/5 წელს.

მეოთხე ტიპი. ესაა სპილენძის მონოპიგრაფიკული, ექსკლუზიურად არაბულენოვანი მონეტები, სადაც დავით ძე გიორგისა ატარებს ტიტულს მეფეთა მეფე და, ასევე, მესიის მახვილია. ამასთანავე, მონეტაზე მითითებულია დიდი სელჩუკი სულთნის სახელიც და ისლამის რელიგიური კრედო. ამ სამონეტო ტიპის ემისია 1122 წელს უნდა დაწყებულიყო, თბილისის მუსლიმთაგან განთავისუფლების შემდეგ, და, არ არის გამო-რიცხული, 1125 წლამდე, დავით აღმაშენებლის ზეობის დასასრულამდე გაგრძელდა. მონეტებს ეკონომიკური დანიშნულება ჰქონდათ (ფალავა 2012ა; ჭანიშვილი 2017).

მეხუთე ტიპი. წარმოდგენილია უნიკალური სპილენძის მონეტით, რომელზედაც დავით IV აღმაშენებლის გამოსახულებაა და წოდებულია მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა. მონეტის ემისია 1124 წელს უნდა მომხდარიყო, ანისის, სომეხთა მეფეთა უწინდელი დედაქალაქის შემოერთების შემდეგ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ქართველი მონარქის დიდი წარმატების აღსანიშნავად მოჭრილი მემორიალური მონეტა (ფალავა 2019). მემორიალური თუ არა, ემისია ნებისმიერ შემთხვევაში ხანმოკლე იქნებოდა, ვინაიდან, 1125 წელს დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა.

## შენიშვნები

- <sup>1</sup> ბოლოდროინდელ ნაშრომებში სწორედ ამ ტერმინს იყენებენ ირაკლი ფალავა და როლანდ სპანდერაშვილი (ფალავა, სპანდერაშვილი 2015ა; ფალავა, სპანდერაშვილი 2015ბ); უფრო მეტიც, ამ ტერმინის დასაბუთებაც უცდიათ (ფალავა, სპანდერაშვილი 2015ბ: 289). ამრიგად, ვერ დავეთანხმებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს „მონეტების ეს ჯგუფი სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებულია ქართულ-ბიზანტიური მონეტების სახელით“ (პატარიძე 2019ბ: 213, სქოლიო 3). ვერ დავეთანხმებით ასევე ავტორის მიერ წინამდებარე სტატიაში განხილული მონეტის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ეს ეგზემპლარი ბიზანტიურ-ტიტულიანი ქართული მონეტების საკმაოდ იშვიათ ჯგუფს მიეკუთვნება“ (პატარიძე 2019ბ: 213) – სწორედ ამ მონეტაზე / სამონეტო ტიპზე, ბიზანტიური ტიტული არსად ჩანს; ირგვლივი წარწერა, მართალია, ჩამოჭრილია, მაგრამ არ გვაქვს არანაირი გარანტია, რომ ბიზანტიური ტიტული იქ იყო მითითებული (უფრო სავარაუდოა, სხვა, ღვთისმშობლის გამოსახულებიან მონეტებთან ანალოგიით, რომ არ იყო). ამრიგად, თავად ტერმინიც ბიზანტიურ-ტიტულიანი ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მონეტების ასაღნიშნად არ გვეჩვენება ოპტიმალურად, ვინაიდან გამორიცხავს განსახილველ მონეტას, რომელიც სხვა პარამეტრებით უდავოდ მსგავსია.
- <sup>2</sup> მიხეილ ბარათაევი არ იყო პირადად რუსეთში გადახვენილი. შდრ. (პატარიძე 2019ბ: 213). ის ვახტანგ VI-ის ამაღლას გაყოლილი ქართველი თავადის უკვე რუსეთში დაბადებული შთამომავალი გახლდათ (გოზალიშვილი 1987: 10-12).
- <sup>3</sup> ჩვენი კვლევის ფარგლებს ცდება სამეცნიერო ეთიკის საკითხების განხილვა. მიუხედავად ამისა, ისტორიული მეცნიერების ისტორიოგრაფიის კუთხით, აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კვლევა უკვე 2010 წელს წამოვიწყეთ; ალექსანდრე აკოპიანს თავად მივმართეთ კითხვით მონეტაზე აღნიშნული ერთ-ერთი ტიტულის შესაძლო სომხური წარმომავლობის თაობაზე (2010 წლის 27 ივლისით დათარიღებული ელ. წერილი). რამდენიმე თვეში კი ალექსანდრე აკოპიანმა, გაიგო რა (ჩვენგან, პირველად) ხსენებული სამონეტო ტიპის არსებობის შესახებ, ლეგენდების საკუთარი ინტერპრეტაცია ისე გამოაქვეყნა, რომ ჩვენი კვლევის ბოლომდე მიყვანასა და შესაბამისი ნაშრომის პუბლიკაციას არც დაელოდა. ასე თუ ისე, ავტორის დასკვნები, ვფიქრობთ, მცდარია. კრიტიკული განხილვისთვის იხ. (ფალავა 2012ბ: 99-101).
- <sup>4</sup> ასომთავრულში ამგვარი გრაფემა (j) არ არის; შესაძლო მნიშვნელობისთვის იხ. ქვემოთ.

- 5 ირაკლი ფაღვალი არ გამორიცხავდა, რომ ეს მონეტა რაიმე კონკრეტულ წონით სტანდარტთან მისადაგების მიზნით იყო შემოჭრილი; თუმცა, ამას არც ამტკიცებდა: „ამ ეტაპზე ვერ ვაზუსტებთ, ის ხელისუფლების ბრძანებით შემოჭრეს (იქნებ მიმოქცევაში მყოფი ვერცხლის საფასის წონითი სტანდარტის შესაცვლელად), თუ არა“ (ფაღვალი 2015: 149). 2019 წელს გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ამის შესაძლებლობას უაპელაციოდ უარყოფს – „მონეტის შემოჭრასთან დაკავშირებით ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ეს შეგნებულად გაკეთდა ხელისუფალის მიერ შემცირებულ წონით სტანდარტთან მისადაგების მიზნით“, და თვლის, რომ „მონეტის დაზიანება მისი მეორადი ფუნქციის [ალბათ, „მის მეორად ფუნქციას“ – ი.ფ.], კერძოდ, სამკაულად გამოყენებას უნდა უკავშირდებოდეს, რაც გაცილებით გვიან მოხდა, ვიდრე შუა საუკუნეებში. ამას ადასტურებს ნახვრეთი მონეტაზე“ (პატარიძე 2019ბ: 217, სქოლიო 22). რასაკვირველია, შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ მონეტა სამკაულად გამოსაყენებლად იყო შემოჭრილი, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ პატივცემულ ავტორს არ მოაქვს არანაირი არგუმენტი, თუ რატომ 1) არის გამორიცხული მონეტის შემოჭრა წონით სტანდარტთან მისადაგების მიზნით (და სამკაულად გადასაკეთებლად შემდგომ გახვრეტა); 2) უნდა უკავშირდებოდეს მონეტის შემოჭრა მის სამკაულად გამოყენებას; 3) უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მაინცდამაინც „გაცილებით გვიან მოხდა, ვიდრე შუა საუკუნეებში“, და არა, დავუშვათ, იმავე ან მომდევნო საუკუნეში, ე.ი. – შუასაუკუნოვან პერიოდში. ნაშრომში ცალკე ვრცელი სქოლიო სწორედ ნახვრეთის განხილვას ეთმობა, მაგრამ დასაბუთება იქაც არაა (პატარიძე 2019ბ: 217, სქოლიო 23).
- 6 არ ვეთანხმებით ნაშრომში მოყვანილ მსჯელობას მონეტის დამზადების ტექნოლოგიისა და ნახვრეთის გაკეთების ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ: „ნახვრეთი გვიან გაკეთდა, იმ ადგილზე, სადაც ლითონის ნაოჭი უკვე არსებობდა: „ამ მონეტისთვის ფირფიტა უნდა მიეღოთ ცივი ქედვით. ამაზე მეტყველებს ცივი ქედვისათვის დამახასიათებელი ნაკეცი, რომელიც წარმოიქმნება იმ დროს, როდესაც ლითონის ზედაპირზე ქედვის გავლენით არათანაბრად ნაწილდება მოლეკულები, ეს კი იწვევს ზოგიერთ ადგილში დიდ გამკვრივებას, რის გამოც ლითონის ზედაპირზე (აქ ვერცხლის ზედაპირზე) წარმოიქმნება სხვადასხვაგვარი არასასურველი ქერცლები, ფხაურები და ნაოჭები. სწორედ ამგვარი მოვლენის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი ის ნაოჭი, რაც აღნიშნულ მონეტაზე დასტურდება. რაც შეეხება ხვრელს, ჩემი აზრით მონეტაზე უბრალო დამთხვევას უნდა წარმოადგენდეს მისი ნაოჭზე თანხვედრა“ (პატარიძე 2019ბ: 217, სქოლიო 23). როგორც ლეგენდა, ასევე ღვთისმშობლის გამოსახულება მონეტაზე კარგად არის აღბეჭდილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამონეტო ნაშაბადის (ფირფიტის) დამზადების შემდეგ წარმოებდა მისი გამოწვა, რათა დამზადების წინაშე ეტაპზე უკვე მექანიკურად დამუშავებულ ლითონს სასურველი პლასტიურობა დაბრუნებოდა (ფაღვალი 2010: 523). ამგვარი დამუშავების შემდეგ ორი სიქის მეშვეობით შუბლისა და ზურგის აღბეჭდვის შემდეგ ფირფიტაზე ვეღარ დარჩებოდა ვერანაირი „ქერცლები, ფხაურები და ნაოჭები“, და მონეტაზე ისინი არცაა. კერძოდ, არ არის ნაოჭი – რასაც ვხედავთ ხვრელთან, ეს არის ბზარი, და ეს ბზარი სწორედ რომ მონეტის (დარტყმით, და არა ამობურღვით) გახვრეტის შედეგად გაჩნდა.
- 7 დავით მუსხელიშვილის აზრით კი, ბაგრატ III-ის წოდებულებაში ტაოს გაჩენა გურგენის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ III-ის მიერ ამიერტაოს დასაკუთრებას უკავშირდება (მუსხელიშვილი 1990: 67-68, სქოლიო 10).
- 8 სხვათა შორის, აღნიშნულთან დაკავშირებით, ბაგრატ IV-ის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტების ემისიის terminus ante quem ითი შეიძლება იყოს არა 1042 წელი (კონსტანტინე IX-ის გაიმპერატორება), არამედ დაახლოებით 1050 წელი.
- 9 არ გვაქვს არანაირი საფუძველი ეჭვი შევიტანოთ პატივცემული კოლეგის დაკვირვებაში, რომელსაც თავად მონეტა, ჩვენგან განსხვავებით, პირადად აქვს შესწავლილი (პატარიძე 2019ბ: 216).
- 10 რასაკვირველია, აბსოლუტური სიზუსტით ამის მტკიცება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ახალი (შემონახული წრიული ლეგენდით) ეგზემპლარის აღმოჩენის შემდეგ.
- 11 პრაქტიკულად გამოვრიცხავთ გიორგი II კესაროროს ტიტულიანი და დავით IV აღმაშენებლის ადრეული ვერცხლის საფასის პარალელურ გამოშვებას. შდრ. (სილოგავა 2006: 252).
- 12 შესასწავლია, სამონეტო ტიპის ცვლას წონითი სტანდარტის ცვლაც ხომ არ მოჰყვა? ან, პირიქით, წონითი სტანდარტის შეცვლამ ხომ არ განაპირობა სამონეტო ტიპის განახლება? სამწუხაროდ, ეგზემპლარების უკიდურესი იზვიატობიდან გამომდინარე, ამ საკითხში გარკვევა საკმაოდ რთულ ამოცანად გვესახება.

## დამონებანი

**აკოპიანი 2011:** А. Акопян. К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах. *Государственный Исторический музей. Нумизматические чтения 2011 года. Памяти Алексея Владимировича Фомина. Москва, 21-22 ноября 2011 г. Тезисы докладов и сообщений.*

**ბახტაძე 2019:** მ. ბახტაძე. გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურა XI საუკუნეში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომები, № 17-1.

**გაბიძაშვილი 1978:** ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა: ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა. თბილისი, მეცნიერება.

**გოზალიშვილი 1987:** შ. გოზალიშვილი. მიხეილ ბარათაშვილი. თბილისი, საბჭოთა საქართველო.

**გრიროსონი 1973ა:** P. Grierson. Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. Volume Three, Leo III to Nicephorus III, 717-1081. Part I, Leo III to Michael III (717-867). Dumbarton Oaks Research Library and Collection.

**გრიროსონი 1973ბ:** P. Grierson. Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. Volume Three, Leo III to Nicephorus III, 717-1081. Part 2, Basil I to Nicephorus III (867-1081). Dumbarton Oaks Research Library and Collection.



- გრიროსონი 1982:** P. Grierson. Byzantine Coins. Berkeley and Los Angeles, University of California Press.
- მუსხელიშვილი 1990:** დ. მუსხელიშვილი. დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა. დავით აღმაშენებელი, სტატიების კრებული, რედ. როინ მეტრეველი. თბილისი, მეცნიერება.
- პატარიძე 2019ა:** მ. პატარიძე. დავით აღმაშენებლის კიდევ ერთი ვერცხლის მონეტა სტეფანწმინდის მუზეუმიდან. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომები, № 17-1.
- პატარიძე 2019ბ:** მ. პატარიძე. იშვიათი ქართული სამეფო ტიტული და უნიკალური მონეტის ემიტენტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის. საისტორიო კრებული, ტომი 7.
- პახომოვი 1970:** Е. Пахомов. Монеты Грузии. Тбилиси, Мецниереба.
- სილოგავა 1980:** ვ. სილოგავა. (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა). ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები II. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.). თბილისი, მეცნიერება.
- სილოგავა 2006:** ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბილისი, არტანუჯი.
- ფალავა 2010:** ი. ფალავა. თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, № 1(7).
- ფალავა 2012ა:** I. Paghava. The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah. 3<sup>rd</sup> Assemani Symposium on Islamic Coins, Roma, 23-24 September 2011, Proceedings. Eds. Bruno Callegher and Arianna D’Ottone. Trieste.
- ფალავა 2012ბ:** I. Paghava. Silver Coinage of David IV the Builder with no Byzantine Title (Attribution, Dating, Significance). Pro Georgia, 22.
- ფალავა 2015:** ი. ფალავა. შუასაუკუნოვან საქართველოში ნუმისმატიკური ევოლუციის ანალიზი (VIII-XIII სს.). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადისერტაციო ნაშრომი.
- ფალავა 2019:** ი. ფალავა. სპილენძის მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით და საქართველოს მეფეთა წოდებულება. ნაწილი I, საისტორიო კრებული, ტომი 7.
- ფალავა, სპანდერაშვილი 2013:** I. Paghava, R. Spanderashvili. Georgian-Byzantine Type Coins of Giorgi II and Davit IV: New Specimens. *Journal of Oriental Numismatic Society* 216.
- ფალავა, სპანდერაშვილი 2015ა:** И. Пагава, Р. Спандерашвили. Обращение грузинских монет XI в. с византийским титулом монарха. *Нумизматические чтения Государственного исторического музея 2015 года. Москва, 30 ноября – 1 декабря 2015 г. Материалы докладов и сообщений.* Москва.
- ფალავა, სპანდერაშვილი 2015ბ:** ი. ფალავა, რ. სპანდერაშვილი. XI-XII საუკუნის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტები: მიმოქცევის ხასიათი. საისტორიო კრებული, ტომი 5.
- მეტრეველი 2008:** ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, მერიდიანი/არტანუჯი.
- ქებულაძე 1987:** რ. ქებულაძე. დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულებიანი ვერცხლის მონეტები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIX-B.
- ჭანიშვილი 2017:** ე. ჭანიშვილი. დავით IV აღმაშენებლის არაბულენოვანი მონეტის გარე წარწერა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XII.
- ჯაფარიძე 1995:** გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბილისი, მეცნიერება.



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3.



სურ. 4.



სურ. 5.



სურ. 6.



სურ. 7.

### CLIPPED COIN WITH THE EFFIGY OF THE VIRGIN AND ASOMTAVRULI LEGEND AND ITS ATTRIBUTION (ON THE CLASSIFICATION OF THE NUMISMATIC LEGACY OF DAVID IV THE BUILDER)

Irakli Paghava

In the article we reconsider the unique clipped coin of the Byzantine type, which has recently been re-attributed to Bagrat III (978-1014). We demonstrate that the iconography of the Virgin on this coin (Βλαχερνιτισ[σ]α and not Νικοποιός) excluded its minting before 1040s-1050s when this iconographic type was first depicted on the Byzantine coinage of Constantine IX. Therefore, we re-attribute this coin type back to David IV the Builder, in concordance with our earlier arguments published in 2012. We also provide a general classification of the numismatic legacy of David IV, based on results of the recent research.

## ქართული ჰაგიოგრაფია როგორც საისტორიო წყარო (კვლევები და მეთოდები)

სოფიო ქადაგიშვილი

საკითხის კვლევისას აუცილებელია ისტორიოგრაფიული ფონის წარმოჩენა, რომელიც მკვლევარს, ერთის მხრივ, საშუალებას მისცემს გაანალიზოს საკითხის შესწავლის მდგომარეობა, მეორეს მხრივ, გამოკვეთოს საკვლევი ობიექტები.

პროფესიული ისტორიის ჩამოყალიბების კვალდაკვალ გაიზარდა ინტერესი ისტორიული მეთოდების შესწავლისადმი და მათი ცვლილებებისადმი. სამეცნიერო კრიტიკა მკვლევრებში ახალი მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნის იდეას აღვივებდა და ისტორიული აზრის განვითარების მათეულ შეხედულებას საზოგადოდ ამკვიდრებდა. დღევანდელი გადმოსახედიდან წინა საუკუნეების ქართველ ისტორიკოსთა შრომები ქართული საისტორიო აზროვნების საინტერესო წყაროებს წარმოადგენს. XIX საუკუნიდან დღემდე ისტორიულმა მეცნიერებამ ძალზედ საინტერესო და მრავალფეროვანი განვითარების გზა განვლო. ისტორიული მეცნიერება ემსახურებოდა სიმართლის დადგენას, ახალი სიტყვის თქმას, უცნობი წყაროს გამოვლენას და მის პუბლიკაციას. რეალურად, სამეცნიერო სიახლედ უპირატესად ამგვარი შრომები მოიაზრებოდა. დროთა განმავლობაში სამეცნიერო სიახლის აღქმა შეიცვალა. ახალმა მიდგომებმა არსებული კვლევების სხვადასხვა გააზრება შემოიტანა. სიახლედ ფასდებოდა უკვე მრავალმხრივ შესწავლილი საკითხის გადააზრებაც. ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი ისტორიულ მეცნიერებას ახალი გამოწვევის წინაშე აყენებდა. ამ გამოწვევების გადალახვა კი ისევ ახალ მეთოდოლოგიას ავლენდა. ასე იცვლებოდა მკვლევართა თაობები და იქმნებოდა სამეცნიერო მემკვიდრეობა. წინა პერიოდებში ჩატარებულმა კოლოსალურმა შრომამ ისტორიკოსთა ნაწილი გარკვეულწილად ჩიხში შეიყვანა. ასრულებდნენ კი ისინი თავიანთ ფუნქციას?! სიახლის ძიებამ სამეცნიერო სიახლის მრავალფეროვნებამდე მიიყვანა მკვლევრები. ამრიგად, გაჩნდა ახალი მიმართულება, რამაც კვლევის ცენტრში მოაქცია თავად სამეცნიერო მემკვიდრეობა.

ჰაგიოგრაფიული ძეგლების კვლევებისადმი ინტერესი წამოჭრა ჩემი დისერტაციისათვის შერჩეულმა თემამ, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკურობის საკითხის შესწავლას ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით. შესაბამისად, აუცილებელი გახდა ჰაგიოგრაფიული ძეგლების კვლევის ისტორიის დამუშავება. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი მასალა, ბუნებრივია, სრულად ვერ ასახავს ყველა იმ შრომას, რომელიც ამ თემის გარშემო ისტორიული აზრის ფორმირებას აჩვენებს, თუმცა ფართო სურათს გვიქმნის ქართულ სამეცნიერო სივრცეში ჰაგიოგრაფიული ძეგლების, როგორც ისტორიული წყაროსადმი დამოკიდებულების, კვლევის მეთოდების და სამეცნიერო მიდგომების შესახებ.

მას შემდეგ რაც ისტორიკოსებმა აქტიურად დაიწყეს ისტორიული წყაროების პუბლიკაცია, გაჩნდა ინტერესი ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიმართაც. ნაწილი მკვლევრებისა ეთანხმებოდა ამ ტიპის თხზულებების ისტორიულ წყაროებად მიჩნევას, ნაწილი კი – არა. თანამედროვე ისტორიული მეცნიერება ჰიპერკრიტიკული მიდგომით გამოირჩეოდა საზოგადოდ ისტორიული ფაქტის აღდგენის პროცესში. ამგვარი მიდგომა, ცხადია, მხოლოდ ქართულ ისტორიოგრაფიას არ ახასიათებს, მსგავსი პროცესები ჩანს უცხოური ისტორიოგრაფიაშიც. ქართული და უცხოური ლიტერატურის შეჯერება კარგად გვაჩვენებს, რომ ქართული ისტორიული აზრის ფორმირება პარალელურად მიჰყვებოდა უცხოურს (ქართველი მკვლევრები არამხოლოდ ინტერესდებოდნენ და ეცნობოდნენ უცხოელი კოლეგების კვლევის მეთოდებს, არამედ ნერგავდნენ მათ პრაქტიკაშიც), თუმცა ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება მათი გამიჯვნაც (მხედველობაში მაქვს საბჭოთა პერიოდში გავრცელებული მარქსისტული თეორია, რომელმაც გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია ისტორიული კვლევები. ბუნებრივია, ეს ეხებოდა ჰაგიოგრაფიული ძეგლების კვლევებსაც).

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირობითად, ჰაგიოგრაფიული თხზულებების შესწავლის ისტორია შეგვიძლია ოთხ პერიოდად დავყოთ: პირველი იწყება XIX საუკუნიდან (ანუ იმ დროიდან, რაც ჩნდება კრიტიკული აზრი ისტორიულ მეცნიერებაში) და გრძელდება XX საუკუნის 20-იან წლებამდე; მეორე მოიცავს XX საუკუნის 30-50-იანი წლებს; მესამე – XX საუკუნის 60-80-იანი წლებს; და მეოთხეა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.

საქართველოში ჰაგიოგრაფიული ძეგლების კრიტიკული შესწავლა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. თხზულებების მკვლევარნი არ იყვნენ მხოლოდ ისტორიკოსები, არამედ ფილოლოგებიც. აქტიურ მეცნიერულ კვლევას წინ უძღოდა მიხაილ საბინინის მიერ 1882 წელს წმინდანთა ღვაწლის ამსახველი ტექსტების გამოქვეყნება.

ჰაგიოგრაფიული თხზულებების კვლევისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი 1879 წელს დიმიტრი ბაქრაძის ავტორობით გამოცემულ წიგნი „მირიან მეფე და წმინდა ნინო“. წიგნში არა მხოლოდ



ნმ. ნინოს „ცხოვრების“ ზედმიწევნით აღწერაა წარმოდგენილი, არამედ გადმოცემულია სხვადასხვა უცხოურ წყაროში დაცული მნიშვნელოვანი ინფორმაცია მეფე მირიანის პერიოდზე. ქართლის მეფის მოღვაწეობა კი წყაროთა კრიტიკული მიდგომით საერთაშორისო კონტექსტში აქვს გააზრებული ავტორს (ბაქრაძე 1879). საინტერესოა ისიც, რომ აღნიშნული გამოცემა არ იყო განკუთვნილი მხოლოდ ისტორიკოსთა ან ფილოლოგთა ვიწრო წრისათვის; ის მიზნად ისახავდა საზოგადოების ფართო მასებისათვის ინფორმაციის მიწოდებას. ისტორიული კრიტიკა საზოგადო იყო და, შესაძლოა, ამგვარი მიდგომა საზოგადოების დაკვეთიდანაც მოდიოდა. ავტორი წუხდა, რომ შრომების ერთიანი გამოცემა ვერ მოხერხდებოდა, იმიტომ რომ ხალხისთვის უფრო ძვირი იქნებოდა წიგნის შეძენა. ამიტომაც გადაწყდა კვლევის ნაწილ-ნაწილ გამოცემა.

ჰაგიოგრაფიული თხზულებების კვლევა უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდა XX საუკუნის დასაწყისიდან. ამ დროს სამეცნიერო ასპარეზზე გამოდიან ისეთი გამორჩეული მკვლევრები (ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებ მხოლოდ მათზე, ვინც იკვლევდნენ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს), როგორებიც არიან ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, მ. ჯანაშვილი, ს. ყუბანეიშვილი. გარდა უამრავი საკითხისა, რომელიც კვლევის ფოკუსში აღმოჩნდა, ყურადღება მიექცა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებსაც. იქიდან გამომდინარე, რომ ტექსტები უცნობი იყო ხალხისთვის, მკვლევრებმა მიზნად დაისახეს უპირველეს ყოვლისა, ტექსტები მიეტანათ მკითხველამდე. არამხოლოდ ორიგინალი ტექსტები, არამედ მოკლე შინაარსებიც. გამოცემები არ იყო განკუთვნილი მხოლოდ სამეცნიერო წრეებისათვის, ავტორები ცდილობდნენ ჰაგიოგრაფიული თხზულებები მიეტანათ ფართო მკითხველამდე. შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის ბოლოს ისტორიკოსის პროფესია უფრო მეტად სახალხო იყო, ვიდრე XX საუკუნის მეორე ნახევარში. ბეჭდურმა მედიამ ხელი შეუწყო ინფორმაციის გავრცელებას და განათლების დონის ამაღლებას. ქართული წყაროების საცავი, რომელიც ხელმიუწვდომელი იყო საზოგადოების ფართო წრეებისათვის, მეტნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა. ისტორიკოსთა წრე, რომელიც წინა საუკუნეებში უფრო ელიტარული იყო (შეიძლება ითქვას, გადაფასდა ისტორიკოსის ხელობა, მას კი არ უნდა აღწერა, არამედ კრიტიკულად გაეანალიზებინა ფაქტი, ისტორიკოსობა რჩეულთა ხვედრი იყო, იდეოლოგიზებული და გარკვეულწილად საკრალური), გაფართოვდა და საზოგადოების სხვადასხვა ფენა მოიცვა. ამრიგად, XIX საუკუნის მკვლევართა საქმიანობა მოიცავდა შემდეგს: ტექსტის დადგენა, ატრიბუცია, პერიოდის განსაზღვრა, დედნის გამოვლენა და შინაარსის დაბეჭდვა. ისტორიკოსები აღიარებდნენ ჰაგიოგრაფიული თხზულებების, როგორც სანდო წყაროების, გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. მაგალითად, ისტორიული სინამდვილის აღდგენისათვის არ იყენებდნენ ამ წყაროებში აღწერილ სიზმრებს, გამოცხადებებს, დიალოგებს, სასწაულებს. ამგვარი დამოკიდებულების პარალელი, შესაძლოა, გავავლოთ დასავლურ ისტორიოგრაფიასთან, რომელმაც განსაზღვრა ჰაგიოგრაფიული წყაროების კვლევითი პოტენციალი. აქტიურად ბეჭდავდნენ ტექსტების რედაქციების მიხედვით, რომელსაც თან ერთვისდა მოკლე შინაარსიც. დაიწყო მსჯელობა წყაროთა სანდოობაზე (ასეთ მსჯელობას გარკვეული სახით დღემდე ვხვდებით), თუ რომელი ძეგლი იყო უძველესი, ვინ იყო ავტორი, როდის დაიწერა, რა ურთიერთმიმართებებია რედაქციებს შორის, როგორ ამდიდრებს ჰაგიოგრაფიული წყარო „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციას და, პირიქით.

წიგნის გამოცემა ძვირადღირებული სიამოვნება იყო მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში. სხვადასხვა კვლევის შესავალ ნაწილში ვხვდებით ჩანართებს, რომ ავტორებს გაუჭირდათ ბეჭდვა ქალაქის უქონლობის ან უსახსრობის გამო. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ახერხებენ პუბლიკაციას. როგორც ჰაგიოგრაფიაზე მომუშავე მკვლევრები აღნიშნავენ ჰაგიოგრაფიებზე მუშაობა იმ დროისათვის შეიძლება შეფასებული ყოფილიყო როგორც ზღვაში წვეთი იმ შესაძლო კვლევებთან, რისი პოტენციალიც ჰქონდა ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს.

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ:

ჩვენს ახალ საისტორიო მწერლობაში ქართულ საისტორიო წყაროების კრიტიკულს შესწავლას ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევენ. ერთად-ერთი საკითხი, რომელიც საჭირობოროტოდ ითვლებოდა, ქ.ც.-ის (ქართლის ცხოვრება, – ს.ქ.) საკითხია და აქაც ამ კრებულის შესწავლას მკვლევართა უსაფუძვლო კრიტიკა შეუწყობდა ხოლმე ხელს და ქართველ ისტორიკოსთა მაძიებელ აზრს აღვიძებდა (ჯავახიშვილი 1921: XI).

ისტორიული მეცნიერების ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე ცხოველი იყო ინტერესი ერთიანი საქართველოს ისტორიის შექმნისა. ამ პროცესში უფრო მეტი სანდოობით სარგებლობდა ოფიციალური საისტორიო თხზულებები და აქტები. ამის გამო მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სრულიად შეუსწავლელი იყო ისეთი საყურადღებო, შინაარსიანი და დიდმნიშვნელოვანი დარგი, როგორიც არის ქართველ მარტვლთა და წმიდათა ცხოვრებანი (ჯავახიშვილი 1921: XII)“.

აღძრული ინტერესის მიუხედავად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე არცთუ ბევრია იმ ნაშრომთა რიცხვი, რომელიც ჰაგიოგრაფიული ძეგლების კვლევას ისახავდა მიზნად.

ჰაგიოგრაფიული თხზულებების, როგორც საისტორიო წყაროს მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულების გარდა, ზემოაღნიშნულ პერიოდში განსხვავებული იყო მკვლევართა მეცნიერული ეთიკაც. აღნიშნული პერიოდი თამამად შეიძლება დავასახელოთ ბევრი მიმართულებით კრიტიკის საწყის პერიოდად, თუმცა

კრიტიკა ზოგჯერ იყო საკმაოდ მწვავე თითქმის გასული სამეცნიერო ეტიკის ჩარჩოებიდან. მაგალითად, მოსე ჯანაშვილის 1909 წელს გამოსულ „ქართულ მწერლობაში“ ვხვდებით პოლემიკას ივანე ჯავახიშვილის მიმართ. მათ განსხვავებული ხედვა ჰქონდათ წმ. სერაპიონ ზარზმელის წამების წელთან დაკავშირებით. მ. ჯანაშვილი ირონიით წერდა ჯავახიშვილზე: „ნაიკითხეთ ჯავახიშვილის ცალმხრივი და ცალფეხა ისტორიოგრაფია, რომელსაც იგი ეძახის „ქართველი ერის ისტორიას“ (ჯანაშვილი 1909: 108-109). 1916 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად“ – ვკითხულობთ ივანე ჯავახიშვილის შეფასებას:

სირცხვილი ქართულ თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას რომ მ. საბინინის უვარგის გამოცემას („საქ. სამოთხე“) და ორიოდ სხვა მდარე ღირსების გამოცემის გარდა ქართველ მარტვლთა და წმიდათა ცხოვრებათა ერთი ხეირიანი მეცნიერული გამოცემა არ მოგვეპოვება (ჯავახიშვილი 1916: XXX).

ამ პერიოდის პუბლიკაციებში ხშირად არც მითითებებია, განსხვავებულია წერის სტილიც. აღიარებულ მკვლევრებთანაც ვხვდებით ხან ისეთ მტკიცებებს, სადაც არც წყაროს ასახელებენ და არც მითითება არ ჩანს, თუმცა ეს გარემოება სულაც არ აბრკოლებთ გააკეთონ დასკვნა.

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ნიმუშების გარდა მკვლევრები სულ უფრო და უფრო ინტერესდებოდნენ ნათარგმნი ძეგლებით. შეძლებისდაგვარად აკვირდებოდნენ დასავლეთის მეცნიერების მაჯისცემას. ეცნობოდნენ ბოლანდისტების სკოლას, რომელთაც სისტემურად შეისწავლეს ჰაგიოგრაფიული ძეგლები და ყურადღება გაამახვილეს ქრისტიანი მარტვილების მოქმედებებზე და ვნებებზე. მათი მიზანი იყო აღედგინათ ისტორიული გენეზისი და ტექსტების საფუძველი, წმინდანთა ჰაგიოგრაფიულ დოსიეში მოთავსება, მონესრიგება და მათი, როგორც კულტებად, აღმოცენება. იწერებოდა რეცენზიები ბოლანდისტების იმ ნაშრომებზე, რომელიც ძირითადად ქართულ ჰაგიოგრაფიას ან მის ავტორს ეხებოდა.

ტექსტების, ორიგინალური თუ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ნიმუშების გამოცემა XX საუკუნის 30-50-იან წლებშიც გაგრძელდა (ი. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ი. აბულაძე, ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ს. ყუბანეიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი). ი. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე აგრძელებენ ჰაგიოგრაფიული თხზულებების კრიტიკულ შესწავლას. პრაქტიკულად ერთდროულად დაიწყო ამგვარი ძეგლების ფილოლოგიური და ისტორიული კუთხით შესწავლაც. ისტორიკოსების მხრიდან ამგვარი ძეგლები მიიჩნეოდა საისტორიო თხზულებებად, ოღონდ ინფორმაციის გამოყენება ხდებოდა დიდი სიფრთხილით, ზოგი რამ, მაგალითად, სასწაულები და სიზმრები მკვლევართა კრიტიკას იმსახურებდა. აღნიშნული ტიპის ჩანართები, მკვლევართა აზრით, მეტად „აუბრალოებდა“ ტექსტს. ბუნებრივია, ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ ჰაგიოგრაფიული ძეგლებისადმი არ იყო. ნაწილი მკვლევრებისა სკეპტიკურად უდგებოდა ოფიციალური საისტორიო თხზულებების წყაროდ გამოყენებას მსგავსი პასაჟების გამო. ამგვარი დამოკიდებულება გასაგებიცაა, ქართული ისტორიოგრაფიის გაჩენის გარიჟრაჟზე საჭირო გახდა სანდრო წყაროების დადგენა და მათი შემოსაზღვრა, ისტორიის საერთო კონტექსტში დანახვა. მსგავსი დამოკიდებულება კარგად ჩანს 1946 წელს ს. ყუბანეიშვილის ავტორობით გამოცემულ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“, სადაც ავტორი მიუთითებს, რომ წიგნის მოცულობა საშუალებას არ აძლევდა ტექსტები სრულად დაებეჭდა, ამიტომ ავტორმა შემოკლება გადაწყვიტა და რიტორიკული ნაწილის და სასწაულების ამოღებით შეამცირა მათი მოცულობა. XX საუკუნის 20-იანი წლების მსგავსად, აღნიშნულ პერიოდშიც ჰაგიოგრაფიულ წყაროებზე წვდომა არ იყო იოლი. მკვლევრის აზრით, ქართული ლიტერატურის კვლევას რამდენიმე გარემოება ართულებდა:

ლიტერატურის ძეგლები, უმეტეს შემთხვევაში, ჯერ კიდევ არაა გამოცემული; 2. უდიდესი ნაწილი გამოცემული ძეგლებისა კრიტიკულ, აკადემიურ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს; 3. თან ასეთი ძეგლები დღეს წიგნის ბაზარზე აღარ მოიპოვება და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს (ყუბანეიშვილი 1946: 9).

შემდგომ წლებში იზრდება სომხური, ბიზანტიური, სირიული, კოპტური ქართულად ნათარგმნი ჰაგიოგრაფიების გამოქვეყნება და შესწავლა.<sup>1</sup> ჰაგიოგრაფიული ძეგლების კვლევა ახალ საფეხურზე გადავიდა. გამოიკვეთა ჰაგიოგრაფიის მიზანი, კლიშეები, ქართული და უცხოური ჰაგიოგრაფიის ნიმუშების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები. განისაზღვრა თარგმანების პერიოდი. საკვლევი სფეროს გაზრდად ისტორიკოსები და ფილოლოგები უფრო მეტად დააინტერესა ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებით. საგულისხმოა ერთი გარემოება: ჰაგიოგრაფიული თხზულებების მკვლევართა შორის, ერთის მხრივ, იზრდება პატრიოტული, ეროვნული სულით დამუხტული შრომები,<sup>2</sup> მეორეს მხრივ, საინტერესოდ წარმოჩინდება აღნიშნული წყაროები მარქსისტული თეორიის ჩარჩოში. ამგვარი ტიპის წყაროების კვლევის ორმაგი სტანდარტი განსაკუთრებით თვალში საცემია XX საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ პერიოდში, როდესაც არსებულმა პოლიტიკურმა მოცემულობამ არა მხოლოდ პოლიტიკური სტანდარტი დაამკვიდრა, არამედ კვლევის მეთოდებიც განსაზღვრა მეცნიერებაში, მარქსისტული მეთოდოლოგია განსაკუთრებით საზიანოდ აისახა საისტორიო კვლევებზე. აქედან გამომდინარე, მკვლევრები შედარებით ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპებზე, ეროვნულ იდეალებზე და ღირებულებებზე. ეს არ გულისხმობს, რომ

საბჭოთა პერიოდში შეწყდა ჰაგიოგრაფიული ქმნილებების კვლევა, თუმცა მ. ალექსიშვილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, მათ აშორებდნენ ე.წ. „ჭუჭყიან წყალს“, ანუ ქრისტიანულ მოტივებს (ალექსიშვილი 1957: 249).

მ. ალექსიშვილი სრულიად არ გამორიცხავს ჰაგიოგრაფიული წყაროების შესწავლას სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-კულტურული და კლასობრივი ბრძოლების კუთხით, თუმცა გამართლებულად არ თვლის მათ, როგორც საეკლესიო ლიტერატურად დამკვიდრებას. რამდენადაც რელიგია იყო შევიწროვებული, იმდენად სასულიერო ლიტერატურის კვლევის მეთოდები შეიცვალა. საქმე იმაშია, რომ არც წმინდანთა კულტები და არც ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი მოტივები არ იყო მიმზიდველი მკვლევართა დიდი ნაწილისთვის. მარქსისტული იდეოლოგია იგრძნობოდა შრომების დიდ ნაწილზე, რაც სავსებით გასაგებია თუკი გავითვალისწინებთ იმ პერიოდის ცენზურას. მაგალითისათვის, კ. კეკელიძემ, რომელმაც კოლოსალური შრომა განაია (წარმოუდგენლად დიდა მისი დამსახურება ჰაგიოგრაფიული წყაროების კვლევის კუთხით) ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების კვლევაში და შეძლებისდაგვარად დაცლილია აღნიშნული გაბატონებული თეორიისგან, საინტერესოა მისი ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია, სადაც არა მხოლოდ შესავალს, არამედ კვლევის ძირითად ნაწილს აქვს მარქსისტული ელფერი, თანაც ისე ოსტატურად, რომ დაკვირვებული თვალი კარგად მიხვდება რა არის კვლევის „ბაზისი“ და „ზედნაშენი“ (წიგნი გამოუცია: „ა.თ. მიასნიკოვის წითელდროშოვან სტამბას“ ა.კ. პარტგამომცემლობას). კვლევა იწყება შემდეგი ჩანართით:

ქართულ ლიტერატურას სრული 15 საუკუნის ისტორია აქვს; ამ ხნის განმავლობაში მან რანდენიმე ჰეგემონი გამოიკვალა; ჯერ იყო და, მის დროშაზე იკვეთებოდა ლოზუნგები ქედმაღალი ფეოდალისა, მერე – ჩვენში ხანმოკლე და უსუსური ბურჟუაზიისა, უკანასკნელად ამ დროშას ხელი ჩასჭიდა ახალი ცხოვრების შემქმნელმა პროლეტარიატმა, რომელიც გაბედულად და ღირსეულად მიაქანებს მას უკლასო საზოგადოების სამყაროსკენ (კეკელიძე 1933: 3).

კ. კეკელიძის ზემოაღნიშნული მონოგრაფია თვალშისაცემად გამოირჩევა მისი მრავალფეროვანი შრომებისგან იმ ნიშნით, რომ მონოგრაფია თავისებური სტილით არის დაწერილი. გარდა სტილისა, ეს ნაშრომი წარმოადგენდა ერთგვარ ნიმუშს, რომლის მიხედვით მეცნიერები იძულებულნი იყვნენ ეწერათ „ყველაფრისთვის“ მოსარგები თეორიის ფარგლებში.

გარდა ამ მიდგომისა, ღვივდებოდა აზრი, რომ ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები ღრმა ეროვნული გრძნობების და იდეოლოგიის მატარებელი იყო. პავლე ინგოროყვა აბო თბილელის „წამებას“ ახასიათებდა, როგორც ერთ მეტად მნიშვნელოვან ძეგლთაგანს ძველ ქართულ მწერლობაში, რომელშიაც ეროვნული მიმართულება ასე მკვეთრად არის გამოსახული (ინგოროყვა 1939: 122).

ქართულ ძეგლებზე დაყრდნობით კ. კეკელიძემ დაასკვნა, რომ: „აღნიშნულ ხანაში (X საუკუნეში, – ს.ქ.) მძლავრად იფეთქა ქართველებში ეროვნულმა სულისკვეთებამ, ფრთები შეისხა ეროვნულმა თვითშეგებამ“ (კეკელიძე 1941:41).

შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში, ერთის მხრივ, ვხვდებით შრომებს, სადაც აქცენტი კეთდება საერთო ეროვნულ იდეალებზე და, მეორეს მხრივ, ისეთ კვლევებს, სადაც აქცენტირებულია ხალხისა და ეკლესიის ბრძოლა, ე.წ. მჩაგვრელებისა და ჩაგვრელების წიდილი, ამგვარი მოტივი კი სამეცნიერო სტატიებს ახასიათებთ 80-იანი წლების ბოლომდე.

ბოლო პერიოდში გამოცემულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (და, სხვათა შორის, ეს ასეა დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც) ავტორები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რომ ჰაგიოგრაფიული ძეგლებით ძირითადად ფილოლოგები ინტერესდებიან, რომ ამ ტიპის ძეგლები ხშირად არ ექცევა ისტორიკოსთა ყურადღების არეალში, რომ მათ ფილოლოგები იკვლევდნენ.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვკითხულობთ იმასაც, რომ სწორედ ბოლო პერიოდში დაიწყო ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების კრიტიკული შესწავლა და დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კონტექსტში აქტიურად გამოიყენება ტერმინი „კრიტიკული ჰაგიოგრაფია“ (critical hagiography). ეს ტერმინი მიესადაგება ისეთ კვლევებს, რომლებშიც კრიტიკული მიდგომით ხდება ჰაგიოგრაფიული ჟანრის ძეგლების დამუშავება.

საინტერესოა რა ხდებოდა ამ კუთხით ქართულ ისტორიოგრაფიაში XX საუკუნის 60-80-იან წლებში. არსებული ქართული კვლევების თუ რეცენზიების ფონზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ პერიოდში აქტიურად დაისვა საკითხი, თუ რა ტიპის ძეგლს წარმოადგენდა ჰაგიოგრაფია? ვისი კვლევის ობიექტი იყო; ისტორიკოსის თუ ფილოლოგის? ფაქტია, ფილოლოგები აღიარებდნენ მის ლიტერატურულ მნიშვნელობას, ისტორიკოსები ისტორიულს. რ. სირაძე, ისევე როგორც სხვა არაერთი ფილოლოგი აღნიშნავდა, რომ არასწორი იყო ჰაგიოგრაფიული ჟანრის ძეგლების საისტორიო თხზულებებად მიჩნევა მათი ბუნებიდან გამომდინარე. აღნიშნულ პრაქტიკას მკვლევრები უკავშირებენ ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულებას, რომელიც ისტორიული ფაქტის დასადგენად ჰაგიოგრაფიულ წყაროებსაც მიმართავდა. ეს უკანასკნელი, კი თითქოს ვ. კლიუჩევსკიდან საზრდოობდა, რომელმაც ჰაგიოგრაფიას საისტორიო მწერლობა უწოდა. ამგვარ პოლემიკაში ერთვებიან გ. ფარულავა, ლ. მენაბდე და სხვანი.



მაგალითად „ლიტერატურულ საქართველოში“ რ. სირაძე აღნიშნავდა, რომ:

აგიოგრაფიული ლიტერატურის სპეციფიკურ დანიშნულებას არ შეადგენდა ასახულიყო ისტორია, მისმა თავისებურმა ლიტერატურულმა ხასიათმა განსაზღვრა მასში ისტორიზმის სიჭარბე. ისტორია მისთვის საშუალება იყო და არა მიზანი (სირაძე 1967: 2).

ფილოლოგების ნაწილი ირწმუნებოდა, რომ ჰაგიოგრაფია ბელეტრისტიკაა და მას არაფერი აქვს საერთო ისტორიასთან. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა კიდეც შეხედულება, რომ ჰაგიოგრაფიებით ძირითადად ფილოლოგები ინტერესდებოდნენ, მაგრამ ფაქტია, ორივე მიმართულების მკვლევარნი ცდილობდნენ ჰაგიოგრაფიული ძეგლები თავიანთი კვლევის სფეროდ წარმოეჩინათ.

რ. სირაძის ზემოთ აღნიშნული კვლევა წარმოადგენს გამომხაურებას მ. ლორთქიფანიძის წიგნზე „ადრეფეოდალური ხანის ქართულ საისტორიო მწერლობაზე“ (1966 წ.), სადაც ავტორი ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროებად მოიხსენიებს და ხაზს უსვამს ამ მხრივ მათ ფასდაუდებელ მნიშვნელობას:

მათი ძირითადი ფაბულა ამა თუ იმ პირის „წამებას“ ან „მოღვაწეობას“ ასახავს. მაგრამ ფაბულის ფონზე მოცემულია ქვეყნის ისტორია, წარმოდგენილია ავტორის მსოფლმხედველობა და მისი დამოკიდებულება ისტორიული მოვლენებისადმი... ამდენად ჰაგიოგრაფიული ჟანრი ისტორიული ხასიათის თხზულების ერთ-ერთ ფორმად გვევლინება (ლორთქიფანიძე 1966: 12).

წინა წლებისაგან განსხვავებით, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იზრდება ინტერესი ჰაგიოგრაფიული ძეგლებისადმი, ეს აისახა კვლევების რაოდენობაზეც, რომლებიც კვლევის ფოკუსში ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს აქცევდნენ. გარდა სამეცნიერო კრებულებისა, მონოგრაფიებისა და ჟურნალებისა, 1957 წელს დაიწყო განახლებული ჟურნალი „ცისკარის“ გამოცემა. „ცისკარში“ იბეჭდებოდა ლექსები, პოემები, რომანები, მოთხრობები, თუმცა ხშირად ვხვდებით სამეცნიერო ხასიათის წერილებსაც, მათ შორის ისეთ წერილებს, რომლებიც ეხება ჰაგიოგრაფიულ წყაროებს. შრომები არ იყო განკუთვნილი მკითხველთა მხოლოდ ვიწრო წრისთვის, არამედ სტატიების მიზანი იყო სიტყვის ფართო მკითხველამდე მიტანა. ამგვარი დატვირთვა ჰქონდა „ლიტერატურულ საქართველოსაც“. მკვლევრები და მათი შრომები მეტად ხდებოდნენ პოპულარული საზოგადოების დიდ ნაწილში, ისინი იქცნენ ავტორიტეტებად, რომელთა სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში. საბჭოთა იდეოლოგია ცდილობდა ამ ვითარების მის სასიკეთოდ გამოყენებას. საბჭოური იდეოლოგიით დამუხტული მკვლევართა შრომები გარკვეულ სტერეოტიპებსაც აყალიბებდა და საზოგადოების ცნობიერებას გარკვეული მიმართულებით წარმართვას უწყობდა ხელს. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ჭარბობს ისეთი კვლევები, რომელიც ეხება ჰაგიოგრაფიის ჟანრობრივ თავისებურებებს, ტექსტების გაშიწარსებას, ტექსტების გამოცემას.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოიკვეთა ახლებური მიდგომები. ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ყურადღება გამახვილდა პერსონაჟის ადამიანურ ბუნებაზე, წამების და ცხოვრების დამახასიათებელ ნიშნებზე, მსგავსებებზე, განსხვავებაზე, ცხოვრებასა თუ წამებაში პერსონაჟების რაოდენობაზე და სხვა.<sup>3</sup> გარდა ამისა, არ წყდებოდა ინტერესი სხვადასხვა ჰაგიოგრაფიული ძეგლების დათარიღებისადმი. საგულისხმოა ერთი გარემოება. გაფართოვდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა, წყაროთმცოდნეობითმა კვლევებმა კი ქართული ისტორიოგრაფია განვითარების სხვა ეტაპზე აიყვანა, თუ კი წინა პერიოდის შრომებში (იგულისხმება ისეთი შრომები, რომლებიც ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს იკვლევს) ავტორები ძირითადად ყურადღებას რამდენიმე ასპექტზე ამახვილებდნენ (რაც ხანდახან კვლევის ზედაპირულობას იწვევდა და სამეცნიერო კვლევასაც სცილდებოდა), XX საუკუნის 70-იანი წლებიდან უფრო მეტად იქმნება ისეთი შრომები, რომლებიც რაიმე კონკრეტული ამოცანის გადაჭრას ემსახურებოდა. მაგ. თარიღის დადგენა, ავტორის გაგება, რედაქციების მიმართება და სხვა. კონკრეტულმა კვლევებმა უფრო მეტად გამოკვეთა ჰაგიოგრაფიის ჟანრობრივი თავისებურებანი. სად უფრო მეტი პერსონაჟი გვხვდება, „ცხოვრებაში“ თუ „წამებაში“; გამოვლინდა, რომ ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში უფრო მეტი ლოცვაა ჩართული, ვიდრე ქართულში, ავტორი როგორ არის ჩართული სიუჟეტის მოქმედებაში და სხვა.<sup>4</sup> გარდა ამ საკითხებისა მონოგრაფიების დონეზე გაეცა ხაზი ჰაგიოგრაფიული ძეგლების მნიშვნელობას ისტორიის კვლევის დროს.

როგორც ჩანს, ჰაგიოგრაფიული ძეგლებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება იყო XX საუკუნის 80-იან წლებში. ამას მოწმობს ის შრომები, რომლებიც მიეძღვნა ჰაგიოგრაფიული ძეგლების ჟანრობრივ კუთვნილებას. ქართული ჰაგიოგრაფიის ბელეტრისტიკულ ბუნების შესახებ აზრს დაუპირისპირდა გ. ალასანია და ზ. ალექსიძე, რომლებმაც 80-იან წლებში ხაზი გაუსვეს ქართული ჰაგიოგრაფიას როგორც ღირებულ ისტორიულ წყაროს (ალასანია 1983; ალექსიძე 1985), გარდა ამისა ზ. ალექსიძემ ყურადღება გაამახვილა სიზმრებზე, როგორც საკვანძო ჩანართზე ქართულ ჰაგიოგრაფიაში. ფაქტობრივად მას შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღარ დასმულა კითხვა იმის თაობაზე თუ რა როლი უკავია ამ ძეგლებს ისტორიული სინამდვილის დადგენის პროცესში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულ მეცნიერებას საშუალება მიეცა გაცნობოდა დასავლურ ისტორიოგრაფიას, რომელიც ბევრად წინ იდგა, ვიდრე საბჭოური მეცნიერება. დასავლურ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობამ და გარკვეული ჩარჩოების მოშლამ შექმნა ხელსაყრელი ვითარება არა მხოლოდ საქართველოს ისტორიის ცალკეული პერიოდის გადაზრების, არამედ წყაროთა განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის. ერთის მხრივ, გაიზარდა ჰაგიოგრაფიებზე, როგორც ისტორიულ წყაროებზე ინტერესი, მეორეს მხრივ, ჰაგიოგრაფიებში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, რომლებიც განსხვავებულ ხედვას იძლეოდა საზოგადოების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. უფრო სწორედ რომ ვთქვათ ჰაგიოგრაფიული ძეგლები ისტორიოგრაფიას დაეხმარა ეკვლია ისტორია ქვემოდან.

დღესდღეობით ქართულ ჰაგიოგრაფიას არაერთი ისტორიკოსი თუ ფილოლოგი იკვლევს. ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა იუმორის ფენომენი ქართულ ჰაგიოგრაფიაში (ვაჩნაძე 1998); ეროვნული ტენდენციები (ჯიჯეიშვილი 1999); ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის დამახასიათებელ კლიშეები (მირაშვილი 2009); საღვთისმეტყველო საკითხები (დათაშვილი 2004), ქვაბისა და უდაბნოს კონცეფცია ასურელი მამების ცხოვრებაში (მერკვილაძე 2005); წმინდა ერთობა და ეთნიკურობის მარკერები გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში (ჩხარტიშვილი 2006); ცხოვრების და წამების შესავლის რაობა და ბუნების სურათის აღბეჭდა ქართულ ჰაგიოგრაფიაში (გვეტაძე 2010); ბიბლიური სიმბოლიკა ქართულ ჰაგიოგრაფიაში (მოსია 2011); ეთნიკურობის საკითხი ქართულ ჰაგიოგრაფიაში (ქადაგიშვილი 2013/2014). ბუნებრივია, აღნიშნული ნუსხა სრულებითაც არ ამონურავს იმ მკვლევართა და შრომების სიას, რომლებიც ჰაგიოგრაფიაზე მუშაობენ, თუმცა ამ შემთხვევაში გამოვყავი ის საკითხები, რომლებიც თვისებრივად პრობლემის ახლებურ დასმას ისახავს მიზნად ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ორი ათეული წელი ყველაზე პროდუქტიული იყო ჰაგიოგრაფიების კვლევის კუთხით. გარდა დასმული საკითხებისა, დღემდე არ წყდება ინტერესი ჰაგიოგრაფიების ავტორების დაბუსტების, რედაქციების შედარების და წმინდა წყაროთმცოდნეობითი თუ ლიტერატურული კვლევების მხრივ.

ფაქტია, ქართული ჰაგიოგრაფიით დაინტერესება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის გაჩენისთანავე ხდება. ტექსტებისა თუ მოკლე შინაარსების ბეჭდვასთან ერთად იზრდება ინტერესი ეროვნული გმირების ხატებისა, ისტორიული პერსონაჟების გამოკვეთაში მკვლევრები აქტიურად იყენებდნენ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსაც.

მიუხედავად ჰაგიოგრაფიული კვლევების განვითარების საფეხურებისა, მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან 80-იანი წლების დასასრულამდე კვლევების მნიშვნელოვან ნაწილს აქვს ერთი საერთო ნიშანი: ისტორიული თუ ლიტერატურათმცოდნეობითი პრაქტიკის მარქსისტული თეორიული საფუძველი. ვფიქრობ, საბჭოთა პერიოდში გამეფებულმა ანტირელიგიურმა პრაქტიკამ გარკვეულწილად ნეგატიურად იმოქმედა ჰაგიოგრაფიული ძეგლების კვლევებზე. მარქსისტულმა მიდგომამ, რომელმაც გარკვეული ჩარჩო დაუნესა ჰაგიოგრაფიის კვლევას, შეზღუდა განმაზოგადებელი კვლევები. შესაბამისად ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის უფრო ღირებული ნაშრომები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა, კონკრეტული ხასიათისაა. ფილოლოგების შრომები, რომლებიც კვლევის ფოკუსში ჰაგიოგრაფიებს აქცევდნენ, ბევრად უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ისტორიკოსების შრომები. მართალია ჰაგიოგრაფიული ძეგლები თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის გაჩენისთანავე მოექცნენ ისტორიკოსთა დაკვირვების ქვეშ, მაგრამ მაინც საბჭოთა პერიოდის მასშტაბით ფილოლოგები უფრო მეტად ინტერესდებოდნენ ჰაგიოგრაფიით, ვიდრე ისტორიკოსები.

საბჭოთა იდეოლოგიამ შეცვალა მკვლევართა წერის მანერაც კი. ეს ძალიან კარგად აღიქმება ისეთი მკვლევრების ნაშრომებში, რომლებიც აღნიშნულ პერიოდამდეც წერდნენ და მის მერეც. მაგალითად ი. ჯავახიშვილის კვლევებში ამ ტიპის წყაროების მიმართ დამოკიდებულება ერთგვარი არ არის. საქმე ისაა, რომ თუ კი საბჭოთა რეჟიმამდე ავტორი ყურადღებას უფრო მეტად ამახვილებს ქართველი ერის თვითგამორკვევის პრინციპზე და ჰაგიოგრაფიული ძეგლების მრავალამხრივ პოტენციალზე, საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მის შრომებსაც დაეტყო მკაცრი სახელმწიფო იდეოლოგია, რაც მკვლევრის შრომებში აისახა რელიგიური პირების მიმართ არცთუ მაინცდამაინც დადებითი დამოკიდებულების გამომჟღავნებით:

ყურადღების ღირსია, რომ გიორგი მერჩულე, გიორგი ხანძთელი და მისი მოწაფეები სხვებივით გონება-დახშულს, მხოლოდ წირვა-ლოცვით გართულსა და სხვა არაფრისთვის მზრუნველ მონაზონთა წრეს არ ეკუთვნოდა (ჯავახიშვილი 1977: 124).

საბჭოთა იდეოლოგიის დამახასიათებელი ნიშნები იკვეთება კ. კეკელიძის, რ. ბარამიძის, შრომებშიც, ისე როგორც საბჭოთა პერიოდის დროს მოღვაწე მკვლევართა დიდ ნაწილში. საბჭოთა წნეხი განსაკუთრებულად დიდი იყო მეცნიერების მიმართ, ისინი ხომ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ავტორიტეტების აზრი კი მისაღები იყო საზოგადოების დიდ ნაწილში.

თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში ქართულ ჰაგიოგრაფიას არაერთი ისტორიკოსი და ფილოლოგი იკვლევს. კვლევებიდან გამომდინარე თანდათან მრავალფეროვანი ხდება დასმული საკითხები. ეს კვლევები კიდევ უფრო გვარწმუნებენ ამ ტიპის წყაროების მრავალმხრივ შესაძლებლობებში.

## შენიშვნები

- <sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. (ჯავახიშვილი: 1935); (აბულაძე: 1944); (კეკელიძე: 1945); (კეკელიძე: 1955); (კეკელიძე: 1957), (ყაუხჩიშვილი: 1949); XX საუკუნის 80-იან წლებში მოხდა რუსული ჰაგიოგრაფიების ბეჭდვაც. იხ. ბუაჩიძე: 1982.
- <sup>2</sup> იხ. (ბარამიძე: 1957); (მეტრეველი: 1950); (კეკელიძე: 1945).
- <sup>3</sup> აღნიშნულ საკითხზე იხ. (ბარამიძე: 1957); (ბარამიძე : 1988); (შენიშნული 1986: 56-71).
- <sup>4</sup> ქართული ჰაგიოგრაფიების თავისებურებაზე იხ. (ბაკაშვილი: 1977); სასწაულებსა თუ სიზმრებზე და გმირების წარმოჩენაზე იხ. (აფციაური: 1984); წმ. ნინოს დათარიღებაზე იხ. (ჩხარტიშვილი: 1987); ავტორისეულ სახესა და სიზმრებზე იხ. (ბარამიძე: 1988).

## დამონებანი

- აბულაძე 1944:** ი. აბულაძე. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი.
- ალასანია 1983:** გ. ალასანია. ჰაგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის შედარებითი შესწავლისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4.
- ალექსიშვილი 1957:** მ. ალექსიშვილი. ქრისტიანული რელიგიის გაგებისა და შეფასების საკითხისათვის, თბილისი, სახელგამი.
- ალექსიძე 1985:** ზ. ალექსიძე. ქართუკი წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- აფციაური 1984:** ჯ. აფციაური. იდეური ბრძოლის მხატვრული ასახვის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ ჰაგიოგრაფიაში: V-XI სს. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ბაკაშვილი 1977:** ვ. ბაკაშვილი. ქართულ-ბიზანტიური მეტაფრასული აგიოგრაფიის ურთიერთმიმართება და ძირითადი თავისებურებანი, ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII), საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, მეცნიერება.
- ბარამიძე 1957:** რ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან V-XI სს., ნაწ. 1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.
- ბარამიძე 1988:** რ. ბარამიძე. ლიტერატურული შტუდიები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ბუაჩიძე 1982:** თ. ბუაჩიძე. ძველი რუსული მწერლობა, ქადაგებანი, ცხოვრებანი, ტ. 2, თბილისი.
- გვეტაძე 2010:** ო. გვეტაძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი.
- ვაჩნაძე 1998:** ნ. ვაჩნაძე. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-X სს.), თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- ინგოროყვა 1939:** პ. ინგოროყვა. ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, № 4.
- კეკელიძე 1933:** კ. კეკელიძე. ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია, სოციოლოგია ძველი ქართული მწერლობისა და დიალექტიკა მისი განვითარებისა, ტფილისი.
- კეკელიძე 1941:** კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი.
- კეკელიძე 1945:** კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბილისი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია.
- კეკელიძე 1955:** კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა
- კეკელიძე 1957:** კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 5, თბილისი, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ლორთქიფანიძე 1966:** მ. ლორთქიფანიძე. ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, საბჭოთა საქართველო.
- მერკვილაძე 2005:** დ. მერკვილაძე. ასურელი მამები და მუედაბნობა, თბილისი, უნივერსალი.
- მეტრეველი 1950:** ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, თბილისის პედ. ინსტიტუტის გამომცემლობა.
- მირაშვილი 2009:** ნ. მირაშვილი. მონანიე და განდევნილი დედები ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში, ლოგოსი.
- მოსია 2011:** ტ. მოსია. ქართული ჰაგიოგრაფია და ბიბლია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
- სირაძე 1967:** რ. სირაძე. ქართული ლიტერატურა ისტორიკოსის აზრით, ლიტერატურული საქართველო, № 4.
- ქადაგიშვილი 2013/2014:** ს. ქადაგიშვილი. წმინდა იოანე და წმინდა ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრება და წმინდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ეთნიკრობის აღქმისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XV-XVI, თბილისი, უნივერსალი.
- ყაუხჩიშვილი 1949:** ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ელინისტური პერიოდი, ბიზანტიური პერიოდი, ტ. 2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.



**ყუბანეიშვილი 1946:** ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, თბილისი.

**შენიშნული 1986:** მ. შენიშნული. ავტორი ჰაგიოგრაფი და მისი პერსონაჟი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3.

**ჩხარტიშვილი 1987:** მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები: ცხოვრებაი წმიდისა ნინოსის, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, მეცნიერება.

**ჩხარტიშვილი 2006:** მ. ჩხარტიშვილი. წმინდა მამა გიორგი მთაწმინდელი და ქართული იდენტობის სამანები XI საუკუნეებში, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. 11, თბილისი, ინტელექტი.

**ჯავახიშვილი 1916:** ი. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), წ. 1, ქართ. ამხანაგობის სტ.

**ჯავახიშვილი 1921:** ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.).

**ჯავახიშვილი 1935:** ი. ჯავახიშვილი. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფილისი.

**ჯავახიშვილი 1935:** ი. ჯავახიშვილი. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა.

**ჯავახიშვილი 1977:** ი. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მიზანი წინათ და ახლად, თხზულებები 12 ტომად, ტ. 8, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**ჯანაშვილი 1909:** მ. ჯანაშვილი. ქართული მწერლობა, წ. II, ტფილისი.

**ჯიჯეიშვილი 1999:** შ. ჯიჯეიშვილი. ეროვნული თვითშეგნების პრობლემა V-X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიაში, ბათუმი.

## GEORGIAN HAGIOGRAPHY AS HISTORICAL SOURCE (RESEARCHES AND METHODS)

Sopio Kadagishvili

From the second half of 19<sup>th</sup> c. critical hagiographies appeared in Georgian historiography. But its critical approach actively has started from the beginning of 20<sup>th</sup> c. Some scholars were mistrustful for adopting them as historical sources because of miracles and unnatural motives. That is why philologists were more interested in hagiographies than historians. From the process of developing historical thought of hagiographical studies we can distinguish several periods. From the second half of 19<sup>th</sup> c. till the 20ies of 20<sup>th</sup> c; 30<sup>th</sup>-50<sup>th</sup>; 60<sup>th</sup>-80<sup>th</sup> and from the 90<sup>th</sup> till the recent times

Because of its nature hagiographies became rather interesting for researchers. Unlike to others historical experiences Georgian hagiographies are distinguished with deep historicism. In spite of this only some sides of hagiographies were studied in Soviet period. One of the reasons was antireligious practice and religious moments were considered as “dirty water”. One the other side some scientists argued about great sense of self-consciousness and self-awareness (full of national ideas) in hagiographies.

The Marxist social theory imposed certain restrictions on study of the hagiographic writings. This gap has been periodically filling up by researchers focusing on different sides of hagiographies (for example some scholars are trying to use them to study identity issues, clothing, food etc).

## ბატონიშვილი ვახუშტი სამეფო წარწერათა გამო ერთიანი საქართველოს ნიშანთა შორის

მერაბ ლაღანიძე

ბატონიშვილი ვახუშტი (1696-1756) თავისი ნაშრომის – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745)<sup>1</sup> – იმ მონაკვეთში, სადაც იგი ამთავრებს ერთიანი საქართველოს ამბავთა გადმოცემას და სანამ შეუდგება საქართველოს დაშლის მომდევნო დროინდელი ისტორიის თხრობას, – „შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ“ (ყაუხჩიშვილი 1973: 383), – ცდილობს განსაზღვროს, დარჩა და არსებობს თუ არა სამეფოს დაშლა-დაყოფის შემდეგ რამე საყრდენი ან რამე მახასიათებლები, რაც განაპირობებდა პოლიტიკურად დანაწევრებული ქვეყნის სხვადასხვა განცალკევებულ მიწაზე მცხოვრებთა განუყოფლობის განცდას ან კიდევ: რა ადასტურებდა მის დროს ამ ზოგადქართულ მთლიანობას, თუნდაც იმ დროისთვის ის ნამდვილად აღარც არსებულებო.

ვახუშტი გამოყოფს ერთიანობის სამ ამგვარ შენარჩუნებულ ნიშანს, – „სამნი ხილულნი ესენი“ (291), – თუმცა შემდგომ, ჩამონათვალის გარეთ, საგანგებო რიგითობის აღუნიშნავად, იგი მათ მეოთხე და მეხუთე ნიშანსაც დაუმატებს. ამ მახასიათებლებს იგი უკავშირებს არა იმდენად ეროვნებას (როგორც თითქოსდა მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო), ან რომელიმე სხვა გამაერთიანებელ<sup>2</sup> მაჩვენებელს, რამდენადაც გარდასულ „ერთმეფობას“: „გარნა ერთმეფობასა წარმოაჩინებს ანცა სამნი ხილულნი ესენი, ვინაფთგან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქუეშე პყრობასა“ (291). ამ შემთხვევისას მნიშვნელოვანია დროის განმსაზღვრელი „ანცა“, რითაც ნათქვამია, რომ იგულისხმება იმჟამინდელი ანუ ისტორიკოსის დროინდელი მდგომარეობა, მაგრამ გადმოცემული და შემონახული წარსულიდან. ეს ნიშნები კი, ვახუშტის აზრით, იმდენად თავისთავად მეტყველებს, რომ მის ნებისმიერ თანამედროვესაც კი ცხადად უჩვენებს ქვეყნის ოდინდელ ერთიანობას და, ამავე დროს, არწმუნებს, რომ მთელი, განუყოფელი ქვეყანა ერთ დროს ერთი მეფის მიერ იმართებოდა.

თუ ერთიანობის პირველი ნიშანია „რჯულით ქართველი“<sup>3</sup>, ხოლო ერთიანობის მეორე ნიშნად მიჩნეულია „ნიგნი და ენა“<sup>4</sup>, ერთმეფობისა და, შესაბამისად, ეროვნული ერთიანობის მესამე ნიშანს ბატონიშვილი ვახუშტი ამგვარად აღწერს:

მესამედ: არასადამე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა, ანუ ხატთა და ჯუართა ძვრფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თვნიერ: „ჩუენ მეფემან საქართველოსმან, ანუ ქართლისამან, ანუ აფხაზეთისამან“, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა (292).

ამ სიტყვებით, ქვეყანაში არსად მოიპოვება რომელიმე დიდი ნაგებობა (სავარაუდოდ, საერო შინაარსისა) ან დიდი ეკლესიისა თუ მონასტრის შენობა, ან კიდევ გამორჩეული ხატი ან ჯვარი, რომელზეც აღბეჭდილი არ იყოს საქართველოს მეფის სახელი, – სახელდობრ, საქართველოს მეფისა და არა რომელიმე სხვა, უცხო ხელმწიფისა და ამდენად უმნიშვნელოდ ჩანს, ეს წარწერა გაერთიანებული, ერთიანი ქვეყნის მეფეს მოიხსენიებს თუ მხოლოდ რომელიმე ქართული მიწის ხელისუფალს. შემდგომ, ამ წარმოსახული თუ განზოგადებული (და არა კონკრეტული) წარწერის დასახელების შემდეგ, უფრო ზუსტად, ზოგადი ნიმუშის დამონშების შემდეგ, ვახუშტი ისევ იმეორებს, რომ ეს წარწერები გამოხატულია ქვებზე, ხატებზე და ჯვრებზე.

ამჯერად ვახუშტი არ მსჯელობს ცალკეული ქართველისა და მისი თვითმეგნების შესახებ, ამ შემთხვევაში არ ეკითხებიან ნებისმიერ ქართველს და არც წარმოდგენითი შემკითხველი არ დგას წარმოდგენილი მოპასუხის პირისპირ, რომელიც შეკითხვის პასუხად თავის ქართველობას ადასტურებს, – რჯულითა და ენით ქართველობას. ამჯერად ლაპარაკია ნივთიერ დასტურზე, რომელიც თავად უპასუხებს თავისი წარმოშობის შესახებ და რომელიც თავად მეტყველებს მასზე აღბეჭდილი წარწერის, ანუ სათქმელის სახით.

ამჟამად რთული დასამტკიცებელია, ამგვარი შინაარსის წარწერები<sup>5</sup> ვახუშტის თავად ჰქონდა ნანახი, მათს შესახებ გადმოცემით იცოდა თუ მათს არსებობას მყარად ვარაუდობდა, მაგრამ მათი შინაარსი მას უთუოდ ერთ უმთავრეს საბუთად მიაჩნია ერთმეფობის დასტურად და დამონშებად, – მისი ჩამონათვალის მიხედვით, ერთიანობის სამ ნიშანთაგან მესამედ.

გასათვალისწინებელია, რომ ტექსტის მსჯელობა შეეხება, სახელდობრ, სამეფო – და არანაირად ვინმე სხვათა – წარწერებს. სხვაგან, სხვა შემთხვევისას, ვახუშტი ამგვარად ამთავრებს – ან აგვირგვინებს – თავისი ნაშრომის იმ მონაკვეთს, რომელსაც ეწოდება „აღწერა აწინდელისა ქართლისა“:

კულად რომელნი ეკლესიათა აღმაშენებლნი არა მოვიჭვნიეთ, ვინაფთგან დავსწერეთ მეფენი ეკლესიათა მაშენებლნი, მათ მიერ არიან აღშენებულნი ყოველნი, ხოლო ზოგნი მთავართა და ხუროთმოძღვართაგან, ვითარცა ზედვე ეკლესიათა წერილნი აჩენენ სადიდებელად ღვთისა უკუნიითი უკუნისამდე ამინ (382).

ამდენად, ავტორი აღნიშნავს, რომ – ტაძართა აღწერისას – იგი მკითხველის საგანგებო ყურადღებას არ მიაპყრობს, თუ ვინაა ამა თუ იმ ტაძრის აღმშენებელი: თუ იგი მეფეა, ეს ნაგებობა მეფესთან დაკავშირებითაა ხოლმე მოხსენიებული იმ ჩამონათვალში, რომელიც, საერთოდ, ამ მეფის აღმშენებლობას აღწერს, ხოლო თუ მშენებლობა სხვა მთავართა ან ხუროთმოძღვართა სახელს უკავშირდება, მაშინ მას ისტორიკოსი არც აღნიშნავს, რადგან ეს მოსახსენიებელი წარწერები თავად ტაძრებზეა აღბეჭდილი – ღმრთის საუკუნოდ სადიდებლად. ასე რომ, როცა ვახუშტი სამეფო წარწერების შესახებ მსჯელობს და მათ ერთ-ერთ – მესამე – ნიშნად მიიჩნევს ერთმეფობისა და ეროვნული ერთიანობის ნიშანთა ჩამოთვლისას, იგი საჭიროდ მიიჩნევს, ამ წარწერათა სწორედ ეს ღირებულება შენიშნოს და თავისი გულისყური სრულიადაც არ მიაქციოს მათ მნიშვნელობას როგორც ისტორიული ფაქტის ან პიროვნების საქმიანობის დადასტურებას.

საგულისხმოცაა და მოულოდნელიც, რომ ქვეყნის ხელმწიფებრივი ერთიანობის გამოხატულებად ვახუშტი მიიჩნევს არა მხოლოდ იმგვარ წარწერებს, სადაც სახელმწიფოს წინამძღოლი სრულიად საქართველოს მეფეაა წარმოჩენილი („მეფემან საქართველოსამან“ – 291),<sup>6</sup> არამედ იმგვართაც, სადაც ხელისუფალი, განკერძოებულად, ქართლის ან აფხაზეთის მეფეაა მოხსენიებული, რაც თითქოს სწორედაც არ უნდა გამოხატავდეს ამ კონკრეტულ ხანაში, წარწერის შესრულებისას, არც საქართველოს პოლიტიკურ ერთიანობას და არც ქვეყნის მთლიანობის რამენაირ გამოვლინებას ერთმეფობის საფუძველზე.<sup>7</sup> როგორც ჩანს, ვახუშტი ამ შემთხვევისას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს გამიჯვნას საკუთარ ხელმწიფესა და უცხო ხელმწიფებს შორის, რის გამოც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ წარწერები არასოდეს მოიხსენიებს „სხვათა მეფეებს“, ანუ ისეთ მეფეებს, რომლებიც არ იყვნენ, საკუთრივ, ან მთელი საქართველოს, ან საქართველოს რომელიმე ნაწილის მმართველნი. სავარაუდოდ, ისტორიკოსისათვის ამჯერად განმსაზღვრელია ის, რომ ეროვნული ერთიანობის ერთ-ერთი ნიშანია თავისი, არაუცხო, ადგილობრივი უზენაესი ხელისუფალი, თუნდაც იგი – ზოგიერთ შემთხვევაში – წარმოშობით, სისხლისმიერად არც იყოს ქართველი (როგორც, ვთქვათ, მეფე მირიანი, რომელიც მიიღებს ქართულ სარწმუნოებასა და ქართულ ენას): არსებითია, რომ ქვეყანას არ მართავდეს (და ერთმეფობისას არც მართავდა) სხვა ქვეყნის მმართველი. ვახუშტის თვალსაზრისით, შემორჩენილი წარწერები მეტყველებს იმას, რომ საქართველოს სამეფოს, – განსაკუთრებით, ერთიანობის ჟამს, – ჰყავდა ერთი, მხოლოდ საკუთარი ხელმწიფე, ხოლო სხვა ქვეყნის ხელისუფალთა მმართველობა არანაირად არ ვრცელდებოდა ქვეყნის მიწაზე. უნდა ითქვას, რომ, ამავე დროს, თავისი ეპოქის გამჭრიახი მემკვიდრე ვახუშტი, რა თქმა უნდა, ცხადად ხედავს თავის ისტორიულ მდგომარეობასა და ისტორიულ გარემოცვას, რის შედეგადაც მან უეჭველად იცის, რომ, საერთოდ, არა მართო წარსულში უმართავს უცხო მისი ქვეყანა, და არაერთგზის, არამედ მის დროსაც როგორი შეუზღუდავი ძალაუფლებით ბატონობს უცხოელი მის სამკვიდროში (თუნდაც ვახტანგ მეექვსისა და მისი ამაღლის საქართველოს დატოვების მერმე, და იმ დროსაც, როცა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ იწერებოდა).<sup>8</sup>

მაგრამ ხომ ნათელია, რომ ის ნიშნები, რომელთაც ვახუშტი ერთმეფობისა და ეროვნული ერთიანობის შემონახულ დადასტურებად ჩამოთვლის, – და, მათ შორის, ეს მესამე ნიშანიც, – გამოხატავს არა იმას, რაც სინამდვილეში, მეტვრამეტე საუკუნეში, ისტორიული ნაშრომის ავტორის თვალსაწიერში ხდებოდა, – რადგან ამ დროს ერთმეფობაც და ქვეყნის ერთიანობაც უკვე ნაკვალევადღა შემორჩენილიყო, – არამედ იმას, რაც ოდესღაც არსებობდა, ხოლო მეტვრამეტე საუკუნეში ოდენ ადამიანთა ხსოვნაში თუ ნივთთა ხსოვნად აგრძელებდა ყოფნას.

აღსანიშნავია, ლეონტი მროველსაც, „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ შექმნისას, მკაფიოდ ჰქონდა გააზრებული, რომ ქართველთა ერთიანი და ეროვნული სახელმწიფო მხოლოდ მაშინ იწყებს თავის არსებობას, როცა უცხოთომელთა ბატონობა ჩამოშორდება ქვეყნის მმართველობას და ქვეყანას სათავეში ჩაუდგება ქართველი, ქართლოსიანი ფარნავაზი. ქართლის პირველი მეფე სისხლისმიერად, წარმოშობით ქართველია („მას ჟამსა შინა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართველი, ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისაჲ“ – მეტრეველი 2008: 40); იგი მჭიდროდ, პიროვნულადაა დაკავშირებული თავის ქვეყანასთან, საკუთარ წინაპართა მიწასთან („ჭირ უჩნდა ფარნავაზს დატევებად საყოფელისაჲ მამათა მისთასა – მეტრეველი 2008: 43). იგი მთელი საქართველოს მეფობას მოიპოვებს („მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“ – მეტრეველი 2008: 43). ლეონტისეული წარმოდგენითა და ხედვით, ქართული სამეფოს დასაწყისი, მისი პირველი ხელისუფლის სახით, მეტყველი გამოხატულებებითაა ნიშანდებული.<sup>9</sup>

ვახუშტიც, ძველი საქართველოს ამბავთა თხრობისას, მის ხელთ არსებული ტექსტების გაცხრილვა-შემოკლებისას, ოდნავ უფრო მშრალად გადმოსცემს ამავე ამბებს: „ჟამთა ამათ შინა იყო ჭაბუკი, სახელით ფარნაოზ, ნათესავით ქართლოსიანი [...] გარნა ძნიად აღუჩნდებოდა ფარნავაზს დატევებანი მამულისანი“ (55), ხოლო ფარნავაზის (ან მისებურად: ფარნაოზის) აღსაყდრებას სრულიად საქართველოში ამგვარად აღწერს: „ხოლო დაიპყრა ყოველი საქართველო ფარნაოზ [...], შემოვიდა მცხეთას, იქმნა მეფედ და დაემორჩილნენ ყოველნი საქართველოსანი“ (56), ან კიდევ, იმავე მოვლენას თავისი ნაშრომის სხვა მონაკვეთშიც ეხება: „ხოლო გამეფდა რა ფარნაოზ და დაიპყრა ყოველი საქართველო [...]“ (691).



ლეონტი, ასევე, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ფარნავაზიანთა ქართული სამეფო საგვარეულოს აღსაყდრების მოთხოვნა მთელი ქართველობის სურვილს გამოხატავდა: „ქართველთა დიდი სათნოებაა აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ და არა უნდა სხვსა ნათესავისა მეფობაჲ, რომელსაცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობაჲ“ (მეტრეველი 2008: 52), რასაც – ისევ ლეონტისეული თხრობის გაცხრილვა-შემოკლებით – ადასტურებს ვახუშტიც: „რამეთუ არა უნდათ ქართველთა მეფედ თვსად თვნიერ ფარნავაზიანთაგანი“ (60). ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები, როგორც ჩანს, მხოლოდ მაშინ გრძნობენ თავს საკუთარი სახელმწიფოს წამდვილ მკვიდრებად, როცა საკუთარი, ეროვნული ხელმწიფის ქვეშევრდომნი არიან, და ამ შემთხვევაში ეროვნული გულისხმობს როგორც პოლიტიკურ, ისე ეთნიკურ განზომილებასაც.

ქართული სამეფოს საწყისის ჟამს ამგვარ ეროვნულ სამეფო დინასტიად, – ლეონტი მროველის მკაფიო გამონათქვამის თანახმად, რომელიც, შესაძლოა, მისდროინდელ პოლიტიკურ-საისტორიო ტრადიციასაც ასახავდეს, – მიჩნეულია ფარნავაზიანთა საგვარეულო. ვახუშტის დროს ერთადერთ ქართულ სამეფო დინასტიად აღიარებულია ბაგრატიონთა საგვარეულო. ისევე, როგორც ადრინდელ ხანაში ქვეყნის ერთიანობას განაპირობებდა – ერთ-ერთ საყრდენად – და წარმოადგენდა – ერთ-ერთ ნიშნად – ერთიანი სამეფო დინასტია, ასევე, დაშლილობის ხანაშიც ერთიანი დინასტიის წარმომადგენელთა ხელისუფლება დანაწევრებული ქვეყნის თუნდაც სხვადასხვა ნაწილში, მაგრამ მაინც ყოველ ცალკეულ ნაწილში, ქვეყნის წარსული ერთიანობის უქველი დასტურია. სავარაუდოდ, ვახუშტი სახელდობრ ამ სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლობას (რადგან ფარნავაზიანთა დინასტიის მეფეთა წარწერებს ისტორიკოსი ვერც ვერსად ნახავდა და ვერც წარმოადგენდა მათს არსებობას!) და ამ საგვარეულოს ერთიანობას უნდა გულისხმობდეს, როცა ქვეყნის ყველა მიწაზე მეფეთა წარწერებს ასახელებს ქვეყნის ოდინდელი ერთმეფობისა და ეროვნული ერთიანობისა თუ განუყოფლობის ნიშნად.

ამდენად, სამეფოს ერთიანობა განისაზღვრება იმით, რომ ქვეყანას უნდა მართავდნენ, და ერთმეფობისას მართავდნენ კიდეც, ადგილობრივი ხელისუფალნი და, როგორც ჩანს, ადგილობრივი სამეფო საგვარეულონი, რომელთა უწყვეტი მემკვიდრეობითობა განაპირობებს მათს უწყვეტ კავშირს მთელი ერის მოსახლეობასთან. სწორედ ამიტომაც, როგორც ამბობს ვახუშტი, განსაკუთრებულ ნაგებობებზე თუ განსაკუთრებულ ნივთებზე აღბეჭდილი წარწერები აცხადებს მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ – და არანაირად უცხო – მეფეთა სახელებს, ხოლო თავად ეს წარწერები, რაკი ისინი ეროვნულ მმართველობას ასახავს, ისტორიკოსის აზრით, წარმოადგენს მესამე დასტურს, მესამე ნიშანს, რომელიც ძველისძველი ეროვნული ერთიანობის შესახებ მეტყველებს.

ღირსშესანიშნავია, რომ ერთიანობის პირველი და მეორე ნიშნები – ქართველთა რჯულიც და ქართული ენაც – ცოცხლადაა შენარჩუნებული, რადგან ცოცხალი ქართველი ადამიანები მიაკუთვნებენ ამ ნიშნებს თავს ან მათ თავისად მიიკუთვნებენ. რაც შეეხება მესამე ნიშანს, ქართველ მეფეთა შემორჩენილ წარწერებს, ისინი მხოლოდ ოდინდელი მდგომარეობის არეკლილი სახეა. პირველი და მეორე ნიშანი არანივთიერია, მაგრამ პირადი, გამოცდილებისეული მყარი დამოწმებაა, ხოლო მესამე ნიშნის სიმყარე კი მის ხელშესახებ, ნივთიერ არსებობაში ჩნდება, თუმცა ის არანაირ ქმედით მოვლენას აღარ წარმოადგენს, მოკლებულია თავისთავადს არსებობას და იმჟამად უკვე გარდასულ-მინავლებული წარსულის ოდენ უსიცოცხლო ნაშთიანია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, თუკი ფარნავაზის ხანაში ეროვნული მმართველობის მატარებლად და წარმომადგენლად, ზოგადად, ქართველი ადამიანები ფარნავაზიანებს მიიჩნევდნენ (როგორც ამას გვარწმუნებს ლეონტი და რასაც ეთანხმება ვახუშტიც), ვახუშტის ხანაში, – ისევე, როგორც წინამორბედი არაერთი საუკუნის განმავლობაში, შეუწყვეტლად, – ამგვარი გამოხატვის მოვალეობა ეკისრებოდა ბაგრატიონთა საგვარეულოს, რომელსაც სისხლისმიერად მიეკუთვნებოდა თავად და პირადად ბატონიშვილი ვახუშტიც, მეფე ვახტანგ მეექვსის ძე. როცა მსჯელობაა ერთმეფობისა და ეროვნული ერთიანობის შესახებ, რაც სამეფო ნიშანდებებშიც, ანუ სამეფო წარწერებშიც ასახულა, სავარაუდოდ, იგულისხმება, რომ სწორედ ეს გვარისეული, საგვარეულო, დინასტიური უწყვეტობაც ადასტურებდა როგორც ქვეყნის ხელისუფლების, ისე თვით ქვეყნის მთლიანობას.

ვახუშტის ნაშრომი, როგორც სრული სურათი საქართველოს ცხოვრებისა, ბუნებრივია, საფეხურებრივ ასახავს ბაგრატიონთა მოსვლას, დამკვიდრებას, მმართველობასა და აღზევებას, ასევე, მათ დაკნინებასაც ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ხანაში, მაგრამ ისტორიკოსი ამ საგვარეულოს – თავის საკუთარ საგვარეულოს – მაინც განსაკუთრებულად გამოარჩევს და განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებს იმათ შორის, ვინც ქართული სახელმწიფოს ერთიანობას აშენებდა თუ წარმოადგენდა, – ვახუშტისეული ხედვით, ერთმეფობის მყარ საფუძველზე.

პირველივე ბაგრატიონი, გამეფებული ქართლის ხელმწიფედ,<sup>10</sup> – ქართველ დიდებულთა ამორჩევითა და ბიზანტიის კეისრის მხარდაჭერით, – გუარამ (ან: გურამ) კურაპალატი (575-600),<sup>11</sup> ვახუშტის აღწერით, მთლიანი საქართველოს უზენაეს ხელისუფლად წამოჩნდება:

მაშინ შეიკრიბნენ ყოველნი ივერიის ერისთავნი და ითხოვეს მეფედ თვსად ბერძენთა კეისრისაგან ნათესავი თვსთა მეფეთა. [...] ხოლო კეისარმან მოსცა მეფედ გუარამ, ასულისწულისაგან ვახტანგ გორგასლისა, მირდატის

დისაგანი, და თვთ ბაგრატიონი და კეისარმან მოსცა გუარამს კურადპალატობა და პატივსცა და შემოკრბნენ ყოველი ერისთავნი და სპასპეტნი ივერიისანი, კათალიკოზი სვამონ და ეპისკოპოზნი და აკურთხეს გუარამ მეფედ გიორგიისად (119).

ვახუშტი, რომელიც ქართულ მიწათა ძველი ისტორიის გადმოცემისას წინამორბედი ისტორიკოსების ფაქტობრივ თხრობას დიდად არ ცვლის და ამ თხრობას მხოლოდ იმდენად ამოკლებს, რათა ის დაწურულ, მშრალ, ლაკონიურ გარდათქმად აქციოს, ამჯერად, პირველ ქართველ აღსაყდრებულ ბაგრატიონს, გუარამს, მთელი საქართველოს მეფედ აცხადებს, თუმცა ამგვარი რამ არსად უწერიან მემატინაეებს. ნიშანდობლივია, რომ თუკი ამ შემთხვევაში ვახუშტი რამეს თვალსაჩინოდ ცვლის მისთვის საყრდენ და ამოსავალ ტექსტებში (იგლისხმება როგორც ადრეული ჯუანშერისეული თუ სუმბატისეული ქრონიკები, ისე მის უშუალო წინამორბედთა თუ თანამედროვეთა, ეგრეთ წოდებულ „სწავლულ კაცთა კომისიის“, ნამუშევარი – „ახალი ქართლის ცხოვრება“), მისი ეს ცვლილება-შემატება ეხება ქვეყნის სახელწოდებას, რომელიც მისეულ გადმოცემაში ჯერ ორგზის იწოდება „ივერიად“, ხოლო შემდგომ, ერთხელ – „გიორგიად“. ორივე ამ სახელს ისტორიკოსი ნამდვილად საგანგებო დატვირთვას სძენს, საგანგებოდ ამ მონაკვეთში: ვახუშტის ხანაში ორივე ამ გვიანდელ სახელწოდებას ცხადად ჰქონდა ერთიანი, მთლიანი საქართველოს მნიშვნელობა (ქვეყნის სახელწოდებად, ერთიანი საქართველოს სახელდებად როგორც „ივერიის“, ისე „გიორგიის“ გამოყენების განსაკუთრებული დანიშნულების შესახებ – იხ. ქვემოთ).

ვახუშტი კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატავს თავის სათქმელს, – პირველი ქართველი ბაგრატიონის გამორჩეული ღვანლის შესახებ ერთიანი საქართველოს დაფუძნების (ან თუნდაც ხელახალი დაფუძნების) საქმეში, – როცა ისტორიკოსი უკვე ძველ მატინაეთა ტექსტებს კი აღარ მისდევს და მათ კვალობაზე კი არ გარდათქვამს ადრეულ მემატინაეთაგან გადმოცემულ ამბებს, არამედ უშუალოდ გამოხატავს თავის სათქმელს თავისი წიგნის სავსებით საკუთარ მონაკვეთში, როცა, ქართულ მიწათა დანვრილებით აღწერებს შორის, კერძოდ, სამცხე-კლარჯეთის ცხოვრებას აღწერს. ამჯერად ვახუშტი ასე ამბობს: „თხოვნი თავე ქართველთათა მოსცა ამ გუარამ კურადპალატსა მეფობა საქართველოსი კეისარმან იუსტინე, და გამეფდა, ვითარცა აღვსწერეთ, და ამით კუალად შეერთდა სამცხე-კლარჯეთი და ყოველი საქართველო ერთ სამეფოდ“ (695).

კურაპალატ გუარამს (გუარამს), მატინაეთა ტექსტის საპირისპიროდ, ისტორიკოსი, – ამჯერად კიდევ უფრო მკაფიოდ, – აცხადებს სრულიად საქართველოს მეფედ, რომელიც სამცხისა და კლარჯეთის მიწათა „ყოველი საქართველოსათვის“ შეერთებით ერთიანი სამეფოს ხელისუფალი ხდება (თუმცა ამ დროს, მეექვსე საუკუნის მიწურულს, რა თქმა უნდა, თავად ცნება „საქართველო“ სინამდვილეში ჯერ არც კი არსებობს, – არც ლექსიკურად, არც პოლიტიკურად!). ვახუშტი გუარამს ცხადად მიაწერს სრულიად საქართველოს ერთიანი სამეფოს დაფუძნებას (ან ხელახალ დაფუძნებას, – თუნდაც ფარნავაზის შემდგომ). პირველი ქართველი ბაგრატიონის გამეფება ისევ ქართველთა საზოგადო სურვილია, რომელსაც ამ თხრობითაც ბიზანტიის კეისარი აღასრულებს.

როგორც ითქვა, ვახუშტისეული ეს ტექსტი მთლიანად ავტორისეულია და მოთავსებულია ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც საქართველოს ძველი ისტორიის გადმოცემა მატინაეთა საფუძველზე დამთავრებულია, ამოწურულია, ხოლო ისტორიკოსი თანდათანობით მიჰყვება ცალკეული ქართული მიწების ბუნებრივი და ისტორიული მდებარეობისა თუ მდგომარეობის აღწერას.

რა თქმა უნდა, ღირსშესანიშნავია, რომ, უცხოელ ხელმწიფეთა მფარველობითი ჩარევის მიუხედავად, ისევე, როგორც ფარნავაზიანთა ხელისუფლება ემყარებოდა ქართველი ადამიანების მკაფიო მხარდაჭერას (ლეონტი მროველისეული გადმოცემის მიხედვით), ბაგრატიონთა ხელისუფლების დამყარებაც (ვახუშტისეული ტექსტის მიხედვით, – ბუნებრივია, ძველი ტექსტების კვალობაზე) ისევ ქართველი ადამიანების გულითადი სურვილის გამოხატულებაა, რაც ორსავე შემთხვევაში, ეროვნული სახელმწიფოს გარემოსა თუ პირობებში, მეფისა და მის ქვეშევრდომთა ერთიანობის, განუყოფელი, მჭიდრო კავშირის ისტორიკოსისეულ დადასტურებას ემსახურება.

განსაკუთრებით აღსანიშნავი და – ყურადღებით დაკვირვების შედეგად – შესამჩნევია, რომ სხვადასხვა მსჯელობისას მთელი თავისი წიგნის მანძილზე ვახუშტი არსად ლაპარაკობს, ზოგადად, „ქართველობის“, როგორც ერთი განურჩეველი მთლიანობის, შესახებ და იგი ხილულ, კონკრეტულ ქართველებს ასახელებს ხოლმე. ამჯერადაც, მართალია, თითქოს ნახსენებია განუსაზღვრელი ქართველები (და მათი ერთობლივი თხოვნა კეისრის მიმართ), მაგრამ, გუარამის შესახებ წინა თხრობის გათვალისწინებით, შემდგომ თხრობაშიც საქმე შეეხება კონკრეტულ ქართველ (ან „ივერიელ“) ერისთავებსა და სპასპეტებს, რომლებიც თუნდაც საზიარო აზრით იყვნენ გაერთიანებული. მაინც, ვახუშტის ეს გულისყური ცალკეული ადამიანის მიმართ ყველაზე მკაფიოდ მაშინ ჩნდება, როცა იგი, ზოგადად, ქართველთა საერთო თვისებებზე მსჯელობს, მაგრამ ამ შემთხვევებშიც კი კერძო ქართველი (თანაც საკუთრივ რომელიმე ქართული მიწის წარმომადგენელი) გამოჰყავს თავისი მტკიცებულების დასტურად.

შემდგომი თხრობისას, ვახუშტის კიდევ ერთხელ მოუწევს შეყოვნება საქართველოს გაერთიანების

საქმეში ბაგრატიონთა ღვანლის საჩვენებლად: ამჯერად მაშინ, როცა ბაგრატ მესამის (961-1014) მეფობას აღწერს. კვლავაც ორჯერ, როგორც გუარამის შესახებ თხრობისას, – ჯერ მოვლენათა თანმიმდევრული ისტორიული გადმოცემისას, შემდგომ კი, ცალკეულ ქართულ მიწათა დახასიათებისას, – ისტორიკოსი შთამბეჭდავად გამოკვეთს საქართველოს გაერთიანებული სამეფოს პირველი ხელმწიფის, ისევ ბაგრატიონის, ბაგრატ მესამის ღვანლს და ისევ მკაფიოდ წარმოაჩინს ქვეყანაში როგორც ერთმეფობის დამყარებას, ისე ქართული მიწების გამთლიანებას, რასაც საფუძველი შუა საუკუნეთა საქართველოში სახელდობრ ბაგრატის მეფობისას დაედო: „ყოველთა დიდებულთა ქართლისათა და აფხაზეთისათა მოითხოვეს დავით კურადპალატისაგან მეფედ ბაგრატ აფხაზთა“ (138); „დაჯდა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფედ“ (138), „მოუნოდა აფხაზთა, ტაოელთა, მესხთა და ქართველთა, რამეთუ მას ეპყრნეს ესე ყოველნი“ (140), „ამან ბაგრატ დაიპყრნა ყოველნი კავკასიელნი ჯიქიდან გურგანის ზღუამდე; ადარბაგანი და შარვანი მოხარკე ჰყო“ (141), „და დაიპყრნა ამან ბაგრატ ყოველი ივერია სიბრძნედიერებითა თვისითა“ (142).

მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი ამჯერადაც უმთავრესად ეყრდნობა წინამორბედთა თხრობას, და ტექსტობრივადაც მათ დიდად არ შორდება, მაინც ის, რასაც იგი ამბობს და საკუთარი სათქმელით ავსებს, ისევ და ისევ საქართველოს ერთიანობაზე მითითებაა. ვახუშტი უაღრესად მკაფიოდ და საგანგებოდ განაცხადებს, რომ ბაგრატი შეაერთებს და სათავეში ჩაუდგა სრულიად საქართველოს, რაც მეთვრამეტე საუკუნის ეპოქისეულ ენაზე – სწორედაც ერთიანი სახელმწიფოს სახელწოდების გამოსახატავად – „ივერიად“ (142) იწოდება (როცა დაუფარავია პოლიტიკურ-ემოციური სურვილი, არ გამოჩნდეს რომელიმე ქართული მიწის უპირატესობა ან მეთაურობა, – მით უმეტეს, რაკი ამ დროს ქართლის სამეფოს მკვიდრს, ქართლის მეფის ქვეშევრდომს „ქართველი“ ეწოდება).<sup>12</sup>

სხვათა შორის, როგორც ფარნავაზისა თუ გუარამის შემთხვევებში, ამჯერადაც, ბაგრატის მეფედ არჩევის სურვილი ქართველ დიდებულთაგან მოდის: „ყოველთა დიდებულთა ქართლისათა და აფხაზეთისათა“ (138) ნებას გამოხატავს ბაგრატიონთა წარმომადგენლის გამეფება, რაც მათი გამჟღავნებული მხარდაჭერა-მოთხოვნით ხორციელდება („მოითხოვეს“ – 138).

კიდევ სხვაგან, შემდგომ, უკვე სავსებით ვახუშტისეულ ნაწილში, – სამცხე-კლარჯეთის ცხოვრების აღწერისას, – ისტორიკოსი იმეორებს და განამტკიცებს თავის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს მეფე ბაგრატის შესახებ, რომელმაც სახელდობრ ამ მიწებიდან – სამხრეთ საქართველოდან – წამოიწყო სრულიად საქართველოს გაერთიანება:

ბაგრატ მეფემან დაიპყრა ყოველი ეს ქუეყანა და შეაერთა კუალად ქართლსავე, ვითარცა აფხაზეთი და ჰერ-კახნი, და ჰყო ყოველნი ერთ სამეფოდ თვს მეფობასა შინა, და იყო ყოველი ესე ივერია ერთ სამეფოდ, ერთისა მეფისა ქუეშე მორჩილება-მონებასა, ვიდრე ლაშას გიორგის ძის მეფის დავითისამდე, წელი სდ [264] (700).

ამდენად, ვახუშტი განსაკუთრებულად გამოაჩვენებს ბაგრატის ისტორიულ სახელმწიფოებრივ-გამაერთიანებელ ღვანლს და ამიტომაც გამოჰყოფს მას სხვა ხელმწიფეთა შორის, – მეფისეულ ქმედებათა კონკრეტული და მკაფიო სახელდების შერჩევითაც („დაიპყრა ყოველი ქუეყანა“, „შეაერთა“, „ჰყო ყოველნი ერთ სამეფოდ“); ისტორიკოსი სწორედ მას წარმოადგენს ქვეყნის სხვადასხვა მიწათა ერთ სამეფოდ შემაერთებლად, რომელსაც ისევ „ივერიას“ უწოდებს („იყო ყოველი ივერია ერთ სამეფოდ“) და რომლის ქვეშევრდომნიც ერთი მეფის ძალაუფლებას ემორჩილებიან („ერთისა მეფისა ქუეშე მორჩილება-მონებასა“); ხოლო ბაგრატისეული ეს საქმე იმდენად მყარი აღმოჩნდება, რომ საუკუნეებს გაუძლებს, თვით დავით მეშვიდემდე, ლაშას ძემდე (1246-1270).

ბაგრატზე, როგორც ერთიანი საქართველოს სამეფოს ფუძემდებელზე, მსჯელობისას და მისი წარმოჩენისას სრულიად საქართველოს გამაერთიანებლად, ვახუშტი საგანგებოდ დათვლის, რომ შუა საუკუნეობრივი ქართული მონარქია, სადაც ერთმეფობა იყო დამყარებული, მყოფობდა ბაგრატ მესამის მეფობიდან გიორგი მეოთხის ძის, დავით მეხუთის მეფობამდე, – როგორც თავად ამბობს, ორას სამოცდაოთხი წლის განმავლობაში („წელი სდ“ [264]), თუმცა ტექსტის სხვა ადგილას, აფხაზეთის ცხოვრების აღწერისას, ისტორიკოსი ცოტათი სხვაგვარად – ათი წლის მეტობით – ათარილებს ამ ხანგრძლივობას:

ამ ბაგრატისა შემდგომად იქმნა აფხაზეთს მეფობა ბაგრატიონთა. ხოლო მეფობდნენ აფხაზთა მეფენი იგინი აფხაზეთს წელთა რ`ჟთ [199]. და ამ ბაგრატის პირველის მეფობიდან ვიდრე ლაშას ძის, დავით მეფისა და რუსუდანის ძის, წარინ დავით მეფისამდე იყო ერთმეფობისა ქუეშე სრულიად აფხაზეთი, მეფობასა ბაგრატიონთასა და ამ ორთა დავითის განყოფისამდე სამეფოთა გარდაჯდნენ წელნი ს`ოდ“ [274] (800).

არაა შემთხვევითი, რომ ვახუშტი თავისი ისტორიული თხრობის სწორედ იმ მონაკვეთს, რომელიც ბაგრატს ეძღვნება, ამგვარად ასათაურებს და მეფეს ამგვარი წოდებულებით იხსენიებს: „მეფე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა, ანუ სრულიად გიორგიისა“ (140), ხოლო „გიორგიას“, ისევე როგორც „ივერიას“, ვახუშტის ხანაში ხომ საგანგებოდ უწოდებდნენ გაერთიანებულ, ერთიან, მთლიან საქართველოს, მით უმეტეს, როცა ის – კიდევ უფრო ნიშნულად გამოსაკვეთად – „სრულიად გიორგიად“ იწოდება.



უჩვეულოდ თვალშისაცემია, – რაც უნდა მოულოდნელად ჩანდეს, – რომ ბაგრატი, ამ მხრივ, ქართულ მიწათა თავისი შემკრებლობითაც და თავისი სამეფო ტიტულითაც, ტექსტის მიხედვით, გამორჩეულია თვით დავით აღმაშენებელთან შედარებითაც კი. სავარაუდოდ, მის ამგვარ განსაკუთრებულობას განაპირობებს ვახუშტის მყარი თვალსაზრისი, რომ სახელდობრ ბაგრატ მესამეა შუა საუკუნეობრივი საქართველოს ნამდვილი გამაერთიანებელი, იგია საფუძველმდებელი იმ სახელმწიფოსი, რომელიც შემდგომ დავითისა და თამარის ქართული იმპერიის შექმნით დამთავრდა, მაგრამ რომელიც ქმედითად ბაგრატის საწყისი ღვანლით იღებს სათავეს.

რაც შეეხება დავით მეოთხის, აღმაშენებლის (1089-1125) ამაგს, კონკრეტულად ერთმეფობის დამყარება-გამყარებასთან დაკავშირებით – არა უშუალოდ მისი სამეფო საქმიანობის, არამედ კახეთის ხელისუფალთა შესახებ თხრობისას, თუმცა სწორედ ვახუშტისეულ და არა გარდათქმულ ტექსტში – გაცხადებულად ამგვარად ითქმება: „დავით აღმაშენებლის ერთმეფობამდე იხსდნენ მთავარნი კახეთს და მეფენი ი~დ [14]“ (556-557); კიდევ, არც ისე მოშორებით, ნახსენებია დავითის წვლილი ქართულ მიწათა შემოკრებისა და გაერთიანების საქმეში: „მაშინ დავით აღმაშენებელმან დაიპყრა სრულიად ყოველი ჰერეთი და კახეთი და ამიერ ჟამითგან იყო ერთმეფობასა შინა, ვიდრე ო~ც [78-ე] მეფის გიორგისამდე წელი ტ~ფგ [363]“ (563). მაგრამ ეს გამონათქვამი მოწოდებულია მაინც გაკვრით (თანაც არა საგანგებოდ: ოდენ ჰერეთისა და კახეთის ცხოვრების გადმოცემისას), მკაფიოდ გამოკვეთისა და იმ მგზნებარების გარეშე, როგორცაც მოთხრობილი იყო ამბავი ბაგრატის მესამის მიერ ქართულ მიწათა შემოკრებისა და მისი ღვანლის შესახებ ერთმეფობის დამკვიდრების საქმეში; თანაც, ამ განზომილებით დავით აღმაშენებლის ღონისძიებანი, ერთი შეხედვით, გაღვრილია ქართული ერთმეფობის თითქმის ოთხსაუკუნოვან გრძლიობაში. როგორც ჩანს, მოვლენათა მოწოდების სწორედ ამ მეტისმეტი სიმოკლის გამო, თითქოს მოსაბოდიშებლად, ვახუშტი თავის ამ ფრაზას – დავითის გამაერთიანებელი საქმიანობის შესახებ – ამგვარ ახსნას მოაყოლებს: „არამედ ესე აღვსწერეთ მოკლედ, ვინაფთგან ქარტასა შინა აღგვიწერია, გარნა აქა წარმოვაჩინეთ უცხადესად“ (563), ანუ იგულისხმება, რომ იქ, სადაც ვახუშტისეული რუკებია, და არა თავად წიგნის ტექსტში, დავითისა თუ მის მემკვიდრეთა მონაპოვარი უკეთ და უფრო ფართოდ ჩანს, ხოლო აქ, ისტორიული თხრობის მონაკვეთში, ეს საკითხი ამდენად ლაკონიურად, მოჭრილად, მარტივად ოდენ სიცხადისთვისაა შემოტანილი. რაც შეეხება დავით აღმაშენებლის, როგორც ერთიანი სამეფოს ხელმწიფის, განსაკუთრებულ წოდებულებას, ის ამგვარად არც კი მოიხსენიება ვახუშტისეულ ტექსტში, თუ არ ჩავთვლით მასთან დაკავშირებით ერთგან „გიორგის“ (ანუ ვახუშტისთვის: სრულიად საქართველოს) ხსენებას, იმ ამბის გადმოცემისას, როცა ეს „გიორგია“ (155) სავსებით აოხრებული დახვდა ყმანვილ დავითს აღსაყდრებისას (155), და კიდევ, მეფის თანამეცხედრე გურანდუხტი ერთგან სახელდებულია – „გიორგის დედოფლად“ (159), რაც, რა თქმა უნდა, ისევ ფაქტობრივი ანაქრონიზმია და ასახავს ხედვას მოგვიანო ხანის, მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის თვალსაწიერიდან.

აღსანიშნავია, რომ, ასევე, თამარის (1184-1213) მეფობის ხანასთან დაკავშირებითაც განსაკუთრებული არაფერია საგანგებოდ ნათქვამი მისი ან მისი დროის „ერთმეფობის“ გამო.

ერთმეფობისა და ქვეყნის ერთიანობის საზომადაც – სამომავლოდ და სამუდამოდ – ვახუშტისათვის მაინც ბაგრატიეული საქართველო რჩება. როცა იგი გიორგი მეხუთის, ბრწყინვალის (1299; 1318-1346), კიდევ ერთი ბაგრატიონის, მიერ ქვეყნის ხელახალ გაერთიანებას ახსენებს, უმალ ბაგრატის ერთიან ქართულ სამეფოს იხსენებს და ადარებს: „იყო ერთმეფობა ბრწყინვალის მეფის გიორგიდამ, ვიდრე ო~ც [78-ე] მეფის გიორგისამდე, ვითარცა ჟამსა ბაგრატ მეფისასა“ (564).<sup>13</sup> სხვათა შორის, გიორგი ბრწყინვალეც მოხსენიებულია როგორც მეფე „ყოვლისა გიორგისა“ (258), და ნათქვამია ისიც, რომ მან „დაიმორჩილნა და დაიმონნა ყოველი გიორგია ნებასა შინა თვსსა და კავკასნიცა მორჩილებასა მისსა იყვნენ ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე“ (259). ამდენად, ეს მეფეც, ვახუშტის აზრით, სრულიად საქართველოს ხელისუფალია, რომლის დროსაც აღდგენილა არა მარტო ქართულ მიწათა ბაგრატიდროინდელი ერთიანობა, არამედ დავითისა და თამარის დროინდელი იმპერიული ფარგლებიც – „ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე“<sup>14</sup>

გიორგი ბრწყინვალის ხანის ერთმეფობას ეხება კიდევ ერთი მონაკვეთი, რომელიც მოთავსებულია ნაშრომის არა იმ ნაწილში, რომელიც ძველ მატრიანეთა ტექსტებს მისდევს, არამედ გადმოცემულია უშუალოდ ვახუშტის მიერ: ცალკეულ ქართულ მიწათა აღწერა-ცხოვრებაში. კერძოდ, ამჯერად თხრობა მოიცავს სამცხისა და კლარჯეთის ცხოვრებას:

ხოლო შემდგომად დაჯდა რა მეფედ ბრწყინვალე გიორგი, ამას გიორგის მისცა ყენმან ძენი ბექასნი და დაიპყრა ბრწყინვალე მეფემან გიორგი მორჩილებასა შინა თვსსა ძენი ბექასნი და სრულიად სამცხე-კლარჯეთი. [...] და შემდგომად ვიდრე ო~ც [78-ე] მეფის გიორგისამდე იყო ყოველი სამცხე და კლარჯეთი და ძენი ბექასნი და ძის ძენი ყოველნივე მორჩილებასა და ერთმეფობასა შინა ქართველთა მეფობასა შინა, ვითა აღვსწერეთ (701-702).

გიორგი მეხუთემდეც და გიორგი მერვემდეც (1446-1476), ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მეფემდე, სამცხე და კლარჯეთი ქვეყნის მთლიანობის საყდრენი იყო; სახელმწიფოს საბოლოო დაშლაც სწორედ სამცხის საათაბაგოდ გამოყოფით – სამცხე-საათაბაგოდ ჩამოყალიბებით – დაიწყო (1465): „ხოლო ყუარყუარემ

დაიპყრნა ქუეყანანი და ციხენი სამცხე-კლარჯეთისანი თვსად და უწოდა სახელითა თვსითა უმეტეს პირველისა საათაბაგო“ (705).

მაგრამ ქვეყნის გაერთიანების დასაწყისისას, სამცხე და კლარჯეთი იყო სახელდობრ „ყოველი ესე ქუეყანა“ (700), რომელიც ჯერ კიდევ მეფე ბაგრატ მესამემ ქართლთან, აფხაზეთთან და ჰერეთ-კახეთთან გააერთიანა და ერთ სამეფოდ გაამთლიანა: „ბაგრატ მეფემან დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა და შეაერთა კუალად ქართლსავე, ვითარცა აფხაზეთი და ჰერ-კახნი, და ჰყო ყოველნი ერთ სამეფოდ“ (700).

ბუნებრივად ჩანს, რომ ერთმეფობისა და ეროვნული ერთიანობის ნიშნების ნუსხაში ისტორიკოსი ჩამოთვლის სწორედ ამ ოთხი მიწის მცხოვრებთ: „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა, ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერ-კახსა [...]“ (291), თუმცა მათე-მეთერთმეტე საუკუნეთა მიჯნის აფხაზეთი იმჟამად, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის მიჯნაზე, უკვე იმერეთად (მანამდე: ლიხთიმერეთად) აღიქმება, ხოლო მისი მცხოვრები კი – იმერად, ისევე, როგორც სამცხე-კლარჯეთის მკვიდრი – მესხად. თუმცა სამეფო წარწერათა დამონშებისას – ერთმეფობის შესაბამე ნიშნის დახასიათებისას – ისტორიკოსი ცალკეულად აღარ მოიხსენიებს თითოეულ ქართულ მიწას და წარმოსახული წარწერის გადმოცემისას („წერილ არიან“ – 292) უფრო მოკლე აღწერას დასჯერდება: ჯერ სრულიად საქართველოს ახსენებს, ხოლო შემდგომ კი – უკვე კერძოდ, ცალ-ცალკე – მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს დაასახელებს („მეფემან საქართველოსმან, ანუ ქართლისამან, ანუ აფხაზეთისამან“ – 292).

მაინც, ვახუშტისეული თხრობისათვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ბაგრატიონთა ქართული პირველსამკვიდრო, როგორც მას მიაჩნია, სწორედ სამცხეა,<sup>15</sup> ანუ იგივე ზემო ქართლი, და რომ შუა საუკუნეთა ერთიანი ქართული სამეფოც – ბაგრატიონთა საგვარეულოს მეთაურობით – სწორედ აქედან, ამ მიწიდან იღებს სათავეს: „ხოლო მეფეთა ქართველთა ბაგრატიონთა ეპყრათ მარადის ზემო ქართლი, რომელ არს სამცხე, და ამისთვის ისახელებოდნენ მეფედ ქართველთა უმეტესად“ (700).

როგორც ითქვა, ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიას ვახუშტი იწყებს გურამ (გურამ) კურაპალატის საქართველოში გამეფებით, ხოლო, ზოგადად, ქვეყანაში ბაგრატიონთა მეფობა თავის წიგნში მას ცალკე ნაწილად აქვს გამოყოფილი (120). სწორედ აქ, ბაგრატიონთა ისტორიის დასაწყისისას, იგი ხელნაწერის არშიაზე ასე მიაწერს: „ამ ბაგრატიონთ დავითიან-ბაგრატიონობა და ჩამომავლობა ვით არის, ან მოსვლა ქართლს, სამცხის აღწერაში იკითხე, ვინათგან პირველ იქ მოვიდნენ“ (120).

მართლაც, ბაგრატიონთა წარმოშობასა და მმართველობას ისტორიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს, – გამოყოფს ცალკე მონაკვეთად საგანგებო ადგილას, როცა სამცხე-კლარჯეთის<sup>16</sup> ისტორიის აღწერას შეუდგება, – და ამ თავს იგი ასე დაარქმევს:

„წარმოჩენა ბაგრატიონთ ნათესაობისათვს“ (702-703). საგულისხმოა, რომ ამ მონაკვეთის დაწყებამდე რამდენიმე სტრიქონით ადრე იგი კიდევ ერთხელ მსჯელობს ქვეყანაში ერთმეფობის შესახებ, რისი მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა სახელდობრ სამცხის მიწასთან დაკავშირებით, ათაბაგთა განდგომის გამო მთლიანი სახელმწიფოსა და ერთი მეფის აღიარებისაგან. ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ქვეყნის ამ ნაწილის მმართველნიც ყურყურე ათაბაგამდე, ანუ მეთხუთმეტე საუკუნის შუა წლებამდე, ერთმეფობასა და, შესაბამისად, ქვეყნის ერთიანობას აღიარებდნენ: „აქამომდე იყვნენ ერთმეფობისა მორჩილებასა შინა ქართველთა მეფეთასა“ (702).

სწორედ ამ თავის ბოლოს წარმოადგენს ვახუშტი საკუთარ გამოთვლას, თუ ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის, მერამდენე შთამომავალი იყო ბაგრატიონთა საგვარეულოს – „დავითიან-ბაგრატიონთა“ – ერთი წარმომადგენელი, მეფე დავით აღმაშენებელი:

რამეთუ დავით აღმაშენებელი იყო მესამოცდაათვრამეტე ნათესავი დავით წინასწარმეტყველისაგან, და უკეთუ ესრეთ არა იყო, ვითარცა აღვსწერეთ, გურამ, ბაგრატ და გურამ მოაკლდების ორი ნათესავი დავით წინასწარმეტყველიდამ აღმაშენებელისამდე, და არღარა სწორე იქმნების თქმული. ამის აღმოჩენისათვს ქეშმარიტ არს აღწერილი ჩუენი და არა სცბის. ხოლო ცხორებასა შინა მკითხველსა ჯერ უჩნს ესრეთ განრკუვეით გულისწმეირებით წარკითხვა (703).

ვახუშტი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ქართველთა მეფე დავით აღმაშენებელი ებრაელთა მეფის სამოცდამეთვრამეტე მემკვიდრე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად და თავისთავად დავითის ისტორიკოსს მიეკუთვნება ეს გამონათვალი (რომელსაც მეტ-ნაკლებად იმეორებენ „ახალი ქართლის ცხოვრების“ შემდგენლებიც), ხოლო ვახუშტი მხოლოდ იმეორებს ამ რიგობითობას, იგი მაინც ვრცლად და გამოკვეთილი დაჟინებით ამტკიცებს, რომ თაობები ორ დავითს შორის – ებრაელ და ქართველ მეფეთა შორის – მხოლოდ მან გამოთვალა სწორად და უცდომლად („ქეშმარიტ არს აღწერილი ჩუენი და არა სცბის“).

სხვათა შორის, სათქმელია, რომ – ამ უზარმაზარი დაშორების მიუხედავად, რაც, ვახუშტისა თუ მის წინამორბედთა მიხედვით, დროითს შუალედში სამოცდაჩვიდმეტ (ან სამოცდათერთმეტ) თაობას მოიცავდა – დავით აღმაშენებლის სინანულის კანონი, რომელსაც „გალობანი სინანულისანი“ ეწოდება, თავისი სულისკვეთებითა და სულიერი ნიმუშის არჩევანით უეჭველადაა განპირობებული მეფე-წინასწარმეტყველის,

დავითის, სინანულის საგალობელთა წიგნით, რომელსაც „ფსალმუნნი“, ანუ, ქართული ტრადიციით, „დავითნი“ ეწოდება, და არა მარტო განპირობებულია მისით, არამედ უაღრესად და უღრმესად ენათესავება კიდეც მას. ასევე უეჭველია, რომ ქართველი მეფე ოდინდელ ებრაელ მეფეში თავის სისხლისმიერ და უფლებისმიერ უშუალო წინამორბედს ხედავდა<sup>17</sup> (ზოგადად, დავითის, როგორც მეფის, სარწმუნეობრივი თვითცნობიერების შესახებ და, ასევე, ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი იხ. ქვემოთ). ასევე, თვალშისაცემია, რომ ავტორი წიგნისა „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“ – მაშინ, როცა ტექსტს წერს და მაშინაც, როცა ამ ტექსტის მკითხველს წარმოიდგენს – თვალსაწიერში მნიშვნელოვანწილად დავით წინასწარმეტყველის ნიმუშს გულისხმობს.<sup>18</sup>

ბაგრატიონთა სრული გამორჩეულობა, მათი გვაროვნული კავშირი ღმრთაებრივ ძირებთან, რასაც გამოხატავდა ამ საგვარეულოს წარმოშობა ბიბლიური მეფის, დავითისაგან, და, შესაბამისად, მათი სისხლისმიერი ნათესაობა იესო ქრისტესთან (რაკი დავითი, მყარი ქრისტიანული თვალთახედვით, იყო იესოს წინაპარი მარიამის მხრივაც და იოსების მხრივაც) გახდა ქართული შუა საუკუნეობრივი პოლიტიკური თეოლოგიისა და მონარქიული იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი,<sup>19</sup> რის შესახებაც მრავალრიცხოვანი ქართული წყაროები დაუღალავად მეტყველებს დინასტიისა და სამეფოს აღმოცენებიდან დინასტიისა და სამეფოს აღსასრულამდე: მეთაუ საუკუნის შუაწლებიდან მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე, გიორგი მერჩულიდან<sup>20</sup> დავით გურამიშვილამდე.<sup>21</sup>

საყურადღებოა, რომ ბაგრატიონთა საგვარეულოს გენეალოგიური აღწერა საგანგებოდ შეუდგენია და მცირე ისტორიულ ნაშრომად ჩამოუყალიბებია – როგორც ჩანს, სახელწოდებით „ნათესაობის წიგნი“ – ბატონიშვილ ვახუშტის მამას, მეფე ვახტანგ მეექვსეს, თავისი ახალგაზრდობისას, რის შესახებაც იგი ასე ამბობს: „მრავალის ჭირითა და შრომით ეს ადამს აქათი ბაგრატოანთ ნათესაობა მე, ბატონიშვილმა ვახტანგ, გადმოვიღე და ასე აღვწერე ვიდრე ჩვენამდე“ (გრიგოლია 1954: 341).

თითქმის უეჭველია, რომ ამ ნაშრომს, რომლის ავტოგრაფული ხელნაწერი მეოცე საუკუნემდე ვახტანგის მოსკოვურ არქივში ინახებოდა, იცნობდა და იყენებდა ვახუშტი, რომელიც თავისი წიგნს სწორედ მოსკოვში წერდა.

სწავლულ მეფეს, ზოგადად, ქართველები და, კერძოდ, ბაგრატიონები, ბიბლიურ წინაპართა შთამომავლებად წარმოუდგენია, თუმცა, თუ ქართველთა პირველ მამამთავრად იგი ნოეს ძეს, იაფეთს, მიიჩნევს, ბაგრატიონთა პირველი მამამთავარი მისთვის სემია, მეფე დავით ფსალმუნთმგალობლისა და, შესაბამისად, ბაგრატიონების წინაპარი.

მანამდე, ბაგრატიონთა დავითთან ნათესაობის შესახებ პირველად ქართულ მათიანეთა შორის მკაფიოდ აცხადებს „მატიანე ქართლისაჲ“, – სავარაუდოდ, მეთერმეტე საუკუნის ბოლო მესამედის ტექსტი<sup>22</sup> (თუმცა მაინც მომდევნოდ „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებისა“, რომელიც მეთაუ საუკუნის შუა წლებშია დაწერილი): „ვითარმედ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი, რომელი-იგი ჯორციელად მამად ღმრთისად იწოდა“ (მეტრეველი 2008: 254).

კიდეც უფრო ადრე, უკვე მეთაუ საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (905-959), თავის ნაშრომში „სახელმწიფოს მმართველობის გამო“,<sup>23</sup> ზოგადად, ქართველებს (იბერიელებს) წარმოაჩენს მეფე დავითის შთამომავლებად და ამ ცნობის მოწოდებისას იგი თავად ქართველებს იმონებს: „[იბერიელები, ანუ ქართველები] ამბობენ, [...] რომ ისინი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის, ნათესავები არიან და აქედან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაც, რადგან ესეც დავითის თესლისგან არის წარმოშობილი“ (გეორგიკა 1952: 255).<sup>24</sup>

სრულიად უკამათოა, რომ ვახუშტის ხელთ ეპყრა არაერთი სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული წყარო, სადაც ბაგრატიონთა „დავითიან-ბაგრატიონობა“ (120) იყო ნახსენები, იქნებოდა ეს ძველ მათიანეთა ტექსტები თუ „ახალი ქართლის ცხოვრება“. ნამდვილად, მას მრავალჯერ ექნებოდა ნაკითხული და მოსმენილი ბაგრატიონთა შესახებ, „ვითარმედ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი“ (მეტრეველი 2008: 254).

ქართულ ნიადაგზე ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიას ვახუშტი იწყებს გურამ (გურამ) კურაპალატის სახელმწიფოებით (120) და თავისი წიგნის შესავალშივე მას მოიხსენიებს – თვალშისაცემად – როგორც მეფე-წინასწარმეტყველის, დავითის, უშუალო შთამომავალს: „დავით წინასწარმეტყველის ნათესავის, გურამის მოსვლა, ცხოვრება და გამეფება მათი აღვსწერეთ თვის ადგილს“ (9).

თუმცა იქვე ისტორიკოსი მკითხველს დაჰპირდება, რომ უფრო ვრცელ თხრობას გურამის შესახებ თავისი წიგნის შემდგომ ფურცლებზე დაახვედრებს. მართლაც, სამცხისა და კლარჯეთის ამბავთა გადმოცემისას ისტორიკოსი დაწვრილებით განიხილავს პირველი მმართველი ბაგრატიონის წარმოშობას, – მის ბიბლიურ გენეალოგიას (რომელიც, საბოლოოდ, გურამისა და მისი სამი ძმის ქართლში მოსვლითა და მეფე ვახტანგ გორგასლის შემკვიდრებთან მისი დანათესავებით მთავრდება):<sup>25</sup> „არამედ ესე გურამ ნათესავ-ჩამომავალი იყო დავით წინასწარმეტყველისა ესრეთ, რამეთუ მეფემან დავით შვა სოლომონ, სოლომონ შვა რობოამ, რობოამ შვა აბია, აბიამ შვა ასა, ასამ შვა იოსაფატ, იოსაფატ შვა იორამ, იორამ შვა ოქოზია [...] (692).



მომდევნო გრძელ ნუსხაში, რომელიც არაერთ სტრიქონს მოიცავს, წმიდა წერილის აუჩქარებლობითაა ჩამოთვლილი რამდენიმე ათეული სახელი, და ეს ჩამონათვალი, ბუნებრივია, ნიმუშად გულისხმობს ძველი აღთქმის ქრონიკებსა თუ ახალი აღთქმის პირველ სტრიქონებს, მათეს სახარების საწყის სიტყვებს. თავისი წიგნის ამ მონაკვეთის წერისას ვახუშტი ცნობილ ბიბლიურ ნუსხებს არა მარტო ნიმუშად იღებს და ეფუძნება, არამედ იმეორებს კიდევ მათ როგორც შინაარსობრივად, ისე ტექსტობრივი აგებულებითაც (შდრ.: „აბრაამ შვა ისააკ, ისააკ შვა იაკობ, იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი; ხოლო იუდა შვა ფარეზ და ზრა თამარისაგან; და ფარეზ შვა ესრომ; ესრომ შვა არამ [...]“ (მათე 1: 2-3).

მართალია, ბატონიშვილი ვახუშტი საგულდაგულოდ ჩამოთვლის ბაგრატიონთა წინაპრებს, – ებრაელთა მეფის დავითიდან მოკიდებული, – მაგრამ ესეც ის შემთხვევაა, როცა იგი უხვად სარგებლობს ძველი ქართული მათიანებით, კერძოდ, შესაძლოა, სუმბატ დავითის ძის საგანგებო ტექსტითაც – „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“, რომელშიც სახელდობრ ბაგრატიონთა საგვარეულო ისტორიაა გადმოცემული.<sup>26</sup> თუმცა სუმბატისეული სია (მეტრეველი 2008: 359-360) ადამით იწყება, ხოლო ვახუშტის ყურადღება უწინარესად მიპყრობილია ბაგრატიონთა წარმოშობისაკენ მეფე დავითისაგან, რის გამოც, ნიშანდობლივია, რომ თავის სიას იგი დავით წინასწარმეტყველით იწყებს (თუმცა არსებულ, ძველ სიაში იგი სხვა არაერთ ცვლილებასაც შეიტანს).<sup>27</sup>

ვრცელი ქრონოლოგიური სიების შედგენის – მათი გადმოწერისა თუ დაზუსტების – შემდეგ ვახუშტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მეფე-წინასწარმეტყველის დავითის შთამომავალი იყო გურამი, რომელიც ვახტანგ გორგასლის ძემ, მირდატმა შეიფარა და რომელიც შემდგომში ქართულ მიწაზე პირველი მმართველი ბაგრატიონი აღმოჩნდა: „ამ მირდატისა თანა მოვიდა ნათესავი დავით წინასწარმეტყველისა შვდთა ძმათაგანი გურამ და ითხოვა მისგან მკვდრობა მის თანა“ (693).

ამავე დროს, ვახუშტი აქვე იმასაც ახსნის (საყურადღებოა, რომ ეს ახსნა ძველ წყაროებში სხვაგან არსად ჩანს), თუ რატომ მიიღო ამ საგვარეულომ მირდატის სიკვდილის შემდეგ სახელად „ბაგრატიონობა“:

მოსწყდნენ ძენი მირდატისანი, ძისა ვახტანგ მეფისანი, და ამათ არა დაუტევეს ძენი, რომელთა დაუმკვდრეს სამკვდრებელნი თჳსნი ჰაპიდისნულსა თჳსსა გურამს, და უწოდეს მირდატოვანი. და ამან გურამ, ძემან ბაგრატიანამან, შემდგომად მათსა დაიპყრა ნაქონები მათი ტაშისკარ-ფანავრიდამ, ვიდრე ზღუამდე, და მერმე შეიცვალა სახელი მირდატოვნობისა ბაგრატიონად მამისა თჳსისა სახელისთჳს (694).

ვახუშტის მიხედვით, ვახტანგ გორგასლის შვილისშვილების გადაგების შემდეგ ქართულ სამეფო ტახტზე აღსაყდრდება ვახტანგისეული ოჯახის დანათესავებული წევრი, გურამი, რომელიც ჯერ მირდატოვანი ხდება (ვახტანგის უმცროსი ვაჟის, მირდატის, სახელის კვალობაზე, უშუალოდ მასთან ნათესაობის გამო – „გურამ დაისიდა მირდატ, ძემან ვახტანგ გორგასლისამან“ – 693), ხოლო სამეფოს გაფართოების შემდეგ, თვით ზღვის ნაპირამდე, – რაკი მიწათა შემატების შემდეგ გურამი უკვე გაფართოებული, სხვა, ახალი სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლად აღიქვამს თავს, – იგი ახალ სამეფო საგვარეულოს დაუდებს სათავეს, რომელსაც უკვე თავის სისხლისმიერ სახელს უწოდებს: უარს ამბობს მირდატოვნობაზე და ხდება ბაგრატოვანი, რაკი მამამისს ბაგრატი ერქვა. ამგვარად წარმოადგენს მოვლენათა თანმიმდევრობას ვახუშტი.

შუა საუკუნეების ქართული სამეფო იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი – ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმოშობა მეფე დავით წინასწარმეტყველისაგან – ასევე გამოვლინდება ქართველ ხელმწიფეთა სამეფო წოდებულებებში, რომელთა შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ვახუშტი. თავისი ნაშრომის დასაწყისში, შესავალ ნაწილში – ქართულ მიწათა მეტად მოკლე მიმოხილვის შემდეგ – იგი მეფეთა წერილობით წოდებულებებს უძღვნის ცალკე მონაკვეთს, რომელსაც ასე ეწოდება: „მეფეთა წერილისათჳს“ (საყურადღებოა, რომ აქ ლექსემა „წერილი“ ნიშნავს იმ ტექსტს, რომელიც დაწერილია მხოლოდ რბილ სანერ მასალაზე და არა იმას, რომელიც აღბეჭდილია ქვაზე ან ლითონზე, – ამგვარ ამოკვეთილ წარწერებს ვახუშტი სხვაგან ახსენებს: მაშინ, როცა სამეფო წარწერებს შეეხება ერთმეფობის შემორჩენილ ნიშნებზე მსჯელობისას და ამ ნიშანთა ჩამონათვალში მათ შესამე ადგილას მოიხსენიებს). ისტორიკოსი აღწერს, თუ როგორ ასახელებდნენ, ანუ როგორ უწოდებდნენ საკუთარ თავს მეფეები სამეფო წერილების<sup>28</sup> დასაწყისში და რამდენიმე მაგალითს მოიხმობს, მაგრამ, ამ მხრივ, ყველაზე საგულისხმო სიგელ-გუჯართა საწყისი ფრაზებია:

ხოლო მეფენი ამათ ყოველთა ზედა იწერებოდნენ ესრეთ [...] სიგელსა და გუჯარსა შინა: „ჩუენ, მეფეთმეფემან, ღვითთ წყალობით ცხებულმან, თჳთმპყრობელმან და თჳთქელმწიფემან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონმან, შვდთავე სამეფოთა მპყრობელმან (სახელი) გიწყალობეთ“. ხოლო აწინდელთა ჟამთა [...] გუჯართა და სიგელთა: „ჩუენ, მეფემან ღვითი-ცხებით გვრგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან, ბაგრატიონმან (სახელი) გიწყალობეთ!“ ესრეთვე იმერნი და კახნი, არამედ მეფე ქართლისა კულადაცა მეფეთ-მეფობით სწერდა წინავეთავე ჩუეულებითა (37).

ღირსშესანიშნავია, რომ ვახუშტის მიერ მოყვანილ სამეფო წოდებულებებში სახელობითად არ მოიხსენიება ის მიწები, რომელთა მმართველადაც მიიჩნევა თავს ხელმწიფე. თუ ძველი ვითარების აღწერისას

განუსაზღვრელი „შვიდი სამეფო“ მაინცაა ნახსენები, ისტორიკოსის თანამედროვე ვითარებისათვის („ანინ-დელთა ჟამთა“) ოდენ აღინიშნულია ქართველ მეფეთა ბიბლიური მემკვიდრეობითობა. თუმცა, ზოგადად, ამ პერიოდის – ქვეყნის დაშლის შემდგომი ჟამის – ხელისუფალთა სახელდებაში თუ თვითსახელდებაში ისევე გვხვდება მიწათა მითითება (ბერძნიშვილი 1989: 190-203), მაგრამ, ამასთანავე, სწორედ ამ, გვიანდელ ხანაში ჩნდება მეფეთა წოდებულებებში „დავითიანი“, რომელიც თანდათანობით ოთხნაწილოვანი ხდება: „იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონი“<sup>29</sup> რაკი იესე დავითის მამა იყო („დავით, ძე იესესი“ – 1 ნეშტთა 29: 26), სოლომონი – დავითის ვაჟი („სოლომონ, ძე დავითისი“ – 2 ნეშტთა 13: 6), ხოლო ბაგრატიონები კი, მრავალსაუკუნოვანი დარწმუნებით, – იესეს, დავითისა და სოლომონის შთამომავლები.

მართალია, ვახუშტი მთელი ნაშრომის განმავლობაში სხვაგან აღარსად ახსენებს ამგვარ წოდებულებას, – აღარც მოკლე და აღარც ვრცელი სახით,<sup>30</sup> – მაგრამ მაინც შესამჩნევია, რომ, როცა იგი, კერძოდ, სახელმწიფო საბუთებში მეფეთა წერილობითი თვითმოხსენიების სახეობებს განიხილავს, მაშინ იგი სწორედ ამ ვრცელ, ბიბლიურ გამოხატულებას შეარჩევს დასამონებლად.

აშკარაა, რომ ერთმეფობისა და ქვეყნის ერთიანობის მესამე ნიშნის შესახებ მსჯელობისას ვახუშტი არაფერს ამბობს ქართველ მეფეთა საღმრთო ნათესაობის შესახებ, მაგრამ თავისი ნაშრომის განმავლობაში ისე საგანგებოდ და იმდენჯერ წამოჭრის ამ საკითხს (უკვე შესავალშივე!), რომ ცხადია, როცა ისტორიკოსი სამეფო წარწერების შესახებ მსჯელობს, მკაფიოდ ახსოვს მეფეთა გვაროვნული წარმოშობაც და ისიც, თუ როგორ მოიხსენებიან ისინი: თუნდაც არა მოკლე სატაძრო ან ქვათა, ხატთა თუ ჯვართა წარწერებში, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად – ვრცელ წერილობით საბუთებში.

თვალშისაცემი და მოულოდნელი, ერთი შეხედვით, ისაა, რომ ვახუშტი, რომელიც წიგნის წერისას, როგორც უეჭველად ჩანს, მრავალ წერილობითს წყაროს იყენებდა თუ ეყრდნობოდა, ერთიანი სახელმწიფოს მეფეთა მოხსენიების დასტურად არ ახსენებს არც ისტორიულ და არც სამართლებრივ საბუთებს, თუმცა ამგვარ წყაროთაგან იმონებებს – სრულიად სხვა მიზნით – მეფეთა წოდებულებებს, როცა თავისი ნაშრომის დასაწყისში „მეფეთა წერილებს“ (37) განიხილავს. ეს წერილობითი საბუთები მას, რა თქმა უნდა, ნანახიც აქვს, შესწავლილიც და გამოყენებულაც (განსაკუთრებით, იმ მონაკვეთების წერისას, როცა იგი ვერ დაეფუძნებოდა უკვე არსებულ ისტორიულ მათიანებს, დაწყებულს ლეონტი მროველის „ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან“), ხოლო ეს სიგელ-გუჯრები თუ სხვა წყაროები კი – მათ შორის, გვიანდელნიც – ნამდვილად წარმოადგენს ერთმეფობისა თუ, ზოგადად, ქვეყნის ერთიანობის მყარ დამონებებს.<sup>31</sup> ამიტომაც, თითქოს უცნაურად ჩანს, რომ ისტორიკოსი სავსებით უგულებელყოფს ამგვარ წერილობითს საბუთებს და მხოლოდ იმ წარწერებს მიიჩნევს ერთმეფობის ნიშნად, რომლებიც ქვაზე ან სხვა მყარ მასალაზე ამოკვეთილ-ამოტვიფრული.

როგორც ჩანს, უწინარეს ყოვლისა, სათქმელია, რომ, ხელმწიფეთა „ხელით“ და სახელით შესრულებული სამეფო წარწერა, მოთავსებული საჯარო ადგილას – ვახუშტის ჩამონათვალთ: პალატთა თუ ტაძართა კედლებზე, ხატებსა და ჯვრებზე – საყოველთაო სივრცეში ხელისუფლების გამოვლინებისა და დადატურების ნიშანია, ხოლო ცალკეული, მეტად მნიშვნელოვანი სამეფო საბუთებიც კი მაინც არ სცდება ერთეულ პიროვნებათა გარემოს, რადგანაც, – თუნდაც ნივთიერად, – მხოლოდ შეზღუდულ (უმეტესად, ჩაკეტილ) სივრცეში იმყოფება და ამიტომ, სამეფოს თუ სამეფოთა ქვეშევრდომთათვის, ზოგადად, ხელმიუწვდომელია. ამგვარი საბუთები, ანუ „წერილები“ (37) არაა გათვალისწინებული საყოველთაოდ სახილველად, ხოლო პალატთა, ტაძართა, ხატებისა თუ ჯვრების ნახვა, და მათზე აღბეჭდილ წარწერათა აღქმა, ფაქტობრივ, ყველასათვის მისაწვდომია, ანუ ეს წარწერები ხილულია. შემთხვევითი არაა, რომ ერთმეფობისა თუ ეროვნული ერთიანობის შესახებ მსჯელობისას ვახუშტი ჩამოთვლილ ნიშნებს სახელდობრ „ხილულთ“ უწოდებს (291), ანუ მათ იმგვარ ნიშნობრივ დასტურად მიიჩნევს, რომელთა ხილვა, ნახვა თუ დანახვა საყოველთაოდაა შესაძლებელი.

ამავე დროს, სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლის სახელის გამოსახვა საჯარო გარემოში – კერძოდ, წარწერების სახით – ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაც და მნიშვნელოვანი ნიშანიცაა: სახალხოდ დასანახავად გამიზნული წარწერა ამ მმართველის კანონიერების, ლეგიტიმურობის თვალხილული განაცხადია. სხვათა შორის, ძველ თუ შუასაუკუნობრივ სამყაროში, და შემდგომაც, – როგორც სასულიერო, ისე საერო სივრცეში, – წარწერის გარეშე ეს სამართლებრივი დასტური რამდენადმე სათუო ხდებოდა. ცნობილი და აღიარებულია ხელისუფალთა წარწერების დიდი პოლიტიკური დატვირთულობა სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა სახელმწიფოში.<sup>32</sup> როგორც ჩანს, ვახუშტიც ამ თვალსაზრისსა და ამგვარ ხედვა-დანახვას იზიარებს.

იმ წარწერათა განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ, რომლებიც მმართველთა სახელებს ასახავს, თავისი გაგრძელება-განვითარება პოვა, კერძოდ, საღმრთო ხელოვნების აღმოსავლურ-ქრისტიანულ ტრადიციაში, სახატო თუ ფრესკულ გამოხატულებებზე, სადაც წარწერა არა მარტო აუცილებელია, არამედ ის არანაკლებ მეთყველია, – ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო ღირებულიც, – ვიდრე თავად გამოსახულება.<sup>33</sup>

ამიტომაც, წარწერათა საღმრთო შინაარსთან თუ გარემოსთან დაკავშირებით, ყურადსაღებია ისიც, რომ სამეფო წარწერების სახით ნივთიერად დადასტურებული და გამოხატული ერთმეფობა და, შესაბამისად, ისტორიული ერთიანობა, ვახუშტის მიხედვით, უმეტესად საღმრთო სინმიდეებზეა აღბეჭდილი: ამის გამო

ადგილთა ჩამონათვალში მინიშნებულია „ეკლესია-მონასტერთა, ანუ ხატთა და ჯუართა ძვრფასთა“ (292) წარწერები. ეკლესია და მონასტერი, რა თქმა უნდა, თავისთავად – სივრცობრივადაც, დანიშნულებითაც, მნიშვნელობითაც – გამორჩეული ნაგებობებია (ისევე – თუ არა მეტად – როგორც, ვთქვათ, მანამდე დასახელებული „დიდნი შენებულნი“ – 292), მაგრამ როცა ლაპარაკია ხატებსა და ჯვრებზე, რომლებიც ისედაც ღირებული სულიერი თვალსაზრისით, ესენიც მხოლოდ იმგვარი იგულისხმება, რომლებიც ასევე გამორჩეულია, ანუ, ტექსტისეულად, „ძვირფასია“ (ეს სიძვირფასე, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ზედწერილებით მათს შემკობასაც ითვალისწინებს). ამ მხრივ, ეს სამეფო წარწერებიც, რომლებიც წმიდა ნივთებზეა ამოტვიფრული, გამოძიებულია საერო, ყოფითი, ყოველდღიური გარემოსაგან და საღმრთო, საკრალური სივრცის ნაწილი ხდება: საღმრთო საგნებთან განუყოფლად დაკავშირებული წარწერებიც სცილდება მიწიერ გარემოს და ამ შემთხვევაში საღმრთო, საკრალურ განზომილებას იძენს.

შესაძლოა, რიგითი ადამიანის წარწერა იმავე საღმრთო ნივთებზე ამ კერძო ადამიანის საღმრთო სივრცეში შესვლასაც გულისხმობდეს (და გულისხმობს კიდევ ნამდვილად!), მაგრამ როცა ამ სივრცეში – წარწერის სახითა და მეშვეობით – ხელმწიფე აღმოჩნდება, ამით მთელი მისი ხელმწიფობა, მისი ხელისუფლება, მისი მმართველობა ღმრთაებრივ განზომილებას განეკუთვნება, რაკი მეფე, საკუთარი პიროვნების გარდა, ქვეყნის უზენაესი ხელისუფლებისა და მმართველობის ხორცშესხმაცაა.

ვახუშტის მტკიცედ სჯერა, რომ ქვეყნის ერთიანობის გამოხატულება ერთმეფობაა. ასევე მტკიცეა მისი რწმენა, რომ ერთიანი სახელმწიფოს ნიშანიც და დასტურიც ქვეყნის მეთაური – მისი მეფეა. საღმრთო სივრცეში ხელმწიფის ყოფნით, რისი ერთი გამოვლინებაცაა საღმრთო ნივთებზე აღბეჭდილი მეფის სახელი, ქვეყანა და ერი – მეფის საშუალებით, შუამდგომლობით, შუამავლობით – მყარ კავშირს აბამს ღმრთაებრივ სამყაროსთან. ამავე დროს, ერთიანი სახელმწიფოს ერთი მეფე, ზოგადად, აღბეჭდილია ერთი, უზენაესი ღმრთის ანარეკლით. ამგვარი იყო მონარქიის საყოველთაო აღქმა იმ დროში, როცა ვახუშტი წერდა; ამგვარი იყო, სავარაუდოდ, ვახუშტისეული აღქმაც (გასახსენებელი და გასათვალისწინებელია, რომ ისტორიკოსი არ მოსწრებია საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციას და რევოლუციელთა ათწლიან მმართველობას 1789-1799 წლებში, რამაც გამანადგურებლად იმოქმედა მონარქიის ასეთი ხედვის სიმყარეზე).<sup>34</sup>

ბატონიშვილ ვახუშტისათვის – დროისა და წარმოშობის კვალობაზე – სრულიად ბუნებრივია, რომ ქვეყნის მეფე არა მარტო ქართველი ადამიანების მეთაურია, არამედ მათი საყოველთაო წარმომადგენელიცაა ღმრთისა და სამყაროს წინაშე, ანუ, ზოგადად, ქართველთა ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთიანობის განსხეულებული სახეა.

ჩვეულებრივი მონარქიული იდეოლოგიის თანახმად, – ხოლო საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არ იქნებოდა და არც ყოფილა, – მეფე ამქვეყნად ღმრთაების წარმომადგენელი და განსახიერებია, ხოლო სამეფო ძალაუფლების უზენაესი წყარო ღმერთია,<sup>35</sup> მაგრამ არც ვახუშტის და არც არავის მის თანამედროვე ქართველთა შორის აზრადაც არ მოსვლია, ხელმწიფე ან ღმერთად გამოეცხადებინა, ან იესო ქრისტედ წარმოესახა, ან, ზოგადად, ამქვეყნიურ ღმრთაებრივ არსებად განეხილა, ან, თუნდაც, უშუალოდ ღმრთაების გვერდით დაეყენებინა. უბრალოდ, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო საუკუნეთა განმავლობაში – მათ შორის, მეთვრამეტე საუკუნეშიც, – იესო ქრისტეს ხორციელ ნათესავებად მიიჩნეოდა.

თავად ქართველი მეფეებიც უმეტესწილად უაღრეს სარწმუნოებრივ მოკრძალებას გამოხატავდნენ, რასაც ადასტურებს ქართული მატიაწებებიცა და წერილობითი საბუთებიც, – შემონახულნი ხელმწიფეთა სახელით, – და რის ცხად და მეტყველ ნიშნად თუნდაც დავით აღმაშენებლის ანდერძი გამოდგება, სადაც მეფე საკუთარ პიროვნებას „უღირსსა“ და „უმადლოს“ უწოდებს, ხოლო საკუთარ სულს – „უგბილს“<sup>36</sup> (რომ არაფერი ითქვას ქრისტიანული მოწინებისა და ღმრთისმოსაობის იმგვარ გამოხატულებაზე, როგორიცაა მისი ჰიმნოგრაფიული ტექსტი – „გალობანი სინანულისანი“, რომელიც რამდენადმე მაინც ლიტურგიკული კანონის ფარგლებში რჩება).<sup>37</sup> თუმცა ღირსშესანიშნავია, რომ იქვე, იმავე ანდერძში შიომღვიმის მონასტრის მიმართ, მეფე მხოლოდ ღმერთს – მეფეთა მმართველს, „მეფეს მეფეთას“ – მიანერს თავის სასტიკ ქმედებებს, ჩადენილთ „მოსასვრელად“ მტერთა, რომელთაც – თავის პოლიტიკურ მოქიშპეებს – იგი აღიქვამს არა პირად მოწინააღმდეგეებად, არამედ მიიჩნევს მათ ღმრთის „განგებულების წინააღმდეგობებად“.<sup>38</sup> ანდერძის შინაარსისეული გაგება და ჩანვდომა საშუალებას აძლევს ივანე ჯავახიშვილს, ამ გამონათქვამში მკაფიოდ დაინახოს მეფის ძალაუფლების ღმრთაებრივი წარმოშობის აღიარება, მაგრამ, ასევე, აქვე ამოკითხოვს სამეფო ხელისუფლების მიჩნევა ღმრთის წინამძღვრობის გამოვლინებად და ხელმწიფის გამოცხადება ღმრთისმიერ ჩანაფიქრთა იარაღად; ამ განაზრების შედეგად მეოცე საუკუნის ისტორიკოსი მტკიცედ აცხადებს:

ამ საყურადღებო აღსარებითგან ცხადად ჩანს, თუ რამდენად დარწმუნებული ყოფილა დავით აღმაშენებელი, რომ მეფის ხელისუფლება თვით ღმერთმა პირადად „არწმუნა“ მას, რომ ეს მეფის ხელისუფლება „მის მიერ“, ე.ი. ღვთის მიერ, განგებული და დაფუძნებული იყო. დავით აღმაშენებლის სიტყვით, საქართველოს მართვა-გამგეობაში თვით ღვთაება ეხმარებოდა ხოლმე, რომ „თვით მეფე მეფეთა იქმოდა საჭირველთა უჭირველად“ და მეფის მართვა-გამგეობის მოწინააღმდეგეთ, ე.ი. მის მტრებს, მისცემდა ხოლმე მას „მოსასვრელად“ იმიტომ, რომ, თუმცა სამეფოს ხორციელად დავით აღმაშენებელი ჰმართავდა, მაგრამ უხილავად ამ ძნელ საქმეში მას



თვით ღმერთი უძლოდა ხოლმე წინ. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ საქართველოს მართვა-გამგეობა ღმერთსვე ეკუთვნოდა (ჯავახიშვილი 1984: 212).

განსხვავება ხელმწიფის ამ ორ განზომილებას შორის მკვეთრი და საგულისხმოა: ერთი მხრივ, მეფე, როგორც რიგითი ცოდვილი, – დაცემული და დამცრობილი, – მხურვალედ მონანიე ქრისტიანი პიროვნება და, მეორე მხრივ, მეფე, როგორც ღმერთის ნების განხორციელების საშუალება და ხატი, რომელიც უკან არ იხევს, იტვირთოს თუ დაიკისროს მიუკერძოებელი განმსჯელის უზენაესი მოვალეობა. ამიტომაც ამბობს „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ დავით აღმაშენებლის შესახებ ამგვარად: „ვითარცა ღმერთი, მართლ სჯიდა საწმისოთა თვსთა თუალუხუამითა მით ბჭობითა მისითა“ (მეტრეველი 2008: 335).

შემთხვევითი ნამდვილად არაა, რომ სამეფო ხელისუფლების ეს აღმატებული განცდა – მეფის წარმოდგენა და გამოხატვა უშუალოდ ღმრთაებრივ განზომილებაში, ღმერთთან გათანასწორებულად ან ღმრთის ნების ხორცშესხმულ განსახიერებად – დავით აღმაშენებელსა და მისდროინდელ საქართველოს უკავშირდება. ქვეყნის ხანგრძლივ ცხოვრებაში ოდენ ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოკრთება ხელმწიფის საჯარო გამოცხადება ან ღმრთაებად, ან ღმრთაებრივ არსებად, ან ღმრთაების შესადარ-მისატოლებელ პიროვნებად: ღმრთაებრიობამდე აღზევებული მეფეთა ხატი საქართველოს იმპერიული თავდაჯერებულობისა და იმპერიულ მოთხოვნათა ჟამს ჩნდება. ხელმწიფის წარმოდგენა ღმერთად, თუნდაც პოეტურ-რიტორიკულ მეტაფორათა სახით, ფაქტობრივად, საქართველოს მხოლოდ უმაღლესი პოლიტიკური ძლიერების ხანაში – დავითისა და თამარის მეფობისას – დასტურდება.<sup>39</sup> თუ მანამდე, – ისტორიულ, სამართლებრივ თუ ლიტერატურულ წყაროთა წიაღ, – ქართველი მეფეები არსად ჩანან ღმრთისტოლ მიწიერ არსებებად, ამ ეპოქის იდეოლოგიური ტექსტების მიხედვით, დავით აღმაშენებელი ბუნებით ღმერთია,<sup>40</sup> თამარი ღმრთის თანაბარი არსება,<sup>41</sup> მამა ღმრთის და ძე ღმრთის ტოლი,<sup>42</sup> წმიდა სამების მეოთხე წევრი და თვით სამებაზე აღმატებული პიროვნებაა,<sup>43</sup> ასევე, თამარის მიერ გიორგი ლაშას შობა ტაბახმელას იმგვარივე მოვლენაა, როგორც იყო მარიამის მიერ იესოს შობა ბეთლემში, ხოლო ყრმა უფლისწული კი ღმრთის ძის – ქრისტეს თანასწორია.<sup>44</sup>

რაც შეეხება ვახუშტისათვის ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად ახლობელ – და, ასევე, კონფესიურად მონათესავე – გარემოს, გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის იმპერიაში, – ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდა და თავის ნაშრომს ასრულებდა ქართველი ისტორიკოსი, – თანდათანობით ფეხს იკიდებდა იმპერატორის ღმრთაებრივი ხატი და არცთუ იშვიათად მონარქი ქვეშევრდომთა მიერ საჯაროდ ცხადდებოდა ხან ღმერთად, ხან – იესო ქრისტედ. ორასი თუ მეტი წლის განმავლობაში რუსეთის მეფეს („ცარს“), ან იმპერატორს – წინანდელი ბიზანტიური ტრადიციის კვალობაზე – მოიხსენიებდნენ მიწიერ ღმერთადაც (ჭიკოვი 1996: 247-252), ქრისტედაც (ჭიკოვი 1996: 239-247), ან, სულ მცირე, ღმრთის ამქვეყნიურ ხატებად (ჭიკოვი 1996: 265-271). სათქმელია, რომ, ფაქტობრივად, ამგვარად გრძელდებოდა იმპერიის თითქმის დასასრულამდე, – ყოველ შემთხვევაში, უეჭვლად, მეთვრამეტე საუკუნეში და ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე, – მაგრამ მეფეების მიმართ აღვლენილ ხოტბათა წყების აღჭურვა ღმრთაებრივი განზომილებით განსაკუთრებით გათვალსაზრისწოდდა სწორედ ვახუშტის დროინდელ რუსეთში (ჭიკოვი 1996: 205-237).

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ, ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, არა მარტო ხელმწიფე, – რომელიც მონარქისტული იდეოლოგიის მიხედვით, ზეციური ღმრთის ხატს წარმოადგენდა მიწიერ სამყაროში, – არამედ ნებისმიერი ხორციელი ადამიანი, თავისი პიროვნული შესაძლებლობით, ღმრთის სადარ, ღმრთის თანაფარად არსებად, ხოლო ზოგ შემთხვევაში თვით ღმერთადაც კი იყო მიჩნეული, რასაც ბიბლიური წყაროებიც უმაგრებდა ზურგს („ღმერთნი სამე ხართ და შვილნი მადლისანი თქვენ ყოველნი“ – ფსალმუნი, 81: 6; იოანეს სახარებაში იესოც მოიხმობს და იმეორებს ამ სიტყვებს – იოანე 10: 34). ამდენად, მართლმორწმუნეობის თვალსაზრისიდან, რაც უნდა, ერთი შეხედვით, მკრეხელობად ჩანდეს მეფეთა განსაადიდებლად მოხმობილი ზოგიერთი უჩვეულო მეტაფორა თუ შედარება, მაინც ისინი უმეტესწილად არ სცილდება ქრისტიანული ღმრთისმოსაობის დადგენილ ფარგლებს.

რაც შეეხება ბატონიშვილ ვახუშტის დამოკიდებულებას სამეფო ხელისუფლების მიმართ, ისტორიკოსის განწყობა, ამ თვალსაზრისით, მეტად თავშეკავებული და მოკრძალებულია, რაც, შესაძლოა, მისი გვაროვნული წარმოშობითაც იყოს განპირობებული: იგი სისხლისმიერად ეკუთვნოდა სამეფო ოჯახს და მისგან არც იქნებოდა მოსალოდნელი ქვეშევრდომული აღტაცების გამოთქმა-გამოხატვა მეფეთა მიმართ. შესამჩნევია, რომ ვახუშტი თავის ნაშრომში არსად მსჯელობს ხელმწიფეთა, ან, ზოგადად, უზენაეს ხელისუფალთა ღმრთაებრივი ბუნების, ან თუნდაც ღმერთთან მათი შეტოლების შესახებ. როცა იგი თავისი წიგნის შესავალში ცალკე მონაკვეთს – „მეფეთათვის“ – უძღვნის მეფეთა დაწესებულებას, ამგვარად გამოთქვამს თავის თვალსაზრისს:

ხოლო ჩუულება აქუნდათ ერთისა მეფისა მორჩილება და სარწმუნოდ მის მიმართ ყოფა, და ჩამომავალთა და გუართა მეფეთათა შემდგომად მისა გამეფებად, რამეთუ შემდგომად მამისა ძე, არა სხვა გუარი, არცაღა გამორჩევით; არავისა მონებდნენ თვნიერ მათთა ანუ წულთაგან ანუ ასულთაგან, უკეთუ არა დაეტევის წული (17).

ამ სიტყვებით დახასიათებულია ქართველი ადამიანების ზოგადი ურთიერთობა სამეფო ხელისუფლებასთან და ამ ხელისუფლების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფის გეგმაშეწონილობა. აქ მეტად მოკლედ გადმოცემულია მარტივი წესები: ერთი მხრივ, ქვეშევრდომთა დამოკიდებულების შესახებ მეფეების მიმართ და, მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების გადაცემის გამო. სამეფოს ქვეშევრდომნი ხელმწიფეს ემორჩილებიან, ერთგულად არიან მინდობილნი მის ნებას, ხოლო სამეფო ხელისუფლება ყოველთვის გადაეცემა მემკვიდრეს, დაუბრკოლებლად და უშუალოდ, მამიდან ძეს, ან, იმ შემთხვევაში, თუკი მეფე ვაჟის გარეშე გადაეგება, მაშინ – მის ასულს. სხვაგვარი აღსაყდრება შეუძლებელია: საქართველოში არც არასოდეს გამეფდება სხვა გვარის წარმომადგენელი, რაკი მეფის მემკვიდრე ყოველთვის ერთსა და იმავე საგვარეულოს განეკუთვნება (როგორც ჩანს, იმ დროის გარემოებათა გათვალისწინებით, იგულისხმება ბაგრატიონთა საგვარეულო) და არც არასოდეს აირჩევიან და ამოირჩევიან მეფეები. სულ ესაა, რასაც ბატონიშვილი და ისტორიკოსი საქართველოში თუ, კერძოდ, სხვადასხვა ქართულ მიწაზე მეფის დაწესებულების გამო ამბობს.

საზოგადოდ, ვახუშტი – რაც უნდა ღმრთის ამქვეყნიურ წარმომადგენლად მიიჩნევდეს მეფეს (და მის მიერ ამ შეხედულების სიტყვიერად გამოუთქმელადაც სხვაგვარად ვერც იქნებოდა!) – არსად თავისი ნაშრომის მანძილზე, ძველი საქართველოს თუ მის თანამედროვე ქართულ მიწათა მოვლენების გადმოცემისას, არასოდეს ლაპარაკობს ღმრთის ნების საგანგებო გამოვლენის, ან კიდევ, მომხდარში ღმრთაების უშუალო, პირდაპირი ჩარევის შესახებ; მის მიერ აღქმული სამყარო, სავარაუდოდ, არაა მკაფიოდ ტელეოლოგიური, სადაც თანამიმდევრობათა თუ მიზეზობრიობათა ახსნა დამოკიდებული იყოს ადამიანისაგან ობიექტურად დაშორებულ ან აღმატებულ სინამდვილეზე. როგორც შეუფარავად ჩანს, სამყაროს ვახუშტისეული ხედვა გამოკვეთილად რაციონალურია ან, უფრო ვიწროდ, რაციონალისტურია, რაც უთუოდ მომდინარეობს ეპოქის ფილოსოფიური სულისკვეთებიდან, მაგრამ რაც არამც და არამც არ ნიშნავს, რომ მას რამენაირი შეხება ჰქონოდა ან „განმანათლებლობასთან“, ან ეგრეთ წოდებულ „ვოლტერიანელობასთან“, იმგვარ ევროპულ აზროვნებითს ნაკადთან, სადაც საკუთარ ქმედებათა წარმმართველად და შემფასებლადაც მხოლოდ მიწიერი ადამიანი იგულისხმება. ის, რასაც შემდგომში ქართული „ვოლტერიანელობა“ ეწოდა (რომლის სათქმელსაც გამოხატავდნენ ალექსანდრე ამილახვარი, ბატონიშვილი დავითი, დავით ციციშვილი),<sup>45</sup> ოდნავ გვიანდელი მოვლენაა, რის გამოც ამ მიმართულების წარმომადგენლებთან ურთიერთობას ვახუშტი ვერანაირად ვერ შეძლებდა ვერც ქრონოლოგიურად და ვერც გეოგრაფიულად.

ერნსტ კანტოროვიჩი თავის კლასიკურ ნაშრომში – „მეფის ორი სხეული: გამოკვლევა შუასაუკუნეობრივ პოლიტიკურ თეოლოგიაში“ – წერს შუა საუკუნეთა განმავლობაში აღიარებულ-მიღებული თვალსაზრისის შესახებ, რომ „interregnum“-ის პერიოდში, – მეფეთაშორის, უმეფობის ხანაში, – ანუ მაშინ, როცა სამეფო საყდარი უქმია, ქვეყნის მმართველობა იესო ქრისტეს მიეკუთვნება: „როცა მეფე არ მართავს, მაშინ ქრისტე მართავს. ნამდვილი მმართველობა გადადის ღმრთის ხელთ, ხოლო სამეფო გადაეცემა უზენაეს ღმრთაებრივ უფალს მანამ, სანამ ახალი მეფე იქნება აღსაყდრებული“ (კანტოროვიჩი 2016: 335).

რაკი ვახუშტისეული ხედვა გამოხატულად რაციონალისტურია, საქართველოს სხვადასხვა მიწათა ცხოვრების აღწერისას დაშლილობის ხანაში, როცა ერთმეფობა – ფაქტობრივად და ხანგრძლივად – გაუქმებულია, როცა ქვეყნის ერთობილი მმართველობა მოშლილია, როცა განუყოფელი საქართველოს სამეფო საყდარი უქმია, ისტორიკოსი წარმოიდგენს და წარმოაჩენს, რომ ერთიანი სახელმწიფოს ერთიანი ხელისუფლება ჩაუნაცვლებია ერთიან სახელმწიფოებრივ სარწმუნოებას, ერთიან სახელმწიფოებრივ ენას, და კიდევ, სამეფო წარწერებს, რომლებიც ქვეყნის ოდინდელ სახელმწიფოებრივ ერთიანობაზე მეტყველებს. ამგვარი ჩანაცვლება – და დადასტურება – არ გულისხმობს რამე ზებუნებრივს, ეს ჩანაცვლება – თუნდაც ის ნამდვილად საღმრთო გარემოს ეხებოდეს – მხოლოდ საერო შინაარსის შემცველი და მქონებულია.

გამორჩეულ – მათ შორის და განსაკუთრებით, საღმრთო – ადგილებზე აღბეჭდილი სამეფო წარწერები ქვეყნის ერთიანობის დაუსწრებელ ყოფნას, ან კიდევ, წარმოსახულ თანადასწრებას გამოხატავს. იქ, სადაც ერთიანი სახელმწიფოს მეფის წარწერაა, საქართველოს ერთიანობა – თუნდაც ანაბეჭდის სახით – ისევ მყოფობს და ამდენად, ისიც ისეთივე ცოცხალი დადასტურებაა ერთმეფობისა, როგორც ცოცხალ ადამიანთა შორის ცოცხლად მყოფი რჯული და ენაა.

როცა ვახუშტი წერს საერო თუ საღმრთო შენობების, ან საღმრთო ნივთების შესახებ, რომლებზეც ერთმეფობის ნაკვალევი წარწერების სახით დარჩენილა, მისი თვალსაზრისით, ერთმეფობისა თუ ქვეყნის ერთიანობის მეტყველი დასტურია არა თავად ის, რაც ნაშენები თუ ნაკეთებია, არამედ წარწერები, რომლებიც თავიანთი დამომწმენბელი სიტყვით მეტყველებს და იუწყება, – ისევე, როგორც ქართველი ადამიანი თავისი სიტყვით ამბობს, რომ მისი რჯული და მისი ენა ერთობილია, საერთოა, ერთიანია.

მაგრამ თუ საკუთარი რჯულისა და საკუთარი ენის შესახებ აცხადებს პიროვნება და ამგვარია ამ პიროვნების თუნდაც პირადი, თუნდაც შთამომავლობითი, მემკვიდრეობითი არჩევანი, სამეფო წარწერები საზოგადოდ, ნივთიერი დასტურია, – ურყევი და საუკუნეთა წინააღმდეგე წარუშლელი მონუმობა, აღბეჭდილი სამეფო სასახლეებზე, განსაკუთრებულ შენობებზე, ტაძრებზე, სამონასტრო ნაგებობებზე, ხატებსა და ჯვრებზე.

მთლიანი საქართველო ისაა, სადაც ქართული რჯულია, სადაც ქართული ენაა, სადაც ქართული

წარწერა, ამოკვეთილი იმ სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი ხელისუფლის სახელით, რომელიც თავად განსაკუთრებული საღმრთო კუთვნილებითაა ნიშანდებული. ერთიც, მეორეც, მესამეც ვახუშტისათვის ერთიანი საქართველოს საყრდენი არსის სამი ნიშანია.

## შენიშვნები

- <sup>1</sup> ციტატები ბატონიშვილ ვახუშტის ნაშრომიდან – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – აქ და შემდგომ ყველგან მოყვანილია ამ გამოცემის მიხედვით: (ვახუშტი 1973). ტექსტის გვერდები მითითებულია ციტირებისთანავე; გამოცემისეული პუნქტუაცია ზოგან გასწორებულია კონტექსტის შესაბამისად.
- <sup>2</sup> „ერთიანობა ჩვენს დაუვინყარს ისტორიკოსს წარმოდგენილი აქვს ერთმეფობის სახით“ (ჯავახიშვილი 1977: 334).
- <sup>3</sup> დაწვრილებით იხ. (ღაღანიძე 2018: 9-27).
- <sup>4</sup> დაწვრილებით იხ. (ღაღანიძე 2019: 131-151).
- <sup>5</sup> ვთქვათ, როგორებიცაა – სახელდახელოდ და სანიშნოდ ჩამოსათვლელად – ქართველ მეფეთა ვედრების წარწერები: ან ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის სარკმელზე: „ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე“ (წარწერები 1980: 54); ან კაცხის ტაძრის კედელზე: „ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოზის, და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატი“ (წარწერები 1980: 56); ან სამთავისის ტაძრის ქვაზე: „ადიდე შენ მიერ დამყარებული და უძლეველი ღვთივ გვრგვინოსანი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთმეფე გიორგი“ [გიორგი მესამე] (ქრონიკები 1892: 259); ან თამარის ჯვარზე: „შენით წინანარძლომთა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“ (ქრონიკები 1892: 269); ან ხობის წმიდა მარიამის ხატზე: „ადიდე შენმიერთა დიდებითა ღვთივ გვრგვინოსანი ძლიერი და უძლეველი მეფეთამეფე დავით, ძე რუსუდანიის“ (ქრონიკები 1897: 129).
- <sup>6</sup> კლასიკური ხანის ქართველ მეფეთა ტიპური სრული წოდებულება ამგვარი იყო (ვთქვათ, გიორგი მეოთხის ლაშას მეფობისას, დაახლოებით 1213-1222): „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი“ (საბუთები 1984: 107); შდრ. (ძეგლები 1965: 35 –107).
- <sup>7</sup> ქართველ მეფეთა ტიტულების შინაარსის შესახებ თანამედროვე კვლევათაგან იხ. (ხოშტარია 1978: 190-204); (სურგულაძე 1993: 150-160).
- <sup>8</sup> „1723 წლიდან თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანა ოსმალთა მძიმე ბატონობის უღელქვეშ გმინავდა. 1735 წლის მიწურულს ოსმალთა არანაკლებ მძიმე ყიზილბაშობამ შესცვალა. ის 1747 წლამდე გრძელდებოდა“ (ბერძენიშვილი 1965: 198).
- <sup>9</sup> „ფარნავაზი მითოსურად, და ისტორიულადაც (ის არ იყო მეფის შვილი), პირველი მეფეა. ის პირველად ქმნის საქართველოს ქვეყანას იმ სახით, რა სახითაც ის ისტორიულ სინამდვილეში, თუნდაც მისი ჩაწერის ხანაში არსებობს“ (კვიციანიძე 2016: 12); შდრ. (ალექსიძე 2010: 281-288).
- <sup>10</sup> თანამედროვე კვლევა ბაგრატიონთა საგვარეულოს დასაწყისის შესახებ საქართველოში იხ. (ალექსიძე 2011: 120-128).
- <sup>11</sup> ქართველ მეფეთა სახელებთან მითითებულია მათი ზეობის თარიღები; დათარიღების წყაროთა დასახელებისაგან თავიდან ასაცილებლად ეს თარიღები უმეტესად დამონშებულია ამ წიგნის მიხედვით (მეფეები 2007).
- <sup>12</sup> „მწიგნობრული გზით წარმოქმნილი ცნება „ივერია“ („ივერიელი“), შემოღებული გვიან – ერთიანი საქართველოს აღსანიშნავად და სწორედ მისი ერთიანობის ხაზის გასასმელად (ცნების „საქართველო“ პარალელურად, რომელიც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ან ქართლსაც აღნიშნავდა)“ (ხოშტარია 1978: 203).
- <sup>13</sup> შესაძლებელია, თუმცა ნაკლებად სავარაუდო, რომ ამ შემთხვევისას – თუკი კონტექსტი სხვაგვარად იქნება გააზრებული – იგულისხმებოდეს არა სრულიად საქართველოს მეფე ბაგრატ მესამე (961-1014), არამედ იმერეთის მეფე ბაგრატ მეექვსე (1463-1478), რომლის დროსაც ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს უზენაეს ხელისუფლად მიჩნეული იყო მეფე გიორგი მერვე (1446-1466), ერთიანი საქართველოს უკანასკნელი ხელმწიფე, რომელსაც ვახუშტი ქვეყნის 78-ე მმართველად ასახელებს.
- <sup>14</sup> თუმცა შემდგომშიც, გარემომცველი სინამდვილის მიუხედავად, „XV-XVIII სს. განმავლობაში კვლავ განაგრძობს არსებობას ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა, მაგრამ მის პარალელურად ფეხს იკიდებს ცალკეულ სამეფოთა მეფეების რეალური იურიდიული სტატუსის ამსახველი ფორმულებიც“ (სურგულაძე 1993: 157); დაწვრილებით გვიანდელი ხანის სამეფო წოდებულებათა შესახებ, განსაკუთრებით, მე-15-18 საუკუნეთა განმავლობაში იხ. (ბერძენიშვილი 1989: 29-43).
- <sup>15</sup> თანამედროვე ისტორიული კვლევები ზოგჯერ დაჰპირისპირებია ამგვარ ტრადიციულ თვალსაზრისს, – გამოთქმულა შეხედულება, რომლის მიხედვით, ქვეყნის გაერთიანების საქმეში ბიძგისმიმცემ, წამყვან ძალად მიიჩნეოდა აფხაზეთის სამეფო და, შესაბამისად, ბაგრატ მესამეც უწინარესად აფხაზთა მეფედ აღიქმებოდა: „საკუთრივ აფხაზეთის სამეფო და მისი მმართველი წრეები [...] მოჩანან ამ საქმის ინიციატორებად და განმახორციელებლებად“ (მელიქიშვილი 1973: 4-24, 240).
- <sup>16</sup> გეოგრაფიული აღწერისას ვახუშტი ამ მიწას სამცხე-საათაბაგოს უწოდებს: „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“ (656), ხოლო ისტორიული აღწერისას – სამცხე-კლარჯეთს: „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა“ (691).
- <sup>17</sup> დავით ფსალმუნთმგალობლის, მეფე-წინანარმეტყველის, შესახებ, რომელიც, შესაძლოა, დავით აღმაშენებლის „გალობათა“ მონაწილე მეფის წინამორბედად იქნეს მიჩნეული იხ. (გრიგოლაშვილი 2005: 110-112).
- <sup>18</sup> დავით წინანარმეტყველის სახის შესახებ „ცხოვრების“ დასაწყისშივე იხ. (შანიძე 1992: 105-106).
- <sup>19</sup> „საქართველოს მეფეებს თავიანთი ხელისუფლება [...] განსაკუთრებული პატივისცემის ღირსად იმიტომაც მიაჩნდათ,



რომ თავიანთ თავს ებრაელი მეფის დავითის შთამომავლობად სთვლიდნენ. [...] საქართველოს სამეფო საგვარეულოს, ვითარცა ღვთისაგან პირველცხებულ და დაყენებულ ხელმწიფის ჩამომავალს, სხვა სამეფო გვარებთან შედარებით, მაშინდელი შეხედულებით, განსაკუთრებული უპირატესობა ეკუთვნოდა“ (ჯავახიშვილი 1984: 96-97); „ქართველთა სამეფოს მეთაური აღიარებულნი იყვნენ როგორც „მეფე ნებითა ღმრთისადათა“, როგორც პირდაპირი შთამომავალი დავით მეფე-წინასწარმეტყველისა, რომელიც – ბიბლიური თქმულებით – მეფედ დადგენილი და ცხებული იყო ღვთაების მიერ და რომელიც ხორციელი წინაპარი იყო თვით იესო ქრისტესი. ამრიგად, ამით უარყოფილი იყო ყოველგვარი უფლებრივი დამოკიდებულება გარეშე ძალებისაგან, ქართველთა სამეფო აღიარებული იყო როგორც დამოუკიდებელი, თვითმყოფი და თავისთავადი“ (ინგოროცვა 2009: 78-79).

- <sup>20</sup> გიორგი მერჩულე, „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჳელმწიფეო“ (ძეგლები 1963: 262).
- <sup>21</sup> დავით გურამიშვილი, „დავითიანი“: „ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად უხსენე გვარია, // თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონაგვარია; // ერთი დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჳვარია, // მეორე – ვახტანგ მეხუთე, ქართველთა მეფედ მჯდარია“ (გურამიშვილი 1955: 47).
- <sup>22</sup> მკვლევართა შორის საკმაოდ გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ დავით წინასწარმეტყველთან ბაგრატიონთა ნათესაური კავშირი დადასტურებულია უფრო ადრეც, მეცხრე საუკუნეში, რადგან ოპიზის ტაძრის რელიეფზე, რომელიც სავარაუდოდ მეცხრე საუკუნით თარიღდება, გამოსახულია ტაძრის ქტიტორი აშოტ პირველი კუროპალატი (826), რომელსაც აკურთხებს იესო ქრისტე, ხოლო იესოს გვერდით მდგომი დავითი, – ეს სახელი ცხადდება წარწერიდან, – არის მეფე დავით წინასწარმეტყველი, აშოტისა და, ზოგადად, ბაგრატიონთა წინაპარი. თუმცა, ასევე არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს აზრი, – როგორც ჩანს, უფრო სარწმუნო და მისაღები, – რომ ბარელიეფზე გამოხატული დავითი ნამდვილად მეთაურობდა საუკუნის დავით მაგისტროსია, ქართველთა მეფე (923-937), აშოტ მეოთხის ძმა. საკითხის შესახებ დანვრებით იხ. (ხოშტარია 2005: 86); (დადიანი 2017: 111), რელიეფის ფოტო იხ. (დადიანი 2017: 119).
- <sup>23</sup> კონსტანტინე პორფიროგენეტის ნიგნის „სახელმწიფო მმართველობის გამო“ (De Administrando Imperio) დაწერის თარიღი (948-952) თითქმის ზუსტად ემთხვევა გიორგი მერჩულის „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ დაწერის თარიღს (950/951).
- <sup>24</sup> კერძოდ, ბიბლიურ მეფე დავითთან ბაგრატიონთა ნათესაობის გამო იხ. სიმონ ყაუხჩიშვილის კომენტარებში (გეორგიკა 1952: 260-262).
- <sup>25</sup> „აღწერის“ ზოგიერთ ხელნაწერში ამ მონაკვეთს საგანგებო სათაურიც კი აქვს: „მოსვლისათვის და წარმოჩენისა ბაგრატიონთა გუარისა, თუ ვითარ იყუნენ დავით წინასწარმეტყველისაგან ნათესავობით“ (692).
- <sup>26</sup> „თუ X საუკუნეში ქართველ ბაგრატიონთა ნათესაობას მათივე სახლის კაცი სუმბატ დავითის ძე სწავლობდა, რვა საუკუნის შემდეგ იმავე პრობლემის გარკვევას ისევ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი – ვახტანგ ბატონიშვილი [მომავალი ვახტანგ მეექვსე] შესდგომია“ (გრიგოლია 1954: 341).
- <sup>27</sup> „წყაროთა მახვილგონიერი შესწორებით, ვახუშტიმ უჩვენა, რომ ბაგრატიონები დავითის ჩამომავალნი არიან (ე.ი. დაიცვა სუმბატის მითითება), რომ მათი პირველი წარმომადგენელი დაესიდა ქართველ მეფეთა ჩამომავლებს და ამით დაამტკიცა მომავალი მეფის, გურამ ბაგრატიონის ნათესაობა ქართველ მეფეებთან“ (მესხია 1947: 38).
- <sup>28</sup> სამეფო წერილების სახელწოდებათა და სახეობათა შესახებ გვიანდელი შუა საუკუნეების საქართველოში იხ. (ბერძინიშვილი 1989: 23-28).
- <sup>29</sup> „გიორგი VII-ისა [1393-1407] და, განსაკუთრებით კი, ალექსანდრე დიდის [1412-1442] ხანიდან მეფეთა წოდებულებაში გვარს „ბაგრატიონიანი“ ემატება: „დავითიანი“, ხოლო შემდეგ უფრო ვრცელი საგვარეულო „აღმკულობა“ – „იესიანი, დავითიანი, სოლომონიანი, ბაგრატიონიანი“ (ხოშტარია 1978: 193).
- <sup>30</sup> თუმცა დავით რექტორის მოგვიანო მინაწერებში, რომლებიც ჩართულია ვახუშტის ნაშრომის სხვადასხვა ადგილას, ერთგან „დავითიანი-ბაგრატიონად“ არის მოხსენიებული მეფე თამარი (192). ხოლო კიდევ ორგან – კათოლიკოს-პატრიარქი ანტონი პირველი (192, 522).
- <sup>31</sup> ამ საკითხის გამო, საგანგებოდ, ვახუშტის მახლობელ ეპოქაში იხ. (ხოშტარია 1978: 190-204).
- <sup>32</sup> ამ ბმასთან – ძალაუფლებასა და წარწერას შორის – დავაპირებული ვრცელი მასალა და ამ მასალის საფუძვლიანი კვლევითი განხილვა იხ. კლასიკურ ნაშრომში: (პეტრუჩი 1986); ნაშრომის იტალიური ორიგინალისაგან მცირედ განსხვავდება ნიგნის ინგლისური ვერსია: (პეტრუჩი 1993).
- <sup>33</sup> „წარწერები (ტიტულები) ხატსამწერლო გამოსახულების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. საკრალური ესთეტიკის შეხედულებით, წარწერა გამოხატავს პირველსახეს არანაკლებად, თუ უფრო მეტადაც არა, ვიდრე გამოსახულება. სახელმძღვანელო წარწერის გარეშე, საერთოდ, შეუძლებელია ხატის არსებობა“ (უსპენსკი 1995: 230); შდრ. (შაპირო 1983: 11); მეფეთა ღმრთაებრივი ძალაუფლების გამოხატულების შესახებ: (შაპირო 1983: 24-26); ძალაუფლების გამოხატულებათა, ანუ ეგრეთ წოდებული პოტესტარული იმაგოლოგიის, შესახებ, განსაკუთრებით, შუა საუკუნეების განმავლობაში იხ. (ძალაუფლება 2010).
- <sup>34</sup> ამ დამოკიდებულების უფრო ადრეული საწყისების შესახებ იხ. (დოსონი 2015: 14-21); ზოგადადაც, კრისტოფერ დოსონის ეს ნიგნი დღემდე რჩება საფრანგეთის რევოლუციის შესახებ – განსაკუთრებით, რელიგიასთან მისი ბმების თვალსაზრისით – საუკეთესო და სანდო კონცეპტუალურ კვლევად; შდრ. (ლალანიძე 2014: 541-542).
- <sup>35</sup> „საქართველოს მეფეებმა [...] თავიანთ ხელისუფლებას ღვთაებრივი ძალის მფარველობა და ხელმძღვანელობა მოუპოვეს“ (ჯავახიშვილი 1984: 96).
- <sup>36</sup> „ვინაფთაგან მსთუამან წყალობად და სულგრძელმან მხედველობათა შინა ცოდვათასა და წყალობითა სიყუარულისა თვისისა მიმართ მიმზიდველმან ღმერთმან ჩემ უღირსსა ზედა აჩუქნა მიუნდომელნი ქველისქმედებანი, რომელთათვის ყოვლად უმადლოდ ესე, ჯერისაებრ ვერ მმადლობელიცა, არა მომიძაგა, და არა დააცადა ჩუჭულებითი წყალობად დღეს-

- დღედმდე უგბილსა სულსა ზედა“ (სილოგავა 2010: 94-96); შდრ. (საბუთები 1984: 53-54).
- <sup>37</sup> დავითის ტექსტის ლიტურგიკული კონტექსტის გამო იხ. (გრიგოლაშვილი 2005: 128-149).
- <sup>38</sup> „თვთ მეფე მეფეთა იქმოდა საქირველთა უჭირველად: ცხადთა წინააღმდეგობთა განგებულებისა თვისისათა მისცემდა მოსასრველად; იდუმალთა კულად, ზაკუვისათს შორის მფარველთა, არა შეუნდობდა სიციბილად, რომელთა თანად თვს მიიღეს ზაკუვისა მათისათს საცთური“ (სილოგავა 2010: 96); შდრ. (საბუთები 1984: 54).
- <sup>39</sup> „გასაკვირველი არაფერია, რომ საქართველოს მეფის პიროვნებაც ღვთაებრივი ბუნების პატრონად, თითქმის თვით ღვთაებადაც-კი აღიარებინათ. [...] საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრეებმა გააღმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ძლიერება [...] მიანიჭეს“ (ჯავახიშვილი 1984: 98); „პიროვნება აყვანილია ღვთაებამდე, ის ხორციელ ღმერთად არის გამოცხადებული, მაშასადამე, მისი ნება აბსოლუტურია და გაუზიარებელი“ (ლომინაძე 1966: 81).
- <sup>40</sup> „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის“ დანართი: „ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის“ (გაბიძაშვილი 1978: 194); ეს გამოთქმა ნიშნავს, რომ მეფე დავითი თავისი ბუნებით, არსებით იყო ღმერთი, განსხვავებით სხვა ადამიანთაგან, რომელთაც, ღმრთის მადლის წყალობით, საშუალება აქვთ, ღმრთობას მიადნონ; ამ დროინდელი ცნების „ბუნების“ („ბუნებით“) გასაგებად, ტექსტობრივი კონტექსტების გათვალისწინებით, იხ. (ლექსიკონი 2010: 47-54).
- <sup>41</sup> „დანერილი ჭიბერისა მღვიმისადმი“, „სიგელი თამარ მეფისა მღვიმისადმი“: „მოვაჰსენე ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს“ (საბუთები 1984: 96, 102); შდრ. (საბუთები 1984: 103).
- <sup>42</sup> ჩახრუხაძე, „ქება მეფისა თამარისი“: „თანგამწყოდ ძისად, სწორად მამისად“ (ჩახრუხაძე 1957: 204); „თანგამწყო – [...] თანატოლი“ (ჩახრუხაძე 1957: 250).
- <sup>43</sup> „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“: თამარი – „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“; „სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“ (მეტრეველი 2008: 378, 401).
- <sup>44</sup> „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“: „ტაბახმელისა ბეთლემმყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა“ (მეტრეველი 2008: 428-429).
- <sup>45</sup> საკითხის გამო იხ. (ასათიანი 1958: 64-102).

## დამონებანი

- ალექსიძე 2010:** ზ. ალექსიძე. „ცხოვრება ფარნავაზისი“, წიგნში: ზ. ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1, თბილისი.
- ალექსიძე 2011:** ზ. ალექსიძე. უძველესი ცნობა ბაგრატიონთა დინასტიის შესახებ, წიგნში: ზ. ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 2, თბილისი.
- ასათიანი 1958:** ლ. ასათიანი. ვოლტერიანელობა საქართველოში, წიგნში: ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტომი I, თბილისი, საბჭოთა მწერალი.
- ბერძენიშვილი 1965:** ნ. ბერძენიშვილი. საქართველო მეთვრამეტე საუკუნეში, წიგნში: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება.
- ბერძენიშვილი 1989:** მ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები (წყაროთ-მცოდნეობითი გამოკვლევები), თბილისი, მეცნიერება.
- გაბიძაშვილი 1978:** ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, მეცნიერება.
- გეორგიკა 1952:** გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მეოთხე, ნაკვეთი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- გრიგოლაშვილი 2005:** ლ. გრიგოლაშვილი. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- გრიგოლია 1954:** კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I: ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- გურამიშვილი 1955:** დ. გურამიშვილი. თხზულებათა სრული კრებული: დავითიანი, თბილისი, სახელგამი.
- დადიანი 2017:** თ. დადიანი, ე. ვაჭაბაძე, თ. ხუნდაძე. შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, თბილისი, სეზანი.
- დოსონი 2015:** Ch. Dawson. The Gods of Revolution, Washington, D. C.: The Catholic University of America Press.
- ყაუხჩიშვილი 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, თბილისი, საბჭოთა საქართველო.
- ინგოროყვა 2009:** პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, ნაწილი პირველი, წიგნში: პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული: შვიდ ტომად, ტომი II, თბილისი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება.
- კანტოროვიჩი 2016:** E.H. Kantorowicz. The King's Two Bodies: A Study in Medieval Political Theology, Princeton, New Jersey: Princeton University Press.
- კიკნაძე 2016:** ზ. კიკნაძე. ქართული მითოლოგია, 2: ფარნავაზის სიზმარი, თბილისი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ლექსიკონი 2010:** ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი (მასალები), I, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

- ლომინაძე 1966:** ბ. ლომინაძე. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბილისი, მეცნიერება.
- მელიქიშვილი 1973:** გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, მეცნიერება.
- მესხია 1947:** მ. მესხია. ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ანალები, 1, თბილისი.
- ჟივოვი 1996:** В. Живов, Б. Успенский. Царь и Бог (Семиотические аспекты сакрализации монарха в России), წიგნში: Б. Успенский, Избранные труды, Том I: Семиотика истории; Семиотика культуры, Москва: Языки русской культуры.
- მეფეები 2007:** საქართველოს მეფეები, თბილისი, ნეკერი.
- პეტრუჩი 1986:** A. Petrucci. La scrittura: Ideologia e rappresentazioni, Torino: Einaudi.
- პეტრუჩი 1993:** A. Petrucci. Public Lettering: Script, Power and Culture. Chicago, London: University of Chicago Press.
- საბუთები 1984:** ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები X-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, მეცნიერება.
- სილოგავა 2010:** ვ. სილოგავა. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, თბილისი, ნეკერი.
- სურგულაძე 1993:** მ. სურგულაძე. პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ფორმულები ქართველ მეფეთა ტიტულატურაში, ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, თბილისი, მეცნიერება.
- უსპენსკი 1995:** Б. Успенский. Семиотика иконы, წიგნში: Б. Успенский, Семиотика искусства, Москва: Школа "Языки русской культуры".
- ქრონიკები 1892:** ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, [წიგნი პირველი], ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა.
- ქრონიკები 1897:** ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას-მიერ, წიგნი მეორე: (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფილისი სტამბა მ. შარაძისა და აშხ.
- მეტრეველი 2008:** ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, მერიდიანი/არტანუჯი.
- ლაღანიძე 2014:** მ. ლაღანიძე. კრისტოფერ დოსონის ისტორიული ხედვა, კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, № 6.
- ლაღანიძე 2018:** მ. ლაღანიძე. ბატონიშვილი ვახუშტი ერთიანი საქართველოს პირველი ნიშნის – რჯულით ქართველის – გამო, ლიტერატურული ძიებანი, № 39.
- ლაღანიძე 2019:** მ. ლაღანიძე. ბატონიშვილი ვახუშტი ენისა და წიგნის გამო ერთიანი საქართველოს ნიშანთა შორის. სჯანი, № 20/1.
- შანიძე 1992:** მ. შანიძე. დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი და მისი შესწავლის საკითხები, წიგნში: ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. შანიძემ, თბილისი, მეცნიერება.
- შაპირო 1983:** M. Schapiro. Words and Pictures: On the Literal and the Symbolic in the Illustration of a Text, The Hague-Paris: Mouton.
- ჩახრუხაძე 1957:** ძველი ქართველი მეხობებნი, I: ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ძალაუფლება 2010:** Власть и образ: очерки потестарной имагологии, Москва, Алетейя.
- ძეგლები 1963:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ძეგლები 1965:** ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II: საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, მეცნიერება.
- წარწერები 1980:** დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ (ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II), თბილისი, მეცნიერება.
- ხოშტარია 1978:** ე. ხოშტარია, „საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში“, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VI, თბილისი, მეცნიერება.
- ხოშტარია 2005:** დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბილისი, არტანუჯი.
- ჯავახიშვილი 1977:** ი. ჯავახიშვილი. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)“, წგ-ში: ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი: თორმეტ ტომად, ტომი VIII, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- ჯავახიშვილი 1984:** ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, წგ-ში: ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი: თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, თსუ გამომცემლობა.



## PRINCE VAKHUSHTI ON THE ROYAL INSCRIPTIONS AMONG THE SIGNS OF THE UNITED GEORGIA

**Merab Ghaghanidze**

Prince Vakhusti (1696-1756), at the point of his work “Description of the Kingdom of Georgia” (1745), where he ends the story of united Georgia and is about to start telling the history of Georgia after its disintegration (i. e. into Kingdom of Kartli, Kingdom of Kakheti, Kingdom of Imereti, and also Samtskhe-Saatabago), tries to identify if there is or has survived any pillar or sign following the disintegration of the united kingdom what would give the feeling of unity to the residents of different isolated lands of the politically split country, or what proved the general Georgian unity in his days, even if it did not really exist by then.

Prince Vakhusti identifies three of such persisting signs; however, later, he added other fourth and fifth traits to the list. He associates these signs not as much with the nationality (as it seemed to expect) or some other unifying feature, as the past “united monarchy” of Georgia – the circumstances of the historian’s times are meant, but passed and survived from the past. As for these signs, in Vakhusti’s opinion, they are so much self-denoting that clearly show all his contemporaries the past unity of the country.

If the first sign of unity for Vakhusti is the religious belief – “the faith of Georgians”, the second sign is language and literacy, the third – the Royal inscriptions.

The essay shows the meaning of the Royal inscriptions, made on buildigns and churches in different periods of Georgian history and historiography and its meaning in context of Prince Vakhusti’s “Description”.

## **„ყრუ ბალდადელის“ ვინაობისა და მარვან იბნ მუჰამედის ქართული თიკუნის შესახებ**

**დავით ჩიქოვანი**

„მურვან ყრუს“ ვინაობა და ლაშქრობის დრო მეცნიერთა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. იგი ხან ხალიფა მარვან I – თან (684-685) არის გაიგივებული (ჯანაშვილი 1906: 279-280), ხან ქართულ წყაროებში აღწერილ მოვლენებს – მასლამა იბნ აბდ მალიქის 714 წლის (სანაძე 2001: 81-87) ან 731 წლის ლაშქრობას უკავშირებენ (სილაგაძე 1991: 104-106); ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯუანშერთან აღწერილი მოვლენები, შესაძლოა, ასახავდეს მუჰამედ იბნ მარვანის 717 წლის ლაშქრობას (აბრამიშვილი 1977: 27-31), თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში ყველაზე მეტად გაზიარებულია მოსაზრება, რომ „მურვან ყრუ“ იგივე მურვან იბნ მუჰამედია და მას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო 736-738 წლებში უნდა დაეღაშქრა (ჯანაშია 1952: 375; ბოგვერაძე 1973: 289-290; მუსხელიშვილი 2003: 370).

„მურვან ყრუსა“ და მარვან იბნ მუჰამედის გაიგივებას თითქოს ისიც უჭერს მხარს, რომ მარვანს მეტსახელიად „ალ-ხიმარს“ უწოდებდნენ, რაც სახედარს ნიშნავს, ხოლო ჩვენში არსებობს გამოთქმა „ვირივით ჯიუტი“, ჯუანშერის მიხედვით კი მურვანს „ამისთვის ეწოდა მეორედ ყრუ, რომელ არა მიითუალვინა სიტყუასა განმზრახთასა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 233) მაშასადამე, ქართული წყაროს ცნობით მისთვის „ყრუ“ გაუგონრობისთვის, სხვისი ნათქვამის შეუსმენლობისთვის შეურქმევიათ. რაზეც ასევე შეიძლება ითქვას „ვირივით ჯიუტი“. მაგრამ არის კი ეს ორი მეტსახელი ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელი?

მუსლიმი პიროვნებების შესახებ არსებულ ყველაზე ავტორიტეტულ გამოცემაში, „ისლამის ენციკლოპედიაში“, ვკითხულობთ, რომ მარვანის ზედწოდება „ალ-ხიმარის“ წარმომავლობა უცნობია, თანამედროვე შრომებში ხშირად იწერება, რომ იგი ეწოდა მურვანს ბრძოლაში შეუპოვრობისა და გულადობის გამო (ბოსვორთი და სხვები 1991: 623), ხოლო სირიელი ავტორი გრიგოლ ბარ ებრაია (1226-1286) წერს, რომ ეს მეტსახელი მარვანს „სახედრის ყვავილის“ (იორადასალამი-პიონი ან ქრიზანთემა) სიყვარულის გამო შეერქვა (ბრანსი, კირში 1789: 127; ბოსვორთი და სხვები 1991: 623). როგორც ვხედავთ, არც არაბულ და არც სირიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი მურვანის „გაუგონრობის“ შესახებ, და მეტსახელ „სახედრის“ შერქმევა ომში გულადობით ან „სახედრის ყვავილის“ სიყვარულით არის ახსნილი.

ამ ყოველივეს ფონზე უჩვეულოდ გამოიყურება მურვანის მეტსახელი „ყრუ“, თუმცა ეს მეტსახელი ჩვენში არ გამოიწვევდა რაიმე სახის კვლევის წარმოების ინტერესს, რომ არა VIII საუკუნეში ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ არსებული წყაროების შესწავლისას, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, ისეთი არაბი სარდლის „აღმოჩენა“, რომელიც ამ მეტსახელს ზედმინევენით შეესაბამებოდა, მეტიც, „ყრუ“ არა მისი რაიმე თვისების მახასიათებელი, არამედ მისი ფიზიკური ნაკლის აღმნიშვნელი იყო. VIII საუკუნის სომეხი ავტორი ლევონდი წერს: „საჩივრებმა ისმაიტელთა გამგებლის ვალიდის ყურამდე მიაღწია. მან სასწრაფოდ გამოგზავნა ვინმე აბდაღ-აზიზი, *ხომედიც ყხუ იყო*“ (ბედროსიანი 2006: თავი 10; ცაგარეიშვილი 2012: 121), ამასვე წერს XI საუკუნის სომეხი ავტორი სტეფანოზ ტარონაცი: „ვალიდმა მუჰამედის ნაცვლად გამოგზავნა [სომხეთში] აბდაღ-აზიზი, *ხომედიც ყხუ იყო*“ (ემინი 1864: 93).

თუმცა ეს არ არის ერთადერთი, რაც ჯუანშერთან აღწერილ მოვლენებსა და ყრუ არაბ სარდალ აბდაღ-აზიზს ერთმანეთთან აკავშირებთ, ამ მსგავსებათა საჩვენებლად განვიხილოთ მიმდინარე მოვლენები. ჯუანშერის მიხედვით, ქართველი მთავრები დასავლეთ საქართველოში გადადიან არაბი სარდლის მოსვლამდე, რადგანაც მას ისინი უკვე ადგილზე არ ხვდებიან, რის შემდეგაც იგი გადადის დასავლეთ საქართველოში, შემუსრავს ციხე-გოჯს, გადალახავს კლისურას, ანგრევს ცხუმის ციხეს აფშილეთში და ანაკოფიის ციხესთან გაუმართავს ბრძოლას ქართლის მთავრებს არჩილსა და მირს, (ყაუხჩიშვილი 1955: 234-238), ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ მურვანის წასვლის შემდეგ არჩილი ბრუნდება აღმოსავლეთ საქართველოში, არჩილის დაბრუნების შემდეგ ჯუანშერი აღნიშნავს: „ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 244) მასლამა არის მასლამა იბნ აბდ ალ მალიქი, რომელმაც თავისი სამხედრო კარიერა დაასრულა 730/1 წელს, როდესაც იგი ხალიფა ჰიშამმა ამიერკავკასიიდან გაიწვია, ამის შემდეგ მას ხმლისთვის ხელი არ მოუკიდებია და გარდაიცვალა 738 წლის 24 დეკემბერს (ბოსვორთი და სხვები 1991: 740). მასლამას ბოლო ლაშქრობა ბიზანტიის ტერიტორიაზე („ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა“) თარიღდება 727-728 წლებით, ან უკიდურეს შემთხვევაში 730 წლით, როდესაც თეოფანე ჟამთააღმწერლის (758-818) ცნობით მან აიღო ხარსიანონის ციხე (მანგო, სკოტი 1997: 567), რომელიც სხვა წყაროებით მუავია იბნ ჰიშამს აუღია (მანგო, სკოტი 1997: 567, შენ. ა; ბლანკინშიპი 1989: 69; ჰოილენდი 2015: 228; ბლანკინშიპი 1994: 161). მაშასადამე, ჯუანშერთან აღწერილი მოვლენების ანალოგია უნდა ვეძებოთ სწორედ 730 წლამდე, და არა მას შემდეგ, როგორც ამას ხშირად ვხვდებით ხოლმე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როდის მოვიდა ამიერკავკასიაში ყრუ აბდალ-აზიზი და იყო თუ არა ამ დროს ისეთი მდგომარეობა სამხრეთ კავკასიასა და, კონკრეტულად, ქართლში, როგორც ამას ჯუანშერი აღწერს? როგორც ზემოთ დამონშებული ასოლიკი და ლევონდი გვამცნობენ, აბდალ-აზიზი ამიერკავკასიაში გამოუგზავნია ხალიფა ვალიდს, ვალიდი არაბთა სახალიფოს განაგებდა 705 წლის 9 ოქტომბრიდან 715 წლამდე, შესაბამისად, იგი აბდალ-აზიზის გამოგზავნას შეძლებდა მხოლოდ 705 წლის შემდეგ. წყაროთა ცნობებით ამ თარიღის უფრო დაზუსტებაც შესაძლებელია: იბნ ხაიიატის ცნობით,

ამ წელს (ჰიჯრის 85-704/705) მუჰამად ბენ მარვანმა ჩაატარა ექსპედიცია სომხეთში ზაფხულისა და ზამთრის განმავლობაში. აბუ ხალიდ აბუ ბარა' ან-ნუმაირი: მუჰამად ბ. მარვანი დაბრუნდა და დანიშნა 'აბდალლაჰ ბ. ჰატიმ ბ. ან-ნუ'მან ალ-ბაჰილი [სომხეთის ხელისუფლად], აბდალლაჰ ბ. ჰატიმი გარდაიცვალა, ასე რომ მუჰამად ბ. მარვანმა დანიშნა მისი ძმა, 'აბდ ალ-'აზიზ ბ. ჰატიმი (ჰოილენდი 2015: 158).

ლევონდის ცნობითაც, ვალიდმა ჯერ მუჰამედი გამოაგზავნა, რომელმაც სასტიკად დასაჯა სომეხი მთავრები, ხოლო შემდეგ, როდესაც მისმა სისასტიკემ ზღვარს გადააჭარბა, იგი ვალიდმა აბდალ-აზიზით შეცვალა (ბედროსიანი 2006: თავი 10; ცაგარეიშვილი 2012: 121). მუჰამედის მიერ სომეხი მთავრების დასჯა ისტორიოგრაფიაში 705 წლით არის დათარიღებული (ტერ-ლევონდიანი 1976: 20; ბლანკინშიპი 1994: 107). აღსანიშნავია, რომ სწორედ მუჰამედის მიერ სამხრეთ კავკასიაში 705 წელს ჩადენილ სისასტიკეს მოჰყვა სომეხ დიდებულთა გადასახლება დასავლეთ საქართველოში:

მტერმა ყოველგვარი ბოროტება, დიდი უბედურება და საფრთხე თავს დაატეხა სომეხთა ქვეყნის მცხოვრებლებს, რომლებიც ძალიან შეაწუხა გაჭირვებამ და მოუსვენარმა ცხოვრებამ. მათი კვნესა და ოხვრა ცას წვდებოდა. სუმბატ კურაპალატმა და სხვა ნახარარებმა დატოვეს თავიანთი [საცხოვრებელი ადგილი] და ბერძენთა მეფეს სთხოვეს ქალაქი საცხოვრებლად და საძოვრები თავიანთი ჯოგებისთვის. [მეფემ] მისცა მათ ქალაქი ფოთი ეგრისელთა ქვეყანაში, სადაც ექვსი წელი დაჰყვეს. ეს ბოროტებანი მუჰამედმა აღასრულა. საჩივრებმა ისმაიტელთა გამგებლის ვალიდის ყურამდე მიიღწია. მან სასწრაფოდ გამოგზავნა ვინმე აბდალ-აზიზი, რომელიც ყრუ იყო (ცაგარეიშვილი 2012: 121).

ეს (აბდ ალ-აზიზის ამიერკავკასიაში მოსვლა) 706 წელს უნდა მომხდარიყო, მართალია, ეს ყოველივე საოცრად ჰგავს ჯუანშერის მიერ აღწერილ მოვლენებს, ქართველ მთავართა დასავლეთ საქართველოში გადასვლასა და შემდეგ ყრუ არაბი სარდლის მოსვლას სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ, შესაძლოა დაისვას კითხვა, რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მუჰამედის სისასტიკის გადმოცემისას წყაროები ქართლს არ ახსენებენ? საბედნიეროდ, ამაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ნუმისმატიკური მასალის მოხმობით: ჩვენამდე მოღწეულია თბილისში მოჭრილი არაბული მონეტა, რომელიც, ზუსტად მუჰამედის ამიერკავკასიაში ყოფნის დროს, 704 წელს არის მოჭრილი, რაზეც მისი არაბული წარწერა გვამცნობს: „სახელითა ალლაჰისა, იქედა ეს დირჰემი თბილისს 85 წელს (=704 წ.)“. რაც იმას ნიშნავს, რომ ქართლიც არაბთა მფლობელობაში იყო, ამის შემდეგ ძნელი არ არის იმის ვარაუდი, რომ მუჰამედს შესაძლოა, ქართლშიც იგივე მოემოქმედა, რაც სომხეთში.

სხვათა შორის, აბდალ-აზიზის მოსვლის ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო სომხეთის, ალბანეთისა და ქართლის ერთ პროვინციაში გაერთიანება, რომელსაც „al-Arminiya“ ეწოდა და რომლის დედაქალაქიც დვინი (არაბ. დაბილი) გახდა (ბლანკინშიპი 1994: 107; ტერ-ლევონდიანი 1976: 21). ქალაქ დვინის განახლება კი სწორედ აბდალ-აზიზს უკავშირდება. იბნ ხაიიატის ცნობით, „მუჰამად ბ. მარვანმა დანიშნა... 'აბდ ალ-'აზიზ ბ. ჰატიმი, მან აღადგინა ქალაქები: დაბილი, ან-ნაშავა და ბარდა'ა“ (ჰოილენდი 2015: 158). ამასვე გვამცნობს ბალაძორიც:

'აბდალლაჰი გარდაიცვალა და იგი ჩაანაცვლა მისმა ძმამ 'აბდ-ალ-'აზიზ იბნ-ჰატიმ იბნ-ან-ნუ'მანმა, რომელმაც ააშენა ქალაქი დაბილი, გაამაგრა იგი და გააფართოვა მისი მეჩეთი. მან ასევე ააშენა ქალაქი ან-ნაშავა და შეაკეთა ქალაქი ბარდა'ა. სხვები ამბობენ, რომ მან აღადგინა ბარდა'ა და გააღრმავა თხრილები მის გარშემო (ჰიტტი 1916: 321).

ლევონდის ცნობით აბდ ალ-აზიზმა: „აღადგინა ქალაქი დვინი, უფრო დიდად და ძლიერად, ვიდრე იქამდე იყო, და გაამაგრა იგი კარიბჭეებითა და საკეტებით, გარშემოავლო მას წყლით სავსე თხრილები, რათა დაეცვა ციხესიმაგრე“ (ბედროსიანი 2006: თავი 10).

ქალალ ად-დინ ას-სუიუთის ცნობით: „85 წელს (704/705) ქალაქი არდებილი და ქალაქი ბარდა დააარსა აბდულ აზიზ ბ. აბუ ჰატიმ ბ. ნუმან ალ-ბაჰილიმ“ (ჯერეტი 1881: 220).

იბნ ხაიიატის ცნობით, „აბდ ალ-'აზიზ ბ. ჰატიმ ბ. ან-ნუმანი იყო არმენიის საზღვრებში მბრძანებელი, სანამ სულეიმანი არ გარდაიცვალა“ (ჰოილენდი 2015: 195), ხალიფა სულეიმანი გარდაიცვალა 717 წლის 22 სექტემბერს, მაშასადამე, აბდ ალ-აზიზი ამ დრომდე „არმენიის“ გამგებელი ყოფილა, და როგორც ამავე ავტორის სხვა ცნობიდან ჩანს, იგი ხალიფა უმარ II-ს (717-720) შეუცვლია: „უმარ ბ. 'აბდ ალ-'აზიზის მმართველთა სია: ალ-ჯაზირა, არმენია და აზერბაიჯანი: 'აბდ ალ-'აზიზ ბ. ჰატიმ ბ. ან-ნუმანი დაინიშნა სომხეთში, შემდეგ დაინიშნულ იქნა 'ადი ბ. 'ადი“ (ჰოილენდი 2015: 200). ამასვე ადასტურებს ალ-კუფის ცნობაც:



უმარ აბდ ალ-აზიზმა მოიხმო ადამიანი, სახელად აბდ ალ-აზიზ იბნ ჰატიმი, დაწერა მისთვის ბრძანება და დანიშნა აზერბაიჯანის მმართველად... აბდ ალ-აზიზი წავიდა აზერბაიჯანში. ამის შემდეგ [ხალიფა] უმარ იბნ აბდ ალ-აზიზმა შეიტყო მისი ხრიკების შესახებ, მან იქ გაგზავნა ადამიანი, რომელმაც გაათავისუფლა აბდ ალ-აზიზ იბნ ჰატიმი, [ხალიფამ] მის ადგილზე დანიშნა ადი იბნ ადი ალ-ქინდი (ბუნიათოვი 1981: 16).

როგორც ირკვევა, აბდ ალ-აზიზი ამის შემდეგაც სამხრეთ კავკასიაში დარჩა და აქვე გარდაიცვალა: „103 წელს (721-722 წ. – დ.ჩ.) გარდაიცვალნენ შემდეგნი: ... 'აბდ ალ-'აზიზ ბ. ჰატიმ ბ. ან-ნუმან ალ-ბაჰილი სომხეთში“ (ჰოილენდი 2015: 208).

ძალაუფლების მიღების შემდეგ აბდ ალ-აზიზმა დაიწყო დასავლეთ საქართველოში გაქცეული სომეხი ნახარარების შემორიგება-დაბრუნების მცდელობა:

ხელისუფლების დაუფლებისთანავე მან შეუთვალა სომეხ ნახარარებს, რომ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ქვეყანაში. მან ფიცის წიგნიც მისცა მათ ჩვეულებისამებრ. მთავრებმა დაიფერეს მისი ფიცი, დაიტაცეს საგანძურები და გაძარცვეს იმ ქალაქის ეკლესიის საკურთხეველი, სადაც ცხოვრობდნენ. [შემდეგ კი] გადაუდგნენ რა კეისარს, დაბრუნდნენ სომხეთში (ცაგარეიშვილი 1985: 121).

რაკილა ლევონდის მიხედვით სომეხ ნახარარებს ფოთში ექვსი წელი გაუტარებიათ, მათი დაბრუნება 711 წლით (705+6=711) უნდა დათარიღდეს. აღსანიშნავია, რომ ეს თარიღი ემთხვევა კეისარ ფილიპიკოსის (711-713) მიერ იმპერიიდან სომხების გაძევების თარიღს, რაც წყაროთა ერთობლივი ჩვენებით 711/2 წელს მომხდარა (მანგო, სკოტი 1997: 531-532; ვასილიევი 1912: 500), იყო თუ არა ამ ორ მოვლენას შორის კავშირი უცნობია, თუმცა რადგანაც ფილიპიკოსის ქმედების მიზეზი არ ვიცით, შესაძლოა, ასეთი რამ სწორედ სომხების მიერ ფოთის დარბევასა და გაძარცვას გამოეწვია. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ლევონდის ცნობა, რომელიც წერს:

ეს (ფოთის დარბევა) რომ [კეისარმა] შეიტყო, შეწუხდა მათი ბოროტების გამო, მოიხმო ეკლესიის წინამძღვრები, მიტროპოლიტი და არქიეპისკოპოსები, უბრძანა დაეწერათ ანათემა და ზატიკის დღესასწაულის აღსრულებისას წაეკითხათ იგი, რადგანაც ეს ბოროტმოქმედება ამ დღესასწაულის დღეს ჩაიდინეს. ამის შემდეგ დაწესდა ამ დღესასწაულის დღეს ყოველ წელს ანათემისათვის გადაეცათ [ბოროტმოქმედები]. ეს [წესი] დღემდე [ხორციელდებოდა] (ცაგარეიშვილი 2012: 121).

როგორც ზემოთ ვნახეთ, სომეხთა წამოსვლა ფოთიდან სწორედ აბდ ალ-აზიზის ინიცირებული იყო, რთული დასაშვებია არაა ვიფიქროთ, რომ მისივე შთაგონებით გაძარცვეს და დაარბიეს სომეხებმა ფოთი, რომელიც იმ დროს ბიზანტიის ფაქტობრივად ერთადერთი საყდენი იყო არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში და სწორედ აქედან ახორციელებდნენ ბიზანტიელები თავიანთ სამხედრო თუ პოლიტიკურ ქმედებებს ამიერკავკასიაში (ვრცლად იხილეთ ქვემოთ).

ამის შემდეგ 711 წელს, როგორც ირკვევა, აბდ ალ-აზიზი ალბანეთში გადასულა: მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, „სომხური წელთაღრიცხვით 160 წელს (ე.ი. 551+160=711 წელს, – დ.ჩ.) მოვიდა არაბთა მთავარი აბდალ-აზიზი ალვანეთში და დაჯდა პარტავში“ (დავლიანიძე 1985: 154). რაკილა არაბი ავტორები მას ბარდას განახლებასაც მიაწერენ, როგორც ჩანს, მას პარტავშიც ჩაუტარებია სააღმშენებლო საქმიანობა. აქვე მას უნამებია ქრისტიანი ძმები:

მასთან მოიყვანეს ორი ძმა, მანკიკი და მირდაზატი, რომელნიც აზატთა ტომიდან იყვნენ. ისინი მძიმედ და მრავალწლიანად აწამეს ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. ნეტარმა მანკიკმა მოწამეობრივი სახელი დაიმკვიდრა. მისი ძვირფასი ნაწილები პარტავის წმინდა გრიგორის ეკლესიაში დაასვენეს. მისმა ძმამ მირდაზატმა ვერ გაუძლო სატანჯველს და დიდძალ შეკრებილთა წინაშე უარყო ქრისტე ღმერთი (დავლიანიძე 1985: 154.).

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, „იმავე წელს აბდალ-აზიზი გადავიდა მდინარე მტკვარზე“ (დავლიანიძე 1985: 154). ზ. ბუნიათოვი ამას არაბთა დარუბანდზე ახალ ლაშქრობად მიიჩნევს და უთითებს, რომ ტაბარი ჰიჯრის 92 წელს (710-711) აღნიშნავს არაბთა მიერ დარუბანდის დალაშქვრას (ბუნიათოვი 1965: 125) მაგრამ, ჩვენ ტაბარისთან ჰიჯრის 92 წლის ქვეშ ეს ინფორმაცია ვერ ვნახეთ (ჰინდსი 1990: 182-183).

აბდ ალ-აზიზს რომ დარუბანდის დალაშქვრაში მონაწილეობა მიუღია, ეს ჩანს „დერბენდ-ნამედან“, მაგრამ, რადგანაც აქ თარიღი შეცდომითაა დასახელებული, ჭირს ზუსტად იმის გარკვევა, თუ როდის მოეწყო ეს ლაშქრობა:

ჰიჯრის 64 წელს (რაც უდრის 684 წელს, თარიღი არასწორია, შესაძლოა აქ უნდა იყოს – 94 – 712 წლის 7 ოქტომბერი – 713 წლის 25 სექტემბერი – დ.ჩ.), ვალიდმა (705-715), აბდულ-მელიქის ძემ, შეიტყო, რომ ხაზარებმა დაიპყრეს დერბენდი და გაანადგურეს მუსლიმთა მიწა, მან უბრძანა თავის ძმას, მასლამას: „შეკრიბე საბრძოლო აღჭურვილობით კარგად მომარაგებული 40 ათასი სირიელი მეომარი და საჭირო განძითა და უხვი საკვებით დაიძარი დერბენდისკენ... მისმა უმაღლესობა მასლამამ, ამ ბრძანების შედეგად სირიაში ამოიჩია 40 ათასი მებრძოლი და დაფდაფთა ცემით გაეშურა დერბენდისკენ. მან დაიპყრო მის გზაზე მდებარე ყველა ციხესიმაგრე,

დანიშნა ახალი განმგებლები, და ჩამოვიდა შირვანსა და მეშქურში. მან აქ ისევ დანიშნა განმგებლები და გააგრძელა სვლა იქამდე, სანამ არ მიაღწია რუბასის სანაპიროს, სადაც დაიბანაკა. ქალაქ დერბენდში 3 ათასი ხაზარი იყო ციხესიმაგრის დასაცავად დადგენილი. ისლამის ჯარმა გადაკვეთა რუბასი, გარშემორტყა დერბენდს და ბრძოლაში ჩაება. ალყა 3 თვეს გაგრძელდა, [მიუხედავად იმისა, რომ] გარნიზონს საშველად დახმარების მიღება არ შეეძლო, მასლამამ ვერ შეძლო ციხესიმაგრეში შეღწევა და სასონარკვეთილმა გადანწყობა, რომ უკან დაბრუნებულიყო. მაგრამ ღამით, მოულოდნელად, ერთი კაცი გამოვიდა ციხესიმაგრიდან და უთხრა მასლამას: „თუ დამპირდებით, რომ გამიზიარებთ ალაფს, რომელსაც ხაზარებისგან აიღებთ, დაგეხმარებით ციხესიმაგრის აღებაში“. მასლამა დაჰპირდა მას, რომ მისცემდა იმდენს, რამდენსაც მოისურვებდა. მასლამამ გამოჰყო აბდულ-აზიზ კასიმ (ჰატიმ) ალ-ბაჰილის განკარგულებაში მყოფი 6 ათასი მამაცი ინჟინერი, და უბრძანა, რომ შესულიყვნენ ციხესიმაგრეში. ზემოთხსენებულმა ჯაშუშებმა წაიყვანეს ჯარი საიდუმლო კარიბჭისკენ, რომელიც იყო დერვალისკენ მიმავალ გზაზე. იმავე ღამით გამოთხარეს მინა, რომელიც ფარავდა კარიბჭეს და მისი გავლით შევიდნენ ნარინყალაში (შიდაციხე). დილით, როდესაც ხაზარებმა შეიტყვეს ამის შესახებ, ციხესიმაგრეში გაჩაღდა ბრძოლა. მეორე მხრივ, მისმა უმაღლესობა მასლამამ გამართა თავისი სააღყო მანქანები გარედან სამოქმედოდ და შევიდა შიდაციხეში. ახლა მათ ამოხოცეს და დაატყვევეს ყველა ხაზარი [რომელიც ციხესიმაგრეში იყო], და ხელთ იგდეს დიდძალი ალაფი და მრავალი ნადავლი, რომელიც გაუნაწილეს მებრძოლებს და უძღვნეს ჯაშუშებს. მისმა უმაღლესობა მასლამამ ჩაატარა კრება დიდებულებთან ერთად და უთხრა: „თუ ჩვენ დავბრუნდებით [ჩვენს ქვეყანაში] და დავტოვებთ აქ იმდენად ძლიერ გარნიზონს რამდენიც შეგვიძლია [გამოვყოთ] ციხესიმაგრის დაცვისთვის, ხაზართა ტომები ისევ დაბრუნდებიან, დაეუფლებიან დერბენდს და ამოხოცავენ მისი დაცვისთვის დადგენილ ყველა მებრძოლს. იმისთვის, რომ მათ ვერ შეძლონ დახმარების მიღება, სრულად უნდა დავანგრეოთ ციტადელის კედლები და კოშკები და შემდეგ დავბრუნდეთ“. აბდულ-აზიზ-ბაჰილიმ პასუხად უთხრა: „ეს სულაც არ არის აუცილებელი, ხაზარები შესაძლოა ისევ დაბრუნდნენ და ალადგინონ ციხესიმაგრე და ფორტიფიკაცია იმგვარად, რომ შემდეგში მიუდგომელი იყოს და ადრეულის მსგავსად შეიჭრნენ აზერბაიჯანსა და ერაყში“. ეს შეწინააღმდეგება არ მოეწონა მის უმაღლესობა მასლამას, რომელმაც ბრძანა, რომ დაეწვიათ ციხესიმაგრის კედლები და კოშკები. ამის გაკეთების და აბდულ-აზიზისთვის განჯისა და შირვანის პროვინციათა მმართველობის მინიჭების შემდეგ, იგი დაბრუნდა სირიაში (ქაზიმ-ბეგი 1852: 50-52).

ამ ამბებს ამგვარადვე აღწერს ალ-კუფიცი, თუმცა აბდ ალ-აზიზს სახელდებით არ იხსენიებს (ბუნიათოვი 1981: 14-15).

აბდ ალ-აზიზს კიდევ ერთხელ მოუწია ხაზართა წინააღმდეგ ბრძოლა, ტაბარის ცნობით:

იმ (ჰიჯრის 99 – 717 წლის 14 აგვისტოდან 718 წლის 2 აგვისტომდე) წელს თურქები თავს დაესხნენ აზერბაიჯანს, დახოცეს მუსლიმთა ჯგუფი და სერიოზული ზიანი მიაყენეს. უმარ ბ. 'აბდ ალ-აზიზმა გააგზავნა იბნ ჰატიმ ბ. ალ-ნუმან ალ-ბაჰილი, რომელმაც დახოცა ეს თურქები, მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოახერხა გაქცევა, მან დაატყვევა ორმოცდაათი მათგანი და [გაუგზავნა] უმარს ხუნასირაჰში (ბლანკინშიპი 1989: 200).

„იბნ ჰატიმ ბ. ალ-ნუმან ალ-ბაჰილი“ რომ აბდ ალ-აზიზ იბნ ჰატიმი, ეს ირკვევა იბნ ხაიიატის ცნობებიდანაც:

ამ (99-717 წლის 14 აგვისტო-718 წლის 2 აგვისტო) ხაზარები თავს დაესხნენ არმინიას და აზერბაიჯანს, ამ დროს მმართველი იყო 'აბდ ალ-აზიზ ბ. ჰატიმ ბ. ან-ნუმან ალ-ბაჰილი, ღვთის წყალობით ხაზართა დიდი ნაწილი მოკლულ-იქნა, ამის შესახებ 'აბდ ალ-აზიზმა მიწერა 'უმარ ბ. 'აბდ ალ-აზიზს (717-720), როდესაც დაიწყო მისი მეფობა. 'უმარმა გაგზავნა 'ადი ბ. 'ადი არმინიაში (ჰოილენდი 2015: 192).

ამავე ლაშქრობის შესახებ უფრო ქვემოთაც წერს იბნ ხაიიატი:

იმ წელს თურქები თავს დაესხნენ აზერბაიჯანს, აბუ ხალიდ < აბუ ბარა'; და სხვები: თურქებმა ხალხის დიდი მსხვერპლი გამოიწვიეს, 'აბდ ალ-აზიზ ბ. ჰატიმ ბ. ან-ნუმან ალ-ბაჰილი საომრად დაიძრა მათ წინააღმდეგ და ღმერთმა დახოცა თურქები. მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა გაქცევა. ['აბდ ალ-აზიზ ბ. ჰატიმი] წავიდა 'უმართან, როდესაც ის იყო ხუნასირაჰში (ჰოილენდი 2015: 197).

როგორც უკვე გავარკვევით, ყრუ არაბი სარდალი აბდ ალ-აზიზი 706-721/22 წლებში იმყოფებოდა ამიერკავკასიაში, 706-711 წლებში მართავდა მას და ფაქტობრივად ყველა აქ მიმდინარე მოვლენაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. თუმცა, მხოლოდ ეს არ კმარა იმისთვის, რომ ქართულ წყაროებში მურვან ყრუსთვის მიკუთვნებული ამბები მას მივანეროთ.

წყაროთა სიმცირის გამო, ამ დროს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ძალზე ცოტა რამაა ცნობილი, თუმცა ის, რასაც წყაროები გვამცნობენ, თითქმის ზუსტად ემთხვევა ჯუანშერის მიერ ყრუს ლაშქრობის აღწერას, თუმცა განსხვავება არის დეტალებში. ამ თხრობიდან უნდა გამოვყოთ 3 ძირითადი მოვლენა: ჯუანშერის მიხედვით დასავლეთ საქართველოში გადასულმა ყრუმ (1) დაანგრია არქეოპოლისი-ციხეგოჯი, (2) გადალახა კლისურა და შეიჭრა აფხაზეთში, (3) ამ დროს „ერის-თავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობლისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 234-238).

თეოფანე ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ (705-711) ლაზიკის გავლით ალანიაში გაგზავნა სარდალი ლეონი (შემდეგში იმპერატორი ლეონ III – 717-741 წწ.), თეოფანე საგანგებოდ

აღნიშნავს, რომ ამ დროს აბაზგიაც, ლაზიკაც და იბერიაც არაბებს ეკუთვნოდათ, ამგვარ ვითარებაში ლეონი ჩადის ლაზიკაში, ფაზისში (ფოთში) ტოვებს იმპერატორისგან გაგზავნილ ფულს და აფშილიის გავლით გადადის ალანიაში. მცირე ხნის შემდეგ, „რომაელები და არმენიელები ლაზიკეში შეიჭრნენ და არქეოპოლისს ალყა შემოარტყეს“, თუმცა არაბთა დამხმარე ჯარის გამოჩენის შემდეგ უკან, ფაზისისკენ დაიხიეს, ამ დროს კი ლეონი ისევ ალანიაში იმყოფება (ყაუხჩიშვილი 1941: 106-110; მანგო, სკოტი 1997: 542-543).

პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, თუ როდის მოხდა აღწერილი მოვლენები. როგორც თეოფანეს ცნობიდან ირკვევა, ლეონი იმპერატორმა იუსტინიანემ გააგზავნა ალანიაში, რომელიც მეორედ იმპერატორი იყო 705-711 წლებში, შესაბამისად, ლეონი ფაზისში 711 წლამდე უნდა მოსულიყო, რაკილა იუსტინიანე კიდევ კარგა ხანს ფიგურირებს ამ ამბებში, შესაძლოა, ლეონი მას რამდენიმე წლით ადრეც კი გამოეგზავნა. რაკილა ფაზისიდან არქეოპოლისზე რომაელებს სომხებთან (არმენიელებთან) ერთად ულაშქრიათ, ხოლო, როგორც ზემოთ ვნახეთ, ფაზისიდან არმენიელები 711 წელს გაიქცნენ, რასაც იმავე ან მომდევნო წელს სომხთა გაძევება მოჰყვა ბიზანტიის იმპერიიდან, მაშასადამე, არქეოპოლისის წინააღმდეგ განხორციელებული ლაშქრობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 711/712 უნდა იყოს.

როგორც თეოფანეს ცნობიდან ირკვევა, არქეოპოლისზე მოიერიშე ბიზანტიელები და არმენიელები უკან დაბრუნდნენ არაბთა დამხმარე ჯარის მოსვლის გამო? საიდან მოვიდა ეს ჯარი უცნობია, მაგრამ რაკილა თეოფანე წერს, რომ „სარკინოზები ლაზიკეში მოვიდნენ“ (ყაუხჩიშვილი 1941: 110), უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ლაზიკის გარედან მოსულან, ხოლო რადგანაც ამ დროს სამხრეთ კავკასიას აბდ ალ-აზიზი განაგებდა, სრულიად შესაძლებელია, რომ იგი თავად გადასულიყო დასავლეთ საქართველოში არქეოპოლისის გარნიზონის დასახმარებლად, ან ეს ჯარი მისი გაგზავნილი ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, აბდ ალ-აზიზის ჩართულობა ამ ამბებში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ამ დროს არქეოპოლისის დანგრევა არ დასტურდება, როგორც ამას ჯუანშერი მურვან ყრუს ლაშქრობის აღწერისას გვამცნობს? ვფიქრობთ, ჯუანშერს დეტალური სიზუსტე არ მოეთხოვება, როგორც თეოფანე წერს, ამ დროს ლეონმა მიწასთან გაასწორა ე.წ. „რკინის ციხე“ (ყაუხჩიშვილი 1941: 112), შესაძლოა, ჯუანშერმა იცოდა ამ ეპოქაში დასავლეთ საქართველოს რომელიღაც ციხის დანგრევის შესახებ და რაკილა მას ჰქონდა ცნობა არქეოპოლისის ალყის შესახებ, დანგრეულ ციხედაც იგი მიიჩნია. ჯუანშერის ცნობით, ყრუმ გადალახა კლისურა, მართლაც, თეოფანე აღწერს ამგვარ ამბავს: „იტაზმა შეკრიბა ჯარი, დაიძრა აბაზგიის წინააღმდეგ, მოულოდნელად შეიჭრა კლისურებში, დიდძალი ნატყვენავი ჩაიგდო ხელთ და დაარბია აბაზგები“ (ყაუხჩიშვილი 1941: 109). როგორც ვხედავთ, ჯუანშერი დეტალებში აქაც არაზუსტია, კლისურა გადაულახავთ არა არაბებს, არამედ ალანებს, მართლაც, ამ დროს აბაზგია ისედაც არაბებს ეპყრათ და, ბუნებრივია, იქ ძალით შეჭრას არაბთა მხრიდან არ ექნებოდა ადგილი.

დაბოლოს, ჯუანშერის ცნობით, ამ ამბების შემდეგ „მურვან ყრუ“ მიდის კონსტანტინოპოლზე სალაშქროდ, მართალია 711/2 წლებში კონსტანტინოპოლის ალყას ადგილი არ ჰქონია და იგი უფრო გვიან 717-718 წლებში განახორციელეს არაბებმა, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართულ წყაროში დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენების გვერდით კონსტანტინოპოლის ალყის ხსენებას თავისი მიზეზები აქვს, კერძოდ, თეოფანე ჟამთააღმწერელი ჯერ წარმოგვიდგენს არაბთა მიერ კონსტანტინოპოლის ალყის აღწერას, შემდეგ გადადის ლეონ ისავრიელის დასავლეთ საქართველოსა და ალანიაში ყოფნისას მომხდარი მოვლენების თხრობაზე და შემდეგ ისევ კონსტანტინოპოლის ალყას აღწერს (მანგო, სკოტი 1997: 538-545). შესაძლოა, ქართველი ავტორი სწორად ვერ გაერკვა თეოფანესთან აღწერილ მოვლენებში და სხვადასხვა დროს მომხდარი მოვლენა ერთმანეთს დაუკავშირა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯუანშერთან მურვან ყრუსთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას (სამხრეთ კავკასიაში მის მოსვლამდე დიდებულთა დასავლეთ საქართველოში გადასვლა, შემდეგ ყრუ არაბი სარდლის მოსვლა, დარიალისა და დარუბანდის დალაშქვრა, არქეოპოლისის ალყა, კლისურის გადალახვა და აფხაზეთის დალაშქვრა, „კეისრის ერისთავ ლეონის“ ალანიაში ყოფნა) ადგილი ჰქონდა ყრუ არაბი სარდლის აბდ ალ-აზიზის ამიერკავკასიაში ყოფნის დროს, რაც გვადლევეს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ გვიან ხანებში მოხდა ორი სარდლის მურვანისა და ყრუ აბდ ალ-აზიზის გაერთიანება და რის შედეგადაც ნაკლებად ცნობილი აბდ ალ-აზიზის ნამოქმედარი მიეწერა ფართოდ ცნობილ მარვან იბნ მუჰამედს, თუმცა მისი კვალი ბოლომდე ვერ ნაიშალა და იგი მურვანის მეტსახელ „ყრუს“ სახით შემორჩა.

## დამოწმებანი

**აბრამიშვილი 1977:** გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბილისი, მეცნიერება.

**ბედროსიანი 2006:** Ghewond's History, Translated from Classical Armenian by Robert Bedrosian. ვებ-გვერდი: <http://www.attalus.org/armenian/>

**ბლანკინშიპი 1994:** K.Y. Blankinship. The End of the Jihād State: The Reign of Hishām ibn ‘Abd al-Malik and the Collapse of the Umayyads. Albany, New York, State University of New York Press.

**ბლანკინშიპი 1989:** The History of al-Tabari, vol. XXV, The End of Expansion, translated by Khalid Yahya Blankinship. New York, State University of New York Press.



- ბოგვერაძე 1973:** ა. ბოგვერაძე. ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბილისი.
- ბოსვორთი და სხვები 1991:** C.E. Bosworth, E. van Donzel, Ch. Pellat (eds.). The Encyclopaedia of Islam, New Edition, Volume VI, Mahk-Mid. Leiden: E.J. Brill.
- ბრანსი, კირში 1789:** Gregorii Abulpharagii sive Bar-Hebraei, Chronicon Syriacum, vol. 1, 2 vol. P.J. Bruns and G. W. Kirsch. Leipzig: A.F. Boehmum.
- ბუნიათოვი 1981:** Абу Мухаммад Ахмад Ибн А'сам Ал-Куфи, Книга завоеваний. (извлечения по истории Азербайджана VII-IX вв.). Пер. с араб. З.М. Бунятова. Баку.
- ბუნიათოვი 1965:** З. М. Бунятов. Азербайджан в VII-IX веках, Баку.
- დავლიანიძე 1985:** მოვსეს კალანკატუაცი, აღვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბილისი, მეცნიერება.
- ემინი 1864:** Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия», перевод Н. Эмина, Москва.
- ვასილიევი 1912:** Kitab al-'Unvan (Histoire Universelle, Ecrite par Agapius de Manbidj, seconde partie, fasc. 2. A.A-Vasiliev, Patrologia Orientalis, T. 8, R. Graffin, F. Nau. Paris.
- მანგო, სკოტი 1997:** The Chronicle of Theophanes Confessor: Byzantine and Near Eastern History, AD 284-813, Edited by Cyril Mango and Roger Scott with the assistance of Geoffrey Greatrex. Oxford, Clarendon Press.
- მუსხელიშვილი 2003:** დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბილისი, მემატიანე.
- სანაძე 2001:** მ. სანაძე. ერისმთავრები არჩილი და მირი და „ქართლის ცხოვრება“. მეხუთე (საისტორიო კრებული) IV.
- სილაგაძე 1991:** ბ. სილაგაძე. არაბთა ბატონობა საქართველოში. თბილისი.
- ტერ-ლევონდიანი 1976:** A. Ter-Ghewondyan. The Arab Emirates in Bagratid Armenia, Trans. Nina G. Garsoïan. Lisbon, Calouste Gulbenkian Foundation.
- ქაზიმ-ბეგი 1851:** Derbend-nâmeḥ: Or, The History of Derbend, Translated from a Select Turkish Version and Published with the Text and with Notes, Illustrative of the History, Geography, Antiquities. Occurring throughout the work, by Mirza A. Kazem-beg. St. Peterburg.
- ყაუხჩიშვილი 1941:** გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 4, ნაკვ. 1, ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და დამატებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფილისი.
- ყაუხჩიშვილი 1995:** ქართლის ცხოვრება, ტ.1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, სახელგამი.
- ცაგარეიშვილი 2012:** ე. ცაგარეიშვილი. საქართველო VII – X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, თბილისი, არტანუჯი.
- ჯანაშვილი 1906:** მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, ტ. 1, უძველეს დროიდან 985 წლამდე. ტფილისი.
- ჯანაშია 1952:** ს. ჯანაშია. შრომები, II, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჯერეტი 1881:** History of the Caliphs by Jala'lu'ddin A's Suyuti, Translated from the Original Arabic by Major H. S. Jarret. Calcutta, J.W. Thomas, Baptist Mission Press.
- ჰინდსი 1990:** The History of al-Tabari, vol. XXIII. The Zenith of the Marwanid House, translated and annotated by Martin Hinds, New York, State University of New York Press.
- ჰიტტი 1916:** The Origins of the Islamic State: Translation with Annotations Geographic and Historic Notes of the Kitāb Futūḥ al-Buldān of al-Imām abu-'l'Abbās Aḥmad ibn-Jābir al-Balādhuri, vol.1. Translated by Philip Khuri Hitti. New York, Columbia University Press.
- ჰოილენდი 2015:** Khalifa ibn Khayyat's History on the Umayyad Dynasty (660-750) by Carl Wurtzel, prepared for publication by Robert G. Hoyland. Liverpool, Liverpool University Press.

## ABOUT “THE DEAF FROM BAGDADI” AND MARWAN IBN MUHAMED’S GEORGIAN NICKNAME

David Chikovani

The identification Arabian commander known in Georgian sources as “Murwan Kru” (Murwan the Deaf) is a subject of controversies among the scholars. Most often he is identified with Marwan Ibn Muhammad (later caliph Marwan II – 744-750). According to Georgian sources this nickname was given to this commander because of his cruelty and not understanding the complaints of his victims. However the author of this article have found out the Arabian governor who ruled South Caucasus in 706-717/718 who was actually deaf. This is Abd al-Aziz. The facts that Georgian sources related to Murwan Kru (Murwan the Deaf) might be facts of his life. Later on, the two commanders – Marwan Ibn Muhammad and Abd al-Aziz were merged and nickname which actually was given because of physical disorder was explained in above-mentioned way.

## ქართველი ერის ზვიად გამსახურდიასული ნარატივი. რეპრეზენტაცია და კომენტარები

მარიამ ჩხარტიშვილი

### შესავალი

კოლექტიური კულტურული იდენტობების განვითარების სხვადასხვა ეტაპს შეესაბამება სხვადასხვა ნარატივი.<sup>1</sup> ამ ნარატივების საზოგადოებრივი ფუნქცია არის შიდა-ჯგუფური მობილიზაცია.

ქართულმა სინამდვილემ არაერთი ამგვარი ნარატივი იცის. ჯერ კიდევ IV საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა ქართველთა ღვთიერთრწეულობის იდეოლოგია (ჩხარტიშვილი 2009ა: 133-165; ჩხარტიშვილი 2009ბ: 376-385). აღნიშნული იდეოლოგია იყო პასუხი იმ გამოწვევაზე, რომელიც აღმოცენდა ქართლის გაქრისტიანებით ანუ კოსმოპოლიტურ ქრისტიანულ ოიკუმენაში ქვეყნის შესვლის მიზეზით. რელიგიური მოქცევის ეპოქაში დისკურსი ქართველთა გლობალური მისიისა და რწეულობის შესახებ უზრუნველყოფდა ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებასა და გამოკვეთას.

XI საუკუნეში ვაფიქსირებთ ქართული იდენტობრივი ნარატივის განსხვავებულ ვერსიას, რომელიც შესაბამის ეპოქაში ქართული ერთობის შიდა-ჯგუფური კავშირების განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ეს ნარატივი უკავშირდება წმინდა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობას. სწორედ ამ ნარატივმა შეუწყო ხელი პრე-მოდერნული ქართული ნაციის ჩამოყალიბებას (ჩხარტიშვილი 2006: 87-101; ჩხარტიშვილი 2016: 73-89).

XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ შექმნა ქართველი ერის ყოვლისმომცველი ნარატივი (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 477-541), რომელმაც უზრუნველყო ქართველთა შიდა-ჯგუფური მობილიზაციის მასობრივი პროცესის განვითარება. ეს პროცესი დამთავრდა ქართული მოდერნული ნაციის კონსოლიდებით.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში ზვიად გამსახურდიამ თანამემამულეებს ასევე ძლიერი სოციალური იმპულსის მქონე ეროვნული ნარატივი შესთავაზა, რომელიც ქართველთა დიდმა უმრავლესობამ გაიზიარა. გამსახურდიასული ხედვებითა და იდეებით გამსჭვალულმა ქართულმა ერთობამ მოახერხა საბჭოთა იმპერიისაგან თავის დაღწევა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანს ზვიად გამსახურდიასული ეროვნული ნარატივის რეპრეზენტაცია წარმოადგენს. სპეციალურ ლიტერატურაში გასული საუკუნის დისიდენტური მოძრაობის ლიდერისა და შემდგომში საქართველოს პრეზიდენტის მოღვაწეობის ეს მხარე თითქმის არ არის შესწავლილი. აღნიშნული ხარვეზის შევსება კი აუცილებელია ქართველი ერის ისტორიაში ზვიად გამსახურდიას ადგილის ღრმად გააზრებისათვის და ზოგადად შესაბამისი ეპოქის ადეკვატურად აღქმისათვის.

ეროვნული ნარატივები სპეციფიკური დისკურსებია, რომლებიც შეიცავს პასუხებს ერის არსებობისათვის ფუნდამენტურ კითხვებზე; ამ კითხვათა სიმრავლის დაყვანა შეიძლება სამ უმთავრესზე: „ვინ ვიყავით“? „ვინ ვართ“? „როგორია ჩვენი მომავალი“?

ეროვნულ ნარატივებს შეიძლება ჰქონდეთ სამეცნიერო დისკურსის ფორმა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი სამეცნიერო ტექსტებია. მათთვის მთავარია არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ სოციალური რეზონანსულობა.<sup>2</sup> ამასთან ყველაზე რაციონალურად შედგენილი ნარატივიც კი მუდმივი არაა, ის ძველდება და არ გამოდგება ეროვნული იდენტობის განვითარების მომდევნო ეტაპებისათვის. თუმც საკითხების რეკონცეპტუალიზაციის შედეგად შეიძლება მოხდეს იდეების ხანგრძლივად დანარჩუნება. ზვიად გამსახურდიასული ქართველი ერის ნარატივი, მაგალითად, ნაწილობრივ იმეორებს თემების ილიასეულ რეპერტუარს, თუმც, როგორც სულ სხვა ეპოქაში აღმოცენებული დისკურსი, არსობრივ ახალია.

ქართველთა ცნობიერებიდან ქართველობის საბჭოური გაგების აღმოფხვრის მცდელობა არ იყო იოლი. ეროვნულ იდენტობას ჩვეულებრივ ერის კულტურული ელიტა აყალიბებს, საბჭოეთში კი ქართველობის ინტელექტუალურ წინამძღოლს ქართული საბჭოთა ინტელიგენცია წარმოადგენდა. მისი პრივილეგირებული ნაწილი ჰარმონიულად თანამშრომლობდა პარტიულ ნომენკლატურასთან და ეთნიკურ-იმპერიული ჰიბრიდული მსოფლადქმის მქონე იყო. ეს ინტელიგენცია თავად გახლდათ ქართული საბჭოური ნარატივის ავტორი. ამდენად, მისგან ხელშეწყობა ალტერნატიული იდენტობრივი დისკურსის შექმნაში იმთავითვე გამოირიცხებოდა. ეროვნულ საკითხში საბჭოური პოლიტიკის ტაქტიკა ხშირად იცვლებოდა, მაგრამ მისი სტრატეგიული ხაზი – ზეეროვნული ერთობის ანუ „საბჭოთა ხალხის“ შექმნა და ტრანსნაციონალური იდენტობის ანუ საბჭოური იდენტობის მატარებელი „მოქალაქის“ ანუ „საბჭოთა ადამიანის“ ფორმირება – უცვლელი რჩებოდა.

ზვიად გამსახურდიას ქართველი ერის ნარატივი სწორედ საბჭოთა ხალხის იდეას დაუპირისპირდა.

## ფაქტები და ანალიზი

ზვიად გამსახურდიასეულ ქართველი ერის ნარატივს აფიქსირებს სხვადასხვა ტექსტი: მისი სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ნაშრომები, საჯარო გამოსვლები.

შესაძლებელია რამდენიმე თემის გამოყოფა: მსჯელობა ქართული ერთობის რაობის, წარსულის, საკრალური საფუძვლის, სხვებთან მიმართების, კულტურული უნიკალობის, გლობალური მისიის, მტრების, გმირების, მომავლის და სხვ. შესახებ. ხშირად ეს თემები ერთმანეთზე ისეა გადაჯაჭვული, რომ მათზე განცალკევებულად მსჯელობა ძნელდება. ამიტომ ამ ნარატივის რეპრეზენტირება საკმაოდ რთულია, მითუმეტეს, მოკლედ ანუ ერთი სტატიის ფარგლებში. აქედან გამომდინარე წარმოდგენილი ძიებანი საკითხის შესწავლის მხოლოდ წინასწარულ მონახაზად მესახება.

ყველა ზემოთ აღნიშნული თემა უნივერსალია და სპეციალურ ლიტერატურაში უკვე მკაფიოდ იდენტიფიცირებულ ნაციონალიზმის ბირთვ დოქტრინას და მის ფუნდამენტურ იდეალებს უკავშირდება.<sup>3</sup> ანუ იმის ხაზგასმა მსურს, რომ გამსახურდიასეული ქართული ეროვნული ნარატივი, ისევე როგორც ამ ნარატივის ილიასეული ვერსია, ეფუძნება ნაციონალიზმის უნივერსალურ მატრიცას. ამ მიზეზით ამ ნარატივების კვლევა აუცილებელია არა მარტო ცალკე, არამედ შედარებით კონტექსტშიც, რაც ქართველ ისტორიკოსთა სამომავლო ამოცანაა.

ზვიად გამსახურდია საუბრობდა ილიას გზაზე. ამით მიუთითებდა, რომ ქართველი ერის მისეული იდეალები იგივე იყო, რაც ილიასი. ზოგადად ეს, მართლაც, ასეა, მაგრამ, გამსახურდიასეული ნარატივი ძველის გამეორება არაა.

უკვე სტალინის მხარდაჭერით დაიწყო ილიაზე, როგორც საერთო ქართული მნიშვნელობის მქონე მოღვაწეზე, საუბარი. ანუ მოხდა ილიას, როგორც „წარმავალი თავადაზნაურული კლასის“ წარმომადგენლობაში „ბრალდებულის“, „რეაბილიტაცია“. მაგრამ ზვიად გამსახურდიასეულ ნარატივში ილია უბრალოდ თვალსაჩინო ქართველი მწერალი როდია. გამსახურდიას მიხედვით, ის არის „დიდი ილია“. 1987 წელს, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკლესიის მიერ კანონიზებულ იქნა წმიდა ილია მართალის სახელით. ზვიად გამსახურდიას ნარატივში ის სწორედ წმინდანად არის წარმოდგენილი. 1990 წლის 26 მაისის მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში (გამსახურდია 1990), როცა ზვიად გამსახურდია ქართველი ერის ისტორიულ არჩევანზე საუბრობს, ის მიუთითებს ბარაბასა და ილიას შორის არჩევანზე. სახაჩებაში ბარაბას საპირისპირო მაცხოვარია. ამგვარად, გამსახურდიას ნარატივში ილიას უკავია მაცხოვრის მხარე. საზოგადოდ ზვიად გამსახურდია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წმინდანებს ქართველი ერის ცხოვრებაში და განსაკუთრებული პათოსითაც აღწერდა წინამოდერნის ეპოქის ქართველი წმინდანების ღვაწლს. ამგვარი დამოკიდებულება სინამდის მიმართ აგრეთვე უკავშირდება ნაციონალიზმის ერთ-ერთ უნივერსალიას, კერძოდ კი, ეროვნული კოლექტივის საკრალურად გააზრებას. ნაციონალისტური გაგებით, ერი ეს არ არის უბრალოდ ადამიანთა ჯგუფი, თუნდაც საერთო ინტერესებით შეკრული პოლიტიკური ერთობა, არამედ საზიარო მორალური ვალდებულებების მქონე კრებული. აღნიშნული თემა განსაკუთრებულად ვრცლად არის დამუშავებული ილიასთან (ჩხარტიშვილი, მანია 2011). ზვიად გამსახურდიაც სათანადო ყურადღებას უთმობს მას. მიუთითებს, რომ წმინდანი ყოველთვის განსაზღვრავდა ქართული ერთობის ცხოვრებას:

წმინდანი იყო მუდამ იდეალი ჩვენი წინაპრებისა და ჩვენთვისაც უნდა დარჩეს იდეალად თუ გვსურს ჩვენი ეროვნული და კულტურული არსებობის შენარჩუნება დღეს, ოკეანის პირისპირ, რომელიც ნთქავს ყოველგვარ ეროვნულ კოლორიტსა და ნიუანსებს. ის ერი კი, რომელიც დაკარგავს რწმენას და კულტურულ უპირატესობას ვერ შეინარჩუნებს მომხდურზე, უთუოდ დამარცხდება. წმინდანი იყო და არის იდეალი განათლებული კაცობრიობისა, მას ვერც ერთი სხვა იდეალი ვერ შეცვლის ვერც მომავალში (გამსახურდია 1991ა: 565).

მაგრამ ზვიად გამსახურდია არ კმაყოფილდება წარსულში მცხოვრები წმინდანების ღვაწლის აღნიშვნით. ის საკუთარი ჟამის განსაკუთრებულობას წარმოაჩენს იმით, რომ ახდენს მის თანამედროვე წმინდანების იდენტიფიკაციასაც. პირველ რიგში, ესენი არიან ცხრა აპრილს დაღუპული გმირები. მათდამი, როგორც წმინდანებისადმი (ამავე დროს გმირებისადმი), ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება, არაორაზროვნად გამოსჭვივის მის ერთ-ერთ, ასევე ძალიან ცნობილ, სიტყვაში:

დღევანდელი დღე ცრემლნარევი სიხარულის დღეა. მართალია, ჩვენ ცრემლი არ შეგვშრობია თვალებზე. 9 აპრილს წამებულთა გლოვა, სამაჩაბლოში წამებულთა გლოვა დღესაც გრძელდება, მაგრამ უფალმა მოგვივლინა ეს დღე ვითარცა დღე ცრემლნარევი სიხარულისა... ძვირფასო ძმებო! დღევანდელი დღე მოითანა 9 აპრილს დათხეულმა სისხლმა. შემთხვევითი როდია, რომ დღევანდელ დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ისინი წინასწარმეტყველნი იყვნენ – მათ წინასწარმეტყველურად დასთხიეს სისხლი აქ, ამ ადგილას, რამეთუ უწყოდნენ რომ სწორედ აქ გამოცხადდებოდა დამოუკიდებლობა და სწორედ 9 აპრილს! წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ დაღუპულთა ხსოვნას! 9 აპრილი არის გმირული ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე! დიდება სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს! (გამსახურდია 1991ბ).



მერაბ კოსტავასაც ზვიად გამსახურდია გაიაზრებდა წმინდანად და გმირად. საინტერესო ნიუანსია, რომ ახალი წმინდანი ილიასთან ერთად დასცქერის ქართველებს ზეციური საქართველოდან:

ამ წმინდა მიწაზე, სადაც წინაპართა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ, სადაც სულმნათი მერაბ კოსტავა გადმოგვცქერის ზეციური საქართველოდან, სადაც წმინდა ილია მართალი დაგვცქერის ჩვენ, ჩვენს მიერვე წამებული ილია მართალი (გამსახურდია 1990).

საზოგადოდ ქართულ იდენტობრივ ნარატივებში გმირობა და წმინდანობა ერთმანეთს ხშირად ერწყმოდა (ქადაგიშვილი, ჩხარტიშვილი 2014: 413-421). ზვიად გამსახურდია გმირობისა და წმინდანობის დაკავშირების ამ ტრადიციას აგრძელებს. ის ქართულ იდენტობას ანროთობს ეროვნული წმინდანი გმირების (//ეროვნული გმირი წმინდანების) შესახებ საუბრით.

ზვიად გამსახურდიასეულ ეროვნულ ნარატივში ქართული ერთობის საკრალიზება ხდება რელიგიური მარკერის შესახებ დისკურსითაც. „ქართველები განსაკუთრებული ქრისტიანებია“ – ეს ძალიან ძველი თემაა ქართული იდენტობრივი ნარატივებისათვის (ჩხარტიშვილი 2011: 72-91). განსაკუთრებული ქრისტიანი ხალხის იდეა, როგორც ითქვა, დამუშავდა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში შექმნილ ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიაში. ამ საკითხს ილია ქაჯავაძეც საგანგებო ყურადღებას უთმობდა (ჩხარტიშვილი, მანია 2011).

ზ. გამსახურდიამ კიდევ უფრო რეზონანსული გახადა ეს თემა. ამავე დროს ქრისტიანობისადმი ქართველთა განსაკუთრებული დამოკიდებულება მან გაიაზრა ქართველთა გლობალური მისიის გამოხატულებად:

რამეთუ სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმა ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ქეშმარიტი, რათა მან სწამოს ქრისტესთვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიო ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ქეშმარიტებისა (გამსახურდია 1990).

ერის უნიკალური დანიშნულების იდეა, ასევე ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიაა. დიდწილად სწორედ ეს ანუ უნიკალური მისიის ქონა ნაციონალისტებს ესახებათ როგორც მშობლიური ნაციის *raison d'être*.

ეროვნული ერთობის საკრალიზაცია, გმირი წმინდანების იდენტიფიკაცია და მისიონიზმის თემები მჭიდროდ უკავშირდება იდენტობრივი განგრძობადობისა და თვითიგივეობის თემებს.<sup>4</sup>

ერები ისტორიული ფენომენებია. თანამედროვე მეცნიერების ფართოდ მიღებული აზრი ასეთია, რომ ერების წარმოშობა მოხდა ახალ დროში. ეს ნიშნავს, რომ შიდა-ჯგუფური კოპეზიის ეროვნული დონე მოდერნული მოვლენაა. თუმც სხვადასხვა ერს ეროვნული მშენებლობის სხვადასხვა გამოცდილება აქვს. ზოგი მათგანი ბიუროკრატიული მობილიზაციის შედეგად სრულიად ახალ მოცემულობად აღმოცენდა, ზოგმა კი გააგრძელა ადრე არსებული ეთნიკური იდენტობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაციონალური იდენტობა სწორედ წინარე ეთნიკური კულტურის გაგრძელებაა მისი ცალკეული ელემენტების სელექციისა და რეინტერპრეტაციის გზით. ასე მოხდა ქართველთა შემთხვევაში. იდენტობის განვითარების ეთნიკურ დონეს თავად აქვს ქვეეტაპები. საბოლოო ჯამში, ერის ფორმირება კულტურული წრთობის ხანგრძლივი პროცესია, რომლის გარკვეულ ეტაპებზე ერთობა ახერხებს პოლიტიკური ჯავშნის გაკეთებას ანუ აღწევს პოლიტიკური ავტონომიის რომელიმე ფორმას.

მაგრამ „ერი“ არის კონცეპტი, რომელსაც იყენებენ არა მარტო მეცნიერები. მას მიმართავენ ნაციონალისტი ლიდერებიც და ნაციონალისტური ნარატივის მომხმარებელი სამიზნე ჯგუფებიც. ნაციონალისტურ რიტორიკაში „ერი“ კონცეპტუალიზდება როგორც მარადიული ფენომენი, ლამის ბიოლოგიური სახეობის ფარდი ცნება. იგი წარმოიდგინება ერთობად, რომელიც ადამიანთა საზოგადოების წარმოშობისთანავე (ან საზოგადოების განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპზე) ჩნდება და შემდგომში პრაქტიკულად არ იცვლება. ესაა „ერის“ პრიმორდიალისტური და ესენციალისტური გაგება. ნაციონალისტურ რიტორიკაში ერის კონცეპტუალიზება თითქმის ყოველთვის ამ ფორმით იმიტომ ხდება, რომ ამგვარად იოლდება თანამედროვე ეროვნული ერთობის დაკავშირება მის ეთნიკურ ფესვებთან, რაც ასე ფუნდამენტურია ნაციონალიზმისათვის: ეს ხელს უწყობს შიდა-ჯგუფურ მობილიზაციას.<sup>5</sup>

გენეტიკურად გაგებული პრიმორდიალური ეთნიკურობის საფუძველზე მობილიზაცია იმპერიაში მყოფი ხალხების რეალობაა, იმპერიაში კონსოლიდება შეიძლება იდენტობრივი მარკერების მხოლოდ ეთნიკური კონცეპტუალიზაციის გზით. იმპერიისაგან თავის დაღწევის მცდელობაც (უაღრესად კრიტიკული მომენტი კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის ცხოვრებაში) შესაძლებელია შიდა-ჯგუფური ბმების მკაცრად კოლექტივისტური და პრიმორდიალისტური გააზრებით. ამიტომ იმპერიაში მყოფი ეროვნული ერთობის ნაციონალისტი ლიდერი მეცნიერიც რომ იყოს და რეალურად კარგადაც რომ ესმოდეს ერის ფენომენის რაობა, თავის აუდიტორიას შესთავაზებს (ყოველ შემთხვევაში ეს ასე იყო წარსულში კარგად აღწერილი ეროვნული კონსოლიდაციების დროს) ერის პრიმორდიალისტურ ხედვას. და ეს მისი პროექტის ნაკლად ვერ ჩაითვლება. უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ეროვნული იდენტობრივი ნარატივი არ არის სამეცნიერო ტექსტი. ამიტომ, რომ ნაციონალისტური რიტორიკა ცნობს „ერის“ ფენომენის აისტორიულ გააზრებას; ნაციონალისტური ნარატივი, რომელიც გათვლილია ფართო აუდიტორიაზე, ვერ დაიტევს „ერის“ ისტორიული განვითარების ნიუანსების შესახებ მსჯელობას.

ამ ზოგადი შენიშვნების შემდეგ დავუბრუნდეთ ზვიად გამსახურდიასულ ქართველი ერის ნარატივს. „ერი“, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, აქ წარმოგვიდგება პრიმორდიალისტურად. ზ. გამსახურდია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა აზრს ერების ახალ დროში წარმოქმნის შესახებ; ამ შეხედულებას ის უკავშირებდა ექსკლუზიურად მარქსისტულ მეცნიერებას, რომლის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავდა არაერთგზის.

გამორიცხულია, რომ ზვიად გამსახურდიას არ სცოდნოდა ერის ევროპული კონცეფცია, თუნდაც ამ საკითხზე ე. რენანის თვალსაზრისი, რომლის შესახებ ასე კარგად იყო ინფორმირებული უკვე ილია ჭავჭავაძე და მისი თანამედროვე ქართული ინტელექტუალური ელიტა (ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012: 72-89). აშკარაა, რომ ქართველი ერის პრიმორდიალისტური კონცეპტუალიზაცია გამსახურდიას მხრიდან არის სრულიად შეგნებული ნაბიჯი. ქართველი ერი მის ნარატივში არის გენეტიკური იდენტობის მქონე, ფაქტობრივად, მარადიული რეალობა, რომელთანაც, ოღონდაც ასოცირდება კონკრეტული კულტურა. გამსახურდია როგორც სინონიმებს ისე იყენებს ტერმინებს „ერი“, „ეროვნება“, „მოდგმა“, „ეთნოსი“ აი, რამდენიმე შესაბამისი ამინარიდი ზ. გამსახურდიას გამოკვლევიდან „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“:

„ენა“ ძველ ქართულში, ისევე როგორც სხვა ძველ ენებში, მხოლოდ ენას კი არ ნიშნავდა, არამედ ხალხს, ეროვნებას, მოდგმას (გამსახურდია 1991გ: 3).

იოანე ზოსიმესეული გაგება ქართული მოდგმის, ქართული ეთნოსის მომავალი მამხილებელი მისსიისა (გამსახურდია 1991გ: 9).

მაგრამ საქმეც ისაა, რომ აქ კვლავ საქმე ეხება ერის, ეროვნების მოქცევას (გამსახურდია 1991გ: 12).

ქართული მოდგმა, ქართველი ერი არის მეგობარი ქრისტესი (გამსახურდია 1991გ: 14).

ქართული ეროვნება და მისი ენა (ქართველი ერი) შენარჩუნებულ იქნება მისი (ქრისტეს) მეორედ მოსვლის დღემდე.. რაც შეეხება ერს, ეროვნებას, აქ სხვაგვარად უნდა ყოფილიყო საქმე. ენა შეიძლება დარჩეს, ერი კი განადგურდეს. ქრისტიანული ესქატოლოგიის მიხედვით მომავლის კატაკლიზმების დროს ზოგი ერი დაილუპება, აღიგვება პირისაგან მიწისა, ზოგი კი გადარჩება. აი, აქ კი საჭირო იყო პროფეტული ოპტიმიზმი, რომელსაც ამჟღავნებს იოანე-ზოსიმე, როდესაც ამხნევებს თავის თანამემამულეებს: ქართველი ერი გადარჩება, იარსებებსო მეორედ მოსვლამდე. იოანე-ზოსიმე ამ შემთხვევაში ვერ იხმარდა ტერმინ „ეროვნებას“, ვინაიდან ეს ტერმინი იმ ეპოქაში ჯერაც არარსებობდა, იგი უფრო გვიანდელი ხანის პროდუქტია. ამიტომ იხმარა მან „ენა“, რომელიც მის ეპოქაში ნიშნავდა „ერს“, „ეროვნებას“, „მოდგმას“ (გამსახურდია 1991გ: 6-7).

პროტო-ქართული მოდგმა და კულტურა პრეისტორიული ხანიდან უაღრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისტერიოზა კულტურასთან, უფრო მეტიც, იგი იყო შემქნელი ამ მისტერიოზა, იყო მათი კულტურტრეგერი (გამსახურდია 1991გ: 19).

თუმცა აშკარაა, რომ ზვიად გამსახურდია კარგად ხვდებოდა იმ უხერხულობას, რომელიც შეიძლება გამოეწვია უძველესი დროისათვის ტერმინ „ქართველის“ გამოყენებას. ამიტომ საუბრობდა „პროტო-ქართველებზე“, „პროტო-იბერებზე“. ანუ ამით ახერხებდა როგორც ქართული იდენტობის განგრძობადობის, ისე მისი დროში ცვალებადობის ჩვენებას.

ზვიად გამსახურდიას ეროვნული ნარატივი იყო ეთნიკური ქართველების კოლექტივისტური ნარატივი. და ეს ფაქტი არაა არც მოულოდნელი და არც საჩოთირო. იმპერიისაგან თავის დაღწევა, რაც იყო ქართველთა მობილიზების მიზანი იმ ეტაპზე, შეუძლებელია სამოქალაქო ნაციონალიზმით, რომლის ცენტრალური იდეა ინდივიდუალიზმია. ამ ფაქტის გათვალისწინებით არ იყო სწორი ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებული ქართული საბჭოთა ინტელიგენციის მოთხოვნა ეროვნული პრეფერენციების განსაზღვრის თაობაზე: „ჯერ დემოკრატია, მერე თავისუფლება“. პოლიტიკური თავისუფლების გარეშე დემოკრატის მიღწევა შეუძლებელი გახლდათ.<sup>6</sup>

ზვიად გამსახურდიას მიერ შემოთავაზებულ დისკურსში „ერის“ ეთნიკური კონცეპტუალიზაცია გამონვეული ჩანს იმითაც, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები იყვნენ კრემლის მიერ მხარდაჭერილი ეთნოკრატები, რომელთა მცდელობის შედეგად ეთნიკური ქართველობა ანუ სატიტულო ერი საკუთარ ქვეყანაში მარგინალიზებული იყო. საქართველოს მოსახლეობის სწორედ ეს მარგინალიზებული უმრავლესობა გახლდათ ზვიად გამსახურდიას ნარატივის სამიზნე ჯგუფი და ამაში, ვიმეორებ, საძრახისი არაფერია. მთავარი ისაა, რომ, საბედნიეროდ, ეს იდეოლოგია არ გამხდარა არაქართველთა ეთნიკურ ნიადაგზე მასობრივი შევიწროების საფუძველი. ის ქართული ჩვენ-ჯგუფის შიდა მობილიზაციის ამოცანას ემსახურებოდა.

ამასთან, ზვიად გამსახურდიას, როგორც ევროპული ლიბერალური ღირებულებების გამზიარებელ ადამიანს, კარგად ესმოდა ის საფრთხეები, რომელსაც შეიცავს ერის ეთნიკური კონცეპტუალიზაცია. ამიტომ შემთხვევითი სულაც არაა მისი საგანგებო მსჯელობა „ნაციონალიზმსა“ და „ნაციზმს“ შორის განსხვავებებზე:

მივესალმები იბერიულ-კავკასიური მოძრაობის შექმნას საქართველოში, რამაც პრაქტიკულად უნდა შეასხას ხორცი იდეებს, რომელნიც მუდამ წარმოადგენდა ქართული ნაციონალიზმის კორიფების – ჩვენი დიდი მეფეების, მწერლების, სწავლულებისა და საზოგადო მოღვაწეების საქმიანობის მამოძრავებელ ძალას. დღეს სოციალისტებმა, კომუნისტებმა, კოსმოპოლიტებმა სიტყვა „ნაციონალიზმი“ უარყოფით ცნებად აქციეს. მსოფლიო ასპარეზზე ნაციონალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ აგრეთვე ის ამორფული, დენაციონალიზებული, ტრადიციებს მოწყვეტილი კონგლომერატები, რომელთაც არა აქვთ ისტორია, კულტურული თვითმყოფადობა და რომელნიც მიისწრაფვიან კაცობრიობა აქციონ ერთსახოვან მასად, რომელსაც მხოლოდ უმცირესობის სოციალური ნება-სურვილი ამოძრავებს, მხეცური ინსტინქტები და ინტერესები მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურ ფასეულობათა მიმართ. „ნაციონალიზმი“ და „ნაციზმი“ არ არის იდენტური ცნებები, ნაციონალიზმი ეს არის ზრუნვა მშობელი ერის განვითარებასა და თვითმყოფადობაზე, იგი არ ეწინააღმდეგება სხვა ხალხებისადმი პატივისცემას, მათთან თანამშრომლობასა და კეთილშობილურ ურთიერთობებს, ნაციზმი კი უკიდურესი ფორმაა, გაფეტიშება საკუთარი ერისა, სიძულვილი სხვა ერებისადმი, მიხსნაფება მათი ასიმილაციისა და განადგურებისადმი. ყოველივე ეს ახასიათებს დიდ ერებს, მცირე რიცხოვან ხალხთა ნაციონალიზმი კი არავის უქმნის საფრთხეს. იგი იცავს მხოლოდ საკუთარ არსებობასა და თვითმყოფადობას. დღეს ზოგიერთი დიდი ერის შოვინიზმი და ნაციზმი ინიღბება კოსმოპოლიტიზმითა და ინტერნაციონალიზმით, რომელთა თავს მოხვევასაც ცდილობენ ჩვენთვის (გამსახურდია 1992).

აქ, აგრეთვე, საინტერესოა, ნაციონალიზმის განმარტება, როგორც პოზიტიური მოვლენისა. საბჭოურ სიტყვახმარებაში ეს ტერმინი ყოველთვის უარყოფითი აზრით გამოიყენებოდა. ასევე ძალიან საინტერესოა იბერიულ-კავკასიური მოძრაობის იდეების დაკავშირება ქართული ნაციონალიზმის ფუნდამენტურ იდეალებთან.

იდენტობრივ ნარატივებში ძალიან მნიშვნელოვანია *მტხის/სხვის* იდენტიფიცირება. ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ნარატივში ეს *მტეხი/სხვა* არ არის რომელიმე ხალხი, არამედ ეთნიკური და ნაციონალური იდენტობის არმქონე „სუკი“, „ბოლშევიზმი“, „შოვინიზმი“, „გლობალიზმი“. რაც შეეხება ქართველებთან უშუალო კონტაქტში მცხოვრებ ხალხებს, ზოგი მათგანის ეთნოკრატობაში მხილების მიუხედავად, გამსახურდია, ავითარებდა კავკასიელი ხალხების საერთო წარმომავლობის იდეას. ეს ფაქტობრივად ლეონტი მროველიდან მომდინარე იდეაა, რაზე ზ. გამსახურდია თავადაც მიუთითებდა. ეს მას ქართველობის კავკასიური მისიის კონტექსტში განსახილველად ესაჭიროებოდა.

ზვიად გამსახურდიას ქართული იდენტობრივი ნარატივის მნიშვნელოვანი თემაა ქართველთა ეთნიკური წარმომავლობაც, ფესვების ძიება უძველეს დროში და ამით სხვათაგან გამორჩეულობის და სხვა ევროპულ ერებზე უპირატესობის შესახებ აზრის განმტკიცება. ზ. გამსახურდიას მიხედვით, თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია შედარებით გვიან მოსულ ბერძნებს უკავშირდება. თავდაპირველი ევროპელები იყვნენ პროტო-ქართველები. მაგრამ რატომ უნდა გამხდარიყო აუცილებელი ქართველთა რჩეულობის გამოსახატვად ამგვარი შეპირისპირება ევროპასთან?

საქმე ისაა, რომ ზ. გამსახურდია ჭვრეტდა პრობლემას: იმპერიისაგან თავდაღწეული ქართველობა აღმოჩნდებოდა განვითარებული დასავლური სამყაროს პირისპირ. ამ შეყრის მიზეზით აღმოცენებული კულტურული შოკის გასანეიტრალებლად იყო სწორედ საჭირო დასავლეთთან მიმართებით ქართველთა უპირატესობის მტკიცება. იგივეს ვხდებით ილიასთანაც (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 518-521). ზვიად გამსახურდიას ნარატივი ქართველებს განუმარტავდა, რომ ისინი ყოველთვის არ ჩამორჩებოდნენ ევროპელებს. პირიქით, სწორედ მათი წინაპრები (პროტო-ქართველები), სრულად განსხვავებული (მისტერიების) კულტურის შემქმნელი, არიან უძველესი ევროპელები, რომელთაც გვიანდელმა ბერძნულმა რაციონალურმა კულტურამ სძლია. ბერძნული ხედვა არ იყო უარყოფითად შეფასებული, მაგრამ აზრი ისე გახლდათ მიწოდებული, რომ ქართველობას უნდა ეფიქრა: ოდესმე კაცობრიობა დაუბრუნდება საწყისებს ანუ მისტერიების კულტურას ანუ ქართულ კულტურას. ამ საკითხში ზვიად გამსახურდიას ეროვნული ნარატივი „ქებაი ქართულისა ენისაის“ ოპტიმისტურ პროფეტიზმს სრულად იზიარებს. აღნიშნული ხედვა აგრეთვე ემთხვევა ილიასეულ რწმენას საქართველოს ცუდი ანმყოს მიუხედავად უკეთესი მომავლის შესახებ. ევროპასთან უპირატესობის აზრის კულტივირების კონტექსტში არ შეიძლება არ გაგვახსენდეს საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ცნობილი ფრაზა იმის შესახებ, რომ ქართველები უძველესი ევროპელები არიან.<sup>7</sup> ეს განაცხადი, რომელმაც ევროპელი პოლიტიკოსების გაკვირვება გამოიწვია (კირჩანოვი 2010: 166), აშკარად ინსპირირებული გახლდათ ზ. გამსახურდიასეული ეროვნული ნარატივით.

დასავლეთთან მიმართებით უპირატესობის და ქართველთა უნიკალურობის თემებს მჭიდროდ უკავშირდება ქართველთა მსოფლიო კულტურული მისიის გააზრებაც. როგორც უკვე ითქვა, გამსახურდიამ ქართველთა გლობალური საღვთო მისია გამოკვეთა. ამით ქართული იდენტობა შეჭავჭვნა საკრალურობით. მაგრამ ეროვნული მისიონიზმის ამგვარი კონცეპტუალიზება წინამოდერნის ეპოქის ქართული ნარატივების იდეა იყო. ზვიად გამსახურდიამ ქართული მისიონიზმის ამ ძველისძველ იდეას შესძინა თანამედროვე შტრიხი: ქართული კულტურის დანიშნულებად დასავლურისა და აღმოსავლურის სინთეზი დაასახელა და ამ თვალსაზრისის ილუსტრირებისათვის განიხილა არაერთი კულტურული არტეფაქტი. დასავლეთ/აღმოსავლეთის დიქოტომიის კონტექსტში ქართველთა იდენტიფიკაცია მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მანძილზე იყო



ქართული კულტურული ელიტის ინტენსიური დისკუსიის საგანი. ამ დისკუსიაში აქტიურად იყო ჩართული ზვიად გამსახურდიას მამა – ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. ზვიად გამსახურდიამ ეს დისკუსიის გამოიყენა ქართველი ერის მსოფლიო კულტურული მისიის განსაზღვრისათვის და შეეცადა ქართველად ყოფნისათვის, ქართულად ეროვნობისათვის<sup>8</sup> თანამედროვე მეცნიერების კონტექსტში გამოენახა არსებობის საზრისი.

### პოსტსკრიპტები

ზოგი კომენტატორი ზ. გამსახურდიას „რომანტიკოსს“ უწოდებდა, ჩანს, ქართველების განსაკუთრებული მისიის შესახებ ზემოთ დაფიქსირებული აზრების გამოც. „რომანტიკოსი“ თავისთავად არაა უარყოფითი ატრიბუტი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მას სწორედ ამგვარი კონოტაცია ჰქონდა, რადგან ამით აშკარად იმის თქმა სურდათ, რომ ზვიად გამსახურდია მხოლოდ ქარიზმატული ლიდერი იყო და მას აკლდა პოლიტიკოსისათვის აუცილებელი პრაგმატიზმი და რაციონალიზმი.

ეს აზრი მცდარია. ზვიად გამსახურდია იყო რეალისტი პოლიტიკოსი. ამას აჩვენებს მისი ძალიან მკაცრად შეფასების პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევა. საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ყველაზე ღირსშესანიშნავი ფაქტის მოკლე წინასტორია წარმოგვიდგება როგორც პრაქტიკულად უშეცდომო პოლიტიკური ნაბიჯების ერთობლიობა. ფაქტების უბრალო ჩამონათვალიც კი აშკარას ხდის, რომ გამსახურდია რეალისტი პოლიტიკოსი იყო. თუმც, უნდა ითქვას, რომ სიტყვა „რომანტიკოსს“ მასთან მიმართებით მაინც აქვს რელევანტურობა: „რომანტიკოსი პოლიტიკოსი“ იყო ის სახე, რომელიც გამსახურდიამ მოიხმო. ამგვარი ქმედების მოტივაცია, ოღონდაც, სრულიად პრაგმატული გახლდათ: მისი აუდიტორია ანუ ქართველი ერი უნდა გამსჭვალულიყო იდეალისტური ოპტიმიზმით და გამბედაობით. საქმე ისაა, რომ საზოგადოდ არდასაგმობი სიფრთხილე საბჭოთა იმპერიასთან ქართველობის უთანასწორო ბრძოლას ნაკლებად წაადგებოდა.

თვალსაზრისების სათანადო ჩამოყალიბება ძალიან არსებითია იდენტობრივი ნარატივებისათვის. მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ნარატივის ავტორის პიროვნება: ნარატივის წარმატებისათვის აუცილებელია მისი ქარიზმატულობა. და ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ იმგვარად დიდი ქარიზმის მქონე პოლიტიკური მოღვაწე, როგორც იყო ზვიად გამსახურდია, არ ჰყოლია საქართველოს. სწორედ ამიტომ მის ნარატივს ჰქონდა დიდი სოციალური იმპულსი. ამ იმპულსის ძალა ახსოვს ყველას, ვისაც ცოცხალი ზვიად გამსახურდია უნახავს. ერთ-ერთი მათგანი მეც ვარ. ამიტომ ამ გამოკვლევას დავამთავრებ ჩემი ორი მოგონებით. ორივე მოგონება ლექსს უკავშირდება და ამ ლექსებსაც მოვიყვან, როგორც ავტენტურ წყაროებს: მათში ხომ თვითმხილველის მიერ აღქმული ზვიად გამსახურდიას სახე და მასთან დაკავშირებული პერიოდის საქართველოს რეალობა დაფიქსირდა.

პირველი მათგანი უსათაუროა. აქვს მხოლოდ მიძღვნა „ზვიად გამსახურდიას“. ლექსი თარიღდება 1974 წლის 6 დეკემბრით, მაგრამ ეს ნაწარმოების საბოლოო ვარიანტის დამუშავების დროა. თავდაპირველი ტექსტი ამავე წლის გაზაფხულზე დაიწერა. სტუდენტი ვიყავი მეგობრებთან ერთად ვიმყოფებოდი მთაწმინდის წმინდა მამადავითის (წმიდა დავით გარეჯელის) სახელობის ეკლესიაში. ადრე გაზაფხული იდგა, ხეები ყვავილობდნენ. და ჩემს პოეტურ წარმოსახვას ეკლესიის იდუმალეობასთან ერთად ესეც ამძაფრებდა. ამ ვითარებაში დავინახე ზვიად გამსახურდია. ის სანთელს ანთებდა მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი მანერით და განსაკუთრებული მოხდენილობით. შინდისფერი გრძელი ლაბადა (ე.წ. „პლაშჩი“) ეცვა, რომლის შიგნიდან ცისფერი პერანგის საყულო მოუჩანდა. მეგობრებისთვის არაფერი მითქვამს. მაგრამ ამ კადრმა შემძრა თავისი ესთეტიკურობით და იდუმალეობით. სახლში დაბრუნებულმა ლექსი დავწერე. წინასწარ ვიტყვი, რომ ამ ლექსის შინაარსის გაცნობის შემდეგ, ერთი ადგილი, კერძოდ ის, სადაც მე ზვიადს მოსეს ვუწოდებ, გაგაკვირვებთ ნაწარმოების თარიღთან მიმართებით. მეც მიკვირს ახლა, რადგან ამ დროს ზვიად გამსახურდია ქართველთა ეროვნული ლიდერი არ იყო, მეტიც, მაშინ მის ამგვარ როლს ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. ის უბრალოდ ძალიან გამორჩეული გარეგნობის და ბუნების ადამიანი იყო და ამიტომ მოექცა ჩემი (იმხანად ცხრამეტი წლის რომანტიკულად განწყობილი სტუდენტის) მხედველობის არეში. რამ მიბიძგა „მოსე“ მეწოდებინა მისთვის, ნამდვილად არ მახსოვს. ათეისტური განათლების „წყალობით“ მე ხომ თავად მოსეს ბიოგრაფიაც არ ვიცოდი მაშინ ხეირიანად. მოგვიანებით, მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ერთხელ, როცა ტელევიზიით უზენაესი საბჭოს სხდომის ტრანსლაციას თვალს ვადევნებდი, ერთ-ერთმა დეპუტატმა ზვიადს „მოსე“ უწოდა. მაშინ გამახსენდა ჩემი ლექსი და ძალიან გამიკვირდა. მე არ დავსწრებივარ 2007 წლის გაზაფხულზე ზვიად გამსახურდიას მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვას. როგორც პრესიდან შევიტყვე, ვიდრე მიწას მიაბარებდნენ სწორედ მამადავითის ეკლესიაში დაასვენეს მისი ნეშტი. ანუ იმის თქმა მინდა, რომ 33 წლის შემდეგ ზვიად გამსახურდია კვლავ აღმოჩნდა იმ საკრალურ ლოკუსში, რომელმაც მე ის დამანახა როგორც მოსე:

მახსოვს ფერმკრთალი თქვენი პროფილი,  
თეთრი თითები, თაფლის სანთელი  
და დანისლული დიდი თვალების  
მოიისფერო მიმქრალი შუქი...  
თითქოს ბრწყინავდნენ ძველი ხატები  
გაურკვეველი ლურჯი სიჩუმით.  
მრავალი ენთო სანთელი ირგვლივ,  
ტადარში ხეთა დაჰქროდა ღინღლი.  
თქვენ შინდისფერი გეცვათ სამოსი  
და რალაც გქონდათ, მგონი, ცისფერიც,  
ხან ჩანდით როგორც ღვთიური მოსე,  
ხან.... ლიუციფერი...  
უცხოდ ბრწყინავდნენ ძველი ხატები,  
გაფითრებული სანთელთ ანთებდით  
და ივსებოდა თეთრი ტადარი  
ლანდებითა და სუნით მითების...  
და ძველ შანდლებში სანთელთ მაგიერ  
ინვოდნენ თქვენი გრძელი თითები.

მეორე ლექსი თარიღდება 1993 წლის 15 მარტით. ანუ ეს ის პერიოდია, როცა ზვიად გამსახურდია დევნილობაშია და როცა საქართველო სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სისხლისაგან იცლება. მე ამ პროცესების უმწეო დამკვირვებელი ვარ და, მიუხედავად ყველაფრისა, ვაგრძელებ სამეცნიერო მუშაობას. კარგად მახსოვს ის დღე ანუ 15 მარტი, როცა პარლამენტის ბიბლიოთეკიდან სახლში ფეხით ვბრუნდებოდი და როცა საშინელი გულისტკივილით დავაფიქსირე, რომ ჩემი საყვარელი ოქროსფრად გაბრწყინებული რუსთაველის გამზირი ნაცრისფერი, „ჩამქრალი“ იყო, ხოლო სახლები თვალდათხრილებივით მომჩერებოდნენ ჩამსხვრეულმინებიანი ფანჯრებიდან. გაუსაძლისმა სევდამ შემიპყრო. სახლში რომ დავბრუნდი, ტელევიზორი ჩავრთე და დიქტორის ტექსტმა, რომელმაც ია-იები დედის ცრემლს შეადარა,<sup>9</sup> ეს განწყობა უფრო გამძლიერა. ამან დამაწერინა ლექსი „ჩემი ქალაქი“, რომელიც ჩემს პოეტურ უბის წიგნაკში უკანასკნელია:

ძალიან ნელა მოდიოდა გაზაფხული.  
ზმორებით, უხალისოდ შლიდნენ კვირტს  
ხანძარს გადარჩენილი ხეები.  
ჩემი ქალაქი აღარ ელვარებდა,  
ის თვალედათხრილი იყო  
და როგორც ზამთრისპირს – ნაცრისფერი.  
უადგილოდ ისმოდა ჩიტების ფლირტი  
და პირველი სიყვარულის ნიშანს –  
ია-იებს – დედის ცრემლს ადარებდნენ...  
ქართლს უფლებდა ბოროტი სპარსი,  
ცეცხლს აგიზგიზებდა სატიალეს,  
ცრემლიანი სტრიქონებით ივსებოდა  
„ქართველთ ცხოვრების“ მათიანე.  
ჟამთააღმწერელს უნდოდა შველა  
ახალ წმიდათა აღენუსხა სახელები,  
ქართულ სულს შანთავდნენ გახელებით  
და გაზაფხული შემოდიოდა.. ოო, რა ნელა!  
ჩემი ქალაქი თვალედათხრილი იყო,  
ლურჯთვალა იებს კი დედის ცრემლს ადარებდნენ.

წინამდებარე გამოკვლევა ჩემი სამეცნიერო პრაქტიკისათვის უჩვეულოა იმ აზრით, რომ პირველად ვწერ ისტორიულ პიროვნებაზე, რომლის თვითმხილველიც ვარ. და იმითაც, რომ წყაროებად მომყავს საკუთარი ლექსები.

## შენიშვნები

- <sup>1</sup> სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული, სავსებით მართებული, ფორმულირებით ადამიანთა იდენტობებს აქვთ ნარატიული სტრუქტურა (ედერი 2009: 427-447).
- <sup>2</sup> ამგვარი ნარატივების რაობასთან დაკავშირებით არაერთ დისკურსს ვხდებით სპეციალურ ლიტერატურაში. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ე.დ. სმიტის დისკურსი, რომელიც წარმოდგენილია მის ერთ-ერთ კლასიკურ ნაშრომში (სმიტი 1991: 171-208).
- <sup>3</sup> ე.დ. სმიტის ნაციონალიზმის უმთავრესი დოქტრინა და ამ იდეოლოგიის ფუნდამენტური იდეალები გადმოცემული აქვს არაერთ ნაშრომში. ამჯერად საკითხის არსში წვდომისათვის მკითხველს დავუსახელებ ჩემ მიერ ქართულად თარგმნილ შედარებით მცირე მოცულობის წიგნს (სმიტი 2004: 49-65).
- <sup>4</sup> კოლექტიური კულტურული იდენტობების საკრალური საფუძვლების შესახებ იხ. (სმიტი 2003).
- <sup>5</sup> ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა იტალიის გამაერთიანებელის ჯუზეპე მაძინის შეხედულება ერზე და მისი იდეები ნაციის რელიგიის შესახებ (სავინო 2018: 95-97).
- <sup>6</sup> იხ. ზ. გამსახურდიას პასუხი ამ საკითხზე: „არის ძირითადად ორი აზრი საქართველოში შექმნილ ვითარებაზე: ერთი პოზიცია აქცენტს აკეთებს ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე (რაც მისასალმებელია!) და მოითხოვს ყველა ეროვნული ძალების კონსოლიდაციას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ქვეშ, მეორე პოზიცია აქცენტს აკეთებს ადამიანის უფლებათა კერძო გამოვლინებებზე და მათ დაცვაზე, რაც აგრეთვე სწორია! იყო გარკვეული დაპირისპირებებიც ამ პოზიციებს შორის. მე მსურს შემოგთავაზოთ გამაერთიანებელი პოზიცია. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობისთვის, რადგან საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა არის მიზეზი და წყარო ყველა იმ უბედურებათა, რაც დაატყდა ქართველ ხალხს ამ 70 წლის მანძილზე“ (ბლოგი 1991).
- <sup>7</sup> ეს აზრი მ. სააკაშვილმა სხვადასხვა ფორმით რამდენჯერმე გაიმეორა (გვახარია 2004; სააკაშვილი 2007).
- <sup>8</sup> „ეროვნობა“ ერად ფუნქციონირების აზრით ილიასეული ტერმინია და ვიყენებ, რადგან ძალიან მომწონს.
- <sup>9</sup> ეს შედარება, ვფიქრობ, უკავშირდება გიორგი ლეონიძის ერთ მოგონებას: „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო – ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში. ჩემი სოფლის ტყისპირებში, ყოველ გაზაფხულზედ ია ბლუჯეულად ამოდოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში. ძალზე მიკვირდა და თან სათუთად ვკრეფდი იებს, მე ხომ თვითული ია დედის ცრემლი მეგონა! – უჰ რამდენი უტირნია დედაჩემს!“

## დამონშებანი

- ბლოგი 1991:** ბლოგი „თავისუფლების გაკვეთილები. მომავლისაკენ წარსულის გააზრებით“. <https://lessonsgeo.wordpress.com/1991/09/01/ინტელიგენცია-პირადი-მიზ/>
- გამსახურდია 1990:** ზ. გამსახურდია. სიტყვა წარმოთქმული 1990 წლის 26 მაისს. <https://burusi.wordpress.com/2009/05/26/zviad-gamsakhurdia-11/>
- გამსახურდია 1991ა:** ზ. გამსახურდია. „მკვახე შეძახილის“ ექო (ღია წერილი აკაკი ბაქრაძისადმი). მისივე წიგნში: წერილები, ესსეები, თბილისი, ხელოვნება.
- გამსახურდია 1991ბ:** ზვიად გამსახურდიას მიმართვა 1991 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლის წინ მიტინგზე დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, მათიანე, 2017, № 1-2 (19-20).
- გამსახურდია 1991გ:** ზ. გამსახურდია. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. მისივე წიგნში: წერილები, ესსეები, თბილისი, „ჯვარი ვაზისა“. პირველად ეს გამოკვლევა გამოქვეყნდა საჟურნალო სტატიის სახით 1987 წელს. იხ. მნათობი № 3.
- გამსახურდია 1991დ:** ზ. გამსახურდია. საქართველოს სულიერი მისსია, მისივე წიგნში: წერილები, ესსეები, თბილისი, „ჯვარი ვაზისა“.
- გამსახურდია 1992:** ზ. გამსახურდია. მიმართვა იბერიულ-კავკასიური მოძრაობისადმი, აღდგომა, 1992, № 26, 15 ნომბერი. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about--00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.11&d=HASH011e8d88670e44d37d64da7d>
- გვახარია 2004:** გ. გვახარია. რას ნიშნავს იყო „უძველესი ევროპელი?“ რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1533205.html>
- ედერი 2009:** K. Eder. A Theory of Collective Identity. Making Sense of the Debate on a 'European Identity'. *European Journal of Social Theory*, № 12.
- კირჩანოვი 2010:** Kirchanov M 'Europe' and 'the West' in Georgia's Political Imagination and Nationalist Discourse. *Central Asia and the Caucasus*, 11(2).
- საკაშვილი 2007:** მ. სააკაშვილი. წლიური შემაჯამებელი მოხსენება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე. [https://www.president.gov.ge/getattachment/საქართველო/საქართველოს-პრეზიდენტი/საქართველოს-პრეზიდენტი-მიხეილ-საკაშვილი-\(2004-201/მიხეილ-საკაშვილი/2007-წელი.pdf.aspx](https://www.president.gov.ge/getattachment/საქართველო/საქართველოს-პრეზიდენტი/საქართველოს-პრეზიდენტი-მიხეილ-საკაშვილი-(2004-201/მიხეილ-საკაშვილი/2007-წელი.pdf.aspx)
- სავინო 2018:** G. Savino. Europeanism or Nationalism? On Nation-Building in Europe and Ukraine. *Russia in Global Affairs*, vol. 16 • n o. 2 • April – June.
- სმიტი 1991:** A.D. Smith. *The Ethnic Origins of Nations*. Wiley-Blackwell: Reprint Edition.
- სმიტი 2003:** A.D. Smith. *Chosen Peoples: Sacred Sources of National Identity*, 2003.



- სმითი 2004:** ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია.თარგმანი ინგლისურდან მარიამ ჩხარტიშვილისა. თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.
- ქადაგიშვილი, ჩხარტიშვილი 2014:** S. Kadagishvili, M. Chkhartishvili. Georgian Self-Determination in the Eighteenth Century (Saints and Collective Memory). *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century: Volume I*. Edited by Antonello Biagini and Giovanna Motta, Cambridge Scholars Publishing.
- ჩხარტიშვილი 2006:** მ. ჩხარტიშვილი. წმიდა მამა გიორგი მთაწმინდელი და ქართული იდენტობის სამანები XI საუკუნეში, ქართული წყაროთმცოდნეობა, XI, თბილისი, მემატიანე.
- ჩხარტიშვილი 2009ა:** მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი.
- ჩხარტიშვილი 2009ბ:** მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობა: როგორ იწრთობოდა იგი. ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია, კავკასიოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩხარტიშვილი, მანია 2011:** მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბექდურ მედიაში. „ივერია“ და მისი მკითხველი საქართველო, თბილისი, უნივერსალი.
- ჩხარტიშვილი 2011:** მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი. ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი „შრომები“, 1.
- ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012:** მ. ჩხარტიშვილი. ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე.რენანის „რა არის ერი“? ქართული წყაროთმცოდნეობა, № 13-14, თბილისი, უნივერსალი.
- ჩხარტიშვილი 2016:** M. Chkhartishvili. Saint George of Mtsaminda and the Forging of Georgian Identity in the 11<sup>th</sup> Century, *Histoire, mémoire et dévotion. Regards croisés sur la construction des identités dans le monde orthodoxe aux époques byzantine et post-byzantine*. Editor R.G. Păun.

## GEORGIAN IDENTITY NARRATIVE BY ZVIAD GAMSAKHURDIA. REPRESENTATION AND COMMENTARIES

Mariam Chkhartishvili

In Georgian identity narrative of the Soviet period national and imperial were mixed. The blurring boundaries of Soviet Georgian identity will not be astonishing if one would take into consideration the fact of its creation in the circle of high echelon Georgian intelligentsia constituting part of Soviet nomenclature.

Hence the dissident leaders of the movement for Georgia's emancipation from Soviet burdens in the last decades of the 20<sup>th</sup> century were faced by problem of making new national identity narrative. This was very difficult task, far more difficult than to rupture political or economical ties firmly attaching Georgia to the metropolis.

National identity narratives are specific type of socially resonate discourses which provide responses to the most fundamental questions: "Who were we? "Who are we?", "Who will be we in future"? As far as identity is nothing but narrative, cultural elite of the given national community is responsible to provide adequate answers to these questions and create relevant narrative. In this regard the eve of breakup of Soviet Union was unfavorable for Georgians: older generation of Georgian intellectuals was actually eliminated by Bolsheviks; as for new elite, it represented was not national at all. These intellectuals (intelligentsia) fairly comfortably collaborated with Soviet authorities and supported main tendencies of Soviet propaganda.

Decadent leader Zviad Gamsakhurdia who later became Georgia's first democratically elected President created identity narrative for Georgians struggling for independence. Gamsakhurdia was son of the eminent Georgian writer Constantine Gamsakhurdia. He himself was poet, scholar, and translator. He graduated from the faculty of West European languages at Tbilisi State University. Georgian was his native language, however, he was fluent in Russian, English, well competent in French and German as well. In short, Zviad Gamsakhurdia had profound knowledge in all main fields of humanities and the national identity narrative he proposed in many cases had ambition of academic (though it was put down in a very simple way) investigation. This feature endowed this nationalistic discourse with relevant credibility. If one would add to this Gamsakhurdia's personal features (attractiveness and charisma), it is easy to imagine the impact of this narrative on masses.

In the scientific literature devoted to Gamsakhurdia are prevailing event-centered representations and the ideas, imagery characterizing Georgian community of this epoch is not studied with due depth. Meanwhile the national identity narrative proposed by Gamsakhurdia is most important source for understanding Georgia of this period. Before declaring Georgia's political independence Gamsakhurdia infected his compatriots with clear vision of national self-relevant to this very stage of Georgian identity development.

The paper aims to provide close analysis of nationalistic discourse proposed by Gamsakhurdia.

The author uses as the sources Gamsakhurdia's scholarly papers and public speeches. The works by A. D. Smith on nations and nationalism serve as theoretical basis of the investigation.

# CONCEPTUALIZATION OF 'WEST' IN GEORGIAN IDENTITY NARRATIVE

Mariam Chkhartishvili

## Introduction

The representation of human history as a collision between 'West' and 'East', 'Europe' and 'Asia' has deep roots. *The Greco-Persian Wars* by Herodotus and *The Clash of Civilizations?* by Samuel Huntington are good illustrations to this tradition's continuity from antiquity till modern times.

This binary opposition uses geographical terms; however, they do not refer to locations, but rather sets of principles. Geography is symbolic. It mirrors reality, albeit very specifically. But what kind of reality does it mirror? Of course, these are processes of identity formation.<sup>1</sup>

These processes, especially in case of national identities, are supported by multi-layered narratives,<sup>2</sup> i.e. texts with a particular social function to mobilize in-groups. They encompass many different topics and give answers to questions of existential importance: "Who were we?" "Who are we?" "What is our future"? In the context just of these questions it becomes important to conceptualize 'others' and, first of all, those who are providing a model for future developments. It is also why it is significant, when studying national identity narratives, that we explore how the dichotomy 'West/ Europe' versus 'East/ Asia' is represented in them.

There are many images<sup>3</sup> of Europe/the West created within the centre of European space, beyond Europe and also in its peripheries and margins. My concern is to answer questions about latter: how is Europe/the West seen from what can be considered as its margins? Do the latter think they are also Europe/the West? Do they want to be like Europe/the West? I intend to do this through the study of the Georgian case, as Georgia, being located in the intersection of Europe and Asia (at least as geographical entities, and having itself produced an identity discourse interpreting 'Europe' and 'Asia' as cultural entities), might be considered as Europe's margin or "far Europe"<sup>4</sup>

There is a huge scholarly, put also political, literature that employs the symbolic appeal of this genuine commonplace, or *topos*, of symbolic geography – the perceived state of one's location 'between' 'East' and 'West'/ 'Europe' and 'Asia', – as a recent overview shows (Maxwell 2011: 1-31). I hope that my own inquiry would help to trace the elaboration of its Georgian version.

Two points justify my intention: expected outcomes will allow reaching deep insights into Georgian identity and, through this experience, the identity-making process in general. Secondly, the Georgian image of Europe/the West has not been studied yet with due depth: in international projects devoted specifically to perceptions of the margins, and diverse in their geographical coverage, such as the collections of papers edited by Wintle (2008) and Peteri (2010), the Georgian case is missing. Researches focused on the Georgian case proper, although available in great number,<sup>5</sup> all leave out one or another important fact, as the problem that they try to tackle is very complicated, and it is impossible to encompass all data within one work.

These are the reasons that motivated me to retell the story which has already been told by many scholars. My representation too will not be free from shortcomings. I do not consider the present paper as a study which could or should replace the previous inquiries on this subject; my only intention is to supplement the available academic discourse with some new evidences, newly established facts and alternative interpretations.

This investigation covers a time span from antiquity till very recent times. In Georgia, as elsewhere, the discourse on Europe/the West intensified especially with the coming of modernity and the process of nation-building that was linked with it (in the context of national consolidation, the conceptualization of Europe/the West assumes its greatest importance). Nonetheless, stories about the 'West' and the 'East' were always present in the Georgian identity narrative, including since very ancient times. That is why I am paying much attention to the representation of pre-modern developments too.

The sources used for this investigation vary from medieval chronicles and hagiographical monuments to the speeches of modern politicians and literary fictions. The pieces of scholarly literature from the fields of history, literary studies, philosophy or political sciences that I use reflect not only the results of scientific inquires, but also the imaginations of their authors; sometimes they will be referred to as primary sources.

In pre-modern Georgia, 'Frangi' i.e. 'Frenchmen' was used to designate 'European'; the same term was used to designate a person professing the Catholic faith.

In the modern Georgian environment, it is customary to use 'Europe' and 'the West' almost as if they were synonyms

(Nodia 1997). The present paper has been written within this tradition, although I am well aware that it is not the case in all cultural environments; for example, in the Russian one (Moulioukova 2011: 4), there is no coincidence between them.

### Outlining the History of Georgian Identity<sup>6</sup>

A Georgian ethnic community emerged many centuries before the commencement of the Christian era. Originally, it was represented by the Kingdom of Colchis and later on – from the fourth century BC – by the Kingdom of Kartli. These states stretched across both sides of the Likhi Range, but had different political centers: the capital city of the Colchian Kingdom was in the western part of Georgia; the capital city of the Kingdom of Kartli was in eastern Georgia. The political remapping of the Georgian realm was a permanent process; but the ethnic self-identification of the entire Georgian realm did not stop. The process of ethnic-forging intensified in late antiquity (Chkhartishvili 2009a) as a result of the adoption of Christianity by Kartli in the first quarter of the 4<sup>th</sup> century AD.

Christianized Georgia, gradually emancipated from Persian cultural influence, became part of the ‘Byzantine Commonwealth’.<sup>7</sup> The Byzantine realm was favorable for Georgians. It did not prevent Georgian identity development and was amenable to cultural exchanges. The united Georgian Kingdom was formed in the 10<sup>th</sup> – 12<sup>th</sup> centuries. It encompassed not only lands populated by ethnic Georgians, but also by other peoples. The united Georgian Kingdom was a strong feudal state with pan-Caucasian political ambitions and a developed culture. During this period, the Georgian community had reached the stage of pre-modern nation (Chkhartishvili 2011; Chkhartishvili 2016a).<sup>8</sup> Georgian inter-group bonds had become so strong that the political disintegrations of the next centuries were not able to rupture them.

The process of modernization was delayed in Georgia. The seventeenth century should be considered as a period of pre-modernity. From the eighteenth century, one is able to identify some signs of a new era’s commencement. The formation of a Georgian national identity began in the nineteenth century and culminated in the emergence of the first Democratic Republic of Georgia in 1918. At this point, Georgian identity assumed civic dimensions. After the collapse of this state in 1921 and Georgia’s integration into the Soviet Union, Georgian identity lost its civic characteristics, but the process of forging of ethno-cultural identity was continued. Since the Rose Revolution in 2003, Georgian identity is gradually regaining (and gaining) the nature of a civic nation.

### Perception of a ‘West’-‘East’ dichotomy in Pre-modern Georgia

During the long term of development from ethnic community to civic nation, the Georgian identity narrative has always contained a discourse on Georgian realms’ position within the West/East, Europe/Asia dichotomy. The question “Who are we: the West or the East, Europe or Asia?” was almost always linked with an ideology of Georgians’ electivity and sense of ethnic and national “specialness”.<sup>9</sup> Below I will sort out some evidence taken from sources that underlie the above conclusions.

Let us begin from ancient Colchis. According to the Greek sources, the kings of Colchis were descendants of the Sun God. The divinity of the Colchian kings implied the electivity of the community they ruled. Connection with the Sun meant a connection with a place of sun-rising or with the East. Thus, even in this evidence one can find indirect confirmation of the Georgian realm’s self-identification with East. However, we can point to direct evidence as well. An alternative designation of Colchis found in the medieval cronicle *Conversion of Georgia* can be considered as such. This is the composite term ‘Arian-Kartli’. The first word means ‘East’, the second is a (self) designation of Georgian polities in antique and medieval times. Thus, according to this composite, the ‘East’ represents the equivalent of the Georgian realm (Chkhartishvili 2015/2016). Ancient Georgians saw themselves as an eastern part of the oecumene in which the presence of westerners (Greeks) was also implied. However, ‘Arian-Kartli’ was not the ‘East’ proper. The “real” East in antiquity was represented by Persia.

With the coming of Christianity, the eastern identity of the Georgian state was challenged. In the fourth century,<sup>10</sup> for Georgian hagiographer pre-Christian Georgia was a northern country, because of a “lack of sunshine of true faith” (Abuladze 1963: 124). However, the situation soon changed. According to the ideology created shortly after the adoption of Christianity as an official religion, Georgians were chosen among all Christian peoples as they lived in the place where Lord’s Tunic was kept and where, during the Second Coming, the ‘New Jerusalem’ would be established (Chkhartishvili 2009b; Chkhartishvili 2009c).<sup>11</sup> Thus, this version of Georgian messianic ideology implied that after the Crucifixion, the sacral centre of the world would be moved (and evidently Georgians were sure that in fact it had been moved) from Jerusalem to Georgia. The myth of ethnic electivity was necessary for ensuring the special status of Georgians within the Christian oecumene.

The world centre was viewed as a place of West/East convergence. The first Christian king of Georgia Mirian



was a Persian prince and his spouse queen Nana, a Greek princess. Thus, the Georgian royal family represented the personification of two contesting realms, and Georgia was the place of their meeting.

Very interesting is the evidence on the campaign of the Byzantine Emperor Heraclius against the Persians in the 7th century. The Georgian capital city of Tbilisi represented the frontline between the two sides. A Persian garrison fortified itself in the Tbilisi fortress. This struggle was described in the chronicle of *Conversion of Georgia* (“Moktsevey Kartlisay”) and in the *Life of Georgia* (“Kartlis Tskhovreba”) as a clash between the West and the East. The West is represented by Byzantines, the East – by Persians:

People in the fortress of Kala did not submit; and the chief of the fortress abused the Greek Caesar, saying “You have a goat’s beard and a goat’s neck”. Then Caesar ordered: “That man calls me a goat; these words should have some basis. And he took the book of the prophet Daniel and found there the following lines: “And goat comes from the West and destroys the horns of the ram of the East”. And Caesar rejoiced convinced that would gain a victory over the Persians (Jones 2014: 109).

Thus, Georgia is seen as a place of the encounter of two realms.

In the following century, the elaboration of Georgians’ global mission becomes more insightful. The eight-century Georgian hagiographer Ioane Sabanidze conceptualized Georgia as an ‘edge’, ‘margin’; the hagiographer identified Georgians as in-group “dweller of the edge of this world” (Abuladze 1963: 49), i.e. at the end of Christian oecumene. It is very difficult now to represent how exactly the hagiographer saw the contours of it. However the political map of this period makes me suppose that Ioane Sabanidze meant actual political borderlines which coincided with ideological ones: Georgia<sup>12</sup> represented the easternmost part of the Christian realm led by the Byzantines; by its western edge, Georgia was attached to the Black Sea and Byzantine Empire, while from the North, South and East it was surrounded by non-Christian Khazars and Arabs. Thus, Georgia represented a liminal space. Evidently, for the hagiographer this was a divine sign manifesting Georgian electivity and global vocation. Hence, he tried to explain to his readers (listeners) the symbolic meaning of this position: the dwellers of this place were predestined for the special role of gate keepers; they should receive the first attacks from the side of non-Christians. That is why he perceived the Georgian community as “a mother of Saints”.

In the biography of the eleventh-century eminent Georgian clergymen St George of Mtatsminda,<sup>13</sup> Byzantium is referred as the ‘West’ while Georgia as the ‘East’ (Abuladze 1967: 173-4, 183). There again, a realm of Orthodox Christianity was implied which consisted of two parts: the western (Byzantium) and the eastern (Georgia).

However, a little later, when Georgian realm became politically and culturally self-sufficient, the East/West dichotomy lost its topicality for Georgians for a while: the eminent Georgian autocrats – King David the Builder (1089–1125) and Queen Tamar (1184–1210)<sup>14</sup> – were referred to as rulers of “All East and West”. The monarchs’ titles reflected the growing political ambitions of the Georgian state, which, in the period from David to Tamar, had assumed the characteristics of a pan-Caucasian empire.<sup>15</sup> Georgia was everywhere; hence the East/West dichotomy became irrelevant.

The collapse of the Byzantine Empire in 1453 posed a great challenge to Georgia. It was left alone against the non-Christian East/Asia, without political allies and a favorable cultural space. The situation was worsened by the problems in domestic life: from the fifteenth century onward, the political disintegration of Georgia grew apace. Georgians began looking for supporters and partners in the West, which now seemed distant from them. As a realm of Christianity, it was still perceived positively, however, now it does not need be necessarily Orthodox. Thus, the West became the ‘Other’; it was definitely associated with Catholic Europe, and Orthodox Georgia with Asia. Evidently, from this period we can trace the first signs of an evolution of the notions of ‘The East’ and ‘The West’ into notions of ‘Asia’ and ‘Europe’ respectively.<sup>16</sup>

Many documents created in the fifteenth-eighteenth century<sup>17</sup> during the process of intensive diplomatic interactions between the Georgian political elite on the one hand and western politicians and representatives of Roman Catholic Church on the other reflect Georgians’ understanding of their place within the West/East dichotomy and representation of symbolic geography. Two documents are especially meaningful. Both of them are preserved in Latin; however, they convey the views of the Georgian political elite.

The first of them is dated 1460. It describes the meeting of Georgian envoys with Pope Pius II. Georgians considered plans for joint future actions with the Pope; among other things, they said: “we know from your envoy Ludovico of Bologna that you intend to initiate a war against the Ottomans in Europe and want that, in parallel, our Dukes in Asia begin a war as well” (Tamarashvili 1902: 61, 597). Thus, it is obvious that the Georgian envoys associated the Pope with Europe, while their own suzerains – with Asia. From this document one is able to suppose that, as early as fifteenth century Georgians associated Europe also with definite political realm. At the same time, I think that they should have begun to ideate Europe as a culturally specific community: they had developed a deeper awareness of at least one cultural marker of west European identity, namely, Catholicism. By means of another document, we can support further this conclusion; I mean the letter of Georgian King Simon I<sup>18</sup> to the Pope, dated 1546.<sup>19</sup>

Let us consider this document in more detail. At the beginning, the King introduces himself as the King of Georgians

by will of God and underlines that he is a ruler of all Iveria and all East. 'Iveria' was one of the designations of Georgia.<sup>20</sup> Thus, the King equates Georgia with the East. As for the Pope, he is a "Sun of all West". However, the Pope is linked with all Christians, including Georgians: the King referred to the Pope as "father of ours". Thus, in this letter Georgians were again ascribed to the East; their global vocation (to defend Christianity) also remained the same; the King describes how his father king Luarsab struggled against the unbelievers and had been martyred. He assured the Pope that he will continue his father's way in safeguarding Christians and will not give up, despite the unprecedented hardship. King Simon called himself an Orthodox Christian; however, dogmatic discrepancies were completely ignored. The accent was placed on general Christian values and common tasks against non-Christians. The King asked the Pope to help the Georgians with his prayers (Tamarashvili 1902: 76-77).

Other Georgian kings, too, not only asked for support in their letters to Popes, but also emphasized their role in the struggles with Muslims,<sup>21</sup> who also were easterners. Thus, in new realities, the West and part of the East (represented by Christian Georgians) collaborated, while another part of the East (represented by non-Christians) contended with not only the West, but the other part of the East as well.

Despite their political weakness, Georgian petit kingdoms and principalities had great ambitions: they still saw themselves as guardians of the Christian oecumene and, as some facts have led me to conclude that they even claimed the role of mediator between western and eastern Christians. The famous erudite and ecclesiastic worker Sulkhan-Saba Orbeliani (1658-1726) was sent by King Vakhtang VI (1716-1724) to France and Italy at the beginning of the eighteenth century to obtain support, but this special mission, similar to all previous attempts, ended without any practical results. The only importance of this journey was intellectual. By this time, Georgians had finally conceptualized the West as a realm of advanced (modern) culture.<sup>22</sup> In his diaries, Sulkhan-Saba Orbeliani compares Georgia with the West and points out, though not pessimistically at all (Ladaria 2015: 82), the backwardness of his native country. He perceived the 'West' in a new way: for him Constantinople, which previously was viewed by Georgians as a representation of western culture, had lost its original charm against the background of the "real" ("deep") West.

In order to facilitate the reader's adequate comprehension of the Georgian perception of Roman Catholicism (for the present research this is important, as Catholics in the Georgian perception were equated with Europeans) in the fifteenth-eighteenth century, it seems reasonable to provide a little bit more information concerning Catholicism in the Georgian environment. Catholic missionaries began their activities in Georgia as early as the thirteenth century. In the centuries that followed, the Roman and Georgian ecclesiastic and civic authorities exchanged credentials and ambassadors. High nobility and lower social strata alike welcomed the representatives of various Catholic orders. As already mentioned, in the letters of Georgian kings to the Popes we often find narrations about Georgians' military activities against non-believers. Information of such kind had quite definite goals. Georgian policymakers longed to coordinate their efforts with the activities of western Christians in order to obtain moral and material assistance. As mentioned above, the period of Catholic missionaries' activities in Georgia coincided with a very difficult time in the life of the Georgian people. These were centuries of political fragmentation and cultural decay. The letters of the Georgian laity and clergy to Popes, as well as Catholic missionaries' reports, depicted vividly this sad reality. Georgians begged for physicians, ecclesiastical items and church painters to be sent, because they lacked all these necessities of life. This condition was a result of permanent Ottoman and Persian invasions. In such a situation, Catholicism was viewed by the Georgian political elite as a channel for receiving European cultural achievements and support for military activities. Georgians readily accepted the requirements of Catholicism concerning obedience to the Pope as the duty of all Christians. At the same time, Georgian policy makers put limitations on the spread of Catholicism. They did not want to be separated entirely from the Orthodox world, as they were afraid of the drastic changes in dogma and in liturgy. The correspondence between the Georgian King Teimuraz I and his contemporary Catholicos Zakaria with the Pope at the time is very much characteristic of this concern. The Pope Urban VIII asked them to listen attentively to the Catholic missionaries and to change their faith (Tamarashvili 1902: 90-91). Teimuraz and Zakaria replied to him with great respect, presenting vast information about the life of Georgians and their activities against the Muslims; however, they did not give a direct answer concerning the issue of changing the creed. Meanwhile, both of them repeated over and over again that Georgians were converted in the era of Constantine the Great and since this epoch had managed to keep their faith unchanged. It is obvious that Georgians did not consider the collaboration with the Roman Catholic Church as conversion of the entire country to Catholicism. The ambassador of Teimuraz I, Niciphor, met the leaders of European countries together with the representative of Constantinople. Nearly simultaneously with these contacts with the Catholic West, Teimuraz conducted negotiations with Russia. Nor are his actions exceptional among those of other Georgian political leaders. In the above mentioned letter, he informed the Pope with pride about the support he had offered to Catholic missionaries in the construction of Catholic church. In parallel he asked the Pope to send artisans for repairing of "their", i.e. Orthodox churches (Tamarashvili 1902: 107-8). Thus, the policy of Georgian kings concerning Catholicism was ambiguous.

However, there was no ambiguity regarding Europe/the West. One must take into account Russia as an alternative partner. Russia professed Orthodox Christianity; it claimed the status of the heir of the Byzantine legacy. This ambition had found its reflection in the doctrine of the 'Third Rome'.<sup>23</sup> Peter the Great tried to "cut a window" into Europe, while Catherine the Great learned to present herself as an enlightened autocrat (Greenfeld 1993: 199-204). If one is to add the military potential of Russia, it becomes easy to explain why, in the eyes of Georgian politicians, Russia was so attractive a partner and why they were hopeful that the northern neighbor would "serve" them as the 'West'.

According to the Treaty of Georgievsk, in 1783 Russia took responsibility for the protection of Georgia from external enemies. However, Russia could not act as a protector. From the 19<sup>th</sup> c. Russia was in the process of constructing a nation-state. Nation-states are not similar to empires. An empire tolerates diversity (Benoist 1993-1994) and, thus, it should not be surprising at all that Georgians were able to maintain and develop their identity within the Orthodox Byzantine Empire. The case of the nation-state is essentially different: diversities of all kind must be eliminated (Diala 2005; Suny 1997). Supposedly, the Russification of Orthodox Georgians appeared to the Russian authorities easier than that of Muslim subjects or non-Orthodox Armenians. However, the most unfavorable change for the development of Georgian identity was a shift in its symbolic geography: within the Romanov state, Georgia had lost the "privilege" of living at the "edge" of Christendom and, accordingly, its global mission as a frontier guard of the Christian<sup>24</sup> world. Georgia was deprived of its *raison d'être*.<sup>25</sup>

### In the Nineteenth Century

Very soon after concluding the Treaty of Georgievsk, the Georgians were disappointed by their northern neighbor, who, instead of providing protection, began to oppress<sup>26</sup> them. This disappointment found its reflection in popular rebellions against Russia in the first two decades of the 19<sup>th</sup> century and an aristocratic conspiracy in 1832. The rebellions, as well as conspiracy, failed. Georgian intellectuals switched their attention to cultural self-identification instead and began creating a national identity narrative. In this context, the elaboration of Georgia's attitude towards Europe and Europeanization assumed a special importance.

Europe was viewed as the homeland of advanced culture and also as a political partner. For example, the leaders of the conspiracy of 1832 hoped to receive assistance from European states against Russia (Shvelidze 2007).

From the first decades of the 19<sup>th</sup> century, the process of Georgia's factual modernization and Europeanization began. European culture was largely transmitted via Russia. This process resulted in changing the lifestyle of the Georgian nobility's upper stratum and rich merchants. The Russian Viceroy Vorontsov (1844-1853), who tried to foster the taste to European fashion and modern European art in Georgian elite, contributed greatly to this development. Vorontsov was successful in establishing a western lifestyle in the Georgian capital city: attending balls; Italian operas; wearing European fashionable costumes and relevant hairstyles; furnishing homes in a European manner: these had become necessary attributes for those in the Georgian upper classes who wanted to participate in the new *beau monde*.<sup>27</sup> Advertisements in newspapers (Baramia 2014) and photos of these years show how widely Georgian society was using, for example, European hygiene products or how passionately women of rich noble and bourgeois families were trying to follow European fashion. This transformation occurred in very short period of time (Jones 2005: 6).

Masterpieces of Western literature were rendered into Georgian directly from the originals or via their Russian translations. They were published in Georgian periodicals, for example, in 'Iveria' (Chkhartishvili, Mania 2011). The process of the Europeanization of Georgian culture was intensifying. The oeuvre of the eminent Georgian poet Grigol Orbeliani (1804-1883) was marked by the characteristics of European literature. Another great Georgian poet, Orbeliani's nephew Nikoloz Baratashvili (1817-1845) (the "Georgian Byron") was a genuine representative of Romanticism. These facts might be considered as proof of the widely opened doors to the mainstreams of European literature; however, as some scholars (Ratiani 2015: 96-97) assert, this process had commenced much earlier and David Guramishvili (1705-1792) was the first Georgian poet who had penned Georgian verse following the canon of Western poetry.

Newspapers published fresh information on the development of European politics. Those Georgians who were able to visit European countries shared their impressions with fellow countrymen via newspaper publications (Svanidze 2014).

The eminent Georgian writer and public figure, referred as the father of Georgian nation, Ilia Chavchavadze (1837-1907) looked at Europe with the utmost interest. He conceptualized the Georgian would-be-nation community according to the European definition of nation (provided by E. Renan) (Tchkhartishvili 2014). Chavchavadze recognized the technological achievements of Europe. At the same time, he was critical regarding many aspects of European life. For him, Europe was a model, but he was afraid that Georgians might lose their self-esteem in comparing themselves with so advanced civilization. This is why, in some instances, he attempted to show Georgian cultural superiority vis-à-vis Europe/the West.

In this regard Chavchavadze's discourse on Georgian winemaking is of certain interest. He devoted a series of



papers to this subject (Benashvili 2006: 113-6, 120, 121, 122, 123, 131, 132, 133, 134, 135, 139, 161, 162, 194, 195, 196, 197),<sup>28</sup> comparing the Georgian experience with the European one, and concluded that centuries-old Georgian traditions of wine-making ensured a better product than new European technologies: Georgian wine is natural and healthy, while market-driven European wine contains impurities. Chavchavadze viewed winemaking traditions as one of those values which make Georgian culture unique and irreplaceable (Chkhartishvili, Kadagishvili, Targamadze 2016: 28-9).

But wine was only one theme. Almost all topics of the Georgian national identity narrative were saturated by a comparison between the West/Europe and Georgia. Let's take dress. Traditional dress as an identity marker was especially well conceptualized in the nineteenth century. In this regard *Traveller's Notes: From Vladikavkaz to Tiflis* (1861) by Chavchavadze is one of texts I would like to refer to in particular. It is a brief first-person story with a very simple plot: a young man (the narrator himself) returns from Russia to Georgia after four years of absence. During his trip, he meets several people: a Russian coachman; a Russian officer; a French traveller; and a Georgian, Lelt Ghunia. The description of the interactions and conversations with them accompanied by the author's notes forms the kernel of the story. *Traveler's Notes* is inspired by the life story of the author. In actuality, Chavchavadze lived for four years in Russia, finishing his education as a student of the Faculty of Law at St. Petersburg University. Thus, the description of the trip contains many real facts. At the same time, it is clear that this is not a documentary, but a fictional representation; the characters that are depicted so vividly and eloquently might have actual prototypes, but at the same time they are symbolic images. They represent Georgia, Russia and Europe. Georgia is represented by two characters: one of them, the author himself who is a western educated Georgian, the new generation (the generation of sixties) of the Georgian cultural elite, the so-called *tergdaleuli* (i.e. who had drunk water from the Terek River, i.e. who visited Russia for education purposes<sup>29</sup>). Another one is a representative of the Georgian peasantry named Lelt Ghunia. The peasantry was conceptualized by Georgian nationalists (as well as by nationalists of many countries) as an expression of the authentic national self. The peasant from mountainous Georgia is a symbol of Georgian traditions, while the author himself symbolizes the spirit of the new (educated) Georgia. Russia is also represented by two persons: these are an ignorant, indifferent coachman and a petty tyrant army officer of the Russian garrison stationed in the Caucasus.<sup>30</sup> The coachman is an image of the Russian common people, while the officer is the representation of the Russian state. Europe/the West is represented by a French traveler. He speaks with irony about Russia and expresses his compassion towards the author because he has to "enjoy" the roads of the Russian state, an old coach and the driving of the ignorant Russian coachman. The representations of the narrator's conversations with the mentioned persons provide important evidence to a student of Georgian nationalism. In this regard, the most interesting is the conversation with Lelt Ghunia. This is actually a dialogue between two "I"-s of the Georgian self: Lelt Ghunia, i.e. the traditional (authentic) Georgian "I" asks the author, i.e. the renewed (Europeanized) Georgian "I", why he was not wearing Georgian dress if he was a Georgian. The author justifies his decision to wear European clothes (Lelt Ghunia calls them Russian) by referring to the fact that he speaks Georgian, so it is not difficult to identify his nationality. Lelt Ghunia does not agree. According to him, to speak Georgian is not enough for national identification, as many people, and not only Georgians, speak Georgian. He does not like a Georgian in Russian/European dress. Thus, according to him, dress is even more powerful a marker of national identity than language. The author does not agree with this point of view: for him, the dress or look in general is not decisive, what matters is the spirit (Chavchavadze 1985a: 23).

Through the image of dress a fundamental view of Georgian nationalism is expressed: Europeanization should not change traditions; not everything European/modern is acceptable (Chkhartishvili, Kadagishvili, Targamadze 2017).

If, by the end of eighteenth century Russia seemed to Georgians as the equivalent of the West/ Europe, by the nineteenth they saw great difference between them. Poet Alexander Orbeliani (1802-1869) admired Europe, considered it as a light of future, while Russia seemed to him worse than the Muslim countries of the East.<sup>31</sup>

Chavchavadze compared Asia and Europe. According to him, in the past Asia was considered as a cradle of civilization, but now it stays in the shadow of Europe. Europe is armed with science, modernized fine arts, craft, and advanced technologies. If in the past to belong to Asia was honorable, now to be Asian is only shameful, as this means backwardness. The backwardness of Asia seems to Chavchavadze quite logical: history and success go to those who are laborious, energetic and are fighting for the future. Asia sees the superiority of Europe and sees that Europe is far ahead now and that Europe is richer, happier, stronger, owner of many goods and because of this Asia has more or less opened its doors to Europe; now the "Sun of Europe" is able to reach Asia. Today this is even the choice of China, which, more than others, was against "Sunshine" from Europe. Japan acted even more courageously. Persia too had opened its doors to European civilization (Ingorokva 1957: 113, 114, 115).<sup>32</sup> When comparing Europe with Asia, there is an impression that Chavchavadze had completely forgotten about his fatherland. Was Georgia a European or an Asian country? If one takes into account the characteristics provided by Chavchavadze for Asia and the level of development of the Georgian community by that time, of course, it was easier for him to identify Georgia with Asia than with Europe. However, he avoided this topic, preferring silence. Evidently, Chavchavadze did not want Georgia to be identified with

Asia; at the same time, it was difficult for him to deny Georgia's strong links with Asia, at least in certain periods of the past. That is why, in his discourse about the Europe/Asia dichotomy, Georgia is permanently missing. For him, Georgia stood somehow aside, beyond any geographical dimensions. Very often the nationalistic discourses are characterized by "imperfections" and omissions of this kind: for them, inner coherence and the adequate representation of real facts are not necessary; after all, their targets are humans' hearts and not minds.

### The Twentieth Century and Recent Decades

The identification of the position of Georgia in the 'Europe/West – Asia/East' dichotomy assumed special topicality during WWI in addition to the pre- and post-war periods. Russia's involvement in the war as belligerent party fuelled Georgian nationalists' expectations for Russia's defeat. This drove Georgian nationalists to think about Georgia's post-Russian future.

The majority of Georgian politicians connected the future of Georgia with Europe; however, the perception of Europe itself became more nuanced. The preferences of the Georgian political elite were divided between the Entente and the Central Powers. The situation was rather confusing: part of them admired France, but disliked Russia, while others admired Germany, but were against relations with Turkey. The most cautious politicians still wanted to be aligned with Russia, and were afraid of being accused of secessionist activities before the time was ripe (Chkhartishvili, Kadagishvili, Targamadze 2015).

It was not only the political debates that were characterized by a diversity of opinions. This period was a time of essential cultural transformations. The main question to be answered was about the essence and future of Georgian culture: should Georgian culture be European or Asian? Georgian writers and artists, as well as other members of the cultural industries, expected that very soon their country would be free from the Russian yoke and, because of this, they were full of the desire to prepare for a smooth transition. The "Occident" was the motto (Bregadze 2014: 100) of many of them. These intellectuals considered Paris to be a sacral place and wanted "to connect Mallarme with Rustaveli" (Bregadze 2014: 97), i.e. to merge Georgian and European cultures. However, others believed that Georgians should not strive for Europeanization. The latter might kill Georgian spirituality. Vakhtang Kotetishvili (1893–1937) was sure that, as "Georgians have their twilight in Asia, in Asia too they should have their dawn" (Orjonikidze 1997: 202; translation is mine, – M.Ch.).<sup>33</sup>

However, both sides believed that Georgia was not Europe and that the main masterpiece of Georgian literature *The Knight in Panther's Skin* by Rustaveli was a representation of eastern culture. In 1917, Grigol Robakidze (1882–1962) also was sure that the roots of Georgian culture were in Asia and that Georgians should not leave the East because of Europe, but, at the same time, Robakidze claimed that Georgia was destined to accomplish a special mission: to "marry" the two main trends of world culture:

After all Georgia is a fragment of the East. We should not forget our cradle. Precious is Western Europe, but for the sake of Europe we cannot abandon the East. It would be better if we marry them and celebrate the wedding as a traditional Georgian feast. It seems that Georgia was born just for this. Look at Rustaveli carefully: after all, was it not he who has synthesized the blurred thoughts of the East and the fountain-like ideas of the Italian Renaissance? (Orjonikidze 2012: 201; translation is mine, – M.Ch.).<sup>34</sup>

However, after the emerging of an independent Georgian nation-state, Robakidze became a convinced pro-European.

Nationalism is a historicist ideology (Smith 1999: 29-55). This means that, for nationalists, it is very important to re-discover the roots of their native community so as to create a "usable past". Because of this, nation-building processes are always accompanied with the intensive development of national historiographies. Indeed, the history of Georgian historiography from this period is rich of facts.

In this paper, I will limit myself to displaying the opinions of solely one Georgian historian: Mose Janashvili (1855-1934). Among the many other topics he dealt with was the issue of Georgia's attitude to Europe/the West. Janashvili asserted that, in general, Georgia had nothing against the West, but that it was in the East where it had its neighbors. Moreover, lovers of philosophy were in the East as well, whereas in the West there was the Inquisition. Though the West was able to break through after the Reformation, this was the success that ruined states and put an end to the freedom of the weak. "If frankly", wrote Janashvili, "I prefer the backward 'We' of the East to the egoistic 'I' of the West. There is something native, sweet, and pure in the East". The first civilizations had originated in the East; they had caused the rise of Western ones. And the East will be glorified again with its reason, when all its sons, like the Georgians, will be able to understand how important it is to foster solidarity, humility and love. "The orientation towards the East is a true orientation" (Kintsurashvili 2006: 66-67; 71-73; translation is mine, – M.Ch.).<sup>35</sup>

Thus, the East/Asia attracted some Georgian intellectuals as would an old sweet home. Meanwhile, in not all environments was the attitude toward the East/Asia similar. Let us take the case of Russia. Some Russian intellectuals

conceptualized the Eastern/Asian identity of Russia in a very different way. In this regard, the poem “Scythians” (1918) by Alexander Blok is very thought-provoking. The poem was written in form of a warning made by Russians to Europe to be afraid of the Asiatic (barbarous) power of Russia: “Yes, we are Scythians! Yes, Asians we are / With squint and lusty eyes”; “To welcome pretty Europe we shall spread / And scatter in the thickets of our forests! / And then we’ll turn to you / Our ugly Asiatic face!...”(as quoted in Greenfeld 1993: 272-3).

Three years later, Janashvili, like Robakidze, began treating Europe/the West entirely differently. This change is seen clearly in Janashvili’s paper dated by 1920. The paper was inspired by the visit of the leaders of the Second International to Georgia. It begins with the note that European countries had recognized Georgia’s contemporary closeness with Europe with regard to common ideals. Janashvili collected carefully all necessary historical facts so as to document the history of Georgia’s steadily developing interrelations with Europe. According to Janashvili, Georgia entered into the 1783 treaty with Russia only because there was no other choice.

After the end of the WWI, the most cautious of Georgian nationalists had come to power; those who were originally against secession from Russia, or at least this was their declared policy. These were the Georgian social democrats. As soon as they came to power in the independent Georgian state, they drastically changed their rhetoric. They began to speak about the different paths chosen by Russia and Georgia. The leader of the Georgian Social Democrats Noe Zhordania, in his speech dated 1920 (Shvelidze 2012: 221-4) stressed that Russia was going towards Asia and Georgia should interact with Europe directly, i.e. without Russia. Another leader of the Georgian Social Democrats, N. Ramishvili, also spoke about the widening gap between Georgia and Russia: Georgia had chosen the way to Europe (Koranashvili 2006: 24-23).<sup>36</sup>

However, the close acquaintance with Europe caused a drop in Georgians’ self-esteem and a subsequent nihilism. As an eloquent testimony to this, we might turn to a paper written in the form of a personal letter by the Georgian poet Nicolo Mitsishvili (1896–1937), *With thoughts on Georgia*, dated 1922 (Bregadze 2006).<sup>37</sup> It is evident from this paper that the author is depressed by comparing Georgian culture with European achievements, and he makes a very pessimistic prognosis about the Georgian future. This paper was discussed widely some years after its publication among Georgian writers. There were many different opinions, but a/the conceptualization of Georgia’s “special way” might be considered as mainstream. This type of thinking is common for countries where modernization has been delayed: admiration and understanding of one’s own backwardness was (and is) too painful; so nationalists create a Janus-like image of the following kind: Europe was a representation of all virtues and at the same time was seen as deeply corrupted.

In the Soviet era, the idea of the “own way”, which actually meant nothing but the “Soviet way”, was widely accepted by Georgian intellectuals. However, since the 1980s, a positive image of the West had gradually established itself. Georgian scholars began looking for Georgia’s European identity because of the similarities with European countries in terms of historical developments. Georgian Soviet historiography also provides many interesting facts: for example, some historians began to compare Georgian and West European feudalisms and argued for their intrinsic similarity, preparing the cultural ground for Georgia’s European identity.<sup>38</sup>

It is impossible to deal with all available variations of views about Georgia’s attitude to Europe/the West and the East/West dichotomy. I can only show the general trend. Again, feelings were ambivalent: a mix of admiration and criticism. An interesting example of this type of thinking are the views of the first president of Georgia Zviad Gamsakhurdia (1991-1992) – a son of the writer Konstantine Gamsakhurdia (1893-1975), one who zealously advocated Georgia’s western way in the pre-WWI and interwar periods. Zviad Gamsakhurdia himself was a specialist in the field of Western literature, in which he was highly respected. Despite this, he sometimes expressed a very negative attitude towards Western countries. After the coup d’état in 1992, he lost his position. He saw in this the contribution of the West.

We would not allow the West to make us into its colony [...] The West is against any national movement. They want to see nations’ final destruction and to create conglomerates with cosmopolitan governance [...].the West was against us because we wanted to promote our national culture, to fill our nation with patriotic feelings, in order to let Georgians know that they had more ancient history than the majority of European peoples. The nation-driven politics of our government alone were not acceptable for the leaders of the West, as the official West [...] is against of any national movement. Its aim is to eliminate nations (as quoted in Songulashvili 2014: 14-15; translation is mine, – M.Ch.).

Zviad Gamsakhurdia had a specific understanding of Georgia’s place in the context of the West/East dichotomy. According to him, the very mission of the Georgian nation is to synthesize Western and Eastern cultures.

Let us take, for instance, the striking likeness of *The Man in Panther’s Skin* and *Amiran-Darejaniani* with the Western chivalrous romances, though the former have their specificity. Here, the mission of Georgian culture is revealed. The traditions of Oriental and Western literatures are presented in these masterpieces as an inseparable whole. From a cultural viewpoint, Georgia’s mission is to synthesize Western and Oriental cultures, present them as an integral whole. This is why *The Man in Panther’s Skin* can be considered equally the possession of both Western and Oriental literatures. No division and separation is possible here. That is why that major monument of Georgian architecture Pitareti might be classified as an



example of Christian architecture as well as Eastern architecture. Here, the elements of Western and Eastern cultures have been merged. This is our vision of Georgia's cultural mission (Gamsakhurdia 1991: 22-23).<sup>39</sup>

In the 1990s, the idea of Georgia's special cultural mission circulating widely in academic spheres too. Here I refer to the views of Tbilisi State University professor Rismag Gordeziani as an example. At an international conference held in Tbilisi in 1994, he presented paper in which he elaborated on Georgia's role as a mediator between Asia and Europe (Gordeziani 1994: 51-58). According to him, the understanding of an opposition between Europe and Asia comes from the sixth-fifth century BC. Herodotus fixed the Phasis River in Ancient Colchis as a demarcation line between them. In Antiquity and the Middle Ages, Georgia was surrounded by an Asian realm; however, on the most important points, it followed the path of European culture. Despite the fact that preference was given to Europe, Georgia had never been in irreconcilable opposition with Asia. Georgia can play the role of mediator. She does not represent any side of this dichotomy, concluded the professor in his presentation. Thus, Georgian specialness was argued actually on the academic level too. Most importantly for our case is that the assertion was partially based on geographical considerations: Georgia could play the role of a mediator as a place of East-West/Asia-Europe convergence.

Thus, after the emancipation of Georgia from the Soviet Empire, the Georgian cultural elite was not satisfied with the proposition of being like Europe/the West; in establishing an independent state, they were looking for a particular status for their native community. According to some scholars (Tevzadze 2009), the idea of Georgia as a crossroad, as a bridge between two worlds had already emerged in Soviet Georgia in 1970s and it later found its full expression during Shevardnadze's presidency (1995-2003).

In the 1990s, there was a section of intellectuals and clerics who thought that Western values were harmful for Georgian traditions: "we are not Europeans, we are Eurasians", – mentioned one of the clerics in his interview (dated by 1999) (as quoted in Songulashvili 2014:11-2; translation is mine, – M.Ch.). According to him, Georgia does not need to learn anything from others, because Georgia has her own great and ancient culture (Songulashvili 2014: 11-2). It is worth mentioning here that the abovementioned ordinary cleric was not alone in his negative evaluation of the West. The well-known film-director Otar Ioseliani too, one who spent much of his life in Europe, advised his fellow countrymen to close their doors to European culture as its acceptance would be destructive for Georgia (Songulashvili 2014: 15).

In the 1990s, many Georgian newspapers discussed Georgia's westward orientation and the issue of Europeanization. In 1998, President Eduard Shevardnadze expressed the following view: "We are part of the European space and this space puts on us the greatest responsibility of the unconditional acceptance of general human values. Georgia sincerely longs to be part of Europe on a basis of a shared ethic and political values" (as quoted in Songulashvili 2014: 10; translation is mine, – M.Ch.). Again, a quotation from Shevardnadze's speech delivered in 1997 in Strasburg at the Assembly of the Council of Europe: "We are entering Europe so that we become flesh and blood, branch and grape of its life-giving vine; we are entering Europe in order to contribute to its redemptive cultural mission and find through it the way to our salvation" (as quoted in Songulashvili 2014: 98; translation is mine, – M.Ch.).

It is easy to grasp that these texts provide a fully positive evaluation of Europe and try to define Georgian identity in its context.

In 1999 in Strasburg at the Assembly of the Council of Europe, the Chair of the Georgian Parliament Zurab Zhvania concluded his speech with the following phrase: "I am happy and proud that our generation is given an opportunity to say a few words in Georgian from the tribune of the European Palace: I am Georgian and, therefore, I am European" (as quoted in Songulashvili 2014: 91). The Assembly Member of the Georgian Parliament Mikheil Saakashvili also delivered a speech in which he mentioned that Georgians of his generation fulfilled the aims of their forebears, that he feels the spiritual presence of Sulikhan-Saba Orbeliani in the hall.

Thus, a new generation of Georgian political leaders argued for the full coincidence of Georgian identity with the European one. As was already mentioned, the search for Georgia's European identity originated in the late Soviet era, when Georgian academics (historians, philosophers, literary critics) began presenting Georgian culture as a part of European history. Now these attempts were fulfilled on a political level and the European identity of Georgia was declared worldwide without any hints of ambiguity. This was something fundamentally new for Georgian self-understanding.

The Rose Revolution of November 2003, which brought to power a new generation of Western-educated politicians led by Mikheil Saakashvili, helped to develop this new understanding of Georgians' own identity. According to Saakashvili,

The Georgian nation has opted for the European road, and this choice is immutable. This is not an aim in itself, but a choice of the state and state policy. Europe should not be afraid to open its doors to us because Georgia is following a truly democratic road [...] everything we do will bring us closer to Europe which should know that Georgia is its close friend, a strong and reliable partner that can be trusted (as quoted in Kirchanov 2010: 163-4).

These sentiments were shared by the larger part of the Georgian intellectual community. However, admiration was

once again accompanied by frustrations and, because of this, attempts to establish the idea of national electivity were renewed. In 2005, Mikheil Saakashvili pointed out “that the Georgians were not merely old, but ancient Europeans” (as quoted in Kirchanov 2010: 166).

The same sentiments might be traced in President Margvelashvili’s views:

In his inauguration speech, Margvelashvili also asserted the process of building the new European type of political culture in Georgia; according to him, this *Europeanization* process of political culture would not be a hard task as “Georgia is European in its individual consciousness and part of the Western civilization in its spirit”, which would be institutionally strengthened during his presidency (Matsaberidze 2014: 9).

Thus, in the recent decades Georgians began to present themselves as full-right Europeans; even more, as special Europeans. The sentiments of this kind and ideology associated with them were a continuation of thoughts rooted deeply in pre-modern times; albeit assuming special urgency and new characteristics, and filled narrative is quite understandable if one takes into consideration the nature of the identity making processes and the importance of electivity myths for ethnicity and nation-building and survival. This feature of Georgian identity narrative is quite understandable if one takes into consideration the nature of the identity making processes in general: the importance of electivity myths for ethnic and national survival and also Georgia’s actual location in the liminal space, the feature sometimes seen as divine sign of destiny.

## Conclusion

Human identities are based on narratives – specific kinds of discourses elaborating on many topics, among them the topic of the community’s electivity and global mission. This is the most important one for identity-forging. As was shown by A. Smith (2003a, 2003b), the durability of collective cultural identities is greatly dependent on shared convictions and, first of all, on an understanding of collective responsibility regarding the community’s global obligations.

Over the long-term of its development, the Georgian identity narrative employed various versions ideology of election. The social function of all available variations was the same; however, they differed from one other by the data they borrowed from the repository of the community’s imagination. The one based on symbolic geography has proved to be the most powerful: Georgians thought about themselves in terms of the Europe/the West-Asia/the East dichotomy and the location of their homeland had profound importance for their self-identification.

It is very difficult to bind available evidence into a coherent story: apart from the principal trends and clear-cut conceptualizations, one can almost always suppose overlaps and divergences from mainstream developments. I can provide only a schematic picture, reducing the diversity of perceptions and complexity of situations to several conventional patterns.

In the pre-Christian epoch, ancient Georgians (in this period existed only Colchis. i.e. Colchis was only designation for Georgian state) perceived themselves as dwellers of easternmost part of the oecumene, which they shared with Greeks. They were God’s chosen people because the place they lived in was abode of the Sun God. After the adoption of Christianity, Georgians continued treating themselves as easterners who shared the Christian oecumene with Byzantines. Meanwhile, the Georgian identity narrative was complemented with a new theme: Georgians stood face to face with the “real” East and were gate-keepers of Christendom. During the short period of existence of a Georgian state with pan-Caucasian imperial ambitions, the West/East dichotomy lost its relevance for Georgians; now Georgia stretched from sea to sea and represented both the East as well as the West.

However, after the fragmentation of the united Georgian state, self-presentation through the East/West dichotomy regained its topicality. Georgians still thought about themselves as easterners; however, their conceptualization of the West underwent fundamental alterations. Now the West was not represented by Orthodox Byzantium. It was Catholic and associated exclusively with Europe, while Georgians remained Orthodox and belonged to Asia. Thus, the West actually became the “Other”. At the same time, Georgians gradually began noticing that religion was not the only thing that distinguished West Europeans from them: the West was the realm of advanced culture. Georgia looked for partnership with this realm; however, it desired to set its own terms for the interrelations. Its attempts were ignored by the Catholic Europe, and Georgians found alternative partner in the North: Orthodox Russia. They viewed the northern neighbor as a vehicle for western culture. This was what in fact happened, although their inclusion in the Orthodox Russian Empire caused the crash of Georgians’ belief in their global mission. Now, Russia claimed this special role in Christendom.

In the nineteenth century, within the Russian Empire, Georgia again “lost” its geographical certainty. Georgians were not able to identify themselves with the prosperous West/Europe; they did not want to be associated with Asia and stood beyond spatial dimension. The search for a “usable” geography again became an issue of practical importance on the eve of the emergence of the first Georgian Democratic Republic. This was a time of choice of political orientation

and full-scale cultural transformation. Georgia's gravitation towards Europe was powerful, but the fear of being dissolved in an ocean of advanced culture also was exceptionally potent. Evidently, not only a positive, but also a negative portrait of Europe was created because of this, and a section of Georgian intellectuals began arguing for Georgia's Asian identity as a desirable future. These were debates on a reasonable orientation in the future; nobody denied the Asian/Eastern roots of Georgian identity. Sometimes, Georgia's locality was viewed in a rather dramatic way. "We have always had the tragedy of geography [...] we were broken away from the East, but we were not able to become part of the West, and during many centuries we have been suffering because we stay in the halfway(translation is mine, – M.Ch.) – stated Robakidze in his speech delivered on behalf of Georgian writers for the leaders Second International, who visited Georgia in 1920. According to Robakidze, the East and the West cannot exist without each other; they are opposite, although mutually supplementary parts. Georgia's mission was to reconcile ("to marry") them, believed Robakidze.

After the establishment of the Soviet regime, Georgians gave up thinking in terms of the West/East dichotomy altogether: identification with the West might be treated as a crime. Georgian intellectuals were inspired to follow the idea of Georgia's own, "special", way. Again, in the symbolic setting of the national narrative, a geographical dimension disappeared. It was in the late Soviet era when Georgian intellectuals began placing Georgian culture in the European context. By this activity, they not only attempted to be closer to the West, but to be distanced from Russia, which now was treated as a definitively non-western country.<sup>40</sup> As a result, the symbolic map of the Georgian identity narrative changed altogether: on this map, one was able to see Georgia in Europe and Russia in Asia. At the same time, Georgia was viewed as a place of convergence of both realms and also as a crossroad of cultures. This idea, which was generated within intellectual circles, penetrated the widest strata of the community. The case of *The Knight in Panther's Skin* is a good illustration of Georgian society's sensitiveness to the imagined geography of the West/East dichotomy. In different periods, the poem was viewed differently: as a masterpiece made according to the canons of Eastern poetry; as Western poetry; as writing following the two literary canons equally and containing Eastern and Western elements inseparably merged.<sup>41</sup>

In the 1990s, Georgian politicians proposed the new idea of Georgia's full identification with Europe and western values. Thus, the claim for Georgia's European identity is a fact of the relatively recent past. The long-term process of forging a European identity for Georgia commenced as a cultural movement and reached its climax in political agendas.

From the beginning of 21th century, the Georgian narrative of "specialness" viewed through symbolic geography was modified once more: Georgians began presenting themselves not as newcomers to the European space, but the most authentic Europeans. However, in recent years, this last idea stays in a somewhat stagnant position; it has not been elaborated and adapted on academic and popular levels.

## Notes

- <sup>1</sup> The development of scientific geography did not make what can be called (and has been called indeed) 'symbolic geography', 'ideological geography', 'narrative geography', 'symbolical topography', 'geographically dressed-up theology' (the variant terms are listed in Greifenhagen 2002: 6) perish; neither has scientific geography been able to emancipate itself from symbolic geography as the work by Martin W. Lewis, Kären Wigen (1997), reveals. Symbolic geographies can be approached through, and are made manifest in, what have been called 'cognitive maps' or 'mental maps'. 'Such maps [...] are the product of a selective perception which actively excludes, augments, distorts and schematizes in the service of a variety of purposes such as identity and preference. [...] Such maps exist not only as purely mental constructs – they also appear inscribed in literature, media, artifacts of popular culture, and so on' (Greifenhagen 2002: 7).
- <sup>2</sup> According to the formulation provided by Eder (2009) all human identities have narrative structures.
- <sup>3</sup> The history of the idea of Europe is very rich of facts. One can find relevant information in many publications, among them in Swedberg (1994) and Wintle (2013). The re-conceptualization of Europe/the West is a permanent process; as a result one can distinguish many different images of it (af Malmborg, Stråth 2002). As Pagden (2012: 33) convincingly puts it: "The identity of Europe has always been uncertain and imprecise, a source of pride for some and hatred or contempt for others. Like all identities it is a construction, an elaborated palimpsest of stories, images, resonances, collective memories, invented and carefully nurtured traditions".
- <sup>4</sup> As is well known, during the last few decades the social sciences and humanities have been strongly influenced by the set of ideas commonly referred to by the shorthand 'linguistic turn'. These challenge the "traditional" (positivist) approach to the past and to historical sources, traditional tenets of historical objectivity: according to traditional practices the real past is reachable via sources and it can be described adequately. Proponents of the 'linguistic turn' argue that there is nothing beyond the texts and that the past does not exist outside its representations. Indeed, some scholars in this vein deny the status of Europe as a continent. They think it is a myth which was created relatively recently by academics in order to ensure the special position of the 'West' and marginalize non-Westerners (Lewis, Wigen 1997). Much the same is said about the 'East': it is seen as a pure invention (Said 2003). From my point of view, the truth lies somewhere in the middle: we are not able to negate that imaginations connected with this symbolic geography are reflections of actual differences; neither should recognition of this fact cause discrimination. I am far

from a positivist understanding of word/reality interrelations, but I do not think that the concepts can exist without deep roots in reality. Thus, I consider the notions 'Europe' or 'Asia', 'West' or 'East' as constructs, but at the same time I treat them as "real", i.e. reflections of real socio-cultural settings and relations. The same might be said about many other social occurrences, including the most important target of historical inquiries, the 'nation'. As A.D. Smith has put it convincingly "... nation that emerges in the modern era must be regarded as both construct and real process" (Smith 1996: 124). The point is that the constructive nature of concepts cannot be used as argument for the denial of their ties with the facts of reality.

- <sup>5</sup> I can mention here but a few, first of all those which have almost the same focus as the present investigation Nodia (1997), Tevzadze (2009), Kirchanov (2010), Brisku (2013), Kavtaradze (2012), Songulashvili (2014), Kiknadze (2015). These are well done and thought-provoking contributions; especially well-documented is a monograph by Brisku that, in addition to the Georgian case, contains comparisons with the Albanian one.
- <sup>6</sup> The representation of the history of a Georgian identity is based on my own investigations, most of which are published as monographs and papers in Georgian, English, Russian, French, and Turkish, among them: Chkhartishvili, Kadagishvili (2011), Chkhartishvili, Mania, Kadagishvili (2011) Chkhartishvili (2012, 2013, 2013/2014, 2014). For alternative representations of Georgian history, the Anglophone reader can see many other contributions, among them Braund (1994), Suny (1994), Rayfield (2012), Forsyth (2013), Rapp (2014), Rapp (2017). In these contributions, the authors provide a wide variety of facts, while my representation is strictly focused on evidence that is helpful to grasp the long-term process of Georgian identity-forging. While doing so, I am not only representing the general picture of the Georgian past differently, but also establishing many particular facts as well. I make use of A. D. Smith's ethno-symbolist approach in understanding of national identities as a theoretical basis. This feature also distinguishes my account from all other available (including those listed above) representations of Georgian history.
- <sup>7</sup> The term was coined by Dimitri Obolensky (1971).
- <sup>8</sup> About early nations see Smith (2001:109-111).
- <sup>9</sup> On the importance of myths of election in the process of identity forging see A. Hastings (1999) and Smith (2003).
- <sup>10</sup> This evidence is available in the original version of the *Life of St Nino*. For dating see Chkhartishvili (1987, 1989).
- <sup>11</sup> To this very subject are devoted many studies, among them work by Shurgaia (2000).
- <sup>12</sup> 'Georgia' here and in some other cases is used not as a term for a concrete political body, but to designate a space accommodating the Georgian ethnic community and marked by definite cultural features. In the eighth century, when Sabanisidze was alive, it was not yet politically monolithic. In general, pre-modern Georgian history can be viewed as chain of alternating integration/disintegration processes.
- <sup>13</sup> This is an authentic source, as the author is a one of the pupils of the Saint.
- <sup>14</sup> In Georgian sources she is referred mostly as a 'king' and not 'queen'.
- <sup>15</sup> Anglophone readers can find more information about this period in many contributions, among them in the books by Metreveli (1997, 2010). See also Chkhartishvili (2016b).
- <sup>16</sup> Georgian medieval sources use both these terms: for 'Europe' see the historian of David the Builder (twelfth century) (Jones 2014: 188). In the English translation, it is 'Europe', however in the original text it is 'Europi'; for 'Asia' see the historian of Queen Tamar (thirteenth century) (Jones 2014, 222, 268, 345, 369). As one might conclude after analysis of the contexts, 'Asia' definitely does not refer to the continent, however 'Europe' does.
- <sup>17</sup> The fifteenth century is not the beginning of these interactions: the history of relations between Papal Rome and Georgia goes back to a very early period, preceding the Great Schism, and continued after it. Of course, Georgians were very well informed about this crucial event; however, they preferred not to notice it. They continued to respond to the appeals of Popes and expressed a desire to participate in Crusades. David the Builder collaborated with Crusaders, who were called Frangni, i.e. Europeans. In the most decisive battle against the Turks at Didgori in 1121, David counted among his troops 100 (according to other sources, 200) European soldiers. The limited number of Frangni makes me conclude that they were not intended for solving any military task; their presence had symbolic meaning: evidently King David wanted to show that the Didgori Battle was not a particular struggle of Georgians against the Turkish invaders, but part of the permanent global battle between believers and non-believers, West and East (Chkhartishvili 2008: 221).
- <sup>18</sup> Simon was King of Kartli (which was along with Kakheti, one of the two eastern Georgian kingdoms of the time). He was in power in 1556-1569 and 1578-1599.
- <sup>19</sup> The original of this letter is not available. This is a date preserved in its copy; M.Tamarashvili supposed that it is not correct; according to him, King Simon might have written the letter in the period between 1594-1596. For the present paper, the exact dating is not as important. The letter reflects the reality of the sixteenth century and this is what matters for me now.
- <sup>20</sup> Originally it was used by classic authors for referring to the polity in the eastern part of Georgia. Later on, after Georgia's fragmentation and the emergence of several kingdoms and principalities, each with their own names, 'Iveria' was used in a symbolic sense to designate the whole Georgian realm. Evidently, the king Simon used it to present himself on the international arena as political leader of all Georgian importance. The king of the other eastern Georgian kingdom, namely, the Kingdom of Kakheti, Teimuraz I, also introduced himself as King of 'Iveria' (Tamarashvili 1902: 107).
- <sup>21</sup> This subject is studied widely. I refer to only some of the relevant studies: Papashvili (1995); Kiknadze (2005).
- <sup>22</sup> The adoption of Christianity as a state religion, of course, was accompanied by a relevant ideological discourse intended to manifest the superiority of Christianity in comparison to paganism and fire-worshipping. However, this was discourse about the truthfulness of the faith which should not necessarily be confused with disputes about cultural superiority. Iranian culture had a very influential position in Georgia before and also after conversion (see Rapp 2014). The case of the Georgian Chosroids (for



some facts on the life of this royal family see Chkhartishvili 2016 c, 111-36; Chkhartishvili 2018a) serves as an eloquent example. For a period following conversion, Iranian influence on Georgian culture ceased because of Georgia's entrance into the "Byzantine Commonwealth". However, after the decay of Byzantium, cultural impacts from what can be called the "real East" once again became powerful. In this regard, the case of the King of Kakheti Teimuraz I (1606-1648) is very characteristic. He spent his whole life confronting the Persians, and his mother the Queen Ketevan and his two sons were cruelly punished for this by the Persians. Thus, Teimuraz I had many reasons to hate Persians and everything Persian. However, he adored Persian culture. The following line from his poetry is very helpful in illustrating my assertion: "the sweetness of Persian did inspire me to play music"(translation is mine, – M.Ch.), i.e. to write poems. Thus, though Georgians originally tried to be distanced politically from the "real East", they did not intend to be distanced from it culturally. For Georgians, the cultural superiority of the West became noticeable only later; they began to appreciate the achievements of a modernized West and saw it as a model for future development.

- <sup>23</sup> Vast scholarly literature is devoted to Russia as a 'Third Rome'. Here, I will limit myself by referring to Dimitri Sidorov's (2006) contribution.
- <sup>24</sup> In eyes of pre-modern Christian authors, the non-Christian world was often perceived as uncivilized. In this regard, it is very interesting how the eleventh century Georgian historian Leonti Mroveli saw pagan Georgians: "Alexander conquered all the four ends of the earth. He came from the west and entered the south; came from the north, crossed the Caucasus and entered Kartli. He had found that the faith of the Georgians was the most abominable, compared to the faiths of all the other peoples, because they ignored the blood relationship in marriage and ate every living thing. It is indecent to talk of their customs" (Jones 2014: 20). The fire-worshiper Persians too were treated in the same way. In the Georgian hagiographical chronicle "Martyrdom of Saint Eustathius of Mtskheta" (sixth century), the author describes how Saint Eustathius mocked his fellow countrymen (he was Persian by origin) for their customs (Abuladze 1963: 30).
- <sup>25</sup> On the issue of the importance of location in the emergence and maintenance of the Georgian state, see (Kavtaradze 2004).
- <sup>26</sup> Oppression manifested itself in all principal spheres of societal life and affected almost all segments of Georgian society. As was already mentioned, it was responded to by popular uprisings and a conspiracy of the nobility in the first half of the nineteenth century. All cases of oppression as well as the history of liberation movements have been widely discussed in Georgian historiography. One of the most recent studies devoted to this topic is (Chumburidze *et al.* 2016: 293-410).
- <sup>27</sup> In this regard Georgian literary fiction is a valuable source: masterpieces of well-known writers depict eloquently the Georgian nobility's race for fashion and their financial crash for this very reason: *The first step* (1890-1891) by George Tsereteli (1842-1900) and *Solomon Isakich Medjganuashvili* (1861) by Lavrenti Ardaziani (1815-1870) can be referred to as examples. See (Chkhartishvili 2018b; Chkhartishvili 2019: 606).
- <sup>28</sup> Originally, the papers devoted to winemaking were published in the newspaper "Iveria". Most of them are dated by 1887.
- <sup>29</sup> The Georgian cultural elite evaluated Russian intellectuals and the Russian state differently. The attitude towards intellectuals was positive. Hence, education received in Russia was a subject of pride. It was viewed as fully equivalent to European education.
- <sup>30</sup> This garrison was stationed in *Vladikavkaz*. The fortress of *Vladikavkaz* was founded by Russia as early as the 18<sup>th</sup> c. as an outpost for conquering the Caucasus. For many years, it remained the main Russian military base in the region. *Vladikavkaz* is a composite consisting of two words: *vlati* (Russian verbal stem meaning: 'own, possess') and *Kavkaz* (Caucasus).
- <sup>31</sup> For the views of Alexander Orbeliani, refer to (Vakhania 2016).
- <sup>32</sup> Originally, the work was published in the newspaper *Iveria* in 1889.
- <sup>33</sup> The title of the paper is *Towards Asia*. It was originally published in the almanac *Leila* (№ 2), in 1920.
- <sup>34</sup> The paper was originally published in the almanac *Leila* (№ 1), in 1917.
- <sup>35</sup> The paper is entitled *East and West*. It was published originally in the newspaper *Sakartvelo* (Georgia), 2 December 1917, № 266 (265), 3-4.
- <sup>36</sup> Originally the brochure was published in 1924.
- <sup>37</sup> The paper was published in 1926 in the magazine *Kartuli Mtserloba*.
- <sup>38</sup> This subject is still topical in Georgian historiography. See (Chikobava 2014). For reflections on Georgian historiography of this period. See (Kirchanov 2010, 162-3).
- <sup>39</sup> It was originally delivered on May 2, 1990 as a public lecture at the Philharmonic House in Tbilisi. By this time, Gamsakhurdia was not in power yet, but a leader of the national-liberation movement. The lecture was attended by an international audience.
- <sup>40</sup> "Georgian Europeanism has found its most graphic representation in the formula Georgia/Europe (the West) vs. Russia/Asia (the East)" (Kirchanov 2010: 168).
- <sup>41</sup> For details of the relevant discourse the reader can see many contributions, among them Brisku (2013) and Khintibidze (2014).

## References

- Abuladze, Ilia (ed.) 1963:** *Monuments of Old Hagiographical Literature*, vol. 1. Tbilisi: Metsniereba (აბულაძე ილია. რედაქტორი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, ტომი I, მეცნიერება).
- Abuladze, Ilia (ed.) 1967:** *Monuments of Old Hagiographical Literature*, vol. 2. Tbilisi: Metsniereba (აბულაძე ილია. რედაქტორი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, ტომი II, მეცნიერება).
- Af Malmberg, Mikael; Stråth, Bo (eds.) 2002:** *The Meaning of Europe: Variety and Contention within and among Nations*, Oxford: Berg

Publishers.

- Baramia, Konstantine** (2014). *From the History of Advertisement in Georgia (According to the newspaper Iveria issues 1886-1906)*. (Dissertation submitted for obtaining BA degree in history. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities) (ბარამია კონსტანტინე. ქართული რეკლამის ისტორიიდან. გაზეთ ივერიას 1886–1906 ნომრების მიხედვით. დისერტაცია წარდგენილი ისტორიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).
- Benashvili, Guram (ed.) 2006:** *Ilia Chavchavadze. Publicistic Works* (ბენაშვილი გურამ. რედაქტორი. ილია ჭავჭავაძე. პუბლიცისტური წერილები, ილიას ფონდი).
- Benoist, Alain 1993-1994:** The Idea of Empire [online]. *Telos*, issue 98-99. URL <http://www.gornahoor.net/library/IdeaOfEmpire.pdf> (2016-07-26).
- Braund, David 1994:** *Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasia Iberia 550 BC-AD 562*, Oxford, Clarendon Press.
- Bregadze, Konstantine 2014:** Le modernisme géorgien comme occidendo-centrisme. *Valeurs et Identite Europeenes : Conférence Internationale. Texte des Conférences*. Tbilissi: Université d'Etat Ivane Javakhishvili, 313-318 [online] URL [http://georgie-europe2014.tsu.ge/french\\_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf](http://georgie-europe2014.tsu.ge/french_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf) (2016-07-26).
- Bregadze, Levan (ed.) 2006:** *With Thoughts on Georgia*. The publication is dedicated to 100th anniversary of Nicolo Mitsishvili, Tbilisi: Intelecti Publishers (ბრეგაძე ლევან. რედაქტორი. ფიქრები საქართველოზე. ეძღვნება ნიკოლო მინიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს, თბილისი, ინტელექტი).
- Brisku, Adrian 2013:** *Bittersweet Europe. Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008*. Berghahn Books.
- Chikobava, Akaki 2014:** La féodalité – au pluriel ou au singulier? *Valeurs et Identite Europeenes : Conférence Internationale. Texte des Conférences*. Tbilissi: Université d'Etat Ivane Javakhishvili, 371-373 [online]. URL [http://georgie-europe2014.tsu.ge/french\\_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf](http://georgie-europe2014.tsu.ge/french_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf) (2016-07-26).
- Chkhartishvili, Mariam 1987:** *Problems of Study of Georgian Hagiography (The Life of Saint Nino)*. Tbilisi, Metsniereba (ჩხარტიშვილი მარიამ. ქართული ჰაგიოგრაფიის წყალობითმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები. ცხოვება წმიდისა ნინოსი, თბილისი, მეცნიერება, summary in Russian, 125-126).
- Chkhartishvili, Mariam (ed.) 1989:** *Conversion of Georgia (Kartli)*. Russian Translation [online]. (in Russian: Чхартишвили Мариам (ред.) Обращение Грузии (Картли); summary in English, 76-78). URL [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3164/1/Obrashenie\\_Gruzii.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3164/1/Obrashenie_Gruzii.pdf) (2016-07-26).
- Chkhartishvili, Mariam 2008:** Catholicism and Identity: Georgian Case. *Studies in Medieval History of Georgia*, 9. Tbilisi: Universal, 221-223 (საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები IX, თბილისი: უნივერსალი)
- Chkhartishvili, Mariam 2009a:** *Georgian Ethnie in the Epoch of Religious Conversion*. Tbilisi: Universal (ჩხარტიშვილი მარიამ. ქართული ეთნიკური ხედიდან მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი; summary in English, 169-179).
- Chkhartishvili, Mariam 2009b:** Forging Georgian Identity. Ideology of Ethnic Election. *Caucasiologic Papers*, 1, Tbilisi: Tbilisi University Press, 386-391.
- Chkhartishvili, Mariam 2009c:** Мцхета как Новый Иерусалим: Иеротопия «Жития св. Нино» [online]. Лидов, Алексей (ред.-сост.), *Новые Иерусалимы. Иеротопия и иконография сакральных пространств*. Издание подготовлено научным центром восточнохристианской культуры. Москва: Индрик, 131-50 (Mtskheta as New Jerusalem: Hierotopy in the “Life of St Nino”. Lidov, Aleksej (ed.), *New Jerusalems. Hierotopy and Iconography of Sacral Spaces*, Moscow: Indrik; Research Centre of East Christian Culture 131-50 (in Russian; summary in English, 149-50). URL [http://hierotopy.ru/contents/NewJerusalems\\_07\\_Chkhartishvili\\_MtshetaStNino\\_2009\\_RusEng.pdf](http://hierotopy.ru/contents/NewJerusalems_07_Chkhartishvili_MtshetaStNino_2009_RusEng.pdf) (2016-07-26).
- Chkhartishvili, Mariam 2011:** Holy Men and Making of Georgian Identity [online]. *Proceedings of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of Georgian History*, 1, 312-331. URL <http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-1/021.%20Mariam%20Chkhartishvili.pdf> (2016-07-26).
- Chkhartishvili, Mariam; Mania, Ketevan 2011:** Coverage of the Process of the Georgian National Consolidation in Print Media. *Georgians as Readers of “Iveria”*. Tbilisi: Universal (ჩხარტიშვილი მარიამ, მანია ქეთევან. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდუხ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო, თბილისი, უნივერსალი; summary in English, 542-546).
- Chkhartishvili, Mariam; Mania, Ketevan; Kadagishvili, Sophio 2011:** Arising of Georgian Nationalism [online]. *Proceedings of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of Georgian History*, 3, 259-78 (ჩხარტიშვილი მარიამ, მანია ქეთევან, ქადაგიშვილი სოფიო. ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა. შრომები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. ტომი III, გვ. 156-278; summary in English, 278). URL [http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-3/Eng\\_3/16.%20Chkhartishvili.%20Mania.%20Kadagishvili.pdf](http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-3/Eng_3/16.%20Chkhartishvili.%20Mania.%20Kadagishvili.pdf) (2016-07-26).
- Chkhartishvili, Mariam & Kadagishvili, Sophio 2011:** Georgian Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, Symbols [online]. *Proceedings of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of Georgian History*, 4, 426-35. URL <http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-4/30mariam%20chkhartishvili%20sofio%20kadagishvili.pdf> (2016-07-26).
- Chkhartishvili, Mariam 2012:** The Shaping of Georgian National Identity: *Iveria* and its Readers. Biliarsky, Ivan Kristea, Ovidiu Oroveanu, Anca (eds.), *The Balkans and Caucasus: Parallel Processes on the Opposite Sides of the Black Sea*. Newcastle upon Tyne: Cambridge Scholars Publishing, 188-211.
- Chkhartishvili, Mariam 2013:** Georgian Nationalism and the Idea of Georgian Nation. [online] *Codrul Cosminului. Departamentul de Stiinta Umanesi Social-Politice*, 19 (2), 189-206. URL [http://atlas.usv.ro/www/codru\\_net/CC19/2/georgian.pdf](http://atlas.usv.ro/www/codru_net/CC19/2/georgian.pdf) (2016-07-26).
- Chkhartishvili, Mariam 2013/2014:** Daiaen/Diaochi: Ethnic Stigma. *Georgian Source-Studies*, 15-16, 207-21 (in Georgian: ჩხარტიშვილი

- მარიამ. დაიან/დიახი: ეთნიკური სტიგმა. *ქართული წყალობისმოცემობა*, ტომი 15-16, გვ. 207-221; summary in English, 221 [online]. URL [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/81518/1/Qtartuli\\_Wkarotmcdneoba\\_2013-2014\\_N15-16.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/81518/1/Qtartuli_Wkarotmcdneoba_2013-2014_N15-16.pdf) (2016-07-26).
- Chkhartishvili, Mariam 2014:** Conceptualizing the Georgian nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix. Biagini, Antonello; Motta, Giovanna (eds), *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*, 1. Newcastle upon Tyne: Cambridge Scholars Publishing, 202-13.
- Chkhartishvili, Mariam; Targamadze, Zurab; Kadagishvili, Sophio 2015:** Biagini, Antonello; Motta, Giovanna (eds.), *The Impulse of the Great War on Georgian Identity Development The First World War: Analysis and Interpretation*, 2. Newcastle upon Tyne: Cambridge Scholars Publishing, 75-86.
- Chkhartishvili, Mariam 2015/2016:** Development of Georgian Historical Thought in Middle Ages: Comparative Analysis of Evidences on Emergence of Kartli Kingdom. *Georgian Source-Studies*, 17-18, 262-8 (ჩხარტიშვილი მარიამ. ქართული ისტორიული აზრის განვითარება შუა საუკუნეებში: ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ ცნობების ანალიზი, *ქართული წყალობისმოცემობა*, ტომი17-18 ; summary in English, 269) [online]. URL [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/151340/1/Qtartuli\\_Wkarotmcdneoba\\_2015-2016\\_N17-18.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/151340/1/Qtartuli_Wkarotmcdneoba_2015-2016_N17-18.pdf) (2016-07-26).
- Chkhartishvili, Mariam; Kadagishvili, Sophio; Targamadze, Zurab 2016:** Drink, Food and the Banquet as a “True Academy”: The Culinary Dimension of Georgian Nationalism. *Food and Culture. History, Society, Communication*. Abstracts of the international conference held in Rome in 2016, 9-10 June, 28-29.
- Chkhartishvili, Mariam 2016a:** Georgia, Kingdom of 12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries. *The Encyclopedia of Empire*. EditorinChief John M. MacKenzie [online]. DOI: 10.1002/9781118455074.wbeoe322 ; URL [http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/9781118455074.wbeoe322/abstract;jsessionid=C593790E8FAFC6A2726B6E7605C79EAB.f04t04?userIsAuthenticated=false&deniedAccessCustomisedMessage=\(retrieved 2016-07-26\)](http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/9781118455074.wbeoe322/abstract;jsessionid=C593790E8FAFC6A2726B6E7605C79EAB.f04t04?userIsAuthenticated=false&deniedAccessCustomisedMessage=(retrieved%202016-07-26)).
- Chkhartishvili, Mariam 2016b:** On the Issue of Vakhtang Gorgasali’s Family Belonging and Some Facts of Georgian Chosroids’ history. *Proceedings of Institute of Georgian History the Ivane Javakhishvili Tbilisi State University*, 10, 111-36 (ჩხარტიშვილი მარიამ, ვახტანგ გორგასლის საგვარეულო კუთვნილების საკითხი ხოსროვანთა სამეფო ოჯახის ისტორიის ფონზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, *შრომები*, 2016, ტ.X; summary in English, 136). Available at [http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-10/006\\_Mariam\\_Chkhartishvili.pdf](http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-10/006_Mariam_Chkhartishvili.pdf) (2017-05-27).
- Chkhartishvili, Mariam, Kadagishvili, Sophio, Targamadze, Zurab 2017:** Dress and Identity: the Georgian Case Study. Motta, Giovanna; Biagini, Antonio (eds.), *Fashion through History: Costumes, Symbols, Communication*, vol. 1. Newcastle upon Tyne: Cambridge Scholars Publishing, 177-88.
- Chkhartishvili, Mariam 2018a:** *Georgia in 3<sup>rd</sup>-5<sup>th</sup> Centuries. History of the Royal Family of Chosroids*. Tbilisi: Nekeri Publishing (ჩხარტიშვილი მარიამ. საქართველო III-V საუკუნეებში, თბილისი: ნეკერი, summary in English).
- Chkhartishvili, Mariam 2018b:** Reflection of Social Prejudices in Georgian Literary Fiction. In: *Dynamics and Policies of Prejudice from the XVIII to the XXI century* (edited by Giuseppe Motta), Cambridge Scholars Publishing, 25-33.
- Chkhartishvili, Mariam 2019:** Literary Fiction and Representation of History: Georgian Case Study. *PEOPLE: International Journal of Social Sciences*, 5(3), 598-609.
- Chumburidze, Dodo; Kiknadze, Vazha; Kokrashvili, Khatuna; Saralidze, Lela 2016:** *Georgian-Russian Interrelations in the 18<sup>th</sup>-21<sup>st</sup> Centuries (according to secondary and primary sources)*, vol.1,Tbilisi, Publishing House “Meridiani” (დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ლელა სარალიძე. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო დოკუმენტების მიხედვით), წიგნი 1, თბილისი, „მერიდიანი“).
- Diala, Ada 2005:** Empire and Nation: Tensions and Convergences in Russia, 1861–1905 [online]. *Historien*, 5, 94-105. DOI: <http://dx.doi.org/10.12681/historein.75>; URL <https://ejournals.epublishing.ekt.gr/index.php/historein/article/view/2165/2005> (2016-07-26).
- Eder, Klaus 2009:** A Theory of Collective Identity. Making Sense of the Debate on a ‘European Identity’. *European Journal of Social Theory*, 2009, 12, 427-47.
- Forsyth, James 2013:** *The Caucasus. A History*. Cambridge; New York: Cambridge University Press.
- Gamsakhurdia, Zviad 1991:** *The Spiritual Mission of Georgia*. Tbilisi, Ganatleba Publishers.
- Gordeziani, Rismag 1994:** For Understanding of the Opposition between Europe and Asia and Georgia at the Turn of Centuries. *The world congress of all Georgians: International Symposium on topic “Georgia”*, Bulletin № 3. Tbilisi, 50-8 (გორდეზიანი რისმაგ. დაპირისპირების ევროპა/აზია გაგებისათვის საუკუნეთა მიჯნაზე და საქართველო. ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი. საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე : „საქართველო“, ბიულეტენი № 3, თბილისი).
- Greenfield, Liah 1993:** *Nationalism. Five Roads to Modernity*. Cambridge (Mass.); London (Eng.): Harvard University Press.
- Greifenhagen, Franz 2002:** *Egypt on the Pentateuch’s Ideological Map: Constructing Biblical Israel’s Identity*, London: Sheffield Academic Press.
- Hastings, Adrian 1999:** “Special people”. *Nations and Nationalism* 5(3), 381-95.
- Hroch, Miroclav 1985:** *Social Preconditions of National Revival in Europe*, Cambridge.
- Ingorokva, Pavle (ed.) 1957:** *Ilia Chavchavadze. Full collection of works*. vol.10, Tbilisi (ინგოროყვა პავლე. რედაქტორი. ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტომი 10, თბილისი).
- Jones, Stephen 2005:** *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy, 1883-1917*. Cambridge (Mass.); London (Eng.). Harvard University Press.
- Jones, Stephen (ed.) 2014:** *History of Georgia. Kartlis Tskhovreba*. Tbilisi: Artanuji Publishing [online]. URL <http://science.org.ge/old/books/Kartlis%20cxovreba/Kartlis%20Cxivreba%202012%20Eng.pdf> (2016-07-26).



- Kavtaradze, Giorgi 2004:** Middle Transcaucasia – an Outpost or a Bridgehead of the Modern Geopolitical Game? A Look from the Historical Perspective [online]. *Litaraturuli Sakartvelo*, September 3–9, 35 (3503), 2–3. (ქავთარაძე გიორგი. შუაგული – კავკასია ფორფოსტი თუ პლაცდარმი თანამედროვე გეოპოლიტიკურ თამაშებში? ისტორიული პერსპექტივიდან. *ლიტერატურული საქართველო*, 3–9 სექტემბერი). URL <https://www.scribd.com/document/17475300/> (2016-07-26).
- Kavtaradze, Giorgi 2012:** *The Western Values in Georgian Social and Political Thinking (from 1860s to the beginning of twentieth century)*. PhD Dissertation. St Andrew Georgian University) [online] (ქავთარაძე გიორგი. დასავლური ღირებულებები ქართულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ აზროვნებაში. პოლიტიკური, ეკონომიკური დასოციალური სისტემების მოდელები. XIX საუკუნის 60–იანი წლები XX საუკუნის დამდეგი. სადოქტორო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრიას სახელობის ქართული უნივერსიტეტი). URL [http://www.nplg.gov.ge/dli-brary/collect/0002/000622/g\\_kvataradze.pdf](http://www.nplg.gov.ge/dli-brary/collect/0002/000622/g_kvataradze.pdf)(retrieved 2016-07-26).
- Kiknadze, Zurab 2005:** The interrelations of Georgian Kings and Patriarchs with Rome. *Dialoghi*, 1(2), 36-45 (ქართველი მეფეები და პატრიარქები რომთან ურთიერთობაში, *დილოგი*, ტომი 1(2)).
- Kiknadze, Zurab 2015:** Europe in Asia. Karumidze, Zurab; Rakviashvili, Mariam; Shatirashvili, Zaza (eds.). *Georgia's European Ways: Political and Cultural Perspectives*. Tbilisi: [n.p.], 76-95.
- Kintsurashvili, Korneli (ed.) 2006:** *Mose Janashvili, Time of Search and Judgment*. Tbilisi: Saari (კინწურაშვილი კორნელი. რედაქტორი. ჟამი ძიებისა და განსჯისა, თბილისი, საარი) [online]. URL [http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/5267/1/Janashvili\\_Mose.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/5267/1/Janashvili_Mose.pdf) (2016-07-26).
- Khintibidze, Elguja 2014:** Towards Rustaveli's Place in Medieval European-Christian thought. Nutsubidze, Tamar; Horn, Cornelia; Lourié, Basil (eds), *Georgian Christian Thought and its Cultural Context. Memorial volume for the 125 Anniversary of Shalva Nutsubidze (1888-1969)*. Leiden-Boston: Brill, 285-307. Texts and Studies in Eastern Christianity, 2.
- Kirchanov, Maxim 2010:** 'Europe' and 'the West' in Georgia's Political Imagination and Nationalist Discourse. *Central Asia and the Caucasus*, 11(2), 158-67.
- Koranashvili, Guram (ed.) 2006:** "Georgia and Russia" by Noe Ramishvili. Tbilisi: Artanuji (ყორანაშვილი გურამ. რედაქტორი. ნოე რამიშვილის „საქართველო და რუსეთი“, თბილისი: არტანუჯი).
- Kvataia, Manana 2009:** West / East Paradigm and Grigol Robakidze. Ratiani, Irma (ed.), *Second II international Symposium "Current Issues of Contemporary Literary Criticism": Proceedings*, vol. 1. Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 303-14 (კვათაია მანანა. დასავლეთ-აღმოსავლეთის პარადიგმატიკა და გრიგოლ რობაქიძე. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ნაწილი I,, თბილისი:ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. URL <https://www.litinstitutu.ge/11%20a5.pdf> (2016-07-26).
- Ladaria, Nodar 2015:** Sulkhan-Saba Orbeliani: Europe through Georgians' Eyes. Darchiashvili, David (ed.) *Reconstructions of History*, vol.1. Tbilisi: Ilia University Press, 78-84 (ლადარია ნოდარ. სულხან-საბა ორბელიანი: ევროპა ქართველების მხერით, *ისტორიის რეკონსტრუქციები* .რედაქტორი დავით დარჩიაშვილი, ტომი 1, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა).
- Lewis, Martin W., Wigen, Kären E. 1997:** *The Myth of Continents: a Critique of Metageography*. Berkeley: University of California Press.
- Matsaberidze, David 2014:** The Role of Civic Nationalism in Transformation of the Internal ethnic politics of post-Soviet Georgia. ECMI Working Paper, № 83 [online]. Flensburg: European Centre for Minority Issues. URL [http://www.ecmi.de/uploads/tx\\_lfpubdb/ECMI\\_Working\\_Paper\\_83.pdf](http://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/ECMI_Working_Paper_83.pdf) (2016-07-26).
- Maxwell, Alexander 2011:** "Introduction: Bridges and Bulwarks: A Historiographic Overview of East-West Discourses". Maxwell, Alexander (ed.), *The East-West Discourse: Symbolic Geography and Its Consequences*. Bern: Peter Lang, 2011, 1-31.
- Metreveli, Roin 1997:** *Foreign Policy of Georgia in the Middle Ages (12th century)*. Tbilisi: Tbilisi State University Press.
- Metreveli, Roin 2010:** *The Golden Age: Georgia From the Eleventh Century to the First Quarter of the Thirteenth Century*. Tbilisi: Artanuji Publishing.
- Moulioukova, Dina 2011:** "Europe as the Idea, Model and Reality: Complex Nature of Europe's Significance for Russia" [online]. *The Jean Monnet/Robert Schuman Paper Series*, 8(3). URL <http://www.as.miami.edu/media/college-of-arts-and-sciences/content-assets/euc/docs/papers/Moulioukova-Russia20110400.pdf> (2016-07-26).
- Nodia, Ghia (Нодиа Гиа) 1997:** "Образ Запада в грузинском сознании" (Image of the West in Georgian Mind). In: Coppieters, Bruno; Remacle, Eric; Zverev, Alexej (eds.), *Mezhdunarodnyj opyt razreshenija etnicheskikh konfliktov* (International Experience of Settling of Ethnic Conflicts), vol.3 of *Etnicheskie i regional'nye konflikty v Evrazii* (Ethnic and Regional Conflicts in Eurasia). Moscow: Ves' Mir, 150-81. Available online: URL [http://mytbilisi.narod.ru/texts/politics/rus\\_gia\\_nodia\\_01.htm](http://mytbilisi.narod.ru/texts/politics/rus_gia_nodia_01.htm) (2016-07-26).
- Obolensky, Dimitri 1971:** *The Byzantine Commonwealth: Eastern Europe in 500-1453* New York; Washington: Praeger Publishers.
- Ordjonikidze, Iza (ed.) 1997:** *Europe or Asia? Anthology*. Tbilisi: Literaturis Matiane (ორჯონიკიძე იზა, რედაქტორი. *ევროპა თუ აზია?* თბილისი: ლიტერატურის მატიანე).
- Ordjonikidze, Iza (ed.) 2012:** *Works by Robakidze*. Selected and prepared for publication by Lali Tsomaia, vol. 3, Tbilisi: Publishing House of Georgian National Museum of Georgian Literature (in Georgian: *ორჯონიკიძე იზა, რედაქტორი. გრიგოლ რობაქიძე. „ნაწილები“*. შემდგენელი ლალი ცომაია, ტომი 3, თბილისი, ქართული ლიტერატურის ისტორიის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა).
- Pagden, Anthony 2012:** Conceptualizing a Continent. Anthony Pagden (ed). *The Idea of Europe from Antiquity to the European Union*, Washington: Woodrow Wilson Center Press; Cambridge: Cambridge University Press, 33-54.
- Papashvili, Murman 1995:** *Interrelations between Georgia and Rome in sixth-twentieth century*, Tbilisi: Agmashenebeli (პაპაშვილი მურმან. *საქართველო – რომის ურთიერთობა VI-XX საუკუნეებში*, თბილისი: აღმაშენებელი).



- Rapp, Stephen H. Jr 2014:** *The Sasanian World through Georgian Eyes. Caucasasia and Iranian Commonwealth in Late Antique Georgian literature*. Fahram; Burlington: Ashgate Publishing.
- Rapp, Stephen H. JR 2017:** “Georgia before the Mongols”. Oxford Research Encyclopedia of Asian History [online]. DOI 10.1093/acrefore/9780019027772.013.282; URL <http://asianhistory.oxfordre.com/view/10.1093/acrefore/9780019027772.001.0001/acrefore-9780019027772-e-282> (2017-05-25).
- Ratiani, Irma 2015:** *Georgian Literature and the World Literary Process*. Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature (რატია ირმა. ქახთუდი მწეხლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თბილისი; summary in English: 293-308).
- Rayfield, Donald 2012:** *Edge of Empires. A History of Georgia*. London: Reaktion books.
- Péteri, György (ed.) 2010:** *Imagining the West in Eastern Europe and the Soviet Union*. Pittsburgh: University of Pittsburgh Press Series: Pitt Russian East European University of Pittsburgh Press.
- Said, Edward W. [1978] 2003:** *Orientalism*. London: Penguin Books.
- Shurgaia, Gaga 2000:** “Mxeta – la capitale rifondata. Per un’interpretazione del messaggio simbolico-estatico della Vita di santa Nino”. Shurgaia, Gaga (a cura di), *Santa Nino e La Georgia*. Storia e spiritualità cristiana nel Paese del Vello d’oro. Atti Del I Convegno Internazionale di Studi Georgiani, Roma, 30 Gennaio 1999. Roma : Edizioni Antonianum, 69-97.
- Shvelidze, Dimitri 2007:** Europe in the Plans of 1832 Conspiracy. *Collection of Papers dedicated to the 85 anniversary of the birth of Mariam Lordkipanidze*, Tbilisi: Tbilisi State University Press, 384-389 (შველიძე დიმიტრი. ევროპა 1832 წლის შეთქმულთა გეგმებში. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიების კრებული, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; summary in English, p. 232).
- Shvelidze, Dimitri 2012:** *Georgia and the West*. Tbilisi, Universal (შველიძე დიმიტრი. საქართველო და დასავლეთი, თბილისი, უნივერსალი).
- Sidorov, Dimitri 2006:** “Post-Imperial Third Romes: Resurrections of a Russian Orthodox geopolitical metaphor”. *Geopolitics*, 11(2), 317-47.
- Smith, Anthony [1989] 1996:** “The Origins of Nations” [online]. Eley, Geoff; Suny, Ronald Grigor (eds.), *Becoming National*. A reader. New York; Oxford: Oxford University Press, 106-31. URL <http://jan.ucc.nau.edu/~sj6/SmithOriginsNations.pdf> (2017-05-26).
- Smith, Anthony 1999:** Nationalism and the Historians. *Myth and Memories of the Nation*. Oxford: Oxford University Press, 29-55.
- Smith, Anthony [1974] 2003a:** *Nationalism. Theory, Ideology, History*. Cambridge: Polity Press.
- Smith, Anthony D. 2003b:** *Chosen Peoples. Sacred Sources of National Identity*. Oxford: Oxford University Press.
- Songulashvili, Nato 2014:** *Georgia and the West. The Main Features of their Relationship. 1991-2000*. Tbilisi: Universal (სონღულაშვილი ნატო. საქართველო და დასავლეთი: ურთიერთობების ძირითადი მახასიათებლები 1991-2000, თბილისი: უნივერსალი).
- Suny, Ronald Grigor [1989] 1994:** *The Making of Georgian Nation*. 2nd ed. Bloomington: Indiana University Press.
- Suny, Ronald Grigor 1997:** “Imperial Russia. ‘National’ Identity and Theories of Empire” [online]. Delivered as a paper for the University of Chicago Conference *Empire and Nations: The Soviet Union and the Non-Russian Peoples*, October 24-26. URL [http://www.dartmouth.edu/~crn/crn\\_papers/Suny4.pdf](http://www.dartmouth.edu/~crn/crn_papers/Suny4.pdf) (2016-07-26).
- Svanidze, Tamar 2014:** Les récits de voyage dans la presse géorgienne de la seconde moitié du 19e siècle: l’expérience européenne de N. Nikoladze, S. Meskhi et N. Jordania. *Valeurs et Identité Europeennes : Conférence Internationale. Texte des Conférences* [online], Tbilissi: Université d’Etat Ivane Javakhishvili, 420-7. URL [http://georgie-europe2014.tsu.ge/french\\_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf](http://georgie-europe2014.tsu.ge/french_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf) (retrieved 2016-07-26).
- Swedberg, Richard 1994:** “The Idea of ‘Europe’ and Origin of the European Union. A Sociological Approach”. *Zeitschrift für Soziologie*, 23(5), 378-87.
- Tamarashvili, Michael 1902:** *The History of Catholicism among the Georgians based on newly introduced reliable documents from 13<sup>th</sup> to 20<sup>th</sup> cc accompanied with commentaries*, Tiflis (მიქელ თამარაშვილი. ისტორია კათოლიციზმისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოგანთა და განმახილებით მეცამეტე საუკუნიდან მეოცე საუკუნემდე, ტფილისი) [online]. URL <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/106028> (2017-05-25).
- Tchkhartishvili, Mariam 2014:** “Création de l’idée de la Nation Géorgienne dans le cadre du Discours Européen”. *Valeurs et Identité Europeennes : Conférence Internationale. Texte des Conférences* [online], Tbilissi: Université d’Etat Ivane Javakhishvili, 286-292. URL [http://georgie-europe2014.tsu.ge/french\\_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf](http://georgie-europe2014.tsu.ge/french_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf) (2016-07-26).
- Tevzadze, Gigi 2009:** “Georgia at the Crossroad of East and West. History of Modern Georgians’ Self-perception and Self-representation” [online]. Tevzadze, Givi, *Five Essays on Contemporary Georgia* (თევზაძე გიგი. საქართველო დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე. დღევანდელი ქართველების თვითწარმოდგენის და თვითორენტაციის ისტორია. მისივე წიგნში განჯადდება. ხუთი ესე თანამედროვე საქართველოს შესახებ), 60-67. URL <https://burusi.wordpress.com/2010/06/24/gigi-tevzadze-6/> (retrieved 2017-05-25).
- Vakhania, Nino 2016:** *Some Questions about the Worldview of Alexander Orbeliani* (ვახანია ნინო. ალექსანდრე ორბელიანის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი). URL <http://www.bu.org.ge/x1282?lang=geo> (2016-07-26).
- Wintle, Michael (ed.) 2008:** *Imagining Europe. Europe and European Civilization as Seen from its Margins and by the Rest of the World in the Nineteenth and Twentieth Centuries*, Brussels P .L .E. Peter Lang S.A.
- Wintle, Michael 2013:** “The History of the Idea of Europe: Where are We Now?” *Perspectives on Europe*, 43 (1), 8-12.

## **„დასავლეთის“ კონცეპტუალიზება ქართულ იდენტობრივ ნარატივში**

მარიამ ჩხარტიშვილი

სტატიის მიზანია თვალი მიადევნოს „დასავლეთის“ ცნების კონცეპტუალიზების დინამიკას ქართულ იდენტობრივ ნარატივში.

გამოკვლევას შედეგად დგინდება, რომ ქართული ერთობის ისტორიის მთელ მანძილზე, დაწყებული ეთნიკური სახელმწიფოებიდან თანამედროვე ერ-სახელმწიფომდე, ეს კონცეპტი ფართოდ გამოიყენებოდა ქართველთა თვითცნობიერების ჩამოყალიბებისა და ქართული თვითობის რეპრეზენტაციისათვის. „დასავლეთის“ და „აღმოსავლეთის“, „ევროპისა“ და „აზიის“ დიქტომიას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართული იდენტობისათვის. ამ დიქტომიის ფარგლებში ყოველთვის აქტუალური იყო კითხვა თუ „ვინ ვართ ჩვენ“. პასუხი ამ კითხვაზე იყო განსხვავებული ეპოქებისა და პოლიტიკურ-კულტურული კონტექსტების მიხედვით, თუმცა ყოველთვის ეს პასუხები ჩართული გახლდათ ეთნიკური და ნაციონალური რჩეულობის მითებში. ეს იდეები გენერირდებოდა ინტელექტუალთა წრეებში და მერე შესაბამისი მედიის საშუალებით ცირკულირებდა მასებში და მოდიფიცირდებოდა სახალხო დონეზე.

სტატიისათვის გამოყენებულია მრავალრიცხოვანი სპეციალური ლიტერატურა და მრავალფეროვანი წყაროები დაწყებული შუა საუკუნეების ქრონიკებიდან დამთავრებული თანამედროვე მეცნიერთა ნაშრომებით და პოლიტიკოსთა სიტყვებით.

# რამდენიმე ლაპიდარული წარწერა კასპის მუნიციპალიტეტიდან

ელზა ხაინდრავა

## გოსტიბე

ჩემი სადოქტორო ნაშრომი ეხება კასპის მუნიციპალიტეტის ეპიგრაფიკულ ძეგლებს. სწორედ ამ ძეგლებზე მუშაობის დროს, მორიგი სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში, 2016 წლის ზაფხულში სოფ. გოსტიბეს სასაფლაოზე მდებარე წმ. სამების სახელობის ეკლესიის გარეთა ფასადებზე აღმოჩნდა ამ დრომდე უცნობი ლაპიდარული და ნაკაწრი წარწერები.

გოსტიბეს წმინდა სამების ეკლესია მდებარეობს სოფ. გოსტიბეს სასაფლაოზე. ეკლესია საამშენებლო წარწერის მიხედვით X-XI საუკუნეებით თარიღდება.

სამეცნიერო მიმოქცევაში აქამდე არსებობდა მხოლოდ ორი წარწერა სოფ. გოსტიბედან. ესენია: 1) დავით გალატოზის საამშენებლო წარწერა (X-XI სს.). წარწერიანი ქვა ეკლესიის ეზოში ძირს იდო რ. მეფისაშვილის დროს. ამ დრომდე ის დაკარგულად იყო მიჩნეული. ჩემი დაკვირვებით, დავით გალატოზის ეს წარწერა ეკლესიის სამხრეთ ფასადის ცენტრში არის ჩასმული. მასზე ისეთივე წრეში ჩასმული ჯვარი არის გამოსახული, როგორც შემორჩენილია გოსტიბეს ეკლესიის სხვა ფასადებზე. ქვის ზედა ნაწილში ამოკვეთილია ოთხ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა; და 2) სანივაჯის მოსახსენებელი (X-XI სს.), რომელიც ამოღებულია ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, ერთ-ერთ ჯვარზე. ისიც ოთხ სტრიქონიანია და ასომთავრული დამწერლობით არის შესრულებული.

ეს წარწერები გამოქვეყნებულია რ. მეფისაშვილის მიერ. დანარჩენ წარწერებზე მეცნიერი მხოლოდ ცნობას გვაძლევს.

გოსტიბეს ეკლესიის სანივაჯის წარწერასა და კაბერის ეკლესიის ასად სანივაჯის წარწერებზე მსჯელობის დროს რ. მეფისაშვილი მცირე უზუსტობებს უშვებს. პატივცემულ მეცნიერს ეჭვი შეაქვს გოსტიბეს ეკლესიის მაშენებელი და კაბერის ეკლესიის მაშენებელი ასად სანივაჯის ძის მამა-შვილობაში. ჩემი აზრით, სახელების იგივეობა ასეთი ეჭვის საფუძველს გამორიცხავს. მითუმეტეს, რომ საკუთრივ სახელი სანივაჯი სხვა წყაროებით არსად არის დადასტურებული. ასევე უნდა აღვნიშნოთ რ. მეფისაშვილის მცირედი შეცდომა. მეცნიერს სოფრონ ბედიელის ძმად მიაჩნია სანივაჯი (მეფისაშვილი 1979: 62). როგორც კაბერის წარწერიდან ჩანს, სოფრონ ბედიელის ძმა არის ასადი და არა სანივაჯი: „... მე ასად სანივა / ჯის ძემან ძმამან სოფრონ / ბედიელ მთავარ ებისკოპოსი / სამან“. სოფრონი და ასადი სანივაჯის ძეები არიან.

ამ წარწერაში მოხსენიებული არიან საქართველოს მეფე გიორგი I (1014-1027) და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I (1010-1033).

კაბერის მოცემული წარწერა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ავსებს აქამდე ჩვენს ხელთ არსებულ ცნობებს ბედიელ მთავარეპისკოპოსებზე. გვამცნობს სხვა წყაროებით უცნობი პირველი ბედიელი მთავარეპისკოპოსის სახელს (კალანდია 2002: 15). როგორც ცნობილია X-XI სს. მიჯნაზე, ბაგრატ III-ის მეფობის და მელქისედეკ I-ის კათალიკოსობის დროს ხდება ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება და დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართული ეკლესიების გაერთიანება. როგორც ჩანს, მელქისედეკმა ახლადამშენებულ ბედილაში, რომელსაც ბერძნული ეკლესიების „მოცვლა“ ჰქონდა დაკისრებული, ეპისკოპოსად დასვა აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი და მისი თანამოაზრე.

სულ მივაკვლიეთ ექვს ახალ წარწერას. აქედან სამი ლაპიდარულია, ხოლო დანარჩენი სამი – გრაფიტი.

ლაპიდარული წარწერები თავისი ხასიათის მიხედვით მოსახსენებლებს წარმოადგენს და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღებულნი არიან X ს. დასასრულით. სამივე შესრულებულია ეკლესიის დასავლეთ ფასადზე არსებულ ჯვრებზე, ასომთავრულად.

1

### X ს. ბოლო. ნანულის მოსახსენებელი (სურ. 1)

ეკლესიის დას. ფასადზე, მეხუთე ჯვარზე ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ქვის ზომა: 40X45, წარწ. ფართობი: 30X6; გრაფემების სიმაღლე: 1,5-5. ქარაგმის ნიშნად ნახმარია განივი, მოკლე, სწორი ხაზი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს.

და ა ზ ი ა ნ ე ბ ა: წარწერა კარგად იკითხება.

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი და თ ა რ ი დ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: პალეოგრაფიული ნიშნები: ქ-ს სტილიზებული მოხაზულობა; ასოების „ნ“-ს და „ლ“-ს მიდრეკილება განუსხურებისკენ. „ლ“-ს ყელი უერთდება შუა წრეს; შ-ს ზედა და ქვედა რკალები გახსნილია.

ჩუ უნ რე რე ბუ

ქე შე ნანოლი  
ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ნანოლი<sup>1</sup>

2

**X ს. ბოლო. ნარწერის ფრაგმენტი<sup>2</sup>**

ეკლესიის დას. ფასადზე, მეექვსე ჯვრიან ქვაზე ამოკვეთილია ორ სტრიქონიანი ასომთავრული ნარწერა. აზომვა ვერ ხერხდება. ქარაგმის ნიშნად ნახმარია განივი, მოკლე, სწორი ხაზი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს.

დაზიანება: გადარეცხვისა და გამოფიტვისაგან ნარწერა ძლიერ გამკრთალებულია. აღარ იკითხება ნარწერის დასაწყისი და ბოლო ნაწილი.

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: პალეოგრაფიული ნიშნებით № 1 და № 3 ნარწერის თანადროული უნდა იყოს.

1. [წო ეკს] ო მ<sup>2</sup>ხებავ
2. წე[ლთსა]  
[წ(მიდა)ო ეკ(ლე)ს(ია)]ო მ(ეო)ხ ეყავ...<sup>2</sup> წ(ინაშ)ე [ლ(მრ)თ(ი)სა]....

3

**X ს. ბოლო. მარინეს მოსახსენებელი (სურ. 2)**

ეკლესიის დას. ფასადზე, მეექვსე ჯვრის ქვემოთ, ასევე წრეში ჩასმულ ჯვრიან ქვაზე ამოკვეთილია ერთ სტრიქონიანი ასომთავრული ნარწერა. ქვის ზომა: 50X53; ნარწერის ფართობი: 38X7. გრაფემების სიმაღლე: 2,7-6,2; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი განივი, მოკლე ხაზი.

დაზიანება: გადარეცხვისა და გამოფიტვისაგან ქვა დაზიანებულია, თუმცა ნარწერა მაინც იკითხება.

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: პალეოგრაფიული ნიშნები: გრაფემა „მ“-ს აქვს მხედრული მ-ს მოყვანილობა. მ – ვერტიკალური აღარ არის, მორკალულია. როგორც ნუკრი შოშიაშვილი აღნიშნავს, IX-X სს-ის მთავრული მ-ს ეს მოყვანილობა გახდა კიდევ საფუძველი მხედრული მ-სი, ისევე როგორც ამავე X ს-ის ზოგიერთი სხვა მთავრული ასოები: თ, ნ და სხვ. ეს იმის მხარდამჭერი მოწმობაა, რომ მხედრული დამწერლობა შეიქმნა IX-X სს და არა XI ს-ში, როდესაც მთავრულ ასოებს აღარ ჰქონდათ ასეთი მოყვანილობა (შოშიაშვილი 1980: 29). სწორედ ამის მტიცებულებაა გოსტიბეს ეს ნარწერაც; ქ-ს სტილიზებული მოხაზულობა; მ-ს ზედა და ქვედა რკალი გახსნილია. გრაფემები კუთხოვანია.

ჩუ უნ რე რე ბუ

წე შე მაე  
ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მ(არინ)ე

სახელის აღდგენა პირობითია. მოცემული დაქარაგმება აქამდე ცნობილი დაქარაგმების არცერთ კანონზომიერებაში არ ჯდება. „მაე“ შეიძლება გაიხსნას როგორც მანასე, თუმცა ვინაიდან პირველ ჯვარზე ქალია (ნანოლი) მოხსენიებული, შესაძლოა ამ ნარწერაშიც მარინე იყოს მოხსენიებული. ალბათ ესენი არიან მუშაკნი, მონაზონნი, რომლებაც გოსტიბეს ეკლესიის მშენებლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელების უკვდავსაყოფად გარეთა ფასადების ბოლნურ ჯვრებზე არ ამოღარავდნენ მათ მოსახსენებელ ნარწერებს.

სახელი მარინე ამ ფორმით გვხვდება, XIII საუკუნის საღებავით შესრულებულ ნარწერის ფრაგმენტში დმანისის ციხის წმ. მარინეს ეკლესიაზე (კორპუსი 2017: 168). თუმცა აქ ნარწერა სხვაგვარადაა დაქარაგმებული და ეჭვგარეშეა, რომ აქ მარინეა მოცემული: წ(მიდ)ე მ<sup>2</sup>წე.

**ნაკანრი ნარწერები**

ეკლესიის სამხრეთ ფასადზე ქვების ქვემოდან, მესამე წყობაში, შესასვლელის დასავლეთით, ერთ დიდ მთლიან ქვაზე სამი ერთსტრიქონიანი ასომთავრული გრაფიტი – მლოცველების ნარწერებია მოთავსებული. პალეოგრაფიული ნიშნებით (ქ-ს სტილიზებული მოხაზულობა, გაკუთხოვნება, განუსხურებისკენ მიდრეკილება) სამივე გოსტიბეს ლაპიდარული ნარწერების თანადროული უნდა იყოს.



1. ქვე შვე მზსა  
ქ(რისტ)ე შ(ეინწყალ)ე მზ(ი)სა
2. ქვე შვე მქალ  
ქ(რისტ)ე შ(ეინწყალ)ე მ(ი)ქა(ე)ლ
3. ქვე შვე კორიკე  
ქ(რისტ)ე შ(ეინწყალ)ე კო(კ)რიკე

### ლამისყანა

სოფ. ლამისყანაში მდებარეობს ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმი. მუზეუმის ეზოში დაცულია ორი საფლავის ქვა. როგორც მუზეუმის თანამშრომლებმა მითხრეს, ისინი სოფლის ძველი სასაფლაოდან გადმოუტანიათ.

#### 1

##### 1795 წ. ბატონის ხაბაზის – მამუკას მეუღლის ეპიტაფია (სურ. 3)

ქვის სიგრძე: 110X49; წარწერის ფართობი: 120X39; გრაფემების სიმაღლე: 9, 3.

დაზიანება: წარწერა გაცრეცილია, თუმცა ადგილზე კარგად იკითხება.

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: წარწერას უზის თარიღი: ქვს უპგ (1795).

ქესე სოღუ ზატონის ხაბაზი მამუკას  
ქესე მეღლე და ძამაშვილიანთ ხიზან  
ას ქალი მაიასია ვინცა წაიკითხოთ შენ  
ღობა ბძანეთ ქრნ. უპგ

1. ქესე საფლავი ბატონის ხაბაზი<sup>2</sup> მამუ-
2. კას მეუღლე და ძამაშვილიანთ ხიზან-
3. ას ქალი მაიასია ვინცა წაიკითხოთ შენ-
4. დობა ბძანეთ ქრნ. უპგ.

წარწერაში ნახსენებია ხაბაზი მამუკა, რომელიც ბატონს ემსახურებოდა. დაზუსტებით იმის თქმა, თუ რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდა ეს ბატონი, ძნელია. ბატონის ქვეშ შესაძლოა იგულისხმებოდეს ამ მხარის მფლობელი ფეოდალი ან ადგილობრივი თავად-აზნაური. ლამისყანა ქსნის საერისთავოს ტერიტორია იყო (გვასალია 1983: 62-79). ვახუშტის ლამისყანა მუხრანის სამთავროში აქვს შეყვანილი (ლომოური, ბერძენიშვილი 1941: 199).

#### 2

##### 1813 წ. მეფე გიორგის მოლარე – საყვარელიძის ეპიტაფია (სურ. 4)

ქვის ზომა: 132X54; წარწერის ფართობი: 120X44; გრაფემების სიმაღლე: 7, 3.

დაზიანება: ზოგიერთი გრაფემა გაცრეცილია, მაგრამ წარწერა კარგად იკითხება.

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: წარწერას უზის თარიღი: ფ-ა

საფლავსა ამას შინა მდებარე ვარ მე  
ნეფის გიორგის მოლარე საყვარელ-  
იძე მხილველნო შენდობა ბძანეთ ფ-ა

1. საფლავსა ამას შინა მდებარე ვარ მე
2. ნეფის<sup>4</sup> გიორგის მოლარე საყვარელ-
3. იძე მხილველნო შენდობა ბძანეთ ფ-ა

ამ ეპიტაფიაში მოხსენიებული ნეფე გიორგი არის ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII (1798-1800).

წარწერიდან არ ჩანს, რა ერქვა საყვარელიძეს. ნეფის მოლარის სახელს მივაკვლიე საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში – „1787 წლის თავდასხნილობის წიგნი“, რომელსაც იგი ხელს აწერს, როგორც ბატონისშვილის გიორგის მოლარე საყვარელიძე გოგია (ფონდი 1449). გოგია საყვარელიძე იხსენიება კიდევ ერთ საბუთში – თეზის ეკლესიის მამულთან დაკავშირებულ 1796 წლის დოკუმენტში (ფონდი 1449).

ამგვარად, ჩატარებული კვლევის შედეგად სამეცნიერო მომოქცევაში შემოდის რვა ეპიგრაფიკული ძეგლი: სამი ლაპიდარული და სამი ნაკანრი წარწერა გოსტიბეს ეკლესიიდან და ორი ეპიტაფია ლამისყანიდან. მათი შესწავლის მნიშვნელობა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული: 1) ისინი გვაცნობენ ადამიანთა სახელებს, გვარებს, წოდებას, სოციალურ სტატუსს, გარდაცვალების თარიღს (დაბადების თარიღი იშვიათად გვხვდება XIX საუკუნემდე); 2) ისინი შეიცავენ ინფორმაციას სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესახებ; 3) ვინაიდან დროთა განმავლობაში წარწერები იშლება და ეს პროცესი შეუქცევადია, მნიშვნელოვანია ამ წარწერების დროული შესწავლა და ფიქსირება.

## შენიშვნები

- 1 თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ეს წარწერა აღდგეს, როგორც მამაკაცის სახელი – ნანომი ან ნანუმი.
- 2 ამ წარწერის ფოტო არ მომეპოვება.
- 3 პურის მცხობელი, მეპურე, იხ. <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>
- 4 იგივეა, რაც მეფე, იხ. <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>; პროფ. მ. ჩუხუას აზრით, ქართული ნ-ეფე, მ-ეფე და ს-ეფე საერთო წარმომავლობის ნ-/მ-/ს- პრეფიქსიანი ძირია, ვინაიდან სვანური ნეფე და მეგრული ნაფ-ურა (კომპოზიტში ნაფ-ურ-ნახა, ანუ მეფური, სამეფო ხატი, ტოპონ. ნაფ-ურ-ი) სიტყვებშიც შეიმჩნევა ნ- პრეფიქსის კვალი.

## დამონშებანი

**გვასალია 1983:** ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. თბილისი, მეცნიერება.

**ლომოური, ბერძენიშვილი 1941:** ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, სტალინის სახელობის სახ. უნ-ტის გამომცემლობა.

**კალანდია 2002:** გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოთა ისტორია (ცაიში, ბეღია, მოქვი, ხობი), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.


**კორპუსი 2017:** ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I, დმანისის რაიონი, V-XVIII სს. თბილისი.

**შოშიაშვილი 1980:** ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), I, შედგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი.

**მეფისაშვილი 1979:** P. Меписашвили, Памятники архитектуры X-XI веков в сел. Кабери и Гостибе : [Каспский район], ჟურნ. „ქართული ხელოვნება“, სერია A, №8. თბილისი.

**ფონდი 1449:** საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. საქმე 2401.

**ფონდი 1449:** საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. საქმე 2618, დოკ. 64.



სურ. 1. X ს. ბოლო. ნანულის მოსახსენებელი

სურ. 2. X ს. ბოლო. მარინეს მოსახსენებელი



სურ. 3. 1795 წ. ბატონის ხაბაზის – მამუკას მეუღლის ეპიტაფია



სურ. 4. 1813 წ. მეფე გიორგის მოლარე – საყვარელიძის ეპიტაფია

## SEVERAL LAPIDARY INSCRIPTIONS FROM KASPI MUNICIPALITY

Elza Khaindrava

The paper presents six inscriptions of the Holy Trinity Church of the village of Gostibe and two epitaphs preserved in the courtyard of the Jambakur-Orbeliani Palace of Lamiskana. All these epigraphic monuments were unknown to the scientific literature until today.

Our doctoral thesis deals with the epigraphic monuments of the Municipality of Kaspi. When working on these monuments, within the framework of one of the scientific expeditions, in 2016, lapidary inscriptions and graffiti were discovered on the outer facade of the Holy Trinity Church located at the cemetery of the village of Gostibe.

We found six new inscriptions. Three of them are lapidary while the rest are graffiti. The lapidary inscriptions are a kind of prayers for the soul and based on the paleographic signs they date back to the end of X century. All the three were discovered on the crosses of the western facade of the church and were inscribed with the Georgian capital letters.

1. A prayer for the soul of a woman called Nanuli: q̃e S̃e nanoli, i.e. k(rist)e sh(eitskal)e nanoli “Christ, have mercy on Nanoli”. It was inscribed on the fifth cross with the Georgian capital letters as one line (the end of X century);
2. A fragment of an inscription on the stone with the sixth cross incised with the Georgian capital letters as two lines (the end of X century):

1. [წო ეკს] ო მ̃ხეზავ

2. წე[ღთსა]

[ts(mindao ek(le)s(ia)jo m(eo)kh ekav.../² ts(inash)e [gh(mr)t(i)sa]

“Holly Church, help (a name) before God”

3. A prayer for the soul of a woman called Marine: we Se mae, i.e. k(rist)e sh(eitskal)e ma(rin)e “Christ, have mercy on Marine”. It was inscribed with the Georgian capital letters as one line below the sixth cross and on the stone with a cross put in the circle (the end of X century);

**Scratched inscriptions** – On the western facade of the church worshippers’ three graffiti inscribed with the Georgian capital letters as single lines were found. Based on the palaeographic signs they date back to the end of X century like the lapidary inscriptions of Gostibe.

1. q̃e S̃e mzsa, i.e. k(rist)e sh(eitskal)e mz(i)sa “Christ, have mercy on Mzisa”.
2. q̃e S̃e mqal, i.e. k(rist)e sh(eitskal)e m(i)ka(e)l “Christ, have mercy on Michael”.
3. q̃e S̃e korike, i.e. k(rist)e sh(eitskal)e ko(კ)rike “Christ, have mercy on Korike”.

As for the village of Lamiskana, in the courtyard of the Jambakur-Orbeliani Palace-Museum two headstones are preserved:

**1. The epitaph of the wife of the master's baker called Mamuka, 1795**

1. k ese saplavi batonis khabazi mamu-
2. kas meughle da dzamashviliant khizan-
3. as kali maiasia vintsa tsaikitkhot shen-
4. doba brdzanet krn. upg.

“This is Maia’s grave – the wife of the master’s baker called Mamuka and the daughter of Khizana Dzamashvili. If you are reading this inscription, pray for mercy on her soul”.

The inscription refers to a baker called Mamuka who served the master. It is difficult to surely say which family the master belonged to. The master could be a feudal lord of the region or a local nobleman. Lamiskana was included in the territory of Ksani County. Vakhushti considered Lamiskana to be a part of Mukhrani County.

**2. The epitaph of King George's treasurer Sakvaleridze, 1813**

1. saplavsas amas shina mdebare var me
2. nepis giorgis molare sakvarel-
3. idze mkhilvelno shendoba brdzanet pa

“I am Sakvarelidze, a treasurer of King George, lying in this grave. If you are looking at this headstone, pray for mercy on my soul”.

This epitaph refers to the last king of Kartl-Kakheti George XII (1798-1800).

The inscription does not give the name of Sakvarelidze. We discovered his name in one of the documents preserved in the National Archives of Georgia. It is a book of debt payments that is signed by him as a treasurer of George Batonishvili – Gogia Sakvarelidze. He is also mentioned in a document dating to 1796 that is related to the land of the church of Tezi.

Thus, 8 ephigraphic monuments have been introduced to the scientific literature: 3 lapidary and 3 scratched inscriptions of the church in Gostibe and 2 epitaphs from Lamiskana. The importance of studying them is based on various factors: 1) They give us information about names, surnames, ranks, social statuses, dates of death (the dates of death until XIX century are rarely found); 2) They contain information about the sociopolitical history; 3) Since the inscriptions are erased throughout the time and this process is irreversible, it is important to study and preserve these inscriptions as soon as possible.



**სამცხის ათაბაგის ივანე I ჯაყელის მიერ 1417 წელს იერუსალიმის  
ჯვრის ქართველთა მონასტერში განწესებული ერთი ალაპის შესახებ  
(„ალაპი თურქთაგან დაჭრილთა მართალმადიდებელთა ლაშქართათჳს“)<sup>1</sup>**

**თემო ჯოჯუა**

იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის კუთვნილი XI საუკუნის სვინაქსრის (Jer. 24-25) ფურცლებზე შესრულებულ მრავალრიცხოვან ალაპებს შორის გვხვდება 203r-ზე დაწერილი № 224 ალაპი, რომლის ტექსტიც შემდეგი სახით იკითხება:

[თუესა მაისსა ვ (6)].

აქა მოგვვიდა ფა<ა>სი ივანე ათაბაგის(ა)გ(ა)ნ თურქთაგ(ა)ნ | დაჭრილთათ(ვ)ს, კვრიკობის თ(უ)ქესდ სამსა, მისთა ლაშქართა | მ(ა)რთალმადიდებელთა, შ(ე)უნდვენენ ღ(მ)ერთმან.

და გავჩინეთ დალოცვ[ვა] [მე], [მ(ა)მ(ა)]მ(ა)ნ პიმენ და კრებულმ(ა)ნ.

ნუვინ დააკლოს, შ(ე)უნდვენენ ღ(მ)ერთმან (მეტრეველი 1962: სურ. 34, ტაბ. LII).<sup>2</sup>

№ 224-ე ალაპის ტექსტში, შინაარსობლივი თვალსაზრისით, სამი ნაწილი გამოიყოფა.

ალაპის პირველი ნაწილი მოგვითხრობს, რომ ჯვრის მონასტრის კრებულმა ვინმე „ივანე ათაბაგისაგან“ „ფასი“ ანუ გარკვეული ოდენობის თანხა მიიღო. თავად „ფასი“ განკუთვნილი იყო იმისათვის, რათა მონასტრის კრებულს კონკრეტული სახის მსახურება განეწესებინა „ივანე ათაბაგის“ „მართალმადიდებელთა ლაშქრისათვის“ ანუ ქრისტიანი მოლაშქრეებისათვის, რომლებიც „კვრიკობის თუის სამს“ ანუ 3 ივლისს „თურქების“ მიერ იყვნენ „დაჭრილები“: „აქა მოგვვიდა ფასი ივანე ათაბაგისაგან თურქთაგან დაჭრილთათჳს, კვრიკობის თუესდ სამსა, მისთა ლაშქართა მართალმადიდებელთა, შუენდვენენ ღმერთმან“.<sup>3</sup>

ალაპის მეორე ნაწილი გვაუწყებს, რომ „მამა პიმენმა“ ანუ ჯვრის მონასტრის წინამძღვარმა პიმენმა და მონასტრის კრებულმა „თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქარს“ „დალოცვა“ განუწესა ანუ ღმრთისმსახურების კონკრეტულ ეტაპზე მათთვის უფლისადმი შენდობის თხოვნის ვალდებულება აიღო: „და გავჩინეთ დალოცვა მე, მამამან პიმენ და კრებულმან“.

ალაპის ბოლო ანუ მესამე ნაწილში ალაპის განმწესებლები ჯვრის მონასტრის იმჟამინდელ და მომავალ მესვეურებს მიმართავენ და აფრთხილებენ, რომ „თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქარს“ „დალოცვა“ არ დააკლონ: „ნუვინ დააკლოს. შუენდვენენ ღმერთმან“.

№ 224 ალაპი დღემდე, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მხოლოდ ერთმა მკვლევარმა – ელენე მეტრეველმა შეისწავლა. მეცნიერმა აღნიშნული კვლევის საფუძველზე, ოთხი ძირითადი მოსაზრება გამოთქვა:

ა) ალაპი განაწესა ჯვარის მამა პიმენმა, რომელიც თავდაპირველად მანყვერელი ეპისკოპოსი იყო, რომელიც იერუსალიმში 1400 წელს ჩავიდა და რომელიც, ჯვრის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობას 1410-იან წლებში ფლობდა.

ბ) ალაპის განწესებისათვის საჭირო „ფასი“ ჯვრის მონასტერს გაუგზავნა სამცხის ათაბაგმა ივანე ალბულას ძემ, რომელიც ცნობილი ისტორიული პირი იყო და რომელიც სწორედ ალაპის განწესების პერიოდში მოღვაწეობდა.

გ) ალაპი განწესებულია იმ ქართველი მოლაშქრეებისათვის, რომლებიც მონღოლი სარდლის თემურ-ლენგის მიერ 1393 წელს სამცხეში მოწყობილი სამხედრო ექსპედიციის დროს იყვნენ დაჭრილები.

დ) ალაპში მითითებულია, რომ „თურქებს“ ანუ თემურ-ლენგის მეომრებსა და ქართველ მოლაშქრეებს შორის გამართულ ბრძოლას „კვრიკობის სამს“ ანუ 3 ივლისს ჰქონდა ადგილი (მეტრეველი 1962: 167-168).

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ელენე მეტრეველის მიერ № 224 ალაპის შესახებ გამოთქმული პირველი ორი მოსაზრება სავსებით მართებულია:

ა) ჯვრის მონასტრის დღეისათვის ცნობილ წინამძღვრებს შორის სახელ „პიმენს“ ატარებდა მხოლოდ ერთი პირი – ზემოხსენებული მანყვერელ-ყოფილი პიმენი. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ № 224 ალაპი მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ შეიძლება ყოფილიყო განწესებული.

ბ) ჯვარის წინამძღვარ პიმენის მოღვაწეობის დროს ანუ 1410-იან წლებს, ზუსტად ემთხვევა სამცხის ათაბაგ ივანე I ჯაყელის ზეობის პერიოდი – 1390-1440-იანი წლები. შესაბამისად, № 224 ალაპის განსაწესებლად „ფასის“ გამღები „ივანე ათაბაგი“ სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ათაბაგი ივანე I.

სავსებით განსხვავებული შედეგი მომცა ელენე მეტრეველის მიერ № 224 ალაპის შესახებ გამოთქმული

ბოლო ორი მოსაზრების შესწავლამ. ამ მოსაზრებებს, აგრეთვე, ალაპთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავ.

**№ 224 ალაპში დადასტურებული სიტყვა „დაჭრილის“ მნიშვნელობა**

№ 224 ალაპში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიტყვა „დაჭრილი“, რომლის სწორად გააზრებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ალაპში ასახულ ისტორიულ ფაქტთან – „თურქების“ მიერ ათაბაგ ივანე I-ის ქრისტიანი მოლაშქრეების „დაჭრასთან“ დაკავშირებული საკითხების გარკვევისათვის.

აღნიშნულ საკითხს აქამდე არც ერთი მკვლევარი არ შეხებია. მართალია, ელენე მეტრეველმა აღნიშნა, რომ № 224 ალაპი 1393 წელს სამცხეში შეჭრილი თემურ-ლენგის წინააღმდეგ გამართული „ბრძოლის დროს დაჭრილებს ეხება“, მაგრამ მკვლევარს არ განუმარტავს, თუ, კონკრეტულად, რა მნიშვნელობით გაიზარა თავად სიტყვა „დაჭრილები“ (მეტრეველი 1962: 168).

ილია აბულაძის მიერ შედგენილი „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ თანახმად, სიტყვა „დაჭრა“ შუა საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. „მუსრვა“, „მოსრვა“, „დაკოდა“, „გამოჭრა“, „აქნა“, „მოწყუდა“; და 2. „მოკვეთა“ (აბულაძე 1973: 136). ამასთან, აღსანიშნავია, რომ განსახილველი სიტყვა, წერილობით ტექსტებში, უმრავლეს შემთხვევაში, დანაწევრების, წვრილად დანაწილების მნიშვნელობით გამოიყენება. ამიტომაც არის, რომ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ თანახმად, სიტყვა „დაჭრას“ მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს და ის სწორედ დანაწევრებას, წვრილად დანაწილებას ნიშნავს: „დაჭრა – წვრილად დანაწილება... წვლილად დაკვეთა“ (ორბელიანი 1991: 210).

ჩემი დაკვირვებით, № 224 ალაპში სიტყვა „დაჭრილი“ ამ სიტყვის ყველაზე უფრო გავრცელებული მნიშვნელობით არის გამოყენებული, ის დანაწევრებულს, ასო-ასოდ აქნილს აღნიშნავს და გვაუწყებს, რომ ალაპში მოხსენიებული „მართალმადიდებელნი ლაშქარნი“ „თურქების“ მიერ ნაწილებად იყვნენ დაჭრილი.

ის ფაქტი, რომ ნაწილებად დაჭრილი ესა თუ ის პირი ქართულ წერილობით წყაროებში „დაჭრილად“ მოიხსენიება, სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი. მაგალითისათვის, შემიძლია, დავასახელო კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი მოთავე ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელიც ირანის შაჰის აბას II-ის (1642-1666 წწ.) ბრძანებით, ნაწილებად დაჭრეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი მისი „წამების“ XVIII საუკუნეში შედგენილ ვრცელ და მოკლე სვინაქსარულ რედაქციებში სწორედ „დაჭრილად“ არის მოხსენიებული.

1. წმ. ბიძინა, შალვა და ელიზბარის „წამების“ ვრცელი სვინაქსარული რედაქცია:

თუესა სეკდენბერსა იმ (18). წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველთა ელისბარ ქსნის ერისთვისაჲ და ძმისა მისისა შალვასი და წმიდისა მოწამისა ბიძინა დაჭრილისა კახისაჲ (გაბიძაშვილი 1968: 437).

2. წმ. ბიძინას „წამების“ მოკლე სვინაქსარული რედაქცია:

თუესა სეკდენბერსა იმ (18). წმიდისა ბიძინა დაჭრილისა (გაბიძაშვილი 1968: 439).

ამგვარად, დგინდება, რომ № 224 ალაპში დადასტურებული სიტყვა „დაჭრილი“ დანაწევრებულს, ასო-ასოდ აქნილს აღნიშნავს, თავად ალაპი კი განწესებულია სამცხის ათაბაგ ივანე I ჯაყელის იმ ქრისტიანი მოლაშქრეებისათვის, რომლებიც ალაპის ტექსტში მოხსენიებულმა „თურქებმა“ დახოცეს და ნაწილებად დაჭრეს.

**№ 224 ალაპში ასახული ისტორიული ფაქტი – „თურქების“ მიერ სამცხის ათაბაგ ივანე I ჯაყელის ქრისტიანი მოლაშქრეების დახოცვა და ნაწილებად დაჭრა**

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ № 224 ალაპში ასახული ისტორიული ფაქტის შესახებ აქამდე მოსაზრება მხოლოდ ელენე მეტრეველმა გამოთქვა. მკვლევრის აზრით, ალაპში თემურ-ლენგის მიერ 1393 წელს სამცხეში მოწყობილი სამხედრო ექსპედიციის დროს გამართული ერთ-ერთი ბრძოლის ამბავია გადმოცემული.

ელენე მეტრეველის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება იპყრობს ყურადღებას: თუ მკვლევრის აზრი სწორია და 1410-იან წლებში განწესებულ № 224 ალაპში ნამდვილად 1393 წელს მომხდარი ისტორიული ფაქტია ასახული, მაშინ გამოდის, რომ ათაბაგ ივანე I-ის ქრისტიან მოლაშქრეებს ალაპი მათი დახოცვიდან, დაახლოებით, 20-25 წლის შემდეგ გაუჩენია.

ისტორიული სურათის ასეთი სახით რეკონსტრუქცია წინააღმდეგობაში მოდის იმავე ელენე მეტრეველის სავსებით მართებულ დაკვირვებასთან, რომ შუა საუკუნეების ქართულ ეკლესია-მონასტრებში გარდაცვლილი პირისა თუ პირებისათვის ალაპების განწესება, როგორც წესი, მათი გარდაცვალებიდან სულ მოკლე ხანში ხდებოდა ხოლმე:

ალაპები, როგორც წესი, ამა თუ იმ პირის გარდაცვალების უმაღლეს იდეა... არის შემთხვევები, როდესაც ალაპი ამა თუ იმ პირისათვის იწერება მისი გარდაცვალების 20-30 წლის შემდეგ. ეს მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე გვარის წარმომადგენელი განაწესებს საოჯახო ალაპებს, ე. ი. მის მიერ შეწერილი თანხებით განაწესებინებს ალაპებს თავისი მშობლებისათვის, ცოლ-შვილისათვის და უახლოესი წინაპრებისათვის (ბებისა და პაპისათვის) (მეტრეველი 1962: 125).

აღნიშნულ გარემოებას № 224 ალაპში ასახულ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებული საკითხების გარკვევისათვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, თუკი ალაპში მოხსენიებული ქრისტიანი მოლაშქრეები ნამდვილად 1393 წელს იყვნენ დახოცილები, მაშინ მათთვის ალაპი 1393 წლის შემდგომ ახლოხანებში, დაახლოებით, 1390-იანი წლების მიწურულამდე უნდა განეწესებინათ. ხოლო, ვინაიდან, ალაპი შედარებით უფრო მოგვიანო პერიოდში – 1410-იან წლებშია განწესებული, სავსებით ცხადია ისიც, რომ ალაპში მოხსენიებული ქრისტიანი მოლაშქრეების დახოცვასა და ნაწილებად დაჭრას არა 1393 წელს, არამედ ალაპის განწესების წინარე ახლოხანებში ანუ იმავე 1410-იან წლებში ჰქონდა ადგილი.

ზუსტად ანალოგიური დასკვნისაკენ მიიბიძგებს № 224 ალაპში დადასტურებულ ტერმინ „თურქებზე“ დაკვირვებაც. ჩვენამდე მოაღწია მთელმა რიგმა ქართულმა წერილობითმა წყაროებმა, რომელთა ტექსტებშიც თემურ-ლენგის მიერ საქართველოში მოწყობილი ლაშქრობების ამბები სხვადასხვა კუთხითა და სისრულით არის მოთხრობილი, თუმცა არც ერთ ამ წერილობით წყაროში მონღოლი სარდალი და მისი მოლაშქრეები „თურქებად“ არ არიან მოხსენიებულნი. შესაბამისად, ამ მხრივაც, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ალაპში ასახულ ისტორიულ ფაქტს თემურ-ლენგის ლაშქრობების დროს ჰქონოდა ადგილი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკვნი შემდეგს:

ა) № 224 ალაპში ასახული ისტორიული ფაქტი – „თურქების“ მიერ „მართალმადიდებელთა ლაშქრის“ დახოცვა და ნაწილებად დაჭრა თარიღდება 1410-იანი წლებით და არა 1393 წლით.

ბ) ალაპში გადმოცემული ისტორიული ამბავი უკავშირდება იმ უცხოტომელ მეომრებს, რომლებიც ქართულ წერილობით წყაროებში „თურქებად“ არიან მოხსენიებულნი და არა თემურ-ლენგის მოლაშქრეებს.

გ) ალაპში მოთხრობილი ისტორიული მოვლენები ვითარდება ალაპის განწესებლის – ათაბაგ ივანე I-ის საგანმგებლო ქვეყნის ანუ სამცხის სამთავროს ტერიტორიაზე.

მიღებული დასკვნების შემდეგ № 224 ალაპში ასახულ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებული საკითხების საბოლოოდ გარკვევა რთულ ამოცანას უკვე აღარ წარმოადგენს: დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ალაპში გადმოცემულია ცნობილი ისტორიული ამბავი – ყარა-ყოინლუს თურქმანთა სახელმწიფოს სულთნის ყარა-იუსუფის (1410-1420 წწ.) მიერ 1416 წელს ქალაქ ახალციხის აღება და ადგილობრივი ქრისტიანების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა.

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას, ძირითადად, ვემყარები სამ გარემოებას:

ა) სულთან ყარა-იუსუფის მიერ ახალციხის აღების თარიღი – 1416 წელი, ზედმიწევნით ზუსტად შეესაბამება № 224 ალაპის განწესების ქრონოლოგიას – 1410-იან წლებს.

ბ) 1416 წელს ახალციხის აღებაში მონაწილე ყარა-ყოინლუს თურქმანი ჯარისკაცები ქართულ წერილობით წყაროებში სწორედ „თურქებად“ არიან მოხსენიებულნი (იხ. ქვემოთ).

გ) სამცხის სამთავროს 1410-იანი წლების ისტორია, 1416 წლის ამბის გარდა, უცხოტომელებთან სამხედრო დაპირისპირების არც ერთ სხვა ფაქტს არ იცნობს.

სულთან ყარა-იუსუფის მიერ 1416 წელს ახალციხის აღებასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა კუთხითა თუ სისრულით განიხილეს ივანე ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი 1982: 256-257) და ალექსანდრე აბდალაძემ (აბდალაძე 1978: 34, 42, 138-139). გარდა ამისა, ყარა-ყოინლუს თურქმანების მიერ 1416 წელს ახალციხის აღების საკითხს გაკვრით შეეხნენ თედო ჟორდანი (ჟორდანი 1897: 223), ლეონ მელიქსეთ-ბეგი (მენოფელი 1937: 12), ბაბილინა ლომინაძე (ლომინაძე 1979: 723), გიული ალასანია (ალასანია 1980: 38, 127), კარლო კუცია (მენოფეცი 1987: 53-54, 95), მირიან რეხვიაშვილი (რეხვიაშვილი 1992: 46, 107-108), დავით ნინიძე (ნინიძე 1998: 9) და სხვები, რომლებიც, არსებითად, მხოლოდ ამ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებული წერილობითი წყაროსა თუ წყაროების ციტირებით ან ამ წყაროსა თუ წყაროებში გადმოცემული ფაქტების კონსტატაციით შემოიფარგლნენ.

სულთან ყარა-იუსუფის მიერ 1416 წელს ახალციხის აღებისა და ადგილობრივი ქრისტიანების დახოცვის ამბავს ოთხი სომხური და ოთხი ქართული წერილობითი წყარო მოგვითხრობს. თავდაპირველად, მოვიტან ამ წერილობითი წყაროების შესაბამის ფრაგმენტებს.

#### 1. გრიგორის მიერ 1416 წელს გადაწერილი გრიგოლ ტათევაცის ქადაგებების ანდერძი:

...დაინერა ეს [ნიგნი] იაფტური ტომის, სომეხთა წელთაღრიცხვის 8X100-ს დამატებული „კ“ და „ე“ (65) წელს (1416), სასტიკ, უკეთურ დროში, წარმავალი [ცხოვრების] დასასრულს. ჩვენს მიმართაც სრულდება საღვთო სიტყვა, რომ იმ დღეს აღდგება ნათესავი ნათესავსა ზედა და იქნება ჟამიანობა და უდროოდ სიკვდილიანობა,

რომელთაგან ერთის თვითმხილველი ვიყავით, მეორე მოვისმინეთ. რამეთუ ჩვენთან, ეკელიასის გავარში სასტიკი სიკვდილიანობაა; ამ უბედურების კალმით აღწერას ვინ შეძლებს. აგრეთვე, ბოროტებით აღსავსე, ყარა იუსუფად სახელდებული ურჯულო მძლავრი წავიდა და მიაშურა ქართველთა ქვეყანას, აიღო ქალაქი ახალციხე, მამაკაცები პირწმინდად გაჟლიტა, ქალები და ბავშვები ტყვედ წაასახა. მრავალ სხვა მსგავსსაც ვხედავთ ახლანდელ დროში... (აბდალაძე 1978: 34).

2. გრიგორის მიერ 1422 წელს გადაწერილი თთვენის ანდერძი, რომელიც ლექსად არის გადმოცემული:

...ქრისტიანების ცოდვათა გამო,  
[ი]უსუფ ხანი საღვთო ომით  
ქართველთა ქალაქს, ახალციხეს დაესხა თავს,  
დაარბია და დაატყვევა ის.  
ეს ამბავი მოხდა  
რვაას სამოცდახუთ წელს (1416)... (აბდალაძე 1978: 42).

3. სომეხი ისტორიკოსის თოვმა მენოფეცის მიერ XV საუკუნის I ნახევარში შედგენილი „ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა“:

[ვინმე გაქრისტიანებული თავრიზელი მუსლიმი იუსუფი], ქალაქ ახალციხეში წავიდა, შეყარა ქართველი და სომეხი ყრმები, მათ იგემეს ღორის ხორცი, ხოლო მისი ძვლები წაიღეს და მათ (მუსლიმების) მიზგითში შეყარეს.<sup>4</sup> იქ მყოფმა ურჯულოთ დაინახეს, რომ უგუნური იშხანი, აღბუღას ძე ივანე (სამცხის ათაბაგი ივანე I ჯაყელი – თ.ჯ.), მათ უფრო განადიდებდა, ვიდრე მის ხელქვეშ მყოფ ყველა ქრისტიანს. მათ ცბიერებით დიდძალი განძი მოიპოვეს, მივიდნენ მტარვალ იუსუფთან (ყარა-ყოინლუს თურქმანთა სახელმწიფოს სულთანი ყარა-იუსუფი (1410-1420 წწ. – თ.ჯ.) ვალაშკერტში, ბაგრევანდის გავარში, გაანდვეს მას თავიანთი ბოროტება. წაიყვანეს [იგი] და წავიდნენ ქართველთა ქვეყანაში და ქალაქი (ახალციხე) მას ჩააბარეს. ხოლო მათ, ვითარცა მძვინვარე და უმონყალო მხეცებმა, მათზე მახვილები აღმართეს და უბინო კრავების მსგავსად [იმდენი] დაკლეს, რომ იმ ოდენობას და სიმრავლეს ადამიანის გონება ვერ მისწვდებდა. მათ მთელი ქვეყანა წარტყვევენეს, დიაცნიც და ყრმანიც ტყვედ იგდეს და ჰაიკაზიანთა თესლის მთელი ქვეყანა ტყვეებით აავსეს, ქრისტიანთა ყველა მოდგმა, ღვთისმსახურნიც და ერისგანნიც, ისე გააღატაკეს, რომ მათი სულიერი და ხორციელი დოვლათი [ძლივს შეადგენდა] ერთი ტყვის [გამოსასყიდ] საფასურს. ხან მამულად, ხან კი გაქცევით ათავისუფლებდნენ ქრისტიანებს, მაგრამ ისეც იყო, რომ ისინი წადირის კერძი ხდებოდნენ. მაგრამ ვის ძალუქს მოგვითხროს ან კალმით აღწეროს ტანჯულთა უბედურება, მამათა და დედათა, ძეთა და ასულთა გლოვა, ზარი და გოდება? უფრო აუტანელი იყო [ეს] მხილველთათვის, [ამიტომ] დიაცნი თავიანთ სამკაულებს ელეოდნენ, მამაკაცი – პირუტყვს, მღვდლებმა და ღვთისმსახურებმა კი თავიანთი სიღარიბე გამოაშკარავეს და ვისაც ან ბატკანი ჰყავდა ან ხბო [თურქმანებს] აძლევდნენ და [ტყვეებს] ათავისუფლებდნენ. როდესაც ურჯულოთ დაინახეს მათი სწრაფვა, თითოეულ ტყვეზე ათი და ოცი ათასი [მოითხოვეს], ისე რომ, არქეშში და არწკეში ყოველი მღვდლის გამოსყიდვისთვის ოც ან ოცდაათ ათას დაჰკანს იხდიდნენ. ეს გახდა ბოროტი და ურჯულო მტარვალის იუსუფის დაღუპვის [მიზეზი], რამეთუ უფალი აღარ წყალობდა და ამიტომ აღარ გაუმარჯვია მას. ეს იყო 865 (1416) წელს (მენოფეცი 1987: 53-54; შდრ.: მენოფეცი 1937: 22-24).

4. თოვმა მენოფეცის მიერ XV საუკუნის I ნახევარში შედგენილი „მემუარები“:

...865 (=1416) წელს თავრიზის მფლობელი (სულთანი ყარა-იუსუფი – თ.ჯ.) იდუმალ წავიდა ქართველთა ქალაქ ახ[ა]ლცი[ხ]ეზე, აიღო ქალაქი და დიდებულნი ამოწყვიტა, და მათი ცოლშვილი წარტყვევნა, ექვს ათასზე მეტი, და ადავსო მთელი ქვეყანა ტირილითა და გოდებით. და მთელი ხალხი (ყველა ტომი) სასონარკვეთილი იყო, თუ რატომ ჩააგდო ღმერთმა მორწმუნენი ურწმუნოთა ხელში (მენოფეცი 1937: 33).

5. XIII საუკუნის საგალობლების კრებულის (A-85) კინკლოსური მინაწერი:

[1417 წ.]. აჟა ახალციხე ამო[აგ]ა[დ]ეს [თურქთა] (ტექსტის წაკითხვა და პუნქტუაცია ჩემია – თ.ჯ.) (A-85: 110r).<sup>5</sup>

6. XVIII საუკუნის ანონიმი ავტორის მიერ შედგენილი „ცხოვრება საქართველომსა“, იგივე, „პარიზის ქრონიკა“:

1414. ქორონიკონსა რ-ბ (102) მეფე ალექსანდრე [და] ივანე ათაბაგი კოხტას შეიბნეს; თურქთა ახალციხე ამოსწყვიტეს (ალასანია 1980: 38).<sup>6</sup>



7. თედო ჟორდანის მიერ „ჟამნი № 2-ის“ სახელით მოხსენიებული, ჯერჯერობით, დაუდგენელი ქართული ხელნაწერის ქრონიკალური ცნობა (კინკლოსური მინაწერი?):

ქ(რონი)კ(ონ)ს რბ (102+1312=1414 წ.). მეფე ალექსანდ(რ)ე და ივანე ათაბაგი კობტას შეიბნეს; თურქთა ახალციხე ამოწყვიდეს (ქარაგმის გახსნა, ქრონიკონის თარიღის ქრისტეშობიდან წელთაღრიცხვაზე გადაყვანა და პუნქტუაცია ჩემია – თ.ჯ.) (ჟორდანია 1897: 221).<sup>7</sup>

8. თედო ჟორდანის მიერ „ჩხეიძის ქრონიკის“ სახელით მოხსენიებული, ჯერჯერობით, დაუდგენელი ქართული ხელნაწერის ქრონიკალური ცნობა (კინკლოსური მინაწერი?):

ქ(რონი)კ(ონ)ს რდ (104+1312=1416 წ.). თურქთა ახალციხე ამოაგდეს (ქარაგმის გახსნა, ქრონიკონის თარიღის ქრისტეშობიდან წელთაღრიცხვაზე გადაყვანა და პუნქტუაცია ჩემია – თ.ჯ.) (ჟორდანია 1897: 223).

როგორც ვხედავთ, ციტირებულ სომხურ და ქართულ წერილობით წყაროებში ჩვენთვის საინტერესო ისტორიული ამბის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული. ამ ცნობების შეჯერების შედეგად, ირკვევა შემდეგი: 1416 წლის წინარე ახლოხანებში ქალაქ თავრიზში გამოჩნდა ვინმე გაქრისტიანებული მუსლიმი იუსუფი, რომელიც მთელს აღმოსავლეთში მოგზაურობდა და მუსლიმთა დიდ ქალაქებში – თავრიზში, სულთანიეში, სამარყანდში, ბაღდადში, მეშედ-ალისა და არჭემში ქრისტიანობას დაუფარავად ქადაგებდა. განრისხებული მუსლიმები იუსუფს სასტიკად დევნიდნენ და აწამებდნენ, თუმცა იგი ქრისტეს რჯულის ღიად აღსარებას განაგრძობდა. საბოლოოდ, იუსუფი ქალაქ ახალციხეში მივიდა. აქ მან ადგილობრივი ქართველი და სომეხი ახალგაზრდები შეკრიბა, მათთან ერთად ჯერ ღორის ხორცს შეექცა, შემდეგ კი ძვლები ახალციხელ მუსლიმთა „მიზგითში“ ანუ მეჩეთში შეყარა.<sup>8</sup> შეურცხყოფილმა მუსლიმებმა ისარგებლეს იმით, რომ ახალციხის პატრონი – ათაბაგი ივანე I ჯაყელი მათ დიდი პატივით ეპყრობოდა და მოქმედების თავისუფლებას აძლევდა, ამ უკანასკნელისაგან ფარულად დიდძალი განძი შეაგროვეს და სამხრეთში, ყარა-ყოინლუს თურქმანთა სახელმწიფოში გაემგზავრნენ. ახალციხელი მუსლიმები ქალაქ ვალაშკერტში ჩავიდნენ, სულთან ყარა-იუსუფს ძღვენი მიართვეს და დახმარება სთხოვეს. ყარა-იუსუფმა ლაშქარი შეკრიბა და „საღვთო ომით“ ანუ ქრისტიანების წინააღმდეგ რელიგიური ომის – ჯიჰადის მოწოდებით, სამცხისაკენ დაიძრა.<sup>9</sup> ახალციხელი მუსლიმები „იდუმალ“ ანუ უხმაუროდ მოძრავეს ყარა-იუსუფის ლაშქარს წინ ნაუძღვნენ და 1416 წელს ქალაქი „თურქებს“ ანუ ყარა-ყოინლუს თურქმანებს უბრძოლველად გადასცეს.<sup>10</sup> ყარა-იუსუფის ჯარისკაცებმა ახალციხეში მყოფი ქრისტიანი მამაკაცები, როგორც „დიდებულები“ ანუ ადგილობრივი, მესხი ფეოდალები, ისე, რიგითი მოქალაქეები ანუ ვაჭრები, ხელოსნები და სხვ., „პირწმინდად გაჟლიტეს“ და „მახვილით დაკლეს“ ანუ ერთიანად ამოხოცეს და ნაწილებად დაჭრეს, ქალები და ბავშვები კი, რომელთა საერთო რიცხვიც 6 000 კაცს აღემატებოდა, დაატყვევეს და თან წაიყვანეს.<sup>11</sup> ამ ტრაგიკული ამბის შემდეგ ყარა-ყოინლუს თურქმანთა სახელმწიფოში მცხოვრები ქრისტიანები, უპირატესად, სომხები, დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ, ახალციხიდან წაყვანილი ტყვეები თურქმანთაგან გამოეყვიდათ და ამისათვის არც სამკაულს, არც პირუტყვს და არც ფულს არ იშურებდნენ. თავად ტყვის გამოსასყიდი თანხის ოდენობა საკმაოდ დიდი იყო. ასე, მაგალითად, ქალაქების – არჭემისა და არწვეს მიდამოებში ანუ ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში ერთი ტყვის გამოსასყიდი ფასი 10 000 დრაჰკანიდან 20 000 ათას დრაჰკანამდე მერყეობდა, სასულიერო პირის – მღვდლის გამოსასყიდი თანხის ოდენობა კი 20 000 დრაჰკანიდან 30 000 ათას დრაჰკანამდე აღწევდა.<sup>12</sup>

სულთან ყარა-იუსუფის მიერ 1416 წელს ახალციხის აღებასთან დაკავშირებული ამბების მიმოხილვის შემდეგ ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ჯვრის მონასტრის სვინაქსრის № 224 ალაპი წარმოადგენს რიგით მეცხრე წერილობით წყაროს, რომელიც ამ ისტორიული ამბის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციას გვწვდის. ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, № 224 ალაპში დაცულია ორი ისეთი ცნობა, რომლებიც ზემოთ მოხმობილ სომხურ და ქართულ წყაროებში დადასტურებული არ არის. ქვემოთ მოკლედ განვიხილავ ამ ცნობებს:

1. გრიგორის მიერ გადაწერილი გრიგოლ ტათევაცის ქადაგებებისა და თთვენის ანდერძები, თოვმა მეწოფეცის „ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა“ და „მემუარები“, აგრეთვე, „ჩხეიძის ქრონიკის“ ქრონიკალური ცნობა გვაუწყებს, რომ სულთან ყარა-იუსუფის მიერ ახალციხის აღებასა და დარბევას 1416 წელს ჰქონდა ადგილი.

№ 224 ალაპი თვისა და დღის სიზუსტით აკონკრეტებს აღნიშნულ თარიღს და გვამცნობს, რომ ყარა-ყოინლუს თურქმანთა ლაშქარმა ახალციხე 1416 წლის „კვრიკობის თუის სამს“ ანუ 3 ივლისს აიღო.

2. გრიგორის მიერ გადაწერილი გრიგოლ ტათევაცის ქადაგებების ანდერძი, თოვმა მეწოფეცის „ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა“ და „მემუარები“ გვაუწყებს, რომ სულთან ყარა-იუსუფის ჯარისკაცებმა ახალციხის აღების შემდეგ ქალაქში მყოფი ქრისტიანი მამაკაცები, როგორც „დიდებულები“ ანუ ადგილობრივი მესხი ფეოდალები, ისე, რიგითი მოქალაქეები – ვაჭრები, ხელოსნები და სხვ., „პირწმინდად გაჟლიტეს“ და „მახვილით დაკლეს“ ანუ ერთიანად ამოხოცეს და ნაწილებად დაჭრეს. ამასთან, ხსენებულ წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, ყარა-ყოინლუს თურქმანთა მიერ დახოცილი

ახალციხელი მამაკაცები მხოლოდ ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას მიეკუთვნებოდნენ თუ მათ შორის სამხედრო პირებიც იყვნენ.

№ 224 ალაპი მნიშვნელოვნად აზუსტებს აღნიშნულ საკითხს და გვამცნობს, რომ სულთან ყარა-იუსუფის მიერ ახალციხის აღების შემდეგ დახოცილ და ნაწილებად დაჭრილ ქრისტიანებს შორის „ივანე ათაბაგის მართალმადიდებელნი ლაშქარნიც“ ანუ ათაბაგ ივანე I-ის მოლაშქრეებიც იყვნენ. სამწუხაროდ, № 224 ალაპი არ აკონკრეტებს, თუ, სახელდობრ, რა მიზნით იმყოფებოდნენ ეს სამხედრო პირები ახალციხეში ყარა-იუსუფის თურქმანების ქალაქზე თავდასხმის დროს. მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ ათაბაგ ივანე I-ის ეს მოლაშქრეები ახალციხის გარნიზონს ანუ სამცხის სამთავროს სატახტო ქალაქის მცველთა რაზმს მიეკუთვნებოდნენ და ახალციხის კარიბჭეების, გალავნისა თუ შიდა ციხის სადარაჯოდ მუდმივად ქალაქში იდგნენ.

აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ № 224 ალაპში დასახელებულ „მართალმადიდებელთა ლაშქარში“, ათაბაგ ივანე I-ის მოლაშქრეების გარდა, აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს სულთან ყარა-იუსუფის მიერ ახალციხეში დახოცილი მესხი ფეოდალების უმეტესი ნაწილიც. მართალია, თოვმა მენოფეცი თავის „მეშარებში“ არაფერს ამბობს იმის თაობაზე, ყარა-იუსუფის თურქმანების მიერ ახალციხეში დახოცილ „დიდებულებს“ შორის სამხედრო პირები იყვნენ თუ არა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, არისტოკრატიული წრიდან გამოსული მამაკაცების უდიდესი ნაწილი სწორედ სამხედრო საქმეს მისდევდა, მაშინ ლოგიკურად მივალთ იმ დასკვნამდეც, რომ სულთან ყარა-იუსუფის მიერ ახალციხეში დახოცილი ნაწილებად დაჭრილი მესხი ფეოდალების უმეტესობა სამხედრო პირი იყო.

ამგვარად, დგინდება, რომ № 224 ალაპში ასახულია ცნობილი ისტორიული ფაქტი – ყარა-იუსუფის თურქმანთა სულთნის ყარა-იუსუფის მიერ 1416 წელს სამცხის სამთავროს წინააღმდეგ მოწყობილი „საღვთო ომის“ ანუ ჯიჰადის ფარგლებში, ქალაქ ახალციხის აღება და არა თემურ-ლენგის მიერ 1393 წელს სამცხეში მოწყობილი სამხედრო ექსპედიციის დროს გამართული ერთ-ერთი ბრძოლის ამბავი, როგორც ამას ელენე მეტრეველი ფიქრობდა. გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ № 224 ალაპი აღნიშნული ისტორიული ფაქტის შესახებ გვანჯდის ორ სრულიად ახალ ცნობას: 1. სულთანმა ყარა-იუსუფმა ახალციხე აიღო 1416 წლის 3 ივლისს; და 2. ყარა-იუსუფის თურქმანების მიერ ახალციხეში დახოცილ და ნაწილებად დაჭრილ ქრისტიანებს შორის, მშვიდობიანი მოქალაქეების გარდა, იყვნენ ათაბაგ ივანე I-ის მოლაშქრეებიც, რომლებიც, სავარაუდოდ, ქალაქის მცველთა რაზმს ეკუთვნოდნენ, აგრეთვე, ის მესხი ფეოდალები, რომლებიც სამხედრო საქმეს მისდევდნენ და ყარა-იუსუფის თავდასხმის დროს, რაიმე მიზეზის გამო, ახალციხეში იმყოფებოდნენ.

### **ჯვრის მონასტრის კრებულის მიერ „თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქრისათვის“ განწესებული მსახურების რაობა**

№ 224 ალაპში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ჯვრის მონასტრის კრებულმა „თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქარს“ დალოცვა განუწესა ანუ ღმრთისმსახურების კონკრეტულ ეტაპზე მათთვის უფლისადმი შენდობის თხოვნის ვალდებულება აიღო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ერთი საინტერესო გარემოება იპყრობს ყურადღებას: № 224 ალაპში საერთოდ არ არის ნახსენები „წირვა“ ანუ, საგანგებოდ, „თურქთაგან დაჭრილთა“ სულელების საოხად შესრულებული ლიტურგიული მსახურება და „ალაპი“ ანუ, სახელდობრ, მათი სულელების მოსახსენებლად გამართული პურობა.

ამ მხრივ, ათაბაგ ივანე I-ის „ფასით“ გაჩენილი № 224 ალაპი სრულებით განსხვავდება ჯვრის მონასტრის კრებულის მიერ იმავე ივანე I-ის დის – დედოფალ ნათია-ყოფილი ნისიმესათვის განწესებული № 223 ალაპისაგან, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მონასტრის კრებულს ნათია-ყოფილი ნისიმესათვის წირვა და ალაპი უნდა გადაეხადა, რაც, თავის მხრივ, ბევრად უფრო საპატიო და სულის მარგებელ მსახურებად ითვლებოდა, ვიდრე, ვთქვათ, იგივე, დალოცვა:

[თუესა მაისსა ე (5)].

ამასვე დღესა აღაპი ათაბაგისა ივანეს დისა, დედოფლისა | ნათია-ყოფილისა ნისიმესის, შ(ეუნდვნი)ნ ღ(მერთმან). |

გაუჩინეთ | წმ(ი)დისა ირი|ნეს დღ<ღ>(ე)ს(ა)სწაულსა წირვა და აღაპი და რაცა წაიგოს მ(ა)ს დღესა | მისთ(ვ)ს, შ(ეუნდვნი)ნ ღ(მერთმან) (მეტრეველი 1962: სურ. 34, ტაბ. LII).<sup>13</sup>

ჩემი დაკვირვებით, ის გარემოება, რომ № 224 ალაპში წირვისა და ალაპის გადახდა საერთოდ არ არის ნახსენები, ლოგიკურად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ეს ალაპი „თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქრის“ მხოლოდ დალოცვას ითვალისწინებდა და ჯვრის მონასტრის კრებულს მათ მიმართ რაიმე სხვა მსახურების, უფრო ზუსტად კი, წირვის აღსრულებისა და ალაპის გადახდის ვალდებულებები არ გააჩნდა.

ზემოთქმულის შემდეგ აუცილებლად უნდა შევეხო კიდევ ერთ საინტერესო საკითხს. № 224 ალაპი შესრულებულია სვინაქსრის იმ ფურცელზე, რომელზეც 6 მაისის საკითხავია წარმოდგენილი. აქედან, ავტომატურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჯვრის მონასტრის კრებულს ამ ალაპით გათვალისწინებული მსახურება ანუ „თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქრის“ დალოცვა წელიწადში ერთ დღეს, კონკრეტულად, 6 მაისს უნდა აღესრულებინა.

ცალკე მსჯელობის საგანია ის საკითხი, თუ 6 მაისს ჩატარებული ღმრთისმსახურების რომელ კონკრეტულ ეტაპზე უნდა აღესრულებინა ჯვრის მონასტრის კრებულს „თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქრის“ დალოცვა. მართალია, ამ საკითხის შესახებ № 224 ალაპში რაიმე პირდაპირი ცნობა დაცული არ არის, მაგრამ ის გარემოება, რომ ალაპის ტექსტი სვინაქსრის ფურცელზეა შესრულებული, ლოგიკურად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ხსენებულ დალოცვას სვინაქსრის შესაბამისი დღის ანუ 6 მაისის ტექსტის წაკითხვის დროს უნდა ჰქონოდა ადგილი.

ამგვარად, დგინდება, რომ № 224 ალაპის თანახმად, ჯვრის მონასტრის კრებულმა ყარა-ყოინლუს თურქ-მანების მიერ 1416 წლის 3 ივლისს ქალაქ ახალციხეში დახოცილ და ნაწილებად დაჭრილ ქრისტიან მოლაშქრეებს ერთადერთი მსახურება – დალოცვა განუწესა. ამ განწესების თანახმად, მონასტრის კრებული წელიწადში ერთხელ, 6 მაისს, ღმრთისმსახურების დროს, უფრო ზუსტად კი, სვინაქსრის წაკითხვის ჟამს, „თურქთაგან დაჭრილი“ ქრისტიანი მოლაშქრეების დალოცვის ტექსტს წარმოთქვამდა და უფალს მათთვის ცოდვების მიტევებას შესთხოვდა.

### **№ 224 ალაპის განსაწესებელ დღედ 6 მაისის შერჩევა**

შუა საუკუნეების ქართულ ეკლესია-მონასტრებში ამა თუ იმ პირის ან პირებისათვის ალაპის განსაწესებელი დღის შერჩევა სხვადასხვა პრინციპითა თუ მიზეზით ხდებოდა. ასე მაგალითად, კონკრეტული პირისათვის ალაპი შეიძლებოდა განაწესებინათ მისი გარდაცვალებისა თუ შემონახვების დღეს, ან კიდევ, იმ წმიდანის ხსენების დღეს, რომლის მიმართაც მოცემულ პირს განსაკუთრებული სასოება ჰქონდა.

„თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქრისათვის“ № 224 ალაპის განსაწესებელ დღედ მაინც-ადამაინც 6 მაისის შერჩევის მიზეზი ალაპის ტექსტში პირდაპირ არის დასახელებული. როგორც ირკვევა, ალაპი, სახელდობრ, 6 მაისს იმიტომ განაჩინეს, რომ ჯვრის მონასტრის კრებულმა ათაბაგ ივანე I-ის მიერ ალაპის განსაწესებლად გამოგზავნილი „ფასი“ ანუ თანხა ზუსტად ამ დღეს – 6 მაისს მიიღო: „თუესა მაისსა ვ (6). აქა მოგვკვიდა ფასი ივანე ათაბაგისაგან თურქთაგან დაჭრილთათვის... და გაკჩინეთ დალოცვა მე, მამამან პიმენ და კრებულმან“.

ამგვარად, დგინდება, რომ ჯვრის მონასტრის კრებულმა ყარა-ყოინლუს თურქმანების მიერ 1416 წლის 3 ივლისს ქალაქ ახალციხეში დახოცილ და ნაწილებად დაჭრილ ქრისტიან მოლაშქრეებს № 224 ალაპი ამ ალაპის განწესებისათვის საჭირო თანხის მიღების დღეს ანუ 6 მაისს განუჩინა.

### **№ 224 ალაპის დათარიღება**

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ელენე მეტრეველის მართებული მოსაზრებით, № 224 ალაპი განწესებული იყო ჯვარის მამა პიმენის მიერ, რომელსაც ჯვრის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობას 1410-იან წლებში ფლობდა. შესაბამისად, სავსებით ცხადია ისიც, რომ მკვლევარი ალაპს იმავე 1410-იანი წლებით ათარიღებდა.

მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ № 224 ალაპი ყარა-ყოინლუს თურქმანების მიერ 1416 წლის 3 ივლისს ქალაქ ახალციხეში დახოცილი და ნაწილებად დაჭრილი ქრისტიანი მოლაშქრეებისათვის იყო განწესებული, შევეცდები, შეძლებისდაგვარად, დავავინროვო ალაპის ელენე მეტრეველის მიერ დადგენილი ათწლიანი ქრონოლოგიური ჩარჩო და კიდევ უფრო ზუსტად განვსაზღვრო მისი განწესების თარიღი.

აღნიშნული მიმართულებით მუშაობისას, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ელენე მეტრეველის ერთი საინტერესო დაკვირვება, რომელიც ზემოთ უკვე მქონდა მოხმობილი. ამ დაკვირვების თანახმად, შუა საუკუნეების ქართულ ეკლესია-მონასტრებში გარდაცვლილი პირისა თუ პირებისათვის ალაპების განწესება, როგორც წესი, მათი გარდაცვალებიდან სულ მოკლე ხანში ხდებოდა ხოლმე. თუ ელენე მეტრეველის ეს დაკვირვება სწორია, რაც ნამდვილად ასე ჩანს, მაშინ გამოდის, რომ ჯვრის მონასტრის კრებულმა „თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქრისათვის“ ალაპი სულთან ყარა-იუსუფის მიერ ახალციხის აღებიდან მცირე ხნის შემდეგ ანუ 1416 წლის 3 ივლისის შემდგომ ახლოხანებში განაწესა.

მეორე მხრივ, ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ „თურქთაგან დაჭრილ მართალმადიდებელთა ლაშქრისათვის“ ალაპის განსაწესებლად საჭირო თანხა ჯვრის მონასტრის კრებულმა 6 მაისს მიიღო და ალაპიც იმავე 6 მაისს განაჩინა. შესაბამისად, ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი, დავასკვნი, რომ განსახილველი ალაპის განწესებას 1416 წლის 3 ივლისის მომდევნო პირველივე 6 მაისს, უფრო ზუსტად კი, 1417 წლის 6 მაისს ჰქონდა ადგილი.

ამგვარად, დგინდება, რომ ჯვრის მონასტრის წინამძღვარ პიმენისა და მონასტრის კრებულის მიერ



ყარა-ყოინლუს თურქმანთაგან 1416 წლის 3 ივლისს ქალაქ ახალციხეში დახოცილი და ნაწილებად დაჭრილი ქრისტიანი მოლაშქრეებისათვის განწესებული № 224 აღაპი 1417 წლის 6 მაისით თარიღდება.

## შენიშვნები

- 1 ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის „ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთში (ქრისტიანული საღვთო ომი და ისლამური ჯიჰადი)“ (FR17\_138) ფარგლებში. იგივე ნაშრომი მოხსენების სახით არის წაკითხული 2019 წლის 13 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე „საქართველო ისლამისა და ქრისტიანობის გზაჯვარედინზე“.
- 2 შდრ.: „[თუესა მაისსა ვ (6)]. აქა მოგვკიდა ფაფი ივანე ათაბაგის(ა)ნ თურქთაგ(ა)ნ დაჭრილთათ(ვ)ს კვრიკობის თუჯესდ სამსა მისთა ლაშქართა მართლმადიდებელთა შეუნდვენ ღმერთმან. და გაუჩინეთ დალოცვა მე მ(ა)მ(ა)მ(ა)ნ პიმ(ე)ნ და კრებულმ(ა)ნ, ნუვინ დააკლოს, შეუნდვენ ღმერთმან“ (მეტრეველი 1962: 99).
- 3 სამწუხაროდ, აღაპში მითითებული არ არის, თუ, სახელდობრ, რომელი ფულადი ერთეული იგულისხმება „ივანე ათაბაგის“ მიერ ჯვრის მონასტრისათვის გაგზავნილ „ფასში“. გარდა ამისა, აღაპში არც ის არის ნათქვამი, თუ, ზუსტად, რა ოდენობის თანხას შეადგენდა ეს „ფასი“. დასასრულ, აღაპიდან არ ჩანს, თუ, კონკრეტულად, ვინ ჩაიტანა ეს „ფასი“ იერუსალიმში – „ივანე ათაბაგის“ მიერ საგანგებოდ ამ მიზნით გაგზავნილმა პირმა, ჯვრის მონასტრის კრებულის რომელიმე წევრმა, რომელიმე იმხანად საქართველოში იყო ჩამოსული თუ ვინმე სხვა პირმა, მაგალითად, წმიდა მიწის მოსალოცვად ნიმაჯალმა რომელიმე პილიგრიმმა.
- 4 თოვმა მენოფეცის ცნობით, თავდაპირველად იუსუფი ქრისტიანების მიმართ სიძულვილით იყო შეპყრობილი. ერთხელ მან ძაღლის ძვლები აიღო და იმ ქვევრებში ჩაყარა, საიდანაც თავრიზელი ქრისტიანები, მათ შორის, სომხები, წყალს სვამდნენ. იმ ღამეს იუსუფმა სასწაულებრივი სიზმარი იხილა: იგი, უფლის ბრძანებით, ანგელოზებმა აიტაცეს, ჯოჯოხეთში გააქროლეს და აჩვენეს, თუ როგორ იწვოდნენ მარადიულ ცეცხლში მუჰამედი და მისი მიმდევრები. ამის შემდეგ ანგელოზებმა იუსუფი სამოთხეში წაიყვანეს და აჩვენეს, თუ როგორ იმყოფებოდნენ სასუფეველში ქრისტეს რჯულის აღმსარებლები. სულ ბოლოს ანგელოზებმა იუსუფი ქრისტეს წინაშე წარადგინეს. შეძრწუნებულმა იუსუფმა უფალს ცოდვათა მითევება შესთხოვა და ქრისტეს რჯულზე მოქცევა აღუთქვა. სასწაულებრივი სიზმარი მეყსეულად შეწყდა, იუსუფმა საშინელი ხმით შეჰყვირა, ხოლო შემდეგ, ჯერ კიდევ მძინარემ, აღსარების სიტყვების წარმოთქმა დაიწყო. იუსუფის ძილი სამ დღესა და ღამეს გაგრძელდა, სამი დღე-ღამის შემდეგ კი მან გაიღვიძა და სპარსულ ენაზე ქრისტეს განდიდებას შეუდგა. სასწაულებრივი სიზმრის ნახვიდან რამდენიმე დღის შემდეგ იუსუფი თავრიზში მოღვაწე სომეხ სასულიერო პირთან – ვარდაპეტ სტეფანოსთან მივიდა, სიზმრის შესახებ უამბო და მისი ხელით მოინათლა. ამის შემდეგ იუსუფმა თავრიზის ქუჩებში სიარული დაიწყო: იგი დოღს სცემდა და ქრისტეს რჯულს დაუფარავად ქადაგებდა. განრისხებულმა თავრიზელმა მუსლიმებმა, ხან დაყვავებთ, ხან კიდევ, მუქარით, არაერთგზის სცადეს, რომ იუსუფი ისლამს დაბრუნებოდა, თუმცა, როცა დარწმუნდნენ, რომ ეს მცდელობები უშედეგო იყო, იგი აქლემზე შესვეს, მთელი თავრიზი შემოატარეს და ბოლოს სასტიკად აწამეს. იუსუფი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა: იგი ახლობლებს ორმოცი დღის განმავლობაში ტყავში ჰყავდათ გახვეული და ისე მკურნალობდნენ. გამოჯანმრთელების შემდეგ იუსუფი მოგზაურობას შეუდგა. იგი რიგრიგობით ეწვია ილხანთა სახელმწიფოს დედაქალაქ სულთანის, შუა აზიის უდიდეს ქალაქ სამარყანდს, „ცეცხლთაყვანისმცემელთა ქვეყანას“, სახელოვან ქალაქ ბაღდადს, შიიტების წმიდა ქალაქ მეშედ-ალისა და ყარა-ყოინლუს თურქმანთა კუთვნილ ქალაქ არქემს, სადაც ქრისტიანობას კვლავ დაუფარავად ქადაგებდა. ქრისტეს რჯულის დიად აღმსარებლობის გამო იუსუფი მრავალგზის აწამეს და ტანჯეს როგორც მუსლიმებმა, ისე ცეცხლთაყვანისმცემელებმა და ნესტორიანმა ქრისტიანებმაც კი, თუმცა მან ყველა განსაცდელს გაუძლო და ბოლოს, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ქალაქ ახალციხეს მიაღწია (მენოფეცი 1987: 51-53).
- 5 შდრ.: (ჟორდანი 1897: 223; ოდიშელი 1968: 27; ბრეგაძე 1973: 296). კინკლოსური მინაწერი შესრულებულია ხელნაწერის 110r-ს ქვედა არშიაზე, 532-წლიანი პასქალური ცხრილის („სრული ქრონიკონის“) რიგით 115-ე ანუ ქრისტეშობიდან 1427 წლის აღმნიშვნელი დანაყოფების განივი მწკრივის („გ | მტ | გ | აპ | იგ | დდ | ა | აპ | კ | ლ“) ქვემოთ. კინკლოსური მინაწერის შესრულების ადგილიდან გამომდინარე, შეიძლება, გაჩნდეს აზრი, რომ ამ მინაწერში მოთხრობილ ამბავს ანუ ახალციხის „ამოგდებას“ 1427 წელს ჰქონდა ადგილი. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ, მაგალითად, ჯუმბერ ოდიშელი და თამარ ბრეგაძე, რომლებმაც კინკლოსური მინაწერი სწორედ 1427 წლით დაათარიღეს (ოდიშელი 1968: 27; ბრეგაძე 1973: 296). თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კინკლოსური მინაწერის წინ დასმულია წერტილების რიგი, რომელიც ჯერ განივად მიუყვება 110r-ს ქვედა არშიას, შემდეგ ზემოთ აუყვება მარჯვენა არშიის ქვედა ნახევარს და ბოლოს სრულდება 532-წლიანი პასქალური ცხრილის („სრული ქრონიკონის“) რიგით 105-ე ანუ ქრისტეშობიდან 1417 წლის აღმნიშვნელი დანაყოფების განივი მწკრივთან („ე | ფბ | კბ | აპ | დ | დდ | ა | აპ | ია | ც“). ამგვარად, წერტილების რიგის დახმარებით, მინიშნებულია, რომ კინკლოსურ მინაწერში მოთხრობილი ამბავი 1417 წლით თარიღდება. აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ კინკლოსური მინაწერის წინ დასმულ წერტილების რიგს ჯერ კიდევ თედო ჟორდანიამ მიაქცია ყურადღება და საკვებით მართებულად დაასკვნა, რომ კინკლოსური მინაწერის თანახმად, ახალციხის „ამოგარდნას“ 1417 წელს ჰქონდა ადგილი (ჟორდანი 1897: 223). ცალკე საუბრის საგანია ის საკითხი, თუ რამდენად მართებულია კინკლოსური მინაწერის ცნობა, რომ „თურქებმა“ ანუ სულთან ყარა-იუსუფის მეომრებმა ახალციხე 1417 წელს „ამოაგდეს“. დღეისათვის თედო ჟორდანიას, ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა მიერ არგუმენტირებულად არის დადგენილი, რომ კინკლოსური მინაწერის ეს ცნობა მცდარია და ყარა-იუსუფმა ახალციხე არა 1417 წელს, არამედ 1416 წელს აიღო (ჟორდანი 1897: 223; ჯავახიშვილი 1982: 256 და სხვა).
- 6 როგორც ვხედავთ, „პარიზის ქრონიკაში“ სულთან ყარა-იუსუფის მიერ ახალციხის „ამოწყვეტა“, შეცდომით, 1414 წლით



- არის დათარიღებული. ამ შეცდომაზე „პარიზის ქრონიკის“ გამომცემელმა – გიული ალასანიამ საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება (ალასანია 1968: 27).
- <sup>7</sup> როგორც ვხედავთ, „ჟამნი № 2-ის“ ქრონიკალური ცნობა სულთან ყარა-იუსუფის მიერ ახალციხის „ამონყვედას“, „პარიზის ქრონიკის“ მსგავსად, შეცდომით, 1414 წლით ათარიღებს.
- <sup>8</sup> ივანე ჯავახიშვილმა იუსუფისა და ახალციხელი ახალგაზრდების მიერ ღორის ძვლების მეჩეთში შეყრა, სავსებით სამართლიანად, „უგუნურ“, „აღმაშფოთებელ“ და „უგვან“ საქციელად შეაფასა (ჯავახიშვილი 1982: 256).
- <sup>9</sup> ივანე ჯავახიშვილის აზრით, ძნელი სათქმელია, ყარა-იუსუფი მართლაც აღაშფოთა ახალციხელი ქრისტიანების მიერ მუსლიმების შეურაცხყოფის ამბავმა თუ მან მხოლოდ მარჯვედ გამოიყენა ეს ფაქტი სამცხის სამთავროს წინააღმდეგ ლაშქრობის მოსაწყობად (ჯავახიშვილი 1982: 256).
- <sup>10</sup> ის ფაქტი, რომ ახალციხელმა მუსლიმებმა ყარა-ყოინლუს თურქმანთა ლაშქარს ქალაქი უბრძოლველად გადასცეს, ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილს აქვს შენიშნული. მკვლევარი ახალციხელ მუსლიმთა ამ ქმედებას „შინათგამცემლობას“ უწოდებს (ჯავახიშვილი 1982: 256).
- <sup>11</sup> თუ თოვმა მენოფეცის „მეშარებში“ დაცული ცნობა სწორია და სულთან ყარა-იუსუფის მიერ ახალციხიდან ტყვედ წაყვანილი ქრისტიანი ქალებისა და ბავშვების რიცხვი მართლაც 6000 კაცს აღემატებოდა, მაშინ გამოდის, რომ 1416 წლისათვის ახალციხეში, დაახლოებით, 10 000 ქრისტიანი ცხოვრობდა. ხოლო თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმავე თოვმა მენოფეცის „ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისას“ მიხედვით, ყარა-იუსუფის თავდასხმის დროისათვის ახალციხეში საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი მუსლიმური თემიც მკვიდრობდა (მათთვის ქალაქში მეჩეთიც კი მოქმედებდა), საბოლოოდ დგინდება, რომ 1416 წელს ქალაქ ახალციხის მოსახლეობის საერთო რაოდენობა, დაახლოებით, 15000 კაცს აღწევდა (ამ რიცხვში იგულისხმებიან როგორც ქალაქში მცხოვრები ქრისტიანები ანუ ეთნიკური ქართველები და სომხები, ისე მუსლიმები და სავარაუდოდ, ებრაელებიც, რომლებიც, ტრადიციულად, შუა საუკუნეების საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში სახლობდნენ).
- <sup>12</sup> ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, ყარა-იუსუფის მიერ 1416 წელს ახალციხის აღება და ადგილობრივი ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტა უფრო „შურისძიებასა და თავდასხმას“ ჰგავდა, ვიდრე „ომს“ (ჯავახიშვილი 1982: 256), ალექსანდრე აბდალაძის აზრით კი, ყარა-იუსუფის მიერ 1416 წელს ახალციხის აღებასა და დარბევას, შესაძლოა, შემდეგი მიზეზები ჰქონდა: 1. როგორც ჩანს, საქართველოს მეფე ალექსანდრე I (1412-1442 წწ.) ყარა-იუსუფს ხარკს უხდიდა, ხოლო ათაბაგი ივანე I ყარა-ყოინლუს თურქმანთა მოხარკეობაზე, სავარაუდოდ, უარს ამბობდა; 2. ყარა-იუსუფსა და ათაბაგ ივანე I-ს შორის გარკვეული წინააღმდეგობა სასაზღვრო ტერიტორიების გამოც უნდა ყოფილიყო; და 3. ყარა-იუსუფი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მეფე ალექსანდრე I-მა 1414/1415 წლებში კობტასთავთან გამართულ ბრძოლაში ათაბაგ ივანე I-ის დამარცხების შემდეგ სამცხის სამთავრო დაიმორჩილა და საპირისპიროდ ამისა, სურდა, სამცხე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია (აბდალაძე 1978: 139).
- <sup>13</sup> შდრ.: „[თუესა მაისსა ე (5)]. ამასვე დღესა აღაძი ათაბ(ა)გისა ი-ვანეს დისა დედოფლისა ნათია-ყოფილისა ნისიმესი, შეუნდვენ ღმერთმან. გაუჩინეთ წმიდისა ირინეს დღლ(ე)სასწაულსა (!) წირვა და ალაპი, და რაცა წაიგოს მ(ა)ს დღეს(ა)დ მისთ(ვ)ს, შეუნდვენ ღმერთმან“ (მეტრეველი 1962: 99).

## **დამონშებანი**

- აბდალაძე 1978:** სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარნების) ცნობები საქართველოს შესახებ. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბილისი, მეცნიერება.
- აბულაძე 1973:** ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, მეცნიერება.
- ალასანია 1980:** ცხოვრება საქართველომსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, მეცნიერება.
- ბრეგაძე 1973:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ. ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.
- გაბიძაშვილი 1968:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი IV. სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII საუკუნეები). გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.
- ლომინაძე 1979:** ბ. ლომინაძე. საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. ღონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის. ალექსანდრე I დიდი. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. ტომის რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა, თბილისი, საბჭოთა საქართველო.
- მეტრეველი 1962:** ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII საუკუნეები), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- მენოფელი 1937:** თომა მენოფელი. თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფესორ ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მენოფეცი 1987:** თოვმა მენოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბილისი, მეცნიერება.
- ნინიძე 1998:** დ. ნინიძე. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობები XV საუკუნის I ნახევარში. ალექსანდრე I დიდის დიპლომატია. წგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II ნაწილი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**ოდიშელი 1968:** მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბილისი, მეცნიერება.

**ორბელიანი 1991:** სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, მერანი.

**ჟორდანიას 1897:** ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

**რეხვიაშვილი 1992:** მ. რეხვიაშვილი. სამცხის სამთავრო. XIII-XVI საუკუნეები, თბილისი, განათლება.

**ჯავახიშვილი 1982:** ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი მესამე. ნაწილი მეორე (XV საუკუნე). წგნ.: ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**A-85:** კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ქართული ხელნაწერი წიგნების A კოლექცია. ხელნაწერი № 85.

## **AN AGAPE-RECORD SET IN THE GEORGIAN HOLY CROSS MONASTERY OF JERUSALEM BY IVANE JAKELI I, THE ATABEG OF SAMTSKHE (“AN AGAPE-RECORD SET IN MEMORY OF THE CHRISTIAN ORTHODOX WARRIORS MUTILATED BY THE TURKS”)**

**Temo Jojua**

An agape-record № 224 written on folio 203r of the 11th-century Synaxarion (Jer. 24-25), which belonged to the Georgian Holy Cross Monastery in Jerusalem, has been studied from the point of view of history and source studies. The agape-record narrates that Ivane I Jakeli, Atabeg of Samtskhe (1390-1440s), donated certain sum of money to the brethren of the Holy Cross Monastery. Superior Pimen (1410s) and brethren of the monastery have established a memorial service for commemoration of Christian warriors in service of Atabeg Ivane I, “mutilated” by the “Turks” on July 3, in exchange for the above donation. One day annually (May 6) was set aside as a day for holding the memorial service.

Based on the analysis of the above-mentioned agape-record, I have arrived to the following conclusions:

1. The agape record contains the word “mutilated” or cut into pieces. According to the text, Christian warriors in service of Atabeg Ivane I were killed and mutilated by the “Turks”.

2. Up till now, the following consideration was accepted: the agape record narrated history of a battle fought in 1393 in Samtskhe during Tamerlane’s invasion. The study has shown that the record concerns a totally different historical fact: seizure and devastation of the city of Akhaltsikhe during the jihad of 1416 launched by Sultan Abu Nasr Qara Yusuf, the ruler of the Kara Koyunlu dynasty, against the Principality of Samtskhe.

3. The agape record is the ninth written source containing information about seizure of Akhaltsikhe in 1416. Apart from that, the record provides two new accounts, unknown earlier:

a) Sultan Abu Nasr Qara Yusuf seized Akhaltsikhe on July 3, 1416.

b) Apart from the peaceful citizens, warriors of Atabeg Ivane I were among the Christians killed and mutilated by the Turkomans. These warriors were probably the city guards. The feudal lords of Meskheti, who were the military officers stationed in Akhaltsikhe at the time of Abu Nasr Qara Yusuf’s attack, were also killed.

4. Brethren of the Holy Cross Monastery set aside one day for blessing the Christian warriors killed and mutilated in the city of Akhaltsikhe: on May 6, when reading the Synaxarion during the Divine Services, the brethren said the appropriate prayer of blessing and asked God to relieve sins of the killed warriors.

5. The agape-service for Christian warriors “mutilated by the Turks” was set on May 6, the day when the brethren of the Holy Cross Monastery received the donation from Atabeg Ivane I.

6. Up till now, the scientific papers suggested 1410 as a date when the agape-service was set. Based on my study, this date has been defined more precisely as May 6, 1417.

**პრეზენტაცია სამეცნიერო  
ფორუმზე**

**PRESENTATION  
AT SCIENTIFIC FORUM**





## ქართული ერი XIX საუკუნეში ეთნოსიბოლოისტური თვალთახედვით<sup>1</sup>

მარიამ ჩხარტიშვილი

მოგესალმებით კოლეგებო!

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კონფერენციის ორგანიზატორებს ასეთი საინტერესო სამეცნიერო ფორუმის ორგანიზებისათვის, იმისათვის, რომ საშუალება მომეცით მონაწილეობა მიმეღო მასში.

მინდა მივულოცო ბატონ ლადოს საიუბილეო თარიღი, დავუდასტურო ჩემი დიდი პატივისცემა, ვუსურვო ყოველივე საუკეთესო. მისი მხნეობა ყველას ოპტიმიზმით გვაკვსებს იმის გამო, რომ ვრწმუნდებით: 80 წელიც ახალგაზრული ასაკია.

როგორც უკვე ვთქვი, კონფერენცია ძალიან საინტერესოა წარმოდგენილი მოხსენებების თვალსაზრისით. ის საინტერესო გამოვიდა, ჩემი აზრით, იმის გამო, რომ პრობლემა იყო კარგად დასმული. მეცხრამეტე საუკუნე, მართლაც, ეპოქათა მიჯნა გახლავთ მთელი ევროპისათვის და, მათ შორის, საქართველოსათვისაც.

თითოეულ თქვენგანს ამის საჩვენებლად აქვს სათანადო არგუმენტები. მე მინდა, ჩემის მხრით, ზოგი დამატებითი შტრიხი შევძინო საერთო სურათს. კონკრეტულად, ვაპირებ ვილაპარაკო ამ ეპოქის ყველაზე მთავარ მახასიათებელზე – ქართველთა ეროვნულ კონსოლიდაციაზე, პროცესზე, რომელიც თავს უყრის ამ დროს მომხდარ ყველა კერძობით ფაქტს.

მაგრამ საუბარს კონკრეტულ პროცესზე ვერ დავინწყებ, თუ თავიდანვე *ეჩის* დეფინიციას არ დავუთმე ყურადღება. ერები ადამიანთა ერთობებია, ძალიან დიდი ჩვენ-ჯგუფებია, შესაბამისად, რთული სოციალური ფენომენებია. ამიტომ მათი დამზერა შეუიარაღებელი თვალით ანუ შესაბამისი ინტელექტუალური ინსტრუმენტარის ანუ თეორიის მოშველიების გარეშე შეუძლებელია.

სოციალური ჯგუფების ინტერპრეტაციას შეიძლება ორგვარად მივუდგეთ ესენციალისტურად და კონსტრუქციონისტურად. ორივე ამ მიდგომას მრავალი სხვადასხვა ტერმინით იხსენიებენ სპეციალურ ლიტერატურაში და მათი ვრცელი დახასიათებებიც არსებობს. მე ამჯერად მოკლედ ვიტყვი: ესენციალიზმი გულისხმობს ჯგუფის სუბსტანციურობის მქონე არსად გააზრებას ანუ მის იდენტობის მარკერთა არსებობას მასში გაერთიანებული წევრების ნებისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად; კონსტრუქციონიზმი, პირიქით, არ ცნობს ჩვენ-ჯგუფის სუბსტანციურობას და მიიჩნევს, რომ ჯგუფების იდენტობას ძერწავენ ამ ჯგუფთა კულტურული ელიტები. თუ როგორ აკეთებენ ამას, აქ არის განსხვავებები და ამის მიხედვით გამოყოფენ ზომიერ და უკიდურეს კონსტრუქციონისტებს.

ერების შემთხვევაში ეს მიდგომები უკავშირდება ერების, როგორც სოციალური ფენომენების, ისტორიულობა/არაისტორიულობის საკითხსაც. ესენციალისტური მიდგომით ერები აისტორიულია, ისინი ბიოლოგიური სახეობის მსგავსად უძველესი დროიდან დღემდე უცვლელად არსებობენ. ჟამთასვლას არავითარი გავლენა არა აქვს მათ რაობაზე. კონსტრუქციონისტების მიხედვით ერები კულტურული ელიტების ცნობიერი შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენენ. ეს ელიტები ქმნიან შესაბამის ნარატივებს, რომელსაც ავრცელებენ ჯგუფის წევრებს შორის შესაბამისი საშუალებების (უნიფიცირებული განათლების სისტემების, ბეჭდური მედიის და ა.შ.) გზით. კონსტრუქციონიზმი ცნობს ერების ისტორიულობას, რამდენადაც გულისხმობს მათ გარკვეულ ეტაპზე წარმოშობას.

თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში ერების ესენციალისტურ ინტერპრეტაციას ბევრი სპეციალისტი არ იზიარებს. ის მიჩნეულია სინამდვილის არაადეკვატურად ამსახველ მიდგომად, თუმც ფართო მასებში გავრცელებულია ერის ესენციალისტური ინტერპრეტაცია. საქმე ისაა, რომ ეს ხედვა აიოლებს ინდივიდის მიერ გარკვეულ ჯგუფთან თავის იდენტიფიკაციას, რადგან ესენციალიზმი მდგრად და უცვლელად არსებულ ჩვენ-ჯგუფს გულისხმობს. ამგვარი ხედვის კულტივირებას ფართო მასებში ხელს უწყობენ ნაციონალისტი ლიდერებიც, რომელთაც სურთ თავიანთი მშობლიური ერთობების დროში უწყვეტობა და იგივერობა აჩვენონ. ეს მათ პროპაგანდას უწყობს ხელს, ამარტივებს კონსოლიდაციას და ნაციონალისტური მუხტის გაჩენას. ამგვარად, ნაციონალიზმი ერის ფენომენს ყოველთვის ჩარმოაჩენს ესენციალისტურად, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ როგორადაც ნაციონალიზმი წარმოაჩენს ერის არსს, ეს ფენომენი ისეთია სინამდვილეში.

ეს რაზეც ახლა გესაუბრებით, ცხადია, ჩემი მიხედვრა არაა. მეც, ისევე როგორც ყველა ქართველ ისტორიკოსს ვინც პროფესიონალი გახდა საბჭოთა პერიოდში, ჯგუფების ესენციალისტური აღქმა მქონდა

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე ანუ იმ დრომდე ვიდრე ხელში არ ჩამივარდა საინტერესო წიგნი ნაციონალიზმზე: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით დაფინანსებული ერთი პროექტის დამუშავებისას დამევალა ქართველთა თვითცნობიერებისა და რელიგიის შესახებ ნაშრომის დაწერა. სწორედ მაშინ მთელი სიმწვავეთ დაისვა ჩემს წინაშე თეორიის პრობლემა. ხსენებული წიგნის წაკითხვამ მოულოდნელი ვითარება წარმოაჩინა ჩემს წინაშე. ქართველმა ისტორიკოსებმა (სხვებმაც) ერთადერთი დეფინიცია ვიცოდით ერის, რომელიც სტალინს უკავშირდება და რომელიც არსებითად ესენციალისტურია. ამ წიგნით, რომლის შემდგენლები და თანაავტორები არიან ბრიტანელი მეცნიერები ენტონი დევიდ სმითი და ჯონ ჰათჩინსონი, აღმოვაჩინე, რომ ერის სხვადასხვა გაგება არსებობს. მოულოდნელობით სავსე იყო კოსტრუქციონიზმთან ჩემი პირველი შეხვედრაც, რადგან არ ვიყავი სოციალური ჯგუფების რაობის ამგვარ ინტერპრეტაციას მიჩვეული.

უკიდურესმა კონსტრუქციონიზმმა, რომელიც ელიტების მიერ ერების სრულიად ვოლუნტარისტულ შექმნას გულისხმობს, არ მიმიზიდა. ამ თეორიის გაჩენა უკავშირდება კონკრეტულ ფაქტებს: ერების ნაწილი, მართლაც, მხოლოდ ახალ დროში, ყოველგვარი წინარე ეთნიკური ისტორიის გარეშე განვითარების, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტის შედეგია, ვოლუნტარისტულად მოაზრებული და ჩამოყალიბებული ელიტების შესაბამისი აქტივობის შედეგად. მიხვდვი, რომ ის აშკარად არ გამოდგებოდა ქართველი ერთობის ისტორიის რეპრეზენტირებისათვის.

ამიტომ მე ავირჩიე ეთნოსიმბოლიზმი, რომელიც კონსტრუქციონისტული მიდგომაა ერების ქმნადობის პროცესის გასააზრებლად, მაგრამ ზომიერია და მოიცავს ელემენტებს, რომლებიც არსებითად შეიძლება არც იყოს ესენციალისტური, მაგრამ ამ კონცეფციის ფარგლებში ასეთ ფუნქციას ატარებს. მისი მთავარი წარმომადგენელი ენტონი დევიდ სმითია.

როგორია ამ მეცნიერის ხედვა ერის რაობისა თუ ერად ქმნადობის პროცესისა?

ძალიან მოკლედ გადმოგცემთ: სმითის აზრით, ელიტები ახალ დროში ქმნიან ერებს (უფრო ზუსტად ეროვნულ იდეას), რომლითაც მსჭვალავენ მასებს. ეს ქმნადობა ხდება არა ვოლუნტარისტულად, არამედ გარკვეული წინარე (ეთნიკური) კულტურული მოცემულობის ფარგლებში და ამ დისკურსში ეპოქის იმპერატივთან ერთად ასახვას პოულობს კონკრეტული კულტურის იმპერატივიც. ელიტების კრეატიული საქმიანობა გამოიხატება არა მათ მშობლიურ ერთობასთან მიმართებით რაიმეს გამოგონებაში, არამედ არსებული კულტურის ახლებურად გააზრებაში, ეპოქის შესატყვისად ეთნიკური ისტორიის ფაქტების სელექციასა და რეინტერპრეტაციაში, ნაციონალურ კონტექსტში მათ გააზრებაში და ნაციონალური შინაარსით მათ ავსებაში.

აქ ორ მომენტზე უნდა გავამახვილო მსმენელის ყურადღება: ენტონი სმითი ნაციონალისტურ დისკურსს პირველ რიგში გაიაზრებს, როგორც კულტურულ დისკურსს. მისი აზრით, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესები თავისი არსით კულტურული პროცესებია, რომელთა დანიშნულება ეთნიკურობის ეროვნულობად გარდაქმნაა. ამგვარი პროცესების წარმართველია კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობათა კულტურული ელიტები. ამიტომ, რომ ეროვნული კონსოლიდაციის ეპოქებს კულტურული რენესანსები უკავშირდება. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჰუმანიტარული ინტელიგენცია: ინტელექტუალთა ფენა, რომელიც ერთობის ღრმა ეთნიკური ფესვების არსებობას წარმოაჩენს და ადგილს უძებნის მას ახალი დროის იდენტობრივ ნარატივში ანუ ეროვნულ იდეაში.

მეორე განმარტება უკვე შეეხება კოლექტიურ-კულტურულ იდენტობას და მის ისტორიზმს.

იდენტობა ინდივიდის მიერ ჯგუფის წევრობის ცნობიერებაა. ეს ცნობიერება ჯგუფის წევრების კოჰეზიას განაპრობებს. სხვადასხვა დროს, ცხადია, შიდა-ჯგუფური შეჭიდულობა სხვადასხვაგვარია. რახან წინა მოდერნის ეპოქის ჩვენ-ჯგუფები სოციალურად სტრატეგიციზირებულია. გამაერთიანებელი იდეები წევრების ნაკლებ რაოდენობას მოიცავს. ახალი დროის დემოკრატიული საზოგადოებები კი სოციალურად ჰომოგენურია, შესაბამისად, ამ საზოგადოებათა წევრების შიდა ბმებიც მეტი მომცველობით და ინტენსივობით ხასიათდება. ერის წევრები არიან მოქალაქეები ანუ თანასწორნი. ამიტომ ერები ყველაზე მეტად კონსოლიდებული ერთობებია. ერების დონეზე სოციალური კოჰეზია სხვა სიძლიერისაა, ეთნიკური ერთობის დონეზე – სხვა.

ახლა ამ თეორიული დისკურსის თვალსაწიერიდან შევხედოთ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს.

საუკუნის დასაწყისიდან საქართველო გახდა რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი, ცოტა ხნის შემდგომ ამას მოჰყვა ანტირუსული სახალხო გამოსვლები, შემდეგ 1832 წლის არისტოკრატიული შეთქმულება. სახალხო აჯანყებებაცა და შეთქმულებაც მარცხით დამთავრდა. რა იყო მარცხის მიზეზი? ცხადია, ძალების სრული უთანასწორობა. მაგრამ მართო ეს არა. აქ უმნიშვნელო როდი გახლდათ ქართული ეროვნული იდეის ჩამოყალიბების დაუსრულებლობა. ამ საუკუნის შუა ხანებიდან იწყება საქართველოს ისტორიაში კულტურული მობილიზაციის არნახულად ღრმა პროცესი. მასში ჩართულია მთელი ქართული კულტურული ელიტა. პროცესის

ნამმართველი და ქართული ეროვნული იდეის მთავარი შემმუშავებელი ილია ჭავჭავაძეა. სწორედ ახალი დროის ქართული კულტურული ელიტა ქმნის ახალ ქართულ ნარატივს. ეს ნარატივი, ცხადია, ერთი ტექსტის სახით არ არსებობს, ის განბნეულია სხვადასხვა ტექსტში, როგორც მხატვრულში, ასევე პუბლიცისტურში, ასევე სამეცნიეროში. ამ ნარატივის მიზანია პასუხი გაეცეს იდენტობის წრთობის თვალსაზრისით ფუნდამენტურ სამ კითხვას: „ვინ ვიყავით“? „ვინ ვართ“? „როგორია ჩვენი მომავალი“? განსაკუთრებული სიღრმით მუშავდება პირველი ორი საკითხი. წარსული, რომელიც სელექციურად ინტერპრეტირდება. ივსება ახალი გმირებით და ახალი წმინდანებით (დიმიტრი თავდადებულით, დიმიტრი ყიფიანი); ხაზი ესმება ქართული კულტურის უნიკალურობას (საგალობლებზე დისკურსით, „ვეფხისტყაოსანზე“ დისკურსით). ესენი წარმოჩნდება ქართულ იდენტობრივ მარკერებად. ქართული ერთობის სოციალური ჰომოგენურობის საკითხი (და ეს, როგორც ვთქვი, უმთავრესია ეროვნული იდეის ცირკულირებისათვის) მუშავდება ბატონყმობის საწინააღმდეგო თემატიკით, წოდებრიობის საწინააღმდეგო დისკურსით. გენდერული თვალსაზრისითაც მარგინალიზების მოსპობის სურვილის გამო აქტუალურობას იძენს დედათა საქმე (როგორც უნოდებდა ქალთა საკითხს ილია). იწყება მთელი ქართველობის განუყოფელ ერთობად კონცეპტუალიზება, ჩნდება კუთხურობის ამოძირკვის მიზნის მქონე დისკურსი, ძველი სიტყვები ივსება ახალი შინაარსით (მამული გაიგება ახლებურად: ფართოდ, სამშობლოს ფარდ ცნებად). იწყება მთის, ხაღხის, გვებკაცის იდეალიზება და რომანტიზება. ქართული იდენტობის ავთენტურობისა და უნიკალობის ჩვენებას ემსახურება მრავალი, ერთი შეხედვით, ვინრო ფოკუსის მქონე თემა: ეროვნული ტანისამოსი, ღვინის ქართულად დაყენების წესი თუ სხვა თუ სხვა. თვითიდენტიფიკაცია ხდება სხვათა პირისპირაც, როგორც *გაჩუდ სხვათა*, ისე *შინაგან სხვათა*. ევროპა კონცეპტუალიზდება როგორც მაგალითი, მაგრამ მისი ნაკლოვანებაც აღინიშნება და ქართველთა უპირატესობანიც ხაზგასმულია. ევროპასთან და აზიასთან მიმართების საკითხი აღიძვრის, რათა ქართველი ერის სიმბოლური გეოგრაფია დადგინდეს. ერის გააზრება ხდება ევროპული მატრიცით, ერის რენანისეული დეფინიცია ილიას ალაფრთოვანებს, რადგან მისი იდეები დიდი ფრანგი მოაზროვნის იდეებს ემთხვევა. ქართველობა გაიზრება წმინდა ერთობად, საზიარო მორალური ვალდებულებების თანაზიარებად ქრისტეში. ტრადიციული ეთნიკური მარკერების ანუ ენის, სამშობლო მიწის, სარწმუნოების კონცეპტუალიზება ხდება ეროვნულ კონტექსტში, წინ წამოინევა კოლექტიური მახსოვრობა და მასზე, როგორც მარკერზე, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება.

ყველა ეს თემა უნივერსალურია ნაციონალიზმის იდეოლოგიისათვის. ამ მარკერების მიხედვით ყალიბდებოდნენ ევროპული ერებიც. თუმც ქართული გამოცდილება ზოგი ახალი ნიუანსით ავსებს ამ თემების ტრადიციულ რეპერტუარს.

იდეები დეტალურად მუშავდება ილია ჭავჭავაძის მიერ, ვრცელდება მის თანამოაზრეებში, რომელთაც თავისი წვლილიც შეაქვთ მათ შემდგომ დახვეწაში; ეს იდეები არ რჩება ელიტაში. ელიტა ზრუნავს, რომ ისინი გავრცელდეს მასებში განათლების სისტემის მოწესრიგების, განსაკუთრებით კი, მედიის გამართვის გზით. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს „ივერიას“, რომელსაც ასევე ილია გამოსცემს და მეურვეობს.

ზემოთ წარმოდგენილი ვითარება სწორედ ის პროცესია, რომელსაც მრავალი ერის გამოცდილების საფუძელზე აღწერს ეთნოსიმბოლიზმი, როგორც ეროვნულ დონეზე კულტურულ თვითგამორკვევას.

შიდა-ჭგუფური სოლიდარობა არსებობდა წინა მოდერნის დროსაც. ამის გარეშე წარმოუდგენელია ეთნიკური ერთობები, მაგრამ რადგან წინა მოდერნული საზოგადოებები სოციალურად სტრატეფიცირებულნი იყვნენ, სოლიდარობის იდეოლოგია, ბუნებრივია, რომ ვერ მსჭვალავდა საზოგადოების ყველა წევრს თანაბრად.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა კულტურულმა ელიტამ სრულად დაამუშავა ეროვნული იდეა და შექმნა დიდი იდენტობრივი ნარატივი და ამ ნარატივს მასებში ცირკულირების საშუალებაც შეუქმნა. ამგვარად, ელიტური იდენტობა გახდა მასობრივი და გადაიქცა დიდ იდენტობად. მიუხედავად ეკონომიკური განუვითარებლობისა და პოლიტიკური უუფლებობისა, ქართულმა ერთობამ მისი კულტურული ელიტის მეშვეობით მოახერხა მობილიზება და ახალი დროის შესატყვისი თვითიდენტიფიკაცია.

აი, ამ ეპოქის უმთავრესი და უდიდესი შედეგი საქართველოსათვის.

არასოდეს მანამდე არ ყოფილა მსგავსი პერიოდი საქართველოს ისტორიაში! მე ვთვლი, მკვლევლობა წინამურთან, მართლაც, იყო დიდი ეპოქის დასასრული („წინამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“ – გალაქტიონი), ეპოქისა, რომლის არსი, ჩემი აზრით, მოდერნულ დროში ქართული იდენტობის წრთობის ნაციონალური ეტაპის საბოლოო ფორმირებაში მდგომარეობს.

ზოგი ქართველი ისტორიკოსი თვლის, რომ ქართველი ერის არსებობაზე უნდა ვილაპარაკოთ წინამოდერნის ეპოქიდან. ამგვარი დამოკიდებულება ნიშნავს, ჯერ ერთი, ერის ცნების გაუგებრობას, მეორეც, ისტორიული განვითარების უგულებელყოფას. და კიდევ: მეცხრამეტე საუკუნის, როგორც საქართველოს ისტორიაში უდიდესი ტეხილის, ვერდანახვას.

მეცხრამეტე საუკუნე იტევს დიდ სოციალურ-კულტურულ პროცესს: ქართველ ინტელექტუალთა მანამდე არნახულ ძალისხმევას მიმართულს ეროვნული ნარატივის ჩამოსაყალიბებისაკენ და შესაბამისი იდეებით მასების განმსჭვალვისაკენ. ქართული ლიტერატურა იყო ამ ძალისხმევისათვის უპირველესი სარბიელი. ზოგი ერის ისტორიაში ასეთივე როლი ჰქონდა ისტორიოგრაფიასაც, ჩვენთანაც მნიშვნელოვანი იყო ისტორიოგრაფია, ოღონდაც ამ დროს გადამწყვეტი მაინც ლიტერატურა გახლდათ.

მადლობა ყურადღებისათვის!

## **შენიშვნა**

- <sup>1</sup> იბეჭდება ტექსტი მოხსენებისა, რომელიც წაკითხულ იქნა 2019 წლის 28 ივნისს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ლადო მინაშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“.

## **GEORGIAN NATION IN THE NINETEENTH CENTURY FROM THE POINT OF ETHNO-SYMBOLIST APPROACH**

**Mariam Chkhartishvili**

The speech given by the author at the conference dedicated to Professor Lado Minashvili's Jubilee is published.

In the introductory part the ethno symbolist approach to the definition of nations is considered and the relevance of its use for describing Georgian past is argued; then in terms of above mentioned theory the process of modern Georgian nation's building in the nineteenth century is represented in general outlines.



**ქართველოლოგია  
საზღვარგარეთ  
GEORGIAN STUDIES  
ABROAD**



## რობერტ ბლეიკი – პირველი ამერიკელი ქართველოლოგი

### ირაკლი ფერაძე

საქართველოთი და ქართველებით დაინტერესება ადრეული ხანიდან იღებს სათავეს. ანტიკური პერიოდიდანვე გვხვდება საქართველოს შესახებ ცნობები (პეროდოტე, ჰიპოკრატე, არისტოტელე, სტრაბონი, პლინიუსი, ტაციტუსი და სხვ.) განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი სიმდიდრეები, ეთნოგენეზი და სხვ. რა თქმა უნდა, ეს ინტერესი არ განელეზულა შემდგომ ხანებშიც. არაერთგზის გვხვდება ქართველების შესახებ ინფორმაცია მომდევნო პერიოდების ბიზანტიურ, სომხურ, სპარსულ, არაბულ, თურქულ წყაროებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვიანი შუა საუკუნეების ევროპული წყაროები საქართველოსა და ქართველების შესახებ. მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვებს ევროპელმა მოგზაურებმა: არქანჯელო ლამბერტიმ, ქრისტოფორო კასტელიმ, ჯუდიჩე მილანელმა, ჟოზეფ ტურნეფორმა, ჟან შარდენმა და სხვ.

საზღვარგარეთ ქართველოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ის დაკავშირებულია ფრანგი მეცნიერისა და აკადემიკოსის მარი ბროსეს (1802-1880) სახელთან. მან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიას, როგორც ინტერდისციპლინარულ მეცნიერებას. მოგვიანებით არაერთი უცხოელი მეცნიერის (ევეგენი ბოლხოვიტინოვი, პოლ პეტერსი, ჰანს ფოგტი, ლაიოშ ტარდი, ჯულია ჯეროდი, რობერტ სტივენსონი და სხვ.) ყურადღების ცენტრში ექცევა საქართველოს ისტორია, ლიტერატურა და კულტურა.

ევროპისგან განსხვავებით ამერიკაში ქართველოლოგია უფრო გვიან, XX საუკუნის დასაწყისიდან, იღებს სათავეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველოლოგიურ კვლევებს საფუძველი რობერტ პირპონტ ბლეიკმა (Robert Pierpont Blake) ჩაუყარა.

### ბიოგრაფიული ცნობები და კარიერული საქმიანობა

რობერტ ბლეიკი დაიბადა 1886 წლის 1 ნოემბერს სან-ფრანცისკოში ტრადიციულ ამერიკულ ოჯახში. 1908 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტში მან აიღო ბაკალავრის დიპლომი კლასიკურ ბერძნულ ენასა და ლიტერატურაში. გარდა კლასიკური ბერძნული ენისა, ის იყო დაინტერესებული რომისა და ბიზანტიის ისტორიით, ამიტომაც იმავე წლის შემოდგომაზე გადაწყვიტა მაგისტრატურის გაგრძელება ჰარვარდის უნივერსიტეტში. 1909 წელს აიღო მაგისტრის ხარისხი კლასიკურ ენებსა და ისტორიაში. 1910 წელს კი აბარებს ფინალურ სადოქტორო გამოცდას. ამავე პერიოდში იგი იყო თავისუფალი მსმენელი ფრაიბურგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. გერმანიაში ყოფნის დროს ის ხვდება ედუარდ მაიერს<sup>1</sup> (1855-1930), რომელიც ურჩევს რომ გაემგზავროს სანქტ-პეტერბურგში, რათა გააგრძელოს კვლევები მიხაელ როსტოვცევთან<sup>2</sup> (1870-1852) ერთად. აღსანიშნავია, რომ ამ დროს სანქტ-პეტერბურგი წარმოადგენდა ორიენტალისტიკის უდიდეს ცენტრს.

1911 წელს ბლეიკი უკვე სანქტ-პეტერბურგშია. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უნივერსიტეტში ორიენტალისტიკის უამრავმა ქვედარგმა და პროფესორამ. სწორედ ამ დროს ხვდება პირველად ნიკო მარს (1864-1934), რომელმაც დიდი გავლენა იქონია ბლეიკის შემდგომ პროფესიულ კარიერაზე. მაგრამ იგი მალევე ბრუნდება ამერიკაში. 1912-1914 წლებში იყო პენსილვანიის უნივერსიტეტის ანტიკური ისტორიის ინსტრუქტორი. 1914 წლის გაზაფხულზე ის ბრუნდება რუსეთში, რათა გაიღრმავოს ენების (არაბული, სირიული, სომხური, ქართული) ცოდნა და გააგრძელოს სწავლა ანტიკურსა და ბიზანტიის ისტორიაში (ველფი<sup>3</sup> 1954: 3). მისი პირველი ნაშრომი „ებრაელთა ურთიერთობა აღმოსავლეთ რომის იმპერიის საიმპერატორო კართან 602-634 წლებში“<sup>4</sup> დაიბეჭდა პეტერბურგში 1914 წელს „ხრისტიანსკი ვოსტოკში“. 1916 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში იგი იცავს დისერტაციას თემაზე „კონსტანტინესა და მისი მემკვიდრეების რელიგიური პოლიტიკის შესწავლისათვის“.<sup>5</sup> 1916 წელს დისერტაციის დაცვის შემდეგ ის ბრუნდება რუსეთში და აგრძელებს თავის კვლევებს. იმავე წელს დაპატიმრებულიც იყო, თუმცა როდესაც პოლიციამ მისი წარმომავლობის შესახებ გაიგო, მალევე გაათავისუფლეს.

1918 წელს ბლეიკმა პეტერბურგის უნივერსიტეტში საბუთები შეიტანა მაგისტრის ხარისხის ასაღებად კავკასიის კვლევებში, სადაც მას ზეპირი გამოცდა ჰქონდა, რომლის შესახებ სერგეი ელისევი<sup>6</sup> წერდა:

ფაკულტეტის თითოეული წევრი ვესწრებოდი მის (ბლეიკი) ზეპირ გამოცდას, მე (ელისევი) და ჩემი რამდენიმე კოლეგა ამ დროს დოცენტები ვიყავით, ჩვენ გოცებულნი ვიყავით, თუ როგორ პასუხობდა ახალგაზრდა ამერიკელი კითხვებს (ელისევი 1951: 10).

თითქმის ორ საათიანი ზეპირი გამოცდის შემდეგ იგი წარმატებით ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მან გამოცდები ქართული სიტყვიერების დარგში ჩააბარა (რუხაძე 1968: 3). რობერტ ბლეიკი მოხვდა ნიკო მარის ჯგუფში და მისი ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტიც გახდა. 1918 წლის ზაფხულში რობერტ ბლეიკი

რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მისიით გაემგზავრა კავკასიაში, რომ შეესწავლა და გამოეკვლია ქართული ბიბლიური ხელნაწერები, რომლებიც დაცული იყო საქართველოს მუზეუმებსა და არქივებში (ელისევი 1951: 10). ამ დროს პოლიტიკური სიტუაცია რთული იყო, სულ რამდენიმე თვე იყო გასული რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. აგრეთვე რუსეთის იმპერიის სამხრეთში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, რის გამოც ბლეიკმა უკან, პეტერბურგში, გაბრუნება ვერ მოახერხა. საქართველოში ყოფნის დროს ის მიიწვიეს პროფესორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი ასწავლიდა ეკლესიის ისტორიას (ელისევი 1951: 10), ბიზანტიის ისტორიასა და ბერძნულ ენას (ფეიქრიშვილი, ვაშაკიძე 2012: 271). ის, აგრეთვე, ასწავლიდა გერმანულს თბილისის ერთ-ერთ კოლეჯში. სწორედ თბილისში ყოფნის დროს შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, ნადეჟდა ივანეს ასული კრიჟანოვსკაიას, რომელმაც დაქორწინდა 1920 წლის 7 იანვარს (ვულფი 1954: 4; შანიძე 1988: 228). მალე ის დაბრუნდა ამერიკაში, ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიდა ანტიკურ და შუა საუკუნეების ისტორიას, ბიზანტიისა და ოსმალეთის ისტორიას, ქართულ და სომხურ ენებს. მისი აქტიური პედაგოგიური საქმიანობა ხელს არ უშლიდა წარმატებით ეკვლია შუა საუკუნეების ისტორია და ლიტერატურა, ქართულ-სომხური ხელნაწერების ტრადიცია, ბიზანტიის ისტორია. 1923 წლიდან ბლეიკი ასისტენტ-პროფესორია ჰარვარდის უნივერსიტეტში, პარალელურად კი ლექციებს კითხულობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც მან მიიღო მაგისტრის ხარისხი. 1928 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორია, ხოლო 1930 წლიდან ისტორიის სრული პროფესორი. 1925 წლიდან ლექციების კურსი ჰქონდა ლოველის ინსტიტუტში, ბოსტონში. 1927 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტის ექსპედიციის წევრია სინას მთაზე, 1935 წელს კი იმყოფებოდა ვანში (თურქეთი), სადაც 1915 წელს პროფესორ ნიკო მარს ჰქონდა ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიცია. 1934 წელს მიიღო კალიფორნიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

1928-1937 წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორია, მისი დირექტორობის დროს შეივსო ბიბლიოთეკა უამრავი წიგნით სხვადასხვა თემატიკაზე. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი ჰარვარდის უნივერსიტეტში შექმნილიყო აზიური კვლევების ჟურნალი,<sup>7</sup> აგრეთვე იყო ჰარვარდ-იანჩინის ინსტიტუტის<sup>8</sup> კომიტეტის აქტიური წევრი. 1926 წელს იგი აირჩიეს ხელოვნებისა და მეცნიერების ამერიკული აკადემიის<sup>9</sup> წევრად, 1930 წელს ამერიკის მედივისტიკის აკადემიის<sup>10</sup> წევრად. ბლეიკის თაოსნობით 1940 წელს ვაშინგტონთან ახლოს დააარსდა ბიზანტიის კვლევების (Byzantium Studies) ცენტრი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „დამბართონ ოაქსის სამეცნიერო ბიბლიოთეკა და კოლეჯია“<sup>11</sup> აღნიშნული ცენტრის კვლევითი ქრონოლოგიური ჩარჩო ძირითადად IV-XV საუკუნეებით შემოიფარგლება, და თავისთავად მოიცავს ბიზანტიურ ცივილიზაციასთან დაახლოებული ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, სირია, სლავური სამყარო) ინტერდისციპლინურ კვლევებს. ბიზანტიური კვლევების ცენტრის ეგიდით 1949 წელს ამერიკაში ჩატარდა, სიმპოზიუმი „ურთიერთობები ბიზანტიასა და მის მეზობლებს შორის“<sup>12</sup> რომელსაც რ. ბლეიკი ხელმძღვანელობდა. თავდაუზოგავი შრომის შედეგად ის მრავალ ენას ფლობდა, თავისუფლად საუბრობდა ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ახალ ბერძნულ, ქართულ ენებზე. აგრეთვე იცოდა ლათინური, ძველი ბერძნული, სირიული, ძველი სომხური, ძველი ქართული, არაბული ენები. შესაბამისად, მისი კვლევის სფერო და სივრცე საკმაოდ ფართო იყო.

### რობერტ ბლეიკი და საქართველო (ქართველოლოგიური კვლევები)

რ. ბლეიკის დაინტერესება საქართველოთი და ზოგადად კავკასიით მისი პეტერბურგში პირველი ვიზიტის (1911) დროიდან იწყება. მეცნიერის ინტერესისა და კვლევის სფერო ძირითადად იყო საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობა ბიზანტიურ და აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ბიბლიური ტექსტების ქართული ტრადიციები, ქართული ლიტერატურის ურთიერთობა ბერძნულ, სომხურ სალიტერატურო ტრადიციებთან. სწორედ ამ კვლევებმა განსაზღვრეს მისი მომავალი კარიერაც. 1911-1918 წლებში ის რამდენჯერმე იმყოფებოდა პეტერბურგში, სწორედ მაშინ დაუმეგობრდა ივანე ჯავახიშვილს და მის გარშემო მყოფ სხვა ქართველებს (შანიძე 1988: 228).

ზუსტად დადგენილი არ არის თუ როდის ჩამოვიდა პირველად საქართველოში რობერტ ბლეიკი. ზოგიერთი მკვლევრის მითითებით მეცნიერს, უკვე 1912 წელს უმოგზაურია რუსეთსა და ამიერკავკასიაში (რუხაძე 1968: 3; ფეიქრიშვილი, ვაშაკიძე 2012: 271), ხოლო ტარიელ ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ ბლეიკი, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, 1914 წელს მიავლინეს კავკასიაში (ფუტკარაძე 2014: 252), მზექალა შანიძე მეცნიერის საქართველოში ვიზიტს 1918 წელს უთითებს (შანიძე 1988: 228). უცხოურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ელისევეთან, რომელიც ბლეიკის ახლო მეგობარი იყო და დაწვრილებით აქვს მისი ბიოგრაფია აღწერილი, 1912 ან/და 1914 წლების საქართველოში მოგზაურობაზე არაფერს ამბობს (ელისევი 1951: 10), რობერტ ვულფი კი საუბრობს ბლეიკის არა საქართველოში ვიზიტზე, არამედ სომხეთში, 1911-1912 წლებში (ვულფი 1954: 3).<sup>13</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რ. ბლეიკი 1918-1920 წლებში აქტიურ მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. ამერიკელი ქართველოლოგი შემდგომშიც ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში 1921 წელს<sup>14</sup> (ვულფი 1954: 6) და 1930 წლის ივლისში (კომუნისტი 1930: 4). საინტერესოა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე რ. ბლეიკის ინტერვიუ,<sup>15</sup> იგი აღნიშნავდა:



მე, როგორც აკადემიკოს ნიკო მარის მოწაფეს, თავიდანვე მაინტერესებდა გავსცნობოდი ზოგიერთ ისტორიულ მნიშვნელობის იმ ხელთნაწერებს, რომლებიც თბილისშია დაცული. ჩემთვის ამ შემთხვევაში ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს ორი ძველი ბერძნული ხელთნაწერის გაცნობა. ამ ხელთნაწერებიდან ერთის შინაარსი სრულიად უცნობია. ამერიკელი მეცნიერებისათვის უცნობია აგრეთვე ამ ხელთნაწერების ხასიათიც. მეორე უმთავრესი მიზანი, რომელიც დასახული მაქვს, ეს არის მტკიცე სამეცნიერო კავშირის დამყარება საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებთან. უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა (ჰარვარდი) ჯერ კიდევ ვერ შესძლო საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაემყარებია სისტემატიური კავშირი. მართალია თბილისიდან ჩვენ ვღებულობთ საქართველოს მეცნიერთა ნაშრომებს და თითქმის ყველა საუნივერსიტეტო გამოცემებს, მაგრამ სამაგიეროთ მოკლებული ვართ საშუალებას, რომ სათანადო ეკვივალენტის გამოცემები გამოვუგზავნოთ თბილისის უნივერსიტეტს. მე ვფიქრობ, რომ ჩემი აქ ყოფნის დროს მე შევძლებ საბოლოოდ მოვაგვარო ეს საკითხი. თბილისში ჩემი სამეცნიერო ხასიათის მუშაობისათვის მე დამჭირდება ადგილობრივი სამეცნიერო მუშაკების დახმარება, რისი დიდი იმედიც მაქვს (კომუნისტი 1930: 4).

ამერიკელი მეცნიერი საქართველოში ერთი კვირით იყო ჩამოსული მის ასისტენტთან, დუსონ კადინგ-ტანთან ერთად. საქართველოდან ისინი სომხეთში გაემგზავრნენ (კომუნისტი 1930: 4). როგორც ჩანს, რ. ბლეიკის ვიზიტის მიზანი ქართულ სამეცნიერო წრეებთან საქმიანი ურთიერთობის გადრმავება გახლდათ, რაც გარკვეულწილად მოხერხდა კიდევ, განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. ბლეიკის ურთიერთობა აკაკი შანიძესთან, ივანე ჯავახიშვილთან,<sup>16</sup> კორნელი კეკელიძესთან. ამერიკელი მეცნიერი პროფესიულ საქმიანობაში დიდ დახმარებას უწევდა ქართველ მეცნიერებს. მაგალითად, აკაკი შანიძეს – ხანმეტი პალიმფსესტების შესწავლის საქმეში. თავისთავად რობერტ ბლეიკისთვის უფრო მეტად იყო ხელმისაწვდომი კემბრიჯის, ლონდონის, ოქსფორდისა თუ ევროპა-ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერებით სარგებლობა.

კემბრიჯის უნივერსიტეტში დაცული იყო ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ფურცლები, რომელსაც ძალიან მიაგავდა ოქსფორდის ბოდლეის ბიბლიოთეკაში დაცული ხანმეტი ტექსტი, პირველმა, 1913 წელს ჯონ ოლივერ უორდროპმა მიუთითა ამ გაფანტული ფურცლების ერთი ხელნაწერიდან წარმოშობა. რობერტ ბლეიკისა და აკაკი შანიძის ერთობლივმა პალეოგრაფიულმა მუშაობამ დაადასტურა, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტის პალიმფსესტის ფურცლები ეკუთვნოდა ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცულ ხანმეტ ტექსტს და დროთა განმავლობაში მოხვდა სხვადასხვა ადგილას. აღნიშნული ხანმეტი პალიმფსესტი შეიცავს იერემია წინასწარმეტყველის ფრაგმენტებს. ბლეიკმა ხანმეტი ხელნაწერი 700 წლის ახლო ხანებით დაათარიღა, ხოლო აკაკი შანიძემ ხანმეტ ხელნაწერთა შორის უძველესად მიიჩნია და VI-VII საუკუნეებით (სარჯველაძე 1984: 34; ქუმბურიძე 2000: 84). რობერტ ბლეიკის ქართველოლოგიური მოღვაწეობიდან აღსანიშნავია, ის რომ მან გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართული ბიბლიის შესახებ. მან ცალკე სტატია მიუძღვნა 978 წლის ათონურ (ოშკურ) ნუსხას, დაბეჭდა ოთხთავის ტექსტი ადიშური 897 წლის ნუსხის მიხედვით (შანიძე 1988: 229).

რ. ბლეიკის ნაშრომებიდან ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისა“, და „ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერების“ კატალოგების მეცნიერული აღწერილობა, რომლებიც მხოლოდ ამ გზით გახდნენ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომნი. მის სახელთანაა დაკავშირებული კემბრიჯის უნივერსიტეტში დაცული ქართული ხელნაწერების გამოცემა. მან აღმოაჩინა „ბერთის ოთხთავი“,<sup>17</sup> გამოაქვეყნა ცნობები მის შესახებ და X საუკუნით დაათარიღა (სარჯველაძე 1984: 54). კორნელი კეკელიძე რობერტ ბლეიკის მიერ „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა კატალოგის“ გამოცემასთან დაკავშირებით წერდა:

არ შეგვიძლია სიხარულით არ მივეგებოთ პროფ. Blake-ის ნამოწყებას, რომელიც ავსებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს ჩვენს წარსულთმცოდნეობაში... მისი შრომა დაუფასებელია ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის, მარტო ის რადა ღირს, რომ ჩვენ ახლა ვიცით დაწვრილებით, თუ რა სტატიები და თხზულებებია მოთავსებული ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერებში. ვუსურვოთ ახალგაზრდა მკვლევარს, რომელიც ევროპელ მეცნიერთა შორის საუკეთესო მცოდნეა ძველი ქართული მწერლობისა და რომელიც იმდენად აფასებს ამ მწერლობას, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტამბაში ქართულ განყოფილებადაც კი აწყობს, რომ დაწყებული შრომა მალე მიეყვანოს სასურველ ბოლომდე (კეკელიძე 1926: 270-271).

მართალია, ბლეიკამდე ამ ხელნაწერებზე ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი მუშაობდნენ, მაგრამ მათ მთლიანად ვერ მოახერხეს ხელნაწერების აღწერა და გამოქვეყნება. ამიტომაც კორნელი კეკელიძის სიტყვები ნამდვილად ამტკიცებს ამერიკელი ქართველოლოგის დიდ ღვაწლს.

კორნელი კეკელიძე აგრეთვე შეეხო ბლეიკის კიდევ ერთ სტატიას „სახარების ტექსტები და კორინდეთის ხელნაწერი“, და იზიარებს რ. ბლეიკის აზრს, ქართულ-კოპტურ ახლო კულტურულ ურთიერთობაზე (კეკელიძე 1926: 269-270).

ბლეიკის ერთ-ერთი სტატია „ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან“ დაბეჭდილია ქართულ ენაზე „მიმომხილველში“, რომელშიც გარდა ეფრემ მცირის მოღვაწეობის მეცნიერულად შესწავლისა, გვიყვება თავისი მუშაობის შესახებ, იერუსალიმში ყოფნის დროს 1923-1924 წლების დეკემბერ-იანვარში (ბლეიკი 1926: 157).

ქართულ-სომხური სახარების ტექსტებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის მნიშვნელოვანია ამერიკელი

მეცნიერის ერთი სტატია: „რამდენიმე შენიშვნა ქართული და სომხური სახარების ტექსტების შესახებ“, რომელიც ინგლისურიდან თარგმნა თამილა ებანოიძემ (ბლექი 1989: 297-305).

რობერტ ბლექის ძირითადი კვლევის სფერო მაინც, ქართული თეოლოგიური ლიტერატურა იყო, თუმცა მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი სტატია „ქართული სეკულარული ლიტერატურა, ეპოსი, რომანი, ლირიკა (1100-1800)“, რომელშიც სიღრმისეულად განიხილავს ქართული საერო ლიტერატურის საკვანძო საკითხებს: „ქართლის ცხოვრებას“, „ვეფხისტყაოსანს“, „ამირანდარეჯანიანს“, „ვისრამიანს“, თეიმურაზ I-ისა და არჩილის ნაწარმოებებსა და სხვ. (ბლექი 1933: 25-48).

სიცოცხლის ბოლო წლებში რ. ბლექი გამოსაცემად ამზადებდა წინასწარმეტყველთა წიგნებს ოშკური და იერუსალიმური (XI ს.) ნუსხების მიხედვით, ლათინური თარგმანითურთ. მაგრამ უეცარმა სიკვდილმა (1950) არ დააცალა მას ნაშრომის დასრულება, უკვე აწყობილი ტექსტი კი გამოიცა 1961-1963 წლებში *Patrologia Orientalis*-ის სერიაში (შანიძე 1988: 229; დანელია 1992: 4; ხინთიბიძე 2003: 189-190).

რობერტ ბლექს კარგად იცნობდა მიხაკო წერეთელიც.<sup>18</sup> მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1948 წელს პარიზში დააარსდა ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალი „ბედი ქართლისა“ (ტაბალა 1977: 266). სწორედ აღნიშნულ ჟურნალში 1950 წლის ნოემბერში მიხაკო წერეთელმა გამოაქვეყნა ნეკროლოგი ბლექის შესახებ. იგი წერდა:

1920 წელს მე გავიცანი ახალგაზრდა შვენიერი შესახედავი, ტან-მაღალი ქერა ვაჟკაცი თბილისში. ქართულ უნივერსიტეტში ბერძნულის პროფესორად იყო და თან ქართულის სწავლას განაგრძობდა. შემდეგ იგი დაბრუნდა ამერიკაში და ჰარვარდის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა... და ასწავლიდა სხვა და მათ შორის ქართულს, რომელიც მან კარგად იცოდა, ძველიც და ახალიც (მეტყველებაც კარგად შეეძლო ქართულად), და რომელიც მისთვის რჩეული იყო. განსაკუთრებულ პატივს-სდებდა განსვენებული ქართულს და თვის კვლევათა საგნად მან ქართული ენა და მწერლობა გაიხადა, – განსაკუთრებით უკანასკნელი... ბოლოს კი სწავდა გამოეცა ქართული ბიბლია. ეს გამოცემა მართლაც დიდი საქმე იქმნებოდა, რათგანაც მეცნიერულად გამოცემული ქართული ბიბლია საქართველოშიც არ მოგვეპოვება. მისი სიკვდილით ეს საქმე შეწყდა და ისიც არ ვიცით, დასტოვა თუ არა განსვენებულმა თავისი მოადგილე, მონაწილე, რომელიც მის მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობს და დაასრულებს. განსვენებული კიდევ ვნახე 1932 წელს ბრიუსელში. ბლექი აღარ იყო ის შვენიერი ახალგაზრდა, რომელიც მე გავიცანი თბილისში 1920 წელს, არამედ სიმსუქნის სენის გამო უაღრესად დასხვილებული კაცი. ძლიერ წუხდა, რათგანაც იცოდა, რომ ამ სენისაგან ვეღარ განიკურნებოდა და ის მოულოდნელად მოუღებდა ბოლოს მის სიცოცხლეს (წერეთელი 1950: 3).

ამრიგად, სპეციალისტთა აზრით, რ. ბლექის ქართველოლოგიური შრომები გამოირჩევა მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით. მისი შრომებისათვის გვერდის ავლა გამორიცხულია ძველი ქართული ლიტერატურითა და ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის. მისი თითოეული სტატია, შეხედულება ემყარება სათანადო, მყარ მეცნიერულ საფუძველს. რ. ბლექის ქართველოლოგიურმა მოღვაწეობამ ამერიკაში დიდი პოპულარიზაცია გაუწია საქართველოს – მის კულტურას, ისტორიას, ენას. შესაბამისად, XX ს-ის 40-იანი წლებიდან ჰარვარდის უნივერსიტეტში ისწავლებოდა ქართული ენის პრაქტიკული კურსი. თუმცა აკადემიური ქართულის სწავლება (სახელმძღვანელოთი და შესაბამისი ლიტერატურით) პროფესორ ჰოვარდ არისონის ძალისხმევით ჩიკაგოს უნივერსიტეტში მხოლოდ 1987 წლიდან დაიწყო. 1988 წლიდან კი ქართული ენა ინდიანას უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის პროგრამის ნაწილი გახდა, სადაც მისი სწავლება დღემდე გრძელდება<sup>19</sup> (კიბირია 2008: 71-72).

პროფესორი რობერტ ბლექი იყო მეცნიერი, რომელმაც ამერიკაში ნიადაგი მოუმზადა შემდგომ აქტიურ ქართველოლოგიურ კვლევებს.

## შენიშვნები

- <sup>1</sup> გერმანელი ისტორიკოსი, თეორეტიკოსი. ძირითადად, მისი კვლევის სფერო იყო ანტიკური ისტორია. კითხულობდა ლექციებს ბერლინის, ჰარვარდის, ოქსფორდის, ჩიკაგოსა და სხვა უნივერსიტეტებში. დამატებითი ინფორმაცია იხ: <http://encyclopedia2.thefreedictionary.com/Eduard+Meyer>
- <sup>2</sup> ცნობილი რუსი ელინისტი, წყაროთმცოდნე და არქეოლოგი. იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. დამატებითი ინფორმაცია იხ.: <https://www.britannica.com/biography/Michael-Ivanovich-Rostovtzeff>
- <sup>3</sup> რობერტ ვულფი (1915-1980) ამერიკელი მედიევისტი. იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი.
- <sup>4</sup> „On the relations of the Jews with the Government of the Eastern Roman Empire“ (რუსულ ენაზე).
- <sup>5</sup> „Studies in the Religious Policy of Constantine and his Successors“.
- <sup>6</sup> სერგეი ელისევი (1889-1975) რუსი იაპონისტი და აღმოსავლეთმცოდნე. მოღვაწეობდა ჯერ მეფის რუსეთში, შემდგომ გერმანიაში, საფრანგეთში, იაპონიასა და ამერიკაში.
- <sup>7</sup> Harvard Journal of Asiatic Studies (HJAS), რომელიც გამოდის 1936 წლიდან დღემდე და ერთ-ერთი ავტორიტეტული ჟურნალია აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით.
- <sup>8</sup> Harvard-Yenching Institute, დაარსებულია 1928 წელს და დღემდე ინარჩუნებს ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო-კვლევით ფუნქციას მსოფლიო მასშტაბით.

- <sup>9</sup> American Academy of Arts and Sciences (American Academy), დააარსებულია 1780 წელს. დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ოფიციალურ საიტზე: <https://www.amacad.org/>
- <sup>10</sup> Medieval Academy of America (MAA), დააარსდა 1925 წელს. დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აკადემიის ოფიციალურ საიტზე: <http://www.medievalacademy.org/>
- <sup>11</sup> Dumbarton Oaks Research Library and Collection. დაწვრილებითი ინფორმაცია, ბაზაზე არსებული ბიბლიოთეკის, სამეცნიერო მუშაობისა და მუზეუმების შესახებ იხილეთ: <http://www.doaks.org/>. რობერტ ვულფი სტატიაში ერთ ადგილას აღნიშნავს კიდევ, რომ „დამბართონ ოაკი“ ძალიანაა დავალებული რობერტ ბლეიკისგან“ (ვულფი 1954: 3).
- <sup>12</sup> პირველი სიმპოზიუმი ჩატარდა 1941 წელს, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილეც იყო რ. ბლეიკი. მას შემდეგ სიმპოზიუმმა ტრადიციული სახე მიიღო და დღემდე ტარდება წელიწადში რამდენჯერმე. დამატებითი ინფორმაცია სიმპოზიუმების პროგრამაზე იხილეთ: <http://www.doaks.org/research/byzantine/scholarly-activities/events> № 1940s
- <sup>13</sup> ჩემს მიზანს არ წარმოადგენს გავარკვიო ზუსტი თარიღი თუ როდის იმყოფებოდა პირველად რ. ბლეიკი საქართველოში. თუმცა სათანადო ლიტერატურის შეჯერების შედეგად, ფაქტია რომ მეცნიერი 1918 წელს ნამდვილად სტუმრობდა საქართველოს.
- <sup>14</sup> ივლის-ოქტომბერში რ. ბლეიკი იმყოფებოდა ათონის მთაზე მორგანის სახელობის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, სწორედ ამ პერიოდში იყო იგი თბილისშიც (ელისევი 1951; ვულფი 1954), თუმცა ლიტერატურაში ზუსტი თვე და ხანგრძლივობა არ არის მითითებული.
- <sup>15</sup> დაცულია ავტორის (გაზეთში სტატიის ავტორის ვინაობა არ არის მითითებული) სტილი.
- <sup>16</sup> გამოქვეყნებულია (რუსულ ენაზე) რ. ბლეიკის წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი, რომლებიც 1923-1935 წლებს განეკუთვნება. წერილებიდან იგრძნობა ბლეიკის ძალიან კარგი დამოკიდებულება არამართო ივანე ჯავახიშვილისადმი, არამედ საქართველოსა და ქართველების მიმართ (ახლამანაძე 2000: 57-65).
- <sup>17</sup> „ბერთის ოთხთავი“ 1830 წელს ყარსში შეუქმნიათ ამერიკელ მისიონერებს (ამირანაშვილი 1971: 204), ამჟამად ინახება ბოსტონთან ახლოს პატარა ქალაქ ნიუტონში.
- <sup>18</sup> მიხაკო წერეთელი (1878-1965), ისტორიკოსი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. 1919-1920 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მოღვაწეობდა ევროპაში.
- <sup>19</sup> საზაფხულო სკოლის საყოველთაოდ ცნობილი სახელია Summer Slavic Workshop. პროგრამა ინტენსიურია და რვა კვირას გრძელდება. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ენის პრაქტიკული კურსი სტაციონალურად, გარდა ინდიანას უნივერსიტეტის საზაფხულო პროგრამისა არსად იხსნავლება (ვეყერდნობით ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორ დოდონა კიზირიასთან პირად საუბარს, 2016).

## დამონშებანი

- ალმანახი 2000:** გაზეთ „ქართული უნივერსიტეტის“ დამატება 1, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილს. თბილისი.
- ამირანაშვილი 1971:** შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი.
- ბლეიკი 1926:** რ. ბლეიკი. ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან. მიმოხილველი, ნ., 1. თბილისი.
- ბლეიკი 1933:** R.P. Blake. Georgian Secular Literature, Epic, Romantic and Lyric (1100-1800). Harvard Studies and Notes in Philology and Literature N15. Boston.
- ბლეიკი 1988:** რ. ბლეიკი. „რამდენიმე შენიშვნა ქართული და სომხური სახარების ტექსტების შესახებ“ ინგლისურიდან თარგმნა თამილა ებანოიძემ, გულანი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. თბილისი.
- დანელია 1992:** კ. დანელია. იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთო კორნელი დანელიამ. თბილისი.
- ელისევი 1951:** S. Elisseeff. Robert Pierpont Blake (1886-1950). Harvard Journal of Asiatic Studies, Vol. 14, № 1/2. Jun.
- ვულფი 1954:** R.L. Wolff. Robert Pierpont Blake (1886-1950). Dumbarton Oaks, Trustees for Harvard University, vol. 8.
- კეკელიძე 1926:** კ. კეკელიძე. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. მიმოხილველი, ნ. 1., თბილისი.
- კიზირია 2008:** დ. კიზირია. ქართული ენის სწავლება ამერიკის შეერთებულ შტატებში, IV საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში, მასალები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი.
- კომუნისტი 1930:** გაზეთი „კომუნისტი“. № 162. 12 ივლისი. თბილისი.
- ფეიქრიშვილი, ვაშაკიძე 2012:** ჟ. ფეიქრიშვილი, ი. ვაშაკიძე. მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის. თბილისი.
- რუხაძე 1968:** ტ. რუხაძე. არტურ ლაისტი და რობერტ ბლეიკი თბილისის უნივერსიტეტში, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 15 ნოემბერი. თბილისი.
- სარჯველაძე 1984:** ბ. სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი.
- ფუტკარაძე 2014:** ტ. ფუტკარაძე. ქართველოლოგიის შესავალი. თბილისი.
- ტაბალუა 1977:** ი. ტაბალუა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ., II. თბილისი.
- შანიძე 1988:** მ. შანიძე. რობერტ ბლეიკის წერილები აკაკი შანიძეს. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, № 27. თბილისი.
- წერეთელი 1950:** მ. წერეთელი. გაზეთი „ბედი ქართლისა“, № 8. პარიზი.
- ჭუმბურიძე 2000:** ბ. ჭუმბურიძე. ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ. თბილისი.
- ხინთიბიძე 2003:** ე. ხინთიბიძე. ევროპაში ქართული ლიტერატურის შესწავლისათვის. თბილისი.





რ. ბლეიკი, მარჯვნიდან პირველი.  
 ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზანტიის კვლევების I სიმპოზიუმის შემდეგ, 1941 წ.



გაზეთი „კომუნისტი“ რობერტ ბლეიკის შესახებ 1930 წელს.



რობერტ ბლეიკი  
 (1886-1950)



რობერტ ბლეიკის ხელმოწერა

**ROBERT PIERPONT BLAKE – THE FIRST AMERICAN KARTVELOLOGIST**

**Irakli Peradze**

The article deals with Robert Blake’s (1886-1950) and Kartvelology. He is the first American scientist who founded the Georgian studies in US. He was Professor of Harvard University, Honorary Doctor of the University of California, Member of Scientific Academies of various countries. In 1918-1920 he was a professor at the Tbilisi State University. He read lectures in the history of Church and Byzantine, as well as in the practical Greek language.

Robert Blake, an outstanding American orientalist, was fluent in the European (French, German, Russian), as well as classical and oriental languages (Greek, Latin, Armenian, Georgian, Syriac, Arabic, Persian). He studied history and literature of ancient countries, Byzantine, Georgia, Armenia, Middle East, and topical medieval problems in general.

From Blake’s works to the history of Georgian literature is a very important the catalogues of the Cross Monasteries of Georgians in Jerusalem and the Monastery of Georgians on Mount Athos. These manuscripts became accessible to scientific community through these catalogues.

The name of the scientist is related to numerous articles and a thorough study of Georgian history and literature.

Blake’s works in field of Kartvelology has helped greatly to promotion of Georgian culture in USA. Accordingly, from the middle of the 19<sup>th</sup> cc in Harvard University, practical Georgian language was taught. Blake was a great scholar who prepared the soil in US, followed by active Georgian studies.



**წყაროთა კუბლიკაცია  
და თარგმანი  
PUBLICATION AND  
TRANSLATION OF SOURCES**



## სტეფანე ბურნაშვილის „აზერბაიჯანული ქვეყნები სპარსეთში და მათი პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“

წინასიტყვა, თარგმანი და კომენტარები  
დავით მერკვილაძისა

პოლკოვნიკი სტეფანე ბურნაშვილი 1783-1787 წლებში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ისა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ის კარზე რუსეთის წარმომადგენელი იყო. იგი ამავე დროს გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად საქართველოში შემოსული ორი რუსული ბატალიონის მეთაური გახლდათ.

ხელმძღვანელობისაგან მიღებული მითითების თანახმად, ს. ბურნაშვილმა შექმნა სამი აღწერილობითი ნაშრომი: 1. „საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“, 2. „აღწერა აზერბაიჯანული ქვეყნებისა სპარსეთში და მათი პოლიტიკური მდგომარეობა“, 3. „მთიელ ხალხთა აღწერა“.

პირველი ორი ნაშრომი ავტორმა გამოსცა კურსკში 1793 წელს, სადაც გუბერნატორად იყო დანიშნული (ბურნაშვილი 1793ა; ბურნაშვილი 1793ბ). ხოლო მესამე – ერთი წლის შემდეგ იმავე ტიპოგრაფიაში (ბურნაშვილი 1794). „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ერთ-ერთ წინა ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ს. ბურნაშვილის „საქართველოს სურათის“ ქართული თარგმანი შესავლითა და შესაბამისი კომენტარებით (მერკვილაძე 2016: 144-159). ასეთივე სახით გამოქვეყნებული გვაქვს აგრეთვე სტეფანე ბურნაშვილის მეორე ნაშრომიც „მთიელ ხალხთა აღწერა“ (მერკვილაძე 2019: 108-128).

„აზერბაიჯანული ქვეყნების აღწერა“, რომელიც როგორც ავტორს შეუსრულებია 1786 წელს, თბილისში ყოფნისას, დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა დაკარგულად. დასახელებული ნაშრომი მოგვიანებით იქნა აღმოჩენილი. იგი ს. ბურნაშვილის დანარჩენ ორ თხზულებასთან ერთად გამოქვეყნდა ბაქოში 2017 წელს საერთო სათაურით: „XVIII საუკუნის კავკასია რუსეთის საიდუმლო აგენტის თვალით“ (ბურნაშვილი 2017). აზერბაიჯანელ გამომცემელთა მიერ წინასიტყვაობაში ბურნაშვილის თხზულებაში წარმოდგენილი მთელი რიგი ფაქტები დამახინჯებულადაა განხილული და შესაბამისი დასკვნებიც მეტად არაობიექტურადაა მოწოდებული. აღნიშნული საკითხები დაწვრილებით და კრიტიკულად განვიხილეთ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში (მერკვილაძე 2018: 336-341).

„საქართველოს სურათთან“ შედარებით „აზერბაიჯანული ქვეყნების აღწერა“ მნიშვნელოვნად მოკლეა. „აღწერა“ ზედმინვნით საქმიანია, ყოველგვარი მხატვრული ჩანარების გარეშე. ნაშრომი ეხება სამხრეთ-კავკასიასა და მის სამხრეთით მდებარე ისლამურ სახანოებში არსებულ ვითარებას. ავტორი სათითაოდ აღწერს იმ სახანოებს, რომლებსაც იგი „აზერბაიჯანულად“ მიიჩნევს. გვანჯდის ცნობებს მათ უწინდელ და ავტორის თანამედროვე (XVIII საუკუნის 80-იანი წლების) მდგომარეობის შესახებ. აქ ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, რომლებიც რუსეთის საიმპერატორო კარის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა: მაგალითად, სახანოების საზღვრების შესახებ, თითოეული ხანის პოლიტიკურ ორიენტაციისა და პოლიტიკური კავშირების თაობაზე, მათ ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებსა და პოლიტიკურ სტატუსზე, ხანების დამოკიდებულებაზე ერთმანეთთან და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის მიმართ. ასევე საგანგებოდაა დასახელებული ქრისტიანთა კომლობრივი რაოდენობა თითოეულ სახანოში. მონაცემთა უდიდესი ნაწილი ერეკლე II-ის კარზე მყოფ რუსეთის იმპერიის წარმომადგენელს ქართველი მეფის სადაზვერვო ქსელის საშუალებით უნდა ჰქონოდა მიღებული (მერკვილაძე, მხითარაიანი 2018: 151-155).

ს. ბურნაშვილის შრომის, „აზერბაიჯანული ქვეყნების აღწერის“ ქართული თარგმანი შესრულებულია ჩვენ მიერ და ქვეყნდება პირველად.

### აზერბაიჯანული ქვეყნები სპარსეთში და მათი პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა შესრულებული მისი უმაღლესობა ქართლისა და კახეთის მეფე ერეკლე თეიმურაზის ძესთან მყოფი პოლკოვნიკისა და კავალერის ბურნაშვილის მიერ თბილისში 1786 წელს

აზერბაიჯანული სამფლობელოების დანაწილება

ამჟამინდელი მდგომარეობით, იმ ქვეყნებს, რომლებიც მოიაზრება სახელწოდებაში აზერბაიჯანი,<sup>1</sup> ჩრდილოეთიდან დაწყებული ებჯინება საქართველო, ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოები<sup>2</sup> (თუმცა ადრე ისინიც აზერბაიჯანულ ქვეყანათა რიცხვში ითვლებოდნენ<sup>3</sup>); აღმოსავლეთიდან – კასპიის ზღვა და პროვინცია გილანი<sup>4</sup>; სამხრეთიდან – ქვეყანა არაქი,<sup>5</sup> დასავლეთიდან – თურქეთი.<sup>6</sup>

**I. დერბენდის სამფლობელო** თუმცა კი თავისი მდებარეობით უნდა მიეწინებოდეს დაღესტანს;<sup>7</sup> მაგრამ

ვინაიდან ქალაქი დერბენდი 450 წელია დაპყრობილია სპარსელთა მიერ და მათი ხელისუფლება შაჰ-ნადირის დროს [აქ] სავსებით გამყარდა,<sup>8</sup> ხოლო მისი ამჟამინდელი მმართველი ფათ-ალი-ხანი<sup>9</sup> აზერბაიჯანში ფლობს ქალაქებს – ბაქოსა და სალიანს<sup>10</sup> და მრავალ დასახლებას, ამიტომაც მიითვლება ის აზერბაიჯანის ხანთა შორის.

თავისი მდებარეობის გამო შეუძლებელია დერბენდის მიწების საზღვრის დადგენა, როგორც დაღესტნის მომიჯნავედ და კასპიის ზღვის გასწვრივ შირვანის საზღვრებამდე, ისე მისი შიდა მიწა-წყლისა კავკასიის მთების მხარეს; ისევე როგორც – ქალაქ ბაქოსა და სალიანის მიმდებარე ოლქისა, ვინაიდან მეზობლებთან დერბენდელების განუწყვეტელი ომების მიზეზით, ისიც (საზღვარი – დ.მ.) ფართოვდება და მცირდება წარმატება-წარუმატებლობის შესაბამისად.

აზერბაიჯანელი მფლობელები უნდა დანაწილდნენ თვითმპყრობელებად და დამოკიდებულებად, ხოლო პირველები – ძალმოსილებად და ნაკლებ ძლიერებად.

დერბენდის ანუ ყუბის ხანი ძლიერთა რიცხვიდანაა. იგი მიიჩნევა საკმაოდ მდიდრად, მისი საკუთარი [სამხედრო] ძალა შედგება 3 000 კაცისგან; მაგრამ მეზობლების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიღებისას იგი მოიხმობს როგორც მახლობელ აზერბაიჯანელ ხანებს, როგორც არიან: ნუხის, შირვანისა და შუშისა,<sup>11</sup> [ასევე] მფლობელებს დაღესტნიდან და ლეკ მოხეტიალეებს. მას კავშირი აქვს ყაზიყუმუხელ მაჰმად-ხანთან<sup>12</sup> და შამხალ მურთაზ-ალისთან,<sup>13</sup> შეურიგებელი მტერია ავარიის უმა ანუ ომარ-ხანისა<sup>14</sup> და შუშელ იბრაჰიმ-ხანისა. ნუხისა და შამხალ ხანებთან მას დროებით აქვს ხოლმე უთანხმოება და გარემოებათა მიხედვით აქვს ამ უკანასკნელთა შევიწროვების ხერხები.

მეფე ერეკლესთან ურთიერთობა იშვიათად აქვს და ვინაიდან საქართველოსგან დაშორების გამო, არ არსებობს ურთიერთ უთანხმოების საბაბი, ამიტომ მათ შორის არც განსაკუთრებული მტრობისა და არც მეგობრობის შესახებ რაიმეს თქმა არ შეიძლება.

ყველა აზერბაიჯანელი თვითმპყრობელი ხანი საერთოდ არსობრივად ერთნაირი განწყობით არის რუსეთის მიმართ. ისინი შიშობენ, რომ რუსეთის ძალამ მათ არ ჩამოართვას თვითმპყრობელობა, ან უფრო სწორედ – თვითნებობა და ამასთან ერთად მმართველობის ევროპული წესი არ შევიდეს მათ საზღვრებში. ამიტომ უკიდურესად დელაჟვენ და ეს წარმოსახვითი საშიშროება მიდრიკავს მათ თურქეთთან შეთანხმებისაკენ, რათა დაგვარდნა მოხდეს, რომ განვმტკიცდეთ საქართველოში და გავავრცელოთ არა მხოლოდ მფარველობითი ძალაუფლება, არამედ დავამყაროთ [სამხედრო-პოლიტიკური] კავშირებიც; რამეთუ ზოგადად სპარსელებს სარწმუნოების გამო იმაზე მეტი სიძულვილი არ აქვთ ჩვენს მიმართ, რამდენიც – თურქებთან. მაგრამ ზუსტად მათი შიშის წერტილზე ზემოქმედებით თურქეთის მთავრობა მოხერხებულად იბირებს მათ თავიანთ მხარეს. და როგორც საქართველოს მახლობლად მოხინაძრე ხალხებთან თურქეთის ურთიერთობების შესახებ ცნობებითა და მათი საზღვრისპირა ხელმძღვანელების<sup>15</sup> ელებასა და დამკვიდრებას მის სამეზობლოში და [მით უფრო] ისეთ ქვეყანაში, საიდანაც საფუძვლიანი მიზეზები აქვს, მის თავს დასატეს ძლიერ განსაცდელს რომ უფროსოდეს. მიუხედავად მისი ყველა რწმუნებისა, რომ შეუძლია ჰქონდეს რუსეთთან მუდმივი ზავი, ის არ მოეშვება, რომ ირიბი გზებით არ დაარღვიოს მისი (საქართველოს? – დ.მ.) საზღვრების სიმშვიდე, თუმცა ამასთან ყველა აზერბაიჯანელ ხანს თავიანთი მოუწყობლობისა და განუწყვეტელი ურთიერთ უთანხმოების გამო არ ძალუძს, იყვნენ საშიშნი; მაგრამ საქართველოსათვის ძალზე სასარგებლოა მათთან კავშირი კომერციისათვის, უფრო კი საქართველოში მაცხოვრებელ მაჰმადიან ხალხთა სათანადო მორჩილებაში შესანარჩუნებლად, ვინაიდან ისინი ხედავენ რა საქართველოს მიმართ თავიანთი ერთმორწმუნე მეზობლების მხრიდან მტრულ დამოკიდებულებას, შფოთდებიან სხვადასხვა საბაბით, არ იხდიან გადასახადს და არ უწევენ მეფეს სათანადო [სამხედრო] სამსახურს.

ფათ-ალი-ხანის შესახებ, ამას გარდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ის თავისი მდგომარეობის გამო დანარჩენებზე უფრო მეტად მიიჩნევა თავს მისი წარმოსახვითი ხიფათის წინაშე მდგომად, ვინაიდან რუსეთთან სხვებზე უფრო ახლო მანძილზე მყოფი, შიშობს, რომ დაკარგავს თავის სამფლობელოს [რუსეთის მიმართ] პირველივე სანინააღმდეგო მოქმედების გამო. ეს შიშები მასში წარმოშობს ურთიერთსანინააღმდეგო განცდებს. პირველით ის იმსჭვალება თურქული ორიენტაციისაკენ, მეორეთი – დასჯის შიშის გამო დაბეჭითებით ირწმუნება რუსეთისადმი თავის შევრდომის თაობაზე. საერთოდ ყველა აზერბაიჯანელი ხანისათვის ორივე იმპერიის საზღვრებისაგან დაშორება და სიახლოვე, მეორე მიზეზთა გამოკლებით, არის მათი [პოლიტიკური] განწყობის ქეშმარიტი საზომი.

არა მარტო მთელს სპარსეთში, არამედ თურქეთის საზღვრებშიც ქეშმარიტ წინასწარმეტყველებად გავრცელდა დერბენდის შესახებ მიღებული გაფრთხილება, რომ როცა დერბენდს ქრისტიანები აიღებენ, მაჰმადიანთა ძალაუფლებისა და სარწმუნოების რღვევა გარდაუვალი იქნება.

ქალაქ დერბენდსა და მის დასახლებებში მოითვლება 1000-მდე კომლი ქრისტიანი.

**II. ნუხა-შაჰის სახანო**<sup>16</sup> წარმოიქმნა 36 წლის წინ, უძველესი დროიდან საქართველოს კუთვნილ მიწებზე, ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში დაწყებული არეულობის დროს. ქალაქ ნუხასა და მის ოლქს მანამდე მართავდნენ შაჰის მიერ დანიშნული მელიქები. ამჟამინდელი ხანის პაპამ, აჯი-ჩალაბმა, მდაბიო



წარმოშობის კაცმა, შეკრიბა მანანალათა ბრბო, შეიარაღებული შევიდა და დაიკავა ქალაქი, მოკლა მელიქი და საკუთარი თავის ხანად გამოცხადებით იქცა მფლობელად.<sup>17</sup>

ნუხას საზღვრავს ჩრდილოეთიდან ყაზიყუმუხის სამფლობელო, აღმოსავლეთიდან – შირვანი, სამხრეთიდან – მდინარე მტკვარი, დასავლეთიდან – ალაზანს გასწვრივ მცხოვრები ლეკები. ამ მცირე მიწის მფლობელი მუჰამედ-ჰასან-ხანი<sup>18</sup> თვითმპყრობელია, მაგრამ ნაკლებ ძლიერი, არ შეუძლია გამოიყვანოს [ბრძოლის] ველზე 2000 კაცზე მეტი, და რადგანაც არ აქვს საკმარისი შემოსავალი, ამიტომ რაიმე ღონისძიებისათვის ლეკების დაქირავებაც არ ძალუძს. ამის გამო, სპარსეთში ყველა მფლობელთა მშფოთვარე სულიკვეთების შესაბამისად, ის ეტმანება დაღესტნელებს თავისი მეზობლების წინააღმდეგ. იგი ხანდახან თანხმობაშია ყაზიყუმუხელ, დერბენდელ და შამახიელ ხანებთან; ახუშელ და ტაბასარანელ ყადებთან ერთად იბრაჰიმ-ხანის წინააღმდეგაა. ჭარებლბთან და ბელაქნელებთან მას ხშირი ურთიერთ თავდასხმები უწევს პირუტყვის მოსატაცებლად.

მეფე ერეკლესთან მას გარეგნული მეგობრობა აქვს. განჯაში აჯი-ბეგისაგან მომხდარი შფოთის დროს ის მთავარ მონაწილეობას იღებდა და ახლა რაჰიმ-ხან განჯელთან განსაკუთრებულად მეგობრობს.

რუსეთთან მისი დამოკიდებულების შესახებ გამორჩეულად სათქმელი არაფერია. უკიდურესი გულგრილობის გამო მისი მცირე ქუისათვის დახშულია რუსეთის ძალისა და ყველა [მოსალოდნელი] შედეგის გააზრების [შესაძლებლობა]. ამასთან იგი ზოგადად საქართველოს საწინააღმდეგო კავშირშია და მას ამოძრავებს იგივე მიზეზები, რომელიც ვახსენეთ აზერბაიჯანელ ხანების შესახებ [საუბრისას]. მუჰამედ-ჰასან-ხანის რეზიდენცია არის მცირე ქალაქი ნუხა.

ნუხის სამფლობელოში ქრისტიანები მოითვლებიან 100 კომლამდე.

**III. შირვანი** ადრე მიიჩნეოდა სპარსეთის განსაკუთრებულ ზღვისპირა პროვინციად, მაგრამ ამჟამად აზერბაიჯანულ ქვეყნებს შორის მოიაზრება. ამ სამფლობელოს ჩრდილოეთიდან საზღვრები აქვს დერბენდის მიწებთან, აღმოსავლეთიდან – კასპიის ზღვასა და ქალაქ ბაქოს ოლქთან, სამხრეთ-დასავლეთიდან მდინარე მტკვარია, დასავლეთიდან – ნუხის სამფლობელო.

შირვანის მხარის მფლობელები მაჰმად-სეიდ-ხანი და მისი ღვიძლი ძმა ქორ (ბრმა)<sup>19</sup> ალასი-ხანი<sup>20</sup> ცხოვრობენ ალსუში ანუ ახალ შემახაში – მთავარ ქალაქში.<sup>21</sup> არიან თვითმპყრობელები, მაგრამ ნაკლებ ძლიერები. თავისი ჯარი არ ჰყავთ 2000 კაცზე მეტი და არ ძალუძთ საკმარისი ლეკების დაქირავებაც. ხანდახან შევიწროებულნი არიან ხოლმე დერბენდის ხანისაგან<sup>22</sup> და გარკვეულწილად – მისგან დამოკიდებულნიც. ამჟამად ისინი ზოგადად კავშირში არიან იბრაჰიმ-ხანის, მათი მუდმივი მტრის წინააღმდეგ. საქართველოსთან აქვთ სავაჭრო ურთიერთობანი, მაგრამ პოლიტიკური ურთიერთობები და კავშირები მეფესთან ამჟამად ძალიან იშვიათად უწევთ.

შირვანში ქრისტიანები მოითვლებიან 2000 კომლამდე.

**IV. ქალაქი და ნავსადგური ბაქო** კასპიის ზღვის პირას, მისი კუთვნილი 40 დასახლებით ყოველთვის იმართებოდა სპარსეთის შაჰებისაგან დადგენილი განსაკუთრებული მმართველების მიერ. ფათ-ალი-ხანის წინაპრებს ქალაქი ებოძათ წინანდელი შაჰებისაგან სამართავად. მისი ახლანდელი ხანი, მირზა-მუჰამედი დაქორწინდა ფათ-ალი-ხანის დაზე და ამ კავშირით იგი დროდადრო მასზე საკმაოდ დამოკიდებული აღმოჩნდა, და ვინაიდან ის ახლა მის ბრძანებლობაშია, ამიტომ მისი საკუთრება მიეთვლება დერბენდის ხანს.<sup>23</sup> ჯარი 500 კაცზე მეტი მას არ ეყოლება, მაგრამ აქვს დიდი შემოსავალი მარილისა და ნავთისგან.

ბაქოში ცხოვრობს ქრისტიანი ვაჭრების რამდენიმე ოჯახი.

**V. თალა-ჰასან-ხანი**<sup>24</sup> თარაქამად სახელდებული მომთაბარე ხალხის მფლობელია, მულამჩოლში<sup>25</sup> მათი რაოდენობა შედგება 1500 ოჯახისაგან. [თალა-ჰასან-ხანი] დამოკიდებულია ფათ-ალი-ხანზე. ხალხი მშრომელია, მაჰმადიანური კანონის. აქვთ საკუთარი ენა.

**VI. შალაღის** ხალხი მომთაბარე ქურთები არიან, რაოდენობით შვიდი ან 8 000 მესაქონლე და მეომარი ოჯახი, მაჰმადიანური კანონისა. ამას წინ ისინი იყვნენ 12 000 ოჯახამდე, ზამთრობით მომთაბარეობენ მულამჩოლში,<sup>26</sup> ხოლო ზაფხულობით ბინადრობენ სავალანად წოდებულ მთებში არდებილსა და თავრიზს შორის.<sup>27</sup> მათი მფლობელი სადიქ-ხანი<sup>28</sup> დამოკიდებულია თავრიზის ხანზე.

**VII. შაჰისევანი**<sup>29</sup> მაჰმადიანი ხალხია, გამოსული თურქეთის საზღვრებიდან 200 წლის წინ, რაოდენობით 40 000 ოჯახი, რომელთაგან 30 000 გაიფანტა სპარსეთის სხვადასხვა მხარეებში. დარჩენილები მომთაბარეობენ ზამთრობით მულამჩოლში, ზაფხულობით ბინადრობენ არდებილსა და თავრიზს შორის მდებარე მთებში. ხალხი მესაქონლეა, მაგრამ მეომარი, შაჰ-ნადირის დროს საუკეთესო ჯარები იყო მათგან და მაჰმადიანური კანონის შალაღის ხალხისაგან. მათი მფლობელი ნაჯაფ-ყული-ხანი არდებილის ნაზარალი-ხანის სიკვდილის შემდეგ დაეუფლა არდებილს და ამჟამად იქ მკვიდრობს.<sup>30</sup>

**VIII. შუშა** იყო ყარაბაღის ხუთი სიღნაღიდან ერთ-ერთი სომეხი მელიქის, შაჰ-ნაზარის კუთვნილი სოფელი.<sup>31</sup> ფანამ, სოფელ ჯაი-შირვანის გამგებელის ძემ, შაჰ-ნადირის სიკვდილის შემდეგ დაწყებული არეულობის დროს, შეკრიბა მანანალეები და შეიარაღებული გამაგრდა სიღნაღში და იწოდა ხანად.<sup>32</sup> ძე მისი იბრაჰიმი, ამჟამინდელი ხანი, დაქორწინდა სომეხ მელიქ შაჰ-ნაზარის ქალიშვილზე და ააგო შუშაში ციხე.<sup>33</sup>

მან მიითვისა ნახჭევანისა და ყარაბაღის მრავალი სოფელი და დაეუფლა ქალაქ განჯას, შეუთანხმდა რა მეფე ერეკლეს, რომ ამაში მიიღებდა მონაწილეობას, რათა ხელი არ შეეშალა ამ საქმის წარმატებაში. ამგვარად, განტყვიდა რა სამფლობელოში, დააარსა შუშის სახანო ყარაბაღისა და ნახჭევანის მიწებზე.

თვითმპყრობელსა და აზერბაიჯანში ძლევამოსილ იბრაჰიმ-ხანს<sup>34</sup> სომხების ჩათვლით ჰყავს 7000-იანი თავისი ჯარი. მამამისივით მასაც ჰქონდა იღბლიანი წარმატებები, გამდიდრებულიყო ნაძარცვით. ამიტომ საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია, ბევრი ლევიც იყოლიოს [სამხედრო სამსახურში].

შუშის ხანის სამფლობელოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ქალაქ განჯის ოლქი, მდინარე მტკვარი მას ჰყოფს ნუხის სახანოსგან, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან მდინარე არაქსით გამოიყოფა მულანჩოლისაგან და ყარადაღისგან, დასავლეთით [ესაზღვრება] ნახჭევანს.

იბრაჰიმ-ხანს შეურიგებელი მტრობა აქვს ფათ-ალი-ხან დერბენდელთან, რომელიც თუმცა თავისი მოკავშირეებით, როგორც ზემოთაა ნახსენები, ცდილობს კიდევ ყოველთვის მასთან ომის გაჩაღებას,<sup>35</sup> მაგრამ ის (იბრაჰიმ-ხანი – დ.მ.) იმედს ამყარებს რა თავისი ქვეყნის მიუდგომლობასა და შუშის ციხე-სიმაგრეზე, თავს საფრთხეში არ გრძნობს ზამთრის ხანაშიც კი, ხოლო ზაფხულობით მთის ხალხთ არ ძალუძთ ყარაბაღისათვის დამახასიათებელი ძლიერი სიციხის ატანა.

მას ახალი მტრობა ეწყებოდა ხოის აჰმედ-ხანთან, მაგრამ ახლახანს ძმიშვილის მიერ მისი ძალადობრივი სიკვდილის მიზეზით უცნობია, როგორი დამოკიდებულება აქვს ახალ ხანთან. რაჰიმ-ხან განჯელის დიდი ჯავრი აქვს, მაგრამ ქმედებისაგან თავს იკავებს მეფე ერეკლესადმი პატივისცემის გამო, რომელიც ომარ-ხანისაგან მიყენებული უსიამოვნებებისა და მის ძალაუფლებაში მყოფი მაჰმადიანი ხალხების ყოყმანის მიზეზით იძულებულია, აღიაროს რაჰიმ-ბეგი განჯის ხანად, ვინაიდან იგი (რაჰიმ-ბეგი – დ.მ.) მას (ერეკლეს – დ.მ.) უცხადებს ერთგულებას. იბრაჰიმ-ხანს იგივე შუღლი აქვს ნუხის ხანთან სხვადასხვა მიზეზით, განსაკუთრებით კი განჯის განდგომის გამო.

დაღესტნელ მფლობელთაგან მოკავშირედ ჰყავს ომარ-ხანი ნათესაობისა და თავისი პოლიტიკური გათვლების გამო.<sup>36</sup> აბაზ-ყული-ხან ნახჩევანელს, რომელიც მანამდე შემწეობას ეძიებდა მეფესთან, [იბრაჰიმ-ხანი] მფარველობს და მისი ნახჭევანში აღდგენით ცდილობს მის თავისთვის დაქვემდებარებას.

მეფე ერეკლესთან მას ჰქონდა განუწყვეტელი მეგობრობა 26 წლის განმავლობაში, ახლა ბოლო სამი წელი, თუმცაკი გამოავლინა სხვადასხვა მიზეზი თავის ერთგულებაში დასაეჭვებლად, მაინც არ ამჟღავნებს აშკარა არაკეთილმოსურნეობას, და ცდილობს დაჟინებით დაარწმუნოს ერეკლე თავის გულწრფელობაში.<sup>37</sup> ხოის ყოფილ აჰმედ-ხანთან ის იყო მთავარი საიდუმლო თანამზრახველი, საქართველოს მეზობელ მაჰმადიან ხალხებთან შეთანხმებით ემტრო მისთვის (ერეკლესთვის – დ.მ.). მაგრამ ვინაიდან აჰმედ-ხანი მოკლეს და მათმა ნამქვებებელმა სახელმწიფომ საქმით ვერ შეასრულა თავისი დაპირებანი, ამიტომ უარი თქვა მასთან თბილ ურთიერთობაზე. მაგრამ არა მარტო დარწმუნებებზე, არამედ თვით ფიცზეც კი სპარსელთა ვერაგობის გამო მათი ნდობა არ შეიძლება, ხოლო მეფესთან მისი მოქცევის შესაბამისად უნდა გაირკვეს მისი რუსეთთან დამოკიდებულების საკითხიც.

შუშის ხანის სამფლობელოში მოითვლება 7000 კომლი ქრისტიანი.

**IX. განჯა** მოზრდილი სავაჭრო ქალაქია. მისი ხანები ადრე ფლობდნენ მთელს ყარაბაღს.<sup>38</sup> ხოლო როცა იბრაჰიმ-ხანმა დაიპყრო იგი, მაჰმად-ხანი დაატყვევა და პატიმრობაში ჰყავდა, მაშინ მეფე ერეკლე იბრაჰიმ-ხანთან ერთად მონაწილეობდა ქალაქის მართვაში და იქ ორივე მხრიდან ჰყავდათ [დანიშნული] თავიანთი საერთო გამგებლები.<sup>39</sup> 1784 წელს აჯი-ბეგმა, ხანის ოჯახის წევრმა, ააშფოთა [განჯის] მცხოვრებნი და მეფისა და ხანის [დანიშნული] მმართველები გაყარა.<sup>40</sup> ამ მდგომარეობაში იყვნენ ისინი ერთი წელი, სანამ ტყვეობაში მყოფი მაჰმად-ხანის სიკვდილის შემდეგ<sup>41</sup> მისი ღვიძლი ძმა, შუშიდან გამოქცეული რაჰიმ-ბეგი არ შევიდა განჯაში და არ გახდა მისი ხელისუფალი,<sup>42</sup> ერთგულება გამოუცხადა რა მეფეს, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, იძულებული გახდა, ეღიარებინა იგი ხანად. ამაში იბრაჰიმ-ხანი, თუმცა კი აშკარად არ შეინააღმდეგებია [ერეკლეს], მაგრამ ძალიან არ სურდა [რაჰიმის ხანად ყოფნა]. ვინაიდან მისი (იბრაჰიმის – დ.მ.) განზრახვა იყო დაეყენებინა იქ თავისი ერთგული ჯავად-ხანი.<sup>43</sup> მაგრამ რაჰიმ-ხანს, რომელიც ფლობს მხოლოდ ერთ ქალაქსა და მცირე ოლქს, თითქმის სოფლების გარეშე, არ შეუძლია დიდ ხანს იყოს დამოუკიდებელი საქართველოს მეფის ან იბრაჰიმ-ხანისაგან და გარდაუვლად უნდა მოექცეს სრულ მორჩილებაში.

ქალაქსა და მის მიმდებარედ მოითვლება 3000 ოჯახი, რომელთაგან ნახევარს სომხური კანონისას ჰყავთ დიდვაჭრები. მისი (განჯის – დ.მ.) დამოკიდებულებაში ყოფნა ან კავშირი ძალზე სასარგებლოა ტფილისისათვის. მთავარი ვაჭრობა მთელს სპარსეთსა და ინდოეთში ინარმოება განჯის შუამავლობით. განჯაში მომხდარი შფოთის გამო ტფილისში განიცდიდნენ საჭირო ნივთების დიდ ნაკლებობას. ადრე განჯა იყო ყარაბაღის დედაქალაქი, რომელსაც ეკუთვნოდა ყაზახი, შამშადილი და შამქორი. მაგრამ ამ საუკუნის დამდეგს ისინი მოექცნენ ქართველ მეფეთა ხელისუფლების დაქვემდებარებაში.<sup>44</sup>

**X. ერევანი** ქალაქი და ამ სახელწოდების არცთუ მცირე სამფლობელოა, რომელიც მდინარე არაქსის მარცხენა მხარეს მდებარეობს. მისი საზღვრებია ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საქართველო, სამხრეთიდან – ნახჭევანი, დასავლეთიდან – თურქეთი. მისი მფლობელია მცირეწლოვანი

მაჰმად-ხანი, უშუალოდ დამოკიდებული მეფე ერეკლეზე,<sup>45</sup> რომელმაც მამამისთან, მეფე თეიმურაზთან ერთად დაიპყრო იგი [ერევანი] 40 წლის წინ და მამამისი, ერევნის მფლობელი ჰუსეინ-ბეგი აქცია ხანად, მიიღო რა მისგან მუდმივი ქვეშევრდომობის წერილობითი ვალდებულება.<sup>46</sup>

ერევნის ხანს შეუძლია გამოიყვანოს 5000-მდე ჯარი, რომელთაგან მესამედი სომეხია. ამას გარდა, მას ჰყავს არაქსის მარჯვენა მხარეს მომთაბარე ქურთები, რომლებიც ზაფხულობით მიდიან მთებში, ხოლო ზამთარში ცხოვრობენ ერევნის მახლობლად სოფლებში ორი უფროსის დაქვემდებარებაში. მათი რაოდენობა ხანდახან შეადგენს 2000-მდე ოჯახს, ზოგჯერ კი – 3000-მდე. ვინაიდან ის (რაოდენობა – დ.მ.) მოგზაურობის დროს ხან მცირდება, ხან იზრდება, და [ასევე აქვს] ციხე-სიმაგრე მაქუ<sup>47</sup> მცირე მინითურთ განსაკუთრებული მეთაურის, ალი-სულთანის მმართველობით, რომლის [დაქვემდებარებაში] ანგარიშობენ 600-მდე კომლს.

ეჩმიადინის მონასტერში მცხოვრები არარატელი პატრიარქი,<sup>48</sup> რომელსაც ამ ქვეყნის სომეხები ეთაყვანებიან, იმყოფება მის (ხანის – დ.მ.) მფარველობაში, და თითქოს იმისათვის, რათა სომხურ სოფლებში არ განათავსონ მაჰმადიანები, იხდის 5000 მანეთს, ზოგჯერ კი 1000 ან 2000-საც, სესხის სახით, რომელიც არასდროს უკან არ უბრუნდება.

ერევანს მეფისათვის შემოჰქონდა ყოველწლიური ხარკი 6000 თუმანი, რაც უდრის 50000 ვერცხლის მანეთს. მაგრამ მეფისათვის ძალზე ერთგული ჰუსეინ-ხანის სიკვდილის შემდეგ, ყოფილი ულამ-ალი-ხანი<sup>49</sup> და ამჟამინდელი [ხანი], ხოის ხანის წაქეზებით, სხვადასხვა საბაბით მის გადახდას აყოვნებენ. თუმცა რამდენიც არ ეცადნენ, დიდი დაიმედებითა და მუქარით მტრულმა ძალებმა ამ დრომდე მაინც ვერ შეძლეს სრულად მოეწყვიტათ ერევანი მეფისაგან. და ვინაიდან ამ საქმის მოთავე ხოის ხანი სიცოცხლეს გამოსალმებულია, ისიც (ერევანი – დ.მ.) ნარჩუნდება მეფის დამოკიდებულებაში.

ერევნის ხანს მეფეზე დაქვემდებარების გამო სხვა ხანებთან არ აქვს არც მტრობა და არც გარეგანი განსაკუთრებული კავშირები, გარდა საიდუმლოსი.

ერევნის ოლქში მოითვლება ქრისტიანთა 3000-მდე კომლი.

**XI. ნახჭევანი** ქალაქი და ამავე სახელის ქვეყანა, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ერევნის ოლქს, აღმოსავლეთიდან იბრაჰიმ-ხანის სამფლობელოს, სამხრეთიდან და დასავლეთიდან მდინარე არაქსით გამოიყოფა თავრიზისა და ხოის სამფლობელოებისა და ერევნელი ქურთებისაგან.

ამ ქვეყნის მფლობელი ჯაფარ-ყული-ხანი თვითმპყრობელია, მაგრამ სუსტი ძალისაა და სულაც არაა მდიდარი. ჯარი მას 1000 კაცზე მეტი არ ჰყავს. ჰქონდა განსაკუთრებული დამოკიდებულება ხოის ხანთან და იყო მისადმი ძალზე ერთგული, რამეთუ [ხოის ხანი] იცავდა მას ნახჭევნის ხანობის მაძიებელ აბაზ-ყული-ხანისაგან. ამ მიზეზით იყო იგი მის მორჩილებაში. თავის მეზობლებთან ამჟამად ღია მტრობა არ აქვს. მეფე ერეკლესადმი მისი კეთილგანწყობილების იმედოვნება არ შეიძლება, ვინაიდან მისთვის (ჯაფარ-ყული-ხანისთვის – დ.მ.) ცნობილია, რომ აბაზ-ყული-ხანი მეფესთან ეძიებდა პროტექციას.<sup>50</sup>

ქრისტიანები ნახჭევანში მოითვლება 500 კომლამდე.

**XII. ყარადაღი** საკმაოდ ვრცელი ქვეყანაა, დასახლებული და უხვი. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მულან-გოლსა და თალიშს, სამხრეთიდან – არდებილს, დასავლეთიდან – თავრიზის სამფლობელოს, ჩრდილო-დასავლეთიდან მდინარე არაქსით გამოიყოფა იბრაჰიმ-ხანის სამფლობელოსაგან.

ყარადაღელ მუსტაფა-ხანს არ აქვს ქალაქი თავის სამყოფელად და ცხოვრობს აპარად წოდებულ დასახლებაში.<sup>51</sup> იბრაჰიმ-ხანთან ომისას მას ტყვედ ჩაუვარდა. მისი კუთვნილი ქვეყნის ნახევარს დაეუფლა იბრაჰიმ-ხანი, მეორე ნახევარს – აჰმედ ხოის ხანი, იგივე გვარის გამგებელთა მმართველობით. შემდეგ ორივე, ხოისა და შუშის ხანების შეთანხმების შედეგად, იგი ძველებურად აღადგინეს თავის სამფლობელოში.<sup>52</sup> მუსტაფა-ხანი თუმცა კი თვითმპყრობელია, მაგრამ გარკვეულწილად დამოკიდებულია ორივე ხანზე და არც მდიდარია. [ბრძოლის] ველზე არ შეუძლია გამოიყვანოს 2000 კაცზე მეტი. თავის და შუშის ჯარებთან ერთად წარმატების საძიებლად ლაშქრობდა თავრიზში. მეფე ერეკლესთან განსაკუთრებული კავშირი არ აქვს, თუმცა კი საქართველოსადმი იგი ისევეა განწყობილი, როგორც – სხვა ხანები.

ქრისტიანები ამ სამფლობელოში 300 კომლამდე მოითვლება.

**XIII. თალიში** მცირე სივრცის ტყიანი ქვეყანა, რომელშიც 4000 კომლამდე [მცხოვრებს] ანგარიშობენ, მდებარეობს გილანსა და ყარადაღს შორის. მისი მფლობელი ყარა-ხანი ცხოვრობს გამაგრებულ ადგილებში, ქალაქი არ გააჩნია, თვითმპყრობელია, მაგრამ სუსტი ძალისაა და მდიდარი არაა.<sup>53</sup> თავისი ჯარი შეუძლია იყოლიოს 2000 კარგად შეიარაღებული ქვეითი. კავშირი აქვს გილანის, დერბენდისა და შუშის ხანებთან, მტრობა ამჟამად არავისთან აქვს.

**XIV. მეშქინი** ქალაქი მცირე ოლქით<sup>54</sup> მანამდე ეკუთვნოდა არდებილს, მაგრამ როცა მას შაჰისევანელი ნაჯაფ-ხანი დაეუფლა, იქ მყოფი ნაზარალი-ხანის<sup>55</sup> ძემ, ნასირ-ხანმა თავისი სიმამრის, იბრაჰიმ-ხანის დახმარებით შეინარჩუნა ეს ქალაქი და დარჩა მის მფლობელად.<sup>56</sup> თვითმპყრობელია, მაგრამ სუსტი ძალისა, ჯარი ჰყავს მხოლოდ 1000 კაცამდე. მტრობა არავისთან არ აქვს და არის თავისი სიმამრის დამჯერი.

**XV. არდებილი** ციხე-სიმაგრეა მცირე სამფლობელოთი გილანსა და თავრიზს შორის. შაჰისევანის მფლობელი ნაჯაფი დაეუფლა მას 1784 წელს. ხანი თვითმპყრობელია, მაგრამ არც ძალიან ძლიერი და არც



მდიდარი. ყოფილ ხან ნაზარალის არ ჰყავდა 2000-ზე მეტი ჯარი, ახლა კი მეშქინის გამოყოფის შემდეგ ნაჯაფ-ხანს [ჯარი] კიდევ ნაკლები ჰყავს. იბრაჰიმ-ხანთან განსაკუთრებულად მეგობრობს. მტრობა არავისთან აქვს.

**XVI. თავრიზი** არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ მთელს სპარსეთშიც ერთ-ერთ საუკეთესო და უმდიდრეს ქალაქად მიიჩნევა.<sup>57</sup> მისი სამფლობელო ჩრდილოეთიდან მდინარე არაქსით გამოიყოფა ნახჭევანისაგან, აღმოსავლეთიდან – მდინარე ყარასუთი ყარადაღისა და არდებილისაგან, ხოლო გილანისაგან – მთის ქედით. სამხრეთიდან ებჯინება არაქსის ოლქი და მარაღა. დასავლეთიდან – ხოის სამფლობელო.

1785 წელს ხოის აჰმედ-ხანი უპირველეს თავრიზელთა გამცემლობით დაეუფლა ამ ქალაქს და მისი ხანი ხუდადადი<sup>58</sup> დაატყვევა. ხოლო როცა აჰმედ-ხანი მოკლეს,<sup>59</sup> ხუდადად-ხანი განთავისუფლდა და ძველებურად დაეუფლა თავრიზს. მისი მცხოვრებნი, 500 კომლი სომეხის გამოკლებით, ყველანი მაჰმადიანნი არიან. თავრიზის ხანს შეუძლია იყოლიოს 10 000-მდე ჯარი. თვითმპყრობელია და ძალზე მდიდარი. ამჟამინდელი არეულობის გამო მისი პოლიტიკური მდგომარეობა უცნობია – განიმტკიცა თუ არა მან ძალაუფლება და ვისთან დაამყარებს კვლავ კავშირებს თუ დაიწყებს ომს. ურთიერთობები თავრიზთან მეფე ერეკლეს ძალზე იშვიათად უწევს, ისიც მხოლოდ ურთიერთპატივისცემის გამო იმ შემთხვევაში, როცა იქიდან ტფილისში მოემგზავრებიან ვაჭრები. [თავრიზის ხანს] ურმიის ხანთან აქვს მტრობა, ომის შემთხვევაში ქირაობს ჯარს თურქეთიდან.

თავრიზს ამჟამად ეკუთვნის ქალაქი მარანდა ოლქითურთ. რომელშიც ადრე იყვნენ ხანები, სუსტი ძალის გამო თავრიზზე დამოკიდებულნი.<sup>60</sup> ახლა მასში ხანები აღარ დგინდებიან. უკანასკნელი [ხანის] შვილები მასში (მარანდაში – დ.მ.) მხოლოდ ცხოვრობენ, ისე რომ არ აქვთ არც ხელისუფლება, არც ძალა. იოლი შესაძლებელია, ამჟამინდელი არეულობის გამო მარანდა კვლავ სახანოდ იქცეს.

**XVII. მარაღა** ვრცელი ქვეყანაა საკმაოდ დიდი მოსახლეობით და უხვი.<sup>61</sup> მდებარეობს არაქსის ოლქის საზღვრების სიახლოვეს. დამოკიდებული იყო თავრიზის ხანებზე. მისი ამჟამინდელი ხანი აჰმედი თვით-მპყრობელია.<sup>62</sup> თავისი სიმდიდრისა და მიწის სიუხვის გამო საკმაოდ მდიდარია. თავისი ჯარი ჰყავს 3000-მდე. საჭიროებისას ქირაობს ბალბალელებსა და თურქეთის საზღვრებში მცხოვრებ სხვა ქურთებს. ხოის ახალ ხანთან, მოკლულ აჰმედ-ხანის ვაჟ ჰუსეინთან აქვს მეგობრობა. მარაღის ჯართან ერთად ჰყავდა მას ურმიელთა ჯარიც, როცა ის მიემართებოდა მისი მამის, უმეიკ-ხანისათვის<sup>63</sup> ხანობის წასართმევად. შესაბამისად, ურმიის ხანთან არის თანხმობაში. მეფე ერეკლესთან არავითარი ურთიერთობა არ აქვს. ომის შემთხვევაში ჯარს ქირაობს თურქეთიდან.

ამ ოლქში მოითვლება 2000 კომლამდე ქრისტიანი.

**XVIII. ურმია** ქალაქი და ამავე სახელის უმნიშვნელო სამფლობელო აზერბაიჯანში.<sup>64</sup> ჩრდილოეთიდან ხოის სამფლობელოსაგან გამოიყოფა გრძელი ტბით,<sup>65</sup> აღმოსავლეთიდან ებჯინება მარაღას, სამხრეთიდან – არაქსის ოლქს, დასავლეთიდან ესაზღვრება თურქეთს. მისი მფლობელი მაჰმად-ყული-ხანი<sup>66</sup> თვითმპყრობელია და საკმაოდ ძლიერი, მაგრამ – მდიდარი არაა, ვინაიდან ურმიის დასახლებანი, იქ ქერიმ-ხან ისპაჰანელის ჯარით ყოფნისას ძალზე აოხრდა.<sup>67</sup> ჯარი ჰყავს 4-დან 5000-მდე. ამას გარდა, შეუძლია იქირავოს ბალბალელები<sup>68</sup> და სხვა მოსაზღვრე ხალხები. კავშირშია მარაღისა და ხოის ხანებთან, თავრიზთან აქვს მტრობა, მეფე ერეკლესთან გარეგნულ თანხმობაშია.

ურუმიში მოითვლება 2000 კომლი ქრისტიანული კანონის ასირიელი.

**XIX. ხოი** ციხე-სიმაგრე და მოზრდილი სამფლობელოა. ჩრდილოეთით ებჯინება ერევნისა და ნახჭევანის სამფლობელოებს, აღმოსავლეთიდან ესაზღვრება თავრიზს, სამხრეთიდან ტბით გამოიყოფა ურმიისაგან,<sup>69</sup> დასავლეთით მას გრძელი საზღვრები აქვს თურქეთთან.

ხოის ხანი თვითმპყრობელია, ჯარი ჰყავს 4000-მდე. ამა გარდა, ქირაობს ქურთებსაც. ბოლო მფლობელი აჰმედ-ხანი თავისი მოხერხებულობით იყო ძლიერი და მდიდარი და მთელს აზერბაიჯანში პატივცემული, განსაკუთრებით კი ოტომანთა პორტას მიერ მისი აზერბაიჯანის სპასალარის წოდების მინიჭების შემდეგ. იყო ერეკლეს საიდუმლო მტერი. მისი ვაჟი ჰუსეინ-ხანი<sup>70</sup> თურქებთან ახლოს ყოფნის გამო, იმედი არაა, მამამისის გზის სანინა აღმდეგოდ წავიდეს.

ხოის სამფლობელოში მოითვლება 1000-მდე კომლი სომეხი.

აზერბაიჯანის ნაწილების შესახებ აღწერის დასასრულს უნდა ითქვას, რომ მფლობელთა თანამედროვე მდგომარეობა, მათი ქვეყნების საზღვრები, მათი ურთიერთკავშირი, ალიანსები და ომები და დამოკიდებულება მეზობლებთან მუდმივი არაა და იცვლება მათი მოუსვენარი სულისკვეთების მიხედვით. მათი მოლაღატური და მუხანათური თვისებებისა<sup>71</sup> და გაუთავებელი შიდა ომების გამო, ისევე როგორც სპარსეთის სხვა მთავარ ნაწილებში, ხანები და მათი სამფლობელოები თითქმის ყოველწლიურად ექვემდებარებიან ასეთივე ცვალებადობას.

უცნობია იმ ხანთა სახელები, რომელთა შესახებ ადგილთა ადგილმდებარეობის სიშორის გამო ცნობები არ მოიპოვება, თუ ვინ არიან და სად მკვიდრობენ. ცნობილია მხოლოდ, რომ იქ ისინი ცოტა ნაკლებნი არიან.

ახლომყოფნი კი არიან შემდეგნი:



გილანში<sup>72</sup>

ქალაქ რეშთში – ჰედაიეთ-ხანი<sup>73</sup>

არაქში<sup>74</sup>

ტარომში<sup>75</sup> – ვოსტომ-ხანი

ხალხალში<sup>76</sup> – მაჰმად-ხან-სალადღუ

ზანზანში – ალი-ხანი<sup>77</sup>

ყაზვინში<sup>78</sup> – მოვლა-ვერდი-ხანი

თეირანში – ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი მფლობელი მახანდარანისა და ასტრაბადისა.<sup>79</sup>

არდალანში – ხოსრო-ხანი<sup>80</sup>

ჰამადანში – მომიდ-ხანი<sup>81</sup>

ქირმანში – ალი-ყული-ხანი<sup>82</sup>

სავასში – ქალბალი-ხან ჰალაჯ<sup>83</sup>

ყუმში – დიღვარ-ხანი<sup>84</sup>

ქაშანში – ადდურა-ხანი<sup>85</sup>

თაბასში – მირ-მაჰმად-ხანი<sup>86</sup>

იედზში – ტალკა-ხანი<sup>87</sup>

ისპაჰანში – ჯაფარ-ხან ზენდს ზოგიერთ ზემოდასახელებულ [ხანებზე] დროისა და თავის ძალის მიხედვით აქვს ძალაუფლება.<sup>88</sup>

ხორასანში<sup>89</sup>

მაჰჰადში – შარუხშაჰი, ნადირ-შაჰის შთამომავალი<sup>90</sup>

ტურში<sup>91</sup> – აბდულა-ხანი

შუშისტანში<sup>92</sup>

ლურისტანში – მფლობელი მეფის ტიტულით.<sup>93</sup>

ფარსისტანში<sup>94</sup>

შირაზში – ვეის-მურატ-ხან ზენდი<sup>95</sup>

ქურთისტანში – ვალი-ხოსრო-ხანი<sup>96</sup>

## შენიშვნები

- 1 ავტორი სახელწოდება „აზერბაიჯან“-ში მოიხსენიებს ერთ დროს ირანის კუთვნილ მხარეებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და მის სამხრეთით, რომლებსაც მის დროს დამოუკიდებელი მუსლიმი ხანები განაგებდნენ.
- 2 „საქართველოში“ ავტორი ჩვეულებრივ აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ ქართლსა და კახეთს გულისხმობს.
- 3 ამ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში აქვს ის პერიოდი, როცა შაჰ-აბას I-ის დროიდან მოყოლებული აღმოსავლეთ საქართველო ირანის მიერ იყო დაპყრობილი, ხოლო ქართლსა და კახეთს საუკუნეზე მეტ ხანს შაჰის დანიშნული გამუსლიმებული ბაგრატიონები განაგებდნენ (კახეთი ერთი ხანი განჯის ხანებსაც კი ჰქონდა გადაცემული სამართავად) გურჯისტანის ვალის ტიტულით და შაჰის მოხელეებად განიხილებოდნენ.
- 4 მხარე ირანში, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით. ამჟამად ირანის ერთ-ერთი ოსტანი ამავე სახელწოდებით. დედაქალაქი – რეშთი.
- 5 იგულისხმება ირანის ცენტრალური მხარეები. არაქი ამჟამად ქალაქია ირანში, მარკაზის ოსტანის ადმინისტრაციული ცენტრი. უფრო დაწვრილებით ის. ქვემოთ.
- 6 „თურქეთში“ აქაც და შემდეგშიც იგულისხმება ოსმალეთის იმპერია.
- 7 ავტორს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ დერბენდის სახანო მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტნის მიწა-წყალზე. ქ. დერბენდი და მისი ოლქი ამჟამადაც დაღესტნის რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია) მდებარეობს.
- 8 დერბენდი დაიპყრო სეფიანთა დინასტიის დამაარსებელმა, სპარსეთის შაჰმა ისმაილ I-მა XVI ს-ის დასაწყისში, ს. ბურნაშვილის მიერ წინამდებარე ნაშრომის შედგენიდან 300-ზე ნაკლები წლით ადრე, ამდენად ავტორის დასახელებული 450 წელი უზუსტობაა. 1735 წელს კი რუსეთმა დასავლეთ კასპიისპირეთში თავისი დაკავებული ტერიტორია და, მათ შორის, ქალაქი დერბენდი განჯის ზავით ნადირ-შაჰს გადასცა.
- 9 „ყარაყაიდალის ხანების საგვარეულოდან, მემკვიდრეობითი მფლობელი ქალაქ სალიანისა, რომელიც მის წინაპრებს სპარსეთის შაჰებისაგან მიეცათ სამფლობელოდ“ (ს. ბურნაშვილი). ფათ-ალი-ხანი – ყუბის ხანი 1758-1789 წწ. მან დაღესტნელ ბელადთა დახმარებით 1765 წელს დაიკავა ქ. დერბენდი და მისი მხარე მიუერთა ყუბის სახანოს.
- 10 სალიანი არის ქალაქი მტკვრის ქვემო წელზე, ბაქოს სამხრეთით, თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.
- 11 როგორც იქვე არის აღნიშნული, შუშის ხან იბრაჰიმთან ფათ-ალი-ხანს შეურიგებელი მტრობა ჰქონდა, ამიტომ აქ „შუშის“ ხსენება უადგილო ჩანს.

- 12 მაჰმად-ხანი – ყაზიყუმუხის ხანი 1743-1789 წლებში, სურხაი I-ის ძე. აღსანიშნავია, რომ მაჰმად-ხანი სხვა დაღესტნელებთან ერთად ყუბის სახანოს წინააღმდეგაც ლაშქრობდა და 1774 წელს ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობისას დამარცხებული ფათ-ალი-ხანი იძულებული გახდა სალიანშიც კი გახიზნულიყო.
- 13 მურთაზ-ალი II, მეჰდი I-ის ძე, შამხალი იყო 1765-1785 წლებში.
- 14 ომარ-ხანი, ნურსალ-ბეგის ძე, ავარიის ხანი 1774-1801 წლებში.
- 15 აქ, პირველ რიგში, უნდა იგულისხმებოდეს ახალციხის ფაშა, რომელსაც დავალებული ჰქონდა კავკასიის საქმეთა წარმართვა და აქაურ მმართველებთან ურთიერთობა ოსმალეთის ინტერესების შესაბამისად.
- 16 შაქის სახანოს დედაქალაქი იყო ნუხა (ეს სახელი ერქვა 1968 წლამდე, სანამ სახელად მასაც შაქი (შექი) არ ეწოდა, რის გამოც მას ნუხის სახანოდაც მოიხსენიებდნენ. ავტორი ამ სახანოს დასახელებისას ორივე სახელს იყენებს.
- 17 ნადირ-შაჰი შეთქმულება მოკლეს 1747 წელს. ამით ისარგებლა აჯი-ჩალაბმა, ამავე წელს დააარსა შაქის სახანო და გახდა მისი პირველი ხანი. ამიტომ ამ სიტყვების წერისას, ავტორს აღნიშნულ ამბებთან უფრო ზუსტად 39 წელი აშორებდა.
- 18 აჯი-ჩალაბის შვილთაშვილი – მუჰამედ-ჰასან-ხანი შაქის ხანი იყო 1783-1795 წლებში.
- 19 დააბრმავა ჰუსეინ-ხანმა, ამჟამინდელი ნუხის ხანის მამამ (ავტ.).
- 20 ძმები, მუჰამედ-სეიდ-ხანი და ალახი-ხანი შირვანის სახანოს ერთად განაგებდნენ თავიდან 1765-1768 წლებში. 1768 წელს ფათ-ალი-ხან ყუბელმა და მუჰამედ-ჰუსეინ-ხან შაქელმა ერთობლივი ძალებით შირვანში ილაშქრეს და ძმები დაატყვევეს. მუჰამედ-ჰუსეინ-ხანის ბრძანებით ალახი-ხანი დააბრმავეს, რის გამოც მას უწოდეს ქორ, რაც თურქულად ნიშნავს ბრმას. რამდენიმე წლის შემდეგ ძმებმა ისევ დაიბრუნეს ხელისუფლება შირვანში. მაგრამ 1785 წელს ფათ-ალი-ხანმა ისინი კვლავ დაატყვევა და სამი წლის შემდეგ ორივე სიკვდილით დასაჯა მათივე ვაჟებთან ერთად.
- 21 1735 წელს ნადირ-შაჰმა მდინარე აღსუს ნაპირზე დააარსა ახალი ქალაქი, სადაც დაასახლა შემახიიდან აყრილი მოქალაქეები. აქ იქნა გადმოტანილი შირვანის მმართველთა სამყოფელიც. ქალაქს უწოდეს ახალი შემახა, ან მეორენაირად – აღსუ, მდინარის სახელწოდების მიხედვით.
- 22 იგულისხმება ყუბის ხანი ფათ-ალი, რომელიც ასევე ფლობდა დერბენს.
- 23 ფათალი-ხანმა თავისი და, ჰადიჯე-ბიკე მიათხოვა ბაქოს მალიქ-მუჰამედ-ხანს (1772-1784), რომელიც სუსტი ხასიათის პიროვნება იყო და ამ ქორწინების შედეგად მთლიანად ყუბის ხანის გავლენაში მოექცა. ს. ბურნაშევის დასახელებული ხანი კი არის მალიქ-მუჰამედ-ხანის მემკვიდრე, მირზა-მუჰამედ II (1784-1791). ამდენად ავტორს აქ ერთგვარი შეცდომა გაეპარა: ფათ-ალი-ხანის და მირზა-მუჰამედისათვის არა მეუღლე, არამედ დედა იყო. შესაბამისად, ფათ-ალი-ხანი ბაქოს იმჟამინდელ ხანს ბიძად ეკუთვნოდა.
- 24 ვინაიდან თალა-ჰასან-ხანს რეზიდენცია ჰქონდა ციხე-ქალაქ ჯავადში (მტკვრის პირას არაქსის შესართავთან), მას ასევე უწოდებდნენ ჯავადის ხანსაც; მას იხსენიებდნენ მულანის ხანადაც, ვინაიდან მულანის ველის ძირითად ნაწილს იგი აკონტროლებდა. იყო ფათ-ალი-ხანის ქვეშევრდომი. 1778 წელს ფათ-ალი-ხანის წინააღმდეგ გალაშქრებისას გილანის ჰედაიეთ ხანმა ჯავადი აიღო და თალა-ჰასან-ხანი მის ტყვეობაში აღმოჩნდა. ტყვეობიდან განთავისუფლებული თალა-ჰასან-ხანი ფათ-ალი-ხანმა 1784 წელს არდებილის ხანის განდევნის შემდეგ ამ უკანასკნელის ადგილას დაადგინა. თალა-ჰასან-ხანი გარდაიცვალა 1789 წელს.
- 25 აქ უნდა იგულისხმებოდეს მულანის ველი, რომლის ავტორისეული სახელწოდება (Myramchi) მომდინარეობს თურქულ-აზერბაიჯანული Mugarçöl-დან, რაც ნიშნავს მულანის უდაბნოს//სტეპს. მულანის ველი მდებარეობს მტკვრისა და არაქსის ქვემო წელის მიდამოებში. მისი სტეპი ინტენსიურად გამოიყენებოდა მომთაბარე მეცხოველეობის განვითარებისათვის.
- 26 ეტყობა, შეცდომაა და აქაც „მულამჩოლი“ უნდა ეწეროს (ტექსტში საკუთარის სახელების აღმნიშვნელი შრიფტით რუსული „გ“ და „ჩ“ ერთმანეთს წააგავს).
- 27 იგულისხმება ელბრუსის ქედის შემადგენელი მთიანეთი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, არდებილის მხარეში, ქ. არდებილის აღმოსავლეთით. აქ მდებარეობს ირანის სიდიდით მესამე მწვერვალი სავალანი (4811 მ.), ჩამქრალი ვულკანი.
- 28 შალალის ქურთული ტომის ბელადი სადიქ-ხან შალალელი იყო სარაბის სახანოს (თავრიზისა და არდებილის სახანოებს შორის მოქცეული ვასალური სახანო) დამაარსებლის, ალი-ხანის ვაჟი და სახანოს მეორე ხანი 1786 წლიდან. სადიქ-ხანი რამდენიმე წლის განმავლობაში დიდ წინააღმდეგობას უწევდა ალა-მაჰმად-ხანის ჯარს. ამის გამო ერთხელ ყარაბაღის სახანოშიც მოუწია გახიზვნა. როცა 1791 წელს ირანში ალა-მაჰმად-ხანის უპირატესობა აშკარა გახდა, სხვა გამდგარ ხანებთან ერთად მას ეახლა სადიქ-ხანიც და მორჩილება აღუთქვა. შალალელმა ხანმა ირანის ახალი მბრძანებლის ნდობა მოიპოვა და მისი ჯარის სარდალიც გახდა. ალა-მაჰმად-ხანის ხორასნის ლაშქრობისას სადიქ-ხანი ქალაქ მაშჰადის ასალებად გაგზავნილ მოწინავე ჯარს ედგა სათავეში. ალა-მაჰმად-ხანის ამიერკავკასიაში მეორე ლაშქრობისას (1797 წ.) სადიქ-ხანი ჯარის მთავარსარდალი იყო. თუმცა, როგორც ჩანს, მისი შაჰისადმი ერთგულება არც ისე გულწრფელი იყო: როცა მან შუშის ციხეში მყოფი ალა-მაჰმად-ხანის მკვლელობის ამბავი შეიტყო, მას მკვლელები არ დაუპატიმრებია, ისე გაემართა სასწრაფოდ თავისი ხარით სამშობლოსაკენ საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად.
- 29 შაჰისევანი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს შაჰის მეგობარს, შაჰის მოყვარულს. სხვადასხვა ყიზილბაშ ტომთა გამორჩეული წევრებისაგან ახალი ტომის სახით ჩამოაყალიბა შაჰ-აბას I-მა, საიდანაც იკრიბებოდა მისი ერთგული სამხედრო გვარდია. შაჰისევანის ხალხის ძირითადი საქმიანობა მომთაბარე მეცხოველეობა იყო. მხოლოდ XIX-ის ბოლოდან იწყებენ ისინი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას. შაჰისევანის ტომის მეთაურმა ბედრ (ბაბერ)-ხანმა დააარსა არდებილის სახანო, რომელსაც მართავდა გარდაცვალებამდე (1783 წ.).
- 30 ნაზარალი-ხანმა სახანოს მართვა დაიწყო 1757 წლიდან, ბედრ-ხანის გარდაცვალების შემდეგ. ხანს ურჩობის გამო გადაემტერა ქერიმ-ხანი და მისი დავალებით იგი შეიპყრო გილანელმა ჰედაიეთ-ხანმა. ნაზარალი-ხანი მისმა მომხრეებმა გაათავისუფლეს ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ. 1784 წელს არდებილში ილაშქრა ფათ-ალი-ხანმა,

ნაზარალი-ხანი განდევნა და მის ადგილას თავისი ქვეშევრდომი, ჯავადის ხანი თალა-ჰასანი დააყენა.

- 31 ყარაბაღში იყო ხუთი სომხური ავტონომიური სამელიქო. მის თითოეულ მელიქს გააჩნდა თავისი „სილნალი“, რაც თურქულად გამაგრებულ ადგილს, თავშესაფარს ნიშნავს. ვანადნის სამელიქოს მართავდა შაჰნაზარიანთა საგვარეულო მას შემდეგ, რაც მისი მელიქობა მათ უწყალობა შაჰ-აბას I-მა. სოფელი შუშა მდებარეობდა ამ სამელიქოს მიწა-წყალზე.
- 32 ფანაჰ-ხანი ჯევანშირთა საგვარეულოდან იყო ნადირ-შაჰის სამსახურში. მისი ძმის სიკვდილით დასჯის შემდეგ თავის გადარჩენის მიზნით იგი გამოიქცა უკან ყარაბაღში, შეკრიბა მოზრდილი რაზმი და სხვადასხვა სახანოებში ეწეოდა ძარცვა-გლეჯას, რითაც მოიხვეჭა სიმდიდრე და სახელი. ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ (1747 წ.) გამაგრდა ბაიათის ციხეში. ადილ-შაჰის მიერ აზერბაიჯანის სარდარად (მმართველად) დანიშნულმა ამირ ასლან-ხანმა ფანაჰს მორჩილების პირობით ხანის ტიტული უბოძა.
- 33 ფანაჰ-ხანი ცდილობდა ახალი ძლიერი ციხის აგებას ყარაბაღში, მაგრამ სომეხი მელიქები მას ამის საშუალებას არ აძლევდნენ. მაშინ ვანანდის მელიქმა შაჰნაზარ II-მ, რომელსაც უპირისპირდებოდნენ სხვა სომეხი მელიქები, დახმარებისათვის მიმართა ფანაჰ-ხანს, აღიარა მისი ხელისუფლება, თავისი ქალიშვილი მიათხოვა მის ძეს, იბრაჰიმ-ხალილ-ალას და ციხის ასაგებად შეთავაზა თავის სამელიქოში საამისოდ ძალზე ხელსაყრელი ადგილი – შუშა. ხანის სარეზიდენციო ციხე აიგო 1752 წელს და მას თავიდან ამგებლის საპატივცემულოდ ფანაჰაბადი ეწოდებოდა.
- 34 იბრაჰიმ-ხალილი, ყარაბაღის ცნობილი და ერთ-ერთი ძლიერი ხანი 1763-1806 წლებში.
- 35 ყუბის გაძლიერებული ფათ-ალი-ხანი შეეცადა სხვა სახანოების მსგავსად 1780-1781 წლებში დაემორჩილებინა ყარაბაღის სახანოც, მაგრამ იბრაჰიმ-ხანის მხრიდან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. იბრაჰიმ-ხანმა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის დახმარებით შეძლო ფათ-ალი-ხანის შემოტევების მოგერიება.
- 36 იბრაჰიმ-ხანმა ცოლად მოიყვანა ავარიის ნუცალ ომარ-ხანის (1774-1801) და. ომარ-ხანთან მოკავშირეობა მას სჭირდებოდა მისი დაუძინებელი მტრის, ფათ-ალი-ხანის წინააღმდეგ.
- 37 1783 წელს ერეკლეს მიერ რუსეთის მფარველობაში შესვლამ დიდი ბზარი შეიტანა მეფისა და ყარაბაღის ხანის მრავალწლიან მეგობრულ ურთიერთობაში. რუსეთის ხელისუფლება ყარაბაღის სომეხი მელიქების ხანის წინააღმდეგ წაქეზებით (ჰპირდებოდა რა სომეხებს ყარაბაღში „ქრისტიანული სახელმწიფოს“ შექმნას) ცდილობდა იბრაჰიმ-ხანის დასუსტებასა და ამ უკანასკნელის რუსეთის ქვეშევრდომობაში (ფორმალურად კი მფარველობაში) შესვლაზე დაყოლიებას, საბოლოოდ კი ხანის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას გეგმავდა. ამ საქმეში კი აქტიურად გამოიყენებოდა ერეკლე II და მისი ავტორიტეტი. შემფოთებული ხანი ვერ ბედავდა თავისი ნამდვილი განწყობის ღიად გამოხატვას და ცდილობდა თავი კვლავ რუსეთისა და ერეკლეს ერთგულად მოეჩვენებინა.
- 38 XVI ს-ის I ნახევარში შაჰმა თამაზ I-მა სეფიანთა ირანის შემადგენლობაში შექმნა განჯის საბეგლარბეგო, რომელიც მოიცავდა მთელს ყარაბაღსაც. 1736 წელს გაძლიერებული განჯის ბეგლარბეგების დასუსტების მიზნით ნადირ-შაჰმა საბეგლარბეგო გააუქმა და მისი მიწა-წყალი დაანაწილა. 1747 წელს განჯის ძველი ბეგლარბეგების ზიად-ოღლუს დინასტიის წარმომადგენელმა შაჰვერდი-ხანმა თავი განჯის ხანად გამოაცხადა. ამგვარად შეიქმნა განჯის სახანო.
- 39 1780 წელს იბრაჰიმ-ხანმა და ერეკლე მეფემ განჯა აიღეს. შაჰვერდი-ხანის ძე განჯელი მუჰამედ-ხანი (1760-1780) ყარაბაღის ხანის ტყვეობაში აღმოჩნდა. განჯის სახანო კი ქართლ-კახეთისა და ყარაბაღის დაქვემდებარებაში მოექცა. მას ერთობლივად განაგებდნენ ორივე მონარქის დანიშნული მოხელეები. ერეკლეს მიერ განჯის მართვა დავალებული ჰქონდა ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს.
- 40 მუჰამედ-ხანის ძმამ, აჯი-ბეგმა 1783 წელს განჯაში აჯანყება მოაწყო და ქალაქს დაეუფლა. ერეკლე შეეცადა განჯაზე კონტროლის აღდგენას, მაგრამ აჯი-ბეგმა დაღესტნელების დახმარებით ქალაქში თავისი ხელისუფლების შენარჩუნება მოახერხა.
- 41 „იბრაჰიმ-ხანმა, რათა თავიდან აეცილებინა დაჟინებული თხოვნები ბევრი აზერბაიჯანელი ხანისა, განსაკუთრებით კი ხოსისა, განჯაში მაჰმად-ხანის ძველებურად აღდგენის შესახებ, ასევე – მეფის მოთხოვნა, რომ გადაეცა იგი ქართველთა ხელში, ბრძანა მისი მოკვდინება“ (ავტ.).
- 42 რაჰიმ-ბეგმა შეძლო ყარაბაღის ხანის ტყვეობიდან თავის დაღწევა და 1785 წელს ერეკლე II-ის თანხმობით განჯის ხანი გახდა.
- 43 „რაჰიმ-ხანის უფროსი ძმა“ (ავტ.). ჯავადი იყო განჯის უკანასკნელი ხანი 1786-1803 წლებში. იგი 1786 წელს ერეკლე მეფის ხელშეწყობით გახდა ხანი, მაგრამ მალევე მისი ურჩობის გამო 1787 წლის სექტემბერში ერეკლე მეფემ პოლკ. ბურნაშვილის დაქვემდებარებაში მყოფ რუსულ ჯართან ერთად დააპირა განჯის აღება, მაგრამ განჯასთან დაბანაკებულმა ს. ბურნაშვილმა მიიღო ბრძანება, სასწრაფოდ დაეტოვებინა საქართველო და ჯართურთ ჩრდილო კავკასიაში დაბრუნებულიყო. ამის წყალობით ჯავად-ხანმა ხელისუფლება შეინარჩუნა. სამაგიეროდ, 1795 წელს მან დიდი დახმარება გაუწია ალა-მაჰმად-ხანს თბილისზე ლაშქრობისას. 1796 წელს ერეკლემ იბრაჰიმ-ხანთან ერთად ალყა შემოარტყა განჯას. ჯავად-ხანმა საქართველოდან ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრობისას წამოყვანილი ტყვეების განთავისუფლებისა და ფულადი კომპენსაციის გადახდის ხარჯზე ისევ შეინარჩუნა ხელისუფლება. პ. ციციანოვის მეთაურობით რუსულმა ჯარის მიერ განჯის აღებისას ჯავად-ხანი ბრძოლაში დაიღუპა 1803 წელს, სახანო კი რუსეთმა მიიერთა.
- 44 მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებული ყაზახი და შამშადილის მხარეები თეიმურაზისა და ერეკლეს მფლობელობაში ექცევა XVIII ს-ის შუახანებში. 1750 წელს, როცა განჯელი შაჰვერდი-ხანის თხოვნით, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ განჯის სახანო იბრაჰიმ-ხანის თავდასხმისაგან იხსნეს, განჯის ხანმა ლაშქრობის ხარჯის ანაზღაურების სახით თანხის ნაცვლად ქართველ მეფეთა სასარგებლოდ შამშადილის მხარე დათმო. მალე ერეკლემ ყაზახის მხარეც თავის სამეფოს შეუერთა.
- 45 მაჰმად-ხანი ერეკლე II-ის ძალისხმევით გახდა ერევნის ხანი. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, 1784 წელს, ერევნის ხან ჰუსეინ-ალის გარდაცვალების შემდეგ ხანობა ერგო მის „გონებასუბუქ“ ძეს, ყულამალს, რომელიც ამის გამო ერევნელებს მოუკლავთ. ერეკლეს ერევანში გურგინა ენაკოლოფაშვილი გაუგზავნია და ხანად ჰუსეინ-ალის უმცროსი ძე – მაჰმად-ხანი 1784 წლისათვის დაუდგენიათ ხანად (მიქიაშვილი 1983: 58).

- <sup>46</sup> 1779 წელს, როცა ერევნის ხანმა ჰუსეინ-ალიმ ერეკლეს ხარკის ძლევა შეუწყვიტა, ერეკლემ სახანო დალაშქრა, მაგრამ ამ დროს აცნობეს, რომ იმერეთში ქართლის ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბაქარის ძე გამოჩენილიყო. ამიტომ მეფე ჰუსეინ-ალი-ხანისაგან მუდმივი ქვეშევრდომობისა და ხარკის ძლევის წერილობით პირობის მიცემით დაკმაყოფილდა და სასწრაფოდ უკან გაბრუნდა.
- <sup>47</sup> ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, თურქეთის საზღვრის სიახლოვეს. მაქუ განლაგებულია მაღალმთიან ადგილას, მდინარე ზანგმარის ხეობაში, არარატის მთის სამხრეთით ორმოცდაათი კილომეტრში. ერთ ხანს მაქუ შეადგენდა მაჰმუდის ქურთული ტომის სამფლობელოს ნაწილს. მოგვიანებით მაქუ გადაეცა ბაიათის ყიზილბაშურ ტომს. ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ აჰმედ-სულთანმა დააარსა მაქუს ნახევრად დამოუკიდებელი სახანო.
- <sup>48</sup> ეჩმიადინის მონასტერი, სრულიად სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქის სამყოფელი მდებარეობა ქალაქ ვალარშაპატში (დღევანდელი სომეხეთი). აღნიშნულ დროს სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქი იყო გუკას I (1780-1799).
- <sup>49</sup> ლოლამ ალი-ხანი (თეიმურაზ ბაგრატიონის ქრონიკის ზემონახსენები „გონებამსუბუქი“ ყულამალი-ხანი), ჰუსეინ ალი-ხანის ძე, ერევნის ხანი დაახლ. 1783-1784 წლებში. მამის სიკვდილის შემდეგ ერევნის ხანად ქვეყლი ლოლამ ალი-ხანი მალევე მოკლეს მისმა ხელქვეითებმა. მისი ერთი თანამედროვის ცნობით, ლოლამ-ალის ხანმოკლე ხანობამ მხოლოდ რვა თვეს გასტანა (ჭეიშვილი 1982: 9).
- <sup>50</sup> 1781 წელს ერეკლე მეფისა და იბრაჰიმ-ხანის დახმარებით ნახჭევნის ხანი გახდა აბაზ-ყული-ხანი. ხოის აჰმედ-ხანმა ირანის შაჰის, ალი-მურად-ხანის (1781-1785) ხელით 1783 წელს აბაზ-ყული-ხანი ხანობას ჩამოაცილა და ნახჭევნიდან გააძევა, ეს უკანასკნელი დახმარების სათხოვნელად გაეშურა ერეკლეს კარზე. მასთან თავი მოიყარეს მისმა მომხრეებმაც. ალი-მურად ხანისა და აჰმედ-ხანის დახმარებით ნახჭევნის ხელისუფლების სათავეში მოვიდა აბაზ-ყული-ხანის ბიძაშვილი ჯაფარ-ყული-ხანი. მალე იბრაჰიმ-ხანი ხოის ხანთან შეთანხმებით ჯარით შევიდა ნახჭევანში და აბაზ-ყული-ხანი ტახტზე აღადგინა, თუმცა ვერ მოახერხა ჯაფარ-ყული-ხანის შეპყრობა, რომელმაც ხოის ხანის თანადგომით შეძლო სახანოში რამდენიმე ციხის შენარჩუნება.
- <sup>51</sup> აპარი არის ამავე სახელწოდების ოლქის (შაჰრესტანის) მთავარი ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში (დასავლეთ აზერბაიჯანის ოსტანი). ყარადაღის სახანოს არსებობის ხანაში ის იყო ყველაზე დიდი დასახლება სახანოში და მისი დედაქალაქი. იმ დროს აპარის სიმცირის გამო ს. ბურნაშოვმა ეტყობა იგი ქალაქად ვერ აღიქვა.
- <sup>52</sup> მუსტაფა-ხანი იყო ყარადაღის სახანოს დამაარსებლის, ყაზიმ-ხანის ძე. იგი ყარადაღის ხანი იყო 1763 წლიდან. 1782 წელს ყარადაღში შეიჭრა იბრაჰიმ ყარაბაღის ხანი დაღესტნელ დამხმარე ჯართან ერთად, მუსტაფა-ხანი შეიპყრო და შუშის ციხეში გამოკეტა. ხანის ტყვედ ყოფნის ხანაში ყარადაღს განაგებდნენ მისი ვაჟი და ძმა. 1786 წელს იბრაჰიმ-ხანმა მუსტაფა-ხანი გაათავისუფლა და ყარადაღის ხანობა დაუბრუნა. 1791 წელს სხვა მეზობელ ხანებთან ერთად იგი დამორჩილდა გაძლიერებულ ალა-მაჰმად-ხანს. იმავე წელს მუსტაფა-ხანი გარდაიცვალა.
- <sup>53</sup> თალიშის სახანო მდებარეობდა კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. ყარა-ხანის ნამდვილი სახელი იყო ჯამალ ად-დინი. იგი იყო ძე სახანოს დამაარსებლის, სეიდ-აბასისა. შავგვრემანობის გამო უწოდეს ყარა-ბეგი. ახალგაზრდობისას ნადირ-შაჰს თან ახლდა დაღესტანში ლაშქრობისას, სადაც თავი ისახელა და ნადირმა მას ხანის ტიტული უბოძა. ყარა-ხანი თალიშის ხანი იყო 1747-1786 წლებში. 1768 წელს ჰედაიეთ გილანის ხანის შემოტევისაგან თავდაცვის მიზნით დაუკავშირდა ყუბის ფათ-ალი-ხანს, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ ამ ძლიერი ხანის დამოკიდებულებაში მოექცა. ყარა-ხანს რეზიდენცია ჰქონდა ლენქორანში, რომელიც სახანოს დედაქალაქი იყო (ამიტომ მას ლენქორანის სახანოდაც იხსენიებდნენ). რატომ აღნიშნავს ს. ბურნაშევი, რომ ხანს ქალაქი არ გააჩნდა, გაურკვეველია.
- <sup>54</sup> ქალაქი მეშქინშაჰრი, იგივე მეშქინი, მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ ირანში, არდებილის მხარეში, სავალანის მთების სიახლოვეს.
- <sup>55</sup> ნაზარალი-ხანი, სახანოს დამაარსებლის, ბებირ-ხანის მემკვიდრე არდებილის ხანი იყო 1747-1783 წლებში. მას რთული ურთიერთობა ჰქონდა ზენდებთან და ყაჯარებთან, სამაგიეროდ მეგობრობდა თალიშისა და ყარაბაღის ხანებთან. 1783 წელს ტყვედ ჩაუვარდა ქერიმ-ხანის მოკავშირე გილანის ხანს.
- <sup>56</sup> ნაზარალი-ხანის ძე ნასირ-ხანი არდებილის ხანი იყო 1783-1808 წლებში. 1784 წელს ფათ-ალი-ხანმა მისტაცა მას არდებილი და მეშქინი, მაგრამ რუსეთის ზემოლის შედეგად ყუბის ხანს მოუწია არდებილის დატოვება.
- <sup>57</sup> თავრიზი იმ დროის უდიდესი ქალაქი იყო ორივე (სამხრეთ და ჩრდილოეთ) აზერბაიჯანში. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს (1501-1555 წლებში) სეფიანთა ირანის სატახტო ქალაქსაც წარმოადგენდა.
- <sup>58</sup> ხუდადად თავრიზის ხანი 1784-1788 წლებში.
- <sup>59</sup> ხოის ხანი 1763-1786 წლებში, დუნბულთა საგვარეულოდან. 1786 წელს მოკლეს მისმა ძმიშვილებმა.
- <sup>60</sup> ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში (აღმოსავლეთ-აზერბაიჯანის ოსტანი), ამავე სახელის ოლქის ცენტრი. მარანდა მდებარეობს თავრიზიდან 70-ოდე კმ-ში ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.
- <sup>61</sup> მარაღის სახანო დასავლეთიდან ებჯინებოდა ურმიის ტბას. დედაქალაქი იყო ქალაქი მარაღა, გაშენებული თავრიზის სამხრეთით ურმიის ტბაში ჩამდინარე მდინარე სოფი-ჩაის ნაპირას.
- <sup>62</sup> აჰმედ-ხანი, მუქადამის ტომიდან, იყო ყველაზე ცნობილი და ძლიერი მარაღის ხანებს შორის. სახანოს მართავდა 1763-1797 წლებში.
- <sup>63</sup> აჰმედ-ხანის მამა იხსენიება როგორც ალი-ხანი ან ჰაკი-ალი-მუჰამედი. შესაძლებელია, აქ „უმეიკი“ წარმოადგენდეს ურმიის ხანის, მაჰმად-ყული-ხანის მამის – იმამ-ყულის სახელის დამახინჯებულად შემოკლებულ ფორმას.
- <sup>64</sup> ურმიის სახანო დაარსა ნადირ-შაჰის ბიძაშვილმა ფათ-ალი-ხან ავშარმა. მისი მმართველობის დროს (1747-1763 წწ.) სახანო მნიშვნელოვნად გაძლიერდა და მეზობელი სახანოებიც (ხოის, მარაღის, ყარადაღის) დაიმორჩილა. ფათ-ალი-ხანი ცდილობდა თავისი გავლენის დამყარებას ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სახანოებზეც (ერევნის, ყარაბაღის).
- <sup>65</sup> აქ ერთგვარი უზუსტობაა: ურმიის სახანოს ამავე სახელწოდების წაგრძელებული ფორმის ტბა დასავლეთის მხრიდან



გამოჰყოფდა თავრიზის სახანოსაგან. ჩრდილოეთით კი ხოის სახანოსთან მას სახმელეთო საზღვარი მიჯნავდა.

- <sup>66</sup> მაჰმად(მუჰამედ)-ყული-ხანი სახანოს მმართველი იყო 1784-1795 წლებში.
- <sup>67</sup> 1763 წელს ქერიმ-ხან ზენდმა ურმია დალაშქრა 9-თვიანი ალყის შემდეგ მისი დედაქალაქი აიღო, ხანი ფათ-ალი-ხან ავშარი ხელთ იგდო და ისპაჰანში სიკვდილით დასაჯა. ქერიმ-ხანის ამ ლაშქრობამ ურმიის სახანო ძალზე დააზარალა და მნიშვნელოვნად დაასუსტა.
- <sup>68</sup> ერთ-ერთი ქურთული ტომი.
- <sup>69</sup> ხოის სახანოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ურმიის სახანოსთან სახმელეთო საზღვარი ჰქონდა და მხოლოდ მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის მცირე მონაკვეთი აღწევდა ურმიის ტბამდე. შესაძლებელია, ამ უკანასკნელმა გარემოებამ განაპირობა აღნიშნული უზუსტობა.
- <sup>70</sup> ჰუსეინ-ყული-ხანი აჰმედ-ხანის ძე და მემკვიდრე, ხოის ხანი იყო 1786-1798 წლებში.
- <sup>71</sup> არამდგრადობა და უმაგალითო სიცრუე ჩანს არა მარტო სპარსელთა შორის, არამედ საერთოა აზიის ამ ქვეყნების ყველა მცხოვრებელთათვის (ავტ.).
- <sup>72</sup> გილანის სახანო მდებარეობდა კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. დედაქალაქი – რეშთი.
- <sup>73</sup> ჰედაიეთ-ხანი გილანს მართავდა 1748-1802 წლებში. ზენდებსა და ყაჯარებს შორის დინასტიური ომის პირობებში ის რამდენჯერმე იძულებული გახდა, გილანიდან გადახვეწილიყო, მაგრამ მოკავშირეების საშუალებით მაინც ახერხებდა თავის ძალაუფლების აღდგენას.
- <sup>74</sup> არაქი ამჟამად ეწოდება მარკაზის მხარის (ოსტანის) დედაქალაქს (ყოფილი სულთანაბადი) და მცირე ოლქს ამავე მხარეში (ოსტანში). შაჰ-აბას I-ის მიერ ირანის ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად შეიქმნა არაქის მხარე, რომელიც მოიცავდა ირანის ცენტრალურ ნაწილს. მხარე არაქი მდებარეობდა აზერბაიჯანის მხარის სამხრეთით და მასში შედიოდა ირანის პოლიტიკური და კულტურული ცენტრები: ისპაჰანი, ყაზვინი, თეირანი, ყუმბი.
- <sup>75</sup> სავარაუდოდ თანამედროვე ზენჯანის მხარის ერთ-ერთი ოლქი – ტარომი.
- <sup>76</sup> ხალხალის სახანო იყო ვასალური სახანო ჩრდილო-დასავლეთ ირანში, დედაქალაქი ხალხალი. ამჟამად ხალხალი არის ოლქი და მისი დედაქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, არდებილის ოსტანში.
- <sup>77</sup> სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ზენჯანი – თეირანი-თავრიზის შუაგზაზე მდებარე ქალაქი და ამავე სახელწოდების ოსტანი ირანის ჩრდილო-დასავლეთში. ალი-ხან შალაღელმა დააარსა სარაბის სახანო თავრიზსა და არდებილს შორის და მართავდა მას 1747-1786 წლებში. ქერიმ-ხანის გარდაცვალების მომდევნო ხანებში ალი-ხანმა დაიკავა მისი სახანოს სამხრეთით მდებარე ზენჯანიც. ალი-ხანის მემკვიდრე სადიქ-ხან შალაღელის დამორჩილება ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად შეძლო ალა-მაჰმად-ხანმა 1791 წელს.
- <sup>78</sup> ყაზვინი – მხარე (ოსტანი) და მისი დედაქალაქი ჩრდილოეთ ირანში. ყაზვინის ალების შემდეგ, 1786 წელს ალა-მაჰმად-ხანს აქ მმართველად თავისი ნათესავი მირზა მოჰამედ-ხან ყაჯარი მიუვლენია.
- <sup>79</sup> 1785 წლის სექტემბერის დასაწყისში ალა-მაჰმად-ხანი თეირანში შევიდა და იგი თავისი სამფლობელოებთან (მაზანდარანი, გულისტანი) სიახლოვის გათვალისწინებით ირანის სატახტო ქალაქად აქცია. მაზანდარანი ისტორიული მხარეა ირანის ჩრდილოეთში, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. 1779 წლის 2 აპრილს, თავისი ძმების დამარცხების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანი მაზანდარანში გაბატონდა და თავის სამყოფელად მისი მთავარ ქალაქი სარი არჩია. ეს იყო მისი პირველი წარმატება ხელისუფლებისათვის ბრძოლისას. ქალაქი ასტრაბადი (თანამედროვე გურგანი) გულისტანის მხარის ცენტრია. თვითონ გულისტანი მდებარეობს ირანის ჩრდილოეთში, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მაზანდარანს აღმოსავლეთიდან ებჯინება. ასტრაბადი ალა-მაჰმად-ხანის საბრძანებლოში გადავიდა 1780 წლის ოქტომბერში, ამ უკანასკნელისა და მისი ძმის, მურთაზა ყული-ხანის შეთანხმების შედეგად.
- <sup>80</sup> არდალანის სახანო წარმოადგენდა არდალანის ქურთული ტომის სახელწოდებას, დედაქალაქით – სანანდა. სეფიანების ხანაში დამოუკიდებლობა დაკარგა და ირანის ნაწილად იქცა. ს. ბურნაშების თბილისში ყოფნისას არდალანის ხანი იყო ხოსროვ III ბოზორგი (1752, 1756-1763, 1766-1790); სხვა ცნობით – 1754-1788 წლებში.
- <sup>81</sup> ჰამადანი არის მხარე (ოსტანი) დასავლეთ ირანში. მისი დედაქალაქი ჰამადანი მდებარეობს თეირანის დასავლეთით. 1785 წლის აგვისტოდან ჰამადანს ეუფლება ალა-მაჰმად-ხანი და მხოლოდ მისი შემომტკიცების შემდეგ მიემართება იგი თეირანისაკენ. ამიტომ „მომიდ-ხან“-ში ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ ალა-მაჰმად-ხანი? ალა-მაჰმად-ხანს იმ დროს ზოგჯერ მოიხსენიებდნენ, როგორც ალა-მამად-ხანს, ან ალა-მომად-ხანს. ასეთ შემთხვევაში გამორიცხული არაა, ს. ბურნაშევს ჰამადანისა და თეირანის ერთი მმართველი სხვადასხვა პიროვნებებად მიეღო.
- <sup>82</sup> ირანში სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არის ქალაქი და მხარე ქერმანი (ზენდების უკანასკნელი საყრდენი – 1794 წელს აიღო ალა-მაჰმად-ხანმა) და ასევე ქალაქი და მხარე ქერმანშაჰი ირანის დასავლეთ ნაწილში, ერაყის საზღვართან. ამ შემთხვევაში, ჩანს, ეს უკანასკნელი მოიაზრება, (არაქის ქვეყანაში ქერმანი არ წარმოიდგინება). ალი-ყული-ხანი, როგორც ზენდების ქვეშევრდომი, ქერმანშაჰს მართავდა 1750-იანი წლების შუახანებიდან 1785 წლამდე. 1785 წელს, ალი მურად-ხან ზენდის სიკვდილის შემდეგ არდალანის მმართველმა ხოსროვ-ხანმა, რომელიც ალა-მაჰმად-ხანის მოკავშირე იყო, ალი-ყული-ხანის დამარცხებისა და მოკვლის შედეგად ხელთ იგდო ძალაუფლება ქერმანშაჰში და იქაურობა სამართავად ჩააბარა ალი-ყული-ხანის ბიძას, ჰაჯი-ალი-ხანს. ეს უკანასკნელი ამბავი, ეტყობა, ს. ბურნაშევისათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო.
- <sup>83</sup> უნდა იყოს ქალაქი და ოლქი სავა (იგივე სავე) მარკაზის ოსტანში. სეფიანთა ხანაში იყო ირანის მნიშვნელოვანი ქალაქი.
- <sup>84</sup> ყუმბი – მცირე მხარე და მისი დედაქალაქი ცენტრალურ ირანში. ქალაქი ყუმბი მდებარეობს თეირანის სამხრეთით 150-ოდე კმ-ის დაშორებით.
- <sup>85</sup> ქაშანი – ქალაქი და ოლქი (შაჰრესტანი) ისპაჰანის ოსტანში. ყუმბის სამხრეთით, ისპაჰანისაკენ მიმავალ გზაზე. 1785 წლიდან ქალაქი ალა-მაჰმად-ხანის დაქვემდებარებაში გადავიდა.

- <sup>86</sup> თაბასი – ქალაქი და ოლქი აღმოსავლეთ ირანში, ამჟამად შედის სამხრეთ ხორასანის ოსტანში. მირ-მაჰმად-ხანში შეიძლება იგულისხმებოდეს თაბასის მმართველი მაჰმად-ხან არაბი, რომელიც 1787 წელს ზენდების ჯარის დამარცხების შემდეგ იმდენად გადიდებულა, რომ ისპაჰანის დაუფლებაც მოინადინა, მაგრამ იქ მჯდარმა ალა-მაჰმად-ხანის ძმამ, ჯაფარ-ყული-ხანმა მისი შემოტევის მოგერიება მოახერხა.
- <sup>87</sup> უნდა იყოს ქალაქი და ოსტანი იეზდი ცენტრალურ ირანში ისპაჰანის აღმოსავლეთით (ავტორის გამოცემაში დ-ზ-ს ადგილები გადანაცვლებულია). უნდა იგულისხმებოდეს თაყა-ხანი, რომელიც ერთ დროს ქერიმ-ხანის ვასალი იყო, მაგრამ შემდეგ ისპაჰანის ზენდ მმართველებს განუდგა. 1787 წელს მის წინააღმდეგ ილაშქრა ჯაფარ-ხან ზენდმა. თაყა-ხანმა თავის დაცვა თაბასის მმართველ მოჰამად-ხან არაბის დახმარებით შეძლო.
- <sup>88</sup> ისპაჰანი – უმნიშვნელოვანეს ქალაქი და ამავე სახელობის მხარე ცენტრალურ ირანში. XVI ს-ის ბოლოს შაჰ-აბას I-მა ისპაჰანი სეფიანთა ირანის დედაქალაქად აქცია. ჯაფარ-ხან ზენდი იყო დინასტიურ ბრძოლაში ჩართული სადევ-ხანის ძე. იგი განუდგა მამას და მიემხრო ტახტის მეორე პრეტენდენტს, თავის ბიძაშვილ ალი მურად-ხანს, რომელმაც 1781 წლის ბოლოს ისპაჰანი დაიკავა და ჯაფარ-ხანი ზენჯანის მმართველად დანიშნა. 1785 წელს, ალი-მურად-ხანის სიკვდილის ამბის შეტყობისთანავე, იგი შევიდა ისპაჰანში, დააბრმავა ალი მურად-ხანის ვაჟი და ხელისუფლება იგდო ხელთ. იმავე წელს ალა-მაჰმად-ხანთან დამარცხების შემდეგ მოუწია შირაზში გადასვლა. ჯაფარ-ხანი აგრძელებდა ისპაჰანის დაბრუნებისათვის ბრძოლას, დროებით მოახერხა კიდევ მცირე ხნით, მაგრამ იძულებული გახდა კვლავ შირაზში დაბრუნებულიყო. 1789 წელს მისმა მეტოქეებმა მოისყიდეს ჯაფარ-ხანის მსახური ქალი, ხანი მოწამლეს და შემდეგ დასნეულებული მოკლეს.
- <sup>89</sup> ხორასანი – შუა აზიისა და ავღანეთის მოსაზღვარე ისტორიული ოლქი ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.
- <sup>90</sup> მეჰმედი (//მაჰმადი) არის ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანის მნიშვნელოვანი ქალაქი, ამჟამად ხორასან-რეზავის ოსტანის დედაქალაქი. ავღანელმა აჰმად-ხანმა 1753 წელს დაიკავა ხორასანი და მის მმართველად მეჰმედში დასვა ნადირ-შაჰის შვილიშვილი ბრმა შაჰრუხი, როგორც თავისი ქვეშევრდომი. ალა-მაჰმად-ხანმა 1795 წელს ხორასანი დაიპყრო. იმის შესატყობად, თუ სად იყო გადანახული ნადირ-შაჰის მიერ ინდოეთში ლაშქრობიდან წამოღებული განძეულობა, მან შაჰრუხი დაუნდობლად აწამა. სასურველი ცნობის მიღების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანმა შაჰრუხი მახანდარანში გააგზავნა, მაგრამ ნაწამები ხანი გზაში გარდაიცვალა.
- <sup>91</sup> შესაძლოა, იგულისხმებოდეს ტუსი (ტუსა), ქალაქი ხორასანში, მაჰმადის ჩრდილო-დასავლეთით, თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, ხორასან-რეზავის ოსტანში.
- <sup>92</sup> სავარაუდოდ უნდა იყოს ხუზისტანი, მხარე ირანის სამხრეთ-დასავლეთში. მდებარეობს სპარსეთის ყურესა და ლურისტანს შორის. XVII საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული ხუზისტანს და ლურისტანს მართავდა ირანის შაჰის დანიშნული პირი ვალის (ნაცვალის) ტიტულით.
- <sup>93</sup> ლურისტანი – ლურების ქვეყანა, ვოსტანი ირანის სამხრეთ-დასავლეთში, ხუზიტანის მომიჯნავე ჩრდილოეთიდან. შაჰ-აბას I-ის დროიდან მოყოლებული ლურისტანის მმართველებს ჰქონდათ ვალის ტიტული. ალბათ ეს გარემოება ჰქონდა ს. ბურნაშევს მხედველობაში, როცა ამ ქვეყნის მმართველების სამეფო ტიტულს უსვამს ხაზს. აღსანიშნავია, რომ XVII-XVIII საუკუნეების სეფიანთა ირანში ოთხი ვალის (ნაცვალის) თანამდებობა არებობდა: ქურთისტანის ვალი, ლურისტანის ვალი, ხუზისტანის (არაბისტანის) ვალი და გურჯისტანის ვალი.
- <sup>94</sup> იგივე ფარსი, ვოსტანი სამხრეთ ირანში. დედაქალაქი შირაზი.
- <sup>95</sup> შირაზი – ფარსის სამხარეო ცენტრი, XVIII ს-ის მეორე ნახევარში იყო ზენდების დინასტიის დედაქალაქი. ამავე საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში შირაზს განაგებდა საიდ მურად-ხანი. იგი იყო ირანის შაჰის, ალი-მურად-შაჰის (1781-1785) ძე. მურად-შაჰის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასულმა ჯაფარ-მაჰმად 1785 წელს სეიდ-მურად-ხანი დანიშნა შირაზის მმართველად (სარდლად). 1788 წელს იგი ამ თანამდებობიდან გადააყენა და ციხეში გამოკეტა სხვა ზენდ დიდებულებთან, მათ შორის ვეის მურად-ხანთან ერთად. მალე სეიდ-მურად-ხანი საპატიმროდან სათავეში ჩაუდგა შეთქმულებას, რამაც ჯაფარ-შაჰის სიცოცხლე შეინირა და სეიდ-მურად-ხანმა თავი შაჰად გამოაცხადა (1789 წლის 23 იანვარი). მაგრამ მის წინააღმდეგ მაშინვე დაიძრა ჯარით ჯაფარ-ხანის ძე ლუფთ-ალი-შაჰი, რომელმაც შირაზის სიმაგრეში გამაგრებული სეიდ-მურად-ხანი 4-თვიანი ალყის შემდეგ შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა.
- <sup>96</sup> ქურთისტანი – მხარე ირანის დასავლეთ ნაწილში, ერაყის საზღვართან. როგორც უკვე ვახსენეთ, ქურთისტანის მმართველებს ასევე ჰქონდათ ვალის ტიტული.

## დამონებანი

**ბურნაშევი 1793ა:** Картина Грузии, или описание политического состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго, Курск.

**ბურნაშევი 1794:** С. Бурнашев, Описание горских народов, Курск.

**ბურნაშევი 1793 ბ:** Описание областей Адербижанских в Персии и их политического состояния, Курск.

**ბურნაშევი 1901:** Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал с приложением карт, портретов и факсимиле С. Н. Бурнашев, под редакцией А. А. Цагарели, С.-Петербург.

**ბურნაშევი 2017:** Кавказ XVIII века глазами русского тайного агента, Баку.

**მერკვილაძე 2016:** დ. მერკვილაძე, სტეფანე ბურნაშევი და მისი ნაშრომი „საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა“, ქართული წყაროთმცოდნეობა, XVII-XVIII, 2015-2016, თბილისი.

**მერკვილაძე 2018:** დ. მერკვილაძე, ბაქოში გამოცემული წიგნისათვის – „XVIII საუკუნის კავკასია რუსეთის საიდუმლო აგენტის თვალით“, ქართული წყაროთმცოდნეობა, XIX-XX, 2017-2018, თბილისი.

**მერკვილაძე 2019:** დ. მერკვილაძე, სტეფანე ბურნაშევის ნაშრომი „მთიელ ხალხთა აღწერა“, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIX, 2019, თბილისი.

**მერკვილაძე, მხითარაიანი 2018:** D. Merkviladze, G. Mkhitarian, S. Burnashev's Compositions as the Source for the History of the South Caucasus Region, ქართული წყაროთმცოდნეობა, XIX-XX, 2017-2018, თბილისი.

**მიქიაშვილი 1983:** თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბილისი.

**ჭეიშვილი 1982:** ა. ჭეიშვილი, ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები (მე-18 საუკუნის II ნახევარი), თბილისი.

## **S. BURNASHEV'S WORK "DESCRIPTION OF THE REGIONS OF AZERBAIJAN IN PERSIA AND THEIR POLITICAL STATUS"**

Introduction, translation from Russian and commenataries by  
**David Merkviladze**

Colonel of the Russian army Stephan Burnashev was appointed as the Special Envoy of the queen Catherine II at the court of the king of Kartl-Kakheti kingdom Erekle II and the king of Imereti Solomon I by the royal court of the Russian empire in 1783-1787 years. S. Burnashev also was ordered to lead two Russian battalions, which entered Georgia according the treaty of Georgievsk.

In his work "Description of the Regions of Azerbaijan in Persia and their Political Status", S. Burnashev describes the political situation of the Islamic khanates located in the South Caucasus and more south. Russian diplomat and military man gives us information about boundaries of khanates, the political relationship between the khans and with the king of Kartli and Kakheti Erekle II, their political orientations and links, economic and military power, political status. S. Burnashev also gives the number of the households of Christians living in each khanate.

It seems that when S. Burnashev was in Tbilisi he used King Erekle's spy network to collect information about Azerbaijani khanates, very important data for the imperial court of the Russian empire.

Mentioned work was published by Burnashev in 1793 in Kursk.

The Georgian translation of the S. Burnashev's work "Description of the Regions of Azerbaijan in Persia and their Political Status" is published for the first time.

## არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ ახალი თარგმანი

თარგმანი იტალიურიდან  
გიორგი ცქიტიშვილისა

შესავალი წერილი, ქართული ტექსტის  
რედაქტირება და კომენტარები  
დავით მერკვილაძისა

2012 წელს ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეებისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების განსვენებული მეცნიერ-თანამშრომლის, თ. ბერაძის პირადი არქივის მონესრიგებისას აღმოჩნდა საქალაქო, რომელიც შეიცავდა XVII საუკუნის I ნახევრის იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ არასრულ ქართულ თარგმანს. თავნაკლული ტექსტი (იწყებოდა 57 გვერდიდან) დაბეჭდილი თაბახის ფურცლებზე ხელის საბეჭდი მანქანით. მას შიგადაშიგ ასევე აკლდა გვერდების გარკვეული რაოდენობა. ტექსტი დაყოფილია თავებად სათაურების გარეშე (ნუმერაცია ფანქრით მოგვიანებით ჩანს ხელით მიწერილი და როგორც შემდეგ გაირკვა, არასწორად). საქალაქო კი გარედან ხელით აწერია: „არქანჯელო ლამბერტი, წმინდა კოლხიდა“.

თარგმანის ტექსტზე მუშაობისას ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 1657 წელს ნეაპოლში იტალიურ ენაზე გამოცემულ „წმინდა კოლხეთის“ (ლამბერტი 1657) თარგმანზე თავის დროზე უმუშავია საქართველოს ისტორიის იტალიურენოვანი წყაროების ცნობილ მთარგმნელსა და გამომცემელს, ბეჟან გიორგაძეს (გარდაიცვალა 1984 წელს). შესაბამისად, არქანჯელო ლამბერტის თხზულების ზემოაღნიშნული ქართული თარგმანი ამ მკვლევრის შესრულებული ჩანს.

როგორც აღვნიშნეთ, თარგმანი გვერდებნაკლულია. გარდა ამისა, მ. თამარაშვილის მიერ ამონარიდის სახით მოხმობილი ეპიზოდი ალავერდელი ეპისკოპოსის შესახებ, რომელიც ლოგიკურად მოიაზრებოდა ლამბერტის ოდიშის სამთავროში მოღვაწეობის ნაწილში, სადაც გვერდების რიგითობა დარღვეული არ არის, აღნიშნულ თარგმანში არ აღმოჩნდა. ჯერ კიდევ მაშინ ამ გარემოებამ გვაფიქრებინა, რომ ტექსტში შიგადაშიგ არსებული სამწერტილები შეიძლებოდა მთარგმნელის მიერ ტექსტის გამოტოვებულ მონაკვეთებზე მიგვანიშნებდა. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, აღნიშნულ წყაროსადმი განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, გარკვეული განსჯის შემდეგ გადაწყვიტეთ, სამეცნიერო საზოგადოებისათვის ორ ნაწილად შეგვეთავაზებინა არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ თ. ბერაძის არქივში აღმოჩენილი ქართული თარგმანის ძირითადი ნაწილი (მერკვილაძე, გაბისონია 2013: 234-257; მერკვილაძე, გაბისონია 2014: 144-153).

ვინაიდან „წმინდა კოლხეთის“ ქართული თარგმანის დასახელებულ ტექსტს ბოლომდე დამუშავებული სახე არ ჰქონდა, საჭირო გახდა მისი სრულყოფისათვის გარკვეული სამუშაოს განევა, კერძოდ, ტექსტის სტილისტური გამართვა და ორთოგრაფიული შესწორება. ტექსტს ასევე დავურთეთ შენიშვნები და განმარტებები. ვინაიდან იმ დროს ლამბერტის თხზულების იტალიური ორიგინალის ასლი, საიდანაც შესრულდა აღნიშნული თარგმანი, საქართველოს არქივებში ვერ მოვიძიეთ, არ მოგვეცა ტექსტის შემდგომი დაზუსტების შესაძლებლობა თარგმანის იტალიურ ორიგინალთან შედარების გზით. ამ გარემოების გამო, რასაკვირველია, დაზღვეული არ ვიყავით თარგმანში რაიმე უზუსტობების გაპარვისაგანაც.

მოგვიანებით, ჩვენი იტალიელი მეგობარი, ვერონას უნივერსიტეტის სლავისტიკის პროფესორ სტეფანო ალოეს დიდი გულისხმიერებით მოეკიდა ჩვენს საჭიროებას და ლამბერტის აღნიშნული წიგნის ძალზე იშვიათი გამოცემის ერთ-ერთ ეგზემპლარს მან ჩემი თხოვნით მიაკვლია შუა საუკუნეების პატარა იტალიურ ქალაქ სარნანოს (ოლქი მარკე) ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ ნაშრომის სპეციალურად ქართულად სათარგმნელად პროფ. სტეფანო ალოეს დიდსულოვნად შეუქმნა წიგნის სრული სკანირებული ელ.ვერსია, რომელიც შემდეგ ბატონმა სტეფანომ ჩვენ გადმოგვიგზავნა, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვასხენებთ.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ, პადრე გაბრიელე ბრაგანტინის ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა მოპოვებულიყო დაფინანსების წყარო წიგნის თარგმანისათვის. უშუალოდ თარგმნის რთულ და საპასუხისმგებლო საქმე თავს იდო წმიდა საყდრის სადესპანოს მდივან-თარჯიმანმა, იტალიური ენის შესანიშნავმა სპეციალისტმა, ბატონმა გიორგი ცქიტიშვილმა. თავიდან გადაწყვეტილი გვექონდა, აღვედგინა ფურცელნაკლული ადგილები, რომელთა შორის განსაკუთრებით ვრცელი და საგულისხმო ნაწილს ტექსტის დასაწყისი ნაწილი წარმოადგენდა რამდენიმე თავის სახით. მაგრამ ტექსტის თარგმნის დროს, ძველი თარგმანის იტალიურ დედანთან შედარებისას გაირკვა, რომ პირველთარგმნილ ტექსტში ძველი მთარგმნელის მიერ იყო გამოტოვებული მთელი რიგი პასაჟები, მათ შორის, მთელი თავები (რომელთა თარგმნა მას, ეტყობა,



სხვადასხვა მოსაზრების გამო საჭიროდ არ მიუჩნევია). ზოგიერთი თავი კი ნათარგმნი იყო ნაწილობრივ ან გამოკრებიდა. ცალკეულ შემთხვევებში ასევე ადგილი ჰქონდა უზუსტობებსაც. ამ მიზეზთა გამო მივიჩნიეთ, რომ აღნიშნული ნაშრომის სრულყოფილი ქართული თარგმანის მისაღებად, აუცილებელი იყო მთელი ნაშრომის ახლიდან თარგმნა (მერკვილაძე 2019: 89-96).

ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ ახალ ქართულ თარგმანს გავუკეთეთ სრული სამეცნიერო რედაქცია, მასში მოთხრობილი ამბების მკითხველისათვის უკეთ აღსაქმელად და მთელი რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით ტექსტის თარგმანს დავერთეთ მრავალი შენიშვნა-კომენტარი. იმედი გვაქვს ლამბერტის ამ საყურადღებო ნაშრომის სრულყოფილი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემა წიგნის სახით უახლოეს მომავალში ხელთ ექნება ქართველი სამეცნიერო საზოგადოებასა და ფართო მკითხველს.

მთლიანობაში ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“ შედგება 52 თავისაგან. თითოეული თავი დასათაურებულია მასში გადმოცემული ამბის შესაბამისად. წიგნის დასაწყისში ლამბერტი ცდილობს მკითხველს წარმოდგენა შეუქმნას საქართველოს შესახებ და მოუთხრობს ეპიზოდებს მისი უძველესი ისტორიიდან. ამ დროს იგი იყენებს როგორც ანტიკურ ავტორთა ცნობებს, ასევე საქართველოში ადგილობრივ მკვიდრთაგან სმენილ ამბებსაც. ამ ცნობების შეჯერებით ლამბერტის გამოაქვს საკუთარი დასკვნებიც. მართალია, ეს დასკვნები უმეტესად არაზუსტია, მაგრამ საინტერესოა ავტორისეული ლოგიკა და მსჯელობის ხასიათი. შემდეგ გადმოგვცემს საქართველოში გამწვანებული კათოლიკური მისიის ამბებს და XVIII თავიდან იწყებს უშუალოდ საკუთარი თავგადასავლისა და საქმიანობის აღწერას. შიგადაშიგ ურთავს ცნობებს მისი თანამედროვე მისიონერებისა და მათი მოღვაწეობის შესახებაც (მათ შორის, საქართველოს ფარგლებს გარეთ). ლამბერტი ინტერესდება ამ ხნის განმავლობაში საქართველოსა და მის ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებითაც და დაწვრილებით მოუთხრობს ამის შესახებ მკითხველს.

არქანჯელო ლამბერტის ზემოდასახელებული ნაშრომი ფასდაუდებელი მნიშვნელობის წყაროა XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. მასში მოთხრობილია საქართველოში გამოგზავნილი თეატინელთა კათოლიკური მისიის 1626-1649 წლების მთელი ისტორია: პაპის კურიის მიერ გადანყვეტილების მიღება საქართველოს ტერიტორიაზე კათოლიკური მისიის შექმნის შესახებ, დონ პიეტრო ავითაბილეს ხელმძღვანელობით მისიონერთა პირველი ჯგუფის გამომგზავრება, არქანჯელო ლამბერტისა და ჯუზეპე ჯუდიჩეს გამომგზავრება იტალიიდან, წმ. მიწისა და ოსმალური სამფლობელოების გავლით მათი ქართლში შემოსვლა და თეიმურაზ I-ის ნებართვით ქ. გორში მოღვაწეობის დაწყება, მისიონერთა ახალი ჯგუფების გამოგზავნა, ამ უკანასკნელთა ფათერაკით აღსავსე მგზავრობა ოსმალეთის იმპერიის მიწაზე, მისიონის გავრცელება დასავლეთ საქართველოში, ოდიშის მკვიდრთა ყოფა, მისიონერთა წინააღმდეგობებითა და სირთულეებით დატვირთული ხანგრძლივი მოღვაწეობის მთელი სიმძიმე, დაბოლოს, ლამბერტის ხიფათიანი მგზავრობა სამშობლოსაკენ. ამდენად, ლამბერტი მართლ საკუთარ თავს გადამხდარ ამბებს არ აღგვიწერს, არამედ მოგვითხრობს თავის თანამოძმე მისიონერთა თავგადასავლისა და ასევე მათი აღსასრულის შესახებაც.

ნაშრომში უამრავი ძვირფასი ცნობა მოიპოვება ქართული სამეფო-სამთავროებისა და მათი მეზობელი ქვეყნების: ოსმალეთის, ირანის, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შესახებ. უტყუარად დადასტურებული ფაქტების გარდა, ლამბერტის ცნობები ხანდახან ემყარება ყურმოკვრით გაგონილ მოარულ ხმებსაც, რომლებიც ზოგჯერ სიმართლეს არც შეესაბამებოდა. თუმცა ამგვარი ცნობებიც იმსახურებს ყურადღებას, ვინაიდან წარმოდგენას გვიქმნის, ესა თუ ის ცნობილი მოვლენა როგორ აღიქმებოდა უბრალო ხალხის მიერ. ამრიგად, ქართველი მკითხველისათვის ბოლო დრომდე ხელმიუწვდომელი ლამბერტის ეს ნაშრომი საკულისხმო წყაროს წარმოადგენს აღნიშნული ეპოქის საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიისათვის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით.

ამჟამად „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მკითხველს ვთავაზობთ „წმინდა კოლხეთის“ თარგმანის პირველ ოთხ თავს (ავტორისეული შესავლითურთ), სადაც ლამბერტი გვანვდის საკუთარ თვალსაზრისს იბერებისა და კოლხების გაქრისტიანების შესახებ, რისთვისაც უხვად იყენებს ანტიკურ წყაროებს. მართალია, საქართველოს ძველი ისტორიის ამსახველ ამ მონაკვეთში შეინიშნება ფაქტობრივი უზუსტობები და ავტორის დასკვნებიც ხშირად სადავოა, მაგრამ იტალიელი მისიონერის შეხედულებების გაცნობის გარდა, იგი კარგ წარმოდგენას გვიქმნის ლამბერტის თვალსაწიერსა და მსჯელობის განვითარების ორიგინალურ უნარებზე.

## ტექსტი

### კათა ყოვლადწმინდა დედოფალ მარიამს უმანკოებად წოდებულს ჩვენს გამორჩეულ მეოხსა და მფარველს

ანგელოზთა მბრძანებლო, რომელსაც ჯერ კიდევ ყმანვილმა მოგიძღვნით ჩემი თავი და ყოველი საქმე ჩემი, ახლაც გიძღვნით და გწირავთ ამ მცირე ნაშრომს. მის არსებობას თქვენს უდიდებულესობას უნდა

უმაღლოდეს ის ქვეყანა, რომელშიც ვიღვანეთ, ის მუშაკნი, რომელთაც იღვანეს და ის ნაყოფიც, რომელიც ამ ნამოღვანარმა უკვე გამოიღო.

ქვეყანა, სადაც ვიღვანეთ, გახლდათ კოლხეთი, იბერიასთან ერთად.<sup>1</sup> ორივენი თქვენს ყოვლადწმინდა სახელს ეთაყვანებიან, რაზეც თქვენი უდიდებულებობის უწმიდესი სახელისადმი მიძღვნილი ტაძრების სიმრავლაც ნათლად მეტყველებს. უეჭველია, რომ ეს ეთაყვანისცემა იქ იმ რწმენასთან ერთად ჩაისახა, რომელიც იმ ხალხებმა კონსტანტინე დიდის დროს მიიღეს. მეტიც, წარმართობის ხანაშიც ისინი ღმერთების დედას, ქალღმერთ რეას ეთაყვანებოდნენ, რომლის კერპიც მდინარე ფაზისის ნაპირზე იდგა (როგორც ამას არიანე<sup>2</sup> გვამცნობს იმპერატორ ადრიანესადმი<sup>3</sup> გაგზავნილ წერილში).<sup>4</sup> შემდგომ კი, როცა გაქრისტიანდნენ, რწმენასთან ერთად ეთაყვანისცემის საგანიც შეიცვალეს და ღმერთქალ რეას სახელზე აგებული ტაძრები ღვთისმშობელ მარიამს მიუძღვნეს.

ხსენებული მუშაკნიც, ანუ ჩვენი მამებიც, შენ გიმადლიან ამ წყალობას. ისევე, როგორც ახალი მიწების შემოერთებას გულადი მეომრები თავიანთ მბრძანებლებსა და ბატონებს უმაღლიან, რომელთა დროშის ქვეშაც იბრძვიან, ჩვენც, იმ ქვეყნებში, ჩვენი ქალბატონისა და მფარველის, ყოვლადწმინდა უმანკოების სპეტაკი დროშის ქვეშ დარაზმულნი, შენ გიმადლით ყოველ მონაპოვარს.

შენად მიიღე ის უწმიდესი ნაყოფიც, რომელიც შენ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, თავადვე გიძღვნის საკუთარ თავს. ეს ნაყოფია ჩვენს მიერ მონათლული მრავალათასობით ბავშვი. ისინი წმინდად ამალდნენ ცაში და შემიძლია ვთქვა, რომ ყველა გარდაცვლილი ბავშვი სამოთხის დიდებაშია დავანებული. კოლხეთის ბაღში დაკრეფილ ამ უწმიდეს ყვავილებს ჩვენი მამები შენ გიძღვნიან, როგორც წმინდა მისართმეველს, რათა უმშვენიერესი გვირგვინით შეამკონ შენი თავი.

დიდებულო ქალწულო, არაერთხელ გინებებია ჩემი ხელიდანაც მიგელო ეს უსპეტაკესი ყვავილები, ჩემგან ნათლულნი და ცად ამალდებულნი. ამასაც გთხოვ, ჩემი სულიც განწმინდო, შენი უწმიდესი მზერის ღირსად აქციო და მათთან ერთად მიიღო სამოთხეში. შენს ფერხთით გართხმული, გვედრები მოიღო ჩემზე შენი უწმიდესი ლოცვა-კურთხევა. ამ *ცხემლის ვედიან*, დღეს, 1657 წლის 2 თებერვალს.

მარად თქვენი უდიდებულებობის  
უმორჩილესი და უერთგულესი მონა  
დონ არქანჯელო ლამბერტი, რეგულარული ბერი

## მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს

კოლხების წარმოშობისა და ზნე-ჩვეულებების აღწერის შემდეგ, მსურს წარმოგიდგინო, თუ როგორ ჩაისახა და განმტკიცდა მათ შორის რწმენა. არას დიდებით არ მოვკიდებდი ხელს ამ საქმეს – აკი, განვაცხადე კიდევ ჩემს კოლხურ რელაციაში, რომ აღარ შევუდგებოდი ჩვენი მამების ნამოღვანარის ჩამოთვლას ხსენებულ ქვეყნებში, რათა ეს საქმე უფრო ღირსეული და გულმოდგინე მეკალმეებისთვის დამეთმო, რომლებიც ყოველივეს უფრო დალაგებულად და დახვეწილი ენით გადმოსცემდნენ. მაგრამ ჩემი რელაციის გამოქვეყნებისთანავე არაერთმა მკითხველმა მისაყვედურა – იმ ქვეყნების აღწერის კვალდაკვალ, სადაც ჩვენმა მამებმა ამდენი შრომა გასწიეს, რატომ თვით მამების საგმირო საქმენიც არ წარმოვაჩინე, რომელთა მონმეც (სხვებზე მეტად) თავად გახლდით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ჩემმა წინამძღვრებმა, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით, დამავალეს თავი მომეყარა ჩვენი მამების ნაღვანისთვის და ეს ყოველივე ცალკე წიგნად გამომეცა. მეც დავემორჩილე წინამძღვრებს – ერთად შევკრიბე მამათა საქმენი, ჩემივე თვალთ ნანახი, და გთავაზობ მათ. და თუ ჩემი ნაამბობი დახვეწილი სტილითა და რიტორიკული სამკაულებით ვერ გაგაკვირვებს, სიმართლით მაინც იქნება შემკული, რაიც ყოველი ისტორიის საფუძველია.

## კოლხების პირველყოფილი ცოდნა ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ თავი I

ქვეყნად არასდროს არსებულა ისეთი სასტიკი და ველური ერი, რომელსაც ჭეშმარიტი ღმერთის თუნდაც მკრთალი შუქის ხილვისას არ შეეცვალოს თავისი ზნე-ჩვეულებანი, არ მოეწესრიგებინოს თავისი ქცევა, არ მოეთოკოს საკუთარი სისასტიკე და სრულად არ განეგდოს თავისი ველურობა. ძველ კანონმდებელთა მიერ რესპუბლიკების რეფორმირებისთვის გამოცემულ კანონებს იმდენი ძალა არ ჰქონიათ, რამდენიც ღმერთის შეცნობას აქვს ხალხთა ზნე-ჩვეულებების მოსაწესრიგებლად, რამეთუ იქ, სადაც ღვთიური შუქი ანათებს, სულებში სიკეთე ისადგურებს, ზნე-ჩვეულებები ცივილური ხდება, ურთიერთობები – ადამიანური, გულები – მონყალე, მსჯელობა – გონიერი, ხელქვეითები – მორჩილნი, მესვეურნი კი სამართლიანნი. ამიტომაც, რაც

უფრო მკვიდრდება ღვთიური ნათელი ხალხთა შორის, მით უფრო მრავლდება ეს სიქველენი; ხოლო როცა ღვთის შუქი გვშორდება, წყვიადი – ჩამოწება, სული უხეშდება, ადამიანი ველურდება, გულმონყალბა ქრება, გონება იბინდება, მორჩილება იკარგება, სამართალი ირყვება და ყოველი სიკეთე განიდევნება.

ეს ქეშმარიტება ნათლად ვლინდება ყველა იმ სამეფოსა თუ მხარეში, რომელიც წარმართობიდან ქეშმარიტების ნათელს ეზიარა (როგორც ეს ჩვენს ხანაშიც, ახალი სამყაროს უკიდევანო ქვეყნებში მოხდა). და მაინც, ნება მიბოძეთ, აღნიშნული საკითხი განვიხილოთ კოლხეთის, ანუ, როგორც დღეს უწოდებენ, სამეგრელოს მაგალითზე. ადრეც აღვნიშნავს, რომ ეს მხარე მდებარეობს შავი ზღვის, ანუ პონტო ევქსინუსის<sup>5</sup> შორეულ ნაპირზე. ანტიკურ ხანაში ამ ზღვას ევქსინუსს კი არა, აქსინუსს<sup>6</sup> უწოდებდნენ, რადგან აქაური მკვიდრნი სისასტიკით გამოირჩეოდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ იქ მოხვედრილ ყველა მოგზაურს. თუ სტრაბონს დავუჯერებთ, ევქსინუსის ამ მხარეში შემთხვევით მოხვედრილ და გაუფრთხილებელ უცხოელს ეს ბარბაროსები არა მხოლოდ კლავდნენ, არამედ ქამდნენ კიდევ და ნადიმობისას მათ თავის ქალებს სასმისებად იყენებდნენ.<sup>7</sup>

ამ სისასტიკეს ტერტულიანე ბევრ სხვასაც უმატებს: ამბობს, პონტო ღირსი არაა ატაროს ევქსინუსის სახელით და დასძენს – მის ველურობაზე მისივე ადგილმდებარეობაც მეტყველებს – რცხვინია რა ჩვენს წყნარ და უსაფრთხო ნაპირებთან ყოფნა, განზე გამდგარა და სადღაც დასაკარგავში გადახვეწილაო. მეტიც, მის მკვიდრთა დახასიათებისას დასძენს: არც ისინი იმსახურებენ მკვიდრის სახელს, რადგან საცხოვრებელიც კი არ გააჩნიათ – მუდამ ჩარდახებით დადიან და იქვე ცხოვრობენ; უსასტიკესი და გარყვნილი ხალხია – მათმა უპატიოსნობამ არც სირცხვილი იცის და არც მუხრუჭი: არც ნათესაურ კანონებს დაგიდევენ და არც საძრახის საქმეთა საჯაროდ ჩადენას ეპუებიან. ხელები მხოლოდ უცხოელებისა თუ თანამემამულეების სისხლით როდი აქვთ გასვრილი – არც საკუთარ მშობლებს ინდობენ: ღრეობებისას მათ ხორცს ცხოველთა ხორცში ურევენ და ხალისით შეექცევიან; ხოლო თუ მშობელი რაიმე სენით გარდაიცვალა, ან თუ რაიმე სხვა მიზეზით მისი ხორცი საჭმელად უვარგისია, მის სიკვდილს წყევლა-კრულვას უთვლიანო. აი, ტერტულიანეს სიტყვებიც: Pontus igitur qui Euxinus natura negatur nomine illuditur. Coeterum hospitalem pontum nec de situ extimes: ita ab humanioribus fretis nostris quasi quodam barbarie pudore secessit, gentes ferocissime inhabitant si tamen habitatur in plaustro, sedes incerta, vita cruda, libido promiscua, et plurimum nuda, etiam cum abscondunt suspensis de iugo pharetris indicibus ne temere qui intercedat. Ita nec armis suis erubescunt. Parentum cadavera cum pecudibus caesa convivio convorant, qui non ita decesserint, horum maledicta mors est.<sup>8</sup>

აი, ასე ველურად ცხოვრობდა უძველეს დროში პონტოს მთელი ეს მხარე. ამიტომაც უწოდებდნენ მას აქსინუსს.

ამავე დროს, სტრაბონს მოჰყავს ჰომეროსის სიტყვები – his non est iustior ulla gens hominum – ანუ, პონტოს მკვიდრნი მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ერზე უფრო წესიერები არიანო.<sup>9</sup>

რამ ათქმევინა ჰომეროსს „წესიერი“ ამ პირსისხლიან და უღირს ხალხზე? ნუთუ ამ განათლებულმა ადამიანმა არაფერი უწყოდა პონტოელთა სისადაგლეზე? ის ხომ ყველა ერის ზნე-ჩვეულებას მშვენივრად იცნობდა და მისივე პოემა ამის ნათელი დასტურია. ამას ვერც მის პოეტურ თავისუფლებას დავაბრალებთ, რადგან პოეტური თავისუფლება ქეშმარიტებასთან დაპირისპირებას როდი გულისხმობს, არამედ ამ ქეშმარიტების გამდიდრებას სხვადასხვა მხატვრული ხერხებითა და სახეებით.

პონტოელთა ამგვარი ურთიერთგამომრიცხავი დახასიათება მხოლოდ იმით თუ აიხსნება, რომ ევქსინუსის ზღვის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიებზე მცხოვრებ უამრავ ხალხთა შორის, მიუხედავად მათი უმეტესობის ეგზომი უღირსობისა, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, ალბათ მართლაც არსებობდა წესიერების მოყვარე ხალხიც. ამას სტრაბონიც ადასტურებს, როცა ჰომეროსის ციტირებისას უმატებს: *Qui maxime ab alijs hominibus essent remoti esse iustiores*, ანუ, ყველაზე წესიერნი ისინი იყვნენ, ვინც ყველაზე მოშორებით ცხოვრობდაო. სტრაბონი არ აზუსტებს თუ რომელი იყო პონტოს ყველაზე შორეული და, შესაბამისად, ყველაზე წესიერი მხარე, მაგრამ დასძენს, რომ ამ ზღვის ყველაზე შორეული სანაოსნო გზა მდინარე ფაზისიაო, რომელიც კოლხეთში მიედინება.<sup>10</sup> ასე რომ, თუ სტრაბონის მიხედვით, პონტოს ყველაზე შორეული მხარე ყველაზე წესიერიცაა, ხოლო, მისივე სიტყვებით, ფაზისი ყველაზე შორეული მდინარეა, გამოდის, რომ ყველაზე წესიერები ფაზისის მკვიდრნი ანუ, კოლხები ყოფილან. დიახ, პონტოს ზღვისპირა მხარეებიდან, ამდენ სასტიკ და ველურ ხალხს შორის, სწორედ კოლხეთი გამოირჩეოდა თავისი წესიერებით.

სტრაბონი დარწმუნებულია, რომ კოლხების წესიერებას მათივე სილატაკე განაპირობებს, რადგან მათ არავითარი ქონება არ გააჩნიათ და ამიტომ ერთმანეთთან არც ყიდვა-გაყიდვის გარიგებებს დებენ, რაც, როგორც წესი, ყოველგვარი უნესობის სათავეა. მართლაც, მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის გარიგებებით შემოფარგლული სამართალი ძალზე ვიწროა, რადგან ქონების უკან ადამიანის ღირსება და სიცოცხლეა, რომელთა ხელყოფაც უსამართლობაა. ხომ შეეძლო ამ არაფრისმქონე ხალხს, მეზობელი ხალხების მსგავსად მგზავრების დარცვისთვის მიეყო ხელი, ან სხვისი ღირსება ფეხქვეშ გაეთელა, ანდა ღრეობების დროს საკუთარ მშობლებს დაეკლა და ეჭამა? მით უმეტეს, რომ დღესაც კი სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც, რაც უფრო ლატაკია მოსახლეობა, მით უფრო ხარბდება სხვის ქონებას

და ქურდობაშიც ოსტატდება. კოლხების შემთხვევაში კი პირიქით – მათი წესიერება მათივე სიღარიბიდან იღებდა სათავეს.

დასაწყისშივე განვაცხადეთ, რომ ყოველ, თუნდაც ყველაზე ველურ მხარეშიც კი, სადაც ღვთიური ქეშმარიტების სხივი შეაღწევს, მყისვე ნათელი დაისადგურებს, ამპარტავნების წყვილიანი განიდევნება, სამართლიანობა და სიკეთე გამეფდება. შეიძლება ითქვას, რომ კოლხებიც მხოლოდ ქეშმარიტი ღმერთის ცოდნამ აქცია სამართლიან ხალხად; და ვინაიდან იმ ხანაში ამგვარი ცოდნა მხოლოდ ებრაელებს ჰქონდათ, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სწორედ მათგან მიიღეს კოლხებმა ეს ცოდნა.

მართლაცდა, ღმერთის ცოდნის მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად, თავად განგებამ დაუშვა, რომ ებრაელები ყველა მხარეში, მათ შორის, პონტოშიც გაფანტულიყვნენ, როგორც ამის შესახებ წმ. პეტრეს პირველი ეპისტოლეიდან ვგებულობთ.<sup>11</sup> აქედან ვასკვნი, რომ კოლხებმა ებრაელებისგან შეიცივნეს ქეშმარიტი ღმერთი.

ისეთი ავტორიტეტიც კი, როგორც ჰეროდოტეა, თავისი „ისტორიების“ მე-4 წიგნში დარწმუნებით აცხადებს, კოლხები წინადაცვეთას მიმართავდნენ, რაც იმხანად ებრაელების წესი იყო.<sup>12</sup> გარდა ამისა, ებრაელთა მსგავსად, კოლხებიც თავს იკავებდნენ ზოგიერთი ცხოველის ჭამისგან. ამას გვამცნობს უძველესი მწერალი ეფორი თავისი „ისტორიის“ მეოთხე წიგნში, სახელად „ევროპა“, რომელსაც სტრაბონიც იმონებს. აი, მისი სიტყვებიც: *constat enim non unum esse vita institutum quosdam enim eo immanitatis progredi, ut humanis etiam vescantur carnibus. Contra alios ab aliis quoque animantibus abstinere.*<sup>13</sup>

ან კი, სხვა რაღა საბუთია საჭირო, თუკი ამ ყოველივეთი თავად კოლხები დღესაც ამაცობენ, ხოლო მათი მეფე, იმერეთის ხელმწიფე, რომელსაც ოდითგანვე ემორჩილებოდნენ კოლხები, თავის თავს დავითის და სოლომონის შთამომავლად მიიჩნევს და თავის ტიტულატურაშიც საკუთარ თავს ყველგან დავითიანად და სოლომონიანად, ანუ დავითის და სოლომონის შთამომავლად მოიხსენიებს?

ქეშმარიტი ღმერთის ცოდნას კოლხები, სავარაუდოდ, ღმერთის ძის ამქვეყნად მოსვლამდე ეზიარნენ, და არცთუ უსაფუძვლოდ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მისი მოსვლის შემდეგაც მათ ერთ-ერთმა პირველებმა შეიტყვეს მესიის მოსვლის შესახებ, რაც წმინდა ლუკას მიერ დანერგილი სამოციქულო საქმენითაც დასტურდება, რომლის მიხედვითაც, სულთმოფენობის დღეს იერუსალიმში შეკრებილ უამრავ ერს შორის, პონტოელებიც იყვნენ (*პახთედნი და მიდიედნი, ედამიკები და შუამდინაჰეთის, იუდეის, კაპადოკიის, პონტოსა და ასიის მკვიდნი*). უნდა ვივარაუდოთ, რომ იერუსალიმში სულთმოფენობის ზეიმზე ჩამოსული, ებრაული წეს-ჩვეულების პონტოელები კოლხები იყვნენ. იერუსალიმში ისინი დიდი სასწაულის მომსწრენი გახდნენ – უსმენდნენ მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მოციქულთ. განა გასაკვირია, რომ მთავარმოციქულის მიერ, იერუსალიმის მოედნის გულში, მესიის მოსვლის შესახებ წარმოთქმული შთამაგონებელი ქადაგების შემდეგ<sup>14</sup> სამშობლოში დაბრუნებულმა ხალხმა მთელ ქვეყანას მოსდო იმ ქალაქში ნანახი სასწაულები და ახალი ამბავი მესიის ამქვეყნად მოსვლის შესახებ?

სულ მალე კი, მოციქულთა მიერ მსოფლიოს მხარეების დანაწილებისას, ანდრიას წილად ხვდა სკვითია, რომლის ერთი ნაწილიც აბასხებითაა დასახლებული<sup>15</sup> (როგორც ამას ორტელიუსი აღნიშნავს თავის გეოგრაფიულ ნაშრომში<sup>16</sup>) და კოლხებს ესაზღვრება. ბართლომეს კი სომხეთი ერგო. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ ანდრია კოლხეთში აბასხებიდან შევიდა,<sup>17</sup> ბართლომემ კი საქართველოში სომხეთიდან შემოაღწია.<sup>18</sup> ამ მოციქულთა ნაკვალევი დღემდე ნათლადაა შემორჩენილი ორივე ამ მხარეში. მართლაც, აბასხებში, იმ ადგილას, რომელსაც ბიჭვინთას უწოდებენ, წმ. მოციქულ ანდრიას სახელობის უმშვენიერესი ტაძარია აგებული.<sup>19</sup> გადმოცემის თანახმად, იგი იმ ქადაგების გამო აუგიათ, რომელიც მოციქულმა ამ მხარეში წარმოთქვა. ამიტომაც დგას აქ ყველა ამ მხარის – აბასხების, კოლხეთის, ბაშიჩუს და გურიელის<sup>20</sup> საპატრიარქო ტახტი.<sup>21</sup> გარდა ამისა, საქართველოში, სამცხის მხარეში (რომელიც მცირე სომხეთის ნაწილია)<sup>22</sup> არის წმ. ბართლომეს სახელობის ეკლესია, მოციქულისა, რომელმაც იმ ხალხის გადმოცემის მიხედვით, თავისი ქადაგებით იქ ქრისტეს რწმენა გაავრცელა. თავად ეკლესია კი ისკიმელი ეპისკოპოსის ტახტია.<sup>23</sup>

კარდინალი ბარონიო<sup>24</sup> თვლის, რომ იბერები და, შემდგომ, მათი ქვეშევრდომი კოლხები იმპერატორ ტრაიანეს<sup>25</sup> დროს და მის მიერ ხერსონესში<sup>26</sup> გასახლებული წმ. პაპ კლემენტის<sup>27</sup> მეშვეობით ეზიარნენ რწმენას. ამის დასტურად მას ის არგუმენტი მოჰყავს, რომ წმ. ირინეოსი, თითქმის კლიმენტის თანამედროვე, ეკლესიების ჩამოთვლისას, იბერიის ეკლესიებსაც იხსენიებს.<sup>28</sup> იქ რომ ნამყოფი ყოფილიყო, ამას არ იტყოდა, რადგან თავისი თვალით იხილავდა ხერსონესიდან იბერიისკენ თუ კოლხეთისკენ მიმავალ გრძელ და ძნელადსავალ გზას. მართლაც, ხერსონესი ხომ კოლხეთიდან ხუთასი მილით, იბერიიდან კი უფრო მეტიტაა დაშორებული. ამასთან იბერიამდე სავალი გზა მართლაც ძალზე რთულია, რადგან მსოფლიოში ყველაზე ველური და სასტიკი არაერთი ხალხი გადაგეყრება და არაერთი მთაც უნდა გადაიარო. ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ რწმენისთვის კაფას ნახევარკუნძულზე<sup>29</sup> გადასახლებულ პაპ კლემენტის ნება მისცემოდა ასე მოსცილებოდა მისთვის მიჩენილ ადგილს და რწმენა გავრცელებინა, რისთვისაც იხდიდა კიდევ ამ სასჯელს. ასე რომ, თუ ირინეოსის დროს იბერიაში მართლაც არსებობდა ეკლესიები, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ესოდენ დაშორებული და გადასახლებული კლემენტის მიერ იყო დაფუძნებული და არა ორი თავისუფალი და ახლომყოფი მოციქულის მიერ?



ამიტომაც, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ორი მოციქულის ქადაგებამ მოიტანა იმ მხარეებში რწმენა, რომელიც შემდგომ, ღვთისმსახურთა ნაკლებობის თუ რაიმე სხვა სამწუხარო მიზეზით, მინავლდა. მეტიც, ქეშმარიტი ღმერთის ცოდნა მთლიანად გაქრა. მხოლოდ მოგვიანებით, კონსტანტინეს დროს, ერთი ქრისტიანი მხევლის მეშვეობით, კვლავ აღორძინდა რწმენა იმ მხარეებში. ამის შესახებ მომდევნო თავში გვიამბობთ.

## **ქრისტიანი მხევალი ქრისტეს რწმენას ავრცელებს იბერიასა და კოლხეთში თავი II**

რომის იმპერიის მმართველმა, კონსტანტინე დიდმა, წარმართობა განაგდო და ქრისტეს რჯულს შეუდგა. მისი დიდი სურვილი იყო, რომ მის იმპერიაში ყველას მისი მაგალითისთვის მიებადა. ამ მიზნით, მან მისდამი დაქვემდებარებულ ადგილებში გაამწესა სახარების მოქადაგენი, რათა მათ თავიანთი ქადაგებითა და ცხოვრებისეული მაგალითით ადამიანები ყალბი და ცრუ ღმერთებისგან განეშორებინათ და ქრისტიანული რწმენის ქეშმარიტ მიმდევრებად ექციათ. ამას გვიამბობს სოზომენე თავის „ისტორიაში“. თუმცა იგივე ავტორი იმ ხანაში მომხდარ ამ დიდ მოქცევას უკავშირებს არა იმდენად იმპერატორის ძალისხმევას, რამდენადაც მაგალითსა და სინმინდეს გალიენუსისა და მისი მემკვიდრეების<sup>30</sup> დროს დამონებული უამრავი მღვდლისა, რომლებიც, ომის დროს ტყვედ ჩავარდნილნი და ბარბაროსების მონად ქცეულნი, საკუთარი წმინდა ცხოვრებითა და იესოს სახელის მოხმობით ყოველ სნეულებას კურნავდნენ და ამ ბარბაროსების სულებშიც აღვივებდნენ სურვილს, რომ ქრისტეს მიმდევრებად ქცეულიყვნენ და თავიანთი კერპები განეგდოთ. საკუთარი მონების მიმდევრებად ქცეულნი, მათგანვე სწავლობდნენ თაყვანისცემის წესებს უფლისა, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ მოხმობისთანავე კურნავდა სნეულთ.

რალაც იდუმალი მიზეზით, მსოფლიოს მოქცევა ბორკილდადებული მონების სინმინდემ უფრო განაპირობა, ვიდრე, კონსტანტინეს წარგზავნილებმა, რომლებსაც ზურგს თავად იმპერატორი უმაგრებდა. როგორც ჩანს, წარმართებს რომ არ დაეჩივლათ – ჩვენი დარწმუნებით კი არა, დაშინებითა და ძალადობით, ერთი მბრძანებლის ნება-სურვილით გაგვაქრისტიანესო – ამგვარი ჩივილის აღსაკვეთად, ღმერთმა დაუშვა, რომ მათ მოსაქცევად მონების ბორკილებს მეტი ძალა მისცემოდათ, ვიდრე კონსტანტინეს თვალმარგალიტით მოოჭვილ გვირგვინს, მსგავსად იმისა, ვინც *domuit orbem non ferro, sed ligno*.<sup>31</sup>

ასე მიმდინარეობდა კონსტანტინეს დროს მოქცევის პროცესი, რომელმაც პონტოს შორეულ საზღვრებშიც შეაღწია. ვგულისხმობ კოლხეთსა და იბერიას, რომელიც იმ ხანაში ერთი მეფისგან იმართებოდა. დიახ, აქაც შემოაღწია რწმენამ, მაგრამ მეტად უცნაური გზით: თუ სხვა მხარეებში ხალხი დამონებულმა მღვდლებმა მოაქციეს, კოლხეთში ეს გააკეთეს არა მღვდლებმა, ვისაც წესით ეს უნდა გაეკეთებინა, არამედ მხევალმა ქალმა (არადა, ქალს საერთოდ ეკრძალება ქადაგება), რომელმაც ჯერ გაუნათლებელი ხალხი კი არა, თვით იბერიის მეფე-დედოფალი მოაქცია, მერე კი მთელი სამეფოც გააქრისტიანა. ამ ცნობას ერთხმად და შემდეგნაირად გვანვდიან რუფინუსი, სოკრატე,<sup>32</sup> სოზომენე, თეოდორიტე,<sup>33</sup> კასიოდორუსი<sup>34</sup> და ნიკიფორე.<sup>35</sup>

იბერიაში იყო ერთი ქრისტიანი მხევალი. ჩვენში მისი სახელი უცნობია, და ამიტომ, მას ყველა კრისტიანას უწოდებს. ასე მოიხსენიებს მას რომაული მარტიროლოგიც დეკემბრის თხუთმეტს. *Apud Iberos trans Pontum Euxinum sancta Christiana ancilla, qua virtute miraculorum ante illam tempore Constanctini ad fidem perduxit*.<sup>36</sup> თუ ჩვენთვის იბერიის ამ მოციქული ქალის სახელი უცნობია, იბერიელებს იგი კარგად მოეხსენებათ – ისინი მას ნინოს უწოდებენ. მისი სამშობლო, ჩემი ვარაუდით, სომხეთი უნდა ყოფილიყო – ჯერ ერთი, იმ დროისთვის ნინო უკვე ქრისტიანი იყო, და მეორეც – მხევალი იყო. მართლაც, მისი რწმენიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სომეხი იყო, რადგან იბერიისა და კოლხეთის მეზობლად მცხოვრები ერებიდან, სომხები ერთადერთნი იყვნენ, ვინც სომხეთის ეპისკოპოსის, წმ. გრიგოლის<sup>37</sup> დროს ქრისტეს რწმენა მიიღეს. მისი მხევლობაც იგივეს ადასტურებს – ქართველებს ჰქონდათ ჩვევა (რომელიც დღემდე შემორჩათ) მონები შორი ქვეყნებიდან არ მოეყვანათ – უფრო ახლომდებარე საზღვრებს შეუტევდნენ ხოლმე და იქიდან მოჰყავდათ მონები თავიანთ ქვეყანაში; და რაკი იმ ხანაში იბერიის მოსაზღვრე ხალხებიდან ქრისტიანები მხოლოდ სომხები იყვნენ, ხოლო კოლხებსა და იბერებს მონები მხოლოდ მეზობელი ქვეყნებიდან მოყავდათ, აქედან გამოდის, რომ ნინო სომეხი იყო, რადგან მხევალიც იყო და ქრისტიანიც.<sup>38</sup> მაგრამ, ვინაიდან სომხები და ქართველები მოსისხლე მტრები არიან, სომხები პატივს არ სცემენ ნინოს. მეტიც, არ ეთაკილებათ, საშინელი გინებით მოიხსენიონ ეს წმინდანი.

ამ წმინდა ქალს წილად ხვდა მონობა. ერთი შეხედვით, ამაზე უარესი რალა უნდა დამართოდა – დაკარგულ თავისუფლებას მთელი ქვეყნის ოქროც ვერ გადაწონის. ღმერთმა კი იგი ამ სავალალო მდგომარეობის მეშვეობით ყველაზე კეთილშობილ მდგომარეობამდე აღამალა, რომლამდეც თავის მსახურებს აღამალლებს ხოლმე – მას მთელი იბერიის მოციქულობა არგუნა და იგი მეფის, დედოფლისა და მთელი იბერიელი ხალხის განმანათლებლად გამოარჩია.

მონად ქცეულმა და იბერიაში მოყვანილმა, მთელი მხარე შეცვალა, მაგრამ თავისი ზნე-ჩვეულებანი არ შეუცვლია. წმინდა ცხოვრებას, რომელიც რწმენასთან ერთად მიიღო, მონობაშიც ბეჯითად იცავდა. წმინდა ტობიას ბაძავდა, რომელსაც *ტყვეობის ძმოსაც ახ მიუგოვებია ქეშმახიგების გზა*.<sup>39</sup> დაკარგული თავისუფლებით გამოწვეულ სულიერ ტკივილს გამუდმებული ხორციელი ტანჯვაც ემატებოდა – მძიმე საოჯახო საქმეები, რომელსაც ბატონები აკეთებინებდნენ. მაგრამ, ამ ტანჯვას ღამის ლოცვებით იამებდა. სამშობლოს მონყვეტილს ამ ცხოვრებაში მისი ნახვის იმედი გადაეწურა, მაგრამ ამ ტკივილს გულმხიარულად იტანდა იმ იმედით, რომ თავის ზეციურ სამშობლოში დაბრუნდებოდა. მეგობრებისა და ნათესავების დაკარგვას თავისი საყვარელი მეუღლის, იესოს მუდმივი სიახლოვით ინახლავდა. ჯვალს ნაჭერზე ეძინა, ცოტას ჭამდა და მუდამ ლოცულობდა. მისი ცხოვრება იმდენად სამაგალითო იყო, რომ ქეშმარიტი სათნოებებიდან ესოდენ დაშორებული ბარბაროსებიც კი პატივს სცემდნენ და ეთაყვანებოდნენ, ხშირად კი სახლშიც სტუმრობდნენ, რომელსაც სადგომი უფრო ეთქმოდა.

იხე მოხდა, რომ ერთი პატარა ბიჭი ძალზე ცუდად შეიქნა. დედამისი ბავშვს ხელში ატატებულს დაატარებდა (როგორც იქაურების წესია) და მეზობლებს გამუდმებით წამალს სთხოვდა. კარგა ხანს უშედეგოდ იარა და ბოლოს გადაწყვიტა ბავშვი წინოსთან მიეყვანა. მასთან მისულმაც წამალი ითხოვა, რაზეც წმინდანმა უპასუხა, რომ არასდროს დაემზადებინა მინიერი წამალი, ზეთი თუ მალამო – იმედს ღმერთზე ამყარებდა, რომელსაც ემსახურებოდა და რომელიც წამლის გარეშეც გამოაჯანსაღებდა ბავშვს. შემდეგ ქალი თავის გომურში შეიპატიჟა, ბავშვი ჯვალს ნაჭერზე დააწვინა (რომელსაც საწოლად იყენებდა) და მუხლმოყრილმა უფალს ბავშვის განკურნება შესთხოვა. და აი, სასწაული! რაც ითხოვა, მყისვე მიიღო – თხოვნა და მიღება ერთი იყო! წინომ ბავშვი დედას ჩააბარა, რომელიც, ჯანმრთელი ბავშვის დანახვაზე, სიხარულით ცას ეწია – წინოს სინწინდის მქადაგებელი გახდა და ეს სასწაული მთელ ქვეყანას მოსდო. გაოცებულ ბარბაროსებს მთელ სამეფოში სხვა სალაპარაკო აღარ ჰქონდათ.

ბოლოს, ამ ამბავმა დედოფალმაც მიაღწია, რომელიც უკურნებელ სენს შეეპყრო და სიკვდილს ებრძოდა.<sup>40</sup> ბავშვის მყისიერი განკურნების ამბავი რომ მოახსენეს, იმედი მიეცა, რომ წინოს მეშვეობით თავადაც განიკურნებოდა. მართლაც, მოაყვანინა წმინდა მხევალი და დიდი სიყვარულით შევედრა მას თავისი ღმერთისთვის მისი განკურნება ეთხოვა. წინო დაემორჩილა დედოფალს და ილოცა მისთვის. დედოფალი მყისვე განიკურნა. უეცარი განკურნებით გაოცებულმა დედოფალმა წინოს იმ სასწაულმოქმედი ღმერთის შესახებ ჰკითხა, რომელსაც წმინდანი ეთაყვანებოდა. წინომ მიუგო – დედოფალო, ღმერთი, რომელსაც ვემსახურები, იგივე ღმერთია, რომელმაც არაფრისგან შექმნა ცა და მიწა. იგია ბატონ-პატრონი ყოველი სამეფოსი და მთელი ქვეყნიერებისა – ვინც მოსწონს, იმას დიდებას, ღირსებას, გვირგვინს და სკიპტრას უბოძებს; სნეულებს ჯანმრთელობას უბრუნებს, მკვდრებს კი სიცოცხლეს. ამიტომაც, ნუ გაგიკვირდება თუ სნეულთ მყისვე ვკურნავ, რადგან ამ ყოვლისშემძლე და გულმონყალე ღმერთს ვემსახურები, რომელიც მუდამ ყურად იღებს თავისიანების ლოცვას და მათ ყოველ თხოვნას გულუხვი წყალობით პასუხობსო.

ამის გაგონებაზე, დედოფალმაც ისურვა უფლის სამსახურში ჩადგომა – გრძნობდა, რომ თუ ამის ღირსი გახდებოდა, წინ ძალზე დიდი რამ ელოდა. ამიტომაც სთხოვა წმინდა მხევალს, ესწავლებინა მისთვის უფლის თაყვანისცემის წესები. ძალიან გაუხარდა წინოს – მისი გულს ხომ არაფერი ესალბუნებოდა იმაზე მეტად, ვიდრე მისი საყვარელი უფლის მსახურება. ამიტომაც ისე განსწავლა დედოფალი ქრისტეს რწმენაში, რომ იგი ღმერთის მონაფედ და მისი სიდიადისა და საოცრებათა მქადაგებლად აქცია.

გამოჯანმრთელებული მეუღლის ხილვაზე და მისი განკურნების მიზეზის შეტყობისთანავე, მეფემ ბრძანება გასცა გულუხვად დაესაჩუქრებინათ წინო, მაგრამ დედოფალმა დაუშალა და უთხრა: მეფეო, ეს ქალი გარეგნულად ღარიბია, მაგრამ ჩვენი საჩუქრები მისთვის არაფერს ნიშნავს, არც ჩვენს სიმდიდრეს ნატრობს – მან თავისი გული ღმერთს უძღვნა, რომლისგანაც სულ სხვა საუნჯესა და სიმდიდრეს მოელის – იგი მარადიულ საზღაურს ესწრაფვის, უარყოფს ყოველივე ამქვეყნიურს, დროებითსა და წარმავალს; და თუ მაინც გსურს მას აამო, იგივე ღმერთს ემსახურე, რომელსაც თავად მსახურობს. მას სხვა არაფერი სურს, მხოლოდ ესაა მისი მხურვალე ნატვრა. თავისი ღმერთისადმი სიყვარულით ანთებულს, კარგად ესმის მისი სიდიადე – იცის, რომ მისი ღმერთი ღირსია ყველა ემსახუროს; და რომ შეეძლოს, მთელ მსოფლიოს ღვთის სამსახურში ჩააყენებდა. ამიტომაც ბრძანე, რომ ამგვარად დააჯილდოვონ ის, ვინც დაკარგული ჯანმრთელობა დამიბრუნა. ეს ჩვენს სასარგებლოდ შემოგვიბრუნდება, რადგან, თუ ამ ყოვლისშემძლე ღმერთს ვემსახურებით, რომელიც ქედმაღალთ დაამდაბლებს და თავმდაბალთ აღამაღლებს, ისიც ყოველი ამქვეყნიური უბედურებისგან დაგვიხსნის და ავადმყოფობას აგვარიდებს, შემდეგ კი მარადიულ საზღაურს მოგვაგებს ზეცაში.

დედოფალი არაერთხელ ესაუბრა ამგვარად მეფეს, მაგრამ უნაყოფოდ – ეჭვებით შეპყრობილი მეფე ყოყმანობდა და ვერ წყვეტდა კერპებთან განშორებას. ერთი მხრივ, ხედავდა ღვთიური ძალის მიერ ჩადენილ საოცრებებს, მეორე მხრივ კი, ეჭვის თვალით უყურებდა რწმენისეულ სიახლეს და ყალბი კერპებისგან განშორების შემთხვევაში მათი სასჯელისა ეშინოდა.

აფორიაქებულმა მეფემ აღარ იცოდა რა ექნა. ერთხელაც სანადიროდ წავიდა მრავალრიცხოვან ამაღასთან ერთად. უსიერ ტყეში ღრმად შესული, ნადირის კვალს ეძებდა, როცა ირგვლივ სქელი ნისლი

ჩამოწვა, მზე დაბნელდა და წყვილია დაიხადგურა. კუნაპეტი ღამე გეგონებოდათ. შეშინებულმა ამაღამ მეფე მიატოვა და დაბურული ტყიდან გამოსალწვე გზებს უწყო ძებნა. ყველა თავის გადარჩენას ცდილობდა. მარტოდ დარჩენილი მეფე ბნელ ტყეში დახეტიალობდა. უცებ, გარეშე სინათლეს მოკლებულს, ზეციურმა შუქმა გაუნათა გონება. მეფე მიხვდა, რაოდენ უმადური იყო იგი ღმერთის მიმართ, როცა დედოფლის მეშვეობით გაცხადებული უფლისეული მოწოდება ყურად არ იღო. შეცდომის გამოსასწორებლად, საზეიმო აღთქმა დადო, რომ დაუყოვნებლივ მიატოვებდა ცრუ ღმერთებს, თუკი საკუთარ თავზე განიცდიდა იმ ღმერთის ძალას, რომელსაც ნინო ეთაყვანებოდა, თუკი წყვილიანი განიფანტებოდა და იგი ცოცხალი დაბრუნდებოდა შინ. როგორც კი მეფემ აღთქმა წარმოთქვა, ნისლი მყისვე განიფანტა და მზემ გამოანათა. მეფე ტყიდან გამოვიდა და სალსალამათი დაბრუნდა სახლში. ცოლს ყველაფერი უამბო, შემდეგ ნინოს მოუხმო, ჩვენი რწმენის საფუძვლები გამოჰკითხა და თვითონაც ქრისტეს ლაშქარს შეუერთდა. ისე აღენთო ქრისტეს სიყვარულით, რომ მხოლოდ საკუთარი თავის გაქრისტიანება უკმარისად, თავისი მოვალეობა კი შეუსრულებლად ჩათვალა (რადგან მას, როგორც ხელმწიფეს, თავის ხალხზე ზრუნვაც ევალებოდა). ამიტომ, ისურვა, რომ ხალხიც მის მაგალითს მიჰყოლოდა და ქრისტეს რწმენაზე მოქცეულიყო. შეკრიბა თავისი სამეფოს ყველა დიდებული და უამბო მათ იმ უდიდესი სიკეთის შესახებ, რომელიც მან და მისმა მეუღლემ ქრისტიანთა ღმერთისგან მიიღეს, და ვინაიდან უკვე საკუთარ თავზე განეცადათ ამ ღმერთის ძალა, გადანყვებილი ჰქონდათ მისი მფარველობის ქვეშ დარჩენილიყვნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი თავის მიმდევრებს წყალობას არ მოაკლებდა. ამიტომაც ყველას მოუწოდებდა მათაც ეთაყვანო ეცათ ამ ღმერთისთვის და მისი მიმდევრები გამხდარიყვნენ. დიდი დარწმუნებაც არ დასჭირვებია – ყველანი მოწმენი იყვნენ ნინოს მიერ ღმერთის სახელით ჩადენილი სასწაულებისა და არც გაქრისტიანებაზე იტყოდნენ უარს. ამის დასტურად ერთხმად განუცხადეს მეფეს, რომ არ ივარგებდა უარის თქმა იმ რწმენაზე, რომლისგანაც მთელმა ქვეყანამ ამდენი სიკეთე მიიღო. თავიანთი ხალხის კეთილგანწყობამ და ჩვენს რწმენაზე მოქცევის სურვილმა ძალზე გაახარა მეფე-დედოფალი, და მეფემ მამაკაცებს, დედოფალმა კი ქალებს, აუხსნეს, თუ როგორ უნდა ეცათ ეთაყვანი ამ ღმერთისთვის.

სულ მალე, მთელი სამეფოს საყოველთაო თანხმობით, გადაწყდა აეგოთ უზარმაზარი ტაძარი, რომელიც, მათივე სურვილით, ნატიფად დამუშავებული მარმარილოს სვეტებს უნდა დაყრდნობოდა. მოიწვიეს ხუროები, დახაზეს გეგმა, მოზიდეს მასალა და შეუდგნენ მშენებლობას – ჩაყარეს საძირკველი და როცა კედლებიც საკმაო სიმაღლეზე ამოიყვანეს, დაიწყეს სვეტების დაყენება. ორი სვეტი იოლად დააყენეს და მესამეზე გადავიდნენ. და აი, არ ვიცი, ღვთის დიდების მოშურნე მტრისა თუ თავად ღვთის დიდების გამო, ეს მესამე სვეტი არათუ ვერ დადგა, არამედ ვერც კი დაიძრა თავისი ადგილიდან. ხუროებმა მანქანები გააორმაგეს და მუშებიც დაიმატეს, რათა ოდნავ მაინც დაეძრათ სვეტი. მაგრამ, ამაოდ – რაც მეტს ცდილობდნენ, მით უფრო უძრავი იყო სვეტიც.

ამან საყოველთაო გაკვირვება და უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით ნუხდა მეფე, რომელსაც ყველაფერი წყალში ეყრებოდა – მას ხომ ეკლესიის სასწრაფოდ აშენება სურდა. და მაინც, ხელები არავის ჩამოუყრია – სალამომდე ეჭაგურებოდნენ სვეტს. მაგრამ, ყოველი ცდა ფუჭი იყო. ოსტატებს ქანცი გასძვრათ, იმედი გადაეწურათ და როცა ღამე ჩამოწვა, ყველანი სახლებისკენ გაეშურნენ.

მხოლოდ წმინდა მხევალი არ ტოვებდა ეკლესიას, რათა მთელი ღამე მარტოს ემუშავა და ღმერთის წყალობით მიეღო ის, რის მიღებაც მთელი დღის მანძილზე ვერ მოახერხა ამდენმა მუშამ. თავისი ღმერთის წინაშე მუხლმოყრილი, უფალს შეევედრა მოეცილებინა ყველა დაბრკოლება, რათა ეს სვეტი, სხვა სვეტების მსგავსად, თავის ადგილზე დამდგარიყო. და ჰოი, საკვირველებაც! მყისვე აღსრულდა წმინდანის ვედრება – ანგელოზის მეშვეობით სვეტი მიწას მოსწყდა და მაღლა ავიდა. და აი, მეორე სასწაულიც – სვეტი საძირკვლის ადგილამდე მივიდა და მის თავზე გაჩერდა! იქ მას არც თოკი აკავებდა, არც რაიმე მანქანა – უხილავი ხელი იჭერდა ჰაერში. დილაადრიან, ეკლესიაში ცნობისმოყვარე ხალხმა მოიყარა თავი, მათ შორის მშენებლებმაც, რომლებსაც ახალი იარაღები და თოკები მოეტანათ, რათა რაიმე მოეხერხებინათ სვეტისთვის. მაგრამ, ეკლესიაში შესულებმა იხილეს მიწას მონყვებილი და შემსუბუქებული სვეტი, რომელიც თავისით, რაიმე საყრდენის გარეშე ეკიდა ჰაერში. გაოცებისგან ერთხმად შესძახეს და ქრისტე ღვთის ჭეშმარიტ ძედ აღიარეს.

ამ სასწაულის ამბავი მთელ არემარეს მოედო. ზღვასავით მომწყდარი ხალხი გაოცებული შესცქეროდა ჰაერში გამოკიდებულ სვეტს. ერთ სასწაულს მეორეც ერთვოდა და ხალხი საკუთარი თვალთვლით ხედავდა, როგორ ნელ-ნელა ეშვებოდა სვეტი თავის საძირკველზე და ბოლოს ისე ზუსტად მოერგო ფუძეს, რომ ვერავითარი ოსტატი, ყველაზე გამოცდილიც კი, ამას ვერ შესძლებდა. ნანახმა მხნეობა შთაბერა ხალხს და განამტკიცა ქრისტეს რწმენაში. ახალი ძალით აღვსილებმა, ხალხისთ განაახლეს შეწყვეტილი სამუშაოები – იოლად აღმართეს სხვა სვეტები და უმოკლეს ხანში დაასრულეს ეკლესიის მშენებლობა.<sup>41</sup>

**იმპერატორი კონსტანტინე იბერთა თხოვნისამებრ  
მათ ღვთისმსახურებს უგზავნის რწმენაში განსასწავლად  
თავი III**

ამდენი სასწაულის შემდეგ, ეკლესიის მშენებლობა დასრულდა, მაგრამ იბერებს არც მღვდლები ჰყავდათ და არც მწყემსნი, რომლებიც მათ ნათლობის წმინდა წყაროში განბანდნენ და ღვთიური სიტყვით დააპურებდნენ. ამიტომ, მეფემ (ნინოს რჩევისამებრ) შეკრიბა საბჭო და განუცხადა, რომ რაკი მათ ქრისტეს რჯულზე მოქცევა სურდათ, საჭირო იყო მასწავლებლებისა და წინამძღვრების ყოლა, რომელთა ხელმძღვანელობითაც შეძლებდნენ ამ სასწაულმოქმედი და მათდამი კეთილგანწყობილი ღმერთის მსახურებას. მეფემ კრებას შესთავაზა დესპანები გაეგზავნათ საიმპერატორო ქალაქ კონსტანტინეპოლში, იმპერატორ კონსტანტინესთან, რათა, ჯერ ერთი, მეგობრული კავშირი დაემყარებინათ მასთან, ვისთანაც უკვე რწმენით იყვნენ დაკავშირებულნი; და მეორეც, ეთხოვათ ღვთისმსახურთა გამოგზავნა, რომლებიც მათი სამეფოს სულიერ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდნენ. მეფის ამ წინადადებას ყველა ერთხმად დაეთანხმა. ამიტომ, მან შეარჩია ელჩები, რომლებიც მალე გაემგზავრნენ კიდეც და მშვიდობიანად ჩავიდნენ კონსტანტინეპოლში.

იმპერატორმა ისინი დიდი პატივით მიიღო. აუდიენციის დროს, მათ იმპერატორს აცნობეს იმ სასწაულების შესახებ, რომლებიც ღმერთმა მათ ქვეყანაში მოახდინა ქრისტიანი მხევლის მეშვეობით და რომელთა გამოც გადაწყვიტეს ქრისტეს წმინდა რწმენაზე მოქცეულიყვნენ; ახლა კი ესტუმრნენ იმპერატორს, რათა მას წყალობა გაეღო და მათი გადაწყვეტილების მხარდასაჭერად გაეგზავნა მათთვის მღვდლები და ღვთისმსახურნი, რომლებიც მონათლავდნენ და რწმენაში განასწავლიდნენ მათ.

ამ ამბავმა დიდად გაახარა კეთილი იმპერატორი, რომლის გულიც მხურვალე რწმენით იყო აღსავსე. მან მყისვე შეარჩია იბერიაში გასაგზავნი წმინდა ბერები და სათნოებით აღვსილი მღვდლები; ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მათ შორის მეცნიერებითა და სინამდისთა ყველაზე აღმატებული იყო, ეპისკოპოსად ხელდაასხმევინა, მღვდელთა წინამძღვრად გამოარჩია და იმ სამეფოში სულიერ საქმეთა განმგებლად დაადგინა.<sup>42</sup> ღვთისმსახურთა გარდა, იმ მხარეში უამრავი წმინდა ხატი, სამღვდლო სამოსი, საეკლესიო ქურქელი, ჯვრები და სხვა საეკლესიო საგნებიც გაგზავნა. მათი რწმენის განსამტკიცებლად არაერთი რელიქვიაც გადასცა, რომლებიც დღესაც მათ ეკლესიებში ინახება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ღვთისმშობლის პერანგი, რომელიც ამჟამად ინახება კოლხეთში, ანგელოზთა ქალბატონის<sup>43</sup> სახელობის ეკლესიაში, იმ ადგილას, რომელსაც სახელად ხობი ეწოდება;<sup>44</sup> ქრისტეს წინამორბედის, იოანე ნათლისმცემლის ხელი, რომელიც იმავე მხარეში – ნალენჯიხის საეპისკოპოსოში ინახება;<sup>45</sup> მაცხოვრის წმინდა ჯვრის არაერთი ნაწილი, რომლებიც კოლხეთისა თუ იბერიის მრავალ ეკლესიაშია დაცული;<sup>46</sup> უფლის გვირგვინის რამდენიმე ეკალი<sup>47</sup> – ისინი ქართლის მხარის საპატრიარქო ტაძარშია დასვენებული, რომელიც მდინარე მტკვარს გადმოჰყურებს.<sup>48</sup> იქვეა ქრისტეს კვართისა და ელია წინასწარმეტყველის ხალენის ნაწილებიც.<sup>49</sup> ნურც ამ ხალხებში შემონახულ ერთ საინტერესო გადმოცემას დავივინყებთ, რომელიც ამ ეკლესიაში დაცულ ზემოაღნიშნულ ეკლებს უკავშირდება: უძველეს დროს, წმინდა პარასკევს, ამ ეკლებს თურმე სისხლნარევი ოფლი სდიოდა.<sup>50</sup> თუმცა, რამდენიმე საუკუნეა, რაც ეს სასწაული შეწყვეტილა. ჩემი ვარაუდით, მას შემდეგ უნდა შეწყვეტილიყო, რაც ბერძნები სქიზმის შედეგად გამოეყვნენ ჩვენს ეკლესიას.<sup>51</sup>

ერთი სიტყვით, სასულიერო პირებითა და სულიერი საუნჯით მომარაგებული იბერიელი ელჩები იმპერატორს გამოემშვიდობნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ, სადაც მათ მოუთმენლად ელოდნენ და მთელმა ერმა, განსაკუთრებით კი მეფე-დედოფალმა, დიდი სიხარულით მიიღეს. განუხრელად იზრდებოდა მორწმუნეთა რიცხვიც – ქრისტეს რწმენა მთელ კოლხეთსა და იბერიას მოედო. გულით ხარობდა წმინდა ნინოც, რომელსაც უკვე შეეძლო ეთქვა წმინდა მოხუც სიმეონთან ერთად: ან განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი.<sup>52</sup>

იხილა რა ნაყოფი თავისი ღვანლისა – წმინდა რჯულზე მოქცეული მთელი სამეფო. შენანებითა და ჯაფით დაუძლურებულმა და მომაკვდავმა, ცაში მიიღო დამსახურებული გვირგვინი. იბერიის ამ მოციქულის ცხოვრებისა და სიკვდილის სხვა დეტალები, აღმწერთა სიმცირისა თუ ჟამთა ვაების გამო სრულიად დაიკარგა. და მაინც, დარწმუნებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მან სხვა ურიცხვი და დღეისთვის დავიწყებული სასწაული ჩაიდინა იმ ხალხების სასიკეთოდ. ღმერთს ხომ ასე სჩვევია – იმ ქვეყნებს, რომლებიც წარმართობიდან მისკენ მოიქცევიან, იშვიათი სასწაულებითა და არნახული მადლით უწყობს ხელს, რათა ახალმა ნერგებმა ღრმად გაიდგას ფესვები წმიდა ეკლესიის ნიადაგში და თავისი მადლის წყალუხვი ნაკადულებით მორწყოს ისინი. ეჭვგარეშეა, რომ ღმერთმა ნინოს სიკვდილიც უამრავი სასწაულით დაამშვენა, ისევე, როგორც მისი სიცოცხლე იყო სასწაულებით აღსავსე. ნინოს წმინდა სხეული კახეთის მხარეში, მისივე სახელობის ეკლესიაში განისვენებს, რომელიც იმ მხარის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ეკლესიაა და დიდი პატივისცემით სარგებლობს იქაურ ხალხში.<sup>53</sup>



**იბერთა განმტკიცება რწმენაში  
თავი IV**

ქეშმარიტი რწმენა სულ უფრო ვრცელდებოდა საქართველოს მეფის მბრძანებლობას დაქვემდებარებულ ყველა მხარეში. ესენია: ქართლი,<sup>54</sup> კახეთი, იმერეთი, კოლხეთი, გურია, სამცხე და აბასხები. ყველა ამ მხარეში, ერთმანეთის მიყოლებით დაიდგა ქრისტეს საამური უღელი. აბასხებმა, როგორც ყველაზე ველურმა ხალხმა, ყველაზე ბოლოს მიატოვეს თავიანთი ცრურწმენები და მოიქცნენ წმინდა რწმენაზე. როგორც ნიკიფორე კალისტოსი გვამცნობს თავის „ისტორიაში“<sup>55</sup> მათ წარმართობა იმპერატორ იუსტინიანეს<sup>56</sup> ხანამდე შეინარჩუნეს, რომლის მეცადინეობითაც განეშორნენ თავიანთ ველურობას და გაქრისტიანდნენ. იმპერატორმა საკუთარი ხარჯით აუგო მათ ღვთისმშობლის სახელობის შესანიშნავი ტაძარი, სადაც მრავალი მღვდელი და ღვთისმსახური გაგზავნა, რომელთა შენახვის ხარჯებიც თავად გაიღო. ამ სასულიერო პირთა კეთილმა ცხოვრებამ ნაყოფიც გამოიღო – ის ხალხები ქეშმარიტი ღმერთის ერთგულ მიმდევრებად იქცნენ.

რაოდენ ღრმად გაიდგა ფესვები რწმენამ მთელ იბერიაში, ამას მოწმობს პროკოპის მიერ ქართველების შესახებ ნათქვამი შესანიშნავი სიტყვები: ისინი ქრისტიანები არიან და სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, ვისაც ჩვენ ვიცნობთო;<sup>57</sup> და იქვე დასძენს – ეს ერთგულება მათ საქმიანაც დაამტკიცესო. მართლაც, იმ ხანაში კონსტანტინეპოლელი იმპერატორი იუსტინიანე სპარსეთის მეფე კავადს ეომებოდა.<sup>58</sup> მათ ქვეყნებს შორის ქართველები სახლობდნენ და ორივე მეფე მათ მომხრობას ცდილობდა. სპარსელთა მეფე იმიტომ, რომ ქართველთა მოკავშირეობის შემთხვევაში, გზა ეხსნებოდა ზღვის საშუალებით რომის იმპერიაზე გასალაშქრებლად – იოლად და დაუბრკოლებლად მიაღწევდა სამეფო ქალაქ კონსტანტინეპოლამდე. იუსტინიანე კი იმიტომ, რომ ამგვარი ლაშქრობის შესაძლებლობა არ მიეცა მტრისთვის. ომის მიზეზიც ის იყო, რომ ქართველნი სპარსელი მეფის მფარველობაში იმყოფებოდნენ. ამ უკანასკნელს ეჭვი ჰქონდა, რომ ერთმორწმუნე იუსტინიანესთან ერთობის გამო, ქართველები მას განუდგებოდნენ და მის მტერს შეეკვრებოდნენ. ამიტომაც, ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ქართველებს თავიანთი რწმენა მიეტოვებინათ და მისი ბოროტი ადათ-წესები მიეღოთ. ამ მიზნით, უმკაცრესი კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც აღარავის ჰქონდა უფლება დაემარხა საკუთარი მკვდარი, არამედ, სპარსელების მსგავსად, შიშველი გვამები სოფლებში უნდა დაეყარათ, რათა ძაღლებს და ფრინველებს შეეჭამათ. სპარსელი მეფე იმედოვნებდა, რომ ამ წესის შემოღების შემთხვევაში, ქართველებს ნელ-ნელა თავის სხვა ადათ-წესებსაც შეაპარებდა, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მიიღო – აღნიშნული კანონით აღშფოთებული ქართველები სპარსთა მეფეს გადაუდგნენ და ერთგულება იმპერატორს გამოუცხადეს. ამას პროკოპი შემდეგი სიტყვებით გვამცნობს: Hos Gabades ad fidem deserendam conatus est Regi eorum Gurgeni cum alia mandavit ex suorum fieri consuetudine, tum ut mortuos terra minime conderet, sed avibus, canibusque Paersarum more proijcerent. Quapropter Gurgenus ad Iustinianum Imperatorem confugit.<sup>59</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ხრიკები, რომელთაც სპარსთა მეფემ ქართველთა მოსამხრობლად და, ამ მიზნით, ქართველთა მიერ თავიანთი რწმენის მისატოვებლად მიმართა, მასვე უკან მოუბრუნდა: ქართველნი ქრისტეს რჯულის ქეშმარიტი მიმდევრები აღმოჩნდნენ, უარი თქვეს ყველა იმ სარგებელზე, რაც სპარსელებისგან შეეძლოთ მიეღოთ და იმპერატორის სამსახურში ჩადგნენ.

კიდევ ერთმა გარემოებამ დაადასტურა მაცხოვრისადმი ქართველთა რწმენის გულწრფელობა. იმპერატორის მოხელეთაგან შეურაცხყოფილებმა და პოლიტიკური მოსაზრებებით კვლავ სპარსელთა სამსახურში დაბრუნებულებმა, ურჯულოებთან ურთიერთობით საკუთარი რწმენის გასვრას, ისევ იმპერატორის ხალხისგან შეურაცხყოფის ატანა არჩიეს. ანუ, სპარსელებისგან მიღებულ პატივს იმპერატორის ქვეშ გმინვა ამჯობინეს.

ამის შესახებ აგათია სმირნელი მოგვითხრობს თავის „ისტორიაში“<sup>60</sup> მისი თქმით, კოლხებმაც და ქართველებმაც იმპერატორის მხარე დაიკავეს. მოხელეთა მხრიდან უხეშობის გარდა, ერთ დღეს, იმპერატორის ორმა სარდალმა, იოანემ და რუსტიკემ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე მეფე გუბაზიც<sup>61</sup> მოკლა. ამან ხალხი ისე აღაშფოთა, რომ მზად იყო სპარსელების მხარეზე გადასულიყო, თუმცა თავის წინამძღოლებს დაემორჩილა და გადაწყვიტა უფრო გონივრულად ემოქმედა – ყველანი კავკასიის ერთ საიდუმლო ადგილას შეიკრიბნენ, რათა დინჯად განეხილათ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ესოდენ რთულ ვითარებაში. პირველად წამოდგა ვინმე აიეტი, ხალხში დაფასებული კაცი, რომელმაც დასაბუთებულად ჩამოაყალიბა, თუ რამდენად უკეთ მიდიოდა მისი ერის საქმე სპარსელების ხელში, რომაელებთან შედარებით. მას შეეპასუხა მეორე, სახელად ფარტაძი, რომელიც თუმც კი დაეთანხმა იმაში, რომ მისი ერი სპარსელების დროს უფრო დიდებით იყო მოსილი, მაგრამ დაუმატა, რომ მაშინ ქრისტეს დიდება იყო დაჩრდილული; და თუ რუსტიკემ და იოანემ მათ მეფე წაართვეს, სპარსელებმა გულიდან ქრისტეს ამოგლეჯა დაუპირეს. მართალია, ჯერჯერობით ეს ვერ მოახერხეს, მაგრამ სპარსელების უღელქვეშ დიდხანს დარჩენის შემთხვევაში, ჩვენც მათ ადათ-წესებზე გადავალთო, დასძინა ფარტაძიმ. ხალხმა ორივე მხარის არგუმენტები ყურადღებით მოისმინა; და რაოდენ აუტანელიც არ უნდა ყოფილიყო იმპერატორის ხალხის მხრიდან მათი ჩაგვრა, მაინც რწმენის სიყვარულმა გადასძალა. შეუბღალავი რწმენა მათთვის უფრო ძვირფასი აღმოჩნდა, ვიდრე პატივი, თავისუფლება თუ სიმდიდრე. ამიტომაც დაადგინეს, რომ არ განდგომოდნენ ქრისტიან იმპერატორს.<sup>62</sup>

დღემდე არ განელეებულა ის უძველესი მოწინება და სიყვარული, რომელიც ამ ხალხებს იერუსალიმის მიმართ ჰქონდათ, სადაც უფალმა თავისი სისხლი დაღვარა ჩვენთვის. ამიტომაცაა იმ ქალაქში ქართველ დიდგვაროვანთა გულუხვობის წყალობით აგებული ამდენი მონასტერი. ამიტომაც ანდეს ქართველ ბერებს იმ ორმოს მეთვალყურეობა, სადაც წმინდა ჯვარი იქნა დარქობილი და სადაც მონასტერიც დაარსდა, რომლის ბერებსაც ქართველი დიდგვაროვნები ინახავენ.<sup>63</sup> დღესაც ძალიან დიდი სიყვარულით არიან განმსჭვალულნი იმ წმინდა ადგილების მიმართ. ამიტომაც, ხშირად სტუმრობენ მას მომლოცველად მღვდელმთავრები, ბერები თუ საერო პირნი, რომელთაც გულუხვი შეწირულობები ჩააქვთ იმ ადგილების დასახმარებლად და მათ მიმართ თაყვანისცემის კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

ვოლატერანუსი<sup>64</sup> გვიამბობს, რომ როცა დამასკოს მთავარმა ალყაში მოაქცია დამიატა,<sup>65</sup> ქართველებმა მას შესჩივლეს – ამ წმინდა ომში საომრად მთელ საქრისტიანოს მოუხმე და რაღა ქართველები გამოგჩა; რომ გეცნობებინა, ყველა საქმეს გადავდებდით და ასეთ წმინდა საქმეს არ გამოვაკლდებოდით, ჩვენს სისხლს დავღვრიდით იმისთვის, ვინც ჩვენთვის საკუთარი სისხლი დაღვარა და სიცოცხლე გაიღო.

თუმცა, სხვა რაღა საბუთია საჭირო ქართველების მხრიდან ქრისტეს რწმენისადმი სიყვარულისა, როცა საქართველოსა და კოლხეთში უძველესი ეკლესიების რაოდენობა თავად მეტყველებს ამაზე? ბევრი მათგანი დღესაც შემორჩენილია. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ საეპისკოპოსო ტაძრების რაოდენობა მთელ საქართველოში ოთხმოცდაექვსს აღწევს, რაც არა მხოლოდ მორწმუნეთა სიმრავლეზე მეტყველებს (რაკი ამდენი მწყემსი ჭირდებოდათ), არამედ იმ მოწინებასა და რელიგიურობაზეც, რომელიც ამდენი საეპისკოპოსოს შექმნასა და მათთვის ამხელა შემოსავლის გაჩენაში გამოიხატა – აქ ხომ ყველაზე უმნიშვნელო ეპისკოპოსიც კი ნებისმიერ დიდგვაროვანზე შეძლებულია. მათთვის კი, ვისაც ამ ეპისკოპოსების და საეპისკოპოსოების, მათი სახელებისა და ადგილმდებარეობის შესახებ მეტის შეტყობა სურთ, შესაბამისი ცნობები მოგვყავს შემდეგ თავში.

## შენიშვნები

- 1 კოლხეთში ამ შემთხვევაში ლამბერტი გულისხმობს სამეგრელოს (ოდიშის სამთავროს), ხოლო იბერიაში – აღმოსავლეთ საქართველოს – ქართლისა და კახეთის სამეფოებს.
- 2 ფლავიუს არიანე, ძველი ბერძენი ისტორიკოსი, 131-137 წლებში იყო რომის იმპერიაში შემავალი კაპადოკიის მმართველი. იმპერატორ ადრიანეს დავალებით მან იმოგზაურა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში და ამ მოგზაურობის ამსახველი ანგარიში წერილთან ერთად წარუდგინა იმპერატორს. მის საფუძველზე არიანემ შექმნა თავისი საისტორიო თხზულება – „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“.
- 3 პუბლიუს ელიუს ადრიანე – რომის იმპერატორი 117-138 წლებში.
- 4 ამის თაობაზე არიანე მოგვითხრობს: [მდინარე] „ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მის სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტრონში“ (არიანე 1961: 39).
- 5 ლამბერტი ლათინური ტრანსკრიპციით ხმარობს ძველი ბერძნულიდან მომდინარე Ponto Eusino-ს (პონტო ევსინუსი – „სტუმართმოყვარე ზღვა“).
- 6 პონტო აქსინუსი (Asseno) ანუ არასტუმართმოყვარე ზღვა.
- 7 სტრაბონი უშუალოდ ასახელებს შავი ზღვის მიდამოებში მცხოვრებ ამ სასტიკი ჩვეულების ხალხს. იგი წერს, რომ პომპროსის ხანაში „არ შეიძლებოდა ამ ზღვაზე ცურვა და იწოდებოდა ის არასტუმართმოყვარედ, მისი მღელვარებისა და ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის გამო; ეს [ხეება] განსაკუთრებით სკვითურ ტომებს, რომლებიც უცხოელებს სწირავენ მსხვერპლად, ჭამენ მათ ხორცს და თავის ქალებს სასმისებად იყენებენ, ხოლო შემდეგ მას სტუმართმოყვარე ეწოდა, რადგანაც იონელებმა სანაპიროზე ქალაქები ააგეს“ (სტრაბონი, „გეოგრაფია“, წიგნი VII, 3; 6. ციტატა მოგვყავს წიგნიდან: სტრაბონი 1957: 99-100). სტრაბონი დაახლოებით იგივეს იმეორებს ოდნავ ქვევითაც: „ამბობენ, რომ [პომპროსი] სკვითებს არ ახსენებს უმეცრების გამო, არც მათ ველურ საქციელს უცხოელებთან, რომელთაც მსხვერპლად სწირავენ, მათ ხორცს სჭამენ და მათ თავის ქალებს სასმისებად იყენებენ. მათ გამო იყო, რომ ზღვა არასტუმართმოყვარედ იწოდებოდა...“ (წიგნი VII, 3; 7. იხ. სტრაბონი 1957: 100). თუმცა მოყვანილი ამონარიდებიდან არ ჩანს, რომ სკვითები იმ დროს განურჩევლად ყველა უცხოელ მოგზაურს ხოცავდნენ და ჭამდნენ.
- 8 ლათინურ ენაზე მოყვანილი ეს ამონარიდი აღებული ჩანს ტერტულიანეს ნაშრომიდან „მარკიონის წინააღმდეგ“ (Adversvs Marcionem libri quinque, წიგნი 1, თავი 1). პონტოელებში ტერტულიანე გულისხმობს ზოგადად შავი ზღვის მიღმა მცხოვრებ ტომებს. მისი სიტყვების მიხედვით კი ამ შემთხვევაში ის საუბრობს შავი ზღვის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ველებზე მომთაბარე ტომების შესახებ. უშუალოდ შემოაღნიშნული ციტატის წინ ტერტულიანე წერს: „ყველაზე ველური ხალხები სახლობენ [ამ მხარეში] – თუ შეიძლება სახლობა დავარქვათ ოთხთვალაზე ცხოვრებას; მომთაბარეული სადგომები, უხეში ცხოვრება...“ და ა.შ. საუბარი რომ ჩრდილოეთის მხარეს ეხება, ამას ადასტურებს ასევე მისეული დახასიათება იქაური ბუნებისა, სადაც არასდროს არ არის ნათელი დღე და არ კაშკაშებს მზე, მუდმივად ღრუბელი და ნისლია, მთელი წელი ზამთარია, მდინარეები შებოჭილია ყინულით და ა.შ. მხოლოდ ამის შემდეგ მიუთითებს იგი ლეგენდების არსებობას თავრიდული მსხვერპლშენიშვისა და კოლხური ვნებების შესახებ. თავისი კრიტიკის სამიზნე ერეტიკოსი მარკიონის უარყოფითი პორტრეტის საჩვენებლად (აღნიშნული თავის ეს მონაკვეთი ასეცაა დასათარგმნებული – „მარკიონის პორტრეტი“) ტერტულიანე ერთგვარ რიტორიკულ ხერხს მიმართავს: იგი განგებ აზოგადებს მსჯელობას მთელს ზღვისპირეთზე, ცდილობს რა, რაც შეიძლება მუქ ფერებში დახატოს სინამდვილე ზოგადად პონტოსპირეთისა (როგორც ბუნების, ასევე იქაური ხალხის შესახებ). შემდეგ კი ამის ფონზე მოწინააღმდეგის უკიდურესი დამცრობის

მიზნით აღნიშნავს, რომ „პონტოს“ მის მიერ აღწერილ ასეთ „ბარბაროსობასა“ და „ველურობასაც“ კი „ვერ შეედრება ის ამბავი, რომ აქ დაიბადა მარკიონი“ (ტერტულიანე 1972: 4-5). საგულისხმოა, რომ მარკიონი დაიბადა ქ. სინოპში, სამხრეთ შავიზღვისპირეთში, რომელ მხარესაც არაფერი აქვს საერთო ტერტულიანეს დახასიათებულ უმკაცრეს ბუნებასა და ხალხის სასტიკ ჩვეულებებთან.

- <sup>9</sup> პონტოსპირეთში მოსახლე ზოგიერთი ხალხის მიმართ ჰომეროსის მიერ გამოთქმულ ამ სიტყვებს სტრაბონი მკაცრად აკრიტიკებს: „შეთხზა პოეტმა ვიღაც საქებარი ჰიპელმოგები, გალაქტოფაგები და აბიები, ყველაზე უფრო სამართლიანი ადამიანები, რომლებიც დედამინაზე არსად არიან. მაგრამ როგორ იყო, რომ არასტუმართმოყვარეს უწოდებდნენ [ზღვას], თუ არ იცოდნენ ველურობა [მათი], [არ იცნობდნენ] თვით მათ, რომლებიც განსაკუთრებით ასეთები იყვნენ? ესენი იყვნენ, რა თქმა უნდა, სკვითები“ (სტრაბონი 1957: 100); ძველი ბერძენი გეოგრაფი ოდნავ წინ ასევე დასძენს, რომ ჰომეროსი არ ახსენებს არც ერთ მდინარეს, შავ ზღვას რომ ერთვისო, „კვლავ არ ახსენებს სკვითებს, ხოლო საქებურად ხდის ვიღაც ჰიპელმოგებს, გალაქტოფაგებს და აბიებს. ხოლო პაფლაგონიელების შესახებ იგი მოგვითხრობს მათი სიტყვით, ვინც ფეხით დაიარა ეს ადგილები, ხოლო სანაპიროს კი არ იცნობს და ეს ბუნებრივიცაა: მაშინ არ შეიძლებოდა ამ ზღვაზე ცურვა და იწოდებოდა ის არასტუმართმოყვარედ, მისი მღელვარებისა და ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის გამო; ეს [ეხება] განსაკუთრებით სკვითურ ტომებს...“ (სტრაბონი 1957: 99).
- <sup>10</sup> სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ აღნიშნავს: „დიოსკურია იმისთანა უბეში მდებარეობს და უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა, [ამიტომ] ამბობენ მასზე, რომ ისაა ევქსინის უშორესი ადგილი და უკიდურესი საცურაოდ. ანდაზაში ნათქვამი „ფაზისში, სადაც ხომალდთათვის უკანასკნელი სრობოლაა“, ისე კი არ უნდა მივიღოთ, რომ იამბის მთხზველი თითქოს მდინარეს ასახელებს, ან კიდევ ამ მდინარეზე მდებარე მსგავსი სახელის მქონე ქალაქს, არამედ ისე, რომ ესაა კოლხიდის ნაწილი, მაშინ როდესაც მდინარიდან და ქალაქიდან რჩება არა ნაკლები 60 სტადიონისა პირდაპირი ხაზით უკიდურეს წერტილამდე საცურავო. ხოლო თვით დიოსკურია არის საწყისი იმ ყელისა, რომელიც კასპიისა და პონტოს შუაგულშია...“ (წიგნი XI, თავი II, 16. ციტატა მოყვანილია წიგნიდან: სტრაბონი 1957: 122).
- <sup>11</sup> წმ. პეტრეს პირველი ეპისტოლის დასაწყისში აღნიშნულია მოციქულის წერილის ადრესატები: „რჩეულთა მწირთა, განთესულთა პონტოდა და გალატიისა, კაბადუკიისა, ასიისა და ბითვნიისათა...“ (პეტრე 1: 1). კოლხეთი აქ ნახსენები არ არის და იგი თავისთავად არც „პონტოში“ მოიაზრება.
- <sup>12</sup> ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე თავისი ისტორიის II წიგნის 104-ე ლოგოსში აღნიშნავს, რომ კოლხები ეგვიპტელებისა და ეთიოპელების მსგავსად ძველთაგანვე მისდევნენ წინადაცვლას. მისი აზრით, ეს წესი კოლხებს ეგვიპტელებისაგან უნდა შემოეღოთ, რაც მას კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის კიდევ ერთ დამადასტურებელ ფაქტად ესახება: „ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან... ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათი აზრით, სესოსტრისის ლაშქრიდან არიან კოლხები და მე თვითონაც ასევე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები შავგვრემანები არიან და ხუჭუჭთმიანები... მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინადაცვლას. ხოლო ფინიკიელებმა და იმ სირიელებმა, რომლებიც პალესტინაში არიან, როგორც თვითონ ამბობენ, ეგვიპტელთაგან ისწავლეს, ხოლო სირიელები, რომლებიც მდინარე თერმოდონთან და პართენიოსთან ცხოვრობენ და მაკრონები, რომლებიც მათი მეზობლები არიან, ამბობენ, რომ კოლხთაგან ისწავლეს ეს ახლახან“ (ჰეროდოტე 1975: 156). როგორც ვხედავთ, ებრაელები აქ ნახსენები არ არიან. რაც შეეხება კოლხების ეგვიპტელობას, ან ეგვიპტელებთან ნათესაობას, ცხადია, ამ განცხადებას სინამდვილესთან კავშირი არ აქვს.
- <sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. IV საუკუნის ძველი ბერძენი ისტორიკოსის, ეფორის ზემონახსენებ დამონშებას სტრაბონი ასევე ახდენს სკვით-სარმატთა დახასიათებისას: „ეფორი თავისი „ისტორიის“ IV წიგნში, სახელწოდებით „ევროპა“, სკვითეთამდე ევროპის აღწერისას, ბოლოს ამბობს, სავრომატებისა და სხვა სკვითების ცხოვრების წესი ერთნაირი არაა, რადგან ერთნი იმდენად სასტიკნი არიან, რომ ჭამენ ადამიანებს, სხვანი კი, პირიქით, თავს იკავებენ სხვა ცხოველთა საკვებად გამოყენებისაგან“ (სტრაბონი 1964: 277). ციტატის ქართული თარგმანი ჩვენია). ცხადია, ამ განცხადებას კოლხებთან არაფერი აქვს საერთო.
- <sup>14</sup> პეტრე მოციქულის ამ ქადაგების შესახებ იხ. (საქმენი 2: 14-39).
- <sup>15</sup> ცნობილია, რომ „სკვითიაში“ ხშირად ძველი ბერძენი და შემდეგ ბიზანტიელი ავტორები მოიაზრებენ პონტოსპირეთის ვრცელ ტერიტორიას (ძირითადად შავი ზღვის აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთით) და მათ შორის ქართველი ტომებით დასახლებულ მიწა-წყალსაც. ძველი ავტორები ხანდახან ერთმანეთისგან მიჯნავდნენ „აზიელ სკვითებსა“ (მათ შორის, კოლხებს) და მეოტისსა (აზოვის ზღვა) და ტანაისთან (მდ. დონი) მდებარე ევროპულ სკვითიას (გეორგიკა 1980: 37). ამიტომ ანდრია პირველწოდებულის საქადაგო „სკვითიაში“ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიც უნდა წარმოვიდგინოთ (ჯაფარიძე 1996: 48).
- <sup>16</sup> ფლამანდრიელი კარტოგრაფისა და გეოგრაფის, აბრაჰამ ორტელიუსის (1527-1598 წწ.) შედგენილი რუკები – „მსოფლიო თეატრი“ – ავტორისეულ ტექსტთან ერთად გამოიცა 1570 წელს და წარმოადგენს თანამედროვე სახის პირველ მსოფლიო ატლასს.
- <sup>17</sup> „ევროპულ სკვითეთში“ (ე.ი. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში) წმ. ანდრია მოციქული, უეჭველია, დასავლეთ საქართველოდან („კოლხეთიდან“) აფხაზეთის („აბასხების“) გავლით უნდა მოხვედრილიყო (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ) და არა პირიქით, როგორც ეს ლამბერტის წარმოდგენია (ბუბულაშვილი 2007: 170-195).
- <sup>18</sup> წმ. მოციქული ბართლომე ინდოეთიდან მობრუნების შემდეგ ქადაგებდა მცირე აზიის დიდ სომხეთში. არსებობს მოსაზრება მისი საქართველოში ქადაგების შესახებაც.
- <sup>19</sup> ბიჭვინთაში (Piguitas) საეპისკოპოსო ცენტრი არსებობდა IV საუკუნის I მეოთხედში. XIV-XVIII საუკუნეებში ბიჭვინთის საკათედრო ტაძარი (X ს.) იყო დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ტაძარი. თვითონ ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა, თუმცა ვინაიდან გადმოცემის თანახმად, ამ მიდამოებში ანდრია პირველწოდებულს ექადაგა, საეპისკოპოსო კათედრას „წმ. ანდრიას საყდრად“ მოიხსენიებდნენ.
- <sup>20</sup> ლამბერტი აბასხებს (Abbaschi) უწოდებს მაშინდელ აფხაზებს (შესაძლოა, აქ ძველ დროში მოსახლე და ანტიკურ წყაროებში დაფიქსირებული ტომის სახელწოდების, „აბაზგების“ გავლენით), „მხარე აბასხებში“ კი მოიაზრებს აფხაზეთს. „ბაშიჩუ“ იმერეთის თურქული სახელის, ბაში-აჩუკის შემოკლებული ფორმაა. სახელწოდება „გურიელით“ (გურიის მთავართა დინასტიის სახელით) მოიხსენიებულია გურია.
- <sup>21</sup> იგულისხმება დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის კათოლიკოსის რეზიდენცია. მართალია, ლამბერტის დროს იგი



უკვე გელათში იყო გადატანილი, თუმცა, ამის მიუხედავად, ბიჭვინთა კვლავ ინარჩუნებდა საკათოლიკოსო საყდრის სახელსა და მნიშვნელობას.

- 22 „მცირე სომხეთს“ (Armenia minore) ლამბერტი იყენებს გეოგრაფიული მნიშვნელობით და ამ არეალს მიათვლის მცირე კავკასიონის იმ ნაწილსაც, სადაც მდებარეობდა ქართული სამთავრო – სამცხე-საათაბაგო.
- 23 ისკიმელი (Ischimeli) ეპისკოპოსის ეპარქიის დადგენა ჯერჯერობით არ ხერხდება. ი. ტაბალუამ Ischimeli იშხნელთან გააიგივა (ტაბალუა 1984: 56). თუმცა სხვაგან ლამბერტი სამცხის ეპისკოპოსთა ჩამონათვალში Ischimeli-ს გარდა ასახელებს ასევე Ischneli-ს (თავი V). ამ უკანასკნელის „იშხნელ“-ად გააზრება, ჩვენი აზრით, ბევრად უფრო დამაჯერებელია. ამიტომ Ischimeli-ს იშხნელად წაკითხვა მართებულად არ წარმოგვიდგენია.
- 24 ცეზარ ბარონიუსმა (1538-1607 წწ.), კათოლიკური ეკლესიის კარდინალმა 1596 წლიდან პროტესტანტი საეკლესიო ისტორიკოსების საპასუხოდ შექმნა თორმეტ ტომიანი ნაშრომი – „საეკლესიო ანალები“, სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულია ქრისტიანული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან 1198 წლამდე.
- 25 მარკუს ულპიუს ტრაიანე – რომის იმპერატორი 98-117 წლებში.
- 26 ხერსონესი – ძვ. წ. V ს-ში ძველი ბერძენი კოლონიების მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე დაარსებული ქალაქი.
- 27 ახ. წ. I ს-ის მიწურულს რომის იმპერატორ ტრაიანეს ბრძანებით, რომის მე-4 პაპი კლემენტი I გაამწესეს ქ. ხერსონესის მახლობლად მდებარე ქვის სამტეხლოში, სადაც თავისი ქადაგებით მრავალი წარმართი გააქრისტიანა.
- 28 ბარონიუსი აღნიშნულ საკითხის ეხება თავისი „საეკლესიო ანალების“ XII ტომში: „იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს დროს მქადაგებელი პაპი წმ. კლემენტის შემწეობით მიიღო. წმ. კლემენტი ამ მხარეში გადასახლებული იყო. ხოლო ირენოსის მიხედვით ცხადი ხდება, რომ იბერებმა ქრისტიანული სარწმუნოება ამ დროსთან შედარებით ბევრად უფრო ადრე მიიღეს. რაც შეეხება ქვემო იბერებს, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს“ (ამონარიდის ქართული თარგმანი მოგვყავს წიგნიდან: ტაბალუა 1984: 171).
- 29 იგულისხმება ყირიმის ნახევარკუნძული.
- 30 იგულისხმება პუბლიუს ლიცინიუს ეგნაციუს გალიენუსი, რომის იმპერატორი 253-268 წლებში და მისი მომდევნო იმპერატორები.
- 31 „ქვეყანა რკინით კი არა, ხით დაიმორჩილა“ – ლამბერტის მოჰყავს ნეტარი ავგუსტინეს სიტყვები 54-ე ფსალმუნის განმარტებიდან. იგულისხმება იესო ქრისტე, რომელმაც ქრისტიანობა მსოფლიო რელიგიად აქცია არა საბრძოლო იარაღის გამოყენებით, არამედ ხის ჯვარზე გაცვრით. *ferro* შეიძლება ითარგმნებოდეს ასევე, როგორც „მახვილი“ (ასეა იგი თარგმნილი ინგლისურ ენაზეც). თუმცა ამ შემთხვევაში ითარგმნელმა ამ სიტყვებში დაინახა ავტორის მიერ ხისა და რკინის შეპირისპირება, ქრისტეს სიდიადისა და ძალმოსილების ხაზგასასმელად.
- 32 იგულისხმება სოკრატე სქოლასტიკოსი (IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის I ნახევრის მოღვაწე).
- 33 იგულისხმება V ს-ის I ნახევრის ანტიოქიელი სასულიერო მოღვაწე, თეოდორიტე კვირელი.
- 34 იგულისხმება IV ს-ის სირიული წარმოშობის რომაელი ისტორიკოსი და ეგზეგეტიკოსი, ფლავიუს მაგნუს ავრელიუს კასიოდორუსი.
- 35 ნიკიფორეში ლამბერტი სავარაუდოდ გულისხმობს XIII-XIV საუკუნეების ისტორიკოსსა და ღვთისმეტყველს, ნიკიფორე კალისტოს ქსანთოპულოსს, რომელმაც შეადგინა „საეკლესიო ისტორია“ თვრამეტ წიგნად.
- 36 რომაული მარტიროლოგი წარმოადგენს კათოლიკური ეკლესიის მიერ აღიარებულ წმინდანთა საერთო ოფიციალურ სიას შესაბამისი კალენდარული რიგის მიხედვით. იგი შეიქმნა სხვადასხვა ადგილობრივი მარტიროლოგიების გაერთიანების შედეგად და გამოქვეყნდა ლათინურ ენაზე 1583 წელს. მასში 15 დეკემბერს სხვა წმინდანთა შორის საკუთარი სახელის გარეშე მოხსენიებულია იბერთა გამაქრისტიანებელი „ქრისტიანი მხევალი“: „ევექსინის ზღვის მიღმა, იბერთა შორის [მყოფმა] ქრისტიანმა მხევალმა სასწაულების ძალით მოაქცია ისინი (იბერები) კონსტანტინეს ხანაში“ (მარტიროლოგია 1916: 386).
- 37 იგულისხმება სომეხთა განმანათლებელი წმ. გრიგოლ პართელი.
- 38 ლამბერტიმ წმინდა ნინოს „მხევლობა“, რაც მის ქრისტეს მხევლობას გულისხმობს, შეცდომით პირდაპირი გაგებით, მონა-მხევლად გაიზრა და ამ წმინდანის წარმოშობასთან დაკავშირებული დანარჩენი თავისი ვარაუდებიც ამ არასწორ გაგებაზე დააფუძნა.
- 39 იგულისხმება ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნის, „ტობითის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ტობის სულიერი სიმტკიცე და სარწმუნოებისადმი ერთგულება ნინევიამა ასურელთა ტყვეობაში ყოფნისას: „ტობი გზათა ქემშარითებისათა ვიდოდა და სიმართლისათა ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა, და მოწყალეობანი და ქველის-საქმენი მრავალნი ქმნა ძმათა მიმართ მისთა და ნათესავთა მისთა, რომელნი თანა იყვნეს სოფლად, ასურასტანელთა ნინევედ“ (ტობითი, 1; 3).
- 40 იგულისხმება ნანა დედოფალი, მირიან მეფის მეუღლე.
- 41 უეჭველია, ლამბერტი მოგვითხრობს სვეტიცხოვლის აგების ცნობილი ისტორიის შესახებ.
- 42 უნდა იგულისხმებოდეს ქართლის ეკლესიის პირველი მეთაური, მთავარეპისკოპოსი იოვანე. იგი დასახელებულია „მოქცევა ქართლისაჲ“-ს სხვადასხვა რედაქციაში: „და მოსცა მეფემან (კონსტანტინემ, – დ.მ.) იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღვდელნი და ერთი დიაკონი და წიგნი ელენე დედოფლისა და ხატი მაცხოვრისა და ძელი ცხორებისა ნინოასტუს“ (მატბერდული რედ.). „ხოლო მეფემან (კონსტანტინემ) წარავლინა ეპისკოპოსი იოვანე და ორნი მღვდელნი და ერთი დიაკონი, და ხატი მაცხოვრისა[ჲ], და ძელი ცხორებისა და სხუად წიგნები ელენე დედოფლისა[ჲ] ნინო[ა]სტუს“ (ჭელიშური რედ.).
- 43 იგულისხმება მარიამ ღვთისმშობელი.
- 44 აქ უთუოდ იგულისხმება ხობის მონასტერი (Copsis), რომლის მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული. ამ მონასტერში სხვა სინმინდებთან ერთად ინახებოდა ღვთისმშობლის კვართი. 1640 წლის დასაწყისში ხობის მონასტერში უნახავთ ღვთისმშობლის კვართი ლევან დადიანთან მყოფ რუს ელჩებს (მღვდელ პავლე ზახარევსა



და დიაკონ ფედოტი ელჩინს). ამავე ტაძარში ასახელებს ღვთისმშობლის კვართს სხვა თეატელი მისიონერი, ლამბერტის თანამედროვე კრისტოფორო დე კასტელიც. ამ სინმინდის კონსტანტინე დიდის მიერ საქართველოში გამოგზავნა არ დასტუდება.

- <sup>45</sup> შესაძლებელია, ეს იყოს იოანე ნათლისმცემლის ძვლის მოზრდილი ნაწილი, რომელიც ამჟამად ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება და რომლის მანამდელი ადგილსამყოფელი დადგენილი არ არის.
- <sup>46</sup> კონსტანტინე დიდის მიერ დედოფალ ელენეს მეცადინეობით იერუსალიმში ნაპოვნი ხის ჯვრის („ძელი ცხოვრებისას“, „ძელი ჭეშმარიტის“), ერთ-ერთი მცირე ნაწილის საქართველოში გამოგზავნას (უფლის „ფერხთა ფიცართან“ და სამსჯუალთან ერთად) დასტურდება ქართული საისტორიო წყაროებითაც.
- <sup>47</sup> იესოს ეკლის გვირგვინის მცირე ნაწილები, როგორც ჩანს, მართლაც ინახებოდა საქართველოში. სხვა სინმინდეებთან ერთად გვირგვინის ერთი ნაწილი წალენჯიხის ტაძარში მოუნახულებიათ 1640 წლის დასაწყისში ოდიშის მთავართან ჩასულ რუს ელჩებს (ბელოკუროვი 1888: 326). სხვათა შორის, მას სვეტიცხოვლის ტაძარში უთითებს ჟან შარდენიც. იგი აღნიშნავს, რომ მას ეს სინმინდე თავად არ უნახავს, მაგრამ კაპუცინელი ბერები თურმე არწმუნებდნენ, იგი იქ ჩვენი თვალთ ვიხილეთო (შარდენი 1975: 275).
- <sup>48</sup> უეჭველია, ლამბერტის მხედველობაში აქვს მცხეთის მთავარი საპატრიარქო ტაძარი სვეტიცხოველი.
- <sup>49</sup> ქართული საეკლესიო და საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ელია წინასწარმეტყველის ხალენი (ანუ მოსასხამი) საქართველოში ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე შემოუტანია იერუსალიმიდან დევნილ ებრაელებს. ამავე გამოცემის მიხედვით, ელიას ხალენი დაფლული ყოფილა ქრისტეს კვართის სიახლოვეს, ე.ი. სვეტიცხოვლის ტაძრის მიდამოებში, სხვა ვერსიით, მთავარ ტაძართან მიშენებულ ელია წინასწარმეტყველის სახელობის მცირე ეკლესიაში, რომელიც 1930-იან წლებში მოარღვიეს (ბუბულაშვილი 2007: 23).
- <sup>50</sup> იგულისხმება წითელი პარასკევი, ქრისტეს ჯვარცმის დღე.
- <sup>51</sup> იგულისხმება დიდი საეკლესიო განხეთქილება დასავლურ და აღმოსავლურ ეკლესიებს შორის.
- <sup>52</sup> იგულისხმება სიმეონ მიმრქმელი, რომელმაც ღვთისმშობელ მარიამისა და მართალი იოსების მიერ ტაძარში მიყვანილ ყრმა იესოში იცნო მაცხოვარი, მკლავები მოხვია („მიირქვა“) მას და წარმოსთქვა ზემოაღნიშნული სიტყვები (ლუკა, 2; 29).
- <sup>53</sup> იგულისხმება ბოდბის წმ. ნინოს სახელობის მონასტერი მაშინდელ კახეთის სამეფოში, სადაც გადმოცემის მიხედვით დაკრძალულია წმ. ნინო. თუმცა მონასტრის მთავარი ტაძარი (VIII-IX სს), სადაც წმ. ნინოს საფლავი მდებარეობს, წმ. გიორგის სახელობისაა.
- <sup>54</sup> ლამბერტი ქართლის აღსანიშნავად ხშირად იყენებს სიტყვას – „Cardueli“. ავტორისეული სახელწოდება უნდა მომდინარეობს ადგილობრივი ეთნიკური თვითსახელწოდებიდან – „ქართველი“.
- <sup>55</sup> ნიკიფორე კალისტოსის ნაშრომში საინტერესოაა აღწერილი იუსტინიანე იმპერატორის ეპოქა. ლამბერტი უნდა სარგებლობდეს ნაშრომის ლაწეუს მიერ 1553 წელს გამოცემული ლათინური თარგმანით.
- <sup>56</sup> იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I დიდი (527-565).
- <sup>57</sup> იმპერატორ იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსი, პროკოპი კესარიელის ზემოაღნიშნული სიტყვები ქართველთა სანიმუშო ქრისტიანობის შესახებ არის მის ნაშრომში, „ომების ისტორია“ (გეორგიკა 1965: 48) და იგი აღმოსავლეთ საქართველოში დიოფიზიტობის სიმტკიცეზე უნდა მიანიშნებდეს.
- <sup>58</sup> იგულისხმება ირანის სასანიანი შაჰი 488-496 და 499-531 წლებში, კავად I. იგი ბიზანტიის წინააღმდეგ პირველ ომს აწარმოებდა 502-506 წლებში. თუმცა ლამბერტის მხედველობაში უნდა ჰქონდეს ბიზანტია-ირანს შორის 526-532 წლებში მიმდინარე ომი, რომლის მთავარი მიზეზიც კავად I-ის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში ზოროასტრიზმის იძულებით დანერგვის მცდელობა იყო.
- <sup>59</sup> ეს სიტყვები უშუალოდ ებმის იბერების კარგი ქრისტიანობის შესახებ აღნიშვნას: „მაშინ კავადს უნდოდა ძალით მოექცია ისინი თავის სარწმუნოების წესებზე და მან მეფე გურგენს შეუთვალა, სხვა რამეშიაც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხათ, არამედ ყველა მიცვალებული, ფრინველებისა და ძაღლებისთვის გადაეგდო. ამიტომ გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის მხარეს გადასულიყო“, – წერს პროკოპი (გეორგიკა 1965: 48).
- <sup>60</sup> იგულისხმება VI ს-ის II ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი. მისი მთავარი საისტორიო ნაშრომი, „იუსტინიანე მეფობისათვის“, პროკოპი კესარიელის საისტორიო თხზულების ერთგვარი გაგრძელებაა და აღწერს იმპერატორ იუსტინიანეს ზოგის 552-558 წლების ისტორიას. აქ დაწვრილებითაა მოთხრობილი დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ბიზანტია-ირანის ომის ამბები.
- <sup>61</sup> იგულისხმება ეგრისის (ბიზანტიური წყაროებით – ლაზიკის) მეფე გუბაზი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ბიზანტია-ირანს შორის 542-562 წლებში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ომში („დიდი ომიანობა ეგრისში“). გუბაზი ბიზანტიის ჯარის წარუმატებლობას ბიზანტიელი სარდლების უნიათობას აბრალებდა, რის გამოც იოანემ და რუსტიკემ მეფე ღალატით მოკლეს 554 წელს. აღსანიშნავია, რომ ლამბერტის მიერ მოყვანილი პერიპეტები ეხება მხოლოდ დასავლეთ საქართველოს („კოლხებს“) და მას აღმოსავლეთ საქართველოსთან პირდაპირი კავშირი არ აქვს.
- <sup>62</sup> ლამბერტი გულისხმობს ეგრისის სამეფოში გამართულ ცნობილ სახალხო კრებას, სადაც განიხილებოდა სამეფოს მომავალი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. საბოლოოდ კრებაზე გადაწყდა, რომ მიუხედავად ბიზანტიელთა მხრიდან ჩადენილი ვერაგობისა, სპარსელთა მხარეს მაინც არ გადასულიყვნენ და იმპერატორისაგან მოეთხოვათ გუბაზ მეფის მკვლელების საკადრისად დასჯა. ამ ამბების შესახებ აგათია სქოლასტიკოსი დაწვრილებით მოგვითხრობს (გეორგიკა 1936: 63-81).
- <sup>63</sup> იგულისხმება იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, რომელიც ქართველთა მიერ არის დაარსებული.
- <sup>64</sup> რაფაელო ვოლატერანუსი (1451-1522) – იტალიელი ჰუმანისტი, თეოლოგი და ისტორიკოსი. მის ნაშრომებს შორის აღსანიშნავია დიდი რედაქციებით შექმნილი ენციკლოპედიური ნაშრომი – *Commentariorum rerum urbanarum libri XXXVIII*.
- <sup>65</sup> დამიეტა, თანამედროვე დუმიტრი, ეგვიპტის სანავსადგურო ქალაქი ნილოსის დელტაში. ჯვაროსნები ორჯერ დაეუფლნენ ქალაქს: მე-5 ჯვაროსნული ლაშქრობისას 1219 წელს და 1249 წელს მე-7 ჯვაროსნული ლაშქრობისას, თუმცა ორჯერვე დაკარგეს.

## დამონებანი

- არიანე 1961:** ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭელაძისა, თბილისი.
- ბელოკუროვი 1888:** С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в дадианскую землю (1639-1640), „Материалы для Русской истории“, Москва.
- ბუბულაშვილი 2007:** ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სინამდვილეები, თბილისი.
- გეორგიკა 1936:** გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი.
- გეორგიკა 1965:** გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, მეორე შეესებულ გამოცემა – უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XVI.
- გეორგიკა 1980:** ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძნულიდან თარგმნა გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი.
- ლამბერტი 1657:** Arcangelo lamberti, Colchide Sacra, Napoli, 1657.
- მარტიროლოგია 1916:** The Roman Martyrology, published by order of Gregory XIII, revised by the authority of Urban VIII and Clement X, afterwards, in the year 1749, augmented and corrected by Benedict XIV. Translated from the Latin with an introduction by the Archbishop of Baltimore, Baltimore.
- მერკვილაძე, გაბისონია 2013:** დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია, „არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII.
- მერკვილაძე, გაბისონია 2014:** დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია, „არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობა დამასკოდან გორამდე“, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XV-XVI, 2013-2014, თბილისი.
- მერკვილაძე 2019:** არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“ და მისი ახალი ქართული თარგმანი, კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში 2, მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი (5-7 ივნისი, 2018), მასალები, 2019, თბილისი, სულხან-საბას უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სტრაბონი 1957:** სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თ. ყაუხჩიშვილი, თბილისი.
- სტრაბონი 1964:** Страбон, География в 17 книгах, перевод, статья и комментарии Г.А. Стратановского под общей редакцией проф. С. Л. Утченко, редактор перевода проф. О. О. Крюгер, Москва.
- ტაბალუა 1984:** ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), I, თბილისი.
- ტერტულიანე 1972:** Tertullian, Adversus Marcionem, Edited and translated by Ernest Evans, Oxford.
- შარდენი 1975:** ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი.
- ჯაფარიძე 1996:** ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, თბილისი.
- ჰეროდოტე 1975:** ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბილისი.

## NEW TRANSLATION OF ARCHANGELO LAMBERTI'S "THE HOLY COLCHIS"

Translated from Italian by  
**George Tskitishvili**

Editing of Georgian text, Introduction  
and Commentaries by  
**David Merkviladze**

In 2013-2014 we published two parts of edited Georgian translation of the work of Italian missionary Archangelo Lamberti found in T. Beradze archive, translated by Bezhan Giorgadze.

Later, with the help of Stefano Aloe, Professor of Slavic Studies at the University of Verona, we obtained a fully scanned version of a book published in Naples in 1657 from the library of an Italian town of Sarnano. It turned out that to get the perfect Georgian translation of this work, it was necessary to re-translate the whole work. New translation is made by George Tskitishvili.

We are currently publishing the first four chapters of the translation of "The Holy Colchis" with author's introduction, in which Lamberti presents his views of the conversion Iberians and Colchians to Christianity, using different ancient sources.

**წიგნების მიმოხილვა**  
**BOOK REVIEWS**





## ირაკლი ფერაძის წიგნი „დალის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)“

თამარ დიდებაშვილი

2019 წლის 8 მარტს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ჩატარდა ირაკლი ფერაძის წიგნის – „დალის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)“ პრეზენტაცია. წიგნი გამოიცა 2018 წელს. რედაქტორები არიან ისტორიის დოქტორები: ბეჟან ჯავახია და გულნარა კვანტიძე.

ნაშრომი ეყრდნობა მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებს, აგრეთვე ავტორის მიერ მოპოვებულ სავსელ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც 2014 და 2017 წლებში განახორციელა დალის ხეობიდან დევნილ მოსახლეობაში. ტექსტი იკითხება მარტივად, რაც მეტად საინტერესოს ხდის წიგნს. აგრეთვე, მონოგრაფიას მნიშვნელობას მატებს დალის ხეობის რუკა, ცხრილები და ფოტოები, რითაც მკითხველს წარმოდგენა ექმნება ადინიშნულ მხარეზე.



წიგნი შედგება სამი თავისგან:

პირველი თავი ეხება დალის ხეობის ისტორიას. უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. ძირითადი აქცენტები დასმულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მისიმიანეთი (ასე უწოდებდნენ ბიზანტიელი ავტორები დალის ხეობას) ბიზანტია-სასანური ირანის ომების ისტორიის კონტექსტში, მისიმიანთა აჯანყება, ეთნო-დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილება, თანამედროვე ისტორია და ა.შ.



მეორე თავი ეხება დალის ხეობის ტრადიციულ ყოფასა და კულტურას. ამ თავში ძირითადი აქცენტი კეთდება დასახლების ფორმებზე, მინათმოქმედებაზე, მესაქონლეობაზე, მეფუტკრეობაზე ხალხურ დღესასწაულებზე და რაც მთავარია ნადირობაზე. აღნიშნული თავი საინტერესოა იმ მხრივ, რომ დალის ხეობის მოსახლების ყოფა-ცხოვრება განხილულია საერთო ქართულ ეთნოგრაფიულ ქრილში, ყურადღება გამახვილებულია ხეობის სხვა კუთხეებთან როგორც მსგავსებაზე, ისე განსხვავებაზე. რა თქმა უნდა, ამ მხრივ, კოდორის ხეობა მეტ მსგავსებას სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან იჩენს, რადგან ხეობა მუდამ სვანებით იყო დასახლებული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე თავი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე და გარემოსთან მათი ადაპტაციის პრობლემებზე.

დევნილთა პრობლემით დღესდღეობით უამრავი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაა დაინტერესებული. ამ წიგნს თავისი წვლილი შეაქვს უშუალოდ დალის ხეობიდან დევნილი მოსახლეობის წინაშე არსებული უამრავი პრობლემის ფართო საზოგადოებამდე მიტანაში და მათი გადაჭრის შესაძლო გზების დასახვაში.

## **BOOK BY IRAKLI PERADZE “DALI GORGE (HISTORICAL-ETHNOGRAPHIC RESEARCH)”**

**Tamar Didebashvili**

On March 8, 2019, a presentation of the book “Dali Gorge (Historical-Ethnographic Research)” by Irakli Peradze was held at the National Library of Parliament of Georgia. The book was published in 2018, editors are Doctors History: Bezhan Javakhia and Gulnara Kvantidze.

Dali Gorge is one of the part of Abkhazia (Georgia), which is now called as Kodori Gorge//Upper Abkhazia. Historically, it was always settled by Georgians (Svans). This is proved as by source of knowledge as by archeological and ethnographical records. Dali Gorge was not examined well enough because the war of August 2008 effected negatively on the plans of the scientists. This is why it is highly important matter of the studies about refugees from Dali Gorge now.


The book consists of three chapters: The first chapter deals with the history of the Dali Gorge.

The second chapter tells us about the traditional nature and culture of the Dali Gorge. The third chapter focuses on the old and current areas of resettlement of refugees from the Dali gorge, as well as the socioeconomic problems of refugees and possible ways of solving them.

## ნესტან სულავას ნიგნი „ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის“

ეკა დულაშვილი  
ია ლადუა

ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნესტან სულავას მონოგრაფია „ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის“, (რედაქტორი ია ლადუა, გამომცემლობა „მნიგნობარი“, თბილისი, 2018. 354 გვ.). ნიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ წლების განმავლობაში გამოქვეყნებული ჩვიდმეტი პუბლიკაცია, რომლებიც ჰუმანიტარული კვლევის სხვადასხვა ასპექტს მოიცავს: საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ, სასულიერო-ჰიმნოგრაფიულსა და ჰაგიოგრაფიულს, ასევე სამგალობლო-მუსიკალურს.



მართალია, სტატიები სხვადასხვა დროსაა დაწერილი და გამოქვეყნებული, მაგრამ ნიგნში ზოგიერთი მათგანი მოცემულია ახალი თვალთახედვით გადამუშავებული და ახალი მასალით შევსებული. შესაბამისად, მათში გამოთქმული მოსაზრებანი ძველს ასახავს, მაგრამ ძველის უბრალო განმეორება არაა.

სტატიები ეძღვნება ისეთ პრობლემატურ საკითხებს, რომელთაგან ზოგიერთი მანამდე არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი და ამიტომ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს. მაგალითად, ასეთია „მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის ლოკალიზაციის თავის“, რომელშიც ტაო-კლარჯეთის სამნიგნობრო კერებში შექმნილი ხელნაწერების კოლოფონებში მოცემული ცნობების ურთიერთშეჯერებისა და ხელნაწერთა ქრონოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის არეალი, განსაზღვრულია მისი ვინაობა. აღნიშნული პუბლიკაცია ავსებს ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი პიროვნების შესახებ მანამდე არსებულ ინფორმაციას.

კრებულში განხილულია ისეთი თემებიც, რომლებზეც ავტორი სრულიად ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მაგ „ანთროპონიმთა სიმბოლიკის მიმართება წმინდანთა და ჰაგიოგრაფთა ხატ-სახეებთან“, „ლომისა და ვეფხვის სახისმეტყველება წმ. ბასილი დიდის თხზულებებში“, „ქართული წარწერების სახისმეტყველება“ და სხვ.

ნესტან სულავას ნაშრომი ფილოლოგიური კვლევისთვის აუცილებელი კომპლექსური მიდგომის შესანიშნავი მაგალითია. კრებულში წარმოდგენილ სტატიებში მეცნიერი იყენებს კვლევის მრავალფეროვან მეთოდოლოგიას, ისტორიულ-შედარებით, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურს, ლიტერატურულ-კომპარატივისტულს, ჰერმენევტიკულს, რაც ანალიტიკური კვლევის ფართო არეალს წარმოჩენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰიმნოგრაფიის საკითხებზე დაწერილი სტატიები, რომლებშიც განხილულია ქართული ჰიმნოგრაფიის ჟანრობრივი და ესთეტიკურ-მხატვრული თავისებურებები. პუბლიკაციებში გაანალიზებულია ზოგიერთი არსებული მოსაზრება, გადაჭრილია და არგუმენტირებულად არის დასაბუთებული დასმული საკითხები. მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორცაა ქართული საგალობლის მრავალხმიანობა,

რომელიც ნ. სულავას გიორგი მთაწმინდელის მიერ მისივე შედგენილ ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებზე დართული ანდერძების მიხედვით აქვს ნაკვლევ სტატიაში „ნმ. გიორგი მთაწმინდელი და ქართული მრავალხმიანობა“.

შესწავლილია ჰიმნოლოგიური ტერმინები და მათი გამოყენების არეალი. საგანგებოდაა გაანალიზებული საგალობელთა პოეტიკა წმინდანის სულიერ ხატ-სახეთა ანალიზის მიხედვით.

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში სახისმეტყველებითად გააზრების თვალსაზრისით საინტერესოა სტატიები, რომლებშიც განხილულია: კაენისა და აბელის, „სამოსელი პირველისა“ და „ტყავის სამოსელის“ სახისმეტყველება. ნ. სულავას მოსაზრებით, „კაენისა და აბელის სახისმეტყველება საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, მათ შორის ჰიმნოგრაფიაში, წარმართება ცოდვისა და უსისხლო მსხვერპლის ჰიპოდიგმა-პარადიგმით“.

რაც შეეხება სამოსლის სიმბოლიკას, სტატიაში თავდაპირველად განხილულია სამოსლის ბიბლიური არსი, ნაჩვენებია, თუ როგორ უკავშირდება სამოსლის სიმბოლურ ფუნქციას ბიბლიურ პერსონალიათა სახელის ცვლა, რაც ახალი სამოსლით შემოსვის გამოხატულებაა. სახელი გააზრებულია, როგორც ბიბლიურ პერსონალიების, წმინდანების სიმბოლური სამოსელი. სახელის არსი წარმოჩენილია საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური საფუძვლების მიხედვით (მათ შორის, არისტოტელესა და არეოპაგიტულ თხზულებათა, ბიბლიური იოსების სამოსლის მიხედვით). ნ. სულავას დასკვნით, სამოსლის ჰიპოდიგმის მიხედვით იკითხება საერო ლიტერატურულ თხზულებებში სამოსლის მხატვრული ფუნქცია, რაც განსაკუთრებულად აქტუალურია, როცა შოთა რუსთველის პოემის სათაურის გააზრების საკითხი დგება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი მერჩულის ცნობილი სიტყვების „ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის“ ანალიზი: ნ. სულავას თვალსაზრისით, ამ სიტყვებში გამოკვეთილია და ხაზგასმულია გალობის, როგორც ჟამისწირვის ერთ-ერთი კომპონენტის, ხასიათი. კერძოდ, „ქართული ჟამისწირვა მხოლოდ ქართულ-ენოვნებას არ გულისხმობს, იგი არსებითა ქართული ჟამისწირვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილისათვის – გალობისათვის, რაც მის მრავალხმიანობაში გამოიხატებოდა; „კვირიელისონის“ ბერძულად თქმა, ანუ გალობა, ბერძნულ ტრადიციებზე მის შესრულებას ნიშნავს, ანუ ერთხმიანობას“. ამავე სათაურის პუბლიკაციაში ავტორს გამოაქვს საინტერესო და საგულისხმო დასკვნა, რომ „ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა წინაქრისტიანული მრავალხმიანობა, როგორც ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის წიაღში პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი ფორმები“, აგრეთვე, „ქრისტიანულმა ხუროთმოძღვრებამ შეითვისა და დააკანონა ანტიკური ხუროთმოძღვრების ის ფორმები და მოტივები, რაც ქრისტიანული სათვისტოსის მისაღები იყო და რომელთა სიმბოლური გადააზრებით ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ანსამბლები სრულყოფილ, ჰარმონიულ სახეს იღებდნენ“. ნ. სულავა კვლევის პროცესში განსაკუთრებულად გამოყოფს გრიგოლ ხანცთელის ღვანლს ტიპიკონის შედგენისა და „საწელიწდო იადგარის“ შექმნის საქმეში. ყოველივე ამას ნმ. გრიგოლ ხანცთელის სულიერი მისიის აღსრულებად მიიჩნევს, რაც გიორგი მერჩულისეული სიტყვით, „სრბის აღსრულება“.

ქართული გალობის მრავალხმიანობის პრობლემა მხოლოდ ამ სტატიით არ შემოიფარგლება. ის განხილულია გიორგი მთაწმინდელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის მიხედვით. გიორგი მთაწმინდელის ანდერძ-მინაწერები და თავად გიორგი მცირის შექმნილი თხზულება ნათლად ადასტურებს, რომ გიორგი მთაწმინდელის დროს ქართული გალობა მრავალხმიანი იყო და ამ პროცესს VII-VIII საუკუნეების მიჯნით ათარიღებს. შესაბამისად, წარმოაჩენს გალობის „გაქართულების“ პროცესს, ანუ, გზას, როგორ შეიძინა ქართულმა გალობამ ეროვნული მუსიკალური თვისებები, რაც პოლიფონიურობით გამოიხატა.

ჰიმნოგრაფიული ტექსტების კვლევას საკმაო ხნის ისტორია აქვს ქართულ სამეცნიერო სივრცეში, თუმცა, უმეტესად მათი კვლევა ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური თვალსაზრისით მიმდინარეობდა. რაც შეეხება სახისმეტყველებით გააზრებასა და ზოგადად საგალობლის ლიტურგიკული, აღმზრდელობითი და ესთეტიკური ღირებულებების წარმოჩენას, ფაქტობრივად, ამ კუთხით კვლევა იმდენად მწირია, რომ ნესტან სულავას სტატიები, მართლაც, ღირებულია და ავსებს იმ სიცარიელეს, რასაც დღეს ქართული ჰიმნოგრაფიის კომპლექსური კვლევის მდგომარეობას იწვევს.

სტატიაში „წმინდანის ხატ-სახის ბუნებისათვის ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში“ განხილულია ადრეული შუა საუკუნეების მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური თავისებურებანი. ჰიმნოგრაფიული სახეების ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოტანილია საგულისხმო დასკვნა, რომელიც ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ სახეებს შორის პრინციპულ განსხვავებას გულისხმობს. ავტორი განიხილავს საღვთისმეტყველო ტერმინს „ბაძვა“ ჰაგიოგრაფიულ ნარატივსა და ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში და ნათელყოფს მოსაზრებას, რომ „ბაძვა ღვთის მიმსგავსებაა, რაც სახის ესთეტიკურად გააზრების, აღქმის საფუძველს ქმნის“. ამ მხრივ განსხვავებულია ჰიმნოგრაფიული სახე, რომლისთვისაც შესხმის ობიექტისთვის, წმინდანისთვის ბაძვა განვლილი საფეხურია. საგალობელში უკვე განღმრთობილი წმინდანის სახეა.

ნ. სულავას დასკვნა, რომ ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, როგორც თეოლოგიური ლიტერატურის დარგები, წმინდანის სულიერი განვითარების ორ ძირითად საფეხურს წარმოაჩენს: ბაძვას და ზიარებას – სიახლეა სასულიერო მწერლობის კვლევით სფეროში.



სიახლეს წარმოადგენს ჰიმნოგრაფიის განხილვა, როგორც საისტორიო წყაროს და პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძვლისა. ამ კუთხით კვლევა ძირითადად XII-XIII საუკუნეების ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიული ტექსტების მიხედვითაა წარმართული. სწორედ ამ პერიოდში იქმნება საქართველოში საგალობლები, რომლებიც ქართველი ერის უძვირფასეს სიმნიშვნელებს ეხება და სწორედ მათში იჩინა თავი ამ ეპოქისთვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ და რომელიც ძირითადად მესიანური იდეისა და სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის ალუზიის სახით გამოვლინდა.

ნიგნში თავმოყრილ სტატიებში, ასევე, განხილულია საღვთისმეტყველო ტერმინები XIII საუკუნის ისეთი მნიშვნელოვანი ჰიმნოგრაფიული კრებულის მიხედვით, როგორიცაა A-85; მიხეილ საბინინის „საქართველოს სამოთხის“ შექმნის ისტორია, დანიშნულება და ადგილი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში; მიხეილ თამარაშვილის მოსაზრებები წმ. ანდრია პირველწოდებულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობის შესახებ. სრულიად ახალი ტიპის კვლევაა მოცემული სტატიაში, რომელშიც წარმოჩენილია ქართული წარწერების სახისმეტყველება ჯავახეთის ეპიგრაფიკის მიხედვით.

მიუხედავად ნიგნში შესული წერილების თემატიკის სირთულისა, ნესტან სულავას ენის სისადავისა და მკითხველისათვის რთული საკითხის მარტივად, გასაგებად მიწოდების უნარის გამო თითოეული სტატია იკითხება თავისუფლად და, შესაბამისად, იგი განკუთვნილია არა მხოლოდ სპეციალისტებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, იქნება ის სტუდენტი თუ არასპეციალისტი მკითხველი. ვფიქრობთ, ის აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროცესში, როგორც ერთ-ერთი სახელმძღვანელო, განსაკუთრებით, ჰიმნოგრაფიული საკითხების სწავლებისას.

თითოეულ სტატიას ერთვის რეზიუმე ინგლისურ ენაზე. ნიგნის ბოლოს კი დართულია გამოყენებული ლიტერატურა და, ასევე, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლებიც. თუმცა, უკეთესი იქნებოდა, რომ სტატიებს ახლდეს ინფორმაცია, სად და როდის დაიბეჭდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ნიგნში შესული ზოგიერთი სტატია ადრე არ გამოქვეყნებულა, უმრავლესობა კი სხვადასხვა დროს დაიბეჭდა.

მიუხედავად ამ მცირე ლაფსუსისა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნესტან სულავას ნიგნი „ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის“ მართლაც რომ ფასდაუდებელი შენაძენია ძველი ქართული მწერლობის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

## “RESEARCHES IN ANCIENT GEORGIAN LITERATURE” BY NESTAN SULAVA

Eka Dughashvili  
Ia Ghadua

The recent book by the Professor Nestan Sulava “Researches in Ancient Georgian Literature” (Publishing house “Mtsignobari”, Tbilisi, 2018 354 pp) should be considered a remarkable fact of Georgian scholarship. The book contains 17 articles having been published over the years by the author. They cover various aspects of humanitarian studies.

Though the articles were written and published at different times, some of them are reproduced in a new way and enhanced with new data and approaches. Accordingly, the ideas expressed in them are not mere reproductions of earlier researches, but their re-conceptualizations. Some of the articles are devoted the topics which have not been the subject of special research before and are therefore a scientific innovations.

Despite the complexity of the themes considered in the book it is easily understandable even for those who are new in this field because of the authors style and ability to narrate clearly. For this very quality it seems to us that the books by Professor Sulava should be used in higher education, especially for the courses focused on hymnography.

## JOURNAL “THE COUNTRIES AND PEOPLES OF THE NEAR AND MIDDLE EAST”

**Gor Margaryan**



The Institute of Oriental Studies of the National Academy of Sciences of the Republic of Armenia (IOS NAS RA) has published the first issue of the 32<sup>nd</sup> volume of the journal “The Countries and Peoples of the Near and Middle East”.

The journal has been published since 1960 and is one of the oldest oriental periodicals in the Republic of Armenia. The language of the journal mainly is Armenian, but articles in other languages (English, Russian, German, etc.) are also accepted.

The journal is divided into several sections: *History of the Ancient and Middle Ages, Modern and Contemporary History and Source Study and Philology*. Chronologically articles cover the history of the period from ancient times to the present day, and geographically – generally the area of Western Asia and neighboring territories.

The editor-in-chief of the journal is academician, full member of NASRA, Dr. Ruben Safrastyan. The editorial board of the journal is very representative and consists of leading research fellows of the Institute of Oriental Studies of the National Academy of Sciences of Armenia (Robert Ghazaryan, Ruslan Tsakanyan, Gor Margaryan, Aram Kosyan, Levon Hovsepyan, Mushegh Ghahriyan). Non-Armenian specialists also are participated in editorial work. The Foreign members of the editorial board are well-known specialists in field of oriental studies from different countries: Anna Sirinian – Associate Professor of the Bologna University (Italy), Vladimir Dmitriev – Associate Professor of the Pskov State University (Russia), Mariam Chkhartishvili – Professor of the Tbilisi State University (Georgia), Muratgeldi Soyegov – Professor, Full Member (academician) of NAS of Turkmenistan (Turkmenistan), Isabelle Augé – Professor of the University of Montpellier (France), Iakovos Z. Aktsoglu – Tenured Assistant Professor of the Democritus University of Thrace (Greek), Hrach Martirosyan – University of Leiden (Netherlands).

In 2019 the second issue of the 32<sup>nd</sup> volume is also planned to be published in the fall.



## ჟურნალი „ახლო და შუა აღმოსავლეთის მოსახლეობა და ქვეყნები“

გორ მარგარიანი

სომხეთის რესპუბლიკის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა გამოსცა ჟურნალ „ახლო და შუა აღმოსავლეთის მოსახლეობა და ქვეყნები“-ის 32-ე ტომის პირველი ნაწილი.

ჟურნალი გამოდის 1960 წლიდან და სომხეთის რესპუბლიკაში ის გახლავთ აღმოსავლეთმცოდნეობის პროფილის მქონე ერთ-ერთი ყველაზე ძველი პერიოდული სამეცნიერო გამოცემა. ჟურნალის ძირითადი ენა არის სომხური, თუმცა სტატიები მიიღება სხვა ენებზეც (ინგლისური, რუსული, გერმანული და ა.შ.).

ჟურნალი შედგება რამდენიმე ძირითადი ნაწილისაგან: *ანტიკუობისა და შუა საუკუნეების ისტორია, თანამედროვეობისა და მოდერნიზაციის ისტორია, წყაჩოთმცოდნეობითი და ფილოლოგიური ძიებანი*. გეოგრაფიული თვალსაზრისით სტატიები ძირითადად მოიცავს დასავლეთ აზიასა და მიმდებარე ტერიტორიებს, ქრონოლოგიურად – ანტიკურობიდან მოყოლებული თანამედროვე პერიოდის ისტორიის ჩათვალთ.


ჟურნალის მთავარი რედაქტორია სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, დოქტორი რუბენ საფრასტიანი. რედაქციის წევრები არიან სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომლები რობერტ ლაზარიანი, რუსლან ცაკანიანი, გორ მარგარიანი, არამ კოსიანი, ლევონ ჰოვსეფიანი, მუშეგ ლაჰრიანი. სარედაქციო საქმიანობაში ასევე ჩართულნი არიან სპეციალისტებიც სხვა ქვეყნებიდან. რედაქციის უცხოელი წევრები არიან აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში აღიარებული სპეციალისტები: ანნა სირინიანი – ბოლონიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (იტალია); დოქტორი, ვლადიმირ დმიტრიევი ფსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (რუსეთი); მარიამ ჩხარტიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო); მურატგელდი – სოიეგოვ თურქმენეთის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (თურქმენეთი); იზაბელ უჟე – მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორი (საფრანგეთი); იაკოვოს აქცოდლუ დემოკრიტეს სახელობის თრაკიის უნივერსიტეტი ასისტენტ პროფესორი (საბერძნეთი); ჰრაჩ მარტიროსიანი – ლეიდენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები).

2019 წელს ასევე იგეგმება 32-ე ტომის მეორე ნაწილის გამოცემაც.

## კონსტანტინე კანდელაკის წიგნის „ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე“ პირველი ქართული თარგმანი

ლადო მირიანაშვილი

გამოცა კონსტანტინე კანდელაკის წიგნის პირველი სრული თარგმანი ქართულ ენაზე: „ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე“ (დადგენილებები – დოკუმენტები – სამხილები), თბილისი, 2019. 328 გვ. ტექსტი ინგლისურიდან ქართულად თარგმნა ლადო მირიანაშვილმა. წიგნი გამოცა „ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის“ მიერ, საქართველოს პრეზიდენტის ფონდის ფინანსური დახმარებით. წიგნის ქართული თარგმანი შესრულებულია 1953 წელს პარიზში გამოცემული ინგლისურენოვანი წიგნიდან “The Georgian Question before The Free World”.



კონსტანტინე კანდელაკი (1883 – 1.10.1958) იყო სოციალ-დემოკრატი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. 1921 წლის მარტიდან, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, კონსტანტინე კანდელაკი ეროვნული მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, ემიგრაციაში წავიდა. მან მოღვაწეობა სტამბოლში, სამთავრობო კომისიის ხელმძღვანელად გააგრძელა. განაგრძდა მთავრობის მიერ საქართველოდან გატანილ ქონებას და მეთვალყურეობას უწევდა ლტოლვილთა კომისიას. მოგვიანებით, საფრანგეთში გადავიდა. უცხოეთში კონსტანტინე კანდელაკი ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის წერილები იბეჭდებოდა ემიგრაციის პერიოდულ ორგანოებში – „ბრძოლა“, „ბრძოლის ხმა“, „დამოუკიდებელი საქართველო“ და „ჩვენი დროშა“. კ. კანდელაკს, როგორც მეცნიერსა და ეკონომიკის თეორეტიკოსს, სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკასა და რიგ გლობალურ თემებს ეძღვნება: „რას ამბობენ ფაქტები“ (საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებიდან), პარიზი, 1927; „ეკონომიური კრიზისი“, პარიზი, 1932; „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, ნ. 1: ტერიტორია და მოსახლეობა, პარიზი, 1935. ნ. 2: „დამოუკიდებელი საქართველო. მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა“, პარიზი, 1960.

კ. კანდელაკის წიგნი „ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე“ საქართველოს ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ასახავს, როგორცაა 1921 წელს საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყნის დატოვება, ემიგრირებულთა შემდგომი ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა უცხოეთში. წიგნში თავმოყრილია დო-



კუმენტური მასალები, რომლებშიც ასახულია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხთან დაკავშირებული საკითხები, პუბლიკაციები, საერთაშორისო კონფერენციებისა და ერთა ლიგის მიერ მიღებული რეზოლუციები. კ. კანდელაკის წიგნში შესულია არა მხოლოდ ისტორიული პირველწყაროები პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრების მიერ ოკუპირებული საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის ბატონობისაგან დახსნის მიზნით 1921 წლიდან 1952 წლამდე საერთაშორისო ასპარეზზე განხორციელებული საქმიანობის შესახებ, არამედ ეს წიგნი შეიცავს უძვირფასეს ისტორიულ მასალას იმ გამონვევების შესაფასებლად, რომლებსაც ევროინტეგრაციის გზაზე მდგომი საქართველო აწყდება.

## **THE FIRST GEORGIAN TRANSLATION OF THE BOOK OF CONSTANTIN KANDELAKI “THE GEORGIAN QUESTION BEFORE THE FREE WORLD”**

**Lado Mirianashvili**

The first full translation of Constantin Kandelaki’s book “The Georgian Question Before the Free World” (Acts – Documents – Evidence), Paris, 1953, into Georgian was published by “Noe Jordania Institute” with the Financial support of Presidential Fund. The book was translated from the English by Lado Mirianashvili.


Constantine Kandelaki (1883-1958) was a member of the Social-Democratic party, Minister of Finance and Trade of the First Republic of Georgia. His name is associated with the issuance of a Georgian currency. In 1921 he, along with other members of the national government, emigrated to France with the mandate of the Parliament. He has been active in publishing journalistic articles on political and economical issues. He is an author of scientific papers on economics of Georgia and about global issues published in different languages.

The book “Georgian Question before the Free World” includes documents and materials reflecting international activities of the government of the first republic of Georgia carried out from 1921 till 1952 for freeing the country from the yoke of Russian Bolsheviks.

## RECENTLY PUBLISHED BOOK ON GEORGIAN-RUSSIAN INTERRELATIONS

Lado Mirianashvili

Where lay the roots for the alienation between Russia and Georgia, two countries of the same Chalcedonian Creed, whose links go back to the early Middle Ages? This misunderstanding causes an alienation and a tragedy that lasts until today.



To provide an answer to his questions Philipp Ammon in his book “ Georgien Zwischen Eigenstaatlichkeit und Russischer Okkupation .Die Wurzeln des Konflikts vom 18. jh. bis 1924” (Klostermann, Vittorio (Verlag), 2019, 240 pages, ISBN 978-3-465-04407-9 ) investigates the history of Georgia from ancient times beginning with the genesis of Georgian statehood. He limns the Christianization of the country, its early ties to Byzantium, its blood witness of faith amongst foreign empires, the rise of the Bagratid kingdom and its prime during the Golden Age from the reign of David the Builder (1073-1125) and Tamar the Great (1160-1213) until its decline due to the Mongol conquests of the 13th century. He then qualifies the cultural transfer from Georgia to Russia during the Middle Ages. He delineates the Georgian kings’ requests for military aid to the Tsardom of Muscovy from 1483 after the downturn of Byzantine protecting power. He then characterizes the Treaty of Georgievsk of 1783 between Catherine II the Great of Russia and Irakli II of Georgia as crucial to the conflict as in 1795 promised Russian troops stayed away from the Battle of Krtsanisi when the Qajar khan Agha Mohammad Shah attempted to reinforce Iranian overlordship upon Eastern Georgia. Thus the Georgians felt betrayed by their Russian ally. The period following the annexation of Georgia in 1801 is described as ambivalent as the ensuing modernization of the land; its demographic and economic growth went with the abolition of the Bagratid dynasty and the autocephaly of the Georgian Apostolic Church and Russification in contradiction to the Treaty of 1783. Those measures of the new administration

give rise to frequent peasant revolts and to the aristocratic conspiracy of 1832. On the other hand Georgian nobles – *plus russe que les Russes* – rise to the top in Russian ranks whereas despite their commitment to the mission *civilisatrice russe* Russian poets imagine the Caucasus and its Georgian heartland as a paradise lost. Unlike their Romantic fathers national movement Georgia’s generation of the sons, the “tergdaleulebi”, returning from Russian universities is striving for feasible improvements for their countrymen. Their national movement is broader in its aims. They found a society to spread literacy among commoners and a bank to save the estates of the landed gentry.

In the Revolution of 1905 Gurian peasants form a self-governed social-democratic local republic and in 1907 the “uncrowned king of Georgia” and leader of the country’s national movement Ilya Chavchavadze is killed by Georgian bolsheviks. On the eve of World War I the very existence of Georgia is in danger when Transcaucasia at risk to be settled by Russian peasants and Cossacks and the Georgian Exarchate is threatened to be dissolved into a Caucasian metropolis. During the Great War Georgian emigrants get in close contact with the German command that is to promote Georgian independence after the October Revolution. This independent Republic of Georgia persists after the military collapse of the Central Powers until in 1921 the Red Army led by Georgian Bolsheviks invades the country. In 1924 a last insurgency for independence is crushed by overwhelming forces of the new Soviet government. Despite occupation and terror Soviet Georgia witnesses the establishment of national institutions as schools, colleges, universities and an academy as well as the development of governmental structures. Georgia’s secession from the Soviet Union in 1991 was paid with the loss of two provinces and those frozen conflicts stepped into war with Russia in 2008. At present no substantial enhancement of the relationship between Russia and Georgia let alone an agreement with her lost provinces is apparent.

### ახალი პუბლიკაცია ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ

ლადო მირიანაშვილი

2019 წელს გამოვიდა ფილიპ ამონის წიგნი „საქართველო სახელმწიფოებრიობასა და რუსეთის ოკუპაციას შორის (კონფლიქტის ფესვები XVIII საუკუნიდან 1924 წლის ჩათვლით)“, რომელშიც საინტერესო კუთხით არის გაშუქებული ქართულ-რუსული ურთიერთობები საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

## პროფესორ იოსებ პატრიხის პედაგოგიური მოღვაწეობის დასრულებასადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებული



**ლადო მირიანაშვილი**

იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში პროფესორ იოსებ პატრიხის პედაგოგიური მოღვაწეობის დასრულებასთან დაკავშირებით, გამოიცა მისდამი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებული.

გამოჩენილი არქეოლოგი, პროფესორი იოსებ (იოსი) პატრიხი დაიბადა 1947 წლის 11 მაისს. მან დაამთავრა იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სადაც მოიპოვა მაგისტრის ხარისხი ატმოსფეროს ფიზიკაში. მალე, ი. პატრიხი გაიტაცა არქეოლოგიამ. 1981 წელს მან წარადგინა და დაიცვა ნაბათეური კულტურისადმი მიძღვნილი სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც მოგვიანებით წიგნადაც გამოსცა (*The Formation of Nabataean Art. Leiden, Brill, 1990*). მალევე, ი. პატრიხი დაინტერესდა იუდეის უდაბნოში არსებული სამონასტრო დასახლებებით და ცნობილ ებრაელ არქეოლოგ იცხარ ჰირშფელდთან ერთად მათი შესწავლა დაიწყო. ერთობლივი კვლევის ფარგლებში ორი სადოქტორო დისერტაცია მომზადდა. ესენი იყო იცხარ ჰირშფელდის იუდეის უდაბნოს მონასტრებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა და იოსებ პატრიხის საბა განწმენდილის მონასტრისადმი მიძღვნილი ნაშრომი. ეს უკანასკნელი 1995 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა (*Sabas, Leader of Palestinian Monasticism: A Comparative Study in Eastern Monasticism, Fourth to Seven Centuries. Washington DC. Dumbarton Oaks 1995*), ხოლო 1996 წელს ებრაულ ენაზეც გამოქვეყნდა და მის ავტორს იად ბენ ცვის პრემია მოუპოვა. ზემონახსენები წიგნი დღემდე რჩება სამონასტრო ცხოვრების საკითხებისადმი მიძღვნილ საუკეთესო, ყველაზე უფრო ხშირად ციტირებულ გამოკვლევად.

იოსებ პატრიხისადმი მიძღვნილი კრებულის სათაურია „ზღვასა და უდაბნოს შორის: მეფეების, მომთაბარეების, ქალაქებისა და ბერების შესახებ“ (*“Between Sea and Desert: On Kings, Nomads, Cities and Monks”*). კრებულის რედაქტორები არიან ორივე პეღეგ-ბარკატი, იაკობ აშკენაზი, უზი ლეიბნერი, მორდეხაი ავიამი და რინა ტალგამი. გამომცემლობა ოსტრაკონი, იერუსალიმი, 2019 წ.

კრებული ორენოვანია – ებრაულ-ინგლისური. მასში შესული სტატიები შვიდ თავადაა დაჯგუფებული. თითოეული თავი ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალს ეძღვნება. ესენია: ჩრდილოეთი კარიბჭე; სამხრეთი კარიბჭე; აღმოსავლეთი კარიბჭე; კესარია და მისი გარეუბნები; იერუსალიმი და იუდეის მთები; იუდეის უდაბნო; სამონასტრო ცხოვრება, მომლოცველობა და წმინდა ადგილები.



მეხუთე თავში – „იერუსალიმი და იუდეის მთები“ – შესულია ან გარდაცვლილი ქართველი მკვლევრის, თამილა მგალობლიშვილის სტატია „იერუსალიმის ერთი უცნობი და უძველესი სეკლესიო დღესასწაულის შესახებ“. ამავე თავში შესულია ებრაელი მკვლევრის იანა ჩეხანოვეცის სტატია „ზეთისხილის მთის სომხური ეკლესია“. კრებულში გაერთიანებული სტატიები კარგად წარმოაჩენენ წმინდა მიწის სიძველეების კვლევის თანამედროვე დონეს.

იოსებ პატრიხისადმი მიძღვნილი სტატიების კრებული მნიშვნელოვანი შენაძენია წმინდა მიწის სამონასტრო ცენტრების ისტორიით, არქეოლოგიით, ეპიგრაფიკითა და მათში მიმდინარე სამონასტრო ცხოვრების თავისებურებებით დაინტერესებული მკვლევრებისათვის.

## **ESSAYS IN HONOR OF PROFESSOR JOSEPH PATRICH ON THE OCCASION OF HIS RETIREMENT FROM TEACHING AT UNIVERSITY**

**Lado Mirianashvili**

Collection of scientific essays “Between Sea and the Desert: on Kings, Nomads, Cities and Monks” (Ostrakon Publishing, Jerusalem, 2019), dedicated to Professor Joseph Patrich on the occasion of his retirement from teaching at the Hebrew University of Jerusalem, has been published. Editors of the collection are Orit Peleg-Barkat, Jacob Ashkenazi, Uzi Leibner, Mordechai Aviam and Rina Talgam.

The book is bilingual: it contains English and Hebrew sections. The volume profoundly expresses the indebtedness of the academic community to Joseph Patrich’s achievements. It is divided into seven sections. Each section is dedicated to a specific geographical area: the North Gate; South Gate; East Gate; Caesarea and its Vicinity; Jerusalem and the Judean Hills; The Judean Desert; Monasticism, Pilgrimage and Holy Places.

The collection is an important acquisition for scholars and researchers interested in history, archaeology and epigraphy of monastic centers, as well as peculiarities of the monasticism.



## ირაკლი ფალავას ნიგნი „დაღესტნისა და საქართველოს ნუმისმატიკური წარსული“

მაია პატარიძე

რა შეიძლება აკავშირებდეს სპილენძის მონეტას ასომთავრული ბანით და ქართული ზედწერილით შუასაუკუნოვან ხუნძეთთან, რომელსაც ნუცალი-ნაცვალი მართავს? ამ, და მრავალ სხვა შეკითხვას პასუხობს რეცენზიაში განხილული ნიგნი, რომელიც დაღესტნისა და საქართველოს XIII და XVIII საუკუნის საზიარო ნუმისმატიკურ ისტორიას ეძღვნება (Иракли Пагава, Нумизматическое прошлое Дагестана и Грузии, Тбилиси: Артანуджи, 2018. 174 с., 15 фототаблиц).

ავტორმა მიზნად დაისახა შეესწავლა დაღესტნის (წყვეტილი) ნუმისმატიკური ისტორიის აქამდე უცნობი ფრაგმენტები. მან ძირითადად ორ საკითხზე გაამახვილა ყურადღება: XVIII საუკუნეში კუბაჩიში მიმბაძველობითი მონეტის მოჭრაზე და XIII საუკუნის ხუნძეთში საკუთარი საფასის ემისიაზე. ავტორმა შუასაუკუნოვან ავარიაში მოჭრილად მიიჩნია კარგად ცნობილი, უკიდურესად საინტერესო და უცნაური სამონეტო ტიპი, რომელიც წარმოდგენილია სპილენძის მონეტებით ასომთავრული ბანით ცენტრში და ირგვლივ ასომთავრული ლეგენდით, ხოლო მეორე მხარეს – ფსევდო-არაბული ლეგენდით. ამ მონეტის ხუნძეთისადმი მიკუთვნებისას ავტორი დაეყრდნო როგორც ამ სამონეტო ტიპის, ასევე მეტ-ნაკლებად



ИРАКЛИ ПАГАВА

Нумизматическое  
прошлое

Дагестана  
и Грузии

თანადროულ ქართველ მონარქთა საფასის მიმოქცევის შესახებ მონაცემების ანალიზის შედეგებს; გაითვალისწინა თანმხლები ისტორიული კონტექსტიც. კუბაჩის შემთხვევაში კი ავტორისთვის ამოსავალი წერტილად იქცა თანადროული საბუთები და ნარატიული წყაროები.

ნიგნის ავტორი ნუმისმატიკურ წრეებში საკმაოდ ცნობილი მეცნიერი ირაკლი ფალავა გახლავთ. მას ნუმისმატიკა-ისტორიის დარგში ქართულად, რუსულად და ინგლისურად 120-მდე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. მკვლევრის სამეცნიერო ინტერესების ერთ-ერთი საგანი სწორედ განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაა, ასევე XVI-XVIII საუკუნის კავკასიური ნუმისმატიკა. ამ დარგში მრავალი საგულისხმო პუბლიკაცია აქვს; ასე რომ, ავტორი რეცენზირებულ ნაშრომში განხილული რეგიონისა და ეპოქების ნუმისმატიკური ისტორიის ექსპერტია, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა წინამდებარე ნაშრომმა.

ნიგნი ორ ძირითად თავად არის დაყოფილი. პირველში განხილვა საფასის ემისია ხუნძეთში; მეორეში – კუბაჩის მაღალმთიან აულში. თითოეული თავი დამატებით, ქვეთავებად არის დაყოფილი. ასე, მაგალითად, პირველი თავის ქვეთავებია: შესავალი; მასალა და მეთოდები; შესწავლის ისტორია; ატრიბუცია: კონტექსტი; და ატრიბუცია: როგორ დავადგინოთ მოჭრის ქრონოლოგია?; შესაძლო პროტოტიპები (გაერთიანებული ქართული სამეფოს სპილენძის მონეტების

ტიპოლოგია); ატრიბუცია: პროტოტიპების გამოვლენა; გაერთიანებული ქართული სამეფოს სპილენძის მონეტების მიმოქცევა; ქართული სპილენძის მონეტების გასვლა (მიმოქცევიდან, – მ.პ.) და ხუნძეთში მონეტის ემისია; ატრიბუცია: დასკვნები. მეორე თავის ქვეთავებია: შესავალი; დოკუმენტური მასალა; ემისიების ბუნება და ქრონოლოგია; სამონეტო მასალა.

ნაშრომს თან ახლავს დახვეწილი სამეცნიერო აპარატი: ბიბლიოგრაფია და სქოლიოებში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა, პირადი სახელებისა და დინასტიების, ასევე გეოგრაფიულ სახელთა და პოლიტიკურ გაერთიანებათა საძიებელი. აღსანიშნავია, რომ ნიგნს ახლავს ვრცელი შეჯამებაც – ქართულად და ინგლისურადაც.

ნაშრომი უდავოდ სამეცნიერო სიახლის შემცველია:

ავტორმა დაამტკიცა, რომ კუბაჩიში XVIII საუკუნეში წარმოებდა საფასის ემისია; კერძოდ, იჭრებოდა რუსული, ოსმალური და სპარსული (თბილისში მოჭრილის ჩათვლით) მონეტების მინაბაძები, ან, სულაც, ყალბი მონეტები. ვალიდურად უნდა ჩაითვალოს ავტორის ჰიპოთეზაც, რომ მის მიერ განხილული სეფიანური და ავშარული მონეტების მინაბაძები, მათ შორის, თბილისური, ქართულ-სპარსული მონეტების მინაბაძებიც

სწორედ კუბაჩის ხელოსნების ნაწარმს წარმოადგენს. ამრიგად, კავკასიის ნუმისმატიკურ რუკას დაემატა საფასის ემისიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია როგორც საკუთრივ დაღესტნის, ისე, ზოგადად კავკასიის ეკონომიკური ისტორიის შესწავლისთვის.

ავტორმა ასევე დაამტკიცა, რომ უნესო ქედვის მონეტები ასომთავრული ბანითა და ქართული ლეგენდით ცალ მხარეს (დამახინჯებული არაბული თუ ფსევდო-არაბული ლეგენდითი მეორე მხარეს), არ წარმოადგენს ქართველი მონარქების, ბაგრატ IV-ისა თუ ბაგრატ V-ის მონეტებს, არამედ შუასაუკუნოვან ხუნძეთშია მოჭრილი, რეგიონში, რომელიც ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ზეგავლენის ქვეშ იყო, და სადაც მმართველი ელიტა მაინც ქართულენოვანი იყო, და საფასესაც კი ქართული ზედწერილით უშვებდნენ. ავტორმა სარწმუნო არგუმენტაციით, ამ მონეტების ემისია XII-XIII საუკუნეების მიჯნით დაათარიღა.

ავტორს ხუნძურ-ქართული მონეტის ქრონოლოგიის დასაზუსტებლად დაჭირდა გაერთიანებული ქართული სამეფოს მონეტების მიმოქცევის შესწავლაც. ვფიქრობთ, რომ ჩატარებული ანალიზის შედეგები საგულისხმოა, და სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს ოქროს ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. უფრო მეტიც, ნაშრომის ეს ნაწილი, შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოა ყველა იმ მკვლევრისათვის, რომელიც მომავალში შუა საუკუნეების საქართველოს ნუმისმატიკას შეეხება. ამ კუთხით განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს ჩანართი (ცხრილი) სადაც დაფიქსირებულია დროის უდიდესი მონაკვეთის მანძილზე, 1848 წლიდან 2018 წლამდე მთელს კავკასიაში აღმოჩენილი ის სამონეტო განძები, რომლებიც ქართული სპილენძის მონეტებს (1125-1243 წწ.) შეიცავს.

ორიოდ სიტყვით შევეხებით ნაშრომის ენას. წიგნი რუსულად არის დაბეჭდილი. საფიქრებელია, რომ ავტორმა ნაშრომი რუსულად დაწერა იმისათვის, რომ დაღესტნური აუდიტორიას გაადვილებოდა მისი გაცნობა. სამაგიეროდ, ნაშრომი ნაკლებ ხელმისაწვდომი გახდა ქართულენოვანი თანამემამულეებისათვის. არადა, წიგნი საქართველოს ნუმისმატიკურ ისტორიას არანაკლებ ეხება, ვიდრე დაღესტნისა, უფრო მეტად თუ არა. საზოგადოდ, მივესალმებით ქართველი მეცნიერის მიერ თავისი კვლევის შედეგების უცხო ენაზედაც გამოქვეყნებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა წიგნის ქართულად გამოცემა, ან, კიდევ უკეთესი, ქართულ-რუსული თუ ქართულ-ინგლისური ბილინგვის გაკეთება.

უფრო არსებით ნაკლოვანებად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ წიგნის ის ნაწილი, რომელიც გაერთიანებული ქართული სამეფოს საფასის მიმოქცევას ეძღვნება, ცალკე თავად არ არის გამოყოფილი; საზოგადოდ, ერთგვარად, დამხმარე როლს თამაშობს. არადა, ავტორის მიერ განხორციელებული ანალიზის სამეცნიერო ღირებულება ძალიან დიდია და მეტად წარმოჩენას იმსახურებდა.

მაგრამ ეს ყველაფერი დეტალებია, ერთეული ხარვეზების მიუხედავად, ნაშრომი დადებითად უნდა შეფასდეს. ნაშრომი ღირებული შენაძენია არა მარტო დაღესტნის, არამედ კავკასიის ნუმისმატიკური ისტორიისთვის; უფრო მეტიც, დიდია ამ წიგნის ზოგად-ისტორიული მნიშვნელობაც. ახლა უკვე შესაძლებელია დადგენილად ჩაითვალოს, რომ ქართულენოვანი მონეტები XIII საუკუნის დასაწყისისთვის იჭრებოდა საქართველოზე პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დამოკიდებულ ხუნძეთში; ის ფაქტიც, რომ საკუთარ მიმბაძველობითი ხასიათის მონეტას ჭრიდა კუბაჩი XVIII საუკუნის დაღესტანში ნაშრომის მიხედვით ეჭვის საფუძველს არ იძლევა; საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია გაერთიანებული სამეფოს ქართული მონეტების მიმოქცევის ავტორის მიერ განხორციელებული ანალიზი. წიგნი განსაკუთრებით საინტერესო იქნება დაღესტნის, კერძოდ კი, ხუნძეთისა და კუბაჩის (ეკონომიკური-პოლიტიკური) ისტორიის, საქართველო-დაღესტნის კავშირების და შუა საუკუნეების ქათველოლოგიური მიმართულების მკვლევართათვის.

## THE BOOK BY IRAKLI PAGHAVA “THE NUMISMATIC PAST OF DAGESTAN AND GEORGIA”

Maia Pataridze

Irakli Pagava's Russian-language book “The Numismatic Past of Dagestan and Georgia” (Tbilisi, “Artanuji Publishing” 2018, 174 pp., 15 tables; “Нумизматическое прошлое Дагестана и Грузии”) is devoted to the shared numismatic history of Dagestan and Georgia of the 13<sup>th</sup> and 18<sup>th</sup> centuries.

The work is a valuable contribution not only for Dagestan, but for the numismatic history of the Caucasus. It is now possible to conclude with confidence that at the beginning of the 13<sup>th</sup> century Georgian-language coins were minted in the politically, economically, and culturally dependent Avaria. The fact that in 18<sup>th</sup> century Dagestan Kubachi introduced own imitations does not give rise to doubt; for the economic history of Georgia is utmost importance analysis conducted by the author about the circulation of coins of the Georgian Kingdom. The book is interesting for the Georgia-Dagestan political, economical relations in pre-modern era.

# ირინე ჯუკაშვილი და მისი ნაშრომი „ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში“

ნათია ჯალაბაძე

ორიოდე თვის წინ გამოიცა ირინე ჯუკაშვილის წიგნი – „ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში“, რასაც მოუთმენლად ველოდით მისი კოლეგები და მეგობრები. ეს ირინეს სადისერტაციო ნაშრომი იყო, რომლის დაცვაც მას არ დასცალდა; 2003 წლის 16 აპრილს იგი სრულიად ახალგაზრდა, მოულოდნელად 38 წლის ასაკში გარდაიცვალა (1964-2003).



ირინე ძალზე პერსპექტიულ თანამშრომლად ითვლებოდა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სადაც ასპირანტურის დამთავრების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. იგი იყო უაღრესად განათლებული, ნიჭიერი, შეუპოვარი, პრინციპული მკვლევარი. გაგოცებდათ მისი აზროვნების ანალიტიკური უნარი; იცოდა რამდენიმე უცხო ენა: არაბული, რუსული, ფრანგული და გერმანული. უდროოდ ნასვლის მიუხედავად, ირინემ მაინც მოასწრო თავისი სიტყვის თქმა მეცნიერებაში. იგი რამდენიმე ნაშრომის ავტორია და, ასევე, რიგი ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმისა და პროექტის მონაწილე. როგორც პიროვნება, ის იყო უშურველი, გულწრფელი, ენერგიული, პირდაპირი და მომთხოვნი. მასთან ურთიერთობა ბევრს გაძლევდა, როგორც პროფესიული, ასევე ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისით.

საშუალო განათლება ოზურგეთის რაიონის სოფ. ასკანაში მიიღო (1971-1981). სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე არაბული ენისა და ისტორიის განხრით გააგრძელა. 1988-1989 წლებში სტაჟირება გაიარა ტუნისის რესპუბლიკაში, ბურჯიბას სახელობის ცოცხალი ენების ინსტიტუტში, სადაც არაბული ენის ცოდნა

კიდევ უფრო გაიღრმავა; 1990-იანი წლების საქართველოში არსებულ უმძიმეს პერიოდში სწორედ ენების ცოდნა იყო მისი ოჯახისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო: ამზადებდა მოსწავლეებს, თარგმნიდა და თარჯიმნობდა... 1990 წელს ირინემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტურაში ჩააბარა და ამავე ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგის ვახტანგ ჩიქოვანის ხელმძღვანელობით შეუდგა მუშაობას თემაზე – „ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების ყოფა და კულტურა“. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იგი კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად ჩაირიცხა.

ფართო განათლება და პროფესიონალიზმი ირინეს საშუალებას აძლევდა ეთნოლოგიაში ნებისმიერი მიმართულებით ემუშავა, მაგრამ მისი ინტერესების სფერო, უპირველეს ყოვლისა, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების ისტორიულ პროცესებს და თანამედროვე ყოფის საკითხებს მოიცავდა. ისლამის და ისლამური კულტურის ცოდნა მკვლევარს საქართველოს მუსლიმ მოსახლეობასთან ურთიერთობას და მათი ეთნიკური კულტურის მთელ რიგ ასპექტებში გარკვევას უადვილებდა. ამ თვალსაზრისით ირინე ჯუკაშვილი შეუცვლელი კადრი იყო ქართველ ეთნოლოგებში. მის მიერ საკვლევო პრობლემის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგი იყო ის, რომ ირინემ, ეთნოლოგებიდან პირველმა, გაამახვილა ყურადღება ისლამის პოპულარობის მზარდ ტენდენციაზე ქვემო ქართლის მუსლიმ მოსახლეობაში. ამ საკითხს მან რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის, პროექტი – „რეისლამიზაცია და ეთნიკური ტრადიციები ქვემო ქართლის მუსლიმ მოსახლეობაში“, რომელმაც 2003 წელს ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდის კონკურსში გაიმარჯვა; სამწუხაროდ, გამარჯვებული პროექტების გამოცხადების დროს ირინე უკვე ცოცხალი აღარ იყო.

ახალგაზრდა მეცნიერმა იგივე პრობლემა გააშუქა გარდაცვალებამდე 2 თვით ადრე, 2003 წლის თებერვალში, ვარშავის უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე; მე მომხსნე ვარ იმ საყოველთაო ალტაცებისა, რაც მის გამოსვლას მოჰყვა; უცხოელი მეცნიერები მასთან მიდიოდნენ, ულოცავდნენ და მოწონებას ვერ მალავდნენ; ირინემ მაშინვე მიიღო შეთავაზება მოხსენების დაბეჭდვის თაობაზე.

სამწუხაროდ, ირინეს დისერტაცია დიდხანს იყო თაროზე შემოდებული, რასაც თავისი სუბიექტური



და ობიექტური მიზეზები გააჩნდა. საბოლოოდ ნაშრომი გადაამუშავა და გარკვეული სახეცვლილებით წიგნად მისმა მეუღლემ – ეთნოლოგმა ლავრენტი ჯანიაშვილმა გამოსცა. წარმოდგენილი იქნებოდა წიგნში არ შესულიყო საკონკურსოდ წარდგენილი მისი ზემოხსენებული პროექტის მონაცემები. ამიტომაც „რეისლამიზაცია და ეთნიკური ტრადიციები ქვემო ქართლის მუსლიმ მოსახლეობაში“ ცალკე პარაგრაფად ჩამოყალიბდა და წიგნის შეცვლილი სათაურიც – „ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში“, უკეთ მიესადაგა მასში განხილულ საკვლევ კონტინენტსა და პრობლემას.

ირინე ჯუკაშვილის წიგნი შედგება ორი თავის, დასკვნისა და რუსული და ინგლისურენოვანი რეზიუმეებისაგან, რასაც თან ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია. პირველ თავში – „ეთნოისტორიული პროცესები ქვემო ქართლში“, რომელიც ორ პარაგრაფად არის წარმოდგენილი, საკვლევ რეგიონში მიმდინარე ეთნოისტორიული პროცესები კომპლექსურადაა შესწავლილი გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეთნოლოგიურ მეცნიერებათა მიჯნაზე; მკვლევარი რეგიონში თურქულენოვანი მოსახლეობის გარდა, სხვა ეთნიკური ერთეულების ჩამოსახლების ისტორიაზეც საუბრობს, რაც მკითხველს პოლიეთნიკური რეგიონის ფორმირებაზე სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის.

მეორე თავში, რომელიც სამი პარაგრაფისგან შედგება, განხილულია ეთნორელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვანი მოსახლეობის ყოფაში. ავტორი თანამიმდევრულად გადმოგვცემს ახალ კულტურულ-სამეურნეო გარემოში არაერთგვაროვანი თურქმანული წარმომავლობის მასის ეთნიკური იერსახის ფორმირების და მათ კულტურულ ადაპტაციის პროცესებს, ქართული გარემოს გავლენას თურქულენოვანი მოსახლეობის კულტურულ ტრადიციებზე. განიხილავს საკვლევ კონტინენტის ნათესაურ და საქორწინო უთიერთობებს, ოჯახს, ქორწინების ფორმებს და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის მოსაზრება ქართული, ქრისტიანული გარემოცვის გავლენით ისლამური სტერეოტიპული კონცეფციის – გიაურისა და მტრის იგივეობის ტრანსფორმაციის შესახებ.

წიგნში სპეციალური პარაგრაფი აქვს დათმობილი ქვემო ქართლში რეისლამიზაციის ძირითადი ტენდენციების განხილვას და რეგიონში პოლიტიკური ისლამის ფარული (არალეგარული) ინფილტრაციის პრობლემას; რაც მთავარია, ავტორი გამოკვეთს ამ პროცესისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ირინე ჯუკაშვილის მონოგრაფია, რომელიც თანამიმდევრულად წარმოგვიდგენს თურქულენოვანი მოსახლეობის ქვემო ქართლში დამკვიდრების დინამიკას, ამავდროულად თანამედროვე საქართველოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს ეთნო-რელიგიურ პროცესებს ეხმიანება. მკვლევრის მიერ ჯერ კიდევ 21-ე საუკუნის დასაწყისში გამოთქმული შეხედულებები და ვარაუდები მომდევნო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა გაამყარა და კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ირინე ჯუკაშვილის გამორჩეული მეცნიერული ალღო. წიგნი უდავოდ მნიშვნელოვანი მონაპოვარია სოციალური და ჰუმანიტარული დარგის მკვლევართათვის.

## **IRINE JUKASHVILI AND HER WORK “ETHNO-HISTORICAL AND RELIGIOUS PROCESSES WITHIN THE TURKIC-SPEAKING POPULATION OF KVEMO KARTLI”**

**Natia Jalabadze**

The article is dedicated to the talented ethnologist Irine Jukashvili and her work, which was published after her sudden death at the age of 38. The author discusses her merit in ethnology and presents the analysis of her work. I. Jukashvili was the first Georgian ethnologist to pay attention to the growing popularity of Islam among the Muslim population of Kvemo Kartli. In the book, the researcher devoted a special chapter to the secret (illegal) penetration of political Islam into the region and determined the characteristics of this process.



**ქრონიკა**  
**CHRONICLE**



## ბიზანტიოლოგიური კვლევების მე-18 კონფერენცია (ბარსელონა, 30 იანვარი – 2 თებერვალი)

### სოფიო ქადაგიშვილი

ბარსელონას უნივერსიტეტს მეტად საინტერესო და დიდი ხნის წარსული აქვს. მისი ისტორია XV საუკუნიდან იწყება და დღემდე არაერთი წარმატებული სამეცნიერო აქტივობით გამოირჩევა. ინოვაციებს უნივერსიტეტი თავის ტრადიციად აღიქვამს და კატალონიელები ძალიან ამაყობენ, რომ სამეცნიერო კვლევის კუთხით ესპანეთის მასშტაბით ბარსელონას უნივერსიტეტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. უნივერსიტეტი პოპულარულია არამხოლოდ რეგიონში, არამედ დიდია უნივერსიტეტზე საერთაშორისო სტუდენტების მოთხოვნაც. შთამბეჭდავია სტუდენტების რაოდენობა, რომელიც დაახლოებით 63000 ითვლის. 2019 წლის მონაცემებით ბარსელონას უნივერსიტეტს მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგულ ბაზაში 165-ე ადგილი უკავია.



ბარსელონას უნივერსიტეტს ექვსი კამპუსი აქვს. ამათგან ცენტრალური ქალაქის ცენტრში მდებარეობს. სწორედ მის მთავარ შენობაში, 2019 წლის 30 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით ბიზანტიოლოგიური კვლევების XVIII საერთაშორისო კონფერენცია ტარდებოდა. კონფერენციას სხვადასხვა მხარდამჭერთა შორის დიდი ადგილი უკავია სახელმწიფო კვლევით სააგენტოს, რომელმაც მაღალ დონეზე დაუჭირა მხარი კონფერენციის ორგანიზატორებს.



საერთაშორისო კონფერენციას ჰყავდა საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტი. საორგანიზაციო კომიტეტი ესპანეთის უნივერსიტეტის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. მათ შორის გამოირჩეოდა მათია ჩირიატი, რომელიც ალბათ ყველა მონაწილეს დაამახსოვრდა თავისი ენერგიით და კარგი ორგანიზატორული ნიჭით.

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტს წარმომადგენლობა ჰყავდა სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო თუ სამეცნიერო ცენტრიდან, ლონდონის ქინგს კოლეჯიდან, ბირმინგემის უნივერსიტეტიდან, სამხრეთ დენმარკის უნივერსიტეტიდან, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტიდან და სხვა.



ლონისძიების სამუშაო ენა იყო ესპანური და ინგლისური, თუმცა ესპანურენოვანი სექციები სჭარბობდა ინგლისურ სექციებს. კონფერენციას 120-მდე ადგილობრივი თუ საერთაშორისო მონაწილე ჰყავდა. მოხსენებების შემდგომ იმართებოდა დისკუსიები, რომელიც არაფორმალურ შეხვედრებზეც გრძელდებოდა. ბუნებრივია, არაოფიციალური შეხვედრები ხელს უწყობს მკვლევართა დაახლოებას და იდეების გაცვლას. ამგვარი შეხვედრებით არაერთხელ გაანებივრეს ორგანიზატორებმა კონფერენციის მონაწილეები.

კონფერენციამ გარკვეული მიმართულებით დაინტერესებულ მკვლევრებს მოუყარა თავი: ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს.



თემატიკიდან გამომდინარე ამ სამეცნიერო ფორუმით ქართველი მკვლევრებიც დაინტერესდნენ. კონფერენციაზე მოხსენებებით წარსდგნენ თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე მარიამ ჩხარტიშვილი („ქართულ-ბიზანტიური ურთერთობები გვიან ანტიკურ ხანაში: IV-V საუკუნეებში“) და თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი სოფიო ქადაგიშვილი („ქართული და ბიზანტიური იდენტობის მარკერების აღქმა წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრების და წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების მიხედვით“). მსოფლიო ნაკლებად იცნობს ქართულ-ბიზანტიურ გარემოს, ამგვარად მსგავსი ღონისძიებები ძალიან უწყობს ხელს ქართული ისტორიის და ქართველოლოგიური კვლევების წარმოჩენას. ქართველ მონაწილეთა გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. დაისვა არაერთი შეკითხვა. სამეცნიერო სჯა-ბაასი გაგრძელდა დიდხანს სხდომის დამთავრების შემდეგაც.







### **XVIII CONFERENCE ON BYZANTINE STUDIES (BARCELONA, 30<sup>TH</sup> JANUARY – 2<sup>ND</sup> FEBRUARY)**

**Sopio Kadagishvili**

Barcelona University has not only long and interesting history but it is known with large scale of innovations and researches. It hosted to XVIII conference on Byzantine Studies that was held on January 30-2 February, 2019.

Approximately 120 of participants (local and international) interested in Byzantine studies were gathered in Barcelona University. The conference had scientific and organizing committees. Within scientific committee there were representatives from King's College of London; University of Southern Denmark, University of Birmingham etc.

The conference had Georgian participants as well. Mariam Chkhartishvili (Professor at the Institute of Georgian History and main research fellow at the Institute of History and Ethnology, Tbilisi State University) presented paper *Byzantine-Georgian Interrelations in Late Antiquity: fourth-fifth centuries*; and Sopio Kadagishvili (research fellow at the Institute of History and Ethnology, Tbilisi State University) made presentation entitled as *Perceiving the markers of Byzantine and Georgian identity (According to Vitae of St. Ioane and St. Ekvtime the Athonites and Vitae of St. Giorgi the Athonite)*.

Diversity of themes in history, literature and art, debates in official and informal environments made favorable situation to conference participants to share ideas and plan future activities.

## ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XIX-XX გაერთიანებული ტომების პრეზენტაცია

მარიამ ჩხარტიშვილი  
ზურაბ თარგამაძე

2019 წლის 29 მარტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XIX-XX გაერთიანებული ტომების პრეზენტაცია. ღონისძიებას უძღვებოდნენ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვალერიან ვაშაკიძე და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელი მარიამ ჩხარტიშვილი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქართული სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ცენტრებიდან: პროფესორები, მეცნიერ თანამშრომლები, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტები. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ვ. ვაშაკიძემ. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ჟურნალის რედაქტორმა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა. მან ვრცლად ისაუბრა ახალ ტომებზე.

კერძოდ, აღნიშნა, რომ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ეს გამოცემა, მისი წინამორბედი ნომრების მსგავსად საკმაოდ მოცულობითი გამოვიდა. ის შედგება A4 ფორმატის 452 ნაბეჭდი გვერდისაგან. ჟურნალის ძირითად ნაწილს წინ უძღვის ჟურნალის რედაქტორების პროფესორ გიული ალასანიასა და პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის წინათქმა. ტრადიციულად მრავალფეროვანია ჟურნალის რუბრიკები. გარდა სამეცნიერო სტატიებისა, სადაც გამოქვეყნებულია ოცდათორმეტი ისტორიული, ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი პროფილის კვლევა, ჟურნალი მოიცავს კიდევ რამდენიმე განყოფილებას. ესენია: „საერთაშორისო სამეცნიერო პრეზენტაცია“, „თვალსაზრისი“, „პოლემიკა“, „წიგნების მიმოხილვა“, „ქრონიკა“, „ხსოვნა“. ხსენებულ განყოფილებებში შეძლებისდაგვარად ფართოდაა გაშუქებული არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოეთში მიმდინარე სამეცნიერო აქტივობები. „ხსოვნის“ განყოფილებაში წარმოდგენილი წერილებით მეცნიერები იხსენებენ და პატივს მიაგებენ გარდაცვლილ კოლეგებსა და მასწავლებლებს: აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს, პროფესორ რევაზ კიკნაძესა, რუსუდან ჯანაშიას. ჟურნალი სრულდება გზამკვლევით ავტორთათვის, სადაც მითითებულია სტატიის გაფორმების წესები. აღსანიშნავია, რომ XIX-XX გაერთიანებულ ნომერში შევიდა 2017 წელს (18-21 ოქტომბერი), ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობითი განყოფილების მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“ ქართველ და უცხოელ მონაწილეთა მოხსენებები.

სიტყვით გამოვიდნენ ვახტანგ გოილაძე, ლადო მირიანაშვილი, მერაბ ლაღანიძე, კახა კვაშილავა, დავით მერკვილაძე, სოფიო ქადაგიშვილი, ზურაბ თარგამაძე და სხვ.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, დამსწრე საზოგადოებამ არაოფიციალურ გარემოში სუფრასთან გააგრძელა „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალი ტომის და ზოგადად სამეცნიერო პრობლემეტიკის შესახებ მსჯელობა.

















## PRESENTATION OF THE JOURNAL “GEORGIAN SOURCE-STUDIES” (VOLUMES XIX-XX)

**Mariam Chkhartishvili  
Zurab Targamadze**

On March 29, 2019, at Ivane Javakhishvili Tbilisi State University was held the presentation of XIX-XX united volumes of scientific journal “Georgian Source-Studies“. The event was chaired by deputy director of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology Valerian Vashakidze and Head of the Department of Medieval history of Georgia and Source Source-Studies at Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology Mariam Chkhartishvili. The presentation was attended by representatives of the Georgian scientific community, from various universities and research centers, Professors, research fellows BA, MA PhD students. The editor of the journal Professor Mariam Chkhartishvili addressed the audience, she talked about content of the journal.

It should be noted that presented volumes includes articles which were read by Georgian and foreign participants, on the International Scientific Conference: “Research in Source-Studies and Historiography” organized by Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology in 2017 (October 18-21).

Vakhtang Goiladze, Lado Mirianashvili, Merab Ghaganidze, Kakha Kvashilava, Davit Merkviladze, Sophio Kadagishvili, Zurab Targamadze and others delivered speeches during the presentation.

After completion of the official part of the ceremony hosts and gests continued discussions about the recent issues of Georgian Sources-Studies and general scientific problems in an informal environment.



## ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და გამოფენა

გიორგი არქანია  
გიგი გიოშვილი

2019 წლის 10-12 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, „უახლესი ისტორიის ცენტრი“ და გამომცემლობა „არტანუჯი“. კონფერენციის მონაწილეებმა წარმოადგინეს მოხსენებები ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის, ასევე საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები: გიორგი არქანია, ლევან ბებურიშვილი და გიგი გიოშვილი. სამეცნიერო კომიტეტი კი დაკომპლექტებული იყო ისტორიისა და ფილოლოგიის დოქტორებით: დიმიტრი შველიძე, ბონდო კუპატაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ლევან ბებურიშვილი, ნონო პოპიაშვილი და ინგა მილორავა.



კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უნივერსიტეტის, კვლევითი და სამეცნიერო ინსტიტუტების პროფესორებმა, დოქტორებმა, მაგისტრანტებმა და ბაკალავრიატის სტუდენტებმა. მომხსენებლები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიდან, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტიდან, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტიდან, კორნელი კელელაძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურული ინსტიტუტიდან, რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტიდან და უახლესი ისტორიის ცენტრიდან.



ალსანიშნავია, რომ მონაწილეთა საკონფერენციო თემები ემსახურებოდა საკითხების ახლებურ გააზრებას. მომხსენებლებმა წარმოადგინეს ახალი კვლევები საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობისა და საქმიანობის შესახებ. მოხსენებათა შორის იყო ისეთი თემები, რომლებიც პირველად გაშუქდა ქართულ სამეცნიერო წრეებში და სიახლეს წარმოადგენდა.

კონფერენციის დახურვის დღეს ორგანიზატორებმა შეაფასეს სამეცნიერო მუშაობა და დასახეს სამომავლო გეგმები. პროექტის განხილვა გაგრძელდა არაფორმალურ ვითარებაში.



ასევე აღსანიშნავია, რომ 8-12 აპრილს, კონფერენციის პარალელურად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მუზეუმში მოეწყო გამოფენა, რომელიც ორგანიზებული იყო ამავდროულად უნივერსიტეტის, „უახლესი ისტორიის ცენტრისა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ. გამოიფინა ზვიად გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, საარქივო მასალები, ზვიად გამსახურდიას ხელნაწერები, წიგნები, თარგმანები, სამეცნიერო სტატიები და ა.შ. საგამოფენო მასალების უდიდესი ნაწილი წარმოდგენილი იყო ორიგინალის სახით. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია: 1956 წელს „გორგასლიანის“ საქმის მასალები, 1977 წელს ზვიად გამსახურდიას მიერ იზოლატორში დაწერილი





წერილები (ხელნაწერები), ზვიად გამსახურდიას წერილები ვიქტორ ნოზაძეს (ხელნაწერები), 1970-იან წლებში გამოცემული არალეგალური დისიდენტური გამოცემები („ოქროს სანძისი“, „საქართველოს მოამბე“) და სხვა. წარმოდგენილ მასალათა დიდი ნაწილი საზოგადოებამ პირველად იხილა.

„ძალიან სასიამოვნოა, რომ ეს გამოფენა ეწყობა უნივერსიტეტში, რადგან ახალგაზრდობას მრავალი წელი უმაღლავდნენ დამოუკიდებლობის დღესაც, 31 მარტსაც, ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობასაც. თვითონ ზვიად გამსახურდია არღვევს პერსპექტივის კანონს, ანუ საგანი რაც უფრო შორს არის, პატარა ჩანს, ზვიად გამსახურდია კი რაც უფრო დაგვშორდება დროში, მით უფრო დიდი გამოჩნდება,“ – აღნიშნა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრმა ნემო ბურჭულაძემ.

## **A SCIENTIFIC CONFERENCE AND AN EXHIBITION DEDICATED TO 80<sup>TH</sup> ANNIVERSARY OF ZVIAD GAMSAKHURDIA, THE FIRST PRESIDENT OF GEORGIA**

**Giorgi Arkania  
Gigi Gioshvili**

On April 10-12, 2019, the Scientific Conference dedicated to the 80<sup>th</sup> anniversary of Zviad Gamsakhurdia was held in the Tbilisi State University, co-organized by Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities and the publishing house “Artanuji” in collaboration with “The Center for Contemporary History”.

The participants made the presentations on Zviad Gamsakhurdia’s activities as dissident, political and a philologist. The conference lasted three days. The conference was participated and attended by Professors, PhDs, postgraduate and undergraduate students from different universities and research institutes. The conference topics contributed to deeper understanding of the activities of Zviad Gamsakhurdia.

Alongside the scientific conference, the Museum of the Tbilisi State University with collaboration of Center for Contemporary History and the MIA Archive organized and hosted an exhibition. At the museum were exhibited photos of Zviad Gamsakhurdia, archival materials, Zviad Gamsakhurdia’s manuscripts, books, translations, scientific articles and etc. Most of the exhibition materials were presented as originals.

# საერთაშორისო კონფერენცია დავითგარეჯი – მრავალდარგობრივი კვლევა და განვითარების სტრატეგია

ლადო მირიანაშვილი

2019 წლის 18-20 აპრილს თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „დავითგარეჯი: მულტი-დისციპლინარული კვლევა და განვითარების სტრატეგია“.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ „ევროპა ნოსტრას“ წარმომადგენლობა საქართველოში, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. კონფერენცია ჩატარდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

კონფერენციის მიზანი იყო დავითგარეჯის ქვაბოვანი მონასტრების მრავალდარგობრივი კვლევების ხელშეწყობა, ქვაბოვანი კომპლექსის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის წინაშე მდგარი პრობლემების საერთაშორისო დონეზე წამოწევა და მათი გადაჭრის გზების ძიება, ძეგლის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მსჯელობა.




კონფერენციას დაესწრნენ „ევროპა ნოსტრას“ გენერალური მდივანი სნეჟკა ქაიდელიგ-მიხაილოვიჩი, „ევროპა ნოსტრას“ ვიცე-პრეზიდენტი პიტ ჯასპაერტი, „ევროპა ნოსტრას“ საბჭოს წევრი გაიანე კასნატი, ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტის ექსპერტი ქემპბელ ტომსონი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი მაკა დვალისვილი და სხვა საპატიო სტუმრები (ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია და სხვ.).



კონფერენციის ფარგლებში სამი სექცია მუშაობდა:

- სექცია I – ძველი მართვის და დაცვის საკითხები;
- სექცია II – დავითგარეჯის ბუნებრივი მემკვიდრეობა;
- სექცია III – დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ისტორიული, კულტურული და სახელოვნებო-მცოდნეო ასპექტები.

კონფერენციაზე სამეცნიერო მოხსენებები წარმოადგინეს ხელოვნებათმცოდნეებმა, ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა, გეოლოგებმა და რესტავრატორებმა საქართველოდან, იტალიიდან, აშშ-დან, ისრაელიდან და აზერბაიჯანიდან. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს კონფერენციის მუშაობაში მსოფლიო სახელის მქონე არქეოლოგის, ისრაელელი მეცნიერის, ჯოზეფ პატრიხის მონაწილეობა, რომელმაც წაიკითხა მიმოხილვითი მოხსენება „დავითგარეჯის წინამორბედნი: სამონასტრო ცენტრები ეგვიპტეში, სინაის ნახევარკუნძულზე, სირიასა და პალესტინაში“. კონფერენციაზე არაერთი საინტერესო მოხსენება წაიკითხეს, ქართველმა მეცნიერებმაც. მოხსენებათა უმრავლესობა სამეცნიერო სიახლით გამოირჩეოდა, მხოლოდ ნაწილი მიმოხილვითი ხასიათის იყო და დღეისათვის არსებულ ცოდნას წარმოაჩენდა.



წამყვან მეცნიერთა მიერ მოხსენებების წაკითხვის გარდა, კონფერენციის ფარგლებში აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა და ძველთა დაცვის სფეროს მენეჯერებმა, ევროპის კულტურული მემკვიდრეობის წამყვანი ორგანიზაციის „ევროპა ნოსტრა“-ს დელეგაციის წევრებთან ერთად, იმსჯელეს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის გზებზე, ძველის გადარჩენის და განვითარების სამოქმედო გეგმებზე.

კონფერენციის ფარგლებში, უცხოელი მონაწილეებისთვის მოენყო გასვლა წმ. დავით გარეჯელის ლავრასა და გარეჯის უდაბნოს მონასტერში, რა დროსაც მეცნიერთა ჯგუფს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი შეუერთდა.

სამეცნიერო კონფერენციის პარალელურად, 2019 წლის 19 აპრილს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ევროკავშირის უმაღლესი ჯილდოს „ევროპა ნოსტრას“ გამარჯვებული 7 პროექტის დაჯილდოება საქართველოდან და ასევე ევროპა ნოსტრას ევროპული კულტურული მემკვიდრეობის 7 საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლის პროგრამის მიერ აღიარებული ორი ქართული ძეგლის პრეზენტაცია. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, ევროკავშირის ელჩი ბატონი კარლ ჰარცელი, ევროპა ნოსტრას გენერალურ მდივანი, ქალბატონი სნეჰკა ქაიდვლიგ-მიხაილოვიჩი, ევროპა ნოსტრას ვიცე-პრეზიდენტი ბატონი პიტ ჯასპაერტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელს, ევროპა ნოსტრას საპატიო პრეზიდენტი ქალბატონი ნინო ანანიაშვილი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი მიხეილ გიორგაძე. გამარჯვებულ პროექტებს ჯილდოები გადასცეს ევროკავშირის ელჩმა საქართველოში ბატონმა კარლ ჰარცელმა, ევროპა ნოსტრას გენერალურმა მდივანმა ქალბატონმა სნეჰკა ქაიდვლიგ-მიხაილოვიჩმა და ევროპა ნოსტრა საქართველოს საპატიო პრეზიდენტმა ნინო ანანიაშვილმა.

*გეჟსტის იდუსტრიალებისთვის გამოყენებულია მახიგა სახელმწიფო ფოტოები.*

## **INTERNATIONAL CONFERENCE: DAVIT-GAREJI– MULTIDISCIPLINARY STUDY AND DEVELOPMENT STRATEGY**

**Lado Mirianashvili**

On April 18-20, an International Conference “Davit-Gareji – Multidisciplinary Study and Development Strategy” was held in Tbilisi. The official representative of “Europa Nostra” in Georgia – Georgian Arts and Culture Center and National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia were the organizers of the Conference. The event was funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

The objectives of the Conference were

- to stimulate multidisciplinary studies of the rock-cut monasteries of Davit-Gareji;
- to highlight the threats faced by the complex’s natural and cultural heritage and to define the best solutions;
- to raise discussions on the development strategies and the action plan;
- to overview the current cultural, historical and art historical aspects of Davit-Gareji, its restoration and site management issues;
- to create a platform for dialogue for international and local scholars and professionals.

The following three sessions ran at the Conference: I – Site Management and Preservation; II -Natural Heritage of Davit-Gareji; III – Historic, Cultural and Art Historian Aspects of the Davit-Gareji Monastery Complex. Art historians, historians, archaeologists, geologists and restorers from Georgia, Italy, USA, Israel and Azerbaijan presented their papers at the Conference. Of special note was participation of a prominent archaeologist from Israel Joseph Patrich, who has explored desert cultures in several countries and has written an outstanding book “*Sabas, leader of Palestinian monasticism: a comparative study in Eastern monasticism, fourth to seventh centuries*”. His presentation concerned the monastic habitat in Egypt, Sinai, Palestine and Syria as the predecessors of Davit-Gareji. Gaianè Casnati, member of the advisory panel of “Europa Nostra” and Campbell Thomson, expert of European Investment Bank Institute suggested their recommendations on Davit-Gareji monasteries.

High officials – the Secretary General of Europa Nostra Sneška Quaedvlieg-Mihailovic; the Vice-President of Europa Nostra Piet Jaspaert; Abba Alaverdeli Metropolitan David; the First Deputy Minister of Education, Science, Culture and Sport Michael Giorgadze; General Director of National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia Nikoloz Antidze; General Director of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia Zviad Gabisonia were present at the opening ceremony.

A field trip to Laura of St. Davit Garejeli and Udabno Monastery of Gareji was organized for foreign participants. President of Georgia Salome Zurabishvili joined the group of scholars during their visit to the above sites.

Simultaneously with the Conference, an award ceremony of the Georgian laureates of the European Heritage Awards/Europa Nostra Awards and acknowledgment of Georgian sites listed in Seven Most Endangered Sites Programme was held at Tbilisi Zakaria Paliashvili Opera and Ballet State Theater.



## საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა“-X

ლელა სარალიძე

2019 წელს (30 აპრილიდან – 1 მაისი) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახალხო დღესასწაულის „ბათუმობის“ ფარგლებში, X საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ ჩატარდა. ორი დღის განმავლობაში, სამი სექციის მიმართულებით, შვიდ ათეულამდე მკვლევარმა საქართველოდან, ისრაელიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან სამეცნიერო მოხსენებები წარმოადგინეს ქალაქის ისტორიის, თანამედროვეობის, არქეოლოგიის, განათლების, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ტურიზმისა და ურბანული განვითარების საკითხებზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და ქალაქ ბათუმის მერიის ორგანიზებით ჩატარდა. კონფერენცია 2009 წლიდან სისტემატიურად ტარდება, რომლის იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი, ასევე, ამავე დასახელების სერიული გამოცემების სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ან განსვენებული მალხაზ სიორიძე იყო. ბატონი მალხაზ სიორიძე 1987 წლიდან გარდაცვალებამდე ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, აქტიურად მონაწილეობდა მის სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კონფერენციის იდეის ხორცშესხმაში და ორგანიზებაში ინსტიტუტის დირექციასთან და თანამშრომლებთან ერთად ჩართული იყო ინსტიტუტის მაშინდელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ცნობილი ქართველი ეთნოლოგი და კულტურის ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი ვახტანგ შამილაძე. სამწუხაროდ, ბატონი ვახტანგი და ბატონი მალხაზი, მხოლოდ, ორი კონფერენციის ჩატარებას მოესწრნენ. მათ მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებს ინსტიტუტის დირექცია, მეცნიერ-თანამშრომლები. კონფერენციის ორგანიზებასა და მასალების წიგნად გამოცემის საქმეში დიდია ბატონ ბიჭიკო დიასამიძის, როინ მალაყმადის, ოლეგ ჯიბაშვილის წვლილი.

თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ბათუმს საქართველოს ქალაქებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია. კონფერენციის იდეის ავტორებმა ბათუმის წარსულის და დღევანდელი მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლა დაიხსნეს მიზნად, რისთვისაც კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა მოხსენება უშუალოდ ქალაქის ისტორიას, მის წარსულსა და თანამედროვეობას ეხება. შესაბამისად, გამოცემულია კონფერენციის ამსახველი 9 სამეცნიერო კრებული, რომელთა ღირებულება ქართული ისტორიოგრაფიისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. კრებულში შესული სამეცნიერო ნაშრომები ეხება და შეისწავლის, როგორც ბათუმის წარსულ ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, არქიტექტურას, ტოპონიმიკას, ისე ქალაქის თანამედროვე ყოფას, კულტურის, ტურიზმის, კონფესიური ვითარების და დემოგრაფიის საკითხებს. წარსულისა და თანამედროვეობის კომპლექსური კვლევა, კიდევ უფრო ამაღლებს და ფასეულს ხდის, როგორც აღნიშნული კონფერენციის, ასევე, წიგნად გამოცემული საკონფერენციო მასალების ღირებულებას.

კონფერენციის დაარსებისთანავე, მასში აქტიურად არიან ჩართული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები. ასე იყო ამჯერადაც.

კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ მეცნიერები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდანაც.

ბათუმის ისტორიის შესწავლას თეორიულთან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქალაქის მომავალ ურბანულ განვითარებას, უცნობი ისტორიული ფაქტების დაზუსტებას. კონფერენციის საორგანიზაციო საქმეებში, თავიდანვე აქტიურად იყო ჩართული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ქალაქ ბათუმის მერია. საბოლოო მიზანი არის შეიქმნას დასრულებული შემაჯამებელი ნაშრომი ქალაქ ბათუმის ისტორიის შესახებ. სამეცნიერო საზოგადოება მალე იხილავს კონფერენციის მასალების ამსახველ მეათე საიუბილეო გამოცემას.

მეათე საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი სახალხო ზემის, ბათუმობის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. ქალაქის მერიის ინიციატივით, გადაწყდა – სახალხო დღესასწაული ყოველწლიურად სექტემბრის ნაცვლად, 28 აპრილს აღინიშნოს, რადგან ბათუმს ქალაქის სტატუსი 1888 წლის 28 აპრილს მიენიჭა. ტრადიციულად კონფერენციის ყველა პროგრამას წამძღვარებული აქვს დიდი აკაკის ლექსის სტრიქონები: „ვით სპილო არ მწამს სპილოდა, თუ აღარა აქვს ხორთუმი, ისე კავკასი – კავკასად, თუ არ ექნება ბათუმი“. თავის დროზე, ეს სიტყვები დიდმა მგოსანმა ბათუმისა და მთლიანად აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ემოციით შექმნა.

მოხსენებათა სპექტრი მრავალფეროვანი იყო და ეხებოდა ბათუმის ისტორიისა და თანამედროვეობის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ლიტერატურის, ტურიზმისა და ურბანული განვითარების საკითხებს. ასე, მაგალითად: ბათუმელი პროფესორის ბიჭიკო დიასამიძის ნაშრომი მიმოიხილავდა 2500-წლოვან ბათუმს,

იგივე ბათეას, მათემს, როგორც თვითმმართველ ქალაქს; ხარკოველი მეცნიერები ეკატერინა იურევა და იური ბოიჩუკი ბათუმისა და ხარკოვის ზოგიერთ საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირზე მოუთხრობდნენ კოლეგებს; ლელა სარალიძემ 1920-1921 წლებში ინგლის-ოსმალეთის ხელისუფალთა გეგმებში არსებული ბათუმის ისტორია წარუდგინა საზოგადოებას; გიუმრელმა ლილიტ ასოიანმა გასულ საუკუნეებში ბათუმში არსებულ სომეხ ქალთა კავშირზე ისაუბრა; ქუთაისელმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ნიკო ნიკოლაძის თვალთ დასახული ოსმალეთის დროინდელი ბათუმი მიმოიხილა; უფელმა ზილია ხაბიბულინამ რუსეთის მუსლიმთა ჰაჯის მარშრუტებში ბათუმის არსებობის უცნობ დეტალებზე გაამახვილა ყურადღება; თელავიელი ემილი დორფისა და ბათუმელი თემურ ზოიძის მოხსენება უცხოელი ტურისტების თვალთახედვით დანახულ ბათუმურ ტურებს ეხებოდა; ელდარ ნადირაძისა და ნოდარ შოშიტაშვილის ნაშრომი, ართვინის მხარის (თურქეთი) სამეურნეო-კულტურულ ტიპსა და ბათუმს მიმოიხილავდა; თინა იველაშვილმა 1918 წლის ბათუმის კონფერენციისა და სამცხე-ჯავახეთის საკითხი გაცნო საზოგადოებას; აბესალომ ასლანიძემ რელიგიის საკითხები წარმოადგინა ბათუმის მხარეში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში; მალხაზ ჩოხარაძის, ჯემალ კარალიძისა და გულნაზ სამნიძის ნაშრომით, 1989 წლის 14 აპრილს ბათუმსა და მის უნივერსიტეტში ქართული ენის დასაცავად განვითარებულ პროცესებს გაეცნენ; უცხოურ წყაროებში ბათუმზე დაცული ცნობების შესახებ საინტერესო მოხსენება – „ბრიტანეთის ვიცე-კონსული ფრედერიკ გუარაჩინო ბათუმის შესახებ (1840)“ – წარმოადგინა გია გელაშვილმა; სიახლით გამოირჩეოდა რამაზ სურმანიძის „გრიგოლ ვოლსკის საფლავის საიდუმლო (ნარატიული წყაროები)“; ოთარ გოგოლიშვილის „აზერბაიჯანლები ბათუმში“, ეთერ ქავთარაძის, ქეთევან ხითარიშვილის „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის



განყოფილების საქმიანობა“, ნოდარ კახიძის „დimitრი ბაქრაძე ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ“, ოლეგ ჯიბაშვილის, ხათუნა დიასამიძის, ირაკლი ბარამიძის „ტრაპიზონში ბრიტანეთის ვიცე-კონსულის ჯეიმს ბრანთის ცნობები ბათუმის შესახებ“, უჩა ოქროპირიძის „ბათუმი – 9 აპრილიდან 9 აპრილამდე“, გოდერძი ვაჭრიძის, სულხან კუპრაშვილის „XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმში არსებული სააქციონერო საზოგადოებები და ფირმები ბათუმის ნოტარიუსის საარქივო ფონდის მიხედვით“, თინათინ ჯაბადარის „ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიისათვის (1912-1923 წწ.)“, ნაილა ჩელებაძის „ბათუმის განაშენიანებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისტორიიდან (საარქივო მასალების მიხედვით)“, მერაბ მეგრელიშვილის, ნიკოლოზ მეგრელიშვილის „ირანელები ბათუმში“, ოთარ ნიკოლეიშვილის „ახალი ბრიტანული წყარო XIX საუკუნის 90-იანი წლების ბათუმის შესახებ“, ირმა ბაგრატიონის ოზგუნ გუნაიძინის „ბათუმის ისტორიული ექსკურსი ეთიკურ-ესთეტიკური თვალთახედვით“, შოთა ზოიძის, „მემედ აბაშიძის წერილები ბათუმის შესახებ“, მაია აზმაიფარაშვილის „მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების ძირითადი პრიორიტეტები ქალაქ ბათუმში“, ოთარ თურმანიძის „ბათუმის მოსახლეობა და ქალაქის განაშენიანება 1880-1920 წლებში“, თამარ მაკასარაშვილის, გიული გიგუაშვილის, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ასპექტები ბათუმის სასტუმროებში“ და სხვ. მოხსენებები.



საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებმა ბათუმის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს და გონიოსაც ეწვივნენ. დაათვალიერეს გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც მოიცავს გონიოს ციხეს და მის მიმდებარე ტერიტორიებს, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია კერამიკის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ნივთები, მათ შორის ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე პირველის სპილენძის მონეტა. კონფერენციის მონაწილეებმა ბათუმის საპატიო მოქალაქედ არჩევა მიულოცეს ემერიტუს-პროფესორს, ცნობილ ენათმეცნიერს, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს.



კონფერენცია მეტად ნაყოფიერი იყო. ქართველ და უცხოელ მკვლევართა საინტერესო სუა-ბაასისა და აზრთა ურთიერთ გაცვლასთან ერთად, სამომავლო თანამშრომლობის გეგმებიც დაისახა.

## 10<sup>TH</sup> INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE “BATUMI: PAST AND PRESENT”

Lela Saralidze

The 10<sup>th</sup> International Conference – “Batumi: Past and Present” was held under the aegis of Batumi Shota Rustaveli State University in April 30 – May 1, 2019. The conference was conceptualized in the context of a public holiday “Batumoba”. Earlier “Batumoba” was held in September, but by the decision of the city council, the public holiday – “Batumoba” was held on April 28. The date is related to granting Batumi city status. The status of Batumi was granted on April 28, 1888.

The conference was organized by the staff of Niko Berdzenishvili Institute of the University of Batumi. Since 2009 the conference is annual. Upon establishment of the conference researchers of the TBilissi State University Institute of History and Ethnology are actively involved in it.

The conference program is guided by the great Georgian poet Akaki Tsereteli’s phrase: “I don’t believe an elephant as an elephant without a trunk, so the Caucasus as the Caucasus, without Batumi”. This phrase was written by the great poet as a result of emotion of joy, caused by the return of Batum and the whole Adjara to Georgia.

Based on its strategic location, Batumi has a specific place among the other Georgian cities. The authors of the

conference idea aimed to establish a thorough study of the past and present of Batumi. All the reports presented at the conference refer to the history, past and present of the city.

Authors of the conference idea, professors – Malkhaz Sioridze and Vakhtang Shamiladze are no longer alive today. They were able to contribute only first two conferences. The nine volumes of the conference material have been published.

Among the conference participants were scholars from different regions and cities of Georgia (Batumi, Tbilisi, Kutaisi, Gori, Telavi, Akhaltsikhe), as well as from abroad (Ukraine, Israel, Turkey, Armenia and others). The range of reports was diverse and focused on history and modernity of Batumi, archeology, ethnology, literature, tourism and urban development.

Participants of this international forum visited Batumi sightseeing and Gonio. They visited the Gonio-Apsaros archaeological-architectural museum reserve, which includes the Gonio Fortress and its adjacent territories where ceramics, bronze, silver and gold items were obtained in result of archaeological excavations, including the copper coins of the Byzantine Emperor Justinian. 17 thousand exhibits are kept in Gonio-Apsaros Museum-Reserve.

The work of the conference was fruitful. Together with the mutual exchange of ideas and opinions of Georgian and foreign researchers, future cooperation plans were discussed, also. The scientific community will soon see the tenth anniversary edition of the conference materials.



## ახალგაზრდა ორიენტალისტთა მე-40 საერთაშორისო კონფერენცია სომხეთში

გორ მარგარიანი  
სოფიო ქადაგიშვილი

2019 წლის 28-29 ივნისს ერევნის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით გაიმართა ახალგაზრდა ორიენტალისტთა მე-40 საერთაშორისო კონფერენცია. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, კონფერენცია რეგულარულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს ახალგაზრდა მეცნიერთა თავმოყრას და იდეების გაზიარებას, არამხოლოდ სომხეთის მასშტაბით, არამედ ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვას საზღვარგარეთიდანაც.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა შვიდი ათეული ახალგაზრდა მკვლევარი სომხეთიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან მუდმივად ხდება ახალგაზრდა მკვლევრების ჩართვა ამ კონფერენციაში. ამჯერად საქართველოდან მონაწილეობდნენ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მანუჩარ გუნცაძე (მოხსენების სათაური: „ოსი ბოლშევიკების ანტისამთავრობო გამოსვლების მიზეზები“) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი სოფიო ქადაგიშვილი (მოხსენების სათაური: „ქართული ჰაგიოგრაფია, როგორც საისტორიო წყარო: კვლევა სომხური ჰაგიოგრაფიის მაგალითებთან შედარებით“).



კონფერენცია ჩატარდა ალვერანში, რომელიც სომხეთის ერთ-ერთ კურორტს წარმოადგენს. შესანიშნავი გარემო და საინტერესო მოხსენებები კარგ საშუალებას იძლეოდა ახალგაზრდა მეცნიერთა დაახლოებისთვის, მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვისა და ინფორმაციის გაცვლისთვის.

28 ივნისს კონფერენცია გახსნა ახალგაზრდა ორიენტალისტთა საბჭოს თავმჯდომარემ თ. აგამალიანმა, მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს აკადემიკოსმა უ. სუვარიანმა, პარლამენტის წევრმა გ. გევორგიანმა,

სომხეთის პრემიერ-მინისტრის უწყების რეგიონალური პოლიციის სამსახურის ხალხთან ურთიერთობის ცენტრის უფროსმა ა. იგითიანმა.



საკონფერენციო მოხსენებები გადანაწილებლი იყო შემდეგი თემატიკის მიხედვით: არაბული ქვეყნები; კავკასია; თურქეთი; კულტურა, ისტორიოგრაფია; კავკასია, ცენტრალური აზია. საქმიანი ნაწილის გარდა კონფერენციის ორგანიზატორებმა მოაწყვეს გასართობი ღონისძიებები, არაფორმალური შეხვედრები. მათმა მონდომებამ დაუვიწყარი ორი დღე აჩუქა კონფერენციის მონაწილეებს. კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება ჟურნალში შუა აზია: ისტორია, პოლიტიკა, კულტურა.

## 40<sup>TH</sup> INTERNATIONAL CONFERENCE OF YOUNG ORIENTALISTS

**Gor Margaryan  
Sopio Kadagishvili**

On June 28-29, 2019 the Institute of Oriental Studies of the National Academy of Sciences of the Republic of Armenia organized the 40<sup>th</sup> conference of young scholars of Oriental studies which brings together early career researchers from Armenian and foreign countries to discuss a wide range of issues concerning various aspects of the oriental studies.

In recent years the conference takes place in the Conference and Guest house of NAS RA located in a mountainous resort north from Yerevan which enables to combine formal part of the conference with informal discussions and relaxing. The conference aims to encourage the exchange of thoughts, ideas and experience between the researchers, facilitate the establishment of contacts.

The 40<sup>th</sup> conference of the Young Orientalists brought together around 70 young and experienced researchers from Armenia, Georgia and other countries. It is worth to mention that Georgian researchers are regular participants of this annual conference presenting interesting and highly professional papers.

The topics of this conference included, but not limited to, the history, culture, politics and other research fields in the Caucasus, Middle East, Central Asia, North Africa, East Asia. The topics were also diverse temporally including Ancient, Medieval and Modern periods of history. Ruben Safrastyan, the director of the Institute of the Oriental Studies, Yuri Suvaryan, vice president of NAS RA, Gor Gevorgyan, arabist, member of Parliament of Armenia delivered welcome speeches stressing the significance of this conference as a platform for the beginner researchers and academic discussions.

The papers presented in the conference will be published in the journal Middle East: history, politics and culture.




## წმ. გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი კონფერენცია: „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“

ნათო სონღულაშვილი  
სოფიო ქადაგიშვილი

2019 წლის, 11-13 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ წმინდანად შერაცხული არქიმანდრიტის, გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 120-ე წლისთავს. კონფერენციის თემატიკა იყო „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“. კონფერენცია ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით.

წმ. გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილ კონფერენციას არაერთი ორგანიზატორი თუ დონორი ჰყავდა. მათ შორის, გამორჩეული ადგილი უკავია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს, რომლის ძალისხმევითაც შედგა აღნიშნული პროექტი. კონფერენცია მეტწილად დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. კონფერენციას მხარდაჭერა გამოუცხადა პოლონეთის რესპუბლიკის საელჩომ თბილისში, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ. გარდა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა კონფერენციას ორგანიზებას უწევდნენ სხვა სასწავლო/სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულებები: ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრი; პოლონეთის ინსტიტუტი, პოლონეთის საელჩო თბილისში; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი; საქართველოს საპატრიარქო და წმ. გრიგოლ ფერაძის კავშირი.



ეს არ იყო პირველი სამეცნიერო ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა წმ. გრიგოლ ფერაძეს. წმინდანის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კონფერენციები რეგულარულად ტარდება საზღვარგარეთაც, სახელდობრ, პოლონეთში. ამგვარი კონფერენციები ხელს უწყობს ქართველოლოგების თავმოყრას, როგორც ქვეყნის შიგნით, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ.

საერთაშორისო კონფერენცია სამ დღეს გაგრძელდა. თითოეული დღე საკმაოდ დატვირთული იყო სამეცნიერო თუ კულტურული ღონისძიებებით. კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ ცნობილი მკვლევრები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, მოწვეული სტუმრები და მომხსენებლები. კონფერენცია გახსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა აუდიტორიას: „ჩვენთვის საამაყოა, რომ გრიგოლ ფერაძის რანგის ადამიანები გვყავდა საქართველოში, რომელიც გახდა სიმბოლო ევროპეიზმის, სიმბოლო ჰუმანიზმის. ეს არის ერთგვარი სიმბოლო იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი იყო კარგი მეცნიერი, კარგი მკვლევარი, პატრიოტი. წმინდა გრიგოლ ფერაძე გახლდათ ის ადამიანი, ვინც იარაღით ხელში შეებრძოლა რუსეთის ოკუპაციას, ებრძოდა მეთერთმეტე არმიას. გასაბჭოების შემდგომ საპატრიარქოსთან არსებული კომისია იძულებული გახდა, რომ

იგი გერმანიაში სასწავლებლად გაეგზავნა, სადაც ბევრ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა; ბონის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, შემდეგ გახდა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი და იყო მკვლევარი. გრიგოლ ფერაძე იყო ადამიანი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირა ჰუმანისტურ იდეებს“.



უნივერსიტეტის რექტორის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ კონფერენციის გახსნას გაუძღვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ჭეიშვილი. მან სიტყვა მისასალმებლისათვის მისცა საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს. პრეზიდენტმა გაიხსენა წმინდანთან დაკავშირებული ამბები და შეაფასა მისი საქმიანობა: „გრიგოლ ფერაძე ის როლი შეასრულა ქართულ ემიგრაციაში, რასაც მუდამ ასრულებდა ქართული ეკლესია საქართველოს ისტორიაში – შეინახა ქართული იდენტობა, ქართული სული. მან თავისი მაგალითით, ღირსებით, განათლებით, თავისუფლებით გვაჩვენა, თუ როგორ შეეჭიდა ტოტალიტარულ სისტემას. ამიტომ გვჭირდება ასეთი ფიგურები ჩვენს ისტორიაში. გრიგოლ ფერაძე იყო ნამდვილი ევროპელი, ნამდვილი ქართველი“.

საქართველოს პრეზიდენტის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით წარსდგნენ პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი თბილისში მარიუშ მაშკევიჩი, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრის დირექტორი იან მალიცკი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია. წმინდანის მოღვაწეობა შეაფასა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა დამანა მელიქიშვილმა. კონფერენცია გაგრძელდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ან განსცვენებული თამილა მგალობლიშვილისათვის ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის საერთაშორისო პრემიით დაჯილდოების ცერემონიალით. საზღვარგარეთ დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდნენ დავით ყოლბაია, ჰენრიკ პაპროცკი და ბერნარ უტიე. ღონისძიება დასრულდა პარიზის ქართველ ემიგრანტთა ანსამბლის „ქართული ჰარმონიის“ პერფორმანსით.

კონფერენცია მცირე შესვენების შემდეგ გაგრძელდა პლენარული მოხსენებებით. ორი დღის განმავლობაში, 50-მდე მონაწილე საქართველოს და საზღვარგარეთის სასწავლო/სამეცნიერო ცენტრებიდან გადამაწილებულნი იყვნენ სხვადასხვა პლენარულ თუ სექციურ განყოფილებაში. კონფერენციის მუშაობის





წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სექციების თავმჯდომარეებს, რომლებიც დადებით და საქმიან გარემოს ქმნიდნენ კონფერენციის მონაწილეებისათვის.

კონფერენციის დასკვნითი დღე (13 სექტემბერი წმინდანის დაბადების დღეა) აღინიშნა წმინდანის მშობლიურსოფელში, ბაკურციხეში, სადაც სტუმრებს მასპინძლობა გაუწია წმ. გრიგოლ ფერაძის საზოგადოებამ და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ. საზეიმო მსახურების შემდეგ წმინდანის სახლ-მუზეუმში კიდევ ერთხელ შეფასდა წმ. გრიგოლ ფერაძის საქმიანობა და ღვაწლი. საღამო დასრულდა მეგობრული ვახშმით.



კონფერენციის სამი დღე ნამდვილად დაუვიწყარი იყო კონფერენციის მონაწილეებისათვის. ბევრ საინტერესო მოხსენებასთან ერთად კონფერენცია დატვირთული იყო სხვადასხვა ღონისძიებით, რომლის საინტერესოდ შეთავაზება კონფერენციის ორგანიზატორების პროფესიონალიზმის დამსახურებაა.



კონფერენციის მასალები წლის ბოლოსთვის გამოიცემა, რეცენზირების შემდეგ მოხსენებების გარკვეულ ნაწილს კი პოლონეთში გამომავალი ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალი Pro Georgia გამოაქვეყნებს.

კონფერენცია დასრულდა იმ გადაწყვეტილებით, რომ წმ. გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი კონფერენცია კვლავ გაიხსნება უნივერსიტეტის კედლებში.

## **1<sup>ST</sup> INTERNATIONAL CONFERENCE: “GEORGIA IN THE CONTEXT OF CHRISTIAN CIVILIZATION” DEDICATED TO THE 120 ANNIVERSARY FROM ST. GRIGOL PERADZE’S BIRTH**

**Nato Songulashvili  
Sopio Kadagishvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University hosted international interdisciplinary conference dedicated to the 120<sup>th</sup> anniversary of St. Grigol Peradze’s birth on September 11-13, 2019.

The conference was organized by Ivane Javakhishvili Institute History and Ethnology; The Center for East European Studies, University of Warsaw; Polish Institute, Embassy of the Republic of Poland in Tbilisi; Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts; Giorgi Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation; Patriarchate of Georgia and of St. Gregory Peradze’s Society. The conference was held by the patronage of president of Georgia. The conference days were full of interesting presentations and cultural programs. Over 50 Georgian and foreign participants presented the papers during two working days that were summarized on 13 September in Bakurtsikhe, Saint’s hometown and all the activities were concluded with a banquet in a nice atmosphere. It is already planned that the conference will have regular side. The conference papers will be published by the end of 2019.



## საერთაშორისო კონფერენცია ბიზანტიოლოგია საქართველოში – 5: „შავი ზღვა და შავიზღვისპირეთის ქვეყნები – კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინი IV-XV საუკუნეებში“

მარინე გიორგაძე

2019 წლის 11-14 ოქტომბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „ბიზანტიოლოგია საქართველოში – 5: „შავი ზღვა და შავიზღვისპირეთის ქვეყნები – კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინი IV-XV საუკუნეებში“.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კავშირი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტიოლოგიის განყოფილება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

საერთაშორისო კონფერენცია – „ბიზანტიოლოგია საქართველოში – 5: „შავი ზღვა და შავიზღვისპირეთის ქვეყნები – კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინი IV-XV საუკუნეებში“ – ტრადიციულიცაა და აქტუალურიც.



პირველი კონფერენცია 2006 წელს ჩატარდა თბილისში, მეორე (2007 წელს) და მეოთხე (2013 წელს) კონფერენციები – ბათუმის უნივერსიტეტში ხოლო მესამე III (2009 წელს) – ახალციხეში.

ინტერესი კონფერენციების მიმართ, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევარებში, განაპირობა აქტუალურმა თემატიკამ, დისციპლინათშორისმა და კულტურათშორისმა კვლევებმა.

კონფერენციის პროგრამაში ჩართული იყო 111 მოხსენება, მონაწილეთა რიცხვმა, თანამომხსენებლებთან ერთად შეადგინა – 130; კონფერენციაზე მუშაობდა 5 სექცია: I სექცია: ისტორია, ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები, წყაროთმცოდნეობა; II სექცია: ხელოვნების ისტორია, არქიტექტურა, არქეოლოგია, ნუმისმატიკა; III სექცია: ენა და ლიტერატურა; IV სექცია: ტექსტოლოგია, თარგმანი; V სექცია: ფილოსოფია, რელიგია, თეოლოგია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტისა

და კვლევითი ინსტიტუტების პროფესორებმა და უნივერსიტეტებმა (ბსუ, თსუ, ილიაუნის, ქუთაისის, გორის, ახალციხის უნივერსიტეტები, ახალი საქართველოს უნივერსიტეტი, საპატრიარქოს უნივერსიტეტი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი და სხვ.), ასევე პროფესორებმა და მკვლევარებმა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან (სერბეთი, უკრაინა, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, თურქეთი, აშშ).



კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი წერილებით მიმართეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა, აკად. როინ მეტრეველმა და თბილისის სხაელმწიფო უნივერსიტეტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის დოქტორმა გიორგი ჭეიშვილმა, რომლებმაც ხაზი გაუსვეს ბიზანტინოლოგიური კვლევების მნიშვნელობას საქართველოში. კონფერენციის დახურვას დაესწრო და მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოში საბერძნეთის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა დიმიტრი კარაბალისმა.

კონფერენციაზე განიხილეს აქტუალური სამეცნიერო თემები, შედგა სამეცნიერო ინფორმაციისა და იდეების გაცვლა, გამოიკვეთა კვლევის ახალი პერსპექტიული მიმართულებები; დამყარდა კონტაქტები ქართველ და უცხოელ მკვლევართა შორის. კონფერენციამ ხელი შეუწყო ჰუმანიტარული, კერძოდ კი ბიზანტინოლოგიური კვლევების პოპულარიზებას საქართველოში.



კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ბიზანტიოლოგთა 24-ე საერთაშორისო კონგრესისათვის (2021 წელი, თურქეთი, სტამბოლი) მზადების ფარგლებში მოხდა ქართული ბიზანტიოლოგიური სკოლის მიღწევების შეჯერება, მათ უკეთ წარმოსაჩენად საერთაშორისო ასპარეზზე.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ბოლო წლებში გამოცემული ბიზანტიოლოგიური კვლევების პრეზენტაცია; ასევე ქართველი კალიგრაფისტის, გიორგი სისაურის გამოფენა, მიძღვნილი ქართული ანბანისადმი – „ანბანთქება“ და ფოტოგამოფენა „პონტოელი ბერძნები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა“.

კონფერენციის ბოლო დღე, 14 სექტემბერი დაეთმო ექსკურსიას ტრაპიზონში, ბიზანტიური ეპოქის ძეგლების მონახულებას.







**მარიამ ჩხარტიშვილის მინანერი:**

ამ კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე მეც გახლდით (ჩემს დოქტორანტ და ან უკვე კოლეგა სოფიო ქადაგიშვილთან ერთად). მინდა დავადასტურო, რომ კონფერენციაში მონაწილეობა, მართლაც, საინტერესო გამოცდილება იყო მეცნიერისათვის: დაგვხვდა უაღრესად სასიამოვნო სამუშაო ატმოსფერო და გულთბილი მასპინძლობა. დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ორგანიზატორთა და პირადად ქალბატონი მარინე გიორგაძის მიმართ. მე რამდენიმე ფოტო დავუმატე ქალბატონი მარინეს გადმოგზავნილ ფოტოებს, რომლებიც ჩვენი ჟურნალის მკითხველს აგრძნობინებს ბათუმის – ამ საოცარი ქალაქის – ხიბლს. ამავე დროს მინდა გამოვაქვეყნო ერთი ტექსტი, რომელიც ჩემს არქივში ინახება. როგორც ქალბატონი მარინე გიორგაძე მიუთითებს თავის ინფორმაციაში, კონფერენციაზე გამოქვეყნდა მისალმებები. ერთ-ერთი გახლდათ ივანე ჭავჭავაძის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ გიორგი ჭეიშვილის მისალმება. ეს მისალმება თავად ბატონ გიორგი ჭეიშვილის თხოვნით წავიკითხე მე, რამდენადაც თავად მან ვერ შეძლო დასწრებოდა კონფერენციას. ვფიქრობ, ბატონი გიორგის ეს მისალმება საინტერესო იქნება ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის და ამიტომ აქვე ვაქვეყნებ მას:

ქალბატონებო და ბატონებო!

ძვირფასო კოლეგებო!

მაქვს პატივი, მოგესალმოთ ივანე ჭავჭავაძის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სახელით და მოგილოცოთ V საერთაშორისო კონფერენციის „ბიზანტიოლოგია საქართველოში“ გახსნა.

ბიზანტიოლოგიურ კვლევებს საქართველოში არცთუ ხანმოკლე ისტორია აქვს. ქართველი ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, ფილოლოგები, არქეოლოგები არაერთხელ გამოსულან წარმატებით ბიზანტინისტთა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე. ქართული ბიზანტიოლოგიის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კომიტეტის შექმნას და კომიტეტის თაოსნობით საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებას. ფორუმში „ბიზანტიოლოგია საქართველოში“ ხელს უწყობს, აგრეთვე, ქართველოლოგიის პოპულარიზაციის საზღვარგარეთ, საბოლოო ჯამში კი – ქართული მეცნიერების საერთაშორისო მეცნიერებაში ინტეგრირებას, რაც ასე მნიშვნელოვანია ევროპული ოჯახისკენ მიმავალ გზაზე.

ევროპისკენ გზაც, უმთავრესად, შავ ზღვაზე გადიოდა; ამდენად, სიმბოლურია დღევანდელი კონფერენციის თემაც და ჩატარების ადგილიც – საქართველოს თვალწარმტაცი ზღვისპირა ქალაქი ბათუმი.

გილოცავთ ამ დიდ მოვლენას ჩვენს სამეცნიერო ცხოვრებაში და წარმატებულ მუშაობას გისურვებთ!

გიორგი ქეიშივილი

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

11 ოქტომბერი, 2019 წელი.

**THE 5<sup>TH</sup> INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE BYZANTINE STUDIES IN GEORGIA:  
“THE BLACK SEA AND THE BLACK SEA REGION COUNTRIES – THE CROSSROADS  
OF CULTURE AND CIVILIZATIONS IN THE 4<sup>TH</sup>-15<sup>TH</sup> CENTURIES”**

**Marine Giorgadze**

The 5<sup>th</sup> International Scientific Conference: “Byzantine Studies in Georgia: the Black Sea and the Black Sea Countries – the Crossroads of Cultures and Civilizations in the IV-XV Centuries) was held at Batumi Shota Rustaveli State University on October 11-14, 2019.

The conference was organized by the Georgian National Society of International Byzantine Societies; Batumi Shota Rustaveli State University, Faculty of Humanities; Ilia State University Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Department of Byzantine Studies; Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Classical Philology, Byzantine and Modern Greek Studies.

The conference was participated by the representatives of various universities and research institutes (BSU, TSU, Iliani, Universities of Kutaisi, Gori and Akhaltsikhe, a New University of Georgia, University of the Patriarchate, National Center of Manuscript, Institute of Oriental Studies and the Institute of History of Georgian Arts etc.), as well as professors and researchers from the foreign countries (Serbia, Ukraine, France, Germany, Greece, Turkey, the United States).

The conference program was included 111 presentations, the number of participants with co-authors amounted 130; There were 5 sections at the conference: Section I: History, Byzantine-Georgian Relations, Source Studies; Section II: Art History, Architecture, Archeology, Numismatics; Section III: Language and Literature; Section IV: Textology, Translation; Section V: Philosophy, Religion, Theology.

The final day of the conference, September 14, was dedicated to an excursion to the Byzantine monuments in Trabzon.



## **პრადის მეორე საერთაშორისო კონფერენცია კოლიტიკურ მეცნიერებაში და ჰუმანიტარიაში (პრალა, 15-16 ოქტომბერი, 2019)**

### **სოფიო ქადაგიშვილი**

2019 წლის 15 და 16 ოქტომბერს სოციალურ მეცნიერებებში და ჰუმანიტარიაში კვლევის საერთაშორისო ასოციაციამ ჩეხეთში, კერძოდ კი, პრადის ტექნიკურ უნივერსიტეტში უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას სოციალური მეცნიერებასა და ჰუმანიტარიაში. აღნიშნული კონფერენციის ორგანიზება არ იყო ამ ორგანიზაციის პირველი მცდელობა ამ მიმართულებით. მიუხედავად ამ ასოციაციის არცთუ ხანგრძლივი პერიოდის არსებობისა, მას სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარების საინტერესო ისტორია აქვს. მის სახელს უკავშირდება არაერთი საერთაშორისო კონფერენცია, სიმპოზიუმი თუ ტრენინგ-პროგრამა.

აღნიშნული ასოციაციის მიზანია მთელი მსოფლიოდან თავი მოუყაროს მკვლევრებს განათლების, მეცნიერებების და ინოვაციური იდეების ხელშესაწყობად. ორგანიზაციას ურთიერთობა აქვს სხვადასხვა კვლევით ასოციაციასთან, რომელთა მეშვეობითაც ახდენს სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული კავშირების დამყარებას.



კონფერენცია იყო ინტერდისციპლინური, საერთაშორისო და, მეტიც, კონტინენტშორისი: მასში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა ოთხი კონტინენტის (ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის) კვლევითი და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიდან.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს საკვანძო მომხსენებლებმა, მათ შორის, კონფერენციის ორგანიზატორმა ასოციაციის თავმჯდომარემ მარეკ მატეიუნმა – ლოდის უნივერსიტეტის პროფესორმა.

სესიებს შორის პერიოდში მონაწილეები მუშაობდნენ სამეცნიერო პროექტებზე.

შედარებით მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა ქართული დელეგაცია, რომელიც კონფერენციაზე ოთხი მონაწილეთიყო წარმოდგენილი, კერძოდ, მოხსენებებით წარსდგნენ მარიამ ჩხარტიშვილი, სოფიო ქადაგიშვილი, მანუჩარ გუნცაძე და თამარ მჭედლიშვილი.

მოხსენებების დასასრულს ორგანიზატორებმა მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს, თითოეულ













მათგანს ასოციაციის სამუდამო წევრობა მიანიჭეს და მათთან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. სრული მოხსენებები უკვე დაიბეჭდა სოციალური მეცნიერებების საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალში „People: International Journal of Social Sciences“ (ISSN 2454-5899).

## **2<sup>ND</sup> PRAGUE INTERNATIONAL CONFERENCE ON SOCIAL SCIENCE & HUMANITIES (ICSSH) (PRAGUE, OCTOBER 15 – 16, 2019)**

**Sopio Kadagishvili**

Social Science and Humanities Research Association (SSHRA) hosted international conference of social science and Humanities in Prague, October 15-16, 2019. It was not first conference launched by the association. Since 2013 it provides professional conference and management services to scholarly institutions and professional bodies. The aim of the conference was to bring together worldwide researchers and professionals, encourage intellectual development and to create opportunities for networking and collaboration. Among participants of different countries conference were Georgian delegates: Mariam Chkhartishvili, Sopio Kadagishvili, Manchar Guntsadze and Tamar Mchedlishvili.

After the presentation participants were awarded by the conference certificates and granted lifetime membership of the organization and memorable photos. In nearest future the presentations will be published in the international journal in social sciences.

## პროფესორ ელდარ მამისტვალიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

იოსებ ალიმბარაშვილი

2019 წლის 25 ოქტომბერს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ელდარ მამისტვალიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია. ღონისძიება ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერითა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გორის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე განთავსდა მეცნიერის მოღვაწეობის ამსახველი ბილბორდი.

ელდარ მამისტვალიშვილის სახელი საკმაოდ ცნობილია არა მარტო ქართული, არამედ ევროპის, ისრაელისა და პოსტსაბჭოთა სივრცის სამეცნიერო წრეებისათვის. მისი მონოგრაფიები: „ქართველ ებრაელთა ისტორია“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), „ქართველები და ბიბლიური სამყარო“, „ქრისტეს კვართის ისტორია“ (ქართულ და რუსულ ენებზე), „ამილახვრები“, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე), „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია“ (ოთხ ტომად), „გორის ისტორია“ (ორ ტომად) და სამეცნიერო სტატიები არაერთი მკვლევრის, მაგისტრანტისა და დოქტორანტისათვის იქცა გზის გამკვალავად.



ე. მამისტვალიშვილი ამასთანავე არის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ეგიდით გამოცემული სამეცნიერო კრებულის 17 ტომის რედაქტორი და ორგანიზატორი.

ელდარ მიხეილის ძე მამისტვალიშვილი დაიბადა 1939 წლის 27 ივლისს ქ. გორში. ბავშვობა გაატარა ციხის უბანში, სადაც იმ დროისათვის მისი ოჯახი ცხოვრობდა. როგორც შემდგომ გაირკვა, ამ ფაქტმა სამუდამოდ დააკავშირა ბატონი ელდარი გორის ციხესა და მის ისტორიასთან.

1957 წელს დაამთავრა გორის მე-5 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტში მას ასწავლიდნენ გამოჩენილი მეცნიერები სერგი მაკალათია, სიმონ გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, გრიგოლ ჩხარტიშვილი, ოთარ ჩხეიძე და სხვები, რომელთაც გამორჩეული კვალი დატოვეს მის ცხოვრებასა და შემდგომ პროფესიაზე.


1966 წელს ელდარ მამისტვალიშვილი უკვე ისტორიის კათედრის ლაბორანტია, ხოლო ორი წლის შემდეგ



**პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია**

უფროსი ლაბორანტის რანგში მიზნობრივ ასპირანტურაში იგზავნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ასპირანტურაში. ამავე წლის 23 მაისს ისტორიის კათედრა დადგენილებას იღებს ელდარ მამისთვალიშვილი წლიური საკვლევი თემის „კრემონას ისტორიიდან“ მოსამზადებლად, სამეცნიერო მივლინებით გაგზავნოს მოსკოვსა და ლენინგრადში.

ასპირანტურაში სწავლის დროს მის მეცნიერად ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა გამორჩეულმა ინტელიგენტმა, პროფესორმა გივი ჟორდანიამ, რომლის რჩევითაც დაიწყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა



მეცნიერმა შუა საუკუნეების საქართველოს საგარეო ურთიერთობების კვლევა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ე. მამისთვალიშვილი მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, პარალელურად კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1972 წელს ბატონი ელდარი ბრუნდება გორში ისტორიის კათედრაზე და მას შემდეგ მშობლიურ უნივერსიტეტთან ერთად მოდის. გაიარა გრძელი გზა ლაბორანტობა, უფროსი მასწავლებლობა, დოცენტობა და ბოლოს პროფესორობა.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ მან მუშაობა გააგრძელა ეკონომიკურ ინსტიტუტში, შემდეგ ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტში. 1999 წლის 16 ივლისიდან კი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1990 წელს აარსებს საქართველოს ისტორიის კათედრას და მას შემდეგ ხელმძღვანელობს მას.

1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XIV ს. დასასრული – XV ს. 70-იანი წლები)“, ხოლო 1983 წელს სადოქტორო დისერტაცია „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით)“.

გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, ბატონი ელდარ მამისთვალიშვილი ძალზე აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც ეწევა. ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ქვეყანაში, ხელმძღვანელობდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების გორის განყოფილებას, იყო საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი, გორის რეგიონული სახალხო ფრონტის წევრი და თავმჯდომარე, საქართველოს



პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატი, გორის საპატიო მოქალაქე, 1998 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით და სხვ.

რაც მთავარია, ბატონმა ელდარ მამისტვალიშვილმა ჩამოაყალიბა და დღესაც წარმატებით ხელმძღვანელობს გორის ისტორიის სკოლას, რომელმაც საკმაო ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა ქართულ საისტორიო საზოგადოებაში.

ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ელდარ მამისტვალიშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ზემოხსენებულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში დასაქმებულმა სამ ათეულამდე მეცნიერმა, დარგის აღიარებულმა სპეციალისტებმა. მათ შორის იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის სახელობის



აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს ებრაელთა მუზეუმის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.

კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდათ საიუბილეო კონფერენციის მასალების კრებული, რომელშიც კვლევით სტატიებთან ერთად, იუბილარისადმი მიძღვნილი მილოცვებიც შევიდა.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომელზეც ბატონი ელდარის მიერ განვლილ გზაზე ისაუბრეს და მას იუბილე მიულოცეს სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების პირველმა პირებმა, უნივერსიტეტის რექტორმა, კოლეგებმა და ჩამოსულმა სტუმრებმა.

მადლიერების გამოხატვა ღვანლმოსილი მეცნიერისათვის კეთილშობილური და ღირსეული ჟესტია, რომელმაც, სასურველია, ფართო გავრცელება ჰპოვოს ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

## SCIENTIFIC CONFERENCE DEDICATED TO THE 80<sup>TH</sup> ANNIVERSARY OF PROFESSOR ELДАР MAMISTVALISHVILI

Ioseb Alimbarashvili

On October 25, 2109 within the framework of the events dedicated to the 80<sup>th</sup> anniversary of Doctor of History, Professor Eldar Mamistvalishvili was held conference. The conference was funded by regional government and organized by Gori State Teaching University.

Over thirty representatives of the different Georgian universities and research bodies (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Technical University, International Black Sea University, Ilia State University, Gori State Teaching University, Sokhumi State University, Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, International Center for Christian Studies at the Orthodox Church of Georgia, Georgian National Museum, Museum of History Jews of Georgia, National Academy of Sciences of Georgia) participated the conference.

The conference participants were given the conference proceedings which apart the research papers included addresses. The working sessions was continued by gala event: the speakers – members of regional governance, rector of Gori State Teaching University, conference participants, students – talked about the life of Professor Eldar Mamistvalishvili and congratulated him the anniversary date..

**საერთაშორისო კონფერენცია  
„ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული  
კომუნიკაცია საქართველოში“**

**ქეთევან ხუციშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2019 წლის 24-26 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში“.



ინტერკულტურული კომუნიკაციის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების (გლობალიზაცია, მიგრაციები, კონფლიქტები) გამო განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. საქართველო ისტორიულად გამორჩეული ქვეყანაა თავისი მრავალფეროვნებით, რამაც განაპირობა მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციული სისტემებისა და ჯგუფთაშორისი საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბება; განსაკუთრებული ეთნოგრაფიული რეალიებისა და ქცევის მოდელების განვითარება. აქ მულტიკულტურულ გარემოში უძველესი დროიდან უწყვეტი იყო ურთიერთობა განსხვავებული ეთნოკულტურული, რელიგიური თუ ლინგვისტური ჯგუფების წარმომადგენელთა შორის. უწყვეტი პროცესი გახლდათ კულტურათაშორისი ურთიერთობები, მთელ რიგ რეალიათა გაცვლა და გაზიარება. დროთა ვითარებაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციეტალური სიტუაციის ცვლილება იწვევდა საქართველოს ეთნო-კულტურული რუკის ცვლილებებს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა ინტერკულტურულ კომუნიკაციაზე. ამ საკითხების კვლევა და დისკუსია მათ ირგვლივ წვლილს შეიტანს თანამედროვე გამონვევების ანალიზში.





**ქათვან სუნიშვილი**

რეგისტრირებული იყო 59 მონაწილე, მათგან უცხოელი მკვლევარები კანადის (მონრეალის), თურქეთის (კამუკალეს), გერმანიის (რურის), პოლონეთის (ვარშავისა და იაგელონის), ფინეთის (აღმოსავლეთ ფინეთის), სომხეთის (ერევნის სახელმწიფო) უნივერსიტეტებიდან, ასევე ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, ცხუმ-აფაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.







ქართული კულტურის კვლევის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის კონფერენციის ფარგლებში უნივერსიტეტის საპატიო სიგელი და ეროვნული ბიბლიოთეკის მედალი გადაეცათ პამუკალეს უნივერსიტეტის პროფესორ ფაჰრიე ბაირამსა და მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორ ქევინ თიუიტს.

## INTERNATIONAL CONFERENCE “ETHNOCULTURAL DIVERSITY AND INTERCULTURAL COMMUNICATION IN GEORGIA”

**Ketevan Khutsishvili**

International Conference “Ethno-cultural Diversity and Intercultural Communication in Georgia” organized by Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities, Institute of Ethnology, the National Parliamentary Library of Georgia and Georgian Library Association with collaboration the Association of Anthropologists of Georgia was held in Tbilisi on October 24-26, 2019. The event was funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

59 participants were registered, among them were the foreign researchers from the universities of Canada (Montreal); Turkey (Pamukkale); Germany (Ruri); Poland (Warsaw and Jagiellonia); Finland (Eastern Finland); Armenia (Yerevan); as well as the representatives of Tbilisi State University; Ilia State University; Sokhumi State University; Georgian Technical University; Gori State Teaching University; Samtskhe-Javakheti University; Batumi State University; LEPL Batumi Art Teaching University; Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia; Georgian State Museum of theater, music, cinema and choreography; Sukhumi-Abkhazian Academy of Sciences.


During the conference for the outstanding contributions to the study of Georgian culture Professor Fahriye Bayram of the University of Pamukkale and Professor Kevin Tuite of the University of Montreal were awarded by the University’s Honorary Diploma and National Library Medal.

**კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი „საქართველო კავკასიის  
კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში  
(ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები)“**

**ამირან ბასილაშვილი**

2019 წლის 4-7 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი „საქართველო კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში (ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები)“.

კონგრესი იმართება სამ წელიწადში ერთხელ საქართველოში და მისი ორგანიზატორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად. კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესი 2007 წელს ჩატარდა.



კონგრესს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. კავკასიური ენებისა და კავკასიელი ხალხის ისტორიის შესწავლის საკითხი ქართულ-ქართველური ენებისა და ქართველი ერის ისტორიის კვლევასთან ერთად პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დადგა დღის წესრიგში. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო კონცეფცია საქართველოს კავკასიის კონტექსტში შესწავლას გულისხმობდა. „ქართველის ერის ისტორიის“ ხუთტომეულს მეცნიერმა „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“ (ორ წიგნად) წაუძღვარა. მარტო





**კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი „საქართველო კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში...“**

ამ ნაშრომთა სახელწოდებების გაცნობაც საკმარისია ზემოთქმულში დასარწმუნებლად. პირველ წიგნის სახელწოდებაა „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“. ქართველურ ენათა კავკასიურ ენებთან მიმართებას ეძღვნება მეორე წიგნი, რომელსაც ეწოდება „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. ქართველთა ეთნოგენეზის მხოლოდ ქართველურ ენათა მასალის გათვალისწინებით კვლევისას ი. ჯავახიშვილი წააწყდა დაბრკოლებას: „ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ მართო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია“. ამავე ნაშრომში ფორმულის სახე მიიღო მეცნიერის კონცეფციამ: „მხოლოდ ამ მიმართულებით, ამ მეთოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარშემოზღუდვილობისგან ფართო ასპარეზზე გავიყვანს და ყოველმხრივ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვადლებინებს“. ამიტომაც იყო, რომ უნივერსიტეტის დამფუძნებლები – ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი ქართველოლოგობასთან ერთად კავკასიოლოგებიც იყვნენ. პირველი თაობის კავკასიოლოგების გზა ღირსეულად გააგრძელეს მათმა მოწაფეებმა: ა. ჩიქობავამ, ს. ჯანაშიამ, ვ. თოფურიამ. ა. ჩიქობავას ინიციატივით დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა. ამ კათედრამ აღზარდა კავკასიოლოგთა არაერთი თაობა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მასშტაბითაც.



კავკასიურ ენათა კათედრის მემკვიდრე კავკასიოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს კავკასიოლოგიურ კვლევებს და ქართველ, კავკასიელ და უცხოელ მეცნიერებს აძლევს შესაძლებლობას მათი სამეცნიერო მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოდგენისა.

წლევანდელი კონგრესის მთავარი თემა იყო: საქართველოს როლი და ადგილი კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ განვითარებაში (ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები), რომელიც გაიშალა ქვეთემებად: კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისა და პოლიტოგენეზის აქტუალური პრობლემები; კავკასიის კულტურულ-





ანთროპოლოგიური კვლევები (არქეოლოგია, ეთნოლოგია, კულტუროლოგია, ფოლკლორი, ლიტერატურა); საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები თანამედროვე კავკასიაში (ეთნონაციონალური და კონფესიური ფაქტორები); კავკასიის გეოპოლიტიკა (გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური მიდგომები; ეთნოკონფლიქტები); ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაში; კავკასიის თემატიკა საერთაშორისო კავკასიოლოგიურ კვლევათა ცენტრებში; საქართველო – კავკასიოლოგიური კვლევებისა და სწავლების ცენტრი; გეოლინგვისტური თეორიები (ევროკავშირი, ევრაზიული კავშირი და კავკასიის რეგიონი); კავკასიის ენების ფუნქციონირების საკითხები (ისტორია და თანამედროვეობა); კავკასიის ენათა სისტემა-სტრუქტურისა და არეალური ლინგვისტიკის საკითხები; ქართულ-კავკასიური ეტიმოლოგიური კვლევების საკითხები.



კონგრესი მიზნად ისახავდა საქართველოს როლის გამოკვეთას კავკასიის რეგიონის კულტურულ-ცივილიზაციური კონტექსტის ისტორიულ ქრილში, რეგიონის წინაშე არსებული ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების ჩვენებას, კავკასიის ინტეგრაციის პერსპექტივის რეგიონალიზაციისა და გლობალიზაციის კონტექსტში განსაზღვრას, კავკასიის ლინგვოკულტურული და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების შესაძლებლობების წარმოჩენას.





კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 170-ზე მეტმა მეცნიერმა საქართველოდან, ჩრდილოეთ-კავკასიიდან (დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან, ადიღეიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან), აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან, ნორვეგიიდან, ინგლისიდან.

4 ნოემბერს კონგრესი გახსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელიც მიესალმა კონგრესის მონაწილეებს, ხაზი გაუსვა უკვე ტრადიციადქცეული კონგრესის მნიშვნელობას და უნივერსიტეტის როლს კავკასიოლოგიაში. შესავალი სიტყვა წარმოთქვა თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, კონგრესის თავმჯდომარემ პროფ. ც. ბარამიძემ. მისი თქმით, ქართული კავკასიოლოგიური სკოლა აგრძელებს ი. ჯავახიშვილის წამოწყებულ საქმეს – იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის შესწავლას და ამ მხრივ მიღწეული სამეცნიერო შედეგების განხილვას კონგრესის საშუალებით. პროფ. ცირა ბარამიძემ მიმოიხილა წინა კონგრესების შედეგები. მან აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კავკასიის – ჩვენი სამშობლოს სიყვარულითა და მზრუნველობით შესწავლა, განსხვავებით გეოპოლიტიკური ანუ ოდენ სარგებლიანობის პრინციპზე დამყარებული დამოკიდებულებისა. პროფ. ცირა ბარამიძემ ისაუბრა საქართველოს ფუნქციაზე კავკასიის რეგიონში.



მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ თსუ ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ნანა მაჭავარიანი, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. შენგელია, ჩეჩნეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფ. ა. ხალიდოვი, ყარაჩაი-ჩერქეზეთის უნივერსიტეტის პროფ. რ. ბეგულოვი, ინგუშეთის ჩ. ახრიევის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, პროფ. ბ. ხარსიევი, კრაკოვის უნივერსიტეტის დოქტორანტი, თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის აღზრდილი რ. კანარკოვსკი, მესროპ მაშტოცის სახ. მატენადარანის ძველ ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ჰ. აკოფიანი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი რ. მობილი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთის სამეცნიერო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი ე. გორიუშინა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „პრომეთეოსის“ დირექტორი პ. ეჯიბია, დაღესტნის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი რ. აბდულმაჟიდოვი.

მისალმების შემდეგ კონგრესი პლენარული სხდომით გაგრძელდა, რომელსაც მოჰყვა სექციური მუშაობა. იმუშავა ენათმეცნიერების სამმა, ისტორიის ორმა და კულტუროლოგია-ხელოვნებათმცოდნეობა-ეთნოლოგიის ერთმა სექციამ.

5 ნოემბერს, კონგრესის მეორე დღეს, დილიდანვე განახლდა სექციური მუშაობა. იმუშავა ენათმეცნიერების სამმა, ისტორიის ორმა, ეთნოლოგიის, არქეოლოგია-ანთროპოლოგია-კულტუროლოგიის, ლიტერატურა-ფოლკლორის, გეოპოლიტიკა-კონფლიქტოლოგიის თითო-თითო სექციებმა. დღე დასრულდა პლენარული სხდომით, შეჯამდა სექციების მუშაობა და კონგრესი დაიხურა.

ფინანსური მხარდაჭერა კონგრესს სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „პრომეთეოსმა“ გაუწია.

**V INTERNATIONAL CONGRESS OF CAUCASIOLOGISTS  
“GEORGIA IN THE CULTURAL-CIVILIZATIONAL CONTEXT OF THE CAUCASUS  
(HISTORY, MODERNITY AND PERSPECTIVES)”**

**Amiran Basilashvili**

The 5<sup>th</sup> International Congress of Caucasiologists “Georgia in the Cultural-Civilizational Context of the Caucasus (History, Modernity and Perspectives)” was held at Ivane Javakhishvili Tbilisi State University on November 4-7, 2019. The event was financially supported by the “Prometheus” – Scientific-Educational Society.

The main theme of this year’s Congress was: Georgia’s role and place in the cultural development of the Caucasus (History, Modernity and Perspectives), which were divided into sub-topics: current issues of ethno-genesis and Politogenesis of Caucasian peoples; cultural and anthropological studies of the Caucasus (archeology, ethnology, cultural studies, folklore, literary criticism); socio-political processes in the modern Caucasus (ethno-national and confessional factors); geopolitics of Caucasus (geopolitical, geo-economic approaches, ethno-conflicts); monuments of Georgian material and spiritual culture in the North Caucasus; the subject of Caucasus in the international Caucasiologist studies’ centers; Georgia – Center of Caucasiologist Studies and teaching; Geolinguistic Theories (EU, Eurasian Union and Caucasus Region); Issues of functioning of Caucasian languages (history and modernity); issues of Georgian-Caucasian etymological studies.

More than 170 scholars from Georgia, North Caucasus (Dagestan, Chechnya, Ingushetia, Adygea, Karachay-Cherkessia, Kabardino-Balkaria), Azerbaijan, Armenia, Russia, Turkey, Poland, Norway participated to the congress.



## შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

მარიამ ჩხარტიშვილი

2019 წლის 27 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა განყოფილების თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილის ხსოვნას.

სხდომას უძღვებოდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე მარიამ ჩხარტიშვილი. მან აღნიშნა, რომ წლის მიწურულს განყოფილების კონფერენციის ჩატარების იდეა ინსტიტუტის დირექციიდან მოდიოდა. განყოფილების წევრებს ძალიან მოეწონათ ეს იდეა და გადაწყვიტეს, რომ ამგვარი კონფერენცია არათუ მიმდინარე წელს ჩაატარონ, არამედ ყოველწლიურ ტრადიციადაც აქციონ.

ამის შემდგომ აუდიტორიას სიტყვით მიმართა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ქეიშივილმა. მან გაიხსენა არაერთი ეპიზოდი, რომელიც წარმოაჩენდა ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილს როგორც მეცნიერსა და პიროვნებას.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია**

**პროგრამა**

კონფერენცია ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილის ხსოვნას

მისამართის QR კოდი  
GOOGLE MAPS-ისთვის

მოგონებით გამოვიდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ვახტანგ გოილაძე.

ქალბატონი ლიანას შემოქმედების შესახებ ისაუბრა მარინე ქადაგიძემ მოხსენებაში „ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ლიანა დავლიანიძის შემოქმედება“.

მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე ეკა კვაჭანტირაძე („რუსული კვალი XVIII საუკუნის ქართულ-სომხურ ურთიერთობებში“), ქეთევან ქუთათელაძე („მანნაბერდის მთავარი კვირიკე III კვირიკიანი-ბაგრატუნი“), სოფიო ქადაგიშვილი („ქართული ჰაგიოგრაფია როგორც საისტორიო წყარო – კვლევები და მეთოდები“); ალექსანდრე თვარაძე („ქრისტიანებისა და მუსლიმების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ XIII-XVII

მარიამ ჩხარტიშვილი



საუკუნეებში: ევროპული ისტორიული, პილიგრიმული ლიტერატურის და „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტის ცნობები“), მარიამ ჩხარტიშვილი („ასურელ მამათა ჰაგიობიოგრაფიების წყაროთმცოდნეობითი კრიტიკისათვის“), ზურაბ თარგამაძე („მეფე როგორც ქართული იდენტობის მარკერი და ისტორიულ-პოლიტიკური ალუზია“), პაპუნა გაბისონია („ისტორიული ლაზეთის რამდენიმე ტოპონიმის გარკვევისათვის“),



**შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო...**

მედეა გოგოლაძე („კავკასიის ალექსანდრეს კარი“). სამეცნიერო მსჯელობის დაწყებამდე მომხსენებლები იხსენებდნენ ქალბატონ ლიანა დავლიანიძეს, ახალგაზრდები, რომელთაც მასთან პირადი ნაცნობობა არ



აკავშირებდათ, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ საშუალება მიეცათ ამდენი გაეგოთ ამ ღვანღმოსილი მეცნიერისა და ნათელი პიროვნების შესახებ.

კონფერენცია შეაჯამა მარიამ ჩხარტიშვილმა და ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერი ვაშაკიძემ. ვალერი ვაშაკიძემ დადებითი შეფასება მისცა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და







წყაროთმცოდნეობის განყოფილების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას. მან თავადაც გაიხსენა ქალბატონ ლიანასთან ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდი. დასასრულს კი კონფერენციის მონაწილეები და დამსწრე საზოგადოება მიიწვია არაფორმალურ ვითარებაში განეგრძოთ კონფერენციაზე დაწყებული სამეცნიერო დისკუსია.

## **ANNUAL CONFERENCE OF THE DEPARTMENT OF MEDIEVAL HISTORY OF GEORGIA AND SOURCE CRITICISM**

**Mariam Chkhartishvili**

On December 27, 2019 was held the annual conference of the Department of Medieval History of Georgia and Source Criticism of the Institute of History and Ethnology. It was dedicated to the memory of Liana Davlianidze-Tatishvili. The conference was chaired by Mariam Chkhartishvili. The opening speech was delivered by the director of the institute George Tcheishvili. The presentations were made by Marine Kadagidze, Eka Kvachantiradze, Ketevan Kutateladze, Sopio Kadagishvili, Aleksandre Tvaradze, Mariam Chkhartishvili, Zurab Targamadze, Papuna Gabisonia, Medea Gogoladze.

The conference was summed up by Mariam Chkhartishvili and Deputy Director Valeri Vashakidze.

**კომენტარები**  
**COMMENTS**





## **კომენტარი**

### **მურვან ყრუს იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით გამოთქმულ ახალ თვალსაზრისზე**

**მარიამ ჩხარტიშვილი**

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკის ნაწილია, რომ რაც შეიძლება მეტი შემოქმედებითი თავისუფლება მივანიჭოთ ავტორებს, არ ჩავერიოთ ნაშრომთა შინაარსში, არ მოვახვიოთ თავს საკუთარი სამეცნიერო შეხედულებები. ჩვენი პრინციპია დავებოთ გარკვეული დასაბუთების მქონე ყველა თვალსაზრისი, რაოდენ განსხვავებულიც არ უნდა იყოს ის რედკოლეგიის წევრების სამეცნიერო შეხედულებებისაგან. სწორედ ამ პრინციპის განსახორციელებლად ძალიან მოხერხებულად გვეჩვენება „კომენტარების“ განყოფილება, სადაც შესაძლებლობა გვექნება დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია გამოქვეყნებული სტატიების მიმართ. ამგვარად, პოზიციათა განსხვავებულობის გამო სტატიის მიღებაზე კი არ ვეტყვით უარს ავტორს ან მის გადაკეთებას, თუნდაც შევსებას კი არ მოვთხოვთ (ამგვარი პრაქტიკა, როგორც ცნობილია, საკმაოდ გავრცელებულია), არამედ კომენტარებში წარმოვაჩინოთ სტატიაში მიღებული დასკვნებისადმი რეცენზენტების აზრს. სამომავლოდ, კომენტარების ფორმატი შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ აზრის გამოსათქმელად, არამედ საზოგადოდ, როცა მოკლე შენიშვნის გაკეთება გვსურს მხოლოდ.

ჩვენი ჟურნალისათვის ახალი ამ განყოფილების პირველი წერილი ჩემია და ის შეეხება დავით ჩიქოვანის სტატიას „ყრუ ბაღდადელის“ ვინაობისა და მარვან იბნ მუჰამედის ქართული თიკუნის შესახებ“.

ეს კომენტარი თუ შენიშვნა ამ სტატიის რეცენზირებისას გამიჩნდა, მაგრამ გადავწყვიტე ავტორისათვის წინასწარ არ გამეცნო, რომ ის სტატიის შეცვლის ან გადააზრების პრობლემის წინაშე არ დამეყენებინა. მინდოდა, რომ სტატია იმ სახით დაბეჭდილიყო, როგორც ავტორს სურდა, რადგან ის უდავოდ ძალიან საინტერესოდ მეჩვენება. თუმცა, ამასთან აუცილებლად ვთვლი, დავაფიქსირო ჩემი შეხედულება, რომელიც, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ აქვს ავტორს და ამ მიზეზით, ვფიქრობ, აღნიშნული საკითხის კვლევას სათანადო სიღრმეს აკლებს.

საქმე შემდეგია: ჩემს მონოგრაფიაში „მარტვილობა და მოთმინება ნმიდისა ევსტათი მცხეთელისა“ და „ცხოვრება და მოქალაქეობა ნმიდისა სერაპიონ ზარზმელისა“. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა (თბილისი, მეცნიერება, 1994) გამოთქმული მაქვს თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული არაბი სარდლის მურვანის, ყრუდ წოდებულის, იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. ეს მსჯელობა წარმოდგენილია მონოგრაფიის „დამატების“ ერთ-ერთ შენიშვნაში. აი, რას ვკითხულობთ აქ:

„ვახუშტი ბაგრატიონი არჩილ მეფის ზეობას განსაზღვრავდა 668–718 წლებით [...]. ამ თვალსაზრისს დღეს ბევრი მკვლევარი არ იზიარებს იმ საბაბით, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არჩილი მურვან ყრუს თანამედროვეა. ეს უკანასკნელი კი ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილის მიერ VIII საუკუნის შუა ხანებში მცხოვრებ ხალიფა მერვან II-სთან იქნა გაიგივებული [...]. მაგრამ იმავე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ არჩილი სტეფანოზ II-ის ძეა. სტეფანოზ II კი [...] VII საუკუნის შუა ხანებში მცხოვრები პიროვნებაა. თანაც წყაროში მითითებულია, რომ მურვან ყრუს შემოსევებისას არჩილი მცირეწლოვანი იყო. აშკარაა, რომ VII საუკუნის შუა ხანებში მცხოვრები პიროვნების შვილი არ შეიძლება VIII საუკუნის მეორე ნახევარში მცირეწლოვანი ყოფილიყო. ამრიგად, ჩნდება შეუსაბამობა თუ, ერთი მხრივ, არჩილს სტეფანოზ II-ის ძედ მივიჩნევთ, მეორე მხრივ, თუ მურვან ყრუს მერვან II-სთან გავაიგივებთ. არჩილი რომ სტეფანოზის ძეა, რომ იგი ქართლში არაბთა პირველი შემოსვლისას მცირეწლოვანი იყო – ეს წყაროს ინფორმაციაა, მურვან ყრუს მერვან II-სთან იდენტიფიცირება – თანამედროვე მკვლევართა ვარაუდია. ვფიქრობთ, ცდებიან სწორედ ისინი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა [...] მას შემდეგ, რაც გ. აბრამიშვილმა წამოსწია შემდეგი ისტორიული ფაქტი: VII ს. II ნახევარში ამიერკავკასიაში იმყოფება არაბი სარდალი მუჰამედ იბნ მურვანი – მერვან II-ს ანუ მურვან იბნ მუჰამედის მამა [...]. აშკარად იგი ჰყავს მხედველობაში ძველ ქართველ ისტორიკოსს“ (გვ. 127, შენ. 8).

ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს, რომ მერვან/მურვან II-სთან „მურვან ყრუს“ იდენტიფიკაციას მე არ ვიზიარებ. მიმაჩნია, რომ ქართული წყაროების მურვან ყრუდ წოდებული არაბი სარდალი უფრო ადრე მოღვაწეობდა, ვიდრე ხალიფა მერვან/მურვან II. და ამ სარდალსაც ვასახელებ: ესაა, როგორც უკვე ვთქვი, მუჰამედ იბნ მურვანი. სპეციალისტების აზრს მურვან ყრუს მურვან II-სთან გაიგივების შესახებ, რომ უნდობლად მოვეკიდე, ამის საფუძველი, როგორც ვთქვი, მომცა წყაროს ინფორმაციამ მეფე არჩილის შესახებ.

მარვან/მურვან/მერვან I იყო ომაიდების საგვარეულოს წარმოადგენელი, ხალიფა, რომელიც ტახტზე იყო სულ ერთი წელი – 684-685. მისი ძე გახლდათ ზემოთ ხსენებული მუჰამედ იბნ მარვანი/მურვანი, ის იყო სახალიფოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სარდალი მეშვიდე საუკუნის მიწურულსა და მერვეს დასაწყისში.

მან ილაშქრა სამხრეთ კავკასიაში. ის ცნობილია თავისი სისასტიკით, კერძოდ, სომხეთის სამეფო ოჯახის წევრების ამონყვეტით. სამხრეთ კავკასიაში მუჰამედ იბნ მარვანი/მურვანი ლაშქრობის შესახებ დ. ჩიქოვანიც აღნიშნავს, მაგრამ მურვან ყრუს იდენტიფიკაციისას მასზე ყურადღებას არ ამახვილებს. მკვლევარზე აშკარად შთაბეჭდილებას ახდენს ცნობა რეალურად არსებული ყრუ სარდლის შესახებ. ესაა, როგორც თავადაც მიუთითებს, აბდალ-აზიზი, რომელიც მუჰამედ იბნ მურვანის მერე ლაშქრავს სამხრეთ კავკასიას. მაგრამ ამგვარი იდენტიფიკაციისას მკვლევარი უგულებელყოფს „შებრკოლების ლოდს“ ანუ იმას, რომ მურვან ყრუსა და აბდალ-აზიზის სახელები არ ემთხვევა, მაშინ როცა მუჰამედ იბნ მურვანის და მურვან ყრუს სახელები ემთხვევა: „მუჰამედი ძე მურვანისა“ სავსებით ლოგიკურია რომ მურვანად აღქმულიყო ქართველ ისტორიკოსის მიერ. ამის მიზეზი კი, შესაძლოა, ის ყოფილიყო, რომ მუჰამედს, რომელიც თავად ხალიფა არ ყოფილა, ალბათ მოიხსენიებდნენ როგორც სწორედ მისი ხალიფა მამის ძეს ანუ არა მუჰამედად არამედ „მურვანის ძედ“. მამის სახელით მოხსენიება საზოგადოდაც რომ მოსალოდნელია თვალსაჩინოებისათვის, ვფიქრობ, შეიძლება გამოგვადგეს ცნობილი სწავლულის იბნ სინას მაგალითი: იბნ-სინა ნიშნავს სინას ძეს. ხშირად სწორედ ასე ვუნოდებთ ამ პიროვნებას, რომლის სრული სახელი იყო აბუ ალი იბნ სინა: აბუ ალი სინას ძე.

## COMMENT ON A NEW VIEW ON ISSUE OF MURWAN THE DEAF IDENTIFICATION

Mariam Chkhartishvili

The comment concerns the view proposed by D. Chikovani in his paper “About the Deaf from Bagdadi and Marwan ibn Muhamed’s Georgian nickname Kru (Deaf)”. He begins the paper with note about state of the problem’s study: most often the Arabian commander Murwan the Deaf (Kru) who is mentioned in “Kartlis Tskhovreba” is identified with Marwan Ibn Muhammad (later caliph Marwan II – 744-750). According to Georgian source nickname Kru was given to this commander because of his cruelty and not understanding the complaints of his victims. D. Chikovani challenges the traditional identification and argues that the abovementioned Arabian commander should be identified with Abd al-Aziz who was deaf and the nickname was given to him not because of his cruelty, but because of his actual physical disability. Mariam Chkhartishvili who was the reviewer of this paper, disagree with this point: the name mentioned in Georgian source, i.e. Murwan does not coincides with the name of Abd al-Aziz, whereas it coincides with name of another Arabian commander Muhamed ibn Murwan (“Muhamed son Murwan” or simply “son of Murwan”) who, by the way was father of already mentioned Marwan II. This identification of Murwan Kru is supported by other evidences, namely, by the dates provided by Vakhusti Bagrationi for the King Archil who reigned in period of Murwan Kru’s invasion.

## **გზამკვლევი ავტორთათვის**

ჟურნალში წარმოდგენილი სტატია შეიძლება იყოს ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული პროფილის ორიგინალური გამოკვლევა. ამასთან უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ტერმინი წყაროთმცოდნეობა გამოყენებულია ფართო გაგებით ანუ როგორც ყველა ტიპის წყაროთა (და არა მხოლოდ წერილობითი წყაროების) შემსწავლელი მეცნიერება. შესაბამისად, შესაძლებელია არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში შესრულებული ნაშრომების წარმოდგენაც. ტერმინი ისტორიოგრაფია კი გამოიყენება ისტორიული აზრის ისტორიის შემსწავლელი დისციპლინის მნიშვნელობით. შესაბამისად, გულისხმობს როგორც წინამოდერნის, ისე ახალი დროის შესაბამისი ტექსტების კვლევისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს.

რევიონის ან ეპოქის არჩევანის მიხედვით შეზღუდვა არ არსებობს: წარმოდგენილი სტატია შეიძლება შეეხებოდეს ნებისმიერი ხალხისა და ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას უძველესი დროიდან დღემდე.

კვლევითი სტატიების გარდა ჟურნალში შესაძლებელია წყაროების ტექსტების გამოქვეყნებაც შესაბამისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თუ ტექსტოლოგიური კომენტარებით; მიიღება წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანებიც, რეცენზიები, სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა ფაქტის (კონფერენციის, ვორქშოპის, წიგნის პრეზენტაციის და ა.შ.) ამსახველი ინფორმაციები, სამეცნიერო პოლემიკის მასალები, სამეცნიერო ეთიკასთან დაკავშირებული განსჯანი, დარგის სპეციალისტების შესახებ მოგონებები, მილოცვები, ნეკროლოგები, დარგის წამყვან სპეციალისტებთან ინტერვიუების ჩანაწერები, სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემაზე მოკლე კომენტარები

ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა. უფასოდ მიიღებენ ავტორები ჟურნალის ერთ ბეჭდურ ცალს. ჟურნალის ელ-ვერსია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

ჟურნალში სტატიის წარმოდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. 30 მაისამდე წარმოდგენილი დაიბეჭდება მიმდინარე წელსვე, ამ თარიღის შემდგომ შემოსული – მომდევნო წელს.

კორექტურული შეცდომების შემცველი და სტატიის გაფორმების წესების იგნორირებით შესრულებული ნაშრომები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს შესწორებებისათვის.

საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების თაობაზე იღებენ რედაქტორები სამეცნიერო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე.

სტატია როგორც word ისე pdf ფორმატში რეზიუმეებისა და საილუსტრაციო მასალების თანხლებით უნდა გადაეგზავნოს პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

**[mariam.chkhartishvili@tsu.ge](mailto:mariam.chkhartishvili@tsu.ge)**

პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან მისთვის ფეისბუქით სტატიის გაგზავნა არ არის რეკომენდებული. ასევე არ არის რეკომენდებული სტატიის გაგზავნა რედაქციის სხვა წევრების ელექტრონულ მისამართებზე.

### **სტატიის ენა.**

სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემთხვევაში – რუსულად.

### **სტატიის სტრუქტურა.**

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებანი, რეზიუმე (რეზიუმეები).

### **სტატიის სათაური.**

გამუქებული, ცენტრში, ფონტის ზომა 14.

### **ავტორის სახელი და გვარი.**

გამუქებული, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 12.

### **ძირითადი ტექსტი.**

ფონტის ზომა 11, მანძილი სტრიქონებს შორის 1.15. ძირითად ტექსტში ქვესათაურები – ფონტის ზომა 11, გამუქებული.



**შენიშვნები (სათაური).**

გამუქებული, ფონტის ზომა 12.

**შენიშვნები (ტექსტი).**

ფონტის ზომა 10, მანძილი სტრიქონებს შორის 1. შენიშვნების ნუმერაცია უნდა გაკეთდეს ხელით და არა არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით. შენიშვნები არ უნდა იქნეს გამოყენებული ლიტერატურის დამონშებისათვის, არამედ მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად. შენიშვნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25.

**დამონშებანი (სათაური).**

გამუქებული, ფონტის ზომა 12,

**დამონშებანი (ტექსტი).**

ფონტის ზომა 10, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოღებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე.

**ფონტი.**

სილფაენი ყველა ენისათვის.

**აბზაცი.**

აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით თაბ, რომელიც დაყენებული უნდა იყოს ერთ სანტიმეტრზე.

**ციტირება.**

ერთი ან ორი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი (პირდაპირი ციტირების შემთხვევაში) ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალით. ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ზემოდანაც და ქვემოდანაც უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტისაგან. ციტატის ტექსტი ორივე მხრიდან უნდა შეინიოს აბზაცის დონეზე, ფონტის ზომა უნდა იყოს 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

ციტირებისას სტატიის ავტორის მიერ გამოტოვებული ადგილების ნაცვლად უნდა დაინეროს სამი წერტილი და ჩაისვას ოთხკუთხედ ფრჩხილებში [...]. ციტატაში ავტორისეული ცვილებების შესახებ შენიშვნები თავსდება ფრჩხილებში. ქართულენოვან სტატიაში უცხოენოვანი წყაროდან ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქართული თარგმანის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ ავტორი ციტირებისას აკეთებს გამოტოვებებს და ციტატა მოიცავს რამდენიმე გვერდს, ციტატაში გამოტოვების ადგილების სათანადოდ აღნიშვნასთან ერთად დამონშებაში უნდა მიეთითოს საწყისი და საბოლოო გვერდები.

**სასვენი ნიშნები.**

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიციებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. სასვენი ნიშანი იწერება ბრჭყალების შემდგომ, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი ინდექსი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ.

**მოცულობა.**

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამონშებანის, დანართებისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 6000 სიტყვას. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 სიტყვას. მოცულობის გადაჭარბება ითვლება ტექნიკურ ხარვეზად და ამგვარი სტატიები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს რედაქტირებისათვის.

**რეზიუმე.**

როგორც ქართულენოვან, ისე უცხოენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულად და ინგლისურად. რეზიუმე ინგლისურ ენაზე უნდა ითარგმნოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ.

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი სექციისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ინფორმაციული, მიმოხილვითი და ა.შ. სტატიის რეზიუმესათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

**ლიტერატურის მითითების წესი.**

დამონმებული ლიტერატურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 ერთეულს. ამ მოთხოვნის დაუცველობაც ჩაითვლება ტექნიკურ ხარვეზად და სტატია შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდება რედაქტირებისათვის ავტორს. სექციაში დამონმებანი დამონმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანური რიგის მიხედვით (უცხოელი ავტორის ან უცხო ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი ტექსტშიც და ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა მიეთითოს ქართულად). ფონტის ზომა 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

დამონმებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, სასურველია, ავტორებმა მიუთითონ არა მარტო გამოცემის ადგილი, არამედ გამომცემლობაც. ამავე დროს წერტილები და მძიმეები დასვან ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

**ლიტერატურის დამონმების კონკრეტული მაგალითები:**

**ა) დამონმება სტატიის ტექსტში და სტატიის ბოლოში:**

სტატიის შიგნით – ერთი ავტორის ნაშრომი:  
(ჩხარტიშვილი 2009: 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამონმებანი** ერთი ავტორის ნაშრომი:

**ჩხარტიშვილი 2009:** მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკური იდენტურობის მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – ორი ავტორის ნაშრომი:  
(ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამონმებანი:**

**ჩხარტიშვილი, მანია 2011:** მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდუი მედიაში, ივერია და მისი მკითხველი საქართველო*, ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – რამდენიმე ავტორის ნაშრომი:  
(ჩხარტიშვილი და სხვები 2017: 64)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამონმებანი:**

**ჩხარტიშვილი და სხვები 2017:** M. Chkhartishvili, S. Kadagishvili, Z. Targamadze. *Dress and Identity: A Georgian Case Study, Fashion through History: Costumes, Symbols, Communication*, volume I, edited by Giovanna Motta and Antonello Biagini, Cambridge scholars publishing, Newcastl.

**ბ) ერთი და იმავე ავტორის ერთიდაიმავე წელს გამოცემული ნაშრომები:**

**ჩხარტიშვილი 2009ა:** M. Chkhartishvili. *On Georgian Identity and Culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhartishvili)*, Tbilisi, Universal.

**ჩხარტიშვილი 2009ბ:** მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკური იდენტურობის მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

**გ) მონოგრაფიის, დისერტაციის დამონმება, კრებულის ან ჟურნალის სტატიის დამონმება:**

**ჩხარტიშვილი 2009:** მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკური იდენტურობის მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

**კაშია 2005:** ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე, *საქართველო ათასწლეულთა გასაყაჩზე*, მთ. რედ. ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე.

**ჩხარტიშვილი, მანია 2010:** მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის ორი თვე“ ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის ივერიის 10 ნომრის მიხედვით, *ქართული წყახომცოდნეობა*, № XII, თბილისი, უნივერსალი.

**თარგამაძე 2019:** ზ. თარგამაძე. ქართულთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე), სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. დამონმება ტექსტში: (თარგამაძე 2019: 67).

თუ მონოგრაფიას ვიმონმებთ, მაშინ კურსივით ვბეჭდავთ მის სათაურს; თუ კრებულში ან ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიას ვიმონმებთ, კურსივით ვბეჭდავთ კრებულის ან ჟურნალის სახელწოდებას. შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება „ჟურნ.“, ან „კრ.“

**დ) უცხოენოვანი ან უცხოელი ავტორის ნაშრომის დამონმების წესი:**

სტატიის ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2014: 202).

სექციაში დამონმებანი:

**ჩხარტიშვილი 2014:** M. Chkhartishvili. Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix, *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*: volume I. Edited by Antonello Biagini and Giovanna Motta, Cambridge Scholars Publishing.

**ე) გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი:**

გამოქვეყნებული ქართულენოვანი წყაროს დამონმების შემთხვევაში ტექსტში უნდა მიეთითოს გამომცემლის (და არა ავტორის) გვარი; არ უნდა მიეთითოს თხზულების სათაურიც:

სტატიის შიგნით: (ყაუხჩიშვილი 1955: 2) (და არა „ქართლის ცხოვრება“ ან ლეონტი მროველი).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამონმებანი:

**ყაუხჩიშვილი 1955:** ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

უცხოენოვანი წყაროს დამონმების შემთხვევაში შეიძლება მიეთითოს მთარგმნელის გვარი.

**ვ) საარქივო მასალის დამონმება:**

სტატიის შიგნით: (ფონდის მითითება ან არქივი)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამონმებანი:

**ფონდი 416:** საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საიტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

**ზ) სამეცნიერო თარგმანის დამონმება:**

სტატიის შიგნით: (ჩხარტიშვილი 2004: 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამონმებანი:

**ჩხარტიშვილი 2004:** ე.დ. სმითი. *ნაციონალიზმი: თეოხია, იდეოლოგია, ისტორია*, თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

**თ) საინტერნეტო პუბლიკაციის დამონმება:**

საინტერნეტო პუბლიკაციის შემთხვევაში მოქმედებს დამონმებისა და ციტირების ზემოთ აღწერილი წესები: თუ ვიმონმებთ ელ-გამოცემას, აუცილებელია, ლიტერატურის ჩამონათვალში ეს აღნიშნული იყოს; ამასთან უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართი, ასევე დამონმების ბოლოს ფრჩხილებში უნდა დაფიქსირდეს პუბლიკაციის ნახვის თარიღი.

**ნოსენკო:** E. Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности тому подобных понятиях, ვებ-გვერდი: berkovich-zametki.com <http://berkovich-zametki.com/Nomer42/Nosenko1.htm> (ნანახია: 01/03/2007).

იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ პუბლიკაციაში არ არის მითითებული ავტორი და თარიღი, მაშინ დამონმებაში უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაური, ელექტრონული მისამართი და ელექტრონულად გამოქვეყნების თარიღი.

**ი) საილუსტრაციო მასალის გამოყენების წესი:**

ჟურნალში ილუსტრაციები (ფოტო, გრაფიკული გამოსახულება და სხვ.) დაიბეჭდება შავთეთრად. ავტორმა მასალა უნდა წარმოადგინოს ელექტრონული სახით. ილუსტრაციას უნდა ახლდეს განმარტება. ამასთან სტატიის ავტორი ვალდებულია თავად მოიპოვოს მასალის გამოყენების უფლება.

**ზ) ნაშრომის დამონმება სხვა ავტორის ნაშრომის მეშვეობით:**

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ავტორს ვიმონმებთ სხვა ავტორის მიხედვით, დამონმებაში ჩვეულებრივ უნდა წარმოადგინო იქნეს სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა და ამის დამატებით უნდა მიეთითოს იმ ნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, საიდანაც ვსარგებლობთ დამონმებისათვის.



## AUTHOR'S GUIDELINES

### Coverage:

The research paper should be original contribution focused on history representation, source criticism, and historiography. The term *source* is understood in broadest sense of this word, accordingly journal will accept the papers in archaeology and cultural anthropology too. There are no restrictions regarding the chronology or region: the papers might be devoted to the history of any country and people, to any period from ancient times until today. Alongside with research papers the publications of sources with relevant commentaries, translations of primary and secondary (from other languages to Georgian) sources, book reviews, information about the different events of academic life (presentations, conferences, workshops etc), also materials reflecting debates, papers devoted to outstanding contributions of scholars as well as in memoriam of those who passed away, but their contribution to the history of profession should be remembered, are welcomed.

### Language:

The language of the submitted manuscript should be Georgian with the summary in English, or English with summary in Georgian. As an exception manuscript might be submitted in Russian too with summaries in Georgian and English.

### The length:

The length of the papers should not exceed 6000 words; the papers of informative character should not exceed 4000 words.

### References:

For references and citation authors should use Chicago style: *author-date system* [http://www.chicagomanualofstyle.org/tools\\_citationguide.html](http://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html)

### References and notes:

The references must be given at the end of each contribution with a maximum of 40 titles. Notes should be s endnotes with maximum number 25 and placed before the references.

The authors are responsible to obtain copyrights for the used illustrative materials.

The publication in the journal is free. The authors will be granted one hard copy of the journal. The journal will be permanently accessible through the web-site of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტოვსკაიას 4, ☎: 5(99)33 52 02; 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

